გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№9

2016

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა–846

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

რედკოლეგია:
მეუფე ანდრია (გვაზავა)
ზაზა ალექსიძე
ბუბა კუდავა
ლია მელიქიშვილი
აპოლონ სილაგაძე
გიორგი სოსიაშვილი
ნოდარ შენგელია
დავით ყოლბაია

კორექტურა: თამარ გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

ISSN 1512-4657

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:
Metropolitan Andrea (Gvazava)
Zaza Aleksidze
Buba Kudava
Lia Melikishvili
Apolon Silagadze
Giorgi Sosiashvili
Nodar Shengelia
David Kolbaia

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია
History of Georgia

იოსებ ალიმბარაშვილი – მოგზაურობა დავითის ნაკვალევზე (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის იმერეთში მოგზაურობის მასალები) *8*
Ioseb Alimbarashvili – DIMITRI MEGHVINETKHUTSESISHVILI'S TRIP TO THE WEST GEORGIA

გურამ კუტალაძე, [illegible] – დავით აღმაშენებელი და „ქართული მსოფლიო" *69*
Guram Kutaladze, [illegible] – DAVID THE RESTORER AND "THE GEORGIAN WORLD"

ელდარ მამისთვალიშვილი – საქართველო და მონღოლები (1240-1260-იანი წლები) *87*
Eldar Mamistvalishvili – GEORGIA AND THE MONGOLIANS (1240 – 1260)

მანანა მიჩიტაშვილი – მეფის სადროშოს და სარდლის სახელოს ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხისათვის (XV-XVIII სს.) *97*
Manana Michitashvili – FOR THE HISTORICAL-CHRONOLOGICAL ISSUES OF THE MILITARY ARMY DISTRICT OF THE KING AND THE POSITION OF COMMANDER (THE 15TH AND 18TH CENTURIES)

მურმან პაპაშვილი – ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანტიკათოლიკური პროპაგანდა ოდიშის სამთავროში *126*
Murman Papashvili – ANTI-CATHOLIC PROPAGANDA OF PHEDOT ELCHIN AND PAVEL ZAKHARIEV IN ODISHI PRINCIPALITY

გიორგი სოსიაშვილი – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში
Giorgi Sosiashvili – LANDS OF MONASTERY OF THE CROSS IN JERUSALEM AND SINAI MOUNT IN LIAKHVI GORGE *150*

ზურაბ სულაბერიძე – იმერეთის სამეფოს უკანასკნელი პერიოდი
Zurab Sulaberidze – THE LAST PERIOD OF IMERETIAN KINGDOM *188*

ეკლესიის ისტორია
History of Church

მაია შაორშაძე – ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენ (საყვარელიძე) და მისი მოღვაწეობა
Maia Shaorshadze – ARCHBISHOP ARSEN (SAKVARELIDZE) OF KARTLI AND HIS ACTIVITIES *260*

პიროვნება ისტორიაში
Person in History

რუსუდან დაუშვილი – ალექს მდივანი – დიპლომატი
Rusudan Daushvili – ALEX MDIVANI – DIPLOMAT *274*

საქართველო და გარე სამყარო
Georgia and Outside World

ირმა კეცხოველი – საქართველო გლობალიზაციის არეალში
Irma Ketskhoveli – GEORGIA IN GLOBALIZATION AREAL *292*

ლელა სარალიძე – რაიმონ პუანკარე და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია *313*
Lela Saralidze – RAYMOND POINCARÉ AND GEORGIAN POLITICAL EMIGRATION

ეთერ ქავთარაძე – პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი და ქართველი სტუდენტობა (XX საუკუნის ათიანი წლები) *334*
Eter Kavtaradze – ST. PETERSBURG IMPERIAL UNIVERSITY AND THE GEORGIAN STUDENTS (THE 10S OF THE 20 CENTURY)

დოდო ჭუმბურიძე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ოფიციალური დელეგაცია გერმანიაში (აკაკი ჩხენკელის წერილების მიხედვით) *341*
Dodo Chumburidze – THE FIRST OFFICIAL DELEGATION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN GERMANY, ACCORDING TO THE AKAKI CHKHENKELI LETTERS

ოთარ ჯანელიძე, მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი – 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ფრანგული პერიოდული პრესა *357*
Otar Janelidze, Maya Varsimashvili-Rapaeli – UPRISING OF AUGUST, 1924 AND THE FRENCH PERIODICAL PRESS

წყაროთმცოდნეობა
Source Studies

დალი კანდელაკი – დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ *383*
Dali Kandelaki – THE DECEMBRIST EVDOKIM LACHINOV'S INFORMATION CONCERNING RELATIONS BETWEEN OF RUSSIA AND THE COUNTRIES OF THE CAUCASUS REGION

იგორ კეკელია – გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ – I (მორიც ვაგნერი) *395*
Igor Kekelia – GERMAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO – I (MORIC VAGNERI)

ნესტან სულავა – სულიერი ზეაღსვლის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველება დავით წინასწარმეტყველის, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობაში („ფსალმუნნი“, „დიდი კანონი“, „გალობანი სინანულისანი“) *423*
Nestan Sulava – THE SYMBOL OF SPIRITUAL ASENTION IN THE LITERARY HERITAGE OF DAVIT PREDICTOR, SAINT ANDREW KRITELI AND DAVIT THE BUILDER („PSALMS“, „GREAT LAW“, „CHANTS OF REGRET“)

ეთნოგრაფია
Ethnography

გიორგი გოცირიძე – საკულტო საწირველი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საქართველოში – ზედაშე (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) *442*
Giorgi Gotsiridze – CULT OFFERINGS AND THE RELATED CUSTOMS IN GEORGIA (ACCORDING TO ETHNOGRAPHIC MATERIALS)

იოსებ ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოგზაურობა დავითის ნაკვალევზე (დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის იმერეთში მოგზაურობის მასალები)

ქართველი საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსისა და არქეოლოგის დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის იმერეთში მოგზაურობის მასალები, უაღრესად საინტერესო წყაროს წარმოადგენს და ძვირფასი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რამდენადაც, მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტრების, ფრესკების, იქ დაცული სიწმინდეებისა და სიგელ-გუჯრების დიდი ნაწილი განადგურდა, დაინგრა, პირვანდელი სახე დაჰკარგა, გაიძარცვა, ან საქართველოდან იქნა სხვადასხვა დროს გატანილი.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა 1848-1850 წლებში ფეხით შემოიარა საქართველოს არაერთი კუთხე, აღწერა და ჩაიწერა უამრავი მატერიალური, თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იქ არსებული სიძველეები და მათთან დაკავშირებული ლეგენდები, გადმოგვცა იმდროინდელი საზოგადოების გამოჩენილ მოღვაწეებთან შეხვედრათა დეტალები. შეკრებილ მასალებს იგი პეტერბურგში უგზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ცნობილ მეცნიერსა და ქართველოლოგს მარი ბროსეს, რომელიც, თავის მხრივ ამუშავებდა და აქვეყნებდა.

მელვინეთხუცესიშვილის მიერ აღწერილი მასალები საკმაოდ მოცულობითია. გარდა აღმოსავლეთ საქართველოში

მოგზაურობისა, რომელსაც ჩვენ ცალკე გამოკვლევები მივუძღვენით[1], ეხება იმერეთში, სამეგრელოში, ქვემო სვანეთსა და რაჭაში მოგზაურობას. ამჯერად მხოლოდ იმერეთში მოგზაურობაზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისათვის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი საფუძვლიანად ემზადება. საამისოდ მას გულდასმით შეუსწავლია ვახუშტი ბატონიშვილის „გეოგრაფია“ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა და სიძველეთა იმჟამინდელ ვითარებას ხშირად ვახუშტის ნაშრომს უდარებს, ბროსეს სთხოვს, რომ რუსულად თარგმნოს და გამოუგზავნოს გერმანელი მოგზაურის, კოხის[2], აღწერა, რათა მოგზაურობის თითოეულ დეტალში კარგად გაერკვეს[3]. მაგრამ იმ დროს, როდესაც მეღვინეთხუცესიშვილი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა, სამეცნიერო ლიტერატურა საქართველოს ამ რეგიონის შესახებ ძალზე ნაკლები და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისათვის ხელმიუწვდომელი იყო. მაგ., დიმიტრი, ბუნებრივია, არ იცნობდა ცნობილი ფრანგი დიპლომატისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ჩანაწერებს,

---

[1] იხ: ალიმბარაშვილი ი., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით), პროფ. ელდარ მამისთვალიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2015, გვ. 446-491; ალიმბარაშვილი ი., დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა ქვემო ქართლსა და სომხითში, ჟურნალი „ანალები“, №11, 2015, გვ. 333-368.

[2] იგულისხმება გერმანელი მეცნიერი და ბოტანიკოსი კარლ კოხი, რომელმაც XIX ს-ის 30-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში (იხ.: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981).

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, (შემდეგ: ხეც), მარი ბროსეს საარქივო ფონდი, წერილი №14.

რომელსაც დიმიტრის მოგზაურობამდე ჯერ კიდევ 25 წლით ადრე ჰქონდა პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემული[1]. დიმიტრი მხოლოდ გამბას ქალიშვილთან შეხვედრისას იგებს, რომ ასეთი აღწერილობა არსებობს[2].

მეღვინეთხუცესიშვილი გასაგებად და საინტერესოდ წერს, თუმცა მისი თხრობისათვის დამახასიათებელია არქაიზმები და ბარბარიზმები, მაგ.: „რაჲცა“, „ჩუჱნის“, „ეკკლესია“, „თჳთ“, „გარნა“, „აღ“ ზმნისწინი, „უეზდის ნაჩალნიკი“, „სტანცია“, „გუბერსკის სუდია“ და სხვ., რაც, მისი თანამედროვე ავტორების დიდი უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი.

საინტერესოა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის თხრობის სტილი. იგი ნანახი ძეგლებისა და სიძველეების მხოლოდ მშრალი აღწერით არ კმაყოფილდება და ხშირად მიმართავს როგორც ხალხში გავრცელებულ თქმულებებს, ლეგენდებსა და წეს-ჩვეულებებს, ისე მემატიანეთა თხზულებებს, მაგ.: საგანგებოდ ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას სიწმინდეებისადმი, რომელთაც „ორმეოცთა“ ეკლესიის ხილვისას დიმიტრისათვის უფლება არ მიუციათ ე. წ. „კოჭობების“ გახსნისა, რადგან „განცვიფრებით უარს ჰყოფდნენ და იტყოდნენ, რომელ ჩუჷნ გაგვიგონია, ვითომცა ამათში იყოს იმა ორმეოცთა წამებულთა ნაწილებიც, რაც ეს ეკკლესია აღშენებულა მას აქეთ მტერსაც ბევრჯელ უნახამს და ვერავის ხელი ვერ შეუხია, ვერც ჩუჷნ შეგვიძლიან

---

[1] გამბას ნაშრომი ქართულად მხოლოდ 1987 წელს ითარგმნა, იხ.: **ჟაკ ფრანსუა გამბა,** მოგზაურობა ამიერკავკასიაში, *ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987.*

[2] Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 113, შემდეგ: ИВР РАН., Н-78. იხ.: აქვე, შენიშვნა №17.

გავხსნათ და ვნახოთო“[1]. იგივე ხდება სავანის ეკლესიის აკლდამის გახსნასთან დაკავშირებით[2]. ასევე დიდ ადგილს უთმობს და დაწვრილებით გადმოგვცემს თავად დავით ჩხეიძის დაკრძალვის იმერულ ტრადიციას.

როგორც ჩანს, დიმიტრის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის მარშრუტი მარი ბროსეს რეკომენდაციით აქვს შედგენილი და იმის მიხედვითაა დაგეგმილი, რომლის ნახვა ვერ მოუსწრია, ან კითხვები გასჩენია ფრანგ ქართველოლოგს სამი წლის წინ იმერეთში მოგზაურობისას. მაგ., სოფ. ვარძიის მონახულების შემდეგ, დიმიტრი დაჟინებით ცდილობს და თანხასაც არ ზოგავს ნუნისის სანახვად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივებმა ამ სოფლის არსებობა არ იციან და ნუნისის ნაცვლად უბისაში მიჰყავთ, რომელიც ბროსეს უკვე ნანახი ჰქონდა. მართლაც, ფრანგი მეცნიერი წერილში დიმიტრის უკონკრეტებს, თუ რა უნდა ენახა საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეში: საჩინო, ამაღლება, ხონის მონასტერი, ტაბაკინის მონასტერი და გამოქვაბული, ნუნისი, კარაგეული (ხარაგაული?) და სხვ[3].

ბუნებრივია, მელვინეთხუცესიშვილმა უფროსი მეგობრის თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვა და, როგორც კი შესაბამისი ნებართვა მიიღო, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა.

დიმიტრის მიერ იმერეთში მოძიებულ მასალებს მარი ბროსეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და კმაყოფილებით აღნიშნავდა: „დიდად საქებია მოგზაურობა თქვენი, მეცადინეობითა და ჭკუითა თქვენითა ბევრი კარგი წარმოაჩინეთ და

[1] ИВР РАН., Н-78, გვ. 111.
[2] ИВР РАН., Н-78, გვ. 125.
[3] გაზ. „Кавказ”, 1850, №35, გვ. 2-4.

ღირსი ხსენებისა სამსახური მეცნიერებისათჳს გიჩვენებიათო“[1].

იმერეთში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მოგზაურობა 1850 წლის 17 მაისს იწყება და 21 ივლისამდე, ანუ 63 დღეს გრძელდება.

„ფოშტის გზაზე“, პირველი, რაც მის ყურადღებას იქცევს, მოლითის მარჯვნივ, მდ. ჩხერიმელას გაღმა, მაღლა კლდეზე დაქცეული ციხეა. თანმხლები აზნაურის - კაცია კიკნაძის გადმოცემით, ამ ციხეს „მწვერის ციხეს“ უწოდებდნენ და თავის დროზე იმერეთის მეფეთა საზაფხულო სადგომს წარმოადგენდა. თუმცა, აშენების თარიღისა და ამშენებლის შესახებ კაციასათვის ცნობილი არ ყოფილა. ციხის დასავლეთით დიმიტრის უნახავს თლილი ქვით ნაგები უგუმბათო ეკლესია, სადაც კანკელის წინ ჭერამდე აღმართული ყოფილა ხის „გაკოპიტებული“ ჯვარი. გადმოცემით, იგი მწყემსებს შეუქმნიათ ბერის წმ. გიორგის სახელზე მათი საქონლის მფარველობის მიზნით. ეკლესია უწარწერო და არაფრით გამორჩეული ყოფილა. შესაძლოა, ეს ფაქტი იმით იყო განპირობებული, რომ იგი ექვსი წლის წინ განუახლებიათ (ანუ, 1844 წელს – ი. ა.) ადგილობრივებს თვით კაცია კიკნაძის „თავმდგომობით“. დიმიტრის სურვილი ჰქონია ჯვრის ამოღების, მაგრამ მისი ძირი ვერ უპოვიათ. თუ მეღვინეთხუცესიშვილის მონაცემებს მეტრულ სისტემაზე გადავიყვანთ, ჯვრის სიმაღლე 12 მ. 80 სმ, ხოლო სიგანე დაახლ. 3 მეტრი ყოფილა.

18 მაისს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი მისულა ქუთაისში. ქუთაისის ეტიმოლოგიას იგი „ქვა-მთა-ისის“ ერთობლიობას უკავშირებს. ადგილობრივი მცხოვრების – კანდელა-

[1] ხეგ, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილი №16.

კის, იმერეთის მიტროპოლიტ დავითის, ბერძენი არქიმანდ-
რიტისა და დეკანოზ გამრეკელის (გამრეკელოვის) დახმარე-
ბით, დაუთვალიერებია ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობ-
ლის ტაძარი, გულისტკივილით აღწერს ტაძრის იმჟამინდელ
მდგომარეობას. დახეთქილ და ჩამოქცეულ კედლებს, რომლის
მიუხედავად, ტაძრის კარიბჭეში დავით მიტროპოლიტი წირ-
ვა-ლოცვას აღავლენდა. ტაძრის ჩრდილოეთის მხარეს, სარკ-
მლის ქვეშა წარწერის დასკვნით ნაწილში, ქორონიკონის
ადგილას დიმიტრის ამოუწერია ასოები, თუ ციფრები, რო-
მელსაც მარი ბროსესთან მოგვიანებით გაგზავნილ წერილში
გამორჩევით აღნიშნავს: „ჩუ(ნ) ვშინჯეთ ესენი სამ დღეს და
ყოვლის ღონისძიებით ვეცადენით გამოცნობასა, გარნა ნამდ-
ვილ ვერ მივხვდით და არცა ერთი ძველის წერილის ასლი
არა ემსგავსებია მას, ამისთვის ვთქვით უნდა იყოს ესე არა-
ბულიო“[1].

დიმიტრისთვის ალღოს არ უღალატია. თუმცა, 1850
წლის 30 იანვარს პეტერბურგიდან მოწერილ საპასუხო წე-
რილში მარი ბროსე ხსენებულ სიმბოლო-ნიშანთან დაკავში-
რებით მაინც ეჭვს გამოთქვამს, რადგან ვერისა და წვიმოე-
თის საყდრები თითქმის თანამედროვენი არიან ქუთათისის
საყდრისა და თუ ბაგრატის ტაძარზე წარწერა არაბულ
1003-ს უდრის, მსგავსი წარწერა ამ ტაძრებზეც უნდა ფიქ-
სირდებოდესო.

ქუთაისის ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით, 19 მა-
ისს არქიმანდრიტისა და რამდენიმე ადგილობრივი ჩინოვნი-
კის თანხლებით დიმიტრი გამგზავრებულა ქალაქგარეთ გეგუ-
თის ციხე-დარბაზის სანახავად. გზად მათ დახვედრიათ ორი

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 100-101. საუბარია ტაძრის 1003 წლის
საამშენებლო წარწერაზე.

იმერელი, რომელთაც მგზავრებისათვის „ლევან ნიკოლაიჩის“ მოკითხვა და მიწვევა გადაუციათ. იმავე იმერლების დახმარებით დაუთვალიერებიათ გეგუთის დაქცეული ციხე-დარბაზი და იქ არსებული უწარწერო ეკლესია. სოფ. გეგუთში დიმიტრი სტუმრად მიუწვევია ქუთაისის გუბერნიის პროკურორს ლევან ნიკოლოზის ძე ქარქიევს. მას მეღვინეთხუცესიშვილის საპატივსაცემოდ სადილი მოუწყვია, რომლის დასრულების შემდეგ გლეხებს გაუმართავთ „ბურთაობა“. მისი ნახვა „პირველ იყო ჩემთვისო“, – აღნიშნავს დიმიტრი[1].

27 მაისს ქუთაისის გუბერნიის მოსამართლე, თავადი მიხეილ თუმანიშვილი მეღვინეთხუცესიშვილს შეჰპირებია ქუთაისის „ღუბერსკი სუდში“ არსებული ძველი დოკუმენტების ჩვენებას. მეორე დღეს მას მართლაც უნახავს ეტრატზე ნაწერი ერთი ძველი დოკუმენტი, რომლის პირი გადმოუწერია. სიგელში იხსენიებიან „რანთა, აფხაზთა, სომეხთა, შაანშა და შარვანშა ტახტისა და სამეფოს აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის თვით მტკიცედ ფლობით მპყრობელი მეფეთა-მეფე დემეტრე, მისი ძე კონსტანტილე და მისი დედა-„პატრონი გულაშარ“, „მეფეთა-მეფე ბაგრატ“, „დედოფალთ-დედოფალი ელენე“ და დაწვრილებითაა გადმოცემული დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობისას მომხდარი ფაქტი, კერძოდ გალავნის (კედლის) გადანგრევის გამო, დავით აღმაშენებლის ფიზიკური დაზიანებისა და აქიმ ავშანდაძის მიერ მისი ირმის რძით განკურნების ამბავი, რის გამოც ავშანდაძისათვის მეფეს სკანდის, ყვირილას, ჩხარისა და მიმდებარე ტერიტორიები უწყალობებია. ხსენებული დოკუმენტი მოგვიანებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ფართო განხილვის საგანი გახდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიმიტრი მე-

[1] ხეც, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის საარქივო ფონდი №12.

ღვინეთხუცესიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელსაც ზემოხსენებული დოკუმენტის ტყავზე ნაწერი დედანი ჰქონდა ხელთ და მის მიერ გადმოწერილი ტექსტის სხვა მეცნიერების მიერ შესწავლილი ამავე დოკუმენტის ტექსტებთან შედარების საშუალებას იძლევა[1].

24 მაისს მეღვინეთუხუცესიშვილი შეხვედრია ქუთაისის მიტროპოლიტ დავითს, საქართველოს ეგზარქოს ისიდორესა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ახლოს იცნობდა. დიმიტრის მათთვის გაუმჟღავნებია სურვილი გურიაში გამგზავრებისა და იქაური სიძველეების ნახვის შესახებ, მაგრამ ეგზარქოსი ამ წინადადებაზე არ დასთანხმებია, რადგან იმჟამად გურიაში ორი-სამი კაცით სიარული გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული და სწორედ იმ ხანებში მოუკლავთ ავაზაკთა რაზმის ახალგაზრდა მეთაური.

მეორე დღეს დიმიტრის ეგზარქოსისგან მიუღია დასტური და მიწერილობა მღვდელთა და გამგებლებისადმი, რათა მკვლევრისათვის ხელი შეეწყოთ და ეკლესია-მონასტრების სიძველეები ეჩვენებინათ.

26 მაისს უნახავს მოწამეთას მონასტერი და წმინდა მოწამენის: დავითისა და კონსტანტინეს ნაწილები. ამოუწერია ოქროს პატარა სანაწილეზე არსებული ხუცური წარწერები, რომელთაგან ერთი ვარდან დადიანს ეკუთვნოდა, ხოლო მეორეში ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი, სოფრონ ერუშნელისძე სახელდებიან და ვინმე მიხეილის სულის სავედრებელია გადმოცემული.

მოწამეთადან მეღვინეთხუცესიშვილი მისულა გელათში. აქ უნახავს ქართველ მეფეთა გვირგვინები, სამღვდელთმთავ-

[1] იხ. აქვე, შენიშვნა 11.

რო შესამოსელი და დავით აღმაშენებლისეული ოქროს ბეჭედი თავის ასახდელი სანაწილეთი და წარწერით, რომელიც სამწუხაროდ დღეისათვის დაკარგულია[1]. მოუნახულებია მონასტრისათვის შეწირული დარუბანდიდან წამოღებული რკინის კარი და ამოუწერია დავით აღმაშენებლის ეპიტაფია.

27 მაისს საღამოს დაბრუნებულა ქუთაისში, მეორე დღეს გაუგრძელებია გზა ოდიშისაკენ, მოუვლია სუჯუნა, კულა, ხობი, მარტვილი, ზუგდიდი, ანაკლია, ყულევი, ნოქალაქევი და, ხონის გავლით, უკან 25 ივნისს დაბრუნებულა, ხოლო იქიდან - ვარციხეს გადასულა. აქ მას უნახავს ფრანგი კონსულისა და მოგზაურის ჟაკ ფრანსუა გამბას ქალიშვილი და მისი ხის დამამუშავებელი საამქრო, სადაც წყლით „ხერხავდნენ ხეს“. დიმიტრის მათგან შეუტყვია გამბას მიერ საქართველოს აღწერის შესახებ. მკვლევარი ვარციხეში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან ღირშესანიშნავი ვერაფერი უნახავს, გარდა ამაღლების ეკლესიაში ვერცხლის ძველი ხატისა, ასომთავრული წარწერებით, შოშიტა ერისთავისა და მისი თანამეცხედრის - მარეხის - მოსახსენიებლით, დათარიღებული 1613 წელს[2].

27 ივნისს მეღვინეთხუცესიშვილი მისულა საჩინოს, „უჩასტკის ნაჩალნიკ“ თავად ივანე მიქელაძესთან, რომელსაც სტუმრისათვის გაუყოლებია თანმხლები კაცი და ერთად მოუნახულებიათ ვანის სიძველეები. ჩიჟავაძეების მიერ თლილი ქვით ნაგები დიდი ეკლესია, „ბერძნული“ მოხატულობით, მაგრამ იმჟამად შეთეთრებული და უწარწერო, თუმცა ადგილობრივ მოხელეს მისულთათვის უჩვენებია ვერცხლის ბუდეში ჩასმული, ოქროს ვარაყით შემკობილი ძველი სახარება, ეტრატზე ნაწერი მხედრული წარწერით, რომლის მიხედვით,

---

[1] იხ. აქვე, შენიშვნა 16.

[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 112.

სახარება ტყვეობიდან დაუხსნია მეფის ძეს, აფხაზეთის კათალიკოს იოსებს და ვანის მთავარანგელოზისათვის შეუწირავს 1771 წელს, ხოლო ვერცხლის ბუდე შეუმკია ვახუშტი ჩიჯავაძესა და მის თანამეცხედრეს - მარეხ ღოღობერიძეს[1]. ეკლესიაში ყოფილა ვერცხლით შეჭედილი სამი ხატი, ერთი ისევ ვახუშტი ჩიჯავაძის წარწერით, ოღონდ მისი მეუღლე უკვე გარდაცვალებული ჩანს. მეორე წარწერის მიხედვით, ხატი მოუჭედვინებია ვახტანგ ჯანიშინს, მისი სიძის, ახლად გარდაცვალებული საზვერელ-ჩიჯავაძის სულის მოსახსენიებლად 1708 წლის 23 იანვარს. მესამე ასომთავრული წარწერის ავტორი ისევ ვახუშტი ჩიჯავაძეა, ამჯერად მის თანამეცხედრედ ანა ჭილაძე ჩანს.

მიქელაძის ოჯახში დიმიტრის უნახავს სამართლის წიგნი, რომელიღაც ჟამგულანიდან ამოწერილი და გადმოცემულია ბაგრატის ტაძრის ისტორია, დაწყებული ბაგრატ III-ის მიერ ტაძრის აშენებიდან - შაჰ ნავაზის ვაჟის - არჩილის მეფობისას ოსმალთაგან ტაძრის დანგრევამდე (1692 წ.)[2].

28 ივნისს მელვინეთხუცესიშვილს თანმხლებ პირთან ერთად მოუვლია ვანის მიდამოები და ნიკოლოზ ჩიჯავაძესთან სტუმრობისას მცირე ზომის ეკლესიაში უნახავს საკმაოდ ძველი, ვერცხლით შეჭედილი, ოქროთი დაფერილი და ლალის ოთხი ძვირფასი თვლით შემკული ხატი, ზომით 40X33 სმ., ვახუშტი ჩიჯავაძისა და მისი თანამეცხედრის - ანას მოსახსენიებლით. აქედან იგი მდ. ყვირილას მიმართულებით გაჰყოლია გზას და ტყიან და შემაღლებულ ადგილას (დიმიტრი აღნიშნავს, რომ იმ ადგილიდან მარტვილი მოსჩანდაო) მოუნახულებია თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია, რომელშიც დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭე-

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 114-115.

[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 112.

დილი წმ. გიორგის ხატი დაზიანებული ასომთავრული წარ-
წერით.

ვანიდან მკვლევარი უკან დაბრუნებულა ,,ყოვლით შემ-
კობილი" ადგილებით, ტყიანი მთებით და მცირე მდინარეე-
ბით, ყვირილა ნავით გადაულახავს და 30 ივნისს მისულა
ქუთაისში, ხოლო 2 ივლისს უკვე შორაპანში ყოფილა. მდ.
ძირულასა და ყვირილას შესართავთან უნახავს ,,ბევრის მნა-
ხველი და კლდეზე აღმართული შორაპნის ციხე, აწ დანგრე-
ული", საიდანაც მდ. ყვირილაში გვირაბი ჩადიოდა.

ძირულას გავლით გადაუვლია ,,ვაჟებად" წოდებული
სერები და სოფ. ილემში (დიმიტრი წერს - ილევს - ი. ა.)
აღუწერია თლილი ქვით ნაგები შემოქმედის მონასტერი, ძვე-
ლი მოხატულობით, გადმოუწერია წარწერები და, ისევ ხსე-
ნებული მდინარის გავლით, გარკვეული წინააღმდეგობების
შემდეგ, მისულა სოფ. წევაში. იქაც გადმოუწერია წმ. გიორ-
გის ეკლესიაში დაბრძანებული ხატების წარწერები, რომელ-
თაგან ერთის ავტორი ყოფილა სოლომონ I-ის თანამეცხედრე
,,დედოფალთ-დედოფალი" დადიანის ასული მარიამი, ძის –
ალექსანდრესა და ასულთა წმ. გიორგისადმი შესავედრებ-
ლით, დათარიღებული 1774 წლით. მეორე წარწერა ,,ფრი-
ად" ძველ ხატზეა შესრულებული. დაზიანების გამო დიმიტ-
რის მხოლოდ მისი ფრაგმენტების ამოწერა მოუხერხებია.
ისიც წმ. გიორგის სახელზე ყოფილა და ბეჟან სახლთუხუ-
ცესსა და მის თანამეცხედრეს, თინათინს, შეუწირავს ეკლე-
სიისათვის[1]. კიდევ ერთი ხატი, ვერცხლით დაფერილი, წარ-
წერის მიხედვით მოუჭედავს და ეკლესიისათვის შეუწირავს
ელიზბარ მაჭავარიანს და მის მეუღლეს - აბაშიძის ასულ
ანას - 1819 წელს. წევის ეკლესიის გარეგნული სახის შესა-

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 118.

ხებ მეღვინეთხუცესიშვილი მიუთითებს, რომ არის „უგუნბათო, სამხრეთით აწერია კლდის ქვაზედ: „ესე არს ბჭე უფლის, და მრავალნი შევლენ მას შინა“[1].

წევის სიონი მოხატული ყოფილა. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოუსახავთ ეკლესიის ქტიტორი - მაჭავარიანი. დიმიტრი იქვე აღწერს სიონის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიციას, რომელიც 15 ივლისს იმართებოდა. ამ დროს მლოცველებს ეკლესიაში არსებული ბუკით მოუწოდებდნენ მოსალოცად. შემდეგ მღვდელი იქვე დაბრძანებულ ბაირაღს დაამწყალობებდა და დღესასწაულიც იწყებოდა[2].

წევადან მოგზაურს სამხრეთით რამდენიმე ვერსი გაუვლია, მდ. ძირულა გადაულახავს და მისულა მაღლობზე მდგარ გალავანმორღვეულ ტაბაკინის ეკლესიაში, ძველი მხატვრობით, ქტიტორის - ქუთათელი გერასიმე ჩხეიძის წარწერითა და გამოსახულებით. ეკლესიაში დაბრძანებული ყოფილა ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ძალზე ძველი ხატი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი. ხატზე არსებული მხედრული წარწერის მიხედვით, ბოქაულთუხუცეს თეიმურაზ ჩხეიძეს „ძველთაგან დანაკარგი“ შორაპნის ციხე-ქალაქი მეფე ბაგრატის ბრძანებით „ჴრმლით დაუჭერია“ და, თანამეცხედრე თამართან ერთად, „ძველთაგან თათართა მიერ დალეწილი ხატი“ მურასა თვალ-მარგალიტით შეუმკია 1688 წელს[3].

წარწერების აღწერის პარალელურად, დიმიტრი დღიურში ეკლესიის მცირე ჩანახატსაც აკეთებს. ადგილობრივებს მისთვის უჩვენებიათ თლილი ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია, რომელიც, გადმოცემით, იმავე დაყუდებულ ბერს, ნი-

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 118.
[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 119.
[3] ИВР РАН, Н-78, გვ. 119.

კოლოზს, აუშენებია, ვისაც ტაბაკინის ეკლესია, რომლის შემდეგ იერუსალიმს გამგზავრებულა. იმჟამად მცირე ეკლესიის სენაკში უცხოვრია მოხუცებულ ბერს, მაკარს, რომლის მომვლელებად ქუთაისის მიტროპოლიტს განუწესებია ორი დიაკონი.

მეღვინეთხუცესიშვილს სვლა გაუგრძელებია სამხრეთით, გაუვლია აჯამურას ხევი, აღმოსავლეთით უკან მოუტოვებია სოფელი კინოთი და ,,სერებ-ვენახოვანი" გზითა და საკრაულას გავლით მისულა სოფელ ვარძიას. აღუწერია ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი, გალავან-მორღვეული, ირგვლივ შესანიშნავი ხედით. დღიურში გაუკეთებია ეკლესიის მცირე ჩანახატი და გადაუწერია ტაძრისა და იქ არსებული სიძველეების წარწერები. სამხრეთის სარკმელთან ყოფილა ტაძრის ამშენებელ ნოდარ ჩხეიძისა და მისი მეუღლის ტექსტნაკლული წარწერა. ეკლესიის შიგნით ჩანდა ძველი მოხატულობის კვალი. მკვლევარს იგი შეთეთრებული დახვედრია, რის გამოც არ გამორიცხავს, რომ სხვა წარწერებიც ყოფილიყო[1]. იქვე დაბრძანებული ყოფილა ,,ფრიად ძველი", ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი ღვთისმშობლის ხატი, სამკარედიანი, კარედებზე ვერცხლით ამოტვიფრულნი ყოფილან მთავარანგელოზები: მიქელ და გაბრიელი, ძნელად გასარკვევი ასომთავრული წარწერით. იქვე ყოფილა თვალ-მარგალიტით შემკული მეორე, შედარებით მცირე ზომის ხატი ასომთავრული დაზიანებული წარწერით, საიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ ხატი ,,მეფის ასულ თინათინს" შეუმკია[2] და ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი და თვალ-მარგალიტით შემკული, უწარწერო, ფრიად ძველი ხელობის. ადგილობრივებს დიმიტრისათვის ახლომდებარე ეკლესიაც უჩვენებიათ, მაგრამ

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 120.
[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 120.

იქ ღირშესანიშნავი ვერაფერი უპოვია. თვით ეკლესიაში მსახურებას ეწეოდა ბერძენი არქიმანდრიტი იოანე-ნიკოლოზი, ხოლო მღვდლები ადგილობრივები ყოფილან.

ეკლესიის სამრეკლოზე ყოფილა ვრცელი მხედრული წარწერა, რომლის მიხედვით, დარღვეული და „სრულად შემუსვრილი“ სამრეკლოს აღდგენა დაუწყია ნათლისმცემლის უდაბნოს მამაყოფილს და იმჟამად ვარძიის მონასტრის წინამძღვარს, ლიხთ-იმერეთის მეფის ძის ბატონიშვილის (იგულისხმება იმერეთის მეფის - სოლომონ I-ის (1752-1784 წწ.) ძე - ალექსანდრე - ი. ა.), კარის არქიმანდრიტს ნიკოლოზ ყიფიანს, რომელსაც, მას შემდეგ, რაც ქართლსა და იმერეთში „გალატოზი“ ვერ უშოვია, საკუთარი ხელით და მეზობლების დახმარებით თვით დაუწყია მშენებლობა 1777 წელს[1].

4 ივლისს მკვლევარი ისევ ჩრდილოეთით ნუნისის გზას დასდგომია. გადაულახავს ჩხერიმელა და საქარიის ქედისა და სოფ. იგორეთის გავლით გადასულა ლაშეში. თუმცა, მთელი დღის სიარულის შემდეგ, ნუნისის ნაცვლად მეგზურს დიმიტრი უბისაში მიუყვანია და, როდესაც ადგილობრივი მღვდლისათვის ნუნისის შესახებ უკითხავს, მას გაგონილიც არ ჰქონია ამ სოფლის არსებობა. სამაგიეროდ, იმავე მღვდლისაგან შეუტყვია, რომ სამი წლის წინ ბროსეს უნახავს უბისის ეკლესია და გაუშიფრავს მისი წარწერები. მიუხედავად ამისა, მეღვინეთხუცესიშვილს უბისა უნახავი არ დაუტოვია, სადაც გამორჩევით აღწერს დიდ ჯვარს, თვალმარგალიტით შემკულს, რომელსაც, რატომღაც, ხანჯალი ჰქონია შემორტყმული და ჩერქეზული ქუდიც ჰფარებია[2].

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 121.

[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 121.

ჯვრის გარდა, ტაძარში ასევე ყოფილა ვერცხლით შეჭედილი ხატები და ძველი პატარა სახარება. წარწერები დიმიტრის გადმოუწერია და იქაური მღვდლისა და მოხელისათვის უთხოვია, ისეთი მეგზური გაეყოლებინა, რომელიც ნუნისსა და საქართველოს სამხრეთ საზღვრებს დაათვალიერებინებდა, რის საფასურად ორმაგ გასამრჯელოს შეჰპირებია[1]. მათ მართლაც შეურჩევიათ ადგილმდებარეობის „მცოდნე“ მეგზური, მაგრამ პირველივე დღეს მოგზაურები უსიერ ტყეში მოხვედრილან და მხოლოდ დიდი წვალებისა და ძალისხმევის შედეგად უპოვიათ უკან დასაბრუნებელი გზა. უკანა გზაზე, ბედად, დიმიტრის ყანიდან მომავალი გლეხი უნახავს, რომლის დახმარებით მისულა ჭორვილაში. ის ღამე იქ გაუთენებია და მეორე დღეს გამგზავრებულა საჩხერეში, სადაც უმასპინძლიათ წერეთლებს. აქ გაუცვნია ალექსანდრე - პოლკოვნიკი, გვარდიის შტაბს-როტმისტრი, მისი ძმისწული ნესტორი, სვიმონ წერეთელი, მათი ბიძა გრიგოლი და სხვები, რომელთაც იმერული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლიათ ქართლელი სტუმრისათვის. ნესტორ წერეთლის ინიციატივით, მოუსმენიათ იქ მყოფი მომღერალი გურულებისათვის.

დიმიტრის მასპინძლებისათვის უთხოვია, ეჩვენებინათ საგვარეულო ძველი დოკუმენტები, რათა „კოპიოები“ გადაეღო, მაგრამ წერეთლების ყველა საგვარეულო საბუთი მიტროპოლიტ დავით წერეთელს ჰქონია წაღებული. აღმოჩნდა, რომ არც სხვა თავად-აზნაურებს ჰქონიათ შენახული წინაპართა ძველი სიგელ-გუჯრები. მეღვინეთხუცესიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს ეროვნული სიძველეებისადმი მოსახლეობის ასეთ ზერელე დამოკიდებულებას. ამ მხრივ ბედნიერი

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 121-V.

გამონაკლისი ყოფილა ის შემთხვევა, როდესაც სახლთუხუცეს წერეთლის ასულს - „კნეინა“ სალომე ანდრონიკოვისას დიმიტრისათვის უჩვენებია ვერცხლისა და ოქროთი დაფერილი ნახევარ არშინიანი (დაახლ. 0,35 სმ.) ჯვარი, რომელიც დროშის ტარზე ყოფილა მიმაგრებული, დავით აღმაშენებლის წარწერით და სიძველისაგან ძლივსღა განირჩეოდა, თუმცა მეღვინეთხუცესიშვილს მოუხერხებია მისი გადმოწერა[1].

13 ივლისს ბლაღოჩინ მღვდელს - ოქროპირს დიმიტრი წაუყვანია საჩხერიდან და უჩვენებია ჯრუჭის მონასტერი. ეტრატზე დაწერილი ძველი წიგნები, მათ შორის ძალზე ძველი, ასომთავრულით ნაწერი, დაქარაგმებული და 926 წლით დათარიღებული სახარება (ჯრუჭის ოთხთავი). დაუთვალიერებიათ ჯრუჭის მონასტრის განძი, თუმცა მეღვინეთხუცესიშვილი მის სახარებისდროინდელ თანადროულობასთან ეჭვს გამოთქვამს[2].

20 ივლისამდე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი რაჭაში მოგზაურობს, მაგრამ წვიმიანი ამინდების გამო, იძულებულია საჩხერეში დაბრუნდეს, უნახავს სავანის ეკლესია და აღუწერია მისი წარწერები. იქვე, ეკლესიის შიგნით, კანკელის მარჯვნივ, ძველ აკლდამაში შენახული ყოფილა ძველი ხატები, მაგრამ მისი გახსნასა და ნახვას ადგილობრივები ვერ ბედავდნენ და არც სტუმრისათვის მიუციათ ამის უფლება.

21 ივლისს კვლავ გაავდრებულა და უგზოობის პირობებში მეღვინეთხუცესიშვილს დიდი ძალისხმევა დასჭირვებია უკან დასაბრუნებლად: „გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი

---

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 122.
[2] ИВР РАН, Н-78, გვ. 123.

და ხევებიანი წვიმა-ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათ გაჭირვებით ჩამოველ სურამსო“, – აღნიშნავს იგი[1].

ამით მთავრდება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში. ადამიანი, რომელიც საკუთარი ხარჯითა და ინიციატივით, ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობდა ეროვნული სიძველეების შესწავლასა და გადარჩენას, ელემენტარული პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგებოდა. ეს პრობლემები განპირობებული იყო ზოგან მოსახლეობის ცრურწმენით გამოწვეული შიშით, ზოგან დაუდევრობით და ზოგანაც ბიუროკრატიული აპარატის უმოქმედობით. მას ხან მეგზური ეპარება გზიდან, ხან თანხას დახარბებული, უვიცი თანამგზავრი გზის გაგნებას ვერ ახერხებს, ხანაც ადგილობრივები სიძველეებს უმალავენ, რადგან, მათი ღრმა რწმენით, მათი გახსნა და უცხო თვალით ნახვა უბედურების მომტანია.

მეღვინეთხუცესიშვილი არაერთგან სწუხს, რომ ისეთ მეგზურს ვერ შოულობს, რომელმაც ადგილობრივი გზები კარგად იცის, მიუხედავად იმისა, რომ იმდროისათვის საკმაო დღიურ თანხას უხდის. მისი სურვილი, ქვეყნის სიძველეთა შესწავლის მიზნით, ბევრისათვის გაუგებარი და დროის ფუჭი ხარჯვა იყო. ეს გულისტკივილი მის დღიურებს ცხადად ატყვია: ,,ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამევლო დანაშთენნი ალაგები იმერეთისა, რათამცა მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობრ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ქალაქებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 125.

ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით და ჩვენ საქმეს მოვცდებითო. ამის გამო იძულებულ ვიყავი გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობაო“[1].

იმერეთის შემდეგ, დიმიტრის აჭარაში გამგზავრების სურვილი ჰქონია, მაგრამ თანხისა და შესაბმისი ნებართვის უქონლობის გამო, იძულებული გამხდარა გორში დაბრუნებულიყო.

ჩვენი აზრით, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ჩანაწერები მნიშვნელოვანი მასალაა საქართველოს სიძველეებისა და მემკვიდრეობის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღწერილი ეკლესია-მონასტერთა და სიგელ-გუჯართა წარწერები მოგვიანებით სხვა მეცნიერებმაც (დიმიტრი ბაქრაძემ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვ.) გამოაქვეყნეს, ჯერ ერთი მეღვინეთხუცესიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ეს მასალა. მეორე, მას ხელთ ჰქონდა აღწერილი სიგელ-გუჯრების დედნები და, მესამე, იგი აღწერს ეკლესია-მონასტრებისა და იქ დაცული სიწმინდეების იმდროინდელ ბუნებრივ მდგომარეობას, ისინი, შედარების თვალსაზრისით, უაღრესად საჭირო ინფორმაციის შემცველია, ამიტომ დანართის სახით ვურთავთ.

[1] ИВР РАН, Н-78, გვ. 124.

„მოგზაურობა და მოხილვა იმერეთისა“ (ტექსტი)

17 მაისს 1850 წელსა ვიწყე სიარული ფოშტის გზით იმერეთს და მიმავალმან მოლითის[1] ფოშტის სტანციიდამ ვნახე მარჯვნივ მაღალსა კლდესა მცირე მდინარისა ჩქერიმელას გაღმა ციხე დაქცეული, მას შინა არა ვითარმე ღირსი შესანიშნავი არა იყორა, ჩემთან მყოფმა კაციამ სთქვა: როგორც მე გამიგონია ძველადვე, ეს ციხე იყო იმერთა მეფეთა საზაფხულოთ სამყოფი და სიმაგრე სამზღვრისა, ამას უწოდებენ ხარაგეულის მწვერის ციხეს და ვინ აღაშენა არ ვიციო. ამის დასავლითს რამდენსავე ვერსზედ სდგა მცირე ეკლესია უგუნბათო თლილი ქვისა, ეკკლესიაში კანკელ წინ მარცხნივ არის ამართული ჭერამდე ჯვარი ხისა გაკოპიტებული, რომლისთვისაც მოუთხრობენ „ოდესმე მცირე წლოვანთა მწყემსთა შეჰქმნეს ჯვარი ხისაგან ბერის წმინდის გიორგის სახელსა ზედა და დაასვენეს აქ რათამცა ძალმან მისმან დაიცვას საქონელი მათი უვნებელ და უკლებელ ხოლო თვით წარვიდნენ თავთავის სახლში, მეორე დღეს იხილეს რა მათ საქონელი თვისი მრთლად, განცვიფრებულთა მათ ყრმათა მიიღეს ეს სასწაულად და დღედმდე ყოველთა იმერთა აქვსთ მაზედ დიდი სასოებაÎ, რომელზედაცა ძნელად გაბედავს ვინმე ფიცსა. ამა ეკკლესიასა ზედა არცა გარეთ არცა შიგნით წარწერილობა არა რაÎ არს [100].

ეკკლესია ესე არს გაახლებული ექვსის წლის წინათ, რომლისა აღშენებაზედ კაციამ სთქვა მე ვიყავ ამაზე თავმდგომიო და მაშინ დიდათ მსურდა ამომეღო ეს ჯვარი მოვთხარე მიწა და ძირი ვერ უპოვნეო, კაციას სიტყვით სჩანს ჯვარი უნდა იყოს სიმაღლით ექვსი საჟენი[2] მეტი ოთხკუთხივ გათლილი და სიგანე ოთხი ხუთი არშინი[3]. აქედამ გარე

ფოშტისავე გზით მიველ ქალაქსა ქუთაისს (მინაწერი: „კაცია აზნაური კიკნაძე“).

18 მაისს დავიარე ახალი და ძველი ქალაქი ქუთაისი. პირველ მდინარისა რიონ გამოღმა დაბალსა ვაკესა ზედა, მეორე რიონ გადაღმა მაღალსა ქვიან მთასა ზედა, რომელსა მიუღია სახელი ვითარცა იტყვიან სამთა სიტყვათაგან ქვა მთა ისი. ხოლო ძველთა წერილთა შინა სახელ სდევს ქუთათისი და ჟამთა ცვლილებისა გამო შემოკლებით უწოდებენ აწ ქუთაისი. ძველს ნაქალაქევს მაღლა მშვენიერსა ალაგსა ზედა სდგა დიდი და შერყეული ეკკლესია ყოვლად წმინდისა მღთის მშობლისა და სცხოვრებს (ეს სიტყვა ჩამატებულია – ი. ა.) მიტროპოლიტი იმერეთისა დავით[4] კრებითურთ თÕსით, ტაძარი ესე მაჩვენეს მე აქაურმა კანდელაკმა, ბერძნის არხიმანდრიტმა და დეკანოზმა გამრეკელოვმა, ჩუÇნ შემოუარეთ ამა ტაძარსა გარს და დიდ ხანს ვშინჯავდით ყოველსავე სიძველესა მისსა თვალდაკვირვებით, ტაძარსა სრულად ცა დაქცეული და კედლები დახეთქილი ეგრეთვე გალავან და სხვა შენობა მისი, მარჯვნივ კარიბჭე არს გაახლებული სადაცა მისი ყ˜დ უსამღვდელოესობა მიტროპოლიტი დავით და სხვანი სამღვდელონი გარდახდიან წირვალოცვათა, მარცხნივ ჩრდილოეთის მხარეს ფანჯარას ქვეშე ქვასა ზედა ნაწერის დასასრულს ქორონიკონს ალაგს ამოჭრილი ასოებია ესე ᲩᲩᲨ ჩუÇნ ვშინჯეთ ესენი **[100-V]**.

სამს დღეს და ყოველს ღონისძიებით ვეცადენით გამოცნობასა, გარნა ნამდვილ ვერ მივხვდით და არცა ერთი ძველი წერილის ასლი არ ემსგავსება მათ, ამისთვის ვსთქვით, უნდა იყოს ესე არაბული.

19 მაისს გამოვცხადდი აქაურს გუბერნატორთან[5], რომელმაც მოახდინა განკარგულება მომეცეს მე შემწეობები და 21 მაისთვის ვიცეგუბერნატორი სახლობით, რამდენიმე ჩინო-

ვნიკნი აქაურნი და მე წავედით ქალაქს გარეთ რიონ გაღმა ციხე დარბაზის სანახავათ. ჩუÇნ გავიარეთ ვაკე გზით შვიდიოდ ვერსი და გზაზედ დაგვხვდნენ ორნი იმერელნი მოსამსახურენი, რომელთაც დაგვინახეს რა, გადიხლათეს ფეხები გადიძრეს ფაფანიკები და მძიმეთ თავის დაკვრით გვეტყოდნენ: ლევან ნიკოლაიჩმა თავი დაგიკრათ შეკაცო. გადმოდგნენ წინ ეგრეთვე თავის დაკვრით და გვითხრეს: ლევან ნიკოლაიჩმა მოკითხვა მოგახსენათ შეკაცო, კიდევ წამოდგნენ თავის დაკვრით და სთქვეს: ლევან ნიკოლაიჩმა ბოდიში მოითხოვა თქუÇნთან აქანამდე აქანას გელოდით, ცოტა უძლებ შეიქნა და შინ გიახლათ შეკაცო. ეს იმერლები გაგვიძღვნენ და ვნახეთ ციხე-დარბაზი. იგი სდგა მშვენიერ ვაკესა ზედა შენობა მისი აგურისა შეიცავს საკმაო სივრცესა, აქვე არს ეკკლესია პატარა რომელთა ზედაცა არა რაÎმე წარწერილობა არცა სხვა შესანიშნავი თÕნიერ ციხე დარბაზის მაღალს გუნბეთს მეტი არა იყორა, შენობა სრულიად დაქცეულია [101]. აქედამ მივედით სოფელს გეგუთს უფალს ქუთაისის ღუბერსკის პროკურორთან ლევან ნიკოლაიჩ ქარქიევთან[6], რომელიც მიგველოდა ჩუÇნ სადილათ და წინამძღოლნიცა ჩუÇننი იყვნენ მოსამსახურენი მისნი, იმ დღეს გვქონდა ლაპარაკი ციხე-დარბაზზე, ლევან ნიკოლაიჩმა სთქვა: ეს ციხე-დარბაზი როგორც გამიგონიაო ყოფილა მეფეთა ზამთარი სადგური, ზოგნი იტყვიანო ვითამცა თურქთა აღეშენებინოსთ 51 მეფის გიორგის დროს[7]. მე მოვესწარ კიდევ რამდენსამე შენობასა მისსა მრთელსაო და 1815 წელსა იმერეთის მმართველმან ღენერალმან ხათუნცოვმან დააქცევინა და თლილი ქვები ქუთაის სახლებს მოახმარაო[8]. სადილ შემდგომ წავედით იმავე გზით და მოვედით კვალადვე ქუთაისს.

22 მაისს ვნახე ქუთაისის გუბერსკის სუდია თავადი მიხეილ თუმანოვ[9] რომელმაცა აღმითქვა გაშინჯვა რაÎცა

ქუთაისის ღუბერსკის სუდში ძველი დოკუმენტები არის, დღე ამასთან ვიყავ სადილათ და ესე მეტყოდა სხვათა შორის: ძველის წერილებს და ჩვეულებასა ნახამო ფ˜დ მცირესღა ისევ სოფლებში თავადებისას, მე დიდათ მსურდა მენახა ძველებურად ჩაცმულნი კაცნი და ქალნი იმერეთის თავადაზნაურნი და ქცევა მათნი უწინდელნი. გარნა ქუთაისში ძველებურად აღარავინ სცხოვრობს.

მეორე დღეს გავშინჯე სუდის არხივის დოკუმენტები და ძველი არა იყორა ამის მეტი, ეტრატზედ დაწერილი, რომლისა პირი გადმოვწერე ესრედ: ,,მეფემან ღვთივ გვირგვინოსანმან ღვთივ აღმაღლებულმან ღვთივ დამყარებულმან ძლევა უძლეველმან იესიან [101-V] დავითიან პანკრატონან სოლომონიან რანთა, აფხაზთა, სომეხთა მეფეთა შანშე: და შანშე[10]: ამა ორისა ტახტისა და სამეფოს აღმოსავლეთის ვიდრე დასავლეთამდის თ0თ მთელ ფლობით მპყრობელისა ქრისტეს ღმრთის მიერ სულ კურთხეულისა მეფეთ მეფისა დემეტრესი ძემან პატრონის აღმაშენებელმან კონსტანტილე და დედამან ჩემმან პატრონმან გულაშარ ესე მტკიცე უქცეველი, უცვალებელი და დაუდებელი და მიზეზ შემოუტანელი და სული წმინდისა ჩუენ ღმრთივ გვირგვინოსანმან ძლიემან და უძლეველმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებით ღმრთისათა; აბხაზთა, ქართველთა კახთა და სომეხთა მეფისა იესიან დავითიან ბრძნითა სოლომონიან შანშე და შარვანშე ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა და ჩრდილოეთისა სახელმწიფოსა მპყრობელმან: კულად მისი სულ კურთხეულისა მეფეთ მეფისა ბაგრატისა დედოფალთა დედოფალმან ელენე მოსდეგი ჩვენსა კარზედან თქუÇნ ჩვენი ერთგული და ერთგულად მოსამსახურე ჩუÇნი მკვიდრი: ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარის კაცი დიდათ ნამსახური მეფისა როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავანი დაღმა

გარდავარდა სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს მაშინღა სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველას [102] უკანის ბოლოსა მან ასრე სთქვა თუ (...) ირმის რძეშიგან დავაწვენთ არა ეშველებაო. ქნეს მკითხველთ შეღონდეს წარმოდგა კაცი რქვა ავშანდაძესა უთქსთო თორმეტ ფური ირემი მეწველო სხუა ქუეყანაზედდან არ იშოებაო და მიიღო ავშანდაძემან იპრიანა ღმერთმა დარჩა აღმაშენებელი: შეგიწყალენით ავშანდაძენი არჯევან სკანდას დაღმა და გოგს დაღმა სადა ძევარისა წყალი შეერთვის ყვირილასა ფისისანს და ჩხარის მას დაღმასა ტყის მცველი წყალობად მოგვიცემია ავშანდაძისათÕს მასუკანა და გვეაჯენით რათამცა თქუÇნი ძველი სიგელი გაგიახლეთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო თქუÇნი და მომავალთა ყოველთავე ჩვენ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე შეგიწყალეთ და გიბოძეთ მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი მოკითხულ ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლეონ მეფისაგან აწე ჩვენცა გაგიახლეთ და დაგიმკვიდრეთ რომე ვისცა შერისხდეს ღმერთი და ეშმაკისა ბირებითა სცათეს და თქუÇნი გვარისა კაცი მოკლას და შეაკვდეს ესე ორასი ათასი ძველი თეთრი ბოტინაური თეთრი სანახშირე დაგეურვოს სანახშიროდ და შესამყრელოდ ორმოცჯერ ათი ათას სულის სისხლი დაგეურვოს ვინცა თქუÇნსა გვარისა კაცსა წაუღოს და გინდა (...) ამა სისხლისა ნახევარი დაეურვოს თუ თავნი თავსა სასახლესა ზედან დაგესხას იგივე დაგეუროს სისხლისა აგრევე თუ ვინმე [102-V] შენითა სასაძოვართა გინა ყანითა გინდა ვენახითა სადაცა თქვენი სამძღვარი მიწევდეს რასა გინდა პირობისათÕს თქუÇნისა სახლისა პირუტყვი გინა ცხენი გინდა ხარი გინდა რაფერი რაცა პირუტყვი სახლისა მეოთხედი დაგეუროს აგრეთვე ვინცა შენისა გვარისა გვარის კაცი შეკოდოს

რაგვარათაცა ძველთაგან წესია დღეს გასჩენია მით წესითა დაგეუროს და გაქონდეს მტკიცე ესე სიგელი თქუჷნი ავშანდაძეთა არჯევანს თქუჷნთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე მას შინა როდეს მოგვიდეგით ჩვენსა კარსა ზედან და გვიაჯენით და გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი ორასი ათასი ჩველი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი, თორმეტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო. ერთი ჩექმა ყელი ატლასის ფერფლი. მოკითხული ვქენით და ძველადაც ასრე იყო თქუჷნი სისხლი და განჩენილი და აწ ჩვენცა დაგიმკვიდრეთ აგრეთვე დაგიმტკიცეთ შერისხდეს ღმერთი და შენსა გვარისა კაცი შეაკვდეს და მოკლას დასცთეს ეშმაკის ბირებითა, ისე ორასი ათასი ძველი ცხუმური თეთრი დაგეუროს უსაფროდ და შესამუსელად აგრეთვე ვინცა თქუჷნისა კაცსა ცოლი წაუღოს და გინა (...) ამა სისხლისა [103] ნახევარი დაეუროს აგრეთვე ვინცა თქვენსა სასახლესა ზედა დაგესხას იგივე ნახევარი სისხლის სანახევრო დაგეუროს და თუ ვინმე სასახლე გაგიტეხოს ესევე ნახევარი სახლი დაგეუროს შენსა სასძოვრით გინა ყანითაგინა ვენახით და გინდათ სადაცა თქვენი საზღვარი მიაწევდეს რა გინდარა პირობისათვის წაიყვანს გინა ცხენი გინა ხარი გინდარა პირუტყვი ესევე სისხლი დაგეუროს მეოთხედი გაქვნდეს სიგელი ესე მტკიცე და უცვალებელი ამიერ და უკუნისამდე ავშანდაძეთა ახალბედსა გიორგის გვართა და მომავალთა თქვენთა ყოველთა ამისნი მოწამენი არიან დიდებულნი ერისთავნი, ვაზირნი კარისა ჩვენისანი კათალიკოსნი აფხაზეთისა და საქართველოსა აზნაურნი უზედაესნი და უქვედაესნი მესტუმრენი და მოლარენი იასაულთა უხუცესნი და მესაწოლენი მეაბჯრენი გამგებელნი მეღვინენი ფარეშნი მენაღარენი მესაკლავენი მეაბჯრენი ყოველნივე მოხელენი კარისა ჩვენისა წარმავალნი და მომავალ-

ნი ნუ ვინ მოშლით ჩემსა ბძანებასა ნებითა მღვთისათა დაიწერა სიგელი ესე ქრონიკონს ას ორმოცსა და ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეათესა ხელითა დაიწერა მთავარეპისკოპოზისა დავითისათა.

ალექსანდრე[11] (ხელრთვა, იხ. ფოტო № 1) **[103-V].**



ფოტო №1

ექსარქოსმა[12] მიბძანა გურიაში ამ ჟამად სიარული შენთვის ძნელია, რადგანაც იქ ავაზაკნი გამრავლებულნი არიანო და სხვანი მიშლიდნენ გურიას წასვლას, არ შეიძლება ორისა და სამის კაცით იქ თავისუფლად სიარული. წარსულს დღეებში მოეკლათ ერთი ყმაწვილი კაცი კაპიტანი ავაზაკთა, რომელნიცა არიან გაცვივნილი გურიელნი და ქობულეთის თათრები[13] ას კაცამდე, მეორე დღეს მივიღე მიტროპოლიტისაგან მიწერილობა მისი მღვდელთა და განმგებელთადმი ეკლესია-მონასტერთა, რომელ მაჩვენონ მათ ვითარცა ეკკლესიები და მონასტრები ეგრეთვე ყოველივე (მასში) განძეულობა და სხვანი.

26 მაისს ქუთაისიდამ მიმავალმან ვნახე მარჯვნი პატარა მონასტერი მოწამეთა სადამცა კუბოში ზეზედ აწყვია ძვლები წმინდათა დავით და კონსტანტინესი[14]. აქავ არის პატარა სანაწილე ოქროსი, რომელსაც აწერია ხუცურად:

„ღმერთო რომელმან ივნე ჯვარზედა უვნებელმან და წმინდანი შენნი ადიდენ მეცა ვარდან დადიანისა მფარველ მექმენ“.

ჯვარზედან სწერია ოთხს რკალს შუა ხუცურად (იხ: ფოტო № 2):



ფოტო №2

(„ქრისტე ადიდე ბაგრატ აბხაზთა მეფე და ნოველისიმოსი, ქრისტე შეიწყალე სოფრონ ერუშნელიძე ქველისაი, ქრისტე განუსვენე სულსა მიხეილის)

აქედამ წასულმან ვნახე გელათის ეკკლესია დიდი და მშვენიერი თლილის ქვისა, რომელიც სდგა პირის პირ ქუთაისის დაქცეულის დიდი ტაძრისა[15] **[104]**.

გელათის ეკკლესიაში ვნახე სხუათა შორის მეფის გვირგვინები, სამღვდელმთავრო შესამოსნი და ფოსტლები ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკობილი და კიდევ ბეჭედი დავით აღმაშენებლისა ოქროსი რომელიც ჰქონია თითზედ და თვლის ალაგას ასახდელი ფრიად პატარა ბუდე ნაწილისა ზედ იყო სახე რომელსამე წმინდანისა გამოსახული გარნა სიძველისაგან არღა განირჩეოდა არცა სახე ცხოვლად არცა ნაწერი[16]. გარეთ სადაცა ყოფილა პატარა ეკკლესია და აწ აყუდია დარუბანდიდამ მოტანილი რკინის კარები იქ მაჩვენეს საფლავი დავით აღმაშენებლისა, საფლავის ქვაზედ სწერია გადაცვეთილი ესრედ (ფოტო №3):



ფოტო №3

საღამოზედ მიველ კვალადვე ქუთაის. მეორე დღეს ვნახე ქუთაისის ღუბერნატორი ბელიავსკი და ვიწყე იმავე დღეს 27 სიარული ფოშტის გზით ოდიშის მხრით *.

...26 ივნის ქუთაისიდამ ვიწყე სიარული თხუთმეტ ვერსამდე თხელ ტყიან გზაზედ რიონ გამოღმა და მიველ ვარციხის ძირ, აქ გაველ ნავით ყვირილაში, შემდგომ მიველ ვარციხეს ორს ვერსზედ მოშორებით, სადაცა სცხოვრობს Ფრანცუზის გამბას ქალი და მუშაობენ სხუა და სხუა საქმეს, ხერხავენ წყლით ხესაც, ამთ მიანბეს ვითომცა Ფრანცუზს გამბას აღეწეროს დაწვლილებით ბუნებითს ენასა დედა აქაური მხარე და საჩინო[17]. მე ვნახე მაღლობზედ ვარდციხე გალავანშემორტყმული ვრცელი ალაგი გატყევებული გალავანში სდგა პატარა ეკკლესია შერყეული და სხუა შენობა სრულიად დაქცეულია აქა არ ვითარიმე ღირსი შესანიშნავი ანუ წარწერილობა არა იყორა. აქედამ წავიყვანე კაცი და გავიარეთ ათ ვერსამდე გზა, რომლის ორივე მხარეს იყო ველები და ტყე, ჩუ̣ნ მივედით ამაღლებას. აქა ვნახე ეკკლესია ამაღლებისა აგურით სადათ ნაშენი სიონი სივრცით საშუალ გარემო ტყიანს ალაგას შიგან ასვენია ხატი მოჭედილი, სიგრძით ორი არშინი და სამი ვერშოკი, სიგანით ერთი არშინი და სამი ვერშოკი[18], ვერცხლზედ არის გამოყვანილი ცხოვლად თორმეტი საუფლო, ძირ უწერია გადაცვეთილის ასოებით ესრედ (იხ: ფოტო № 4) **[113]**:

---

* 104-112 გვერდები ეხება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ოდიშში მოგზაურობას, ამიტომ შეგნებულად ვტოვებთ.



ფოტო №4

აქა მიმიღო თავადმა ერისთავის შვილმან და მეორე დღეს 27 ივნის გავიარე თოთხმეტი ვერსი მეტი თუ ნაკლებ თხელ ტყიანი ტყიანი გზა და მინდორი, შემდგომ მიველ საჩინოს უჩასტკის ნაჩალნიკთან თავად ივანე როსტომის ძე მიქელაძესთან[19], ამან გამაყოლა თავისი კაცი და ვნახე სოფელსა ეკკლესია დიდი თლილი ქვისა საწინამძღვრო, რომელიც [113-V] ყოფილა მთლად ნახატი ბერძნულის მხატვრობით და აწ გათეთრებული უბრალოთ, მარცხნივ მიდგმულ სამწირველოში დღესაც ცხოვლად ჰსჩანს ჩივჟავაძეთა სახე, აქაურნი მღვდელნი და წინამძღვარნი მეტყოდნენ: ეს ეკკლესია აღეშენებინოთ ამათ ჩივჟავაძეებთა მთავარ ანგელოზის სახელზედ და სოფელიცა ესე ვანი ეკუთვნით ჩივჟავაძეთ. ამ ეკკლესიაზედ არა ვითარომე წარწერილობა არა მინახამს რა. განმგებელმან მაჩვენა ძველი სახარება ეტრატზედ დაწერილი, მშვენიერის მხატვრობით, რომელიც ზის ვერცხლის ბუდეში და თ̾ით ოქროს ვარაყით შემკობილია – სიგრძით შვიდი ვერშოკი და სიგანით ხუთი ვერშოკი[20], ამ სახარების ბოლოს პირველ ფურცლად სწერია მხედრულის ასოებით ესრედ[21]:

,,ქ. ჩუენ აფხაზეთის კათოლიკოზმან და მეფის ძემან იოსებ[22] დავიხსენით წმინდა ესე სახარება და გამოვკითხეთ და საჩინოს ვანს მთავარ ანგელოზის ეკკლესიის შეწირულ ყოფი-

ლიყო პირველ და ეხლა ისევ ეს ჩემი ნაყიდი სახარება საჩინოს ვანს მთავარ ანგელოზის ეკკლესიისათÕს შემიწირავს ორი ვერცხლის კუბოთი და მისის ვერცხლის ძეწკვით შემკობილი ხორცთა ჩემთა სასიმრთელოთ და სულისა ჩემის საოხად ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს მოწმობით და ვინც ესე [114] ჩემი ნაყიდი იმ ეკკლესიას გამოსწიროს შეჩვენებულ იყოს ამინ. დაიწერა ქორონიკონსა ქ˜ეს აქეთ ათას შვიდას სამოცდა თერთმეტსა და თვესა მაისს იბ. მე არხი დიაკონს ეფთვიმეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. **მეფის ძე იოსებ.** ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე განვამტკიცებ ვინცა გამოსწიროს შეჩვენებულ იყოს ამინ **ადგ. ბეჭდ.**

უკანასკნელს ფურცელზედ სწერია დაჯღაბნილის და ძნელს წასაკითხის ასოებით:

ქ. შემოსწირა წმინდა ესე ოთხთავი პატრონმან ...ამან ჩვენ სა...როსა და მრთელთა პირველ ხატისა მაცხოვარისასა და წმინდისა გ˜ი დღესა ნიკოლოზს სააღაპედ მისისა მეუღლისა ბექასა შალვა არტანუჯელისა შვილისათÕს და მისთÕს და ჩვენ გაუჩინეთ აღაპი ქრისტეს შობისა წინა კვირიაკეს დღესა გარნა ხვდებოდეს ტრაპეზით კარგი და საპატიო სრული და დაუკლებელი აღაპი და რაოდენიცა მღვდელნი იყვნენ ჟამსა უწირვიდნენ პატრონსა ბექას და მის მეუღლე ყოფილსა ნათანიბოს და ნუ დააკლებენ წირვასა ზედა მღვდელნი და მწირნი და ილოცვიდნენ შენდობითა მოიხსენიებდნენ და ვინცა დააკლოს და უგულებელს ყოს იყვნენ კრულ წყეული და შეჩვენებული და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და დაამტკიცეს ამინ [114-V].

ქ. ესე სახარება მე იოანე უღირსმან სიყრმიდგან და მლოცველმან წმინდის დედოფლის თამარისამან ვიყოფილე წერით ქალაქსა კონსტანტინოპოლს ოდეს ვიყავით ყოველნი.

ვერცხლის ბუდეზედ სწერია მხედრულის ასოებით:

ქ. გეხვეწებით ჩუÇნ ცოდვილი ესე ჩიჯავაძე ვახუშტი და თანა მეცხედრე ჩუÇნი ღოღობერიძის ქალი მარეხა თქუÇნ შემიბრალეთ და შემწყნარებელთა მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს ძველადვე თვენთა სახლთაგანვე მოჭედილი ბრძანებულხართ ჟამთა გამოსვლისაგან დარყეულ ხართ სხმეფ გასაკეთებლად ხელი არ შეგემართოდათ და სხვა ვერა გავბედეთ აწ მადლსა თქუÇნისათÔს მას გრძელსა საუკუნოს ცოდვილსა სულსა ჩვენსა შეეწიე.

ეკკლესიაში ასვენია სამი ვერცხლით მოჭედილი ხატი, პირველია სიგრძით 15 ვერშოკი და სიგანით $9^1/_2$ ვერშოკი[23], რომელზედაც სწერია მხედრულის ასოებით:

„მოვაჭედინე ხატი ესე ზეშთა ნათელი თვალი შეუდგარის ღ˜თ მთვარისა წინაშე მდგომარის ძალითა და ბრძანებათა ღთისა წამის ყოფითა აღმასრულებლის დიდისა უხორცოთა ძალთა მთავრის მიქაილისა [115] მე ფ˜დ ცოდვილმან ჩიჯავაძემან ვახუშტი[24] სულისა ჩემისა და ახალ მიცვალებულის მეუღლის ჩემის ღოღაბერიძისა ასულის მარეხის სალხინებლად და ძეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ.

მეორე ხატზე სწერია მხედრულის ასოებით რომელიც არის ოქროთი დაფერილი მთავარ ანგელოზისა სიგრძით 12 ვერშოკი და განით $9^1/_2$ ვერშოკი[25].

ქ. ჩვენ საქართველოს ჯანიშინმა ბატონისშვილმა ვახტანგ მოვაჭედინეთ ხატი ესე მას ჟამსა ოდეს სულკურთხეული სიძე ჩვენი ჩიძავაძე საზვერელ[26] მიიცვალა ეს ხატი მათი სასაკლაოს მათი სულისა საოხად და სახსრად მიგვიჭედინებია ქკს აქეთ ჩღÇ თვესა იანვარსა კგ[27].

დიდ ხატზე, რომელიც არის ფდ ძველი სიგრძით ერთი არშინი და ცამეტნახევარი ვერშოკი, სიგანით არშინი და

ერთნახევარი ვერშოკი[28] თორმეტი საუფლოს ზედა სწერია გაცვეთილის ასოებით (ფოტო № 5):



ფოტო №5

დასავლეთის მხარეს ამ ეკკლესიის კარიბჭეში მარცხნივ კედელში არის ჩასმული მარმარილო გამოკვეთილი ცხოვლად მდგომიარე წ˜და გიორგი, რომელზედაცა ძირს სწერია (იხ: ფოტო № 6):



ფოტო №6

ამ ეკკლესიას უკეთებენ თლილის ქვის სამრეკლოს დასავლეთის მხარეს. თ˜ით ეკკლესია არის უგუნბათო ძველი და დაქცეული გალავან შემორტყმული დაბლობში. აქედამ მიველ კვალადვე მიქელაძისას, იმ ღამეს თ˜ მიქელაძემ მაჩვენა ეს მე ამოვწერეო, სამართლის წიგნი, რომელშიაც უწერია ჟამ გულოვანიდამ ამოწერილი ესე:

„ქუთაისის ძველი ეკკლესია აღშენებულ არს მეფის ბაგრატ კურატ პალატისაგან, რომელიც იყო პაპა დავით აღმაშენებლისა ქრისტეს აქეთ ჩმივ წელსა[29] და და დარღვეულ არს ოსმალთაგან ჩქჟბ წელსა შ˜ა მეფობასა შანაოზ

ქართველთ მეფის ძის არჩილის მეფობისასა, რომელსაცა აქვს ამ საყდარს სიგრძე 20 ოცი საჟენი და განი თექვსმეტი[30]. გარდა კარიპჭეთა და სხვათა შენობათა ამ ეკკლესიას შიგნით ჰქონია სვეტები თეთრისა, წითლისა და სხუათა ფერთა ჭრელს მარმარილოსი, რომელიცა წაუღიათ საათაბაგოში **[116]** ოსმალთა, ხოლო გულბანდი ჰქონია აია სოფიას კენჭებით მოხატული, რომელიცა იქნებოდა უძვირფასესი[31].

28 ივნისს მეორე დღეს აქედამ წავიყვანე კაცი და გავიარეთ სოფელს ვანის ქვემო დაღმა ურიათ უბანი, პატარა მდინარე და მივედით საბევას[32] თავად ნიკოლოზ ჩივჯავაძესთან[33]. აქ ვნახე პატარა კარის ეკკლესია თლილის ქვისა, შიგ ფ˜დ ძველი ხატი ღ˜თის მშობლისა, სიგრძით ცხრა ვერშოკი და სიგანით შვიდნახევარი ვერშოკი[34] ვერცხლით შეჭედილი, ოთხის დიდრონის წითელი ქვებით და ოქროთი დაფერილი. ზედა სწერია (ფოტო №7):



ფოტო №7

ამ სოფლად გავიარეთ მინდორი, სადაც ყვირილა მიმდინარეობდა შემდგომ მაღლა ტყიანი და ერთს მაღლობზედ, საიდამაც სჩანს მარტვილი და სხუა ალაგები. ვნახე ქედს ანუ შუამთას ეკკლესია თლილის ქვისა უგუმბათო[35], შიგ ასვენია წ˜ს გიორგის ძველი ხატი ვერცხლით შეჭედილი სიგრძით $10^1/_2$ ვერშოკი და სიგანით $7^1/_2$ ვერშოკი[36]. ზედა სწერია (ფოტო №8): **[116-V]**



ფოტო №8

აქედამ ვიწყეთ სიარული ქვევით მხარეს. შემდგომ გამოვიარეთ ხევები და ზოგან მცირე მდინარე ტყიანი მთები, სადაცა ვნახე საჩინოს ალაგები მშვენიერი თვალი საჩინო ყოვლით შემკობილი, ორს ალაგას იყო გოგირდის წყლები, რომელსაც უწოდებდენ აბანოს, გარნა ძველი შენობა არა იყო რა, მე გამოველ მდინარეს ყვირილას ნავით და მოველ ქუთაისს 30 ივნისს.

1 ივლისს ვიწყე სიარული ქუთაისიდამ ფოშტის გზით და მოველ შორაპანს მაღალსა გორასა ზედა, სადაცა სდგა მხოლოდ შორაპნის უეზდის ნაჩალნიკი თავის ჩინოვნიკებით. 2 ივლისს აქედამ ჩავიარე მაღლობი ჩრდილოს მხრით, გაველ მდინარესა ძირულას, რომელსა ერთვის ყვირილა და ვნახე დანგრეული შორაპნის ციხე კლდეზედ დადგმული და გვირაბი ყვირილაში ჩატანილი; ხოლო სხუა შენობა სრულად არღა რაÎ სჩანს. კვალად გამოველ მდინარესა ძირულას, გავიარე სერები, რომელთაც უწოდებდნენ ვაჟებად და ვნახე სოფელს ილევს[37] მაღლობზედ ეკკლესია შემოქმედისა ფ˜დ ძველი თლილის ქვისა, რომელშიც არიან დახატულნი სახენი თავით ფეხადმდე. აქაურნი მცხოვრებნი [117] აზნაურნი მაჭავარიანი მეტყოდნენ ვითომცა ესენი დახატულნი იყვნენ ამ ეკლესიის აღმშენებელნი წინაპარნი მათნი. დასავლეთის

მხრით კარების თავზედ სწერია ამოჭრილის ასოებით კლდის ქვაზედ გადაცვეთილი (ფოტო № 9):



ფოტო №9

ორსავ მხარეს აღმოსავლეთით და დასავლეთით სწერია ქვაზედ „გალატოზს შეუნდეს ღმერთმან“, სხუა არა რაÎ სანახავ და ნაწერი არა მინახამს რა, არცა თუ ძველი ხატი წარწერილობით, თÕთ ეკკლესია პატარაა და მრთელი შეურყეველი. აქედამ დაუხვდიეთ ამისვე სერებს, ჩუÇნ ვიარეთ ცუდი გზები ოთხი ხუთი ვერსი და გავედით ძირულას, შემდგომ ავიარეთ კლდიანი ვიწრო გზა და მივედით სოფელს წევას[38], სადაცა არის მცირე დუქან ბაზარი. აქ სდგა ეკკლესია ძველი სივრცით საშუალ წევის წ˜ა გიორგისა, შიგან ასვენია ხატები ვერცხლით შეჭედილები, პირველზედ სწერია ესრედ:

ქ. ეჰა შენ შვიდ წილ უძლეველო ახოვანო მხედარო ქრისტეს მეუფებისაო დიდო მოწამეო გიორგი ჩუÇნ მოსავმან და მინდობილმან ძალისა შენისამან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ მოგიძღვენი მცირე ესე სამკაული დღეთა და ჟამთა ჩუÇნთა განსამრავლებლად და სულთა [117-V] ჩუÇნთა საოხად დაგანსაძლიერებლად მეფედ მეფისა სოლომონისათÕს პირმშოსა და სასო გრძელისა ძისა ჩუÇნი-

სა ალექსანდრესა და ასულთა ჩუ̈ენთა საცხოვნებლად დასა-ბამითგან ԿԵՏՈՒՇ, ქრისტეს აქეთ ჩღოდ[39].

მეორე ხატზედ, რომელიც არის ფ̈ დ ძველი, სიგრძით 7 ვერშოკი და სიგანით 6 ვერშოკი[40] ადლისა (იხ: ფოტო №10):



ფოტო №10

ეკკლესია არის სიონი უგუნბათო სამხრეთით აწერია კლდის ქვაზედ: „ქ. ესე არს ბჭე უფლისა და მრავალნი შევ-ლენ მას შინა“. [118]

მესამე ვერცხლით შეჭედილ ხატზედ რომელიც ნაწილებით სავსეა, სიგრძით $7^1/_2$ ვერშოკი და სიგანით ხუთი[41], მხედრულის ასოებით სწერია:

„ეჰა შვიდ წილ უძლეველო ახოვანო მხედარო ქრისტეს მეუფისაო ღვაწლით შემოსილო ჩემის სამკვიდროს წევის ეკკლესიის შინა მპყრობელო წ˜ო დიდო მოწამეო გიორგი მონამან და მონდობილმან ძალისა შენისამან მე მაჭავარიანმა ელიზბარმა მოგიძღვენ კნინი ესე მცირე სამკაული მოჭედა ჩემთÕს სასიცოცხლოდ და სადღეგრძელოდ და სულის საოხად და მეუღლისა ჩემისა აბაშიძის ასულისა ანასათÕს ძეთა და ასულთა განსაძლიერებლად წელსა ჩყიდს[42]. ოცდა ათი მარჩილი ხელფასად ხატის თეთრი გავიდა[43].

ამავე ეკკლესიაში არიან დახატულნი მარცხნივ მაჭავარიანი, აქავ არის ბაირაღი და ბუკი, რომელთაც ხმარობენ დღესასწაულში 15 ივლისს, ბუკით მოუწოდებენ მიმსვლელთა ერთა და მღვდელ შემოსილი დაამწყალობნებს მათ სადაცა ბაირაღი იდგება. შემდგომ ჩამოვიარე კლდეები, გამოველი ძირულას და მოველ ძველს ფოშტის გზით კვალადვე შორაპანს, აქედამ გავიარე სამხრეთისკენ რამდენიმე ვერსი და მიველ ტაბაკონს. მეორე დღეს ამ სოფლის მოშორებით ვნახე ეკკლესია დიდი და ძველი ტაბაკონისა. ესე სდგა მთათა შუა მაღლობზედ გალავანმ დანგრეული აღმოსავლეთით ჩამოუდევს ღრმა გენაბის ხევში აჯამურა და მთიანი ტყით მოსილნი არიან, ეკკლესია შიგნით დახატულია ძველის მხატვრობით სამხრეთით კედელზედ არის სახე [118-V] შემოსილი მღვდელმთავრისა დიდათ დახატული, მარჯვენა ხელით სწერს ჯვარს და მარცხენით უჭირავს ეკკლესია, მარჯვნივ უწერია კედელზედ ხუცურის ასოებით, რომელიც სიძველისა გამო ძლივსღა სჩანს და წაიკითხების ესრედ:

აქა წმინდის გიორგის მონამან....

ყოვლად წმინდისა ღ˜თის მშობლისა დაკნინებული და აოხ-
რებული აღვაშენე მე ჩხეიძემ ქუთათელმა გერასიმემ ცოდვა-
ნი მისნი შეუნდოს ღმერთმან ამინ მისთა დედმამა და მისთა
მიცვალებულთა შეუნდოს ღმერთმან.

ეს ეკკლესია არის დღეს ერთი მღვდლის ამარა და შიგ
ასვენია ძველი ხატი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი და-
ფერილი. $8^{1}/_{2}$ ვერშოკი სიგრძით და სიგანით 7 ვერშოკი[44].
სხუა და სხუა მრგვლის თვლებით შემკობილი წ˜ს ამაღ-
ლებისა, ზურგზედ სწერია მხედრულის ასოები ესრედ:
ქ. ბრძანებისა ღთისათა ძალითა და შეწევნითა ხატისა ამაღ-
ლებისათა მე ჩხეიძემ ბოქაულთ უხუცესმა ბატონმა თეიმუ-
რაზ ჟამთა გამოცვლილებითა ძველთაგან ჩვენის სახლის და-
ნაკარგი შორაპნის ციხე და ქალაქი მეფის ბაგრატის ბრძანე-
ბით ძალით ჩემის ხრმლით დავიჭირე, რადგან ჩემმა მოწყა-
ლემ ამოდენა ხელი [119] მომიმართა ვიგულე და ვიგულის-
მოდგინეთ ჩვენ და ფ˜დ ცოდვილმა და ყოველთა უცოდვი-
ლესმა მე თეიმურაზ და თანა მეცხედრემა ჩემმა ჩხეიძის
ასულმა ბატონმა თამარ ძველთაგან თათართა მიერ დალე-
წილი ხატი ესე ამაღლებისა შევამკევით მურასით თვალითა
და მარგალიტით ჩვენად სადღეგრძელოდ ძეთა და ასულთა
ჩვენთა აღსაზრდელად და ცოდვათა ჩუÇნთა საოხად დღესა
მას საშინელსა განკითხვისასა ჩემსა ამინ

ქ˜კს ტოდ (ბროსეს მიერ ფანქრითაა მიწერილი
374=1686)

თÕთ ეკკლესია არის ამ სახისა (იხ. ფოტო № 11)
სადათ აშენებული ორს ვერსზედ მაჩვენეს პატარა თლილი-
სა ქვის საყდარი და მითხრეს მათ, რომელ ეს ტაბაკონის
ეკკლესია აღუშენებია იქა დაყუდებულს ბერს ვინმე ნიკო-
ლოზს, რომელიც შემდგომად წასულა იერუსალიმს. დღეს ამ
პატარა ეკკლესიაში სცხოვრობს მოხუცი და უძლური ბერი

მაკარი და მის მომვლელად არიან განწესებულნი ქუთაისის მიტროპოლიტისაგან აქა ორნი დიაკონნი. აქედამ ჩამოვიარე აღმართი ტყიანი გამოველ ხევს აჯამურას გადავიარე აღმოსავლეთის მხრით სოფელი კინოთი და სერები ვენახოვანნი მოველ სოფელსა ვარძიას[45], სადაცა სდგა ეკკლესია გუმბათიანი მაღალსა ალაგსა, საიდამაცა სჩანს მრავალი ალაგები მთა და მინდორი. შორაპნის უეზდისა ეკკლესიას არტყია დაქცეული ციხე გალავანი, თუთ არის ამ გვარად ნაშენი (ფოტო №11) და გარედამ გათეთრებული, სამხრეთით ფანჯარასთან კლდის ქვაზე ამოჭრილია: (ფოტო №11, ქვემო წარწერა) **[119-V]**



ფოტო №11

შინგან ეკკლესია სდგა ორს სუეტზე ძველის მხატვრობით მოხატული, მარჯვნივ ასვენია ხატი ღ~ს მშობლისა ფ~დ ძველი ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი დაფერილი,

სიგრძით 15 ვერშოკი და სიგანით $11^1/_2$ ვერშოკი[46]. ორსავე მხარეს აქვს დასახურავი კარებები, რომელზედაცა არიან ვერცხლში გამოყვანილნი მიქელ და გაბრიელ. გარს სწერია ესრედ: (ფოტო №12, ზემო წარწერა)

მეორე ღ~ს მშობლის ხატზედ, რომელიც არის თვალ-მარგალიტით შემკობილი, სიგრძით 9 ვერშოკი და სიგანით $4^1/_2$ ვერშოკი[47] სწერია ესრედ: (ფოტო №12, ქვემო წარწერა)



ფოტო №12

აქავ ასვენია ფდ ძველი ჯვარი ცეცხლში შეჭედილი და თვალმარგალიტით შემკობილი სიგრძით ორი არშინი[48], გარნა ნაწერი არა არის ზედ. აქ გამგებლობს საბერძნეთიდამ არხიმანდრიტი იოა ნიკიოზ და მღვდელნი იქაურნი, ამათ მიჩვენეს ყოველივე ეკკლესია და დროსი შესანიშნავი არა იყორა, სამრეკლო უდგა გალავნის გარეთ [120] თლილის ქვისა სამხრეთისაკენ, რომელზედაცა სწერია კარების თავს კლდის ქვაზედ ამოჭრილის ასოებით:

ქ. ვინაᲲთგან ყოვლისა კეთილისა მიზეზი ქრისტე არს ამის მგონემან და მინდობილმან ღთისამან და ყოველთა კაცთა უცოდვილესმან საქართველოს ნათლის მცემლის უდაბნოს მამყოფელმან და მერმე ამ ვარძიის მონასტრის წინამძღვარმა ლიხთ და იმერთ მეფის ძის ბატონის შვილის კარის არხიმანდრიტმა ყიფიანმა ნიკოლოზ, ოდესაც ვიხილე სამრეკლო ესე დარღვეული და სრულიად შემუსვრად მიწევნილი მსწრაფლ დიდის გულს მოდგინებით ვიყავ ქართლსა და იმერეთს კალატოზისა შოვნად, მაგრამ ისე მსწრაფლ ვერსად ვიშოვე ამ სამრეკლოს მეორედ გაკეთების შემძლებელი გალატოზები, მერე ძალითა მღთისათა და შეწევნითა ყ~დ წმინდისა ღთ~ს მშობლისა მარიამისათა თჳთ ვიწყე მე არხიმანდრიტმა მეზობლითა ცემითა შენებად ამის სამრეკლოსი და მუდამ გარსამარჯუებლად ბედნიერის ხელმწიფის სოლომონისა და ძისა მისისა ალექსანდრესთჳს და მერმედ აღმომკი თხველისა ამისაგან შენდობის საბრძანებლად სულთა ჩვენთათჳს და ვინცა წყალობა ჰყოთ და ჩემთჳს შენდობა ბძანოთ თქუᲩნ შეგინდოსთ ქრისტეს საყვარელნო ძმანო. დასაბამიდან ქრისტეს აქეთ ჩ.ღ.უ.ზ. სეკტენბრის ბ, ქკს უᲫე[49]. **[120-V]**

4 ივლისს ვარძიიდამ ჩამოვიარეთ სერები, გადავცდით ფოშტის გზას და ვიწყეთ სიარული ჩრდილოს მხრით ნუნისისაკენ, ჩემთან მყოფნი იმერლები მეტყოდნენ „ნუნისი რაღაცაა კი ვიცით ბატონო“. ექანას არის, ექანას გავალთ ჩხერიმელას და დავადგებით კაი გზას, მზიურ ქვე მივალთ აქანას, ჩქერიმელა მისთვის „ქვე“ ჰქვიან რომე ზოგან ჩქარად მოდის და ზოგან ნელა, სწორედ „ჩქარი ნელაა“ ამისი სახელი[50]. ჩუᲩნ გავიარეთ საქარის ქედი, სოფელი იგორეთი, შემდგომ გავედით ლაშის ხეობაში ჩქერიმელას და ვიწყეთ სიარული მიხრილ-მოხრილი მაღალ უმეტეს დაბლა ცუდ გზებზე (ფანქრით ჩამატებულია: „სოლივერსკის მთა ხორინთის ეწერი-

დან“) საღამოს გავედით ძირულას და ნაცვლად ნუნისისა მიმიყვანეს უბისს[51], იმ ღამეს იქაურ მღვდელთან ვიყავი და სხუათა შორის ვკითხე სად არის ნუნისი, მღვდელმან მიპასუხა, ნუნისი კი არ გამიგონია და უბისი კი ეს არისო. ამ ეკკლესიაში რაც ნაწერები ნახა უფალმა ბროსემ გადმოსწერა ამ სამი წლის წინათ. მეორე დღეს ჩუჱნ გავშინჯეთ ეკკლესია უბისა, ვნახე ხატები ვერცხლში შეჭედილები. ძველი, პატარა სახარება და დიდი ჯვარი თვალმარგალიტით შეჭედილი, რომელსა ერტყა ხანჯალი და პატარა ჩერქეზული ქუდი ეხურა, რაჲცა ჩემთვის საჭიროდ იყო ნაწერი გადმოვწერე და ვთხოვე იქაურს მოხელესა და მღვდელს გამაყოლონ ისეთი გზების მცოდნე კაცი, რომელსაც შეეძლოს მაჩვენოს ნუნისი და ეგრეთვე დამატაროს ყვირილასა და საქართველოს სამძღვართა მთათა შუა ალაგები თუ იყოს სადმე შენობა დიდი ანუ ეკკლესიები. მე დავპირდი თავის გასამრჯელოს [121] ერთი ორად ვაჩუქებ, ამათ გამომირჩიეს კაცი, რომელმაც მითხრა ნუნისი სადაცა ხეფინისხევისაკენ ციხისთვის კაი ეკკლესიას ქვე გაჩვენებდა სხუა საცა მეტყვი – იქანას მიგიყვან. ჩუჱნ ვიწყეთ სიარული ჩრდილოს მხრით, ამოვიარეთ შიშველი მთა, გადავედით სოფელსა სვერს, აქ გადაუხვიეთ სოფლის გზას და ვიწყეთ სიარული აღმოსავლეთისაკენ ერთს ბილიკზედ, შევედით ტყეში და ვიარეთ მიხვეულ-მოხვეული. გზები და მთები ტყიანი, დავკარგეთ გზა და აღარ ვიცოდით სად უნდა გავსულიყავით, აქა შევწუხდი ძრიელ, რომელ იყო საღამო და ჩუჱნ უნდა დავრჩენილიყავი უადგილო ალაგას. მაშინ ვიწყეთ ყვირილი მაღლის ხმით: „არავინა ხართ, ეეი, და დავბრუნდით კვალად იმავე გზით, გამოვიარეთ ასე ყვირილით სამი ვერსი და შევეყარენით ერთ მუშა იმერელს, რომელიც მოდიოდა სამკალიდამ მეორეს გზით, ამას ვაძლიე ფული და ვეხვეწებოდი ან შენს სოფელ-

ში წაგვიყვანე ანუ სოფლის გზა მაჩვენე – სწორეთ თუ ახ-
ლოს არის სადმე, დღეს მთელი დღეა ასე დამათრევს ეს ჩე-
მი წინამძღომი, დილას მითხრა აქაური გზები სულ ვიციო,
მაგრამ აწი დიდი ხანია აქეთ აღარ მივლიაო. იმ კაცმა ფუ-
ლი არ მიიღო, ჩემი სოფელი დიდი ხანია გამოგივლიათო და
ამ გზას დაადექით აქანას ახლოს სოფელია ჭორვილა საჩხე-
რის პირს იქ ადრე ჩახვალთო. ჩავედით ღამე ჭორვილას,
მეორე დღეს აქედამ გაველ ყვირილას ცხენებით და მიველ
საჩხერეს. აქ გავიცან თავადნი წერეთლები ალექსანდრე
პოლკოვნიკი ღვარდიის შტაბროტმისტრი, ნესტორ ძმისწული
მისი, სვიმონ წერეთელი[52], ამათი ბიძა გიგო და სხუანი, რო-
მელთაც მიმიღეს სასიამოვნო სტუმრათ, მე ყველას ვთხოვდი
მაჩვენონ ძველი საოჯახო მათი [121-V] დოკუმენტები მეფე-
ებისა ანუ სხუა რაᲣმე ღირსი სანახავი ძველი ნივთიც და
ურჩევდი პირების გადმოწერას და დაბეჭდვას თქუᲒნის გვა-
რისა და სახლისათვის სასარგებლოდ. ჩუᲒნი საოჯახო წერი-
ლები სულ მიტროპოლიტს დავით წერეთელსა[53] აქვსო და
საკითხავი წიგნები დავით დადიანმა წაიღო, სხუაგანაც, სა-
დაცა ვიყავ ყველა თავად აზნაურნი მეტყოდნენ ეგრეთვე და
ვისაც ჰქონდა უკანასკნელი მეფის სოლომონის ღრამატა ვა-
რაყით დაწერილი სიამოვნებით მაჩვენებდნენ. მე ვგონებ
მთელს იმერეთში არცა ერთის თავადისა და აზნაურის
სახლში ძველი ასისა და ორასის წლის უწინ მეფეების წე-
რილები ანუ ნივთი რაᲣმე არავის ჰქონდეს მოთხრობასაცა
ყველანი მიანბობდნენ მეფის სოლომონისა უკანასკნელ დროს,
ჩვეულება იმერთა ვნახე ყოველგან არეული ძველი და ახა-
ლი, სხვას საჭირო არა ვრაცხ აქა ვსთქვა.

სახლთუხუცეს წერეთლის ასულმა კნეინა სალომე ანდ-
რონიკოვისამ მაჩვენა ჯვარი, რომელიცა ჰქონია პირველზედ
დავით აღმაშენებელს ვერცხლისა, ოქროდ დაფერილი ნახე-

ვარ არშინი ესრეთის სახითა პრტყელი (იხ: ფოტო №13). მისსა სწერია სიძველისა გამო ძლივსღა წაიკითხების[54]: [122]



ფოტო №13

13 ივლისს საჩხერიდამ წამიყვანა ბლაღოჩინმა ოქროპირ მღვდელმა და მაჩვენა ჯრუჭის მონასტერი, აქავ ძველ ეტრატზედ დაწერილი საეკლესიო სხვა და სხვა წიგნები, მათ შორის ვნახე სახარება მრგვლოვანის საოებით ქარაგმით ნაწერი ეტრატზედ, ბოლოს ფურცელზედ სწერია ქორონიკონს ᲫᲠᲗ[55].

კიდევ ვნახე ჯრუჭის მონასტრის განძეულობა, გარნა ფ~დ ძველი არა იყო რა. იქაურმა გამგებელმან მაჩვენა ძვალი, რომელი რაღაც ცხოველისა გაქვავებული ქვაშივე მჯდომი და მითხრა ეს რიღაცის ძვალია კაცისა თუ ნადირისა დიდი ხანია ამ ეკკლესიაშიო არის შენახული ასე *.

...მეორე დღეს (18 ივლისს - ი. ა.) ძველისავე გზით ღრუბლიანსა დღეს ჩამოველ კვალადვე საჩხერეს, სადაცა დავრჩი წვიმების გამო რამდენსამე დღეს და ვეძიებდი კარგს მოგზაურს კაცს დღეში მანეთათ თავის ცხენით, რომელთანაც მსურდა დამევლო დანაშთენი ალაგები იმერეთისა, რათამცა

* 122-123 გვერდები ეხება რაჭაში მოგზაურობას, ამიტომ შეგნებულად ვტოვებთ.

მოგზაურობა ჩემი ესე ყოფილიყო სრული, გარნა სურვილი ჩემი ამაო იყო, სახელდობ ვისაც ვეტყოდი ამა და ამ ალაგებში მინდა წასვლა და ნახვა ამა ძველთა შენობათა, რომელთაც სწერს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში, იგინი ზოგნი დაიზარებდნენ და ზოგნი ვერ ბედავდნენ შორს სიარულს, დიდ ხანს მოუნდებით ჩუჷნს საქმეს კი მოვცდებითო, ამის გამო იძულებულ ვიყავ გამეთავებინა იმერეთს მოგზაურობა.

20 ივლისს საჩხერიდამ გამოველ ყვირილას და შვიდ რვა ვერსზედ მარცხნივ ყვირილას სათავისკენ ვნახე მაღლობზე სოფელსა სავანეს ეკკლესია. დიდის თლილის ქვისა, რომლისა კანკელი არა სრულიად შაბაქა ამოკვეთილი მრთელის ქვისა. დასავლეთის მხარეს სწერია კლდის ქვაზედ ამოჭრილს ასოებით კარების თავზე ხუცურად ქარაგმითა გადაცვეთილ სიძველისა გამო

ქ. სახელითა მღვთისათა, მეოხებითა წმინდისა ღვთის მშობლისათა წმინდისა გიორგისითა დამაყენა მე სულითა საწყალობელი [124] ლუარსაბ აღსაშენებლად წმინდისა ამის საყდრისა ადიდენ ღმერთო გიორგი და იოანე სალოცველად სულისა მათთჷს და მშობელთა მათთჷს.

ჩრდილოეთით კარიბჭეში კარების თავზედ სწერია ეგრეთისავე ასოებით ქვაზე:

ქ. სახელითა მღვთისაითა მე გიორგი იოანე აღვაშენე წმინდა ესე ეკკლესია სავანისა სალოცველად სულისა ᲩᲝᲮᲬᲡᲩᲰᲫᲚᲩ და ძმისა ჩვენისა ᲔᲬ და მშობელთა ჩუჷნთათჷს ᲢᲬᲬᲝᲡᲪᲡ ᲝᲩ მარიამისათჷს და შვილისა ჩუჷნისათჷს გაბრიელისათვის და დედისა მისისათვის წᲜდაო გიორგი მეოხ ეყავ წინაშე ღვთისა ამინ. იყვნენ ქორონიკონით ᲡᲩᲮᲩᲦᲭᲰᲩ მეფობასა კურაპალატისსა[56].

კარიპჭეში კლდის ქვაზედ სწერია ხუცურად – ქარაგმითა ძნელად წასაკითხი:

ქ. სახელითა მღვთისათა და შეწევნითა სავანისა ᲨᲪ ᲢᲨᲢᲘᲜ (თავზე ფანქრით მარი ბროსეს მიერ მიწერილია „მოწამისა“ – ი. ა.) ᲨᲢ ᲗᲨᲪᲘᲡ ᲬᲫᲘᲢ ᲗᲢᲪᲫᲨᲢᲨᲪᲢᲨᲘᲜᲬᲘ ᲝᲦᲘᲡᲨᲗᲗᲬᲘᲡ და მისის მეუღლისა თამარისა შეუნდოს ღ˜ნ“[57] (იხ: ფოტო №14)



ფოტო №14

აქვე კარიბჭეში პატარა სამწირველოს კარების თავზედ კლდის ქვაზედა სწერია ეგრეთის ასოებით: „წმინდაო ღმერთო და ყოვლად წმინდაო ღვთის მშობელო შეიწყალე ქავთარაძე დავით ძეთა და ასულთა მისთა განუსვენე ქრისტე ამინ“. [124-V]

გარედამ აღმოსავლეთის მხრით ფანჯრის გვერდზე სწერია კლდის ქვაზედ ამოჭრილის ასოებითა: (ფოტო №15)



ფოტო №15

შიგან ეკკლესიაში კანკელი წინ მარჯვნივ არის საფლავის მსგავსი იატაკზედ ერთ არშინ მაღლა, რომელსა აფარია ფიქალი ქვა. აქაურნი იტყვიან ვითომცა იყოს ამაში ძველად შენახული ავის დროის გამო ამ ეკკლესიის ხატები, ახლა თუმცა სურთ ახდა გარნა ვერა ბედვენ და არცა მე მომცეს შემწეობა მათ, რომელ მართლად შემეტყო მათი მოთხრობა. სხუა აქა ღირსი შესანიშნავი არა მინახამსრა. ეკკლესია სადათ არის ნაგები, უგუნბათო, გალავანგადაქცეული. აქედამ ვიწყე სიარული აღ˜სავლეთისა მხრით, გარდმოვიარე კორტოხის მთა ტყიანი და ხევებიანი წვიმა ტალახში ზოგან ცხენით და ზოგან ქვევითათ გაჭირვებით ჩამოველ სურამს 21 ივლისს.

სურამიდამ მსურდა გამგზავრება აჭარისაკენ მაგრამ უკეთუ [125] მოგზაურობა ჩემი განგრძელდებოდა უცხო ქვეყანას ერთს ორს თვეს, მაშინ საკმაო ფული აღარ მექმნებოდა თანა და დავბრუნდი 22 ივლისს კვალად ტფილისს.

შენიშვნები

1. მოლითი – სოფ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 15 კმ-ზე, მდ. ჩხერიმელას მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 680 მეტრზე.
2. საჟენი - ძვ. რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებით, 1 საჟენი განისაზღვრა 213, 36 სმ-ით.
3. არშინი - ძვ. რუსული სიგრძის საზომი. უდრის 16 ვერშოკს (71,12 სმ.). იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.
4. მიტროპოლიტი იმერეთისა დავით – წერეთელი (1781-1853 წწ.). იგი იმერეთის სახლთუხუცესის – ზურაბ წერეთელის შვილი იყო. ჯერ კიდევ სოლომონ II-ის დროს მიიღო მიტროპოლიტის ხარისხი. მოღვაწეობდა ჯრუჭის მო-

ნასტერში. ფლობდა სხვადასხვა ხარისხებს: სამეგრელოს ეპისკოპოს-ჭყონდიდელი, იმერეთის ეპისკოპოსი. ძალზე დიდი ღვაწლი მიუძღვის დასავლეთ საქართველოში ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და სიძველეების გადარჩენის მიზნით. გარდაიცვალა 1853 წლის 14 თებერვალს. ანდერძის თანახმად, დაკრძალულია ჯრუჭის მონასტრის ეზოში (იხ: ჩიღვინაძე გ., დავით მიტროპოლიტი. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნ. „ხომლი“, თბ., 2013, №3, გვ. 28-32).

5. იგულისხმება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი კონსტანტინე იაკოვლევის ძე ბელიავსკი, რომელსაც დიმიტრი დღიურებში შემდგომაც ახსენებს. ცნობილია მისი წერილი (06.03.1848 წ.) გენერალ საფონოვთან ქუთაისის გუბერნიაში გლეხებსა და მემამულეებს (მიწის მფლობელებს) შორის წარმოშობილი უთანხმოებების დარეგულირების მიზნით ქუთაისში განსაკუთრებული კომიტეტის შექმნის საჭიროების შესახებ (იხ: *Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею*, т. X. Тифл. 1885, გვ. 253-254, დოკ. № 260) .

6. ლევან ნიკოლაიჩ ქარქიევი – ქუთაისის საგუბერნიო პროკურორი 1848-1851 წლებში (იხ: „Кавказский календарь”, 1849, отд. IV, გვ. 22).

7. ხსენებული ინფორმაცია, სავარაუდოდ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას ეყრდნობა, თუმცა ვახუშტი გარკვევით ამბობს, რომ თურქებმა ააშენეს არა ციხე-დარბაზი, არამედ მეჩეთის მსგავსი ნაგებობა. თანაც ვახუშტი ბატონიშვილი 51-ე გიორგის ნაცვლად მოიხსენიებს 57-ე გიორგის (იგულისხმება გიორგი II, 1072-1089 წწ.): „რიონს დასავლით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა, აქა არს მსგავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ პალატოვანნი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა, უწოდებენ ციხე-დარბაზს, იტყჳან აღშენებასა

ნ~ზ (=57 – ი. ა.) მეფისა გიორგის ჟამსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 761). თუმცა, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, გიორგი მეორე არის „მეორმეოცდათოთხმეტე მეფე ქართლისა და აფხაზეთისა გიორგი ძე ბაგრატისი ბაგრატოანით” („მატიანე ქართლისა”, გვ. 315). დღეისათვის ისტორიოგრაფიაში გაზიარებული შეხედულებით, გეგუთის ციხე-დარბაზის მშენებლობა განხორციელდა, არა გიორგი II-ის, არამედ გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მიერ (**ციციშვილი ირ.**, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1994, გვ. 105-107; **ბერიძე ვ.,** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 165).

8. იმერეთის მმართველი გენერალი ხათუნცოვი – იგულისხმება ნიკოლოზ მიხეილის ძე ხათუნცოვი. იმერეთის მმართველად ჩანს 1815-1819 წლებში, გენერალ-მაიორ მერლინსა და ივან კურნატოვსკის შორის. (იხ: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, გვ. 206; Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. VII, Тифл., 1878, გვ. 394, დოკ. 321).

9. მიხეილ თუმანოვი, ქუთაისის გუბერნიის მოსამართლე (სუდია). შესაძლოა, ეს იყოს ჟურნ. „ცისკარში“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსების ავტორი მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818-1875 წწ.), მამა ანასტასია (ჟურნ. „ჯეჯილის“ რედაქტორი) და გიორგი (ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე) თუმანიშვილებისა. იგი 1837 წლიდან მართლაც მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე (იხ.: მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936, გვ. 271, შენიშვნა № 108; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969, გვ. 205).

10. ხსენებულ ადგილს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი წერს ქარაგმის გარეშე. იგულისხმება „შა[ა]ნშე და შა[რვ]ანშე“.
11. 1462 წელს იმერეთში მეფობდა არა ალექსანდრე, არამედ ბაგრატ VI (ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478 წწ.). აღნიშნული საბუთი ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია და სათანადო გამოკვლევებიც მიუძღვნეს თ. ჟორდანიამ, ს. კაკაბაძემ, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა. თედო ჟორდანიასა და ივ. ჯავახიშვილს სიგელი, თავისი ზღაპრული შინაარსის გამო, ნაყალბევად მიაჩნდათ (იხ: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე). გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო **თ. ჟორდანიამ**, ტფ., 1897, გვ. 264-265; **ჯავახიშვილი ივ.,** თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1996, გვ. 512-514). სარგის კაკაბაძის აზრით, თარიღში შეცდომა გვიანდელი გადამწერიდან მოდიოდა (**კაკაბაძე ს.**, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1924, გვ. 63-65; **კაკაბაძე ს**., გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912, გვ. 4). აღნიშნული საბუთი საგანგებოდ შეისწავლა ნიკოლოზ ჟღენტმაც, თუმცა იგი მიმოხილვაში ალექსანდრეს არ ახსენებს და ბაგრატისა და კონსტანტინეს ირგვლივ საუბრობს (**ნიკოლოზ ჟღენტი**. მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცენდენტები, „ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელი“, კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა 2011/2012, ტ. XIII-XIV, გვ. 52-55).
საქმე ისაა, რომ მარი ბროსესა და თედო ჟორდანიას სიგელის დედანი არ უნახავთ. ე. თაყაიშვილი, რომელსაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მსგავსად ტყავზე ნაწერი დედანი ჰქონდა ხელთ, მიიჩნევს, რომ საბუთი ნამდვილია, მაგრამ შეცდომა ქორონიკონშია და 1452 წლის ნაცვლად უნდა

იყოს 1475 წელი (**იხ.: თაყაიშვილი ე.**, საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 41-42).
12. მოცემული დროისათვის საქართველოს ეგზარქოსი იყო ისიდორე (იაკობ ნიკოლსკი 1799-1892 წწ.). ეგზარქოსობდა 1844-1858 წლებში.
13. ქობულეთის თათრები – 1850 წლისათვის ქობულეთი ჯერ კიდევ ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც ჭრელი იყო.
14. დიმიტრის მიერ გადმოცემული წმინდანთა მდგომარეობა („ზეზედ აწყვია“) მოწამეთაში მით უფრო საინტერესოა, რამდენადაც, 1923 წლის 18 თებერვალს ქუთაისში ბოლშევიკებმა გახსნეს მოწამეთას მონასტერში დაცული წმინდა დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილები. გამოიტანეს ეკლესიიდან, დაასვენეს ურმებზე და მოსახლეობის თვალწინ ორი კვირა ქალაქში დაატარებდნენ შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით, რათა ყველას დაენახა, რომ ისინი ჩვეულებრივი ძვლები იყო და არა „უხრწნელი გვამები”. ამ მოვლენას გაზეთმა „კომუნისტმა” სპეციალური წერილებიც მიუძღვნა 23 და 27 თებერვალს.

მოგვიანებით წმინდანთა გადარჩენილი ნაწილები (თავის ქალები) ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს და მხოლოდ მიტროპოლიტ გაბრიელ ჩაჩანიძის დიდი ძალისხმევის შედეგად დაბრუნდა მოწამეთას მონასტერში.
15. საუბარია ბაგრატის ტაძარზე.
16. სამწუხაროდ, ეს ძვირფასი რელიკვია დღეისათვის დაკარგულია. იგი გაიტაცეს ყაჩაღებმა 1904 წლის 17 ივლისს, გელათის მონასტრის გაძარცვისას და მისი კვალი დღემდე უცნობია. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ბევრი განსაცდელი შეხვედრია გელათს საქართველოს მრავალ ტანჯულის ისტორიის განმავლობაში,

მაგრამ რაც ამ მშვიდობიანობის დროს დაემართა, თვით გამ-ძვინვარებულ სპარსთა და ოსმალთა დროსაც არ ყოფილაო" (იხ: გაზ. „ცნობის ფურცელი", 29. 07. 1904 წ. №2568, გვ. 3).

17. ჟაკ ფრანსუა გამბა 1820 წლიდან მართლაც იმყოფებოდა საქართველოში და აქვე გარდაიცვალა ქუთაისში 1833 წელს. 1824 წელს მან პარიზში გამოსცა ორტომიანი ნაშრომი, სადაც მნიშვნელოვანი ცნობებია ქართველების ადათ-წესების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის შესახებ. მისი ქალიშვილი შარლოტა გამბა საქართველოშივე დარჩა, რომელსაც გრაფმა ვორონცოვმა ავჯამეთის ტყეების უმეტესი ნაწილი უწყალობა, რათა ადგილობრივებისათვის ფრანგულად მიწის დამუშავების მაგალითი მიეცა. ფრანგ მადმუაზელს საფრანგეთიდან მებაღეების, მებოსტნეების და სხვა ხელობის ოსტატების ჩამოყვანის განზრახვა მართლაც ჰქონია, მაგრამ დაავადებულა და მალევე გარდაცვლილა (იხ.: **ჟაკ ფრანსუა გამბა**, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987, გვ. 9-15)

18. =154 სმ. X 83, 6 სმ.

19. ივანე როსტომის ძე მიქელაძე – 1850 წლისათვის მიქელაძეთა გენეალოგიაში პოდპორუჩიკი ივანე როსტომის ძე მიქელაძე (1787-1859 წწ.) ჩანს თავად გიორგი მიქელაძის მესამე თაობად. მამა - როსტომ მიქელაძე (1787-1859). ივანეს მეუღლეა ელენე, თავად გიორგი ერისთავის ასული. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი მეორედ დაქორწინდა თავად გიორგი ფაღავაზე (იხ.: იური ჩიქოვანი, იოსებ ბიჭიკაშვილი. ქართული წარჩინებული გვარები, მიქელაძეთა საგვარეულო, წიგნი III, თბ., 2005, გვ. 59).

20. =30.8 X 22 სმ.

21. 113-ე გვერდის კიდეზე მეღვინეთხუცესიშვილს სიგრძეზე ფანქრით მიწერილი აქვს: „ვარძია დასცქერის დიდს ალაგს წინ მთასა და მინდორს ქუთაისისა და ორთა მდინარეთა ყვირილასა და რიონს, რომელნიცა შეერთდებიან იქავ ძირს“.
22. აფხაზეთის კათალიკოსი მეფის ძე იოსებ – დასავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი 1739-1776 წლებში, იმავდროულად, გელათის მიტროპოლიტი 1745-1776 წლებში. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ძე და სოლომონ I-ის ძმა. დაკრძალულია გელათში.
23. =66 სმ. X 41,8 სმ.
24. ვახუშტი ჩიჯავაძე – ეს უნდა იყოს ვახუშტი I ჩიჯავაძე, რომელიც 1696-1714 წლების ფიცის წიგნში გვხვდება, რადგან ვახუშტი II-ს, რომელიც შედარებით გვიან (XVIII ს. II ნახ. – XIX ს. დასაწყისში) მოღვაწეობდა, არც ღოღობერიძის ქალი (I მეუღლე) და არც ანა ჭილაძე (II მეუღლე, იხ. წარწერა, ფოტო №5) თანამეცხედრედ არ ჰყოლია (დაწვრ. იხ: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973, გვ. 271-285.)
25. =52,8 X 41,8 სმ.
26. საზვერელ ჩიჯავაძე – ვახტანგ VI-ის სიძე (†1708 წ.), მეუღლე ხვარამზე ლევანის ას. ბატონიშვილისა.
27. =1708 წლის 23 იანვარი.
28. =129,8 X 77 სმ.
29. =1056 წელი.
30. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობა, ბაგრატის ტაძრის ზომების შესახებ, (43 X 35 მ.) ზუსტად ემთხვევა ოფიციალურ მონაცემებს. (იხ: **ვ. ბერიძე**, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 133).

31. ჟამგულანის წარწერის მიხედვით, ოსმალთაგან ბაგრატის ტაძრის დაქცევა 1692 წლითა დათარიღებული („ჩჟგბ“=1692 წ.). ვახუშტი ბატონიშვილი ამ ამბავს ერთგან 1691 წლით ათარიღებს (იხ: ბატონიშვილი ვახუშტი, გვ. 854) მეორეგან 1692 (იქვე, გვ. 761). თუმცა, სადაც ტაძრის მარმარილოს სვეტების სამცხეში წაღებაზეა საუბარი, ვახუშტი 1692 წელს მიუთითებს.
32. ურიათუბანი, საბევა – იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება.
33. ნიკოლოზ ჩიჯავაძე (1828-1886 წწ.), ელენე ყაფლანის ას. ორბელიანის მეუღლე.
34. =36,9 X 33 სმ.
35. შუამთა – სოფ. ვანის მუნიციპალიტეტში, ადმინ. ცენტრიდან 6 კილომეტრზე, მდ. ყუმურის ნაპირას. სოფელში დგას 1615 წელს აგებული წმ. გიორგის ეკლესია.
36. =46,2 X 33 სმ.
37. ილევი – იგულისხმება სოფ. ილემი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, რაიონული ცენტრიდან 10 კმ. მდ. ძირულას ხეობაში, ზღვის დონიდან 300 მეტრზე. სოფლის ტერიტორიაზეა XII ს-ის „შემოქმედის“ ბაზილიკური ეკლესია.
38. წევა – სოფ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდ. ძირულას ხეობაში, რაიონული ცენტრიდან 16 კმ-ზე. ზღვის დონიდან 580 მ. სოფელში XI საუკუნის წმ. გიორგის ბაზილიკური ეკლესიაა.
39. საბუთის ქრონოლოგია ერთმანეთს არ ედრება. „დასაბამით“ ვიღებთ 1773 წელს (7281-5508=1773 წ.), ხოლო „ქრისტესით“ 1774 წელს. ეს შეუსაბამობა ბროსესაც შეუმჩნევია და ფურცლის კიდეზე ფანქრით მიუწერია.
40. =30,8 X 26,4 სმ.
41. =33 X 22 სმ.
42. =1819 წ.

43. ვახტანგ VI-ს „დასტურლამალის“ მიხედვით, XVIII ს-ში მარჩილი 3 აბაზს (12 შაურს) უდრიდა. წარწერიდან გამომდინარე, ელიზბარ მაჭავარიანს ხატის მოსაჭედად ხელფასის სახით 90 აბაზის, ანუ 18 მანეთის ხარჯი გასვლია.
44. =37,4 X 30,8 სმ.
45. ვარძია – სოფ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. რაიონული ცენტრიდან 18 კილომეტრში, მდ. ბორიმელას მარცხენა ნაპირას. სოფელშია XII ს-ის ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფეს აუშენებია.
46. =66 X 50,6 სმ.
47. =39,6 X 19,8 სმ.
48. =142,24 სმ.
49. ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია 1787-465 და იქვე დაუსვამს კითხვის ნიშანი. ქორონიკონი „უᲫ“ მართლაც 465, მაგრამ დაანგარიშებისას ვიღებთ არა 1787, არამედ 1777 წელს.
50. ვახუშტი ბატონიშვილი „ჩხერიმელას“ ეტიმოლოგიას ჩხერის ციხეს უკავშირებს და განმარტავს: „ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩქერისაგან კლდესა დინებითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 758). სულხან-საბას მიხედვით, დაჩხერილი – იგივე დალეწილი, დამსხვრეული, დამუსვრილია (იხ.: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991, გვ. 208). ჩხერიმელას ფუძე მეგრულიდან უნდა მოდიოდეს. „ჩხერი“ – მეგრულად ჩხურუ/ჩხერი (ცივი, სიცივე), „მალუ-მელა“ – მავალს, ანუ ცივი მდინარე.

51. უბისა – სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. ცნობილია წმ. გიორგის სამონასტრო კომპლექსით, რომლის მშენებლობა IX საუკუნეში დაიწყო გრიგოლ ხანძთელის მიერ და XII ს-ის ორნავიანი ბაზილიკით დასრულდა. მთავარი ტაძარი აგებულია IX-X საუკუნეებში. განსაკუთრებით გამორჩეულია უბისის მოხატულობა, რომელიც შესრულებულია XIV ს-ში, გიორგი ბრწყინვალის მეფობისას, დამიანესა და მისი მოსწავლის – გერასიმეს მიერ.

52. ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთელი. გენერალი, გრიგოლ წერეთლის უფროსი ვაჟი, ცოლად ჰყავდა ეკატერინე ივანეს ას. ერისთავი. გარდაიცვალა 1872 წელს, დაკრძალულია იკორთაში, ცოლის მამულში. დიმიტრი – ალექსანდრეს ვაჟი, ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელი, ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, გენერალ-მაიორი (1829-1883 წწ.) ქართველთა შორის წერა-კითხვის დამაარსებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ალექსანდრეს ჰქონია მამისაგან დანატოვარი ძალზე მდიდარი ბიბლიოთეკა, მათ შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, მაგრამ მისგან ამ ბიბლიოთეკით ვერავინ სარგებლობდა. ამასთან დაკავშირებით, აკაკი წერეთელს 1871 წლის 17 ივლისს „დროებაში“ (№28) წერილიც კი გამოუქვეყნებია. მოგვიანებით, ალექსანდრეს მემკვიდრეს ნესტორ წერეთელს „დროებისათვის“ თხოვნით მიუმართავს მის ხელში გადასული ბიბლიოთეკისათვის კატალოგის შედგენის მოთხოვნით, რის შემდეგ 1884 წელს ამ ბიბლიოთეკის ნაწილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელში გადასულა (იხ.: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II თბ., 1983, გვ. 241-242).

53. მიტროპოლიტი დავით წერეთელი – იხ: შენიშვნა №4.

54. დღეისათვის დავით აღმაშენებლის ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული და წარწერის წაკითხვა შესაძლებელია. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს წარწერა, ძირითადად, სწორად გადმოუწერია (ფოტო №13), მაგრამ მეორე სტრიქონის ბოლოს, მსგავსების გამო, ქართული ასომთავრულის „Ⴓ“-ს ნაცვლად „Ⴢ“ გადმოუწერია და მეორედან მესამე სტრიქონში გადატანილი სიტყვა „ⴓⴗⴑⴚ“ დაუწერია. ამას მარი ბროსე შეცდომაში შეუყვანია და „ჰერთას“ ნაცვლად „ლეკთა“ დაუწერია. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი ასომთავრული წარწერის ქვემოთ, ბროსეს მიერ ფანქრით მიწერილი აქვს თანამედროვე ქართულით: „ღმერთო ყოვლისა დამბადებელო ადიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით აფხაზთა და ქართველთა და ლეკთა და კახთა მეფე მზე ქრისტეანობისა ამინ“.

55. ფურცლის კიდეზე ბროსეს მიერ ფანქრით აქვს მინაწერი: „146-926“. საუბარია 936-940 წლებში კალიგრაფ გაბრიელის მიერ გადაწერილ ჯრუჭის ოთხთავზე. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, H-1660.

56. ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია: „981-201“. (780+201=981 წ. – ი. ა.).

57. ბროსეს მიერ ფურცლის კიდეზე ფანქრით მიწერილია: „990-210“. (780+210=990 წ. – ი. ა.).

დამოწმებანი:

ალიმბარაშვილი ი., „დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ 1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია“, ჟურნ. „ანალები“, №9, 2013.

ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძი-

რითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.

გაზ. „ივერია“, 29. 08. 1895 წ. № 192.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 29. 07. 1904 წ. № 2568.

გაზ. „Кавказ”, 1850, №35.

გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები და ურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I, თბ., 1987.

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.

თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო”, ტ. III, ტფ., 1913-1914.

თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფ., 1909.

ჩიქოვანი ი., იოსებ ბიჭიკაშვილი, ქართული წარჩინებული გვარები, მიქელაძეთა საგვარეულო, წიგნი III, თბ., 2005.

ჩიქოვანი ი., იოსებ ბიჭიკაშვილი, შოთა ჩხეიძე, ქართული წარჩინებული გვარები, ჩხეიძეთა საგვარეულო (ისტორიულ გენეალოგიური გამოკვლევა), წ. II, თბ., 2004.

კაკაბაძე ს., გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912.

კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. I, ტფ., 1921.

კაკაბაძე ს., საისტორიო მოამბე, № 1, ტფ., 1924.

კეკელია ი., აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთაისი 2011.

მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, ტფ., 1936.

„მატიანე ქართლისაÎ“, ქართლის ცხოვრება. ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ჟღენტი ნ., მეფე დავით IV-ის „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცენდენტები, „ავჟანდაძეთა სასისხლო სიგელი“, კრებულში: „ქართული წყაროთმცოდნეობა 2011/2012, ტ. XIII-XIV.

სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, თბ., 1973.

ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1969.

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნი II (1213 წლიდამ – 1700 წლამდე). გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ჟორდანიამ, ტფ., 1897.

ყუბანეიშვილი ს., აკად. მარი ბროსეს წერილები გორელ მოღვაწე დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილისადმი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ. 5944.

ჩიღვინაძე გ., დავით მიტროპოლიტი, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „ხომლი“, თბ., 2013, № 3.

ციციშვილი ირ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1994.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი, წერილები: №2, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16.

ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1996.

ხურციძე ბ., იმერეთის ეპარქია 1821-1917 წწ. გივი ტყეშელაშვილის რედ., ქუთაისი 2008.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1996.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. VII, Тифл., 1878.

Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, gv. 100-125.

„Кавказский календарь”, 1849, отд, IV.

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

DIMITRI MEGHVINETKHUTSESISHVILI'S TRIP TO THE WEST GEORGIA

RESUME

This paper concerns Dimitri Meghvinetkhutsesishvili's trip to the West Georgia on May 17 - July 21, 1850 according to his diaries.

The trip diaries describe well-known churches and monasteries as well as relatively less explored sites (In Imereti: Gelati, Bagrati, Motsameta, Geguti, Vani, Nokalakevi, Sachkhere, Kharagauli, Sachino, etc.).

Dimitri Meghvinetkhutsesishvili does not describe just only churches, monasteries and holies, protected there but often applies popular legends and traditions.

The diaries are enclosed with drawings which significantly increase the importance of them; they give us a clearer picture of the described churches, monasteries, holies and antiquities protected there. The diaries are also enclosed with the author's extensive commentaries and analysis based on the views of famous Georgian historiography scientists.

The main part of the paper is based on the materials protected at Georgian National Center of Manuscripts, in Dimitri Meghvinetkhutsesishvili private collections and in the manuscript department at the Institute of Oriental Studies of St. Petersburg Academy of Science, in Mari Brosse collections. It is noteworthy that some of the above-mentioned materials are to be published for the first time.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში


ᲨᲐᲕᲘ
ᲖᲦᲕᲐ
ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ
– ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ
– ᲪᲘᲮᲔ-ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ
– ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ- ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ
– Დ. ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲗᲮᲣᲪᲔᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ
ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ
ᲐᲜᲐᲙᲣᲤᲘᲐ
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ
ᲓᲠᲐᲜᲓᲐ
ᲞᲔᲓᲘᲐ
ᲛᲔᲡᲢᲘᲐ
ᲣᲨᲒᲣᲚᲘ
ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲘ
ᲓᲔᲑᲘ
ᲒᲚᲝᲚᲯᲘ
ᲪᲐᲑᲘᲠᲘ
ᲛᲘᲜᲓᲐᲪᲘᲮᲔ
ᲠᲝᲜᲘ
ᲙᲕᲔᲮᲘ
ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲔᲚᲘ
ᲨᲐᲠᲗᲐ
ᲨᲐᲠᲗᲘᲠᲘ
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ
ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲐ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ
ᲒᲘᲛᲝᲠᲬᲘᲜᲔᲚᲐ
ᲛᲔᲠᲯᲕᲔᲚᲘ
ᲠᲔᲓᲣᲢ-ᲙᲐᲚᲔ
(ᲥᲣᲚᲔᲕᲘ)
ᲮᲝᲒᲘ
ᲮᲝᲜᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲒᲔᲚᲐᲗᲘ
ᲛᲘᲣᲬᲐᲛᲘᲗᲐ
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲔᲡᲘ
ᲡᲐᲕᲐᲜᲔ
ᲡᲣᲯᲣᲜᲐ
ᲬᲘᲚᲐᲨᲘ
ᲕᲐᲜᲘ
ᲑᲐᲚᲓᲐᲗᲘ
ᲨᲘᲠᲐᲙᲐᲜᲘ
ᲢᲐᲑᲐᲙᲘᲜᲘ
ᲣᲑᲘᲡᲘ
ᲕᲐᲠᲫᲘᲐ
ᲚᲐᲨᲢᲘ
ᲛᲝᲚᲘᲗᲘ
ᲮᲣᲠᲐᲗᲘ
ᲒᲝᲠᲘ
ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ
ᲛᲔᲖᲘᲝᲥᲐᲠᲔᲚᲘ
ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲘ
ᲜᲣᲜᲘᲡᲘ
ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲪᲘ
ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘ
ᲛᲘᲝᲠᲗᲔᲗᲘ
ᲐᲗᲔᲜᲘ
ᲠᲝᲜᲗᲘ
ᲐᲮᲚᲘᲠᲘ
ᲒᲐᲗᲣᲨᲘ
ᲮᲘᲚᲝ
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ
ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ
ᲛᲐᲡᲢᲐᲠᲘ
ᲛᲘᲜᲓᲐᲕᲘ
ᲛᲘᲜᲓᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ
ᲠᲘᲠᲘᲗᲘ
ᲠᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ
ᲓᲘᲪᲘᲡ
ᲓᲘᲪᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ
ᲛᲔᲖᲘᲝᲥᲐᲠᲔᲚ

გურამ კუტალაძე
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
გიორგი ჟუჟუნაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებელი და „ქართული მსოფლიო“

ქართველი ერის „მებრძოლ, სისხლსა და ოფლში დაქანცულ“ მესვეურ-მოჭირნახულეთა შორის, რომელნიც მათი ღვაწლითა და დამსახურებით ერის მამებად უცვნია ისტორიას დავით აღმაშენებელი უპირველესია. „მის ხელში – როგორც მოკვეთილად ამბობს ზურაბ ავალიშვილი – საქართველოს ძველი მონარქია გვეხატება როგორც ცხოველმყოფელი, გარემოებასა და იმ დროს შეფერებული დაწესებულება, ღრმა ფესვების მქონე და ნაყოფიერი, როგორც ნამდვილი, ხალხის თვალში ღვთის მიერ დალოცვილი, ერის მემკვიდრეობითი წინამძღოლობა. სახელმწიფო აზრის, გამგეობის, წინაჭვრეტის, მზადების მუდმივი და აუცილებელი ორგანო“[1]. ამ დაწესებულებას, ეროვნული შემოქმედება-კულტურის გვირგვინს და, ერთდროულად, მის სიმბოლოსაც, აღმაშენებელმა მიზნად დიდი და მასშტაბური იდეა დაუდო; მეფის მთელი პოლიტიკა, შიდა თუ საგარეო, რეფორმატორული თუ სამხედრო ღვწა – მოთარეშეთა ალაგმვა, მათი განსხმა ქვეყნიდან და „მამულის“ (სახელმწიფოს) აღდგენა ისტორიულ საზღვრებში; „ახლად მოგება“ საზღვრებისა „ნიკოფსითგან დარუბან-

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან. თბ. 1989, გვ. 27.

დისა ზღუდმდე და ოვსეთითგან სოერად და არეგაწამდე“[1]; რეფორმები, რომლებიც ეროვნული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. განსაკუთრებით, სარწმუნოებრივ-რელიგიური და საგანმანათლებლო ამ დიადი მიზნითაა გაპირობებული, მას ემორჩილება. ამჯერად დავით აღმაშენებლის დასაძირკვლებულ ამ იდეას, უფრო მის ზოგად კონტურებს შევეხებით, მისი სარეალიზაციო პრინციპებისა და მეთოდების მითითებით, რითაც დავით აღმაშენებელი უდავოდ მსოფლიო რანგის პოლიტიკურ ფიგურად წარმოდგება. სხვათა შორის, ეს მასშტაბური იდეა ზუსტად და მკაფიოდაა შეცნობილი და გადმოცემული ზურაბ ავალიშვილის ისტორიულ ნარკვევში „გარშემო ერთი ომისა“, რომელსაც ვეყრდნობით ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებისას[2].

ვნახოთ, როგორ ახასიათებს „საქართველოს დამცველი აბჯრის მთავარ მჭედელს“ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „რამეთუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათჳს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა, და ჭრელ მრავალფერობისათჳს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩვენი ესე გჳრგჳნოსანი და ახლი ალექსანდრე, დაღათ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმჭნითა უმცირე, და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე“[3].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. გამ. მომზ. ი. დოლიძემ. თბ. 1965, გვ. 19.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I. გამოც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1955, გვ. 338.

აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსის განათლების, პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის შესახებ ქართული ისტორიოგრაფია, სავსებით სამართლიანად, ძალზედ მაღალი შეხედულებისაა[1]. ამდენად, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი პასაჟი მატიანისა სულაც არაა „რიტორობის“ ხერხით გაპირობებული მაღალსიტყვაობა მეფის მაღალნიჭიერი თანამოსაგრისა. მართლის თქმის, მხოლოდ ჯეროვან, როგორც თვითვე ბრძანებს, „ნივთთა საქმეთა“ აღწერის პოზიციაზე პრინციპულად მდგომი ისტორიკოსი ზედმეტს არაფერს წერს – თხზულების ყოველს სიტყვას თავისი ფუნქცია აქვს, სათანადოდ გააზრებული, გაცნობიერებული და, შეიძლება ასეცა ვთქვათ, არგუმენტირებულიც; ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მისი, მართალია, სუბიექტური, მაგრამ, ვიმეორებთ, ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზზე დაფუძნებული შეხედულებაა გადმოცემული, რომელიც, ესეც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, ჩვენი ანონიმი ავტორის მიერ პოლიტიკური მოღვაწის შეფასებისათვის მომარჯვებულ მართებულ კრიტერიუმებს ემყარება – განზრახვა და საქმე, რომელ საქმეთა „მძლედაც“ ეს პოლიტიკოსები ითქმიან ანუ საბოლოო შედეგი მათის ღვწისა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენს ყურადღებას მოტანილი ამონაწერის ერთ ფრაზაზე შევაჩერებთ – „არცა განზრახვითა“. სიტყვა „განზრახვა“-ს ცნებითი მნიშვნელობა ნათელია და იგივეს გამოხატავს იმას, რასაც „აზრი“, „მიზანი“, გნებავთ, „გულში ჩათქმა“ ან „მოწადინება“ სიტყვები[2]. საკითხავი და გასარკვევი ისაა, რა განეზრახა ქართველ მეფეს, რა ჩაეთქვა გულში ისეთი, რითაც ალექსანდრე მაკედო-

---

[1] მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი. თბ. 1990, გვ. 12-19.
[2] ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ. 1978.

ნელზე აღმატებულად მოსჩანს და არა მხოლოდ თანამოსაგრე მემატიანის თვალში.

ყველა მკვლევარი, რომელიც კი დავით აღმაშენებელს შეხებია ერთხმად აღიარებს იმას, რომ აღმაშენებელმა საქართველო კავკასიური მასშტაბის სახელმწიფოდ აქცია, გასწია და გააფართოვა მისი მიჯნები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერია საბოლოო მიზანთან, „განზრახულთან“ შედარებით. განზრახულია კი „ქართული მსოფლიოს“ შექმნა-აგება, შემომკრებად მთელი კავკასიისა, იმიერისა და ამიერის, აქ მოსახლე ერების, ენების, სარწმუნოების, მოკლედ, კავკასიის სრული სიჭრელე-მრავალფეროვნების ერთ პოლიტიკურ-კულტურულ ოჯახად ქცევა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, იდეის მიზანდასახულებიდან გამომდინარე, ძირითადად, სამი მიმართულებით ვითარდება, რომელთაგან, პირველ რიგში, გამოირჩევა ე.წ. სომხური ვექტორი, რასაც „საუცხოოდ გზას უხსნიდა – სომხეთის პოლიტიკური ბედის საერთო მიმდინარეობა სწორედ XI საუკუნის მეორე ნახევარში... ქართველთა ქრისტიანობა (მიუხედავად სარწმუნოებრივი განხეთქილებისა) და, განსაკუთრებით, მათ მეფეთა ბაგრატოვანობა უეჭველად აადვილებდა ამ სომხეთის ნაწილთა საქართველოსთან დაკავშირებას: და სწორედ ამ დაკავშირებამ, სხვათა შორის შესაძლებელი გახადა ის დიდი საქართველო, რომელიც XII საუკუნეში ჩვენ წინ გვიდგა“[1]. ვარდან ბარძბერდეცის ცნობებით დავითმა ლორეს აღებასა და ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს გაუქმება-შემოერთებასთან ერთად დაიჭირა გაგი, ტერუნაკანი, კაენი კაიწონი, ტავუში, მაჰკანაბერდი და სხვა[2]. ანისის სამეფო გათავი-

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 28.

[2] მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, გვ. 286.

სუფლება და შემოერთება ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის გვირგვინად უნდა ვცნოთ.

მეორე მიმართულებით, იგი შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც აღმოსავლურ-მუსლიმური. გააქტიურებულმა პოლიტიკამ ქართველ მეფეთა ტიტულატურას, როგორც ცნობილია, შემატა „შირვანშაჰობა“, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბების ლოგიკური გზა საბოლოოდ არ დასრულებულა: დავითის მემკვიდრეთა ხანაში შირვანის ნაწილში, მართალია, ვასალიტეტის პირობით, მაგრამ ისევ აღსდგა შირვანშაჰების ხელისუფლება, ნაწილი კი დარჩა საქართველოს ფარგალში[1]. დავით აღმაშენებლის განაზრახი, გააზრებული, როგორც ზურაბ ავალიშვილი უწოდებს, შეგნებული პოლიტიკა „სწორედ ისეთი, როგორიც შეეფერებოდა საქართველოს მეფეს ჯერ მის მაჰმადიან ქვეშევრდომთა ხათრით, მერე მისი სახელის გავლენის და სიუზერენობის აღმოსავლეთ კავკასიაში გასავრცელებლად და განსამტკიცებლად“[2], მტკიცე ბალავარი იყო მომავალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი შემოქმედებისათვის, რაც, სამწუხაროდ, დავითის შემდეგ, სხვადასხვა ფაქტორების გამო სათანადოდ ვერ რეალიზდა.

მესამე – აღმაშენებლის ხელმწიფურ ჩანაფიქრში ჩრდილოეთის ვექტორის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ საჭიროებს, სათანადო შეფასებას. ამ მიმართულებით საქართველოს მონარქის მიერ გამოვლენი პოლიტიკური ნება და მიღებული სათანადო შედეგი არავის შეუფასებია ისე ამომწურავად, ღრმად და ლაკონურად, როგორც ზ. ავალიშვილმა შეძლო, ამდენად, უმჯობესია სიტყვა მას დავუთმოთ: „ჩრდილო კავკასიის მეზობლებზე რაღა ითქმის? მათთან დაახლო-

[1] მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, გვ. 292.
[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 29.

ება, მეგობრობა, სამსახურში მათი მიღება, იქიდან „ყივჩაყთა“ ჯარის შესაქმნელად მოყვანა, დარიალის კარი მიმოსვლისათვის („გზა მშვიდობისა“) გახსნილი – საერთოდ იქაურ საქმეთა მეგობრული მოწესრგება – ხომ ერთი უმთავრესი დარგთაგანი იყო დავით II-ის სახელმწიფო მოღვაწეობისა და ამ მოღვაწეობის შედეგრად უნდა ჩაითვალოს“[1].

ახლა, ეპოქის საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურას მივხედოთ, გავიხსენოთ მახლობელი აღმოსავლეთში დატრიალებული მოვლენები და მათი გავლენა საქართველოს ცხოვრებაზე, შესაბამისად, ვცადოთ დავით აღმაშენებლის „განაზრახში“ მთელი ამ კონტექსტის გათვალისწინება.

მახლობელი აღმოსავლეთი რელიგიურ და სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაშია ჩანთქმული. მორწმუნე ევროპა აღძრულა ქრისტეს საფლავის გამოხსნის იდეით და დაუნდობელი ბრძოლას აწარმოებს აღთქმულ ქვეყანაში, გააფთრებით იფატრება მუსლიმური სახელმწიფო ერთეულების კულტურული და პოლიტიკური ორგანიზმი; დასავლეთის ქრისტიანები აღფრთოვნების ნირვანაში ჩაფლულან, დამდგარა ხანა „ოცნებათა განხორციელებისა, გაგონილის ხილვისა, ზეპირად ნასწავლის შეხებისა. აღმოსავლეთიდან ნადავლის – ხალიჩა-ოქრო-ვერცხლი გარდა, ისევ მოდიოდა სინათლე, სიბრძნე, ცოდნა. იქ, ზღვის გაღმა – ისმოდნენ საქმენი საგმირონი; და იქ იყო ქრისტეს საფლავი, აწ გახსნილი, წყარო ნეტარებისა“ – ხატოვნად წერს ზურაბ ავალიშვილი თავის საისტორიო ნარკვევში[2].

აღმოსავლეთი თავს იცავს, გახელებითა და დაუნდობლობით, მათს სიშმაგესა და კონსოლიდაციას ჯვაროსანთა მიერ არაერთგზის გამოვლენილი სისასტიკე აათკეცებს. სის-

---

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 29.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 3.

ხლიანი თეატრონის პერიფერიაზე საქართველო მეფეს, საკუთარი დიადი, სტრატეგიული მიზნის ტაქტიკაზე მოფიქრალს, წარმოუდგენელია ყურადღების მიღმა დაეტოვებინა ეს მოვლენები, არ გაეაზრებინა ჯვაროსნული ლაშქრობების მიზანი, მიმართულება და მოსალოდნელი შედეგები. საქართველოს გეოკულტურის ზედმიწევნითი შეფასებისა და მიმდინარე რეალურ-პოლიტიკური კონტექსტის ჯეროვანი ანალიზის შედეგად იშვა პრაქტიკულად უცთომელი კურსი: „საქართველოსა და ჯვაროსანთა მოქმედების ხაზები ერთმანეთში თავისებურად ჩაიხლართნენ“, იკვანძება მოკავშირეობა და პარტნიორობა: „...გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გაძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიმზამთრებდეს ქართლს“[1], – ამბობს ქართველი მემატიანე, რომელსაც მხარს პარიზის მღვდელმთავრის მოწაფე, იერუსალიმში ქრისტეს საფლავის კანტორი ანსელმი უბამს: საქართველოს სამეფო „მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“-ო[2].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო სისრულითაა შესწავლილი დიდგორის „ძლევაი საკვირველი“, მისი გამომწვევი მიზეზები, რომლებიც რ. მეტრეველს დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ნაშრომში ასე აქვს ჩამოყალიბებული: „დიდგორის ბრძოლის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი იყო დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნა, დამოუკიდებელი ქალაქების დამორჩილებისათვის წარმატებული ბრძოლა და შექმნილი საგარეო ვითარება, რომელიც აიძულებდა მუსლიმანური სამყაროს მესვე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 326.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 18.

ურთ ძლიერი საქართველოს სახელმწიფოს სახით თავიანთი დიდი მტერი დაენახათ და ერთად შეკავშირებულთ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადებინათ მისთვის"[1]. მაჰმადიანურ კოალიციას მიზნად საქართველოს მზარდი ძლიერების დამხობა დაესახა, ოდინდელი მონაპოვარისა და გავლენის დასაცავად; ვფიქრობთ, ამ კოალიციის ერთი მნიშვნელოვანი მიზანიც ამოძრავებდა, რაც თვით კოალიციის შექმნისა და დიდგორის ომის ერთ-ერთ, არცთუ უმნიშვნელო, მიზეზადაც მოსჩანს. აღმაშენებლის უდრეკი ნება – საქართველოს გაწმენდა მოთარეშე სელჩუკთაგან, საზღვრების აღდგენა-განმტკიცება, საომარი ოპერაციების საქართველოს ფარგლებს გარეთ გატანა და, ბოლოს და ბოლოს, სამეფოს გაფართოება, რაც უზრუნველყოფილი ხდებოდა მუდმივი ჯარის შექმნით, ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლ სამუსლიმანოს დიდ საფრთხეს უქმნიდა პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის დაქსაქსვის თვალსაზრისით. ჯვაროსანთა ძლიერი მოკავშირის საბოლოოდ განადგურებით მუსულმანური სამყარო თავიდან აიცილებდა ორ ფრონტზე დაუცხრომელ ბრძოლას და საბოლოო და გადამწყვეტ დარტყმას წარმართავდა ჯვაროსანთა წინააღმდეგ, ვფიქრობთ, მუსლიმური კოალიციის მეთაურის გეგმებში ეს განზრახვა იდო. ამდენად, ზემოდასახელებული მიზეზების გვერდით, ეს ფაქტორი არანაკლები მნიშვნელობისა იყო საიმისოდ, რომ პირველი კოალიციური დარტყმა საქართველოს მიელო.

ევროპელ ჯვაროსანთა და საქართველოს სამეფოს პარტნიორობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ისტორიის მკვლევარები ერთხმად მიუთითებენ იმ ძირეული წინააღმდეგობაზე, რაც მოკავშირეთა მიზანდასახულებასა და

[1] მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, გვ. 194.

აღმოსავლეთთან ურთიერთობის სტრატეგიასა და გამოცდილებაში ვლინდებოდა და რაც, საბოლოო ჯამში, გაწეული ურთიერთდახმარების მიუხედავად, აშორიშორებდა კიდეც მათ[1]. ეს წინააღმდეგობა, შეიძლება ვთქვათ, ფუნდამენტური ხასიათისა იყო, საქართველოს გეოკულტურული, შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, ბედისწერით გაპირობებული. ამას გულისხმობს ზ. ავალიშვილი, როცა წერს: „იმდროინდელი საქართველო, ერთის მხრივ, მართლაც რომ ჯვაროსნად ჩაითვლება და ამის ნიშნად ფულებზე დავით მეფე „ქრისტეს მონად“ (აბდულ-მესიად) და „ქრისტეს ხრმლად“ იწოდება. მაგრამ ნამდვილი მდგომარეობა უფრო რთული და შინაარსიანია, საქართველო მაჰმადიანთა მუდმივი მეზობელი იყო და მათი კულტურის ნაწილობრივი თანამოაზრე. მერე მუსულმანობა დიდ ადგილობრივ მოვლენასაც წარმოადგენდა თვით კავკასიის ქვეყნებში და ქართველთა სახელმწიფოებრივი აზროვნება, როგორც უკვე აღნიშნულია, ისახავდა საკუთრივ ჯვაროსნებზე უფრო ფართო ეროვნულ და სარწმუნოებრივ გეგმას“[2].

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის დაზუსტებას, დავით მეფე იწოდება „მესიის მახვილად“, თუ მისი ძე დემეტრე. ღირებული აქ იმის ხაზგასმაა, რომ მეფე, რომელმაც „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა... ხოლო ამათ თანა რაოდნი ეკლესიანი აღაშენა... რაოდენნი ეკლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთი-

---

[1] მესხია შ., საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბ. 1986, გვ. 72 და მომდევნო; მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, გვ. 294-295.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 32.

სად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანა და შეაწყნარა ქრისტესა, და დასდვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსთაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე"[1], მეფე მედგარი ბურჯი სარწმუნოებისა, მოკავშირე ჯვაროსნებისა არასდროს თავად არ ყოფილა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „ჯვაროსანი". იგი დაუნდობელი, საზარლად მრისხანეა სარწმუნოებისა და მამულის მტრებისა, მაგრამ, ასეთვე მეფური ლმობით ემსჭვალვის სახელმწიფოს ქვეშევრდომებსა და მოკავშირეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური, როგორც დღეს იტყვიან, იდენტობისა.

აქვე ტიტულთან – „მესიის მახვილი" – დაკავშირებით გვსურს მცირე შენიშვნა გავაკეთოთ: მკვლევარი გ. ჯაფარიძე მიუთითებს, რომ ამ ტიტულის მატარებლებად სპარსული დოკუმენტების მიხედვით ზოგიერთი ქართველი მხედართმთავარიც გვევლინება, რაც, მკვლევრის აზრით, საბოლოო ჯამში, „სრულიად აშკარად გამოხატავს არა ქრისტეს მშვიდობისმოყვარე მისიას, არამედ მებრძოლი ქრისტიანობის პოზიციას"[2]. ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი მნიშვნელობს ქრისტიანობის მცველ-დარაჯის, სარწმუნოების გუშაგისა და ბურჯის, ქრისტეს მოსავთა წინააღმდეგ მახვილით აღძრულთა მახვილითავე წარმწყმედის შინაარსით და არა შემტევი აგრესიული პოზიციის გადმოცემით, მაგრამ ეს სხვა, საგანგებო განხილვის, საგანია.

მოტანილი აზრის საილუსტრაციოდ სახელითა დიდი და საქმით უდიდესი მეფის სარწმუნოებრივ პოლიტიკას გან-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 354.

[2] ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, თბ. 1995, გვ. 231.

ვიხილავთ, მომავალ საქართველოსათვის საუკეთესო ტრადიციად ნაანდერძევს, რომლის ჯეროვანი გააზრებისათვის, პირველ ყოვლისა, მეფის პიროვნების განცდაა საჭირო;

რელიგიურ ასპექტით – ვინ არის დავით აღმაშენებელი?

მოვუსმინოთ მეფის ანონიმ ისტორიკოსს: „ესე შიში უფლისა მოიგო სიყრმითგან თჳსით დავით, და ჰასაკსა მისსა თანა აღორძნდა, და ჟამსა თჳსსა ესევითარნი ნაყოფნი გამოიხუნა, რომლითა ორკერძო ცხოვრება თჳსი განასუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თჳსნი, რომლითა განაგნა და წარმართნა სულიერნი.

...გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთადც – საღმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შემოიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან, ძუელნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სახოვან ქმნილმან, და ესეოდენ შეიყუარნა და შეითჳსნა, რომელ სთქუამცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძვრის. იგინი იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი – შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“[1]. ისტორიკოსი თვითვე გვარწმუნებს საკუთარი სიტყვების უნიჭობაში – „წარსწყმედს უფალი „ყოველნი რომელნი იტყჳან სუცრუვესა“. მოგეხსენებათ, ეს, მართლის თქმის, პრინციპი ჩვენი ისტორიკოსისა მსჭვალავს მთელს კრებულს ჩვენი ეროვნული ისტორიისა „ქართლის ცხოვრება“-ს და მის ავტორებს. ფილოსოფოსი მეფის გამომეძიებელი გონება თეოლოგიური კვლევა-ძიებითაც ყოფილა გატაცებული, რის შე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 347-348.

სახებაც არაერთგზის მიგვანიშნებენ ქართველი და უცხოელი ავტორები.

ყველა აღმოსავლური წყარო, რომელიც კი აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების ინფორმაციას მოიცავს, ერთხმად მიუთითებს მეფის სისასტიკეზე. მოვუსმინოთ იბნ ალ-ასირის შედარებით ვრცელ ინფორმაციას: „ალყა შემოარტყეს თბილისს, ისინი (ქართველები) ებრძოდნენ მათ, ვინც იყო მასში (ქალაქში); ძლიერ შეავიწროვეს ისინი და მისი (თბილისის) მოსახლეობა საშინელ მდგომარეობაში ჩააგდეს, ალყა გაგრძელდა 1122 წლამდე, როცა მათ ძალით აიღეს იგი (თბილისი). ქალაქის მოსახლეობამ, როცა დაინახა დაღუპვის საშიშროება, გაგზავნა ქართველებთან ყადი და ქათიბი და მშვიდობა ითხოვა; მაგრამ ქართველებმა არ შეისმინეს მათი თხოვნა შეურაცხყვეს ისინი და ძალით შევიდნენ ქალაქში, დაანგრიეს და გაძარცვეს იგი“[1]. ქართველთა სისასტიკეზე საუბრობს მათე ურჰაელიც: „ქართველთა მეფე დავითმა... სასტიკად ამოწყვიტა ქალაქი, ხოლო ხუთასი კაცი ძელზე გასვა და წამებით მოაკვდინა“[2]. იგივე შეხედულება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, მაგალითად, შ. მესხია წერს: იერიშით აღებული ქალაქი, პირველ სამ დღეს, მეფემ თავის ლაშქარს მიანება საძარცვავად, თვით კი ქალაქის ხელისუფალთ სასტიკად გაუსწორდა“.[3]

მუსლიმი ავტორების ცნობით, გულისწყრომისაგან დამცხრალ მეფეს მუსლიმებისათვის მრავალი შეღავათი დაუწესებია: დაადგინა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის. მან მოჭრა მონეტა ხალიფასა და სულთნის

---

[1] მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 112.
[2] მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 112.
[3] მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 113.

სახელით და მისცა მათ უფლება აზანისა და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის აბანოში და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცონ ხალიფა და სულთნისათვის და არა მისთვის. მან დააწესა გამოსაღები ყოველწლიური, ქართველისათვის – 5 დინარი, ებრაელისათვის – 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის – 3 დინარი. იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მაჰმადიანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხს და სუფიებს, როგორიც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან (თბილისელ მუსლიმებთან) 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმებისადმი დადებული ყველა ეს პირობა აქამდეო" – ალ-ფარიკის ეს ინფორმაცია სხვა მუსლიმი ავტორების – ალ ჯაუზი და სხვათა ცნობებითაც დასტურდება[1].

მუსლიმი მმართველების სწრაფვა ხუტბის უფლების მოპოვებისაკენ პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო, რადგანაც „ხუტბაში გამოიხატებოდა ხატიბისა და მის მიერ წარმოდგენილი თემის პოლიტიკური ორიენტაცია. ხუტბაში მმართველის სახელის გამოტოვება ნიშნავდა უნდობლობას ამ მმართველისადმი და მის გამოცხადებას დამხობილად... ხუტბის უფლებას, რომელიც დავით IV თბილისელ მუსლიმებს უბოძა, ვერ მივანიჭებთ დიდ პოლიტიკურ დატვირთვას, თუმცა კი ამ ღონისძიებით მეფე, უეჭველია, აკმაყოფილებდა მათ ამბიციებს" – აღნიშნავს გ. ჯაფარიძე და იქვე დასძენს, რომ მუსლიმების მდგომარეობა საქართველოში, საზოგადოდ, მუსლიმურ ქვეყნებში მცხოვრებ ქრისტიან ზიმიებზე გაცილებით

[1] მესხია შ., საისტორიო ძიებანი. ტ. III, გვ. 116; ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 234-238.

უმჯობესი იყო[1]. დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების რჯულშემწყნარებლობის საკითხის განხილვისას ბატონი გ. ჯაფარიძე, აჯამებს რა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ თემაზე გამოთქმულ შეხედულებებს, წერს: „**ისინი** (ქართველი მეფეები – გ.კ., გ.ჟ.) ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ იმ პრინციპებსა და პრაქტიკას, რომელიც გავრცელებული და მიღებული იყო მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში და საკმაოდ ნაცნობი იყო თბილისში მუსლიმთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის წყალობით. ამასთან, ცხადია... საქართველოს სამეფო კარი იმასაც ითვალისწინებდა, რომ მუსლიმური სამყარო ანგარისგასაწევ ძალას წარმოადგენდა... საბოლოო ჯამში კი ტოლერანტიზმი ხელს უწყობდა საქართველოს მრავალეროვან სახელმწიფოში შინაური მშვიდობისა და ერთობის დაცვას“[2]. საქართველო დგამდა საიმისო ნაბიჯებს, რომ მრავალეროვანი სახელმწიფო შეექმნა საკუთარი ეგიდით; ასეთი იყო მეფის ჩანაფიქრი, საქართველო კავკასიური მასშტაბის ძლევაშემოსილ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო, სადაც თავს მოიყრიდა ყველა კავკასიელი ერი. მოგეხსენებათ, პოლიტიკური იდეისა და პოლიტიკური მოღვაწის სიდიადე მისი მოღვაწეობის შედეგით იზომიწონება. ამ მხრივ დავითის ღვაწლი მართლაც რომ შეუდარებელია – შედეგი, როგორც ბრძანებს ზურაბ ავალიშვილი, „ძველ საძირკველზე გაორკეცებული ძალით და ერთა შეჯგუფებით აშენებული“ ახალი საქართველო აღმოცენდა[3].

---

[1] ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 238.

[2] ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 251.

[3] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 43.

გრანდიოზული ხელმწიფური ჩანაფიქრი მეფისა მთლიანად განწონის მის სარწმუნოებრივ პოლიტიკას. დავით აღმაშენებელი „მესიის მახვილია“, საქრისტიანოზე მტრად მოსულთ იგი მეხთამტეხელად ევლინება. მრისხანე ძალა და სიმტკიცე და შეუვალობა დაანახა მან თბილისელ მაჰმადიანებს, მათი სახით მთელს სამუსლიმანო სამყაროს, საიმისოდ რომ სამუდამოდ დაჰკარგოდათ აღძრული მადა აღმოსავლეთში, პრაქტიკულად, ერთადერთი საქრისტიანო სახელმწიფოს მონელებისა.

რჯულშემწყნარებლობა, მეტიც, მფარველობა და წაყლობა ისლამური სარწმუნოების მიმართ საძირკველშია ამ დიდებული პოლიტიკური ჩანაფიქრისა. ამგვარად შეკრულ საქართველოს სახელმწიფოში ურყევად უნდა დაცულიყო ტომობრივ-ეთნიკური და სარწმუნოებრივი თავისთავადობა.

ამდენად ტოლერანტობა ჩვენი მეფისა გაცილებით ღრმა და გაცილებით ღირებულ საფუძველს ემყარება, იდეას, რომელმაც ახალი რეალობა უნდა შვას, ახალი, კავკასიური მასშტაბის საქართველო, დავითამდე და დავითის შემდეგაც, კარგა ხნის მანძილზე, არა თუ ჩვენში, არამედ კაცობრიობის მეწინავე ერებშიც არსმენილი კულტურულ-პოლიტიკური პრინციპებითა და ფასეულობებით.

დავით მეფის ესევითარი ტოლერანტობა-რჯულშემწყნარებლობა, საუკუნეებს გადმოტყორცნილი დღეის-დღის ქართული კულტურის ცოცხალ ტრადიციად უნდა აღორძინდეს, რათა დაასაძირკვლოს ახალი ქართული პოლიტიკა, ახალი ქართული კულტურულ-პოლიტიკური ცნობიერება, თანამედროვე გეოკულტურულ რეალობაში ჯეროვანი როლისა მოპოვებისა და დამკვიდრებისათვის.

დამოწმებანი:

ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, თბ., 1989.

ლორთქიფანიძე მ., „საქართველო XI-XII საუკუნეებში“, გვ. 80-118.

მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986.

მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.

ნეიმანი ალ., ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

პაპასქირი ზ., ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ანუ დიდი დავითი. წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამ-დე, თბ., 1990.

ქართლის ცხოვრება, ტ. I, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამ. მომზ. ი. დოლი-ძემ, თბ., 1965.

ჯაფარიძე გ., საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1995.

Guram Kutaladze
Guram Tavartkiladze Teaching University
Giorgi Zhuzhunashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

DAVID THE RESTORER AND
“THE GEORGIAN WORLD”
RESUME

David the Restorer is the first among those who devoted themselves to the construction of Georgian Statehood and did a lot for this huge idea: the whole domestic or internal policy of this monarch, reforms or military deeds, annihilation of riders and enemies, their expulsion from the country and restoration

in the historical borders; “new assertion” of the land “from Nicopsis to the Sea of Derbent (Caspian Sea) and from Ossetia, Soer to Aregats (Mount Aregats, Armenia)”; reforms that touched to every sphere of the life in Georgia. He is in charge of the religious and educational policy as well, all these were under his supervision. Now, let’s speak about the creation of that idea to see the general contours and the means of realization of all these principles that makes David the Restorer to be undeniably the World ranking political figure of his age.

In regards to all over mentioned we will try to pay attention to the one of his phrase – “not with an intention”. Our discussion will be focused on the intention of the Georgian monarch which makes him superior to Alexander the Great and not only in the eyes of his contemporary historian.

All researchers who had discussed the deeds of David the Restorer recognizes the fact that David made Georgia as a state of the Caucasian scale, enlarged its reaches, but this is nothing in comparison to final goal, to construct the “Georgian World”, unification of the whole Caucasus, North and South, unification of the nations, languages, religions, otherwise to collect the whole diversity of Caucasus into one political-cultural family.

According to his objectives David’s policy could be divided into three main directions, from which the first of all, so-called Armenian vector, should be distinguished; second direction could be referred as Eastern – Islamic; third – Northern vector. Latter, I think, still needs to be properly analyzed. It is important to pay attention to the international political contours of the international policy and we have to try to foresee David the Restorer’s “intentions” regarding to this whole context. Through this context the title of “Sword of Messiah” is very interesting. In our opinion this title has a

meaning of defender of Christianity, the guardian of faith and not the attacker from aggressor's perspective.

Here we put the question: who is David the Restorer – from religious perspective?

According to his "intentions" ethnical and religious identities should have been protected in Georgia. Also tolerance of our monarch was deeper and was based on strong values, idea, that should have born new reality, Georgia of Caucasian scale, before David and after David, long after that period, not only among us, but also among the nations of the World with unheard cultural-political principles and values.

The religious tolerance of David the Restorer should have to revive as a living tradition of Georgian culture to fabricate new Georgian policy, new Georgian cultural-political consciousness for the establishment of proper position of Georgia in the contemporary geopolitical reality.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველო და მონღოლები (1240-1260-იანი წლები)

მეფე რუსუდანმა მონღოლთა ჩრდილოეთის ულუსის (1243 წლიდან ოქროს ურდო) მბრძანებელ ბათო-ყაენთან 1243 წელს[1] დადებული ზავის თანახმად, საქართველომ მონღოლთა საყაენოს უზენაესობა სცნო[2].

საქართველოს ორ უმნიშვნელოვანეს მხარესთან – აღმოსავლეთთან და დასავლეთთან განსხვავებული მიდგომა იყო. აღმოსავლეთი მონღოლებმა იარაღით დაიპყრეს და საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და ჯარი ნოინების მეთაურობით, ლიხთიმერი კი თავის წვლილს შეიტანდა მონღოლებისათვის გადასახდელ ყოველწლიურ ხარკში და მონაწილეობას მიიღებდა მონღოლთა ლაშქრობებში. თავდაპირველად ყაენი რუსუდანის ძეს, დავითს (შემდეგში დავით VI ნარინი) ცნობდა

---

[1] ზავის დადების ორი თარიღი გვაქვს: 1242 (ლომინაძე ბ., მონღოლებთან დაზავება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 550) და 1243 წლები. ნინიძე დ., ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, 1998, გვ. 388-389. ვფიქრობ, დ. ნინიძის მიერ შემოთავაზებული თარიღი უფრო მისაღებია მკვლევრის მიერ მოხმობილი არგუმენტების გამო.

[2] მონოლებთან დადებული ზავის პირობების შესახებ იხ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებები თორმეტ ტომად, III, თბ., 1982, გვ. 24; ლომინაძე ბ., მონღოლებთან დაზავება, გვ. 550-551; ნინიძე დ., ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში, გვ. 389-390.

სრულიად საქართველოს მეფედ...[1] თუმცა 1246 წელს საქართველო მონღოლებმა ორ დავითს (აღმოსავლეთ საქართველოში დავით ლაშას ძე – ულუ და დასავლეთ საქართველოში დავით რუსუდანის ძე – ნარინი) გაუყვეს, მაგრამ ორივე მეფე, გარკვეულ დრომდე თბილისში იმყოფებოდა. ასეთ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბ. სილაგაძემ გამოსთქვა მოსაზრება, რომ არავითარი ორხელისუფლებიანობა არ ყოფილა და ურდოდან დაბრუნების შემდეგ ერთადერთ ხელისუფლებას დავით ულუ წარმოადგენდა[2]. მაგრამ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოს ამტკიცებს ქართული საისტორიო მწერლობა (ჟამთააღმწერელი[3], ვახუშტი ბატონიშვილი[4]). ორივე დავითი, გარკვეულ დრომდე ერთმანეთთან შეთანხმებით მართავდნენ ქვეყანას.

---

[1] ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.) // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 550-551.

[2] სილაგაძე ბ., მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება // „მაცნე“, 1970, №1, 75-76, 81.

[3] ისინი რომ ერთმანეთთან შეთანხმებით განაგებდნენ საქართველოს, ყოველ შემთხვევაში, თბილისში ერთად ყოფნის დროს მაინც, ჟამთააღმწერელს მოვუსმინოთ: „თვით მე მინახავს, რომელ სიგელებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი“, და ნებითა ღ̄თისითა, დავით და დავით“ და ჴელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე [არს], და ჩემ დავითისგან მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ... ორნივე დავით და დავით სიყვარულსა ზედა ეგნეს და არა წინაღუდგებოდეს ერთმანეთსა... ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა დავითს ეპყრა ლაშას ძეობისათჳს, დაღაცათუ უხუცესობისათჳს“ // ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959, გვ. 226-227.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი ჟამთააღმწერელის თხზულებაზე დაყრდნობით მსჯელობს დავით ულუსა და დავით ნარინის სანიმუშო ურთიერთობაზე: „ხოლო მეფობდნენ ეს ორნი დავითნი სრულსა სიყვარულსა ზედა, და ნიჭსა თუ სიგელსა ორისავე ჴელმოწერითა მისცემდნენ, არამედ აქუნ-

ზავის დადებამ ქართველი ხალხი დამპყრობლისადმი მორჩილებაში ვერ მოიყვანა. იგი მაშინვე შეუდგა ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად (კოხტასთავისა და თბილისის შეთქმულებები).

ვიდრე საქართველოს მონღოლთა უღელის ქვეშ ყოფნის თავისებურებებზე საუბარს გავაგრძელებდე, მანამდე უნდა ითქვას ჩინგისხანის (1206-1227) სიკვდილის შემდეგ მონღოლთა იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესახებ, რის გამოც საქართველო მონღოლების მიერ შუა აზიაში და ჩრდილო-დასავლეთში დაპყრობილი ქვეყნებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელმაც კავკასიასა და ანატოლიაში ძველი პოლიტიკური წყობის შენარჩუნება განაპირობა, იყო მონღოლების ელიტაში დაპირისპირებული ჯგუფების არსებობა. ანატოლია და კავკასია აღმოჩნდა სადაო ტერიტორიად, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ოქროს ურდო და დიდი ხანები. ჩიგისხანის ანდერძის მიხედვით მიწები ამუდარიიდან არალის ზღვამდე, რომელშიც რუმი (მუსულმანური და ქრისტიანული ანატოლია და ბიზანტია), სირია, ირანი ჩინგისხანის უფროსი ვაჟის ჯუჩის ულუსში შედიოდა. მაგრამ ჯუჩისა და ჩინგისხანის სიკვდილის შემდეგ (1227 წ.) დასახელებულ ქვეყნებზე ხელისუფლება გადავიდა ჯუჩის ვაჟის ბათუს (1227-1255) ხელში. ბათუს დაუპირისპირდნენ დიდი ხანები და დაიწყო ბრძოლა ჯუჩის ულუსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისათვის[1].

და უპირველესი პატივი დავით ლაშას ძეობისათჳს და ჟამითაცა უხუცესი იყო“ // ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 213.

[1] Allsen Th., Conquest and Culture in Mongol Eurasia, Cambridge, 2001, p. 51-56; Петрушевский И. П., Иран и Азербайджан под властью

ჯერ კიდევ მონღოლთა დაპყრობების დასაწყისში ანატოლია და კავკასია გადაიქცა ბრძოლის საგნად ოქროს ურდოს დამაარსებელ ბათუსა და ნოინ ბაიჯუს შორის. ეს უკანასკნელი იყო დიდი ხანის წარმომადგენელი ირანში. ანატოლიისა და კავკასიის სახელმწიფოები, პირველ რიგში იკონიის სასულთნო, კილიკიის სომხეთი, ტრაპიზონის იმპერია და საქართველო ცდილობდნენ მონღოლებს შორის არსებული წინააღმდეგობანი თავიანთი ტრადიციული მოწინააღმდეგეების დასასუსტებლად და საკუთარი ქვეყნების შიგნით მეტოქეების გასანადგურებლად გამოეყენებინათ, რაც იწვევდა დასახელებული ქვეყნების დესტაბილიზაციას.

თვალს თუ გავადევნებთ მონღოლების მიერ წინა და შუა აზიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში დაპყრობილ ქვეყნებს, მონღოლებმა მათ მთლიანად მოუსპეს სახელმწიფოებრიობა და უაღრესად სასტიკ პირობებში ჩააყენეს. თუ მათ შევადარებთ ანატოლიასა და მისი მეზობელი სომხეთის და საქართველოს მდგომარეობას, ნათელი ხდება, რომ დამპყრობლებმა საბოლოოდ ვერ შეძლეს მათი ინკორპორაცია და ვერ გაანადგურეს მათი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები[1].

ბათუს სიკვდილის შემდეგ (1255) ოქროს ურდოს გავლება ანატოლიაში შესუსტდა და მაშინვე ირანის მონღო-

---

Хулагуидов (1256-1353). // Татаро-монголы в Азию и Европе. Москва, 1970, с. 232; Коробейников Д. А., Византия и государство Ильханов в XIII - начале XIV в.: система внешней политики империи // Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики, СПб., 1999, с. 428-473 442. Шукуров Р. М., Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 гг. // Причерноморье в средние векаб СПб., Москва, 2000, т. 4, с. 177-208 (*historic.ru/books/foo/soo/zoooo186/-stoo8.shtml*)

[1] Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, СПБ., 2007, с. 368.

ლებმა იერიში მიიტანეს რუმის სასულთნოზე, დაიმორჩილეს და ბაიჯუმ ის თავის კაცს ჩააბარა[1]. ანატოლიასა და საქართველოში კი მონღოლებმა დასტოვეს ძველი პოლიტიკური წარმონაქმნები და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ადგილობრივ მეფე-მთავრების მიერ მონღოლთა უზენაესი ხელისუფლების აღიარებით. ისიც ნათელია, რომ ეს სახელმწიფოები მკაცრად იყვნენ დამოკიდებულნი მონღოლებზე, რომლებიც უცერემონიოდ ერეოდნენ მათს შინაურ ცხოვრებაში და მძარცველური ექსპლოატაციით ანგრევდნენ მათს ეკონომიკას. მიუხედავად ამისა ანატოლია-კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა გარკვეული სუვერენიტეტი და შესაბამისად პოლიტიკური მანევრების შესაძლებლობა შეინარჩუნეს. ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს მაგალითი. 1242-1245 წლებში ბაიჯუს უნდოდა საქართველოს სუვერენიტეტის განადგურება და მისი მონღოლეთის იმპერიაში ინტეგრაცია. რუსუდანმა ბათუს მიმართა და მისი დახმარებით 1242-1243 წლებში შესძლო იმერეთიდან თბილისში დაბრუნება თავის თანამმართველ ვაჟთან, დავითთან ერთად (შემდეგში ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინი, 1245-1292). ამის საწინააღმდეგოდ ბაიჯუ საქართველოს მეფედ აცხადებს თავის კანდიდატს, დავით ულუს (გიორგი ლაშას ძე, 1245-1270), რასაც შემდეგში საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა მოჰყვა.

როგორც ვ. ალენი აღნიშნავდა, მონღოლთა მიერ წინა აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკის შედეგად მივიღეთ დაპყრობილი ხალხების მიმართ ორი ტიპის მიდგომა: სელ-

[1] Cahen Cl., Pre-Ottoman Turkey, london, 1968, 275-276; Жаворонков П. И., Никейская империя и Восток // Византийский Временник, 1978, т. 39, с. 93-101; Шукуров Р. М., Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 (*historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml*)

ჯუკური და ქართული, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, – სომხური. რუმი და საქართველო თავიდან წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს და დახმარებას ეძებდნენ ბათუსთან, მაგრამ დამარცხდნენ. კილიკიის სომხეთმა და დიდი სომხეთის მთავრებმა, პირიქით, სცნეს ბაიჯუს უზენაესობა და არა მხოლოდ გადურჩნენ გამანადგურებელ თავდასხმებს, სელჯუკებს წაართვეს ზოგიერთი თავიანთი მიწები[1].

კიდევ უფრო გამკაცრდა მონღოლთა უღელი მოსახლეობის აღწერისა (1254 წ.) და გადასახადების მთელი სისტემის შემოღებით, რაც საქართველოს ყველა სოციალურ ფენას უმძიმეს ტვირთად დააწვა.

1259 წლის ზაფხულში ნარინ დავითმა დიდი აჯანყება დაიწყო მონღოლთა წინააღმდეგ და ჰულაგუ ყაენის გამოგზავნილი ჯარი დაამარცხა. დავით ნარინმა მეორედ მოსულ მტრის დიდ ჯართან შებმა აღარ ინება და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის ადგილობრივმა დიდებულებმა „აფხაზეთის“ მეფედ გამოაცხადეს. ამგვარად ერთიანი საქართველოს ადგილას წარმოიშვა სამი პოლიტიკური ერთეული: აღმოსავლეთი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო. თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა

1260-1261 წლებში მოხდა მეორე აჯანყება ულუ დავითის ხელმძღვანელობით. აჯანყების საბაბი გახდა ჰულაგუ ყაენის ბრძანება ეგვიპტეში გალაშქრების შესახებ. ლაშქრობაში დავით VII ულუ თავისი ჯარით უნდა წასულიყო. მაგრამ მეფემ უარი განაცხადა მონღოლების ამ ლაშქრობაში

[1] Allen W. E, A History of the Georgian People, London, 1932, p. 113; Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, с. 369; Шукуров Р. М., Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 (*historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml*).

მონაწილეობაზე. მას მხარი დაუჭირა დიდებულების მხოლოდ მცირე ნაწილმა, უმრავლესობამ ლაშქრობაში წასვლა ამჯობინა. მონღოლთა ჯარის სიმრავლემ თავისი გაიტანა და 1260-1261 წლების აჯანყება მარცხით დამთავრდა. დავით ულუც დროებით, ვიდრე მონღოლებთან ურთიერთობას მოაგვარებდა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

მონღოლები ვერ ბედავდნენ ლიხის მთაზე გადასვლას. დავით ნარინი აღარც ხარკს იხდიდა. დასავლეთი საქართველო ფაქტიურად მონღოლთა დაქვემდებარებიდან გამოვიდა.

დავით ულუს ლიხთიმერეთში ყოფნისას მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ მოსალოდნელი იყო კონფლიქტი ორ მეფეს შორის. დაიწყო დაპირისპირება ორი დავითის მომხრეებს შორის იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე. დავით ულუსათვის აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლას აუცილებელს ხდიდა ის გარემოებაც, რომ მონღოლებს შეიძლებოდა იქ სხვა გაემეფებინათ. დავით ულუმ მონღოლებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. მონღოლების ინტერესებში არ შედიოდა უმართავი ქვეყანა, რომელიც თავის მოვალეობას მათ წინაშე ვერ შეასრულებდა. დავით ულუს მოლაპარაკებაზე თანხმობა გამოუცხადეს. ის აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა და 1264 წელს მეფე და სარგის ჯაყელი ყაენის გამოძახებით უკვე ურდოში, ბარდავში, იყვნენ. სასტიკი სასჯელისაგან მეფე იმან გადაარჩინა, რომ ამ დროს ცნობილი გახდა ჩრდილოეთიდან, დარუბანდის გზით ოქროს ურდოს ყაენის, ბერქას დიდი ჯარით შეჭრის შესახებ. ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთი საქართველოს სტრატეგიული და ქართველთა ჯარის მნიშვნელობა გაითვალისწინეს ყაენის კარზე და დავით ულუ თავისი ჯარით მონღოლთა სამსახურში დააბრუნეს. ამ დროიდან იწყება ქართველთა ხანგრძლივი მონაწილეობა ოქროს ურდოსა და

ილხანთა შორის დაწყებულ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მძიმე მოვალეობების შესრულებაში. აღმოსავლეთი საქართველო დიდად ზარალდებოდა აქ გამართული სამხედრო შეტაკებების და ჩამოსახლებულთა მოქმედების შედეგად. ყოველივე კი იწვევდა აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური დონის თანდათანობით დაქვეითებას.

დამოწმებანი:

ლომინაძე ბ., მონღოლებთან დაზავება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

ლომინაძე ბ., მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.) // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.

ნინიძე დ., ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, 1998.

სილაგაძე ბ., მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება // „მაცნე“, 1970, №1

ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ჯავახიშვილი ივ., თხზულებები თორმეტ ტომად, III, თბ., 1982.

Жаворонков П. И., Никейская империя и Восток // Византийский Временник, 1978.

Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, СПБ., 2007.

Коробейников Д. А., Византия и государство Ильханов в XIII - начале XIV в.: система внешней политики империи // Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики, СПб., 1999.

Петрушевский И. П., Иран и Азербайджан под властью Хулагуидов (1256-1353). // Татаро-монголы в Азию и Европе. Москва, 1970.

Шукуров Р. М., Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 гг. // Причерноморье в средние векаб СПб., Москва, 2000, т. 4, с. 177-208 (historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml)

Allen W. E, A History of the Georgian People, London, 1932.

Allsen Th., Conquest and Culture in Mongol Eurasia, Cambridge, 2001.

Cahen Cl., Pre-Ottoman Turkey, london, 1968.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University

GEORGIA AND THE MONGOLIANS (1240-1260)

RESUME

In accordance with the 1243 Treaty between King Rusudan and Bato-Khan – the Mongol ruler of Northern Ulu, Georgia recognized the supremacy of the Mongolians.

The Mongolians had a different approach towards the two major parts of Georgia: the East and the West: the eastern Georgia was conquered by the means of a weapon and it was ruled by the Mongolian officials and Neuns of the army while

the western part of the country was obliged to pay an annual tribute and participate into the Mongolian military campaigns.

If we look through the conquered countries in the Central Asia and Northern Black Sea Coast, we can see that the Mongolians completely destructed their statehood and created extremely harsh circumstances for them. In comparison with the countries, such as Anatolia, its neighbor Armenia and Georgia, the Mongolian invaders definitely failed to completely incorporate them and to distract their national forms of governance.

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მეფის სადროშოს და სარდლის სახელოს ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხისათვის (XV-XVIII სს.)

ერთიანი საქართველოს მონარქიის სამთავროებად დაშ-ლის შედეგად მოიშალა ძველი სამხედრო ორგანიზაცია და იქმნება ქართლის სამეფოს სადროშოები, რომელიც სწორედ მსხვილ სათავადოებზე (საციციანო, სომხით-საბარათიანო და საამილახვრო) დაყრდნობით შეიქმნა. ცნობილია, რომ ვახუშ-ტი ბატონიშვილი სადროშოების შექმნას კახეთში გიორგი VIII-ეს (1466-1476 წწ.) უკავშირებს, ქართლში კი XVI ს. დავით X-ის მეფობას. რაც შეეხება საკითხს, არსებობდა თუ არა XVI საუკუნის დამდეგამდე ქართლის სამეფოში სად-როშოები, ა. კლიმიაშვილს მართებული მოსაზრება აქვს გა-მოთქმული,[1] თუმცა არ ვეთანხმებით ვერსიას - მემარჯვენე სადროშოს XV ს. 70-იან წლებში შექმნასთან დაკავშირებით. მეფის სადროშოში სარდლის სახელოს ძირითადად ციციშვი-ლები იღებდნენ. დღემდე შეუსწავლელია მეფის სადროშოში სარდლის სახელოს ქრონოლოგიური რიგი და გასარკვევია როგორი იყო ფანასკერტელ-ციციშვილთა როლი მეფის სად-როშოს შექმნაში. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ

[1] კლიმიაშვილი ა., მასალები XV-XVIII საუკუნეები ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრ.: XIV-XVIII საუკუნეები რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 123.

წყაროთა მიხედვით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე (1412-1442 წწ.) ფანასკერტელები საკმაოდ გავლენიანი თავადები და სამეფო კართან მოყვრობა-ნათესავობით დაკავშირებულნი არიან. ჩემს მიერ წარმოებული კვლევით[1] სინის მთის სულთა მატიანის მოსახსენებლის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების, საეკლესიო მუზეუმის №193 სვინაქსარის მინაწერის და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელის შედარებითი ანალიზით შესაძლებელი გახდა თაყა ფანასკერტელისა და მისი მეუღლის, დემეტრე მეფის ასულის, რუსუდანის იდენტიფიცირება. ეს, ერთი მხრივ, პირდაპირ მიანიშნებს შიდა დინასტიური ქორწინების პოლიტიკურ საფუძველზე და, მეორე მხრივ, სამეფო კარის და ციციშვილების ინტერესთა თანხვედრაზე. დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, ალექსანდრე დიდისგან მიიღო საუფლისწულოდ „სამეფო დომენის“ მნიშვნელოვანი ნაწილი - „მტკვრის გაღმა მხარის“ სრული ბატონ-პატრონობა. ვახტანგ IV-ის (1442-1446 წწ.) უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრეობის წესის მიხედვით ლეგიტიმური უფლებები მეფობაზე ჰქონდა ვახტანგ IV-ის მომდევნო ძმას, კონსტანტინეს II-ის მამას, დემეტრე უფლისწულს, რადგან ცნობილია, რომ გიორგი VIII დემეტრეს უმცროსი ძმა იყო ალექსანდრე დიდის მეორე ქორწინებიდან. აშკარაა, სამეფო კარზე განხეთქილება სწორედ გიორგი VIII-ეს უნდა წამოეწყო და გამარჯვებულმა მძლავრობით იგდო ხელთ სამეფო ტახტი 1446 წელს. ასეთ ვითარებაში კანონიერი ტახტის მემკვიდრე დემეტრეს ისღა დარჩენოდა მამისაგან ბოძებულ მამულში გამაგრებულიყო, მოეპოვებინა ადგილობრივ ძლიერ

[1] მიჩიტაშვილი მ., საციციანოს დაარსების ისტორიიდან, გორის სახელმწიფო სასწ. უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, გვ. 204-205.

თავადთა მხარდაჭერა, რაც ამ საგვარეულო სახლების შეუ-ვალობის უფლებების დაცვის პირობებით ადვილად შეძლო და, მათ შორის, ფანასკერტელ-ციციშვილთა უძლიერეს საგ-ვარეულო სახლის წინამძღოლ თაყას, თავის ასულს-რუსუ-დანს ცოლად აძლევს. ამ ქორწინებამ კიდევ უფრო დააახ-ლოვა სამეფო კარისა და სათავადოს შიდა პოლიტიკური ინ-ტერესები. მათი ალიანსი ცუდად ენიშნა მეფეს და ხელსაყ-რელ შემთხვევისთანავე ცდილობდა გაეტეხა, დაესუსტებინა ფანასკერტელ-ციციშვილთა სეპარატისტული მისწრაფებები, წაერთმია ციხე-სიმაგრეები, ყმა-მამული და დაემორჩილებინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის.[1]

1452 წ. მეფე დემეტრეს მოულოდნელად გარდაცვალე-ბის შემდეგ მისი მემკვიდრის, კონსტანტინე II-ის მეფობის ლეგიტიმურობის უფლების მიუხედავად, იძულებულია ბიძის ხელყოფისაგან დაიცვას საუფლისწულო მამული, სწორედ მის მხარდამჭერ თავადებზე, ციციშვილებზე, ჯავახიშვილებსა და ბარათაშვილებზე დაყრდნობით. კონსტანტინე დემეტრეს ძე, თავის მხრივ, წყალობასა და მფარველობას არ აკლებს ერთგულ საგვარეულო სახლებს.[2] ნაწყალობევი ყმა-მამული ამ ეპოქაში განიხილება, როგორც მემკვიდრეობითი ქონება. ფანასკერტელ-ციციშვილთა ერთგული სამსახური გაცემული წყალობის აუცილებელი პირობაა, იმავდროულად მიზეზიც და მეფის გაცხადებული მიზანიც. სწორედ ამ მოკავშირე ან-გარიშგასაწევ ძალებით შეინარჩუნა ქართლის სამეფო ტახტი მეფე კონსტანტინემ 1463 წელს ჩიხორის ბრძოლის შემდეგ.

---

[1] ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 51-52.

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448, ს.64; კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 21.

სრულიად იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466-1478 წწ.) ალექსანდრე დიდის ძმისწული, თავს ორივე ტახტის ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა, როგორც ჩანს, სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტოს ჩამომავლობა აძლევდა ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების ამბიციებს[1]. „ორიანობის“ შეთანხმებულ მმართველობის პერიოდზე მიგვანიშნებს თვით მეფე კონსტანტინეს სიტყვები 1468 წლის დოკუმენტში: „ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ღვთივგვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კონსტანტინე...“.[2] 1466-1468 წწ. მათი შეთანხმებული თანამეფობიდან გამომდინარე ვერ შეძლო გიორგი VIII-ემ ქართლში დამკვიდრება, რის გამოც იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. თუმცა მშვიდობიანი თანამეფობა ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა,[3] „ხოლო გიორგიმ ზავ-ჰყო ბაგრატის თანა და დაიპყრნა კერძონი კახეთისანი...წელსა ხუთსა მათ შორის შფოთი. ვინაჲთგან კოსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოჴევენი, სომხითი და ლორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერჩოდენ ნებასა მისსა, განათუ მეფენი არა იბრძოდენ, არამედ

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14903; ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 43.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ. 280.

[3] ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 383.

სპანი მარადის.“[1] „სპანი მარადის“ - მიანიშნებს არა მარტო, მეფეთა სპის გამუდმებულ ურთიერთბრძოლას, არამედ ჯარის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაზეც. კახეთიდან საფრთხე მოითხოვდა საპასუხოდ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას ქართლის სამეფოს ტახტის დასაცავად. ასეთ ქმედითი ნაბიჯი სწორედ სადროშოების შექმნა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მტკვრის მარცხენა მხარეს, ბაგრატ VI ფლობდა მტკვრის ჩრდილო და მარცხენა სანაპიროს, ლიახვამდე. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ XV ს. 60-იან წლებიდან, მისი მოკავშირე და დასაყრდენი ძალა ზევდგინიძე-ამილახვრები არიან.[2] მათთან მოკავშირეობა ბაგრატ VI-ემ გაამყარა შიდა დინასტიური ქორწინებით, ამაზე სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ წარწერაც მიგვანიშნებს. თავისი და, გაიანე, ცოლად ჰყავს გორის მოურავ ამირინდო ზევდგინიძეს. უზუნ ჰასანის შემოსევისას 1477 წელს მეფე კონსტანტინეს ამირინდოსთვის გორის დაცვა უბრძანებია, მაგრამ, მისივე ძმების ნების გათვალისწინებით, მტერს ქალაქი დანებდა. ამ ღალატის გამო იძულებული გამხდარა კონსტანტინეს გარიდებოდა და ცოლ-შვილით სამცხეს გადახვეწილიყო, სადაც 1481 წელს კონსტანტინესა და მანუჩარ ათაბაგის ბრძოლისას დაიღუპა. [3] მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ქართლში ბაგრატ VI-ეს სხვა მომხრეებიც უნდა ჰყოლოდა, მათ შორის მოკავშირე იმ 7 დიდებულთაგან...რომლებიც თან

---

[1] ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 384; კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები,. III, ტფ., 1913, გვ. 21.

[2] ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XVსაუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 14-15, 51.

[3] მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, თბ., 1996, გვ. 11.

ახლდნენ ბაგრატს უზუნ ჰასანთან ზავის დადებისას.[1] ბაგრატის შორს მიმავალი გეგმებიც მიანიშნებდა შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას მეფე კონსტანტინესგან, რასაც უზრუნველყოფდა სადროშოები. ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ზედგინიძე ამილახვართა და ბაგრატ VI-ის ურთიერთობა, საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში XV ს. 70-იან წლებში მემარჯვენე სადროშო, რომელიც ზემო ქართლს მოიცავდა, ამილახვრებით სათავეში ვერ შეიქმნებოდა. ამ პერიოდში „გაღმა მხარის“ მეფის ერთგული, სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული სათავადოებიდან, საციციანო ქმნის მეფის სადროშოს და სომხით-საბარათიანო კი მეწინავე სადროშოს, რაც შეეხება მემარჯვენე სადროშოს, სავარაუდოდ XV ს. 80-იანი წლებიდან ბაგრატის VI-ის გარდაცვალების შემდეგ უნდა შექმნილიყო. ისტორიული დოკუმენტებით[2] ამ წლებიდან ჩანან ამილახვრები ქართლის მეფის მხარდამჭერნი და ახალ სამოკავშირეო ძალებთან, ციციშვილებთან მოყვრობა-ნათესაობით დაკავშირებულნი.[3] ეს ქორწინება ამიერიდან ამილახვრების ქართლის მეფის ქვეშევრდომობის გაცხადებასაც მიანიშნებდა და მეფის მემარჯვენე სადროშოს სახელოს მიღება მათთვის სწორედ ამ პერიოდში იყო შესაძლებელი. შინაპოლიტიკური ვითარებით აიხსნე-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVIსს.) თბ., 2009, გვ. 92.

[2] ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XVსაუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 44.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა, შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 333, 356.

ბა, რომ ქორწინება ამ პერიოდისათვის ერთგულების ერთგვარ გარანტად გადაქცეულა დასუსტებული სამეფო კარისთვისაც. ამ მხრივ საინტერესო და მრავლისმთქმელია მეფე კონსტანტინე მეორის სიტყვები მისი მემკვიდრის, დავით X-ის ბარათაშვილის ქალზე დაქორწინების შესახებ, რომელიც იმ ეპოქის რეალობის ანარეკლია: „ცოდვითა სიმრავლისა და სოფლის ვითარებისგან ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუენი შვილი დავით და უხვედრი ბარათაშვილისა ასული შეირთო“-ო.[1] ასეთივე კავშირით იყვნენ შეკრულნი ციციშვილები და ბარათაშვილები.[2]

ამრიგად, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, აიძულებდა მეფე კონსტანტინეს მოკავშირე თავადებთან და მათ შორის ფანასკერტელ-ციციშვილებთან სიმტკიცე შეენარჩუნებინა, თუნდაც შიდა დინასტიურ ქორწინებით. ფაქტიურად ამით წყდებოდა არა მარტო გაღმა მხრის თავადთა შეუვალობის და კონსტანტინეს მეფობის საკითხი, არამედ ქართლის სამეფოს ბედი.

XV საუკუნის 70-იან წლებში საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდა. ანტიოსმალურ კოალიციაში 1474 წელს ევროპიდან რეალური დახმარების მიღება ვერ მოხერხდა. უზუნ ჰასანის „მოკავშირეობის“ საფრთხე აშკარად უფრო დიდი საშიშროების მომტანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. ქართული და ევროპული წყაროთა ცნობები თითქმის იდენტურია 1477 წლის უზუნ ჰასანის საქართველოზე თავდასხმის გეგმასთან დაკავშირებით. უზუნ ჰასანი საკმაო სიფრთხილეს იჩენს და ასაიდუმლოებს საქართველოზე თავდასხმას. მხოლოდ კარგად მოფიქრებული მოუ-

[1] იქვე, გვ. 306.
[2] იქვე, გვ. 325.

ლოდნელობის ტაქტიკით შეძლო დედაქალაქის აღება.[1] როგორც ჩანს სათანადოდ აფასებდა კონსტანტინეს ძალებს და თბილისის აღების შემდეგ არჩია კიდეც დაზავებოდა მეფეს. მიუხედავად მძიმე შიდაპოლიტიკური ვითარებისა აწარმოებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას ანტიოსმალური კოალიციის საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ეგვიპტის მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეისთან (1468-1496) ესპანეთის მეფესთან და რომის პაპთან.[2] მისი მგზნებარე მამულიშვილობა, საბრძოლო პათოსი და საკუთარი ლაშქრით ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის პირობა, საფუძველს ნამდვილად იძლევა ქართლში სადროშოების არსებობის შესახებ. ამდენად, სადროშოების შექმნის აუცილებლობას XV საუკუნის 70-იან წლებში ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა.

მეფის სადროშოს საზღვრების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ ვიდრე ტაშისკარამდე“. „აღმოსავლით ლილოს საზღვრით ...აღმოსავლეთ-სამჴრითკენ ლოჭინამდე...მუნით განვლის სამგორსა.. მიადგების... ჴევ-ძმარს, და ჴევ-ძმარი მტკვარს მოადგების, და მტკვრის კიდე მცხეთამდე. სამჴრით ლოჭინის-ჴევი და გამოღმართ კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, და წყნეთის გორა, და სკჴრეთის ჩრდილოდ კერძი სხალ-დიდამდე, და სხალ-დიდიდამ დიდგორის მთამდე მიყოლით: ერიქალის მთა, კლდეკარი, ერჯევანი, თორის მთა და გაყოლით ნარიანის ხაზი ტბის-ყურამდე; ჩრდილოდ მტკვარი და დასავლით დამჩხერა-

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVIსს.), თბ., 2009, გვ. 89-91.

[2] იქვე, გვ. 97-98.

ლოდამ სადგერსა და თორს შუა ბაკურიანის მთამდე და ტბის ყურამდე“. [1] ე.ი. გუჯარეთი მეოთხე სასპასპეტოშია, რაშიც გვარწმუნებს აღწერა თბილისიდან მტკვრის მარჯვნივ მყოფი ხევებისა, რომელიც მთავრდება გუჯარეთის აღწერით: „აღწერის დამთავრებისას მოკლედ შენიშნავს: „სამწყსონი კათალიკოზისანი“ არიანო.[2]

XVI ს. დასაწყისისათვის შავწყალას ხეობაში დაწინაურებული სადგერი მეფის სადროშოს სამხრეთ საზღვრებშია, ამაზე მიგვნიშნებს 1569-1578 წლის დაუთ-ხანის სიგელი ბოძებული სადგერის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის გიორგის და მისი შვილებისადმი.[3] ცნობა ოსმალთა მიერ, 1578 წელს ლალა ფაშას ლაშქრობაზე, „ქართლს ვერ ჩაუვიდეს და ამოსწყუიდეს სადგერი“.[4] 1595 წ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში თორი უკვე პეტრეს ლივად მოიხსენიება. 1647-1650 წ. საბუთით ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილი უშვილოდ დარჩენილებისა და გაურჯულოების შიშით პაატა გოგიბასშვილი თხოვს ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილს დახმარებას სადგერის დასაბრუნებლად: „...როსტომ ფაშის ჭელი ედვა. მოგახსენეთ და გალაპარაკეთ, როსტომ ფაშას მრავალი მიართვით, რომ სასყიდლად გაგჭირებოდა და კიდეც იყიდდი და სხვა ღონე არა გვქონდა და პატრონი... ვითაცა უშვილონი და უძეონი ვიყავი გათათრებისა და გაურჯულოებისა გვეშინოდაათ. თქვენის მაგდენი ქრთამითა და ჩვენის ხვეწნითა როსტომ ფაშისაგან ნება დავირთევით და

---

[1] ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 333.

[2] იქვე, გვ. 347.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-479.

[4] შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 51,94.

მოგართვით ჩვენი მკვიდრი, უჩხუბარი და უცილობელი მამული სოფლათ სადგერი...გარშემო სოფლები და ნასოფლარები ...მოგენათვლივნენით და ჩვენი სული და ხორციცა თქვენს ჭელთ ჩამოვაგდევით.“[1] რაც შეეხება ახალდაბას XVI ს. დასაწყისში 1526 წლიდან მეფის სადროშოს შემადგენლობაშია.[2] ამაზე მიუთითებს „მესხური მატიანეც“[3] და სიმონ მეფის 1591 წლის განჩინება[4]. მეფე თეიმურაზს 1747 წელს მიუცია ახალდაბა სარდალ ქაიხოსრო ორბელიანისათვის.[5] ახალდაბასთან, ტაშისკარს ყოველთვის მნიშვნელოვან და კარგად გამაგრებული პუნქტს და საბაჟოს სამეფო კარი განაგებდა. აქედან ახალციხისაკენ მიმავალ გზას კორტანეთთან მდგარი სამეფოს მცველნი ამაგრებდნენ ხეობას.“აქ კვეთდა ორი გზა ტაშისკარ-პატარა ახალდაბაზე მომავალი და მტკვრის ნაპირით კორტანეთზე“.[6] სწორედ აქ გადიოდა საზღვარი მეორე და მეოთხე, სადროშოებს შორის. ვახუშტი ბატონიშვილი ხეობასა და სადგერს მეორე სასპასპეტოში აღწერს. ეს ის პერიოდია, როცა ყველა სახელო ციციშვილებს

---

[1] კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 63.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 493.

[3] შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ. 415.

[4] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ. ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ., 1955, გვ. 38-40.

[5] ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 91,121.

[6] ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985, გვ. 55, 58.

დაკარგული აქვთ. დასტურლამალის მიხედვითაც: „მეფის მდივანი წავიდოდეს ზემო ქართლში, ჴეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშისკარიც დავთარში ჩავარდების. იმას აქათაც საამილახვრომდი და ამილახორის მამულიც.[1] რა თქმა უნდა, საუკუნეების განმავლობაში მეფის სადროშოს საზღვრები იცვლებოდა მეზობელ, მოწინავე და მემარჯვენე სადროშოების, სამეფო კართან და ციციშვილებთან დამოკიდებულების, ასევე ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებების შესაბამისად.

მეფის სადროშოში შედიოდა მცხეთის ეკლესიის სასარდლო ერთეულიც, რომლის სათავეში იდგა მეფისა და კათალიკოსის მიერ დადგენილი სამცხეთოს ყმათა სარდალი. სარდალი ემორჩილებოდა კათალიკოსსა და მეფეს.

სადროშოს უმთავრეს სამხედრო ფუნქციის გარდა, სარდალი ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციასაც ასრულებდა. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში სარდლის გარეშე ზოგიერთი საქმე არ გაირჩეოდა, რადგან თავის მხრივ ვალდებული იყო მეფისთვის მოეხსენებინა თავის სადროშოში არამარტო საგვარეულო სახლის გაყრის, არამედ მიმდინარე სასამართლო საქმეების შესახებ: "რომლისაც დროშის კაცისა გაიყრებოდეს, და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თავისი სარდალი უნდა დაესწრებოდეს". სარდალი აწარმოებდა ხალხის აღწერას, რაც მიზნად ისახავდა მოლაშქრეთა და სახელმწიფო გამომღებთა სიის დადგენას. სწორედ სადროშოს სარდალს ეკისრებოდა პასუხისმგელობა ჩაეტარებინა სადროშოს აღწერა 7 წელიწადში ერთხელ. "საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ., 515.

დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, ის წავა და ერთი მეფისა მდივანი წაჰყვება. მდივანი ასწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი. ეს სარდლები და მდივნები რომ წავლენ, ამათი რიგი და წესი ასრე არის: რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდენ, იმ სოფელმან - საკომლომ ორი შაური და ბოგანომ ერთი შაური ასამწერლოდ უნდა გამოიღონ, და ეს სარდალმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ-"ო.[1] სარდალს ასევე ევალებოდა მეფის მოწოდებისთანავე საბრძოლო მზადყოფნა სადროშოდან ლაშქრის გამოყვანა, საზღვრის დაცვისა და სადაზვერვო ოპერაციები, მტრის ძალების გადაადგილებაზე რეაგირება, სახელმწიფო გადასახადების აკრეფა. ციხე-სიმაგრეთა საბრძოლო მდგომარეობასა და დაცვაზე პასუხისმგებლობა. სარდლობა დიდად გამორჩეული, საპატიო და საპასუხისმგებლო სახელო იყო საციციანოს საგვარეულოსათვის. სარდლის ფუნქციებიდან და სარგოდან გამომდინარე, სარდალი იყო უძლიერესი მემამულე, გამორჩეული ყმა-მამულის სიმრავლით დიდი პოლიტიკური გავლენის და სამხედრო უფლებებით აღჭურვილი პირი სადროშოში. სარდლის დროშა მთავარ დროშად ითვლებოდა და მთელი სადროშოს ლაშქარი ერთიანდებოდა მის ქვეშ.

მეფის სადროშოს პირველი სარდალი საციციანოს წინამძროლი, მეფის წყალობით გამორჩეული, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილია.[2] მეფის ერთგულებით გამორჩეული არადეთის ცნობილ ბრძოლას სარდლობდა 1483 წ. სეპარატისტული ამბიციების მქონე, შეუპოვარ ყვარ-

---

[1] იქვე, გვ. 516-517.

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448, ს. 64.

ყვარე ათაბაგის წინააღმდეგ.[1] ამის შემდეგ წყაროებში ჩანს საციციანოს წინამძღოლად ზაზა ციციშვილის უფროსი ვაჟი - ქაიხოსრო ციციშვილი, რაც მიანიშნებს, რომ თავიდანვე მეფის სადროშოს სარდლობა სამემკვიდრეო სახელოს წარმოადგენდა. იგი თავგანწირვით იბრძვის 1477 წ. უზუნ-ჰასანის და იაყუბ-ყაენის 1486-1488 წწ. წინააღმდეგ ბრძოლებში.[2] ამის შემდგომ პერიოდის დოკუმენტებში, მერაბ ციციშვილზე დაკისრებული სარდლის სახელოს ფუნქციები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი მეფის სადროშოს სარდალია.[3]

XVI საუკუნის მეფის სადროშოსა და საციციანოზე ქართულ წყაროთა სიმწირეს ერთგვარად ავსებს სპარსულ წყაროთა ფრაგმენტული ცნობები. ირანელი დიდებულების, სევინდუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზა მირზას მიერ არზრუმის გამგებლის, აიას ფაშასადმი მიწერილი წერილი, რომელიც დაახლოებით 1554 წ. უნდა იყოს დაწერილი, ჩვენი საკვლევი თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია. სპარსული პირველწყარო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმერეთში

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბ., 1959, გვ. 484; ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ., 1973, გვ. 391; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 39.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 346-347; ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბ., 1973, გვ. 387-389; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVI სს.) თბ., 2009, გვ. 89-91.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 347, 349, 352; კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, II, 1913, გვ. 29-31; კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 56-57; Ad №1410;

ლაშქრობა მართალია ოსმალებმა ვეღარ გაბედეს, რადგან მიუხვდნენ მეფე ლუარსაბის ჩანაფიქრს, ირანისა და ოსმალეთის შესაძლო დაპირისპირებისა, სამაგიეროდ მეფის ერთგული ძალა - საციციანო დაულაშქრავთ და უძლიერესი ციხე-სიმაგრეები მიწასთან გაუსწორებიათ. შემთხვევითი არ არის, რომ პირველ რიგში მძოვრეთის ციხიდან – ციციშვილთა საგვარეულო რეზიდენციიდან იწყება მტრის პირველი შემოტევები, რომელსაც იმერეთში გადასვლამდე თავს ხშირად აფარებდა ლუარსაბ მეფე.[1] ისქანდერ მუნში უფრო მეტ ინფორმაციას გვაძლევს საციციანოზე და მის წინამძღოლ ფარსადან ციციშვილზე: "პირველად მძოვრეთის ციხე გარემოიცვეს, ხსენებული ციხეების სიმტკიცით გათამამებული მეციხოვნენი ბრძოლაში ჩაებნენ. ძლევამოსილი ღაზიები ყოველი მხრიდან უტევდნენ ციხეს და შიგ მყოფნი შეავიწროვეს. ცუდი სარწმუნოების მქონე ქართველებმა დაინახეს თავიანთი სისუსტე და უვნებლობა ითხოვეს. ციხისთავი ფარსადან-ბეგი ციხიდან გამოვიდა და სიმაგრე[ყიზილბაშებს] გადასცა. ხსენებული ციხის დაპყრობის შემდეგ გაემართნენ ატენის ციხისაკენ, რომელიც იქაურ ციხეთაგან უძლიერესი იყო. [ამ ციხეში] იმყოფებოდა ლუარსაბის დედა. ეს იყო ისეთი მაღალი და ძლიერი ციხე, რომ ფრინველსაც უჭირდა მასზე გადაფრენა....ლუარსაბის დედა მრავალ აზნაურთან ერთად ტყვედ ჩავარდა...რამდენიმე სხვა ციხე და სიმაგრეც შაჰვერდი-სულთან ზიად ოღლის მეცადინეობით და მამაცობით იქნა დაპყრობილი... 30.000-ზე მეტი ტყვე ჩაუვარდა ხელში ზღვასავით მქუხარე ჯარს. მათგან ისინი ვინც დიდებულთა, წარჩინებულთა და აზნაურთა ცოლები, ქალიშვილები

[1] კაციტაძე დ., XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 214-215.

და ვაჟები იყვნენ, „ხუთისთავის“ ანგარიშში შაჰის უკეთილ-შობილეს სარქარს მიაკუთვნეს.[1] როგორც ჩანს, ფარსადან ციციშვილმაც იმ „ხუთისთავის“ ტყვეთა შორის ბედი გაიზიარა. ჩვენამდე მოღწეული 1552 წ. დოკუმენტით ფარსადან ციციშვილი მეფეს ახლდა მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად, რაც სარდლის მოვალეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მეფე ლუარსაბის გვერდით ფარსადანი იხილავს ასევე საკითხს, “ბატონი კათალიკოზი და ბატონი წილკნელი მუხრანულსა სამზღუარზედ ირჩეოდეს გუჯარი...“[2] ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი სპარსული და ქართული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, იგი მეფის სადროშოს სარდალი უნდა ყოფილიყო.

1558 წელს მცხეთის სიგელით ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი სიმონ მეფის სახლთუხუცესი[3] და მეფის სადროშოს სარდალია. 1561 წ. ციხედიდთან ბრძოლაში ყიზილბაშების ტყვეობაში ჩავარდა მსხვილი თავადი ზაზა-ბეგი „საქართველოს ერთი პატივცემულ ამირათაგანი“, რამდენიმე აზნაურთან ერთად შაჰის კარზე გაგზავნეს.[4] დატყვევებულ ქართველ დიდებულს ისქანდერ მუნში ჯავჯანა-ბეგად მოიხსენიებს: “ჯავჯანა ბეგი, გამოჩენილი ქართველი ამირი, დაეჭირათ

---

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 21.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II, ტფ. 1897, გვ. 395.

[3] იქვე, გვ. 399.

[4] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 36.

და ქვეყნის საფარველ კარზე გაგზავნეს“.[1] მას წყაროები შემთხვევით არ მოიხსენიებენ „დიდ ფანასკერტელად“. სვიმონ მეფის თავგანწირულმა საბრძოლო წარმატებებმა, ლორეს ციხის აღებამ და ოსმალთაგან გამაგრებული გორის ციხის ალყამ იმდენად შეაშფოთა ოსმალეთის სულთანი მეჰმედ III (1595-1603) რომ, საგანგებო მობილიზაციით საქართველოში მრავალრიცხოვან ჯარს აგზავნის 1599 წლის აპრილის შუა რიცხვებში ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. მის მიერ გამოცემული ფირმანით ნათელია, რამდენად საშიშ ძალად მიაჩნიათ სვიმონ მეფის დაწყებული ანტიოსმალური აჯანყებანი და მის მიერ ოსმალთათვის მიყენებული აუნაზღაურებელი დანაკარგი.[2] ამ ბრძოლაში მეფის გვერდით აქტიურად იბრძვის საციციანო, რომლის წინამძღოლი და მეფის სადროშოს სარდალი წყაროების მიხედვით ფარსადან ციციშვილია.[3] 1599 წელს ფარსადან ციციშვილმა და სულხან თურმანიძემ მეფის დავალებით ციხის ასაღებად კიბეები დაამზადეს და ლაშქარიც საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. შეთანხმებისამებრ დათქმულ დროს ფარსადანმა გორის ციხის კედლებს ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვა და კიბეებით ციხეში გადასვლაც სწრაფადვე შეძლეს. ოსმალებმა გვიან შეამჩნიეს ციხის

---

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 23.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVI სს.) თბ., 2009, გვ.24,325.

[3] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 386, 393, 395.

შიგნით მებრძოლი ქართველები, რამაც გადაწყვიტა კიდეც ციხის აღების საკითხი.[1]

XVII საუკუნის დასწყისიდან მეფის სადროშოს სარდალ ზაზა ციციშვილს წყაროები გიორგი სააკაძის ბრძოლების ავანგარდში მოიხსენიებენ.[2]

როსტომის გამეფების შემდგომ (1632-1658 წწ.) ქვემო საციციანოს წინამძღოლი და სარდალი პაპუნა ციციშვილია.[3] იგი ირანთან კომპრომისული პოლიტიკის მხარდამჭერია და შაჰის წყალობასაც უხვად იმსახურებს.[4]

XVII ს. 60-იან წლებში ქვემო ციციშვილები „სარდალ-სახლთუხუცესები არიან." მეფის სადროშოს სარდალი, კათალიკოს დომენტის დისწული ზაზა ციციშვილია-მუხრან-ბატონთა გვერდითი სამეფო შტოს გავლენიანი, უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იმავდროულად შაჰ სულეიმანის ნდობითა და წყალობით სარგებლობდა,[5] რაც გიორგი

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVI სს.) თბ., 2009, გვ. 325.

[2] ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 422-423; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 67-68.

[3] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448 წ ს. 2316; ფ. 1449, ს. 1055;

[4] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ. 107; საქართველოს სიძველენი III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 145.

[5] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I_2, თბ., 1962, გვ. 19-20, 40-42, 44-45.

ბატონიშვილის მიერ, მისი მკვლელობის საფუძველი გახდა, ქართლის სამეფო კარის ანტისპარსული პოლიტიკური გეგმებიდან გამომდინარე.

XVIII ს. დამდეგიდან ქვემო საციციანო ვახტანგ VI-ის მიერ გაუქმებული იქნა. ციციშვილები კარგავენ არა მარტო სარდლის სახელოს, არამედ სხვა სამოხელეო თანამდებობებსაც. „ოსმალობის“ დროს სადროშოთა სისტემა მთლიანად მოიშალა. რაც შეეხება ყიზილბაშობის პერიოდს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას ყიზილბაშობის დროს სადროშოთა სისტემის მოშლასთან დაკავშირებით ვერ გავიზიარებთ, რადგან, სპარსული და ქართული წყაროებით სადროშოები აღდგენილია, რაც მხოლოდ ნადირ შაჰის პოლიტიკური გეგმებით აიხსნება. 1736-37 წწ. დოკუმენტებით სარდლად ქაიხოსრო ედიშერის ძე ციციშვილი მოიხსენიება.[1] ირანის შაჰების მიერ სარდლად დამტკიცება XVII ს. 30-იანი წლებიდან XVIII ს. მეორე ნახევრამდე ერთგვარ წესად გადაქცეული ჩანს და ქართლის მეფეს შაჰისაგან ნაბოძები სარდლობის ჩამორთმევა თავადისთვის არ შეეძლო. 1742 წლის 26 მაისის ფირმანით: „შაჰინშაჰური წყალობით დაიმედებული ქრისტიანობის ბურჯი ქაიხოსრო-ბეგი ხსენებული თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა... ის ქრისტიანობის ბურჯი ამიერიდან ვაქილობის საქმეში არ ჩაერიოს და... წესიერად იღვაწოს ჯარის მეთაურობის საქმეში.“[2] ქაიხოსრო ციციშვილის მამა, ედიშერი 1717-1719 წწ.

---

[1] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448 ს.5715; ფ. 1448 ს. 5715; ფ. 1449, ს. 2225; კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, V, ტფ., 1913; გვ. 51.

[2] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. 4 თბ., 1977, გვ. 68-69.

ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესია, ნასყიდობის ისტორიულმა დოკუმენტმა შემოგვინახა მისი შვილების სახელები: „ბატონსა ედიშერს, შვილსა თქვენსა ქაიხოსროს, ელისბარს, დავითსა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქ(ვე)ნისათა.“[1] ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევიწროებული ციციშვილები და მათ შორის ედიშერი თავს აფარებს კახეთის მეფეს, კონსტანტინე იმამყული ხანს. ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტიდან[2] ცნობილია, რომ მისი სპარსეთის შაჰთან შუამავლობით მეფე კონსტანტინემ მიიღო ქართლის სამეფო ტახტი, რომლის შესანარჩუნებლად ერთგულად ემსახურებოდნენ მეფე თეიმურაზ II-ეს ედიშერ და ქაიხოსრო ციციშვილები. „ყიზილბაშობის“ დადგომისთანავე სპარსოფილი ედიშერის მემკვიდრის დანიშვნა სარდლად, ნადირ შაჰის საქართველოსა და ჩრდილო კავკასიისადმი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მისაღები კანდიდატურა უთუოდ იქნებოდა.

ციციშვილების სარდლის სახელოზე ყველაზე მეტი მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გვაქვს. თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალის აღწერისას 1745 წ. პ. ორბელიანი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ სადროშოები კვლავ აღადგინეს ძველი რიგის, ქართული ეროვნული დროშის და მეფედ კურთხევის ქართული ტრადიციის მიხედვით: „ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე-მუხრან -ბატონს კონსტანტინეს, მესამე ამილახორს დიმიტრის და მეოთხე

[1] საქართველოს სიძველენი, II, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909; გვ. 298,301, 342.

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448 ს. 5546.

ბატონის კერძო ვლიდა, გაემართნენ მცხეთას მეფენი ორნი...“.[1] ე. თაყაიშვილს უნახავს კონსტანტინე მუხრანბატონისათვის გადაცემული თეიმურაზისეული დროშა. პ. უმიკაშვილს კი ორბელიანების სახლში 1745 წლის მეწინავე სადროშოს სარდლის დავით ორბელიანის დროშა. პაპუნა ორბელიანი არაფერს ამბობს მეფის მეუკანავე სადროშოს სარდლის შესახებ, მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში მოიხსენიებს ალექსანდრე ციციშვილს. სამაგიეროდ XVIII საუკუნის 50-60-იანი წლების ისტორიული დოკუმენტები[2] სარდლად სწორედ ალექსანდრე ციციშვილს მოიხსენიებენ.

მეოთხე სადროშოში იშვიათად, მაგრამ ვხვდებით ორი დიდი სახელოს გაერთიანების ფაქტს.[3] 1773 წ. დოკუმენტებში დავით ალექსანდრეს ძე ციციშვილი ქალაქის მოურავად იხსენიება.[4] 1776 წლიდან მემკვიდრეობით იღებს სარდლის სახელოსაც.[5] 1784 წელს ერეკლეს ბრძანებით, „ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი“ განუახლებია იმ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რომელიც XVIII საუკუნის 80-იან

---

[1] ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 102.

[2] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448, ს.730; საქართველოს სიძველენი, II, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909, გვ. 555; საქართველოს სიძველენი III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ.14; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 436;

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1739

[4] საქართველოს სიძველენი, III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 9, 10.

[5] ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 9; საქართველოს სიძველენი III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 11.

წლებში ატეხილა. „ჩვენის სახასო ყმისაც და ქალაქში ვისაც ყმა ჰყავს, იმათი მოურავი სარდალ-ქალაქის მოურავი, ჩვენი სიძე დავით არის“, ეს მიანიშნებდა, რომ ამიერიდან მოსპო „მრავალმოურავიანობა“, მათ შორის საეკლესიო ყმამოქალაქეთა მოურავის დამოუკიდებლობის უფლებებიც. ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, როგორც ჩანს, ამ ნდობას იმსახურებდა მეფე ირაკლის ასულ ბატონიშვილ მარიამის მეუღლე დავით ციციშვილი, თუმცა ბოძებული სარდალ-მოურავის სახელოსაგან, მეფე საგანგებო 1784 წლის 25 თებერვლის სიგელით მოითხოვს: „ჩვენი ბრძანება არის ჩვენო სიძევ, ციცისშვილო... როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში უმოურავნიათ, ჩვენთვისაც იმავ წესით გვიბოძებია მოურავობა, იმ გზით და იმ რიგით იმოურავეთ. თავაზასა და ხათრს წესიერსა და კანონიერს საქმეზედ ნურავის შეუნახავთ ჭეშმარიტს სამართალსა...“.[1] ამ სახელოს ვალდებულებებისა და სარგოს შესახებ, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „ქალაქის მოურავის გარიგების“ წიგნების გარდა მეტად საინტერესოა პავლე ციციანოვისათვის გადაცემული დავით ციციშვილის ძის, ევსტათის მიერ შედგენილი დოკუმენტი, „ქალაქის მოურავის სარგოს“ შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი შესწორებებით და მანამდე უცნობი დეტალებით ავსებს და სრულყოფს ამ სახელოს სარგოს საკითხს.[2] სარდ-

---

[1] საქართველოს სიძველენი, III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 9, 12.

[2] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, მსკ ისტორიისათვის,შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, ნაკვ. I, (26), თბ., 1948, გვ. 91-92.

ლის, დავით ციციშვილის ფუნქციებზე მიუთითებს მეფე ერეკლე II-ის 1791 წ. მეტად საინტერესო წერილი „...ჩეწნს სიძეს ბატონს სარდალ ქალაქის მოურავო დავითს... „საქუწყნო საქმეები გვაქვს და ვინც თავადები გვყუანან დიდნი კაცნი, ყველანი დაშორებულნი არიან რომ ჩვენთან უნდა ჩამოვიდნენ და შენც ამასა გწერთ... ფერისცვალების მესამე დღეს აქ, ჩვენთან უნდა გამოსცხადდეთ ჰალბათ რომ შენი ჩამოუსვლელობა არ იქნება და ამ ვადაზე უნდა ჩამოხვიდე. მანდ რომ იასაულები გამოვგზავნეთ, იმისი გარიგების ბინა უნდა მისცე. ერთ-ერთი ძმა მანდ უნდა დააგდო, რომ ეგ გაარიგონ და ეგ საქონელი მოიკრიბოს და შენ კი უნდა წამოხვიდე. ჩვენი შვილის იულონისათვისაც მიგვიწერია, რომ ისიც ამ ვადაზედ წამოვა სხვა დიდი კაცნიც ჩვენთან შეიყრებიან და შენც აქ უნდა იყო, რომ უამისობა არ იქნება... მსუბუქი საქმე არ არის რა, დიაღ, კარგი მოდიდო საქმეები გვაქვს.“ [1]

იულონ ბატონიშვილი 1790 წლის წყალობის სიგელში თავგანწირულ მებრძოლად და ერთგულებით გამორჩეულ სარდლად ახასიათებს: „...როგორც თანამდებობა გქონდა ისე მოიქეც და დიდ ერთგულად ირჯებოდი. ჩემზე და იმათგან გამოგზავნილი ჯაშუშებიც დაიჭირე და დაჭერილები მოგვგვარე და მათგან მრავალი ოხრება ჰქონდა ქართლსა... შენი განაყოფ ზაქარია გამოსძღოლოდნენ ოსმალოსა... ორიათას ხუთასი კაცი მოეყვანათ ატენის ხეობაზე... მცირე ჯარი გვყვანდა... ხუთას კაცი ძლივ ჯყავით ...იმათის სიმრავლისათჯნ, მრავალნი ჯნმე იმ დღეს ომსა შლიდნენ...შენ არ დაიშალე და ჩვენც შენს რჩევას დავემოწმენით და ზედაველაზე წავედით... ვახსენეთ ღმერთი და შევებენით...სამს საათადინ

[1] საქართველოს სიძველენი, III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 9.

ასეთ ომი იყო, რომ თოფს კომლისაგან კაცი არ გაირჩეოდა და შენ იმ დღეს ლომურად იყავ და ჩვენს წინ თოფიც მოგ-ხვდა და კაცისაგან მეტობა აღარ იქნებოდა... გამარჯვების მიზეზი უფრო შენ იყავ...“ [1]

ჩვენამდე მოღწეულია 1781 წლის მეფის სადროშოს აღწერის დავთარი, მიუხედავად იმისა, რომ თავ-ბოლო ნაკ-ლულია, მეტად საყურადღებო წყაროა მე-18 ს. მეფის სად-როშოს და დავით სარდალ-მოურავის „საჴელოსა“ და სარ-გოს შესახებ. დავთარში აღწერილია საციციანოს სოფლები: ქარელი, რუისი, თვალათუბანი, ქვახვრელი, დოესი, ხოვლე, ყარაღაჯი, გრაკალი, სასირეთი, ხანდაკი. გამოქვეყნებული დავთარი[2] იწყება სოფელ ქარელის აღწერით, სადაც 57 კომ-ლია. მამაკაცების, ანუ „თავების“ რაოდენობა - 74. მამაკაცია, რუისში - 66, თვალათ უბანში - 19, ქვახვრელში - 5, დო-ესში - 30, ხოვლეში - 39, ყარაღაჯში - 19, გრაკალში - 19, სასირეთში - 42, ხანდაკში - 19 კომლი მოსახლე ყო-ფილა. სულ 1781 წლის ნაკლული დავთრით, მეფის სადრო-შოში - 472 კომლი, თავია. აქედან სარდალ-მოურავს დავით ციციშვილს ყმები ჰყავს, რუისში – 38 თავი; თვალათუბანში სარდალ მოურავის ყმა - 16 თავი; დოესში - 20 თავი; სულ - 74; დავით ციციშვილის ადმინისტრაციული ფუნქციის შე-სახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დამოწმების, მორიგე-ბის და ნასყიდობის წიგნები.[3] საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გადასახადები სადროშოების მიხედვით კი არ ნაწილდებოდა, არამედ სათავადოების და საერისთავოების მი-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-1818.

[2] თაბუაშვილი ა., მეფის სადროშოს აღწერის დავთარი, XVIII საუკუნის II ნახევარი, თსუ შრომები V, თბ., 2012, გვ. 174-177.

[3] საქართველოს სიძველენი III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 15-16, 17-18.

ხედვით. საციციანოს საქვეყნო ხარჯს, დამტკიცებულს ერეკ-ლე მეორის მეფობის დროს პასუხისმგებლობას ამოღებაზე აკისრებდა სარდალს, დოკუმენტი თავნაკლულია, მეტად და-ზიანებულია, თუმცა ირკვევა საციციანოს მხარის გადასახა-დი, „...საციციანოს მჯარეს სარდალ ქალაქის მოურავ...ს) ასარდლო[ს] შესწერდა ....სულ ჯამი გადასახადისა„ იქნა ქუ-ლუჯამი თეთრისა ნზჭფ (ორმოცდაჩვიდმეტთუმან-ნახევარი და ათი შაური). სხვა ხელით... ეს რომელიც საქვეყნო გაწე-რიათ, ეს ასე მთლად უნდა გამოიღოთ, ახლავ მოიტანოთ და თავილდარს მოაბაროთ მთლად...“.[1] სარდალი პასუხისმგებელი ჩანს მდევრობის განწესებაზე, მეფისაგან მიღებული დავალე-ბის შესრულებაზე და სალეკო გადასახადის გადახდაზე. 1799 წლის სალეკოს გაწერის სიით სარდალ-მოურავის გიორგი ციციშვილის (მეფე გიორგი XII-ის სიმამრი) სასარდლოს გამოღმა მხარეს კომლზედ თოთხმეტი შაური სალეკო აქვს შეწერილი. დაანგარიშებული აქვს საერთო თანხა, თან ბრძა-ნება ახლავს: „ამაში თარხნობა და პატივება არავისი იქნება... დაგვიანება არ იქნება. ახლავ, საჩქაროთ და უკლებრად აი-ღო, მოიტანოთ და მოაბაროთ, დაგვიანება არ იქნება, იცო-დეთ.“ [2]

საციციანოს სარდლის მიერ ჯარის გამოყვანაზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის 1800 წლის დოკუმენტი, სადაც ვკით-ხულობთ: „ამ სიით გამოღმა მხარს სათარხნოს საციციანოს გიორგი სარდლის (სასა)რდლოს ჯარი შესწერდა და ასე უნდა გამოიყვანოთ.“ ჩამოთვლილია საციციანოს თავად აზნა-ურები, ვის რამდენი ყმა უნდა გამოეყვანა, სულ 49 კაცი.

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი, III, 1955, გვ. 77-80.

[2] საქართველოს სიძველენი, III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 258-260.

თან ახლავს ბრძანება მეფე გიორგის: „ქ. ბატონო სარდალ-მოურაო ციციშვილო გიორგი!... კარგი ჭელ-გამომღები კაცნი უნდა გამოიყვანოთ, თოფით, იარაღით გაწყობილნი და რო-მელსაც ცხენი ჰყვანდეს-ცხენითა, და რომელსაც ცხენი არა ჰყვანდეს, ქვევითათ წამოიყვანეთ. [ე]რთის თავის ნუზლითა და აქ ქალაქს უნდა შემოგვიყაროთ... დაგვაკლდა ვინმე, კაც-ზედ ორ თუმანს წავართმევთ და ორას ჯოხს დავკრამთ... რომელიც თავადისშვილი არის და აზნაურშვილი ძმიანი და შვილიანი, იმათის სახლიდამ ერთი უნდა წამოიყვანოთ. ეს ჯარი ლეკისთვის გვინდა. მადამდისინ ისინი ამოივლიდნენ, მაგათ რომ ჩამოუსწრონ, ისა სჯობს.“[1] წარმოდგენილი ის-ტორიული მასალები ხაზგასმით აღნიშნავენ, ციციშვილების გარკვეულ როლს მეფის სადროშოს შექმნაში, ციციშვილთა საგვარეულო სახლის სარდლები, მიუხედავად თავადური მსოფლმხედველობისა, ერთგულად ემსახურებოდნენ სამეფო კარს და ქვეყნის ინტერესებს.

დამოწმებანი:

ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937;

ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ., 1985;

თაბუაშვილი ა., მეფის სადროშოს აღწერის დავთარი, XVIII საუკუნის II ნახევარი, თსუ შრომები V, თბ., 2012;

[1] საქართველოს სიძველენი III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910, გვ. 260-262

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969;

კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, II, 1913;

კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები,. III, ტფ., 1913;

კაკაბაძე ს., ისტ. საბუთები, V, ტფ., 1913;

კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966;

კაციტაძე დ., XVI- XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962;

კლიმიაშვილი ა., მასალები XV-XVIII საუკუნეები ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრ.: XIV-XVIII საუკუნეები რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964;

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVI სს.) თბ., 2009;

მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, თბ., 1996;

მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, ნაკვ. I, (26), თბ., 1948;

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი, III, 1955;

მიჩიტაშვილი მ., საციციანოს დაარსების ისტორიიდან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №4;

ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981;

საქართველოს სიძველენი, II, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909;

საქართველოს სიძველენი, III, თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910;

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I_2, თბ., 1962;

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი 4, თბ., 1977;

ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;

ქართლის ცხოვრება IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973;

ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972;

ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970;

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ. ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ., 1955;

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II, ტფ., 1897;

ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980;

შარაშიძე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961;

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, XIII-XIX, წ. II, თბ, 1974;

ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966;

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd -2118; Hd - 1818; Hd -1739; Sd 479; Ad №1410;

საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1448, ს. 730; ფ. 1448 ს.2316; ფ. 1448, ს.64; ფ. 1449, ს. 1055; ფ. 1449, აღწ.1 ს.327; ფ. 1449, ს. 1055; ფ. 1449, ს. 2225;

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

FOR THE HISTORICAL-CHRONOLOGICAL ISSUES OF THE MILITARY ARMY DISTRICT OF THE KING AND THE POSITION OF COMMANDER (THE 15TH AND 18TH CENTURIES)

RESUME

The paper studies the role of Panaskerteli-Tsitsishvili in the creation of the military army district/banner for the King which was established in the 1470s and existed until the end of 18th century. The paper clarifies the borders of the military district of the king that varied in the mentioned centuries due to the attitudes of the Tsitsishvilis towards the royal family and as a result of severe political changes in the Kingdom of Kartli.

On the basis of the documentary material, the paper describes the functions of the commander of the military district for the king. As a result of the analysis of the primary sources as well as our interpretation, the chronological shifts of the commanders within the period of the 15th and 18th centuries are determined.

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანტიკათოლიკური პროპაგანდა ოდიშის სამთავროში

ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) რუსეთთან ურთიერთობის საკითხი შეუსწავლელი როდია ქართულ ისტორიოგრაფიაში[1]. თუმცა ამ ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი ხელახალ კვლევა-ძიებას საჭიროებს. ამჯერად ამის გარკვევა არ შეადგენს წინამდებარე სტატიის მიზანს. ჩვენი ამოცანიდან გამომდინარე, მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს:

ცნობილია, რომ 1636 წლის ზაფხულში ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა თავისი კარის ეკლესიის მღვდელი გაბრიელ გეგენავა რუსეთში გაგზავნა დიპლომატიური დავალებით. ეს ოდიშის სამთავროს პირველი ელჩობა იყო ამ ქვეყანაში. თუ რა მოტივითა და მიზნით გაგზავნა ლევან დადიანმა დესპანი რუსეთში და რა პოლიტიკურ ამოცანას ისახავდა იგი, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არსებობს. ეს ცალკე კვლევის საკითხია და მასზე ამჯერად

---

[1] ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). ილია ანთელავას საერთო რედაქციით. თბილისი-ზუგდიდი, 1999; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011; Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968.

თავს შევიკავებთ. ამ ელჩობის ამსახველ რუსულ პირველწყაროებზე[1] დაყრდნობით, შეიძლება ვთქვათ, რომ ლევან II დადიანმა, დასავლეთ საქართველოზე ჰეგემონობის დამყარებისა და ამის შედეგად თურქეთისაგან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, სცადა რუსეთის მფარველობის მიღებისათვის ნიადაგის მოსინჯვა. ასევე შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იგი მიმართული იყო თეიმურაზ I-ის რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლიც კახეთის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსული ძალების გამოყენებით ქართლის მეფის როსტომის, ლევან დადიანის სიძის, წინააღმდეგ რეალურ ძალად არ ქცეულიყო. ასეა თუ ისე, სხვა ქართველ მეფე-მთავრებთან შედარებით სამეგრელოს მთავარი „...უნდა ყოფილიყო მოსკოვის დასაყრდენი საქართველოში“[2]. ლევან II დადიანის მიერ რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძესთან (1613-1645) გაგზავნილ სიგელში ვკითხულობთ: „ივერიის ქვეყანაში 5 ხელმწიფე იყო და მათგან 2 სპარსეთის შაჰმა დახოცა. დანარჩენი 3 ხელმწიფის ქვეყნებს, ღმერთის შეწევნითა და მისი მრავალწლოვანი სამეფო ბედნიერებით, თვითონ მეფე ლევანი ფლობსო. დიდი ხანია, მას სურდა, ყოფილიყო მისი დიდი მეუფების სამსახურში, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ შეარჩია, რათა ამის შესახებ მისთვის, ხელმწიფისათვის, ეთხოვა... ითხოვს, რომ მან, დიდმა ხელმწიფემ, მასზე წყალობა გაიღოს, თავისი ელჩი სამეფო სიგელებით გამოგზავნოს და ისინი თავისი მაღალი მეფური ხელის მფარველობის ქვეშ მიიღოს, რათა ყოველთვის მისი უდიდებულესობის მაღალი ხელის ქვეშ იყვნენ, ხელმწიფის სხვა ქვეშევრდომებივით მის

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636–1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 599.

მეუფებას ემსახურონ; მისგან, დიდი ხელმწიფისაგან, დახმარება და შემწეობა ჰქონდეთ, რათა ქრისტეს სარწმუნოებაში იდგნენ“[1].

ოდიშის სამთავროდან გამგზავრების ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ, გაბრიელ გეგენავა 1638 წლის 15 ნოემბერს მოსკოვში ჩავიდა[2]. „რუსეთის ხელმწიფემ მიხეილ თევდორეს ძემ ელჩი გაბრიელ გეგენავა ორჯერ, 1638 წლის 12 დეკემბერსა და 1639 წლის 24 მაისს, მიიღო“[3]. როგორც საელჩო პრიკაზის მასალებიდან ირკვევა, ელჩის შეხვედრები ხელმწიფესთან ფორმალურ ხასიათს ატარებდა; ორივე შემთხვევაში მასთან მეფის სახელით უფრო სათათბიროს დიაკი თევდორე ლიხაჩევი საუბრობდა და ხელმწიფის პოზიციას განუმარტავდა. რუსეთის მეფე „თავისი მაღალი მეფური მფარველობის“ ქვეშ ლევან დადიანისა და მისი ქვეყნის მიღებაზე თანხმობას აცხადებდა[4].

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636–1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 227–228.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 32; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 598; სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები). ილია ანთელავას საერთო რედაქციით. თბილისი–ზუგდიდი, 1999, 194.

[3] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 33.

[4] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 33; 228.

ამ ელჩობასთან დაკავშირებით, მთლიანობაში, იმის თქმა შეიძლება, რომ იგი წარუმატებელი იყო. რა მიზეზებიც არ უნდა დავასახელოთ (შიდა ქართული დაპირისპირება, საერთაშორისო გარემო, თეიმურაზ I-ის ელჩის ნიკიფორე ბერძენის მოსკოვში ლევან დადიანის წინააღმდეგ მოქმედება და ა.შ.) რუსეთის სამეფო კარი ამ ეტაპზე არანაირ სერიოზულ პოლიტიკურ დაინტერესებას არ იჩენდა სამეგრელოს სამთავროს მიმართ. სავსებით მართებულად დაასკვნის მ. პოლიევქტოვი, „რადგანაც სამხრეთ კავკასიის შავიზღვისპირეთის მიმართ მოსკოვის ინტერესი ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო, ლევან დადიანის ელჩისადმი დამოკიდებულებაც საკმაოდ თავშეკავებული აღმოჩნდა...“[1]. სწორედ ეს განაპირობებდა გაბრიელ გეგენავას ელჩობის უშედეგობასა და ლევან დადიანის მიერ რუსეთში პოლიტიკური ნიადაგის მოსინჯვის უპერსპექტივობას.

ლევან II დადიანის პოლიტიკურ წინადადებაზე, რომ ის რუსეთის ხელმწიფეს მფარველობაში მიეღო, მიხეილ თევდორეს ძემ პირდაპირ უარი არ განაცხადა და ყურადღება გადატანილი იქნა მეორეხარისხოვან საკითხზე, რომელსაც უმთავრეს მიზანთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა. კერძოდ: გამოერკვიათ, ოდიშის სამთავროში მართლმადიდებელი ეკლესია ურყევად მისდევდა თუ არა ბერძნულ ორთოდოქსიას. ამის საბაბი რუსულ მხარეს ჰქონდა, რადგან ოდიშის მთავარი თავის სიგელში რუსეთთან კავშირის ძირითად ამოცანად მართლმადიდებელი ქრისტიანობის დაცვას სახავდა, „...რათა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოება ურჯულოთაგან შეგინებული არ...“ ყოფილიყო[2]. დეკანოზი

---

[1] Полиевктов М. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тб.. 1935, 36–39.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-

ნიკიტაც ამის შესაბამისად მოქმედებდა და გაბრიელ გეგენავასთან სამეგრელოში მართლმადიდებლობის სიმტკიცის შემოწმებას შეუდგა. მოკლედ რომ ვთქვათ, სამეგრელოს სამთავროსთან მოსკოვის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარება რელიგიური საკითხების გარკვევამ დაჩრდილა. ეს დიპლომატიური ხერხი გახლდათ და, თუ დიპლომატიურ ენაზე ვიტყვით, რანგი დაცული იყო. ლევან დადიანის კარის ეკლესიის მოძღვარს სარწმუნოებრივ საკითხებზე კითხვებს უსვამდა რუსეთის ხელმწიფის მოძღვარი, მოსკოვის ხარების ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი ნიკიტა. ამ უკანასკნელმა 17 კითხვა დაუსვა ოდიშის ელჩს. რადგან ეს კითხვები მოკლეა და თანაც კარგად გვიჩვენებს, თუ შემდეგში ადგილზე როგორი მეთოდებით არკვევდნენ სამეგრელოში ჩამოსული რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი მართლმადიდებლობის დაცვის ხარისხს სამეგრელოში, მათ მთლიანად მოვიტანთ:

„[1]. როგორ ინახავს თქვენი სადადიანოს ხელმწიფე ლევანი და, საერთოდ, მთელი სახელმწიფო ქრისტეს რწმენას? [2]. უვნებლად და შეურყვნელად ხომ იცავენ მას ბერძნული მართლმადიდებლობისაგან განუშორებლად, როგორც ჩვენ ვიცავთ ჩვენს დიდ რუსეთში? [3]. ხომ იცავთ მას ურიათა ბოროტ რწმენასთან, ელინთა საძაგელ უკეთურებასთან, ლათინურ მწვალებლობასთან, მაჰმადიანობასთან, არიანელებისა თუ ყოველგვარ მწვალებლურ გარყვნილებასთან შერევის გარეშე? მითხარი: [4]. როგორ აღმსარებლობთ წმიდა სიმბოლოს, ანუ: მწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა და ასე შემდეგ. გამოთქვი ბერძნულად ყველაფერი ბოლომდე. [5]. მას, მხოლოდშობილ ძეს და სიტყვას როგორ აღიარებთ და მის ხორცშესხმას, სულიწმიდისა და ქალწულ

ვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 229.

მარიამისაგან განკაცებას როგორ აღიქვამთ? [6]. როგორ აღიარებთ სულიწმიდის, უფლისა და ცხოველმყოფლის გამოსვლას; როგორ იღებთ, თქვენი აზრით, მამისაგან გამომავალია? ამის პასუხიც ბერძნულად უნდა გვითხრა. [7]. შემდეგ მსოფლიო საეკლესიო კრებების შესახებ გამოიკითხა იგი. [8]. თაყვანს სცემთ თუ არა უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს გაღმერთკაცების, ყოვლაწმიდა მისი ღმრთისმშობლისა და ყველა წმინდანის ხატებს? [9]. ასევე წმინდანთა ნაწილებისა და მკურნებელ სასწაულთმოქმედებისა თუ გწამთ ყოველგვარი ეჭვის გარეშე. [10]. თქვენთან, წმიდა საღმრთო ეკლესიებში არის თუ არა წმინდა და პატიოსანი ხატები? [11]. იწერება თუ არა წმინდა ხატები კედლებზე, კრეტსაბმელებზე, გადასაფარებლებზე და საეკლესიო ჭურჭლებზე? [12]. წმიდა ლიტურღიის დროს საღმრთო საიდუმლო მსხვერპლშეწირვას როგორი პურით აღასრულებთ-აფუებულით თუ უფუარით? [13]. ჩვილისა თუ, საერთოდ, ყველა ადამიანის მონათვლისას ხდება თუ არა ზეთისა და წმინდა მირონის ცხება და მოსანათლის სამგზის შთაფლვა, ან იქნებ მხოლოდ წყლის გადავლება და რას წარმოთქვამენ თქვენი მღვდლები შთაფვლისას? [14]. მთელი წლის განმავლობაში რამდენ მარხვას იცავთ და რომელი მარხვა რამდენ კვირას გრძელდება? [15]. უფლის, ღმრთისმშობლის, ზეციური ძალების, მოციქულების, წინასწარმეტყველების, მოწამეების, ღირსი მამების, მღვდელმთავრებისა და სხვა წმინდანების ხსენებებს ბერძნებთან ერთად დღესასწაულობთ თუ არა? [16]. ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას იუდეველებთან და ლათინებთან ერთად ხომ არ დღესასწაულობთ და ახალ გრიგორიანულ კალენდარს ხომ არ აღიარებთ? [17]. მღვდელმთავრები–მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები და ეპისკოპოსები თქვენი ქვეყნის ქალაქებში არიან თუ არა? ასევე მონასტრები და მათში არქიმანდრიტები, იღუმენები და სხვა მონაზვნები არიან თუ არა თქვენთან? უმაღლესი იერარქი ხელდასხმას სად იღებს, რომელ ქალაქე-

ბში – იერუსალიმში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში თუ ცარგ-რადში? რომის პაპის მიერ საეკლესიო ხარისხში აყვანილ პირს თუ აღიარებთ?[1]“.

1639 წლის 17 მაისს გამართულ ამ დაკითხვას ლევან დადიანის ელჩმა ასე უპასუხა: „მართლმადიდებლურ სარწმუ-ნოებას ჩვენი ხელმწიფე ლევანი და მთელი მისი ქვეყანა კვლავაც სრულად შეურყვნელად იცავს ბერძნული სჯულისა-მებრ, როგორც წინაპრებისაგან მიგვიღია; შვიდი წმიდა მსო-ფლიო საეკლესიო კრების კანონების მიმდევრები ვართ. წმი-და სიმბოლოს, ანუ – მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი,... – გამოთქმა კი ბერძნულად არ შემიძლია, მაგ-რამ ყველანი წარმოვთქვამთ მას დადიანურად, ბერძნულიდან თარგმნილს“[2]. აქვე საინტერესოა ერთი დეტალი, რომელსაც ბუნდოვანება არ აკლია. კერძოდ, სულიწმიდას გამომავლობის საკითხთან დაკავშირებით გაბრიელ ელჩის პასუხთან დაკავ-შირებით ვკითხულობთ: „სულიწმიდის გამოსვლა კი მხო-ლოდ მამისაგან უნდა ვაღიაროთ თუ ძისგანაც, თარჯიმნებმა ვერ თქვეს, მხოლოდ მისი სიტყვები გვითხრეს: ქრისტე მა-მისგან არისო“[3]. ბუნდოვანია აქ ის, თუ რას ნიშნავს „თარ-ჯიმნებმა ვერ თქვეს, მხოლოდ მისი სიტყვები გვითხრეს“. ცხადია, ამ კითხვაზე გაბრიელის პასუხი, როგორც მართლ-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-ვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 230-231; 365-366.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-ვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 231.

[3] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-ვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 231.

მადიდებელი სასულიერო პირისა, უნდა ყოფილიყო, რომ „სულიწმიდა გამოვალს მხოლოდ მამისაგან“ და ამის თარგმნა თარჯიმნებს რატომ გაუჭირდებოდათ ძნელი სათქმელია. ასევე დანამდვილებით შეუძლებელია ითქვას, რომ გაბრიელ გეგენავა კათოლიკურ დოქტრინას „ფილიოკვეს“ აღიარებდა. ამიტომ მის სიტყვაში „ქრისტე მამისაგან არისო“ ხომ არ იგულისხმება „სულიწმიდა გამოვალს მამისაგან ძის მეშვეობით“?. ამის გამო ხომ არ გაუჭირდათ თარჯიმნებს მისი თარგმნა? – ძნელი სათქმელია. ამ ეტაპზე ამის შესახებ მეტს ვერაფერს ვიტყვით. მას მომავალი კვლევა სჭირდება.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, გაბრიელ გეგენავა დეკანოზ ნიკიტას დაკითხვით მეტად უკმაყოფილო დარჩა და ამაში ის მართალი იყო. თუ რატომ, ამას თვით ელჩის წყენანარევი სიტყვები ამოწმებს: „დიდ ხელმწიფესთან, – თქვა ელჩმა, – მე სარწმუნოების საკითხებზე სასაუბროდ კი არ ვარ გამოგზავნილი, არამედ იმის სათხოვნელად, რომ ხელმწიფემ წყალობა გამოიჩინოს და თავისი ელჩი ჩვენს ხელმწიფესთან გააგზავნოსო. ის ელჩი ადგილზე თავადვე ნახავს ჩვენს სარწმუნოებას და ყველაფერს იქვე გაარკვევს“[1]. უკმაყოფილო ელჩის წინაშე დეკანოზმა ნიკიტამ თავი იმით იმართლა, რომ მისი დაკითხვა სარწმუნოებრივ საკითხზე რუსეთის მეფის მიერ იყო ნაკარნახევი. ამის არგუმენტად დეკანოზმა დაასახელა: „...რადგან თქვენმა ხელმწიფემ მის მეფურ უდიდებულესობას მოსწერა: ამჟამად ორ ურწმუნო ხალხს შორის ვართ მოქცეულნი და ყოველ დღე მათთან ქრისტეს რწმენისა და ქრისტეს სჯულისათვის ვომობთო. ამიტომაც ბრძანა ხელმწიფემ დაკითხვა, ხომ არ შერყვნესო თქვენი სარწმუნოება ურიებმა ან პაპისტებმა და მწვალებლებმა?“. ამ

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 231.

არგუმენტში საოცარი ის არის, რომ „ორ ურწმუნო ხალხ-ში“ ოსმალები და სპარსელები კი არ იგულისხმებიან, თუ არადა ასე უნდა ყოფილიყო, არამედ ებრაელები, კათოლიკე-ები და არიანელები. რატომ? პასუხი ადვილია: ამ დროს რუსეთის ხელმწიფე სპარსეთთან და ოსმალეთთან „ძმობასა და მეგობრობაში“ იმყოფებოდა და ამიტომ ძირითადი ყურად-ღება დიპლომატიურად სხვა რამეზე იქნა გადატანილი. ძნე-ლი დასაჯერებელია ამას არ მიმხვდარიყო გაბრიელ გეგენა-ვა, თუმცა დეკანოზ ნიკიტას პასუხითაც დაკმაყოფილდა და უპასუხა: „ღმერთმა ჰყოს მრავალჟამიერ დიდი ხელმწიფე იმისათვის, რომ ჩვენზე წუხს და მართლმადიდებლურ სარწ-მუნოებაზე ზრუნავს“[1].

მოტანილი წყაროებიდან გამომდინარე, რამდენად იყო გულწრფელი რუსული მხარე, ეს იმდენად ახლა საინტერესო არ არის, რამდენადაც იმის გარკვევა, თუ ამ ფორმით ელჩის დაკითხვა რა მიზანს ემსახურებოდა; პირველი, როგორც ვთქვით, რუსეთი ამ დროს არ იყო ოდიშის სამთავროთი პო-ლიტიკურად დაინტერესებული, მაგრამ პირდაპირ ამის თქმა დიპლომატიურად არასწორად ჩაითვალა; მეორე, „მესამე რომის თეორიიდან“ გამომდინარე, ქრისტიანობის დამცველ ქართველ პოლიტიკოსებს ერწმუნათ მომავალში ერთადერთ მოკავშირედ რუსეთის სახელმწიფო (ამის მაგალითს თეიმუ-რაზ I-ის რუსული პოლიტიკაც იძლეოდა), რომელიც „მართ-ლმადიდებლობის ბურჯია“. ამ პოლიტიკაში ნაკლებად იყო საინტერესო იმის გარკვევა ქართულ ეკლესიას „მწვალებლე-ბის“, „ურიების“, „მაჰმადიანების“ რწმენისაგან რა ჰქონდა მიღებული, არამედ იმის დადგენა – თუ რა კავშირი ჰქონ-დათ, ან ახლა აქვთ, რომის კათოლიკურ ეკლესიასთან.

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკ-ვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 232.

სანამ უშუალოდ წყაროების დამოწმებით ამ საკითხზე გადავალთ, მოკლედ აღვნიშნავთ;

მიუხედავად სამეგრელოს სამთავროს მიმართ ნაკლები პოლიტიკური ინტერესისა, რუსეთის მეფემ გადაწყვიტა ლევან დადიანის კარზე საპასუხო ელჩობა გაეგზავნა. მისი შემადგენლობა გაბრიელ გეგენავას „...არცთუ ისე მაღალმა საზოგადოებრივმა სტატუსმა განსაზღვრა“[1]. ელჩობა დაევალა დიპლომატიურ ნომენკლატურაში ყველაზე დაბალი რანგის მოხელეს ტოლმაჩ ფედოტ ელჩინს, რომელმაც თურქული ენა იცოდა[2] და მღვდელ პავლე ზახარიევს. 1639 წლის 2 ივნისს მოსკოვიდან წამოსული ელჩობა 13 ნოემბერს უკვე ოდიშის სამთავროში იყო[3]. ფედოტ ელჩინს მიეცა ვრცელი წერილობითი განაწესი ანუ სამახსოვრო ბარათი, რომელშიც დაწვრილებით იყო გაწერილი თუ როგორ ეწარმოებინა ლევან დადიანთან მოლაპარაკება და დასმულ პოლიტიკურ კითხვებზე როგორ გაეცა პასუხები. ამ თავისთავად საინტერესო წერილობითი განაწესიდან[4] კარგად ჩანს, რომ ლევან დადიანის რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება, რუსეთის მხრიდან არავითარ ვალდებულებას არ შეიცავდა. რუსულ მხარეს, ალბათ, კარგად ჰქონდა გათვლილი, რომ ირანთან

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 196.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 196.

[3] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 196; მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, 601.

[4] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 234–259.

და ოსმალეთთან „ძმობასა და მეგობრობაში“[1] მყოფ რუსეთის ხელმწიფის ერთგულებასა და მფარველობაში შესვლაზე ლევან დადიანი არ დაიფიცებდა. და თუ დაიფიცებდა ამით რუსეთის ხელმწიფე რას დაკარგავდა? რამდენადაც ამის გარკვევა ჩვენი მიზანი არ არის, მასზე აქ მეტს არ შევჩერდებით.

საინტერესო ის გახლავთ, რომ ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარიევს თან მოჰქონდათ 38 კითხვისაგან შემდგარი „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ“[2]. იგი ძირითადად კითხვა–მიგების ფორმას ატარებს და მიზნად ისახავდა ოდიშის სამთავროში მართლმადიდებელი აღმსარებლობის საფუძვლების შემოწმებას. ამ წყაროზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ელჩები ერთგვარ მართლმადიდებელ მისიონერთა ფუნქციას ითავსებდნენ და ისეთ წარმოდგენას ქმნის, რომ თითქოსდა წარმართობიდან ქრისტიანობაზე ახლადგადასულ ქვეყანაში მიდიოდნენ საქადაგებლად. მაგალითისათვის მოვიტანთ შემდეგს: „აღსარებაში“ მესამე კითხვა ასეთია: „რა არის ნათლისღება? პასუხი: ნათლისღება პირველშობილი ცოდვისაგან განბანვაა“; მეშვიდე კითხვა გახლავთ; „რა არის ღმერთი?. პასუხი: ღმერთი არის არსება უმიზეზო, მაგრამ მიზეზი ყოველთა, ყოვლად ძლიერი, ყოვლის შემძლებელი, ყოველგვარი არსის და ბუნების დამბადებელი“; მეცხრე კითხვაში – რამდენ არსებას აღიარებ ღმერთში?, პასუხია: ერთარსება ღმერთს ვაღიარებ“. საინტერესოა 28-ე კითხვა: „თუკი ღმერთისაგან გამოდის სულიწმიდა, ძე კი ღმერ-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 243.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 250–255.

თია, ე.ი. სულიწმიდა ძისგანაც გამოდის? პასუხი: სულიწმიდაც ღმერთია და, მაშასადამე, რა, საკუთარი თავისგან გამოდის?“[1] და ა.შ. ხსენებული 38-ვე კითხვა ანალოგიურადაა შედგენილი და ერთგვარ კატეხიზმოს წარმოადგენს. ისმება კითხვა: რამ განაპირობა რუსეთის სამეფო კარის დაეჭვება ოდიშის სამთავროში მართლმადიდებელ ქრისტიანთა სარწმუნოებრივ ცდომილებებზე? ამ კითხვაზე პირდაპირი, ეჭვმიუტანელი პასუხის გაცემა ძნელია. ოდიშის სამთავროსა და მთლიანად დასავლეთ საქართველოში ამ დროს დაკნინებული იყო მართლმადიდებელი ეკლესია, სამღვდელოება ჩამორჩებოდა ღვთისმეტყველების საკითხებში და დამახინჯებული იყო ნათლისღების წესები. ამას კარგად გვიმოწმებენ გურია–ოდიშის სამთავროში სწორედ ამ პერიოდში მოღვაწე თეატინელი მისიონერები[2]. ამაში გვარწმუნებენ რუსი ელჩებიც[3]. მართალია, წყაროში არ ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, აღნიშნულის შესახებ რუსეთის სამეფო კარზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ. ასევე მეტი ალბათობით იმის თქმაც შეიძლება, რომ მოსკოვში ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ამ დროს ოდიშის სამთავროში კათოლიკე მამები მისიონერულ საქმიანობას ეწე-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 252–253.

[2] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902, 154; 181-182; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2014.

[3] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 312; 314; 319; 330–331; 336; 339.

ოდნენ. ალბათ, გაბრიელ გეგენავას დაკითხვაში ამიტომ ესმე-ბოდა ძირითადად ხაზი იმას, იყო თუ არა მართლმადიდებ-ლობა ოდიშის სამთავროში შეურყვნელად დაცული. შემდეგში ოდიშის სამთავროში ჩამოსული რუსი ელჩებიც ამ მიმართუ-ლებით მოქმედებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის სამეფო კარს სურდა, გამოერკვია ოდიშის სამთავროში მართლმადიდებელ ეკლესიას რა კავშირი ჰქონდა რომის ეკლესიასთან. ამ მხრივ საინტე-რესოა ის, რომ გაბრიელ ელჩისათვის მოსკოვში დეკანოზ ნიკიტას ამის შესახებ კითხვა არ დაუსვამს. არც ქართველ ელჩს გაუმჟღავნებია რაიმე. თუ არადა გაბრიელმა შესანიშნა-ვად იცოდა, რომ ამ დროს ოდიშის სამთავროში მოღვაწეობ-დნენ თეატინელი მისიონერები დონ ჯუზეპე ჯუდიჩე (1633–1643 წწ.), არქანჯელო ლამბერტი (1633–1649 წწ.), დონ ანტონიო კორერო (1638–1641 წწ.) და დონ კლემენტე გა-ლანო (1637–1640 წწ.), რომელთაც ის, ალბათ, კარგად იც-ნობდა. ასევე საგულისხმო გახლავთ ის ფაქტი, რომ არც თეატინელ მისიონერებს მოეპოვებათ თავიანთ რელაციებში რაიმე ცნობა რუსი ელჩების სამეგრელოში ჩამოსვლის შესა-ხებ და არც რუს ელჩებს დაუფიქსირებიათ საკუთარ ცნობებ-ში მისიონერების სამეგრელოში ყოფნის თაობაზე. ეს გვაფიქ-რებინებს იმას, რომ ქართულმა მხარემ, როგორც საერო, ისე სასულიერო იერარქებმა (დრანდის, მოქვის, ბედიის, ილორის, ხობის, წალენჯიხის), რომლებთანაც შეხვედრები ჰქონდათ რუს დესპანებს, საგულდაგულოდ დამალეს მისიონერების სა-მეგრელოში ყოფნის ფაქტი. ცხადია, ეს გამართლებული ჩან-და ლევან დადიანის რუსული პოლიტიკის ჭრილში. თუმცა ის ფაქტი, რომ თეატინელი მისიონერები ოდიშის სამთავროს 1633 წელს ეწვივნენ, გაცხადდა. აი, როგორ მოხდა ეს:

1640 წლის 29 მარტს ფედოტ ელჩინი და პავლე ზა-ხარიევი მარტვილის ყოვლაწმინდა ღმრთისმშობლის მონას-ტერში მიტროპოლიტ მიტროფანეს ეწვივნენ, სადაც 7 აპრი-

ლამდე დარჩნენ[1]. მიტროპოლიტი მიტროფანე, რომელიც წარ-მოშობით თბილისიდან („თეიმურაზის სამეფოდან“;[2]) იყო, წყაროს თანახმად, 12 წელი წმინდა მთაზე ეწეოდა მოღვა-წეობას და „...ბერძნულ განათლებას იღებდა“[3]. თითქმის მთე-ლი ათი დღე დარჩნენ რუსი ელჩები მიტროპოლიტ მიტრო-ფანესთან. როგორც წყაროდან ირკვევა, მათ შორის მართლ-მადიდებლური რწმენის საკითხებზე მუდმივად მიმდინარეობდა საუბარი[4]. ერთხელ ტრაპეზობისას მიტროფანემ რუს ელჩებს მოახსენა, რომ ოდიშის სამთავროში 1633 წელს „..რომის პაპმა საცდურად ექვსი ბერი გამოგზავნაო. ასევე მე, მიტრო-პოლიტს, საეკლესიო სამოსი და მიტრა გამომიგზავნა და ასე გვითხრა, რომ ქრისტიანული რწმენა დაკარგეთ, ჩვენ პაპმა გამოგვაგზავნა, რათა განგასწავლოთ და რწმენაში განგამტკი-ცოთო. ჩვენ ისინი გამოვკითხეთ: თქვენთან როგორ არის მი-ღებული? მათ დაიწყეს მოყოლა: როცა აბანოდან გამოხვალ და კაბის ჩაცმას დაიწყებ, მოგიწევს შესამოსელზე ფეხით დადგე და მიტრა ფეხქვეშ ამოიდო. ჩვენ კი ამის შესახებ შე-ვიკრიბეთ და ვიმსჯელეთ. ვხედავთ, რომ ისინი ჩვენთან საც-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვ-ლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 300; 302.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვ-ლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 304; 337.

[3] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვ-ლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 304.

[4] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვ-ლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 302; 336–345.

დურად მოვიდნენ და უარი ვუთხარით: არ გვინდა ჩვენ თქვენი სარწმუნოება და მოძღვრებაო“[1].

ამ ცნობის დაჯერება შეუძლებელია; ჯერ ერთი, რომის პაპს ურბან VIII-ს მისთვის არც მისიონერები გამოუგზავნია და არც საეკლესიო სამოსელი და მიტრა; მეორე, საერთოდ, უაზრობას წარმოადგენს მიტროფანეს მონაყოლი აბანოდან გამოსვლის შემდეგ შესამოსელზე ფეხის დადგმა და მიტრის ფეხქვეშ ამოდება რა შინაარსის მატარებელია; მესამე, სწორი ის გახლავთ, რომ, მართლაც, 1633 წელს ორი თეატინელი მისიონერი (და არა ექვსი) დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და დონ არქანჯელო ლამბერტი ჩავიდნენ ოდიშის სამთავროში და რუს ელჩებთან მისი საუბრის დროსაც იქ იმყოფებოდნენ. მაგრამ ამის შესახებ მას რუსი ელჩებისათვის არაფერი უთქვამს. ეს უკანასკნელი ხომ არ იყო იქითკენ მიმართული, რომ რუს ელჩებს სამეგრელოს სამთავროს შესახებ მოსკოვის სამეფო კარი შემდეგში უფრო მეტად დაეინტერესებინა? დაბეჯითებით ამის მტკიცება ძნელია.

მიტროპოლიტ მიტროფანეს მონაყოლმა სტიმული მისცა პავლე მღვდელს რომის კათოლიკური ეკლესია და მისი მეთაური რომის პაპი შავბნელ ფერებში წარმოედგინა. ამასთან დაკავშირებით წყაროში ვკითხულობთ; „მიტროპოლიტის საუბრის დასრულების შემდეგ პავლე მღვდელმაც მიტროპოლიტ მიტროფანეს მოუთხრო; კონსტანტინოპოლში კეთილმსახურ მეფე მიხეილ პალეოლოგის მმართველობის პერიოდში რომის პაპის წარგზავნილები, თორმეტი კაცი, ფრიად ბრძენნი და ბოლომდე განსწავლულნი თავიანთ მკრეხელურ ლათინურ სარწმუნოებაში როგორ ეახლნენ სასაუბროდ მეფესა და პატრიარქს და ეკლესიების გაერთიანებაზე ალაპარაკ-

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 302.

დნენ: ერთმანეთს რატომ უნდა დავშორდეთ და დავარღვიოთ თანამოაზრეობა? ღმერთი ხომ ერთია თქვენთვისაც და ჩვენთვისაც. ამიტომ ყველას გვმართებს ჩვენი მოძღვრის, რომის პაპის მორჩილება და მისგან სწავლა, რომელიც ყველა პატრიარქთა თავია“[1] .

მოტანილი წყაროდან, ცხადია, რომ საუბარია ლიონის 1274 წლის ეკლესიათა უნიაზე, რომელიც რომის პაპ გრიგორი X-ის ინიციატივით დაიწყო და ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგმა პრაგმატული მოსაზრებით მიიღო[2], თუმცა ბერძნული ეპისკოპატის დათანხმება ძალზე რთული იყო.

ამ ისტორიული პრობლემის ყურმოკვრით მცოდნე პავლე მღვდელი მიტროფანე მიტროპოლიტს არწმუნებდა, რომ პაპის წარგზავნილებს მეფემ (მიხეილ VIII პალეოლოგმა – მ.პ) და პატრიარქმა (კონსტანტინოპოლის – მ.პ.) ...მშვიდად მიუგეს: „– ო, ლათინებო! გაიხსენეთ ჩვენი ღმერთისა და და უფლის ბრძნული ქმნილება. მასზე შესაქმის წიგნებში წერია: უწინარეს შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა და მსახურებისათვის შექმნა ათი ხარისხი, ანუ ანგელოზთა ძალნი, რომ ათი ხარისხი იყოს. ახლა შეგვეკითხეთ მოციქულთა მიერ დედამიწაზე რა ხარისხებია შექმნილი და ჩვენ თავაზიანად გიპასუხებთ: პირველია წიგნის მკითხველი და მგალობელი, მეორე – წმიდა ნაწილების შემომტანი, მესამე – იპოდიაკონი, მეოთხე – დიაკონი, მეხუთე – მღვდელი, მეექვსე – იღუმენი, მეშვიდე – ეპისკოპოსი, მერვე – მიტროპოლიტი, მეცხრე – პატრიარქი, მეათე – პაპი. ის იქიდან აქამომდე ყველასათვის

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 342.

[2] დაწვრ. იხ: Величко А.М., История Византийских императоров. В 5 томах. Т. 5. М., 2012, 111–125.

უპირველესად არის დადგენილი. ჩვენ კი კვლავ შემოთავაზებულ წინადადებას დავუბრუნდებით და სიტყვას ზეცას აღვავლენთ: ზეციური ხარისხებისათვის უპირველესი იყო სატანა და ღმრთის წინაშე სისაძაგლე სწორედ მან ჩაიდინა, აზრით გაამპარტავანდა: თქვა, საყრდენს ღრუბლებზე დავიდგამ და უზენაესს დავემსგავსებიო, და მას რა მოუვიდა? ზეციდან დაამხეს და ეწოდა სატანა და ეშმაკი; მისი მიმდევრებიც ეშმაკებად იქცნენ. ასეთად იქცა შემდგომში დედამიწაზე რომის პაპი, რომელსაც ყველას შორის უპირველესობა მოუნდომებია"[1].

აქ მოტანილი ცნობის მსგავსს არ იცნობს ლიონის საეკლესიო კრების წინა მოსამზადებელი პერიოდი. მით უმეტეს, ეკლესიათა უნიის მომხრე იმპერატორი ასეთ სიტყვებს არ იტყოდა. ამგვარი რამ შესაძლებელია გაუცნობიერებელ მორწმუნე მასაში ეთქვათ. თუმცა პავლე ზახარიევისათვის ეს არ იყო მთავარი. მისი მიზანი, როგორც წყაროში ჩანს, ის იყო, რომ რომის პაპი სატანასთან შეედარებინა და მისი გარდაუვალი დაღუპვა დაესაბუთებინა.

პავლე ზახარიევის ამ ვრცელ ანტიკათოლიკურ მტკიცებებში ხაზი ესმებოდა კათოლიკურ ეკლესიაში მრავალი მწვალებლობის არსებობას, ხატებისაა და ღმრთისმშობლისადმი უპატივცემლობას, პირჯვრის არასწორად გადასახვას და ამის გამო ეშმაკთან წილნაყარობას, წმიდა დღეებში მარხვის შეუნახაობას, და ა.შ.[2]. აქვე სახალისოა ერთი ამბავი, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა თითქოსდა უთხრა პა-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 343.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 343–344.

პისაგან წარგზავნილებს: „მარხვაში დიდ პარასკევამდე ალილუიას არ გალობთ; ჯვრებს მიწაში ფლავთ და ამბობთ: ქრისტე იერუსალიმში გაიქცაო. მერე კი დიდ პარასკევს ჯვრები მიწიდან ამოგაქვთ და ამბობთ: ქრისტე უკვე მოვიდაო და შემდეგ იწყებთ ალილუიას გალობას. გარდა ამისა, მთელი მარხვის პერიოდში თქვენი ქალები რძესა და კვერცხს მიირთმევენ, ხოლო თუ ავადა ხართ, მაშინ დიდმარხვაში ხორცსა და რძეს თქვენც მიირთმევთ“[1].

ამას მოსდევს კათოლიკე მღდლების ყოფაქცევის დახასიათება, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქის ენითაა გადმოცემული. პატრიარქმა პაპის წარმომადგენლებს უთხრა: „თქვენი მღვდლები კი შებილწულ და უწმინდურ ქალებს თავისთან არ იჩერებენ, მაგრამ მორჩილებს იჩერებენ და მათთან შემდეგნაირად იქცევიან: სანთელს ჩააქრობენ და კაბის ქვეშ შეუძვრებიან, დილით კი ეს ღვთის საძაგელი ადგება, თავის საძმოსთან მივა და ეტყვის: შემინდეთ, შევცდი და კვლავ თავის საზიზღარ საქმეს აგრძელებს. მეძავებთან მეძავეობს და თავის თავში ცოდვას ვერ ხედავს[2]. რაც შეეხება კათოლიკე სასულიერო პირთა საეკლესიო მსახურებას, ამაზე რომის წარგზავნილებს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უპასუხა: „...თითოეულ თქვენგანს შეუძლია ერთ დღეს სამი-ოთხი ლიტურღია ჩაატაროს. შეიძლება ასევე, ერთმა დაიწყოს მსახურება და მიატოვოს, მერე მეორე მივიდეს და გააგრძელოს და ასე–მეათემდე; როდესაც მღვდელი თქვენთან ლიტურღიას ატარებს და გასვლა მოუნდება, სამოსელს გაი-

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 344.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 344.

ხდის და გავა ისე, რომ ლიტურღიას არ დაამთავრებს, მერე კი დაბრუნდება და გააგრძელებს. თქვენი მსახურება კი შემდეგნაირად ტარდება: სადაც უნდათ, იქ წირავენ–ეზოში ან მინდორში, სადაც თავისი ღმრთისაგან განდგომილი და მართლმადიდებელ ქრისტიანეთაგან შეძულებული პაპი უბრძანებს. და კვლავ გკითხავთ თქვენ, წყეულო ლათინებო: ქრისტიანებად რომ იწოდებით, საინტერესოა, რომელი ნათლობით ინათლებით და რომელ მირონს იცხებთ და ვისი სახელით იდებენ პირში თქვენი მღვდლები მარილს, ნერწყვით მარილწყალს აკეთებენ და იმით ადგილებზე ცხებენ; თანაც ისე კი არ აკეთებენ, როგორც ეს წმიდა მამებისადან გადმოგვეცა: ინათლება მონა ღვთისა–სახელი თქვი–სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა; თქვენ კი ამბობთ: გნათლავ შვილო – ეს და ეს“[1].

მთელს ამ ნეგატივში საინტერესო ჩანს, თუ როგორ განმარტავდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი სახელწოდებას – ფრანგსა და ლათინს. აქვე წყაროში ვკითხულობთ: „მითხარით, საიდან მოდის სახელწოდება ფრანგი და ლათინი? თვითონვე გეტყვით ორივე თქვენი სახელის შესახებ. კათოლიკედ იმიტომ იწოდებით, რომ როცა ხედავთ ვნებულ ძე ღმრთისას, მაშინ ეკლიან გვირგვინს წნავთ და ჩვენ გამომხსნელ ღმერთს თავზე ადგამთ. ლათინებს კი იმიტომ გიწოდებენ რომ ჭეშმარიტი რწმენა გათელეთ, ცდომილებაში შეხვედით, ღმერთის დიდებას მოკლებულხართ, ნამდვილად დაბრმავებულხართ, წყეულნო და ეშმაკს შედგომიხართ. მან კი ღორების სამწყემსავად გაგგზავნათ, – მაშ, აღასრულეთ ყველაფერში ნება მისი. ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვწამს ერთი ყოვლაწმიდა ცხოველმყოფელი და ერთარსი სა-

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 345.

მება – მამა, ძე და სულიწმიდა. თქვენ კი, წყეულო ლათინებო და კათოლიკებო (ფრანგებო – მ.პ.), ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან დაცლილხართ და ვერ შეგისმენიათ წმიდა მოციქულთა მოძღვრებანი, წმიდა მამათა კანონები კი შეგირყვნიათ და საკუთარი ნებისამებრ გადაგიკეთებიათ. მამა ღმრთისგან და ძისგან შებრუნებულხართ და წმიდა სამება გაგიყვიათ, არც გწამთ, არც ადიდებთ და, საერთოდ – ღმერთის სიტყვას არაფრად აგდებთ. ო, წყეულო ლათინებო და კათოლიკებო (ფრანგებო – მ.პ.), თქვენი ურწმუნოების გამო დაწყევლილნი ხართ უფლისა ღმრთისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან, ასევე წმიდა მოციქულთა და წმიდა მამათაგან და ყველა ქრისტიანთაგან წყეულიმც იყავთ და თქვენთან ერთად ყველა მწვალებელი და შთაგდებულ ყოფილიყავთ ჩაუქრობელ ცეცხლში და მარადიულ წამებაში“[1].

მოტანილი ინფორმაციის სანდოობაზე, რომ მართლა ასე მიმართა ეკლესიათა უნიის წინადადებით წარგზავნილებს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, მსჯელობა ძნელია. ჩვენ ამჯერად ამის საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია. თუმცა ჩვენთვის ეს არ არის საინტერესო. ისედაც ცხადია რუსი ელჩის უსაზღვრო ფანტაზია და მთლიანად დასავლეთისადმი მისი მძულვარე დამოკიდებულება. მოტანილ წყაროში რაც იკითხება, ის არის მთავარი, რომ რუსმა ელჩმა კათოლიკური სამყაროს სულიერი მეთაური, რომის პაპი, მისი ღვთისმსახურება და ქრისტიანული რწმენა კონსტანტინოპოლის პატრიარქის „პირით გადმოსცა“ და მთელ დასავლურ ქრისტიანულ სამყაროზე ეშმაკისეული წარმოდგენა შექმნა. სწორედ ამიტომ იყო, რომ, ალბათ, მოსმენილით გაოგნებულმა მიტროფანე მიტროპოლიტმა მოკლედ თქვა: „როგორ ითმენს

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 345.

ღმერთი ასეთ უწესობას“[1]. ეს იყო და ეს, მიტროპოლიტ მიტროფანეს რუს ელჩებთან აღნიშნულ საკითხზე არ უმსჯელია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად დავასკვნით: ოდიშის სამთავროში 1639 წელს ჩამოსული რუსი ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი ოსტატურად შეუდგნენ ფანტაზიით მოცულ ანტიკათოლიკურ პროპაგანდას და კათოლიკური სარწმუნოების მიმართ რუსეთში არსებული სიძულვილის ქართულ ნიადაგზე გადმოტანა სცადეს. ხოლო რომის პაპზე, ლათინ სამღვდელოებასა და კათოლიკურ რწმენაზე სატანისეული სურათის წარმოდგენა ლიონის საეკლესიო უნიის ფონზე გარკვეულ მიზანს ისახავდა. კერძოდ: ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და შესაბამისად ოდიშის მთავარს არასოდეს აეღო ორიენტაცია „მწვალებლურ“ დასავლეთზე და მის სულიერ მეთაურ რომის პაპზე. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას თავის საყრდენად მხოლოდ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია მიეჩნია, ხოლო ქართველ სახელმწიფო მესვეურებს მარტოოდენ რუსეთის სახელმწიფო ეღიარებინათ „მესამე რომად“. ეს მიზანი, ამ ელჩობის ფარგლებში, ნამდვილად თუ ფორმალურად მიღწეული იქნა. რუს ელჩებს ლევან II დადიანის კარზე განუცხადეს: „მანამდე დიდი ხელმწიფე რომში იყო, მაგრამ ამ დროისთვის ეს მოისპო და ღმერთმა [ის პატივი] თქვენს სრულიად რუსეთის თვითმპყრობელ დიდ ხელმწიფესა და დიდ მთავარ მიხეილ თეოდორეს–ძეს უბოძა“[2]. თუმცა ამით ლევან დადიანის

---

[1] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 345.

[2] გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები. 1636–1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014, 308.

კარზე კათოლიკე მისიონერების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არ შეცვლილა, პირიქით, ოდიშის მთავარმა 1643 წელს რომის პაპ ინოკენტი X–სთან დიპლომატიური მისიით გაგზავნა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, რომელსაც სამეგრელოდან ორი ყმაწვილი მიჰყავდა პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად[1].

დამოწმებანი:

ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.

სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრებისა და ეთნოლოგიის ნარკვევები), ილია ანთელავას საერთო რედაქციით, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 165–216.

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011.

Накашидзе Н., Грузино-русские политические отношения первой половине XVII века, Тб., 1968.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2014.

---

[1] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2014, 7.

Tabagua Illia M. I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, vol. I, Tbilisi, 1996.

პატრიცია ანა ლიჩინი, კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მურმან პაპაშვილმა, თბ., 2009.

გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები, 1636-1640 წლები. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი, საძიებლები და კალენდარი დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2014.

Полиевктов М. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу. Тб., 1935.

Величко А. М., История Византийских императоров. В 5 томах. Т. 5. М., 2012.

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ANTI-CATHOLIC PROPAGANDA OF PHEDOT ELCHIN AND PAVEL ZAKHARIEV IN ODISHI PRINCIPALITY

RESUME

In 1636 the head of Odishi Principality Levan II Dadiani (1611-1657) sent his court priest Gabriel Gegenava to Moskow with a special diplomatic mission. The Odishi head was asting Russian King Michael Pheodorovich to take him under his protection. As Moskow wasn't interested in Odishi Principality at that time, Gegenava's mission became formal.

The Russion Court responded to Gegenava's mission and decided to sent he law rank priests Phedot Elcin and Pavel Zakhariev to Odishi. Their aim was to make it clear how

Orthodox religion was protected in Odish Principality. In 1639 these Russian envoys very skillfully started presenting in dark colors the Pope of Rome and catholics before Georgian clergymen. Relying on Russian historical sources, the author came to conclusion, that anty-Catholic propaganda was aimed at specific purpose: Georgian Orthodox church and Odishi principal be oriented on Ortodox Russian and not heretic Rome Catholic Church and the West.

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში

უცხოეთში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს საუკუნეების მანძილზე საქართველოში თავისი ადგილ-მამულები გააჩნდათ. საზღვარგარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, რომლის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენდა როგორც საქართველოს სამეფო ხელისუფლება, ისე სხვადასხვა ფეოდალური საგვარეულო. ისინი ქართველთა მიერ დაარსებულ სულიერ კერას დიდძალ მატერიალურ ქონებას წირავდნენ. იერუსალიმის ჯვრის მონასტერს საქართველოში თავისი მამულებიც გააჩნდა. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგი არაერთ სოფელს ფლობდა და აქედან მიღებული შემოსავალი მონასტერს ხმარდებოდა. ჯვრის მონასტერს თავისი მამული ჰქონდა შიდა ქართლშიც, კერძოდ, სოფ. დირბში. აღნიშნული სოფელი მთლიანად მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. დირბში იერუსალიმის არქიმანდრიტის რეზიდენციაც იყო. ჯვრის ქართულ სავანეს ეკუთვნოდა ასევე სოფელი თერგვისი, რომელიც პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს. არსებობს ქართლის მეფის ლუარსაბ II სიგელი, რომლითაც დასტურდება, რომ თერგვისი ჯვრის მონასტრის სოფელი იყო. ლუარსაბ II მიერ 1624 წელს გაცემულ საბუთში ნათქვამია: „სოფელი თერგისი, რაც ყუდაინათს (ყუდანათს?) ჰქონდა და ან კიდევ არადეთს საღოლაშენი სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსა-მართებლად და წესისათვის და საკანონოდ დისა ჩუენისა პატრონისა ხუარაშანი-

სათვის შეგვიწირავს იელუსარემისათვის და ქრისტეს საფ-ლავისათვის და პატრიარქი თეოფანესათვის“.[1] რაკი დოკუმენ-ტში ცალ-ცალკეა აღნიშნული „იელუსარემი“ და „ქრისტეს საფლავი,“ ვფიქრობთ, რომ იერუსალიმში ჯვრის მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს. თერგვისში იერუსალიმის ქართული ტაძრის მფლობელობა უფრო გვიანდელი დოკუმენტითაც დასტურდება. 1640 წლის საბუთით, რომელიც გაცემულია ელისე თბილელის მიერ, ჩანს, რომ თბილელ ეპისკოპოზს ამ სოფელში იოთამ ბარლიშვილი ჩაუსახლებია: „ესე წიგნი [მოგეც] მე, თბილელ ეფისკოპოზმან და ქრისტეს საფლავის მოსამსახურემან ელისე, შენ ბარლის შვილსა იოთამს და შვილთა შენთა. მოხველ და იქ, თერგისში ცოლი შეირთე და დასახლდი ჩვენის შეკითხულობითა და ნებართვით“.[2*] შიდა ქართლში იერუსალიმის ჯვრის მონასტერს სხვა მამულებიც ჰქონდა. ეს იყო სოფელ ხვითის მიმდებარე ტერიტორია (აღ-ნიშნული სოფელი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, სოფ. ნიქოზის მეზობლად) 1624 წლის ერთი დოკუმენტით ირკვევა, რომ სოფელი ხვითი იერუსალიმისათვის ვინმე დაღ-ლაძეს შეუწირავს. სვიმონ II მიერ გაცემულ საბუთში ნათ-ქვამია: „მერმე დაღლაძისაგან ქრისტეს საფლავისათვის რხუ-ითის ბოლოს მიწები აქვს შეწირული და იმის წიგნები

---

[1] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობე-ლობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 41.

* ნაშრომი დაიბეჭდა პროფ. ზ. პაპასკირის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში, თბილისი, 2012.

[2] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობე-ლობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 126.

* საინტერესოა დოკუმენტში მოხსენიებული გვარი ბარლისშვილი. აღსანიშნავია, რომ ბარიშვილების გვარი ცხოვრობს სოფელ დიცში, თერ-გვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით. შესაძლებელია, რომ ბარლისშვილი, სწორედ ბარიშვილის პირვანდელ ფორმას წარმოადგენდა და დოკუმენტში დასახელებული იოთამ ბარლიშვილი სწორედ დიციდან გადმოსახლდა თერგვისში.

დეკანოზს იოვანეს აქვს. რაც იმ წიგნებში მიწები ეწეროს, ჩვენც ის შეგვიწირავს".[1] ნ. ხუციშვილი რხუითს სამართლიანად აიგივებს ნიქოზთან ახლოს მდებარე სოფელ ხვითთან.[2] ამის საფუძველს მას აძლევს 1573 წლის შეწირულობის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „კვალად შეუწირავს ზემო ნიქოზს მირზაული მამული მისითა სამართლიანითა და ვინც იყოს მამულსა ზ[ედ]ა, გარდაახდიდეს აღაპსა; კ[ვალა]დ შეუწირავს რხვითს მარტუილოზასშვილის მამული, ორთავე განაყოფთა მამული; იქვე, რხუითის უფლისურისა შემწირველისა კერძი ნახევარი მამული...".[3] აღნიშნული სოფელი, დღეს ხვითის სახელით არის ცნობილი, უფრო გვიანდელი ხანის დოკუმენტებშიც რხვითის სახელწოდებით გვხდება. მაგ.: 1745 წ. საბუთში, რომელიც ქრცხინვალელებსა და ფავნელიშვილებს შორის არსებულ დავას ასახავს, იხსენიება რხვითი. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ცხინვალელ მურადაშვილებს და მის მეზობლებს ნიქოზში და რხვითში ნაყიდი ჰქონდათ მამული, რომელსაც ფავნელიშვილები ედავებოდნენ.[4] ზემოთ ნახსენები დოღლაძეები, რომლებმაც ქრისტეს საფლავს მამულები შეწირეს, როგორც ჩანს, უფრო ადრეულ პერიოდშიც მოღვაწეობდნენ. ეს ჩანს 1432 წლის დოკუმენტიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მოლარეთუხუცეს ხელა თავხელიძეს სწორედ დოღლაძეებისგან უყიდია მამული, რომელიც თირის მონასტრისთვის შეუწირავს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი დოღლაძისა მიერ მისყიდული მამული მურტაული (შურტაული?)."[5]

---

[1] იქვე, გვ. 31.

[2] იქვე.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I თბ., 1940, გვ. 8.

[4] იქვე, გვ. 326.

[5] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 31.

დოღლიძეების საგვარეულოს შესახებ მკვლევარი ნ. ხუციშვილი წერს: „დოღლიძეების (დოღლა-ძეების, ან დაღლაძეების) სავარაუდო სამფლობელო ადგილები XIV–XV საუკუნეებში შეიძლება შემდეგნაირად შემოიფარგლოს: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი), ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხუითის, ანუ ხვითის მახლობლად) და აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა)".[1] დოღლიძეების სამფლობელო რამდენიმე სათავადოს ემიჯნებოდა, მათ შორის საამილახვროს და სამაჩაბლოს.[2] აღსანიშნავია, რომ დოღლიძეების გადაშენებული საგვარეულოს მამულები სამეფო კარმა ქრისტეს საფლავს შესწირა. ამ ინფორმაციას გვაწვდის ცნობილი ხალხოსანი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი 1888 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში.[3] იერუსალიმის ჯვრის მონასტერს მამული ჰქონდა სოფ. ნიქოზში, სადაც თავისი ყმები ჰყავდა საქართველოს საპატრიარქოსაც. 1720 წლის სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების ნუსხიდან ჩანს, რომ კათალიკოსს ნიქოზში შვიდი კომლი ყმა ეკუთვნოდა.[4] რაც შეეხება ჯვრის მონასტერს, იერუსალიმში არსებულ ქართველთა ამ დიდებულ სალოცავს XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილმა ხელახლა დაუმტკიცა ნიქოზში ერთი ზვრისა და ერთი მეზვრეს შეწირულობა. ეს მამული ადრე ჯვრის მონასტრისათვის დიასამიძეებს შეუწირავთ. საბუთში ნათქვამია: „როგორც შეწირული ყოფილიყოს (იგულისხმება დიასამიძეების შეწირულობა – გ. ს.) ისრევ ჯვარის მონასტრისათვის, ჯვარის მამას

---

[1] იქვე, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 32-34.

[3] გაზ. „ივერია" 1888, №216, გვ. 216.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I თბ., 1940, გვ. 184.

ეჭიროს ბატონის მამის ჩვენის მობრძანებამდი. იმის მერე როგორც სჯობს, ისე ყოს".[1] საბუთი გაცემულია 1703-1709 წლებს შორის – ვახტანგის ჯანიშინობის დროიდან გიორგი XI სიკვდილამდე".[2] აღსანიშნავია, რომ დიასამიძეები დიდი ლიახვის ხეობის მახლობლად მდებარე სოფელ საქაშეთში XVIII საუკუნის ბოლომდე ცხოვრობდნენ. ერეკლე II დროს დიმიტრი დიასამიძე გორის ციხის მინბაში ყოფილა და მას, როგორც ერთ-ერთი წარწერა გვამცნობს, 1792 წელს საქაშეთის კოშკი აუშენებია.[3] დიასამიძეებს, როგორც ჩანს, მამული ჰქონდათ ნიქოზში, რომელიც ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავთ, ეს შეწირულობა XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილს დაუმტკიცებია. ლიახვის ხეობაში მცხოვრები დიასამიძეები ზრუნვას იჩენდნენ წმინდა მიწაზე არსებულ ქართული მონასტრის მიმართ. დიასამიძეთა ღვაწლი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიმართ, მონასტრის აღაპებითაც დასტურდება. ერთ-ერთ აღაპში იერუსალიმის იხსენიება ვარამ დიასამიძე: „[თუესა დეკემბერსა ზ], ამასვე დღე წირვა და აღაპი და ლოცვ(ა)ი დიასამისძისა ვარამისი, ასი მუტყალი ოქრო გამოეგზავნა, შეუნდვნეს ღმერთმან".[4] ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი აღაპი დაწესებული იყო ვარამ დიასამიძის მეუღლის – თამარის სახელზე.[5] XVIII ტაბულაში გაერთიანებული აღაპების, კერძოდ, დოკუმენტებში მოხსენიებული ფულის ერთეულების, აგრეთვე ხელნაწერის სტილური ნიშნების მიხედვით, ელ. მეტრეველი ვარაუდობს, რომ

---

[1] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 41.

[2] იქვე.

[3] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I თბ., 1984, გვ. 112.

[4] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 103.

[5] იქვე, გვ. 104.

აღაპები შედგენილი უნდა იყოს XV საუკუნეში.[1] ხომ არ იყო ვარამ დიასამიძე ის პიროვნება, რომლის მიერაც მოხდა ნიქოზის მამულის შეწირვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი? ამას გვაფიქრებინებს რამდენიმე გარემოება, 1. მის სახელზე დაწესებული აღაპი, მონასტრისადმი ვარამ დიასამიძის განსაკუთრებულ დამსახურებაზე მიუთითებს; 2. ვარამ დიასამიძის აღაპთან ერთად, როგორც ელ. მეტრეველს აქვს აღნიშნული, XVIII ტაბულაში ერთიანდება დანიელ წინამძღვრის აღაპი, რომელიც ასევე XV საუკუნეშია შედგენილი. როგორც მკვლევარი ვარაუდობს, აღაპში მოხსენიებული დანიელ წინამძღვარი შესაძლებელია ჯვრის მონასტრის მამა – ნიქოზის ეპისკოპოსი დანიელი იყო. არ არის გამორიცხული, რომ ვარამ დიასამიძე და დანიელ წინამძღვარი ერთსა და იმავე ეპოქაში მოღვაწეობდნენ, რადგან ორივე მათგანის აღაპში, როგორც აღინიშნა, ფულის ერთი და იგივე ერთეულია მოხსენიებული. დანიელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის 200 მუტყალი ოქრო გაუგზავნია, ხოლო ვარამ დიასამიძეს 100 მუტყალი. არ არის გამორიცხული ისიც, რომ დიასამიძეებმა, ნიქოზში არსებული მამული ნიქოზელი ეპისკოპოსის, ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დამტკიცებული დანიელის თხოვნით შესწირეს. დიასამიძეებს მამული სოფ. ნიქოზში, გვიანფეოდალურ პერიოდშიც ჰქონდათ, რომელიც შემდეგ მათ მაჩაბლებს მიჰყიდეს. ამას ადასტურებს 1700 წლის ნასყიდობის წიგნი მიცემული იასე და ედიშერ დიასამიძეთა მიერ პაატაბეგ და ავთანდილ მაჩაბლებისადმი.[2] დიასამიძეებს, რომ განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ იერუსალიმის ქართულ სავანესთან, ჩანს იქიდანაც, რომ მათი საგვარეულოს წარმომადგენელი ანტონი 1755 წლის დოკუ-

---

[1] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 145.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I თბ., 1940, გვ. 109.

მენტის მიხედვით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო.[1] სოფელ ნიქოზს იერუსალიმთან საკმაოდ დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ნიქოზის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალმა დააარსა. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესიაი, მოციქულთაი სუეტი ცხოველი და უპყრა სუეტსა შინა სამხრით, ადგილსა მას, სადა დაცემული იყო ეკლესიაი, რომელ არს სიონი დიდი, მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ-ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა. დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა აქიზისასა, ერთი – არტანს, ერთი – მანგლისს, ერთი – ბოლნის[ს], ერთი – რუსთავს, ერთი – ნინოწმიდას, [ერთი] – უჯარმოისკარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი – ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელ იგი მანვე აღაშენა, ერთი – ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს, ერთი აგარაკს, რომელ არს ხუნანის გამართებით. შემდგომად ამისა აღაშენა ეკლესიაი ნიქოზისაი საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადაიგი დაეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისა“.[2] არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ნიქოზის ღვთაების ტაძარში დაბრძანებული იყო ცხოველმყოფელი ხის (ძელიცხოველის), ანუ ძელიჭეშმარიტის ჯვარი (სიგრძით 4 გოჯი), რომელიც ვახტანგ გორგასალს ძღვნად იერუსალიმის პატრიარქმა გამოუგზავნა. ჯვარს წარწერაც ჰქონია, რომ ის იერუსალიმიდან იყო ჩამოტანილი. წარწერიდან ჩანდა ისიც, რომ აღნიშნული სიწმინდე თამარ მეფის ასულს – რუსუდანს განუახლებია (ჯვრისთვის ვერცხლის ბუდე გაუკეთებია), ამ

[1] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 103.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 2008, გვ. 215.

გადმოცემის მიხედვით ჯვარი აქ 1791 წლამდე ინახებოდა. ეს ჯვარი ათანასე ეპისკოპოზის დროს დაკარგულა (1799), ამისათვის ათანასე ნიქოზელი მეფე გიორგი XII ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას ჩამოაშორა და ნათლისმცემლის უდაბნოში (მონასტერში) გაგზავნა. გიორგი XII სიკვდილის შემდეგ დავით ბატონიშვილმა ათანასე ისევ ნიქოზის ეპისკოპოსად დააბრუნა. ათანასე 1810 წელს გარდაიცვალა.[1] თუ ზემოთ წარმოდგენილ ცნობას დავეყრდნობით ნიქოზის ეპარქიის ურთიერთობას იერუსალიმის წმინდა მიწასთან საეპისკოპოსოს დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. იერუსალიმის პატრიარქისაგან ნაჩუქარი ძელიცხოველის ნაწილი ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის ტაძარში დააბრძანა, რომელიც ათანასეს ნიქოზის ეპისკოპოსად მოღვაწეობის დროს დაიკარგა. გიორგი XII სწორედ ამის გამო გაუძევებია ათანასე ნიქოზიდან. გიორგი XII ერთ-ერთ სიგელში აღნიშნულია, რომ ათანასე ერეკლე II დროს უკურთხებიათ ნიქოზის ეპისკოპოსად. არსებობს 1798 წლის დოკუმენტი: „არზა ნიქოზლისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII ოქმით“. აქედან ირკვევა, რომ ათანაზე ნიქოზელი ერეკლე II დროს გახდა ნიქოზის ეპისკოპოსი. ათანასე წერს „ათი წელიწადი არის ამ ეკლესიაში ნეტარხსენებულმა ბატონმა (იგულისხმება ერეკლე II – გ.ს.) დამაყენა“. ამ დროისათვის ნიქოზის საეპისკოპოსოს ქონებას შეადგენდა ხუთი კომლი ყმა, ხოლო ეპარქიაში ოთხი სოფელი შედიოდა.[2] იბადება კითხვა, ჰქონდა თუ არა უფლება გიორგი XII, რომ ძელიცხოველის ნაწილის დაკარგვის გამო ათანასე ნიქოზელი გაეძევებინა ნიქოზიდან? დოკუმენტებით დასტურდება, რომ ერეკლე II მემკვიდრე ქრისტეს საფლავის

---

[1] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I თბ., 1984, გვ. 145.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII თბ., 1985, გვ. 460.

ყმების და მამულის მეურვე იყო. 1793 წლის საბუთში, რომელსაც ჰქვია: „არზა სვიმონა ფეიქრისა ყმობის თაობაზე გიორგი XII ის ოქმით“, სვიმონა ფეიქარი, რომელიც ქრისტეს საფლავის ყმა იყო, ასე მიმართავს გიორგი XII: „რადგან ქრისტეს საფლავის საყმოთ მეურვე თქვენა ბძანდებით, ამისათვის გევედრებით თქვენად სადღეგრძელოთ, ერთი ასეთი ოქმი მებოძოს, რომ ჩემი გათვისება სხვამ არა კაცმა არ მოინდომოთ, და ჩემი შეძლებისამებრ ქრისტეს საფლავს ვმსახურებდე საუკუნოდ და თქვენის შვილების მლოცავი ვიმყოფებოდე“.[1] როგორც ჩანს ქრისტეს საფლავის საკუთრებაში მყოფი მამულების და ყმების, გასხვისება გიორგი XII ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან არ ჩანს, ათანასე ნოქოზელის მოღვაწეობის დროს გააჩნდა თუ არა იერუსალიმის ქართულ სავანეებს თავისი მამული ნიქოზში. ნიქოზის ეპარქია იმ დროისათვის ძალზე ღარიბი იყო. ადგილობრივ წარჩინებულებს ნიქოზის ტაძრისთვის მამულები წაურთმევიათ. ნიქოზის ტაძრის ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან დოკუმენტური მასალის გარდა ეპიგრაფიკული წყაროებითაც დასტურდება. ამ მხრივ ძალზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერა. სამრეკლოს აღმოსავლეთი გარე-კედლის ჩრდილოეთი მხარის მეორე ქვაზე „მრგვლოვანი“ ასოებით წერია: „წ. სახელითა ღმრთისაითა, ქრისტე შეიწყალე ამის გალატოზნი: მემარნიშვილი, მახარებელი **ჯუარის კაცი,** მახარებელი გვრიტიშვილი გიორგი. შეუნდოს ღმერთმან ცოდვანი(მათ)ნი(?). ამინ“.[2] ვ. ბერიძე ნიქოზის

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII თბ., 1985, გვ. 187.

[2] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I თბ., 1984, გვ. 155.

სამრეკლოს გვიანფეოდალური ხანით ათარიღებს.[1] წარწერაში მოხსენიებული „ჯვარის კაცი“, ჩვენი აზრით, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ჩნდება კითხვა, რატომ იხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „კაცი“ ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს წარწერაში? სავარაუდოა, რომ ის იყო ნიქოზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯვრის მონასტრის მამულების მეთვალყურე და იგი ჯვარის მონასტრის წინამძღვრის – ნიქოზის ეპისკოპოსის დანიელის[2] მიერ იყო დანიშნული. შესაძლებელია, რომ „ჯვარის კაცმა მახარებელმა ნიქოზის ტაძრის სამრეკლოს აშენებაში გარკვეული წვლილიც შეიტანა და წარწერაშიც ამიტომ მოიხსენიეს. საქართველოში ჯვარის მამის ინსტიტუტი საკმაოდ ძველი დროიდან მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება ჰქონდა ნ. ხუციშვილს, რომელიც წერდა: „ჯვრის მონასტრის მთელ სასულიერო და სამეურნეო საქმიანობას ხელმძღვანელობდა წინამძღვარი–იღუმენი, რომელსაც საქართველოს მეფე (ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ – ქართლის მეფე) ნიშნავდა და ჯვრის მამად იწოდებოდა. ის, იმავდროულად, უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის გოლგოთის წინამძღვრადაც ითვლებოდა და საქართველოს მეფეს და იერუსალიმის პატრიარქს ერთმანეთთან აკავშირებდა. ჯვრის მამები განაგებდნენ იერუსალიმის და მის შემოგარენში არსებულ ეკლესია-მონასტრებს და იერუსალიმის საკმაოდ ხალხმრავალ ქართულ თემსაც.[3] როგორც ნ. ხუციშვილი აღნიშნავს: „აღაპებში ჩანს, რა როლს თამაშობდა ჯვრის მამა მონასტრის

---

[1] ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 41.

[2] მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბ., 2004, გვ. 36.

[3] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 32.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ახდენდა შესაწირავების გადანაწილებას ეკლესია-მონასტრებს შორის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, გამოჰყოფდა თანხებს მათი ინვენტარით, ზეთით, ცვილით და სხვ. უზრუნველსაყოფად".[1] საქართველოში ჯვარის მამის ეკლესიაც არსებობდა. „ჯვარისმამის ეკლესია, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრისა და საქართველოში მისი ყმა-მამულის გამგებლის, ჯვარის მამის ადგილსამყოფელი იყო. იერუსალიმის „ჯვარის მამათა სადგური" ეკლესია მდებარეობს ძველ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის მოპირდაპირე მხარეს".[2] რაც შეეხება ჯვარის მამის თანამდებობას, ეს განსაკუთრებული პრივილეგია იყო და მისი დანიშვნა სამეფო კარის გადაწყვეტილებით ხდებოდა, რადგან ჯვარის მამას მარტოოდენ ჯვრის მონასტრის მეურნეობის და ქონების მართვა არ ევალებოდა, ის აქტიურად იყო ჩართული იმ პერიოდის დიპლომატიურ ურთიერთობებში და იერუსალიმში საქართველოს სამეფო კარს წარმოადგენდა. ნ. ხუციშვილი წერს: „შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებაც: ჯვარის მამები, როგორც მუხრანის ბატონიშვილი, ასევე ფალავანდიშვილი ქართლის მეფეების ახლო ნათესავები არიან, რაც მიუთითებს ამ თანამდებობის მნიშვნელობაზე".[3] თუმცა, როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტით ჩანს, ჯვარის მამის გარდა წმინდა მიწის ქონებას სამეფო კარიც მეურვეობდა. როგორც ვნახეთ, ერთ-ერთ დოკუმენტში ქრისტეს საფლავის ყმების მეურვედ გიორგი XII იხსენიება. XV საუკუნის II ნახევარში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ურთიერთობა ნიქოზის ეპარქიასთან კიდევ უფრო გააქტიურდა, რადგან ჯვარის მამად ნიქოზელი ეპისკოპოსი დანიელი დაი-

---

[1] იქვე.

[2] იქვე, გვ. 16.

[3] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 98.

ნიშნა. დანიელ ნიქოზელის სახელზე ჯვრის მონასტერში აღაპი იყო დაწესებული, აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში ვკითხულობთ: „გაუჩინეთ ჩ(უე)ნ, ჯუარისა მამამან ნიქოზელმან დანიელ და კანდელაკმან და ერთსულობით ძმათა, გოხასძესაი ელემპიასაი დიდათა მარხუაშ(ინ)აი, შაბათ-კუირიაკითა პანაშუიდი სხუ(ა)თა მუპანაშუიდეთა თ(ან)ა, შ(ეუნდვ-ნე)ს ღმერთმან, ა-ნ“.[1] სავარაუდოა, რომ ჯვარის მამა დანიელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო კართან, არ გამოვრიცხავთ, რომ იგი სამეფო ოჯახს ენათესავებოდა კიდეც და სწორედ ამის გამო დაინიშნა წმინდა მიწაზე არსებულ ესოდენ მნიშვნელოვანი მონასტრის წინამძღვრად. ეს აღაპი სხვა რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავს, თუმცა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი დანიელი ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპშიც იხსენიება: „[თუ-ესა დეკემბერსა იზ] ამასვე დღესა წირვა და აღაპი და და-ლ(ო)ცვა საუკუნო წ[ი]ნამძღუ[რი]სა დანიელისი, ორასი მუტყალი ოქრო საიღ[ა]ჰედ გამოეგზავნა და ისი მუტყალ[ი] დედა-ბერთათვს ვენახისათვს სასყიდლად. დედ[ა]ბერთა ვენახი აღარ იყიდეს და გაუყავ[ი]თ. ათი სომი მღრდელთათს გამოეგზავნა, [მღრდელ-თს] კ(ა)ცისათვს არ მოგვცემია, შეუნდვენ ღმერთ-მან“.[2] როგორც ჩანს, დანიელ წინამძღვარმა 200 მუტყალი ოქრო ჯვრის მონასტერს გაუგზავნა (სააღაპედ). ეს შეწირულობა განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ მის სახელზე აღაპი დაეწესებინათ, ხოლო გარკვეული თანხა – 60 მუტყალი ოქრო კი დანიელს დედაბერთათვის (ალბათ დედათა მონასტრისათვის) ვენახის შესაძენად გაუგზავნია. თანხის ერთი ნაწილი ათი სომი წინამძღვარს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მყოფი სასულიერო პირებისათვის გადაუცია. ელენე მეტრეველი გამოთქვამს ვარაუდს (რასაც ჩვენც ვუ-

---

[1] მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 77.

[2] იქვე, გვ. 115.

ჭერთ მხარს), რომ, დანიელ წინამძღვარი, ეს იგივე დანიელ ჯვარის მამაა. (ნიქოზელი ეპისკოპოსი), „ცნობები ამ პირის შესახებ (იგულისხმება დანიელ წინამძღვარი – გ.ს) არ გაგვაჩნია. ასევე არაფერი ვიცით ამავე ტაბულის სხვა აღაპებში მოხსენიებულ პირთა შესახებ. ხელის მიხედვით აღაპები XV საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყვნენ. ხომ არ არის დანიელ წინამძღვარი იგივე დანიელ ნიქოზელი, შემდეგ ჯვარის მამა, რომლის აღაპი დაუცავს ტიშენდორფისეულ ნუსხას (ტ-94) ასე რომ იყოს კიდეც, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სვინაქსარის აღაპი დაწერილია დანიელის ჯვარის მამობამდე.[1] ნიქოზის ეპარქიის მჭიდრო ურთიერთობა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გააქტიურდა. XVIII საუკუნის II ნახევარში ჯვრის მონასტრის მამა კვლავ ნიქოზელი ეპისკოპოსი იყო. დავით ნიქოზელი ჯვრის მონასტერს 1761-1773 წწ. უდგა სათავეში.[2] იგი არაერთ დოკუმენტში იხსენიება, მაგ.: 1761 წელს ჯვარის მამა დავით ნიქოზელი ამოწმებს ნასყიდობის წიგნს ხერხეულიძეებისა და არდაშელებს შორის.[3] 1762 წელს კი ხერხეულიძეებსა და მირზაშვილებს შორის. „ქ. მე მიქოზელი ეფისკოპოზი დავით და ჯვარის მამა ამისი მოწამე ვარ“. სიგელს ახლავს ბეჭედიც მხედრული ლეგენდით „ქ. მიქოზელი ეპისკოპოზი“. შუაში ასომთავრულით წერია „დავით“ ორივე ნასყიდობის ობიექტი სოფელ ყელქცეულში მდებარე მამულია.[4] დავით ნიქოზელი (ჯვარის მამა) იხსენიება 1763 წლის დოკუმენტში. მას მოუგვარებია დავა გოგიაშვილსა და გონგლიაშვილებს

---

[1] იქვე, გვ. 149.

[2] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 117.

[3] სოსიაშვილი გ., საქართველოს წარჩინებულ გვართა ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 106.

[4] ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 106.

შორის წისქვილის თაობაზე.[1] 1770 წელს ნიქოზელი ეპისკოპოსი ჯვარის მამა დავითი ამტკიცებს ყმის კუთვნილებას: „გყვანდეთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან იელუსარიმის ერთგულობასა და ჯვარის მამის სამსახურშია“.[2] დავით ეპისკოპოსი შეტანილია XVIII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსთა სიაში ურბნელის შემდეგ.[3] ჯვარის მამა დავით ნიქოზელს 1773 წელს დავა ჰქონია გერმანე მროველთან „დირბის საქმეზე“.[4] ჯვარის მამა დავით ნიქოზელი იხსენიება 1777 წლის დოკუმენტშიც, ეს არის: „განჩინება ნიქოზის ღმრთაების ეკლესიის მამულის საქმეზე“. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ნიქოზის ეკლესიის მამულები დასაკუთრებული ჰქონდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ ეს ქონება ფავლენიშვილებისაგან და შალიკაშვილებისაგან უყიდიათ, თუმცა დავით ეპისკოპოზს ხელთ არაერთი საბუთი ჰქონია, საიდანაც ჩანდა, რომ ნიქოზის ტაძარს წართმეული მამულები სხვადასხვა დროს ნაწყალობევი ჰქონდა, როგორც სამეფო ხელისუფლებისაგან, ისე საპატრიარქოსაგან. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოსის სასარგებლოდ გადაწყდა. „ბედნიერის ხელმწიფის ბრძანებით სამართალმა წმინდას ეკლესიას თავისი მამულები ასე დაანება და მათის ამაღლებულის მაღლის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან“.[5] ნიქოზის საეპისკოპოსოს და ფავლენიშვილებს შორის დავა ნიქოზში არსებულ მამულებზე დავით ნიქოზელის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. ამას ასახავს „განჩინება გიორგი XII-ისა ნიქოზელისა და ფავლენიშ-

---

[1] იქვე.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974, გვ. 40-41.

ვილების ყმა-მამულის საქმეზე“. დოკუმენტი თარიღდება 1786 წლით. აქედან ჩანს, რომ ამ დავაში კათალიკოს-პატრიარქი ანტონი და ერეკლე II მემკვიდრე გიორგი XII ჩაერივნენ. კათალიკოს-პატრიარქს დავის გადასაწყვეტად ნიქოზში გამოუგზავნია სასულიერო პირები: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, თბილელი მიტროპოლიტი გერმანე, რუსთველი მიტროპოლიტი კირილე და დიკასტერიის წარმომადგენლები. საბოლოოდ დავა ნიქოზელი ეპისკოპოსის იულიოსის სასარგებლოდ გადაწყდა. ამ დოკუმენტიდან ჩანს ისიც, რომ ჯვარის მამის დავით ეპისკოპოზის ნიქოზის ეკლესიაში დაკრძალვაზე ფავლენიშვილებს უარი უთქვამთ. იმ მიზეზით, რომ ეკლესია მათი საკუთრება იყო და დავით ნიქოზელი ტაძრის გვერდით ეკვდერში დაუკრძალავთ, სადაც სხვა ეპისკოპოსებიც იყვნენ დასაფლავებულნი. სამეფო კარმა იულიოს ნიქოზელს დავით ეპისკოპოსის ეკლესიაში გადასვენება დაავალა: „ქ. ამასაც ჩიოდა ყოვლად სამღვდელო ნიქოზელი იულიოს: ჩემს უწინარეს დავით ნიქოზელი დიდად დამაშვრალი იმ ეკლესიაზედ რომ მიიცვალა, თავის ეკლესიაში ადგილი არ დაანებეს, რომ დამარხულიყო. მის სიმაღლეს მეფეს და მის უწმინდესობას კათალიკოს-პატრიარქს მოვახსენეო. და ბრძანება გვაჩვენა, ორთავ ებრძანათ რისხვით და წყრომით: ფავლენიანო! რის მიზეზით გიქმნიათ, რომ ეპისკოპოსი თავის ეკლესიაში არ დაგიმარხვიანებიათო. იულიოს ნიქოზელო! ამოასვენე და ეკლესიაში მიიღეო და ეგრეთ აღესრულებინა ბრძანებული“. დოკუმენტს ხელს აწერენ: მთავარეპისკოპოსი იოასაფი, ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე, არხიეპისკოპოსი რუსთველი კირილე, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მდივანბეგ ეშიკაღათბაში თეიმურაზ ციციშვილი, ერეკლე II მსაჯული იესე, მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკაშვილი, მოწმე სოლომონ ლიონიძე, ხუცეს-მონაზონი გრიგოლი. დიკასტერიის მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე, დავით გარეჯის არქიმანდრიტი თეოდოსი, მთაწმინდის არქიმანდრიტი იოაკიმე, მეფე ერეკლე

II, დარეჯან დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილები.[1] დავით ნიქოზელის შემდეგ, ნიქოზის ეპარქიას სათავეში ჩაუდგა იულიოსი, რომელმაც 1785 წელს საჩივრით მიმართა დიკასტერიას. როგორც ირკვევა, დავით ჯვარისმამის გარდაცვალების შემდეგ ფავლენიშვილებმა ეპისკოპოსის ზანდუკი გატეხეს და დავითის მიერ შენახული ნიქოზის ტაძრის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები წაიღეს.[2] ნიქოზის ეპარქიაში მოღვაწეობის შემდეგ იულიოსი ჯერ სამთავისში გადავიდა, შემდეგ კი ურბნელი ეპისკოპოსი გახდა, მის შემდეგ ნიქოზის ეპარქია ათანასიმ ჩაიბარა (ეს ის ათანასი იყო, რომლის დროსაც ნიქოზის ტაძარში დაბრძანებული ძელიცხოველის ნაწილი დაიკარგა), ათანასი ნიქოზელს პატრიარქის დავალებით ნიქოზის ეკლესიის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები გადაეცა.[3]

ლიახვის ხეობაში არა მარტო ჯვრის მონასტერს ჰქონდა მამულები, არამედ სინას წმ. ეკატერინეს მონასტერსაც, რომელსაც საქართველოში, კერძოდ, თბილისში თავისი მეტოქიც გააჩნდა.[4] სინას მთაზე ქართველების მიერ არაერთი ეკლესია იყო დაარსებული, მათ შორის წმ. იოანე

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974, გვ. 328-329.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 673.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1974, გვ. 331-332.

[4] მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 49. ზოგიერთი ცნობის მიხედვით ქართველი სასულიერო პირები სინას მიდამოებში VI საუკუნიდან მოღვაწეობდნენ. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 45; მესხი თ., სინა და საქართველო, ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, თბ., 2013, გვ. 14.

ღვთისმეტყველის, წმ. გიორგის, ღვთისმშობლის შობის, წმ. ანტონის და სხვ.[1] სინას მონასტერს, რომელიც შუასაუკუნეებში მართლმადიდელი ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა, საუკუნეების მანძილზე ძალზე აქტიური კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. სინას წმ. ეკატერინეს მონასტერს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა ქართველ მეფეებთან, რომლებიც წმინდა მიწაზე არსებულ სავანეს მატერიალურ დახმარებას უწევდნენ.[2] სინას მონასტრის საქართველოსთან აქტიურ ურთიერთობაზე მიუთითებს სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეში შემონახული ცნობები. აქ არის დაცული ქართველი მეფეების, მათი ოჯახის წევრების და ასევე ქართული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლების მოსახსენებლები.[3] როგორც აღვნიშნეთ, სინას მონასტერს საქართველოში, კერძოდ, კი თბილისში თავისი მეტოქი ჰქონდა, თუმცა საქართველოსთან მისი კავშირი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. სინას დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ მეღვრეკისში თავისი მამული ჰქონდა. სინას მონასტრის მფლობელობას მეღვრეკისში ადასტურებს XVII საუკუნის ერთ დოკუმენტი, რომელიც საქართველოში სინელი მთავარეპისკოპოსის - ანანიას სტუმრობას ეხება. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, მეღვრეკისში არსებული სინას მონასტრის მამულები ერთი პერიოდი მონასტრის ნებართვის გარეშე გაყიდულა და ვახტანგ V შაჰნავაზს მონასტრის მამულები გამოუსყიდია. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქკს:ტნდ: ქ... ესე წიგნი მოგართვით ჩნ სინის მთავარ-ეპისკოპოსმან ანანია და სინის მონასტრის კრებულმან ბერმან თქუენ ქართლის ხელმწიფეს პატრონს შაჰნავაზს, ძეთა თქუენთა... კახთა

[1] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 24-89.

[2] იქვე, გვ. 151-164.

[3] კლდიაშვილი დ., სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბ., 2008, გვ. 161-182.

მეფეს არჩილს, გის (უნდა ეწეროს გიორგის - გ.ს) ლევანს, ლუარსაბს და სულეიმანს, ასე რომე სინის მონასტრის მამული მეღურეკის ცოტა ხანს კახაბრიშვილს გორჯასპის ჰქონებოდა და იმ მონასტრის მამულისაგან იქ მიწები მიეყიდა ფანელიშვილს რევაზასა და პაპუნასთვის. იმათ ზოგი ვენახად აეშენებიათ, ზოგი სახლები და ქვევრები ჩაედგა ზოგი ისრევ მიწად იყო. ჩ ნ ჩუ ნის მონასტრიდამ მოვედით თქუენს საბატონოშია და შემოგეხუეწენით... დახსნასა... თქუენ იყიდეთ და ისევ ჩუენს მონასტერს შემოსწირეთ. ჩუენ დავდევით თქუენის დედის და მამის აღაპი... ხორციელს შაბათს... და ორს კანდელს სამუდამოდ... ავანთებდეთ... წმ ა კატერინა რომ იქ მარხია.. (სინას, იმას ფიცულობს, არ მოგიშალოო აღაპი)... დაიწერა ქკს:ტნდ:თვესა აპრილსა :კ: ხელითა... ტფილელ იოსებისათა“.[1]

იმ დროისათვის სინას მონასტერს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის საპატრიარქოსთან. როგორც ჩანს, საქართველოში არსებულ მამულებზე მონასტერმა ყურადღება მოადუნა, ამით ისარგებლა გოჯასპი კახაბრიშვილმა და მეღვრეკისში არსებული მონასტრის ქონება ფავლენიშვილებს მიჰყიდა. დოკუმენტში გარკვევით წერია, რომ სინას მონასტრის მამული მეღვრეკისში სწორად გოჯასპი კახაბრიშვილს ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ მამული მონასტერმა ქართველ წარჩინებულს დროებით მოსავლელად გადასცა. კახაბრიშვილს რომ სინას მამული მიეტაცა, ანანია ამას ჩვენი აზრით დოკუმენტში მოიხსენიებდა. ე. მამისთვალიშვილის აზრით: „გაურკვეველია რომელ დროსა და ვითარებაში იყიდა დასახელებული მამული ფავლენიშვილმა კახაბრიშვილისაგან, ან ამ უკანასკნელის ხელში როგორ აღმოჩნდა სინის მამული. ჩანს, რომ მეღვრიკისის მამული ფავლენიშვილებს კახაბრიშვილებისაგან უყიდიათ და არ მიუტაციათ, მა-

[1] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 483.

გრამ კახაბრიშვილები რა უფლებით ფლობდნენ მას, ეს კი არ ჩანს. ფავლენიშვილებს ნაყიდი რომ არ ქონებოდათ, მაშინ მეფე მას არ გამოისყიდდა. ის ფავლენიშვილებს, როგორც სინის მამულის მიმტაცებლებს, პირდაპირ ჩამოართმევდა და ძველ მეპატრონეს დაუბრუნებდა. მეფე ასე მოიქცა მაშინ, როცა მაჩაბელს დაუბრუნა არაგვის ერისთავის მიერ თამარაშენში მიტაცებული ყმები."[1] ანანიას ვიზიტი საქართველოში 1665 წელს შედგა. სინელი მთავარეპისკოპოსი მხოლოდ მეღვრეკისის საქმეზე არ იყო ჩამოსული, მისი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ვახტანგ V შაჰნავაზის მხარდაჭერის მოპოვება იყო. ამ დროს სინას მთავარეპისკოპოსს დაპირისპირება ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქთან და მას ქართლის სამეფოს კარის დახმარება ჭირდებოდა. თუმცა ვახტანგ V ანანიას დიპლომატიური მოსაზრებით მხარი არ დაუჭირა და იერუსალიმის პატრიარქი არ გააღიზიანა.[2] თუმცა სინას მთავარეპისკოპოსს მეღვრეკისის მამულები გამოუსყიდა და მისი დახმარება მხოლოდ ამით შემოიფარგლა. როდის გადაეცა მეღვრეკისის მამულები სინას წმ. ეკატერინეს მონასტერს, ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული ვარაუდებია გამოთქმული. აღსანიშნავია, რომ პლატონ იოსელიანის ცნობით: „ესე სოფელი ქართლს, ძუელთა მეფეთაგან არის შეწირული".[3] ცხადია, აქ დაკონკრეტებული არ არის, რომელ მეფეზეა საუბარი, ამიტომ ძნელია, ამ მხრივ, რაიმე ვარაუდის გამოთქმა. XX საუკუნის დასაწყისში წმინდა მიწაზე ნამყოფი სასულიერო პირი პეტრე კონჭოშვილი თვლიდა, რომ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს დედათა მონას-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., საქართველოს და სინას მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან, „ლოგოსი" 2007, გვ. 7.

[2] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

[3] გედევანიშვილი ი., მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბ., 1852, გვ. 98, შენ. 70.

ტერი XVII საუკუნეში ააგეს ციციშვილებმა და მაჩაბლებმა.[1] ძალზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის სოფელ მეღვრეკისთან ურთიერთობის შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში არ გვხვდება. ვახუშტი წერს: „ხოლო კუალად შერთულს ზეით, დიდს ლიახუზედ, არს მეღვრეკისს მონასტერი უგუმბათო, უზის წინამძღვარი.“[2] ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის მეღვრეკისის კავშირი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერთან, შეუძლებელია ვახუშტის ყურადღების მიღმა დარჩენილიყო, ამიტომ სავარაუდოა, რომ ამ დროისთვის სინას მთას და დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელს შორის დროებით შეწყვეტილი იყო ურთიერთობა. დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ფეოდალების-მაჩაბლების წმინდა მიწასთან ურთიერთობის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის XVIII საუკუნის შუახანებში იერუსალიმში ნამყოფი ცნობილი სასულიერო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი. ქართველი პილიგრიმი აღწერს იერუსალიმის წმ. ეკატერინეს დედათა მონასტერს, რომელიც ამილღამბარ ფანასკერტელ-ციციშვილს და მაჩაბლებს აუშენებიათ: „ქ. მონასტერი დედათი წმ. ეკატერინესი ფანასკერტელისა ციციშვილისა ამილღამბარისა და მაჩაბელთ, მოხსენება მუნ არს.“[3] ელ. მეტრეველის განმარტებით ტიმოთე გაბაშვილის ცნობა: „სანდოა, ვინაიდან იგი მას მონასტრის მოსახსენებლიდან ამოუკითხავს, ძნელი სათქმელია, თუ რომელი

---

[1] იხ. მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძე კონჭოშვილისა, ტფ., 1901, გვ. 11.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369.

[3] გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 81.

ამილღამბარი უნდა იყოს* ამ მონასტრის ქტიტორი - XIV საუკუნის პირველი ნახევრისა თუ XV საუკუნის დამდეგისა. ყოველ შემთხვევაში ამ ორი თარიღის ფარგლებში უნდა ვი-ვარაუდოდ მონასტრის აშენება.“[1] მკვლევარი დ. კლდიაშვილი იერუსალიმის წმ. ეკატერინეს ამშენებლად XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწეს ამილღამბარ ფანასკერტელს მიიჩნევს, ხოლო თანაქტიტორ მაჩაბლად კი ხელა თავხელისძეს, რომე-ლიც სამეფო კართან, კერძოდ, ალექსანდრე I დანათესავებუ-ლი პირი იყო, იგი ფლობდა მოლარეთუხუცესის თანამდებო-ბას და ცოლად ჰყავდა ალექსანდრე I ბიძაშვილი ივანე ათა-ბაგის ასული გულქანი. დ. კლდიაშვილი წერს: „როგორც გაირკვა, XV საუკუნის პირველ ნახევარში ამილღამბარ ფა-ნასკერტელისა და მისი ოჯახის წევრებისათვის აღაპ-მოსახ-სენებლები დაუწესებიათ, როგორც იერუსალიმის ჯვრის მო-ნასტერში, ისე სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში, ყოველივე ზემოთქმული იძ-ლევა ვარაუდის საფუძველს, რათა ამილღამბარ ფანასკერტე-ლი და მაჩაბლები იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის აღმშენებლებად მივიჩნიოთ.“[2] დ. კლდიაშვილის აზრით, XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე ხელა თავხელისძეს საკმაოდ ინტენსიური და ახლო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ქართულ სავანეებში მოღვაწე ქართველებთან. ალექსანდრე I

---

* აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით ორი ამილღამბარ ფანასკერტელია ცნობილი. 105-ე აღაპში მოხსენიებული ამილღამბარი XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა, ხოლო 136-ე და 138-ე აღაპებში მოხსენიებული ამილღამბარი XV საუკუნის პირველი ნახევრის. იხ. მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, №105; 136; 138. XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე - ამილღამბარ ფანასკერტელი და მისი მეუღლე რიფსიმე იხსენიება სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატიანეში. იხ. ჯავახიშვილი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღ-წერილობა, თბ., 1947, გვ. 244, № 197ა.

[1] მეტრეველი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[2] კლდიაშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

ეგვიპტის სულთან ჯაკმაკის კარზე თავისი ელჩები გაუგზავნია და წმინდა მიწაზე მყოფი ქართველი ბერების მფარველობა უთხოვიათ. „ვინ უნდა ყოფილიყვნენ ქართველი მეფის ის წარგზავნილები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო კარის, ისე წმინდა მიწის ქართული კოლონიის ურთიერთობის მოგვარება მამლუქთა სულთნის კართან. იმ დროისათვის ერთ-ერთ მათგანად ჩანს ხელა თავხელისძე, რომელსაც ალექსანდრე I-ის კარზე მოლარეთუხუცესის სახელო ეკავა.“[1] სულთან ჯაკმაკის წერილში არსად არ არის ნახსენები ქართველი ელჩების ვინაობა, ამიტომ ჩვენი აზრის ხელა თავხელისძის მიჩნევა ამ ელჩობის შემადგენლობაში, მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება, რადგან ამისათვის სხვა არგუმენტი არ არსებობს. რაც შეეხება იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის თანაქტიტორ მაჩაბლებს, მათ დ. კლდიაშვილი ხელა თავხელიძის სახელთან აიგივებს. მკვლევარი წერს: „თუ რა დროიდან იყო შეწირული სინას მონასტრისათვის ლიახვის ხეობის ამ სოფელში (იგულისხმება მეღვრეკისი – გ. ს.) მამულები ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმული საშუალებას იძლევა გამოითქვას რამდენიმე თამამი ვარაუდი, რომ სინას მონასტერს მამულები მეღვრეკისში მაჩაბელთაგან ჰქონდათ მიღებული. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს მამულები თავდაპირველად სწორედ ხელა თავხელისძემ და მისი ოჯახის წევრებმა შესწირეს იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერს, რომელიც შესაძლოა მათი ქტიტორობით სინას მონასტრის მეტოქადაც კი იყო დაარსებული.“[2] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელა თავხელისძე XV საუკუნის I ნახევრის ძალზე ცნობილი და გავლენიანი მოღვაწე იყო. ის არა მარტო საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრებს ეხმა-

[1] იქვე, გვ. 80.
[2] იქვე, გვ. 81.

რებოდა,* არამედ უცხოეთში არსებულ ქართულ სავანეებსაც. ხელა რომ ტაძრის თანაქტიტორი ყოფილიყო, მოსახსენებელში მოლარეთუხუცეს ხელა თავხელისძე უსათუოდ დაფიქსირდებოდა ამილღამბარ ფანასკერტელ-ციციშვილის გვერდით. ხელას სახელზე აღაპები იყო დაწესებული ჯვრის მონასტერში. ე. მეტრეველის განმარტებით ტიმოთე გაბაშვილს უნახავს იერუსალიმის წმ. ეკატერინეს დედათა მონასტრის მოსახსენებლები და სწორედ ამ ტექსტზე დაყრდნობით დაწერა ცნობა ამ მონასტრის ამილღამბარ ფანასკერტელისა და მაჩაბლების მიერ აშენების შესახებ. ტიმოთეს სიტყვები: „მოხსენება მუნ არს“ სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს. ამ მოსახსენებელში რომ ამილღამბარ ფანასკერტელთან ერთად ხელა თავხელისძეც ყოფილიყო, ჩვენი აზრით, ეს ტიმოთე გაბაშვილს არ გამორჩებოდა. გარდა ამისა, თავხელისძენი ამ დროისათვის (მხედველობაში გვაქვს ხელას მოღვაწეობის პერიოდი) მაჩაბლებად არ იწერებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯვრის მონასტერში ხელას სახელზე დაწესებულ აღაპებში გვარის ფორმა „მაჩაბელი“ შეგვხვდებოდა და არა „თავხელისძე“. აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, იერუსალიმის წმ. ეკატერინეს სახელობის ტაძრის აგების საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა პროფ. ე. მამისთვალიშვილმა. მკვლევარი წერს: „ფანასკერტელ-ციციშვილების საქტიტორო და საქველმოქმედო საქმიანობაზე ცნობები XIII ს. 50-იანი წლებიდან გვაქვს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მაჩაბელზე. ტიმოთე გაბაშვილი მაჩაბლის სახელსაც კი არ გვამცნობს. როგორც ჩანს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ის არ ეწერა. ამილღამბარ ციციშვილი რადგან XV საუკუნის მოღვაწეა, რა თქმა უნდა, მაჩაბელიც და მათ მიერ დაარსებული

* აღსანიშნავია, რომ 1432 წლის საბუთის მიხედვით ხელა თავხელისძემ თირის მონასტერს უამრავი მამული შესწირა. იხ. სოსიაშვილი გ., თირის მონასტრის 1432 წლის სიგელი და თავხელისძეთა საგვარეულო, ხელნ. გვ. 3.

მონასტერიც იმავე საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ. ე. მეტრეველის ვარაუდით, ეს მონასტერი დაარსებული უნდა იყოს XIV ს. პირველ ნახევარსა და XV ს. დამდეგს შორის. ვფიქრობ, შეიძლება უფრო დავაზუსტოთ დრო და უპირატესობა მივანიჭოთ XV ს. დამდეგს და ქტიტორები უნდა იყვნენ ის მაჩაბლები, რომლებმაც თავი გამოიჩნეს თემურ ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში."[1] აღსანიშნავია, რომ ცნობა მაჩაბლების მიერ თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გვხვდება ქართლის ცხოვრების მხოლოდ მაჩაბლისეულ რედაქციაში.[2] ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ, შესაძლოა, ეს ეპიზოდი ქართლის ცხოვრებაში მაჩაბლისეული ნუსხის გადაწერის დროს (1736 წ.) შეიტანეს.[3] ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, რომ იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერი თემურ-ლენგის თანამედროვე მაჩაბლების მიერ იყოს დაარსებული, ძნელია. ე. მამისთვალიშვილი წერს: „საინტერესოა, რა კავშირი არსებობდა ფანასკერტელ-ციციშვილებსა და მაჩაბლებს შორის, რატომ დააარსეს მონასტერი ერთობლივად? როგორც ცნობილია, ალექსანდრე I-ის ძემ, ვახტანგმა (შემდგომში ვახტანგ IV, 1443-1446), ცოლად შეირთო თაყა ფანასკერტელის და. სავარაუდოა, მეფისა და თავისი სიძის (დის ქმარი) გამრეკელ-ჯავახიშვილის ხელშეწყობით მას ატენის მოურავის სახელოც ეკავა. თაყას ძმა უნდა ყოფილიყო ამილღამბარი, რომელმაც თავხელიძე-მაჩაბელთან ერთად წმ. ეკატერინეს მონასტერი ააშენა."[4] როგორც აღვნიშნეთ, ჯვრის მონასტრის აღაპებით ცნობილი მეორე ამილ-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[2] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1953, გვ. 337.

[3] გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, 110-111.

[4] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ღამბარ ფანასკერტელი XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწეა, ამიტომ თემურ-ლენგის თანამედროვე მაჩაბლები, როგორც ე. მამისთვალიშვილი მიიჩნევს ამილღამბართან ერთად იერუსალიმში წმ. ეკატერინეს ტაძარს ვერ ააშენებდნენ. მკვლევარი ტაძრის ამშენებლებად ერთგან იმ მაჩაბლებს მიიჩნევს, რომლებიც ქართლის ცხოვრების თანახმად თემურ-ლენგს ებრძოდნენ, ხოლო სხვა ადგილას კი წერს: „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თირის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული მაჩაბელი ის არის, რომელიც იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის თანადამაარსებელია და ამჯერად „მაჩაბელი“ მისი საკუთარი სახელია.“[1] თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული მაჩაბელი, თავხელისძეთა ოჯახის რიგითი წევრია და მაჩაბელი მისი საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო.[2] ვფიქრობთ, თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული „მაჩაბლის“ და ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეულ რედაქციაში მოხსენიებული თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი მაჩაბლების გაიგივება და მათი მიჩნევა იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის თანაქტიტორებად არასწორია. როგორც აღვნიშნეთ თირის წარწერაში „მაჩაბელი“ იხსენიება, როგორც საკუთარი სახელი, ხოლო ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეულ რედაქციაში მითითებულია თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლი მაჩაბლების (მამაშვილის) სახელები ხალელამპრეზი და არქაპოსი. ისინი თუ ქართლის ცხოვრების ცნობას დავუჯერებთ, XIV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდნენ[3] და, შესაბამისად, XV საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ამილღამბარ ფანასკერტელ-ციციშ-

---

[1] მამისთვალიშვილი ე., დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[2] იხ. ანდღულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 37.

[3] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 337.

ვილის თანამედროვენი ვერ იქნებოდნენ. ტიმოთე გაბაშვილს წმ. ეკატერინეს ამშენებლებად ამილღამბარ ფანასკერტელთან ერთად მაჩაბლები ჰყავს მოხსენებული, (მრავლობით ფორმაში). ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში გამოვთქვით ვარაუდი მაჩაბელთა გადაშენებული გვარის ადგილზე თავხელისძეების „მაჩაბლად დასმის“ შესახებ. ჩვენი აზრით, იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის ამშენებელი XIV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე ამილღამბარ ფანასკერტელი და მისი თანამედროვე მაჩაბლები იყვნენ (ის მაჩაბლები, რომლებიც თავხელისძეების გამოჩენამდე ფლობდნენ დიდი ლიახვის ხეობას). საქართველოში რომ თავხელისძეებამდელი მაჩაბელთა გვარი არსებობდა, არაერთი ისტორიული წყარო ადასტურებს. დოკუმენტურ წყაროებში მაჩაბლები XV საუკუნის დამლევიდან იხსენიებიან.[1] ანთროპონიმ მაჩაბლის შესახებ ცნობა XIII საუკუნის II ნახევრიდან ჩნდება.[2] იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტერში არსებულ მოსახსენებელში შესაძლოა ტაძრის თანაქტიტორ მაჩაბლების რამდენიმე სახელი იყო მითითებული და ამიტომ ტიმოთე გაბაშვილმა ისინი სწორედ მრავლობით ფორმაში გვარით მოიხსენია. არ გამოვრიცხავთ იმას, რომ დიდი ლიახვის ხეობაში თავხელისძეებამდე მცხოვრებმა მაჩაბლებმა სინას წმ. ეკატერინეს მონასტერს მეღვრეკისში არსებული მამული გადასცეს, ოღონდ არა მთლიანად სოფელი. ჩვენი აზრით, მაჩაბლებს მეღვრეკისში კიდევ ჰყავდათ ყმები, რომლებიც შემდეგ მაჩაბლების სხვა მამულებთან ერთად თავხლისძეებმა დაისაკუთრეს. თირის მონასტრის 1432 წლის სიგელის მიხედვით ხელა თავხელისძემ მეღვრეკისელი გლეხი ჭონიშვილი ბეჟან იალღუზიშვილის

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საბ. №Hd-8711ა.

[2] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 186, 188.

სააღაპედ თირის მონასტერს უბოძა.[1] დ. კლდიაშვილი წერს: „იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მონასტრის აშენების თარიღის XV საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრას რამდენადმე აფერხებს ტიმოთეს (გაბაშვილი - გ.ს) მიერ მისი მაშენებელი საგვარეულოების ფანასკერტელ-ციციშვილთა და მაჩაბელთა გვარსახელით დასახელება და მათი ერთობლივი ქტიტორობით იერუსალიმში მონასტრის აშენება. ტიმოთეს ცნობის ეს ორი მომენტი ანგარიშგასაწევი ჩანს, რამდენადაც ფანასკერტელები ციციშვილებად იწოდებიან მხოლოდ XV საუკუნის დამლევიდან... იგივე შეიძლება ითქვას მაჩაბლებზეც, რომლებიც ამ გვარსახელით წერილობით წყაროებში მხოლოდ XV საუკუნის დამლევიდან იწოდებიან.“[2] აქაც შეუსაბამობას ვაწყდებით. როგორც აღვნიშნეთ, მაჩაბელთა გვარი წერილობით წყაროებში აღნიშნული ფორმით XV საუკუნემდეც გვხვდება. რაც შეეხება ფანასკერტელთა გვარის ციციშვილებად ხსენებას. სინის სულთა მატიანეში ვკითხულობთ: „ციციშვილს ფარსადანს შ ნს ღ ნ, ან, კს ნი; და თანამეცხედრსა გულდამს შ ს ღნ, ღ ნ, ან, კს ნი; და მათსა ძმასა ამილღამბარ შ ს ღ ნ, ან; და მათსა რძალსა მამქან ყოფილსა მარინეს შ ს ღ ნ, ან კს ნი.“[3] აქ მოხსენიებული პირები XV საუკუნის I ნახევრის მოღვაწენი არიან. ფარსადან ციციშვილის ძმა-ამილღამბარ ფანასკერტელი ჯვრის მონასტრის აღაპებშიც იხსენიება.[4] ასე, რომ ფანასკერტელთა გვარის ციციშვილებად მოხსენიება XV საუკუნის I ნახევარშიც სახეზეა. ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“, იმ ადგილზე, სადაც იერუსალიმის დედათა მონასტერზე საუბ-

---

[1] ქართული ისტორიული წარწერების კორპუსი, ტ. II, თბ., 2013, 179-181.

[2] კლდიაშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

[3] ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 243, №195 ა.

[4] მეტრეველი ელ., დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

რობს (როგორც დ. კლდიაშვილი აღნიშნავს: „ტიმოთეს იერუსალიმში ყოფნის დროს, ეს მონასტერი (იგულისხმება ფანასკერტელების და მაჩაბლების მიერ აშენებული წმ. ეკატერინეს მონასტერი - გ.ს) მის მიჯრით მდებარე მირქმის ქალთა მონასტერთან ერთად, ჯერ კიდევ ქართველებს ეკუთვნოდათ და მასში ქართველი მოწესე ქალები ცხოვრობდნენ.“[1]) წერს: „ქ. ესე მონასტერი დედათა ქართველთათვის არს, რამეთუ არს იღუმენისა ქართველი, ხარიტინი სახელად, ასული ანჩაფიშვილისა. ორნი მონაზონნი კახნი არიან, სხვა რუისელი, იმერელი და გურული.“[2] აქ ძალზე საყურადღებოა მონასტრის იღუმენის გვარის - ანჩაფიშვილის ხსენება. ცნობილია, რომ მაჩაბელთა გვარს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ანჩაფისძეებს უკავშირებს: „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდან მოსვლას, გარნა ახალი არს.“ ვახუშტის ტექსტი შეიძლება ასე გავიგოთ, რომ მაჩაბელთა გვარი ანჩაფისძეებისაგან მოდის, მაგრამ ახლანდელი მაჩაბელთა გვარი ახალია. შესაძლებელია ვახუშტი თავის თანამედროვე მაჩაბლებს (ანუ გამაჩაბლებულ თავხელისძეებს) ახალ საგვარეულოდ თვლიდა, ხოლო თავხელისძეებამდელი მაჩაბლების გვარი მისი ვერსიით ანჩაფისძეებისაგან მომდინარეობდა. თუ ამ ვერსიას დავუშვებთ, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ XVIII საუკუნეში ანჩაფიშვილებმა, იგივე ანჩაფაძეებმა იცოდნენ რა, რომ იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტერი მათი გვარის ერთ-ერთი განშტოების მაჩაბლების მიერ იყო აშენებული, ანჩაფიშვილთა სახლის წარმომადგენელმა, რომელიც მონაზვნად იყო აღკვეცილი, სწორედ თავისი საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ დაარსებულ მონასტერში დაიწყო სასულიერო საქმიანობა. იგი მონასტრის წინამძღვარი იღუმენია იყო, რაც დედათა მონასტერზე ამ ძველი საგვარეულოს-ანჩაფისძე-მაჩაბლების

[1] კლდიაშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 72.
[2] გაბაშვილი ტ., მიმოსვლა, გვ. 123.

გარკვეულ უფლებებს ადასტურებს. სოფელ მეღვრეკისში სინას მონასტრის მფლობელობა ანანია მთავარეპისკოპოსის წერილის გარდა რამდენიმე წყაროთი დასტურდება. 1720 წელს ვახტანგ VI დროს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების ნუსხაში მოხსენიებულია: „ქ. მეღვრეკს თაწმინდისა თორმეტი“.[1] „თაწმინდაში“ ჩვენი აზრით, სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი უნდა იგულისხმებოდეს. ასეთი ფორმით სინას მთის მოხსენიება ქართულ წყაროებში უცხო არ არის. დავით IV აღმაშენებელმა მის მიერ სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აგებული წმ. გიორგის ეკლესიისთვის არაერთი საეკლესიო ნივთი გაგზავნა. ამას ადასტურებს ორ სინურ ხელნაწერზე დართული ანდერძ-მინაწერი. ერთერთ მათგანს, საწელიწდო სამოციქულოს შემოუნახავს დავით IV ხელით, მხედრულად შესრულებული ანდერძი, რომელიც მის მიერ სინას მთაზე ხელნაწერის გაგზავნის შესახებ გვამცნობს: „ქ. მე, დავით უნარჩევესმან მონამან ყოელთა მონათა ქრისტესთამან, განვგზავნე წიგნი ესე ***მთას წმინდას სინას,*** ვინც იხმარებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთ(უ)ინ.“[2] XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ლიახვის ხეობის სოფლების აღწერის დავთრების მიხედვით სოფელ მეღვრეკისში ფიქსირდება სინას მონასტრის კუთვნილი გლეხები. დავთარში ვკითხულობთ: „მეღვრეკის სინის მთის მონასტრის ყმა:

ქ. მამასახლისი საბაშვილი შიო კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამისივ ყმა მაისურაძე ბეცია კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამისივ ყმა ქებუაშვილი ზურაბა კომლი ა, თავი ა. 4

ქ. აქავ ამისივ ყმა ილარიანი გლახა და მისი ძმა ბერი კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამისივ ყმა საბაშვილი ღვთისა და ამისი ძმა თასმაზა კომლი ა, თავი ბ.

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 184, № 256.

[2] კლდიაშვილი დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

ქ. აქავ ამისივ ყმა კახიაშვილი პეტრე, ამისი ბიძაშვილი გლახა კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ ამისივ ყმა ქებაძე მღვდელი ბასილი და ამისი ძმა კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ ამისივ ყმა ქებაძე ლეკვიას ობოლი ბერი კომლი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა აზნაურიშვილი დედანაშვილი დავით, ამისი ძმა ქაიხოსრო თავი ბ.
ქ. აქავ მონასტრის ყმა ბაგანო ქებაძის მოყვანილი ტიღა კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ მონასტრის ყმა მამასახლისის ცოლისძმა გოგია 1 კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ხიზანი ედიშერ (...) ყმა ქებუაშვილი ზურაბა კომლი ა, თავი ა.
ქ. მეღვრეკის ხერხეულიძე ქაიხოსროსა და აღათანგის ყმა კენჭაძე მღვდელი ბართლომე, ამისი ბიძაშვილი ღვთისა და ქიტესა კომლი ა, თავი გ.“[1] თუ ზემოთ აღნიშნულ დავთარს 1720 წლის საბუთს შევადარებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონასტრის კუთვნილი გლეხების რაოდენობა კომლობრივად თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უცვლელი იყო. სოფელი მეღვრეკისი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით რამდენიმე ნაწილად იყოფოდა. 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში იხსენიება „პატარა მეღვრეკისი“, რომელიც კათალიკოსს ეკუთვნოდა.[2] 1559 წლის ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოიხსენიება ზემო მეღვრეკისი და ცოტა მეღვრეკისი: „ზემო მეღვრეკის ერთი მრთელი მამული საგლეხო, ცოტა მეღურეკისი ნასოფლარი მისითა სამართლი-

[1] თაბუაშვილი ა., ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 88-89.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 179.

ანითა მზღურითა.“[1] 1574 წლის დოკუმენტში „წყალობის წიგნი ნიკოლოზ კათალიკოზისა პატრონ ვახტანგისადმი“ იხსენიება: „ცოტა მეღვრეკისი“ და „მეღვრეკისი“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ცოტა მეღურეკისი მისითა სამართლიანითა; და მეღურეკის ვენახი და სხვა რაც საჩვენო იყო.“[2] ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცოტა, ანუ მცირე მეღვრეკისი მთლიანად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო მეღვრეკისში კათალიკოსს ვენახი ჰქონდა და. ასევე სხვა მამულებიც: **„სხვა რაც საჩვენო იყო.“** უფრო გვიანდელ წყაროებში მხოლოდ ერთი მეღვრეკისი ჩანს. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ 1720 წლის სვეტიცხოვლის და საკათალიკოსო ყმების ნუსხაში, იხსენიება მეღვრეკისი. XVIII საუკუნის II ნახევრის დავთრებშიც იხსენიება მხოლოდ ერთი მეღვრეკისი,[3] 1736-1744 წწ. დათარიღებულ ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერის დავთრის მიხედვით მეღვრეკისში ქართულ ეკლესიას 4 კომლი და აქ მცხოვრები 6 ოჯახი ეკუთვნოდა.[4] XVIII საუკუნის II ნახევრის დავთრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეღვრეკისი მხოლოდ საეკლესიო საკუთრება არ იყო. აქ ყმები ჰყავდათ მაჩაბლებს და ხერხეულიძეებს. დავთრებიდან ჩანს, რომ მაჩაბლებს ეკუთვნოდათ 2 კომლი და 6 ოჯახი, ხოლო ხერხეულიძე აღათანგსა და ქაიხოსროს 1 კომლი და 3 ოჯახი.[5] როგორც ჩანს, მეღვრეკისში სინას მონასტრის გარდა საქართველოს საპატრიარქოსაც გააჩნდა მამულები. XVIII საუკუნის II ნახევარში სინას წმ. ეკატერინეს მონასტერსა და ქართლ-კახეთის სამეფო კარს შორის ურთიერთობა ძალზე გააქტიურდა. 1763 წლის 1 ივლისს სინას მთის მთავარეპისკოპოსმა კირილე II ერეკლე II

---

[1] იქვე, გვ. 265.
[2] იქვე, გვ. 277.
[3] იხ. თაბუაშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 72, 88.
[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III გვ. 780.
[5] თაბუაშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 72, 88.

წერილი გამოუგზავნა და სინის მონასტრისათვის დახმარება ითხოვა. კირილე II საქართველოში თავისი წარმომადგენელი პროტოსინკელოსი ბარნაბა გამოგზავნა. წერილში კირილე II ერეკლე II მიმართავდა: „გთხოვთ და გევედრებით, მეფეო მოწყალეო და თანამგრძნობელო, გვიბოძოთ მადლი და წყალობა და რაიმე სახის დახმარება, რათა ოდნავ მაინც მოვითქვათ სული ჩვენი აუტანელი გასაჭირის დროსა და უმძიმესი მოვალეობის აღსრულებისას“.[1] სინელი ბარნაბა, როგორც ჩანს, რამდენიმე წელი დარჩა მონასტრის წესდების თანახმად საქართველოში, ის აქტიურად მოღვაწეობდა სოფელ მეღვრეკისში. უვლიდა სინას მონასტრის მამულს. ამას ადასტურებს ერეკლეს II 1772 წლით დათარიღებული წერილი სინის მთავარეპისკოპოსის კირილესადმი: „თქვენი განწესების თანახმად, არქიმანდრიტი ბატონი ბარნაბა თქვენს წმიდა მონასტერში უნდა წარმოვაგზავნოთ. დაე, ასე იყოს. ვგზავნით მას, ოღონდ გაცნობებთ, რომ ბარნაბამ ამდენი წლის განმავლობაში იღვაწა ამ ადგილებში წმიდა მონასტრისათვის, სოფლისა (ჩვენი აზრით საუბარია მეღვრეკისზე - გ.ს) და მამულებისათვის, მონასტრის ყმათა და სამონასტრო შემოსავლის აკრეფისათვის, რაც კი რამ ებადა ბარნაბას, ბევრი იყო, თუ ცოტა, იქ დავტოვე, ყოველგვარი განზრახვის გარეშე. ყველანი თვალს ვადევნებთ მის საქმიანობას; თუკი წმიდა ღმერთი ინებებს, თხუთმეტ აპრილს წარმოვგზავნით მას და ის, თანახმად თქვენი ბრძანებისა, თქვენს განკარგულებაში გადმოვა. მონასტრის სოფელში (მეღვრეკისში – გ.ს), იქ, სადაც ბარნაბა იმყოფებოდა, გამგებლად ბატონ იოანიკიოსის თანხლები პირი, მონაზონი იერემია დავტოვეთ, ვიდრე წმიდა მონასტერი სხვა მონაზონს წარმოაგზავნის, რადგან ის მარტო სოფლის (მეღვრეკისზეა საუბარი – გ.ს) მართვას ვერ შეძლებს.“[2] ერეკლე II სინას მთაზე პროტოსინკელოსი იოანიკი-

[1] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[2] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

ოსი გაგზავნა და მონასტრისთვის 250 ფლორი ფულადი თანხა გაატანა. გარდა ამისა ის მონასტერს დაპირდა, რომ ვერცხლის მადნის აღმოჩენასთან დაკავშირებით ის მონასტერს ყოველწლიურად 200 გროშს გაუგზავნიდა.[1] ერეკლეს მონასტრისთვის ორი ქრისობულონი (დაპირების წიგნი) გაუგზავნია, ერთი ქრისობულონის თანახმად მას 200 გროში უნდა ეგზავნა ყოველ წელს მონასტრისთვის, ხოლო მეორე ქრისობულონის თანახმად კი 50 გროში, რათა წმიდა მონასტერში წელიწადში ორჯერ ომში დაღუპული ქრისტიანებისთვის საღმრთო ჟამისწირვა აღვლენილიყო. როგორც ჩანს, ამ ქრისობულონებს მონასტრის წინამძღვრის მხრიდან დამტკიცება ჭირდებოდა. 1779 წელს სინას მონასტერმა საქართველოში კრეტელი მღვდელი იოანიკიოსი გამოგზავნა, რომელსაც თან რამდენიმე სასულიერო პირი ახლდა. მათ შორის: დიაკონი ნეოფიტე ტრაპიზონელი და სამლელი მონაზონი ისაია. არქიმანდრიტი ბარნაბა ამ დროს საქართველოში იყო. სინას მონასტრის კრებულმა ბარნაბას დაავალა, რომ იოანიკიოსისთვის სინას მონასტრის სხვა ქრისობულონებიც გადაეცა: „მივწერეთ აგრეთვე მამა ბარნაბას, რომ მას (ე.ი იოანიკიოსს – თ. მ.) გადასცეს ზემო იბერიის სოფლის (საუბარია მეღვრეკისზე – გ. ს) ქსრისობულონები და აბრეშუმის ქრისობულონი, რომელსაც მონასტერი იქ ძველ დროში ფლობდა, იქნებ რამის გამოსწორება შეძლონ.“[2] ამ წერილიდან ჩანს, რომ სოფელ მეღვრეკისში სინას მონასტრის უფლებების დამადასტურებელი ქრისობულონები, ანუ პირობის დოკუმენტები არსებობდა, რომლის მიხედვით მეღვრეკისის მამულები თავის დროზე სამეფო კარისაგან, თუ რომელიმე ფეოდალისაგან სინას გადაეცა. მონასტერს საქართველოში აბრეშუმის სახითაც ჰქონია შემოსავალი, მაგრამ, როგორც ჩანს, სინას მონასტრის უფლებები შემცირებული ყოფილა, ამას

[1] იქვე, გვ. 167.
[2] იქვე, გვ. 171.

ადასტურებს დოკუმენტში არსებული ჩანაწერი: „იქნებ რაიმეს გამოსწორება შეძლონ.“ არქიმანდრიტმა იოანიკიოსმა საქართველოში ათი წელი დაჰყო. 1789 წელს იგი ლეკებმა მოკლეს.[1] არქიმანდრიტ იონიკიოსის საქართველოში, კერძოდ კი სოფ. მეღვრეკისში მოღვაწეობას ადასტურებს 1782 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტი, რომელიც მეღვრეკისში არქიმანდრიტ იოანიკიოსის და მისი მხლებელი რამდენიმე სასულიერო პირის მიერ ერთ-ერთი გლეხისთვის მამულის ბოძებას ეხება. დოკუმენტი ინახება გორის ს. მაკალათიას სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ნაწერია მოყავისფრო გრაგნილზე. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. წაყლობითა მღთისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩუენ სინას მთის მონასტრის არქიმანდრიტმან ივნა ნიკო (იოანიკიოსი - გ.ს) ან და ან მღვდელმონაზონმა ესიამა* და მთავარ დიაკონმან ნეოფიტემან თქუეენ ჩუენის ეკლესიის მემკვიდრე ყმას მეღვრეკისელს ილარიონს, ბერასა და ძმასა შენსა გლახასა და შვილს თქუეენსა ივანესა, გოგიასა და პეტრესა და ილარიონსა, შვილთა მომავალსა სახლსა თქვენისათა მას ჟამსა ოდენს ჟამთა ვითარებისაგან მამა-პაპა თქუენი გარდაცვინულიყვნენ და სერისნის(?) მისულიყვნენ. მერე შენსა მეზობლებს ბედნიერს ხელმწიფესთანა ეჩივლათ და ბეაცნა(?) ამილახვრისშვილი იასაულათ ეყენათ სერისნო(?) და მეორეთ თქვენს სამკვიდრო მამულზედ მეღვრეკის დაესახლებინეთ. ჩვენ რომ ჩვენის ეკლესიიდამა მოვედით მთელს ჩვენს საყმოში მოკითხულ ვქენით და ამთონებიც იყო მამულზედ მტრათ იყვენით თქვენის სახლის კაცის ამოვარდნილის დოზოდნიაშვილის(?)ვენახი. გიბოძეთ თავს ედიშერაშვილის ვენახამდინ, ბოლოს დედანაშვილის ვენახამდინ, ერთი გვერდი მაისურაძის მიწამდინ, მეორე გვერდი ირალიონის ლომიას ვენახამდინ,

---

[1] იქვე, გვ. 119.

* ისაია მონაზონი, 1779 წელს სინას მონასტრიდან საქართველოში გამოჰყვა იოანიკიოსს

თავის გახითა(ბაღითა?) შესავლითა და მოსავლითა და თვისის სხეულთა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენის ეკლესიის ერთ გულიმში(?) [ერთგულებაში?]. მოგახმაროს რაც მართებული კულუხი იყოს. იმავ კულუხს ეკლესიას მიართმევდე. ეს ჩვენი წყალობა არც ჩუენმა მოშალოს და არც ჩუენმა მუადგილე ჩვენის ეკლესიის არქიმანდრიტმან მოგიშალოს. გევედრებით მის დამტკიცებას დამტკიცებული ღმერთმან და უწმინდესმა ეკლესიამან აკურთხოს. არიან ამისი მოწმე და დამსწრე აჯი მელიტონის შვილი ნიკოლოზ და ქებაძე, მღვდელი ბასილი და ედნაშვილი(?)*დავით. მამასახლისი გიო და კხიაშვილი** მღთისათა... ერთობით ჩვენი ეკლესიის ყმანი მეღვრეკისელნი. დაიწერა მეღვრეკის მარტს ქკს უიი(470) [1782].[1] დოკუმენტში მოხსენიებული პირების არსებობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგ. მღვდელი ქებაძე ბასილი იხსენიება ლიახვის ხეობის სოფლების აღწერის დავთარში XVIII ს. II ნახევარი. იგი სინას მთის მონასტრის ყმა იყო.[2] დოკუმენტში მოხსენიებული სინას მთის მონასტრის გლეხები ილარიანი გლახა მისი ძმა ბერი მოხსენიებულნი არიან ასევე დავთარში, როგორც სინას მთის მონასტრის ყმები.[3] დოკუმენტში ძნელად იკითხება, თუმცა დავთრის მიხედვით შესაძლებელია დედანაშვილ დავითის დადგენა. დავთარში იგი აზნაურიშვილად იხსენიება.[4] სიგელში მოხსენიებულია ედიშერაანთ მამული. ამ დროს მეღვრეკისში ცხოვრობდა ხიზანი ედიშერაშვილი.[5] მეღვრეკისის სიგელი აღწე-

---

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს დედანაშვილი-გ.ს)

** სავარაუდოდ უნდა ეწეროს კახიაშვილი

1 გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მუზეუმი, საბ. №7927.

2 თაბუაშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

3 თაბუაშვილი ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

4 იქვე, გვ. 88.

5 იქვე, გვ. 89.

რილი აქვს თ. მესხს. მისი განმარტებით დოკუმენტს უზის ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია ღვთისმშობლის ხატი „მაყვალი შეუწველი“. ხატის ირგვლივ ბერძნული წარწერაა, აბიმელექ. სინელი მღვდელმონაზონი. პროტოსინკელოსი. დოკუმენტის უკანა გვერდზე არის ბერძნული ხელმოწერა და დასტური: იოანიკე არქიმანდრიტი სინელი, ვადასტურებ, დოკუმენტის აშიაზე მარცხენა მხარეს ბერძნული ასოებით დაწერილია ოსმალური მინაწერი მე, ხაჯიმელტანეს [ხაჯიმელიტონის] შვილმა, ალბუზმაც ვიცი.[1] თ. მესხის განმარტებით: „აბიმელექი საქართველოში 1722 წლიდან მოღვაწეობდა. როგორც ჩანს, არქიმანდრიტი იოანიკიოსი გარკვეული ხნის განმავლობაში მეტოქის ადრინდელი განმკარგავის ბეჭდით სარგებლობდა.“[2] იოანიკიოსის შემდეგ სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წარმომადგენლად საქართველოში ნეოფიტე გვევლინება. ნეოფიტე იოანიკოსს ჩამოჰყვა საქართველოში, იგი ტრაპიზონელი დიაკონი იყო და, როგორც ვნახეთ, მელვრეკისის სიგელშიც იხსენიება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნეოფიტე ქართველ სასულიერო პირს, XVIII საუკუნის 80-იან წლებში სინას მთაზე მყოფ რუისელ მიტროპოლიტს - იონას უკურთხებია არქიმანდრიტად. სავარაუდოდ, ამას მონასტრის წესდება ითვალისწინებდა, რაკი სინას მთის მონასტრის წარმომადგენელ არქიმანდრიტს საქართველოში უნდა ემოღვაწა, იგი ქართველ ეპისკოპოსს უნდა ეკურთხებინა. ნეოფიტეს კურთხევა ჯოანის მეტოქში მოხდა. იონა გედევანიშვილი წერს: „დავჰსდეგ ჯოანსა შინა და მაკურთხებინეს ნეოფიტე არქიმანდრიტი მელურეკისისა და გაისტუმრეს საქართველოში, თვსსა მეტოქში“.[3] როგორც ჩანს, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წარმომადგენელი სა-

---

[1] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[2] იქვე, გვ. 133.

[3] იოანა გედევანიშვილი, მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბ., 1852, გვ. 98.

ქართველოში, თბილისში არსებულ მონასტრის მეტოქსა და მეღვრეკისის მამულებს განაგებდა და იგი მეღვრეკისის არქიმანდრიტად იწოდებოდა. ნეოფიტეს საქართველოში გამომგზავრების ხარჯები რუსელ მიტროპოლიტ იონას დაუფარავს.[1] XX საუკუნის დასაწყისში სინას მთის წმ. ეკატერინეს მეტოქი თბილისში უაღესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1910 წლით დათარიღებულ არქიმანდრიტ ამფილოქეს მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ხანძარმა თბილისში არსებული სინას მონასტრის მეტოქი მონასტრის ყველა ნაგებობა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ეკლესია. სინას მონასტრის კრებული იძულებული გახდა მეტოქის აღდგენისთვის სახსრების გამონახვის მიზნით მეღვრეკისში არსებული ქონება გაეყიდა. 1911 წელს არქიმანდრიტი ამფილოქე თბილისში ჩამოვიდა. მისი მიზანი მეღვრეკისის ქონების გაყიდვა იყო, საბოლოოდ მეღვრეკისის მამული 511 დესეტინა მიწა და არქიმანდრიტის საცხოვრებელი სახლი, თავისი დამხმარე ნაგებობებით 32000 რუბლად გაიყიდა.[2]

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University

LANDS OF MONASTERY OF THE CROSS IN JERUSALEM AND SINAI MOUNT IN LIAKHVI GORGE

RESUME

In the Middle Ages Georgian monasteries existing abroad had their own lands in Liakhvi Gorge. Among them were the Monastery of the cross in Jerusalem and Saint Catherine's

[1] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 120.
[2] მესხი თ., დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

Monastery on Mount Sinai. Several Georgian villages belonged to the Monastery of the Cross; among them was the village of Tergvisi in Liakhvi Gorge. At different times the lands in the village of Nikozi were given to the Monastery of the Cross by Georgian nobles. In the inscription of Nikozi bell-tower dated to the late feudal period, "Evangelist Man of the Cross " is mentioned, which we think must be the overseer of the lands of Monastery of the Cross. Saint Catherine's Monastery had its rival in Georgia too, namely, in Tbilisi. The village of Meghvrekisi in Big Liakhvi Gorge belonged to Saint Catherine's Monastery. We don't know exactly when Meghvrekisi was given to the church-house in Palestine. In the 17th century by the request of Sinai Archbishop Anania Georgian King - Vakhtang V Shahnavazi redeemed Meghvrekisi for Sinai Monastery as its lands didn't belong to the Monastery for some period. According to the documents of the 18th century, peasants of twelve household in Meghvrekisi belonged to Sinai Monastery. In 1911 Meghvrekisi lands were sold for 32 000 roubles as they could not be kept by Sinai Monastery any more.

ზურაბ სულაბერიძე
საქართველოს უნივერსიტეტის ბათუმის სკოლა,
ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი

იმერეთის სამეფოს უკანასკნელი პერიოდი

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის იმპერიის დღის წესრიგში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაკავების საკითხი დადგა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, დასავლეთ საქართველო დაყოფილი იყო ერთ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ, რომელთა შორის პოლიტიკურ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანდა. იმერეთის მეფის ხელისუფლება ფაქტიურად დამოკიდებული იყო მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკურ ნებაზე, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავდნენ სახელმწიფოს პოლიტიკას.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, რომელიც 1789 წელს ავიდა სამეფო ტახტზე, თავისი მოღვაწეობის პირველ წლებში, ქართლ-კახეთის მეფის მსგავსად, სამეფოს შემდგომი გაძლიერების პერსპექტივას რუსეთთან ურთიერთობაში ხედავდა.

1794 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ რუსეთის ჯარების უფროს გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში იმერეთის მეფე აღნიშნავდა, რომ მან დაამარცხა სამეგრელოს მთავარი და მისი მოკავშირე აფხაზი ფეოდალები. სოლომონი „ქრისტიანული მოდგმის“ ხალხის ოსმალებისგან დაცვის მიზნით რუსეთს დახმარებას თხოვდა. აღნიშნული წერილი იმპერატორ ეკატერინე მეორეს 1795 წლის 17 თებერვალს გა-

დაეცა, მაგრამ რუსეთის იმპერატორისაგან მას შემდგომი რეაგირება არ მოჰყოლია[1].

1800-1801 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიის დღითიდღე გაუქმება და სამეფოს საშინაო ცხოვრებაში რუსეთის აქტიური ჩარევის პროცესი, იმერეთის სამეფო კარისათვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. შექმნილ ვითარებაში, იმერეთის სამეფოს ყველზე ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენდა შემდეგი: დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ხელისუფლების გამყარება, მთავართა დამორჩილება და ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს შთამომავლის, იულონის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად[2].

1800 წლის სექტემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად იმერეთის მეფე იულონ ბატონიშვილთან ერთად გამოდის. სამხედრო გეგმის მიხედვით, ომარ ხანს კახეთზე უნდა განეხორციელებინა თავდასხმა, აბას მირზას თბილისზე, ხოლო იმერლებსა და ახალციხის ფაშას ერთიანი ძალით ქართლზე. დოკუმენტის ავტორი იმერეთის ხელისუფლებისადმი სეპარატისტულად განწყობილი იმერეთის დიდებული დავით აბაშიძეა და შესაძლებელია ის ტენდენციური ხასიათის იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის პოზიციების გაძლიერებას საქართველოს სამეფო ხელისუფლების იგნორირების ფონზე, ქართული ფეოდალური ელიტა ნეგატიურად აღიქვამდა.

გენერალი კნორინგი ცდილობდა სოლომონ მეორესთან ურთიერთობაში მშვიდობიანის ატმოსფეროს შექმნას და

---

[1] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том I, Тифлис, 1866; стр. 553-554 (შემდეგ ასე: АКАК, т. 1)

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957 გვ. 135-136 (შემდეგ ასე: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში)

მეფესთან გაგზავნილ წერილებში მოუწონებდა, „საქართველოს მიწები“ რუსეთთან ერთობაში ყოფილიყო[1].

იმერეთის სამეფოს დესტაბილიზაციას ხელს უწყობდა მემკვიდრეობის ირგვლივ წარმოქმნილი პრობლემა. სამეფოს ერთადერთ რეალურ კანდიდატს მეფობიდან გადაყენებული დავით გიორგის ძის შვილი კონსტანტინე წარმოადგენდა. მაგრამ, კონსტანტინე, ქართლ-კახეთის დედოფლის დარეჯან დადიანისათვის არ იყო მისაღები. რომელმაც დავით გიორგის ძის ოჯახის წინააღმდეგ დევნა, მისი ტახტიდან გადადგომისთანავე დაიწყო.

ყოველგვარი საარსებო პირობების გარეშე დარჩენილ დავით გიორგის ძეს, 1795 წელს ახალციხეში აღმოხდა სული. ანა დედოფალმა შეძლო მეუღლის ცხედრის ახალციხის საფაშოდან იმერეთში ჩამოსვენება და იგი ჯრუჭის მონასტერში, დავითის საგვარეულო სასაფლაოზე, დაკრძალა[2]. დავით გიორგის ძისა და ანას ერთადერთი შვილი 3 წლის კონსტანტინე კი, დარეჯან დადიანის წაქეზებით, ციხეში იქნა გამოკეტილი. დედოფალ ანამ კეფინის ხევში დაჰყო ცხოვრების გარკვეული წლები. თუმცა მას არც აქ აძლევდნენ ნორმალური ცხოვრების პირობებს. ანას წერილებიდან ჩანს, 1801 წლის ივნისში მას გიორგი აბაშიძე უპირებდა მიეყიდა თათრებისთვის და სიკვდილითაც ემუქრებოდა. აბაშიძის ძალადობისაგან გამოხსნილი დედოფალი რუსების ჯარების სარდლობამ სურამს შეიფარა. დავით გიორგის ძის ოჯახისადმი გან-

---

[1] АКАК, т. 1, стр. 555

[2] ბარათაშვილი მ., „დედოფალ ანაზედ“, „ლიტერატურული ძიებანი“, 2002 წლ. 30, ნაწ. 1;
ელ. რესურსი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=period&cl=CL4.2&d=HASH01ec6fb2e220919747e5c7af.6.2

ხორციელებულ ზეწოლაში, ანა დარეჯან დადიანს სდებდა ბრალს და რუსეთის ხელისუფლებას დახმარებას ითხოვდა[1].

სამეფო კარის წევრებს შორის არსებული დაპირისპირება, იმთავითვე ხელს უწყობდა რუსეთის ხელისუფლებას ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ანა დედოფლის თხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ და პეტერბურგში გაგზავნეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული კნორინგი და კოვალენსკი თითქმის ყოველ წერილში ახსენებდნენ სოლომონ მეორეს დავით გიორგის ძის კონსტანტინეს გათავისუფლების შესახებ[2].

კავკასიაში მყოფი რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით, იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება აშკარა მოქმედებისაკენ მაინც თავს იკავებდა. 1801 წლის 17 სექტემბრის რესკიპტის მე-11 მუხლით, იმპერატორი ალექსანდრე პირველი მიუთითებდა რუსეთის წარმომადგენლებს, რომ ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან, რათა ის ოსმალეთის ხელისუფლებისთვის თვალშისაცემი არ ყოფილიყო [3].

ზემოაღნიშნული გარემოების მიუხედავად, რუსეთის მთავარმართებელმა კოვალენსკიმ, საქართველოში თავისი მოღვაწეობის დაწყებისთანავე, იმერეთის მეფესთან ოფიციალური ურთიერთობა დაამყარა. სოლომონი რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელთან მიმოწერაში აღნიშნავდა, რომ მისი სამეფოს სურვილი იყო რუსეთის მფარველობაში მიღება. ასევე სოლომონი გამოხატავდა თავის მხარდაჭერას იულონის კანდიდატურაზე[4]. რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა სოლომონის წერილებს. იმ პერიოდის რუსეთის

---

[1] АКАК, т. 1, стр. 556-558

[2] АКАК, т. 1, стр . 558

[3] АКАК, т. 1, стр . 559-560

[4] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 121

მთავრობის ყველაზე ოდიოზური წარმომადგენელი კნორინგი, იულონის ტახტზე აყვანასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლები: ანტონი, მირიანი, ვახტანგი, იოანე, ბაგრატი და მიხეილი უკვე სარგებლობდნენ იმპერატორის მიერ მიცემული „წყალობით“. ამდენად, მისი აზრით, ისინი ბევრად უფრო მომგებიან მდგომარეობაში იყვნენ. ამდენად, იულონის გამეფებასა და თუნდაც მის ხელში იმერეთის ტახტის გადასვლას კნორინგიც ეწინააღმდეგებოდა[1].

კნორინგის ამგვარ მოქმედებას ხელს უწყობდა იმპერატორ ალექსანდრე პირველი სპეციალური რესკრიპტი, რომელშიც ის კნორინგისაგან მოითხოვდა, არ დაეშვა ბაგრატიონების მიერ ანტირუსული მოქმედების განხორციელება იმერეთში და ყველაფერი ეცადა იმისათვის, რომ ფარნავაზი და იულონ ბატონიშვილები რუსეთში გადმოეყვანა[2].

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ და საუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე პოლიტიკური ერთეულის რუსეთის ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევამ საქართველოში პოლიტიკური ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა.

მე-19 საუკუნის რუსი მოხელე და იმ პერიოდისათვის ფრიად განათლებული პიროვნება ადოლფ ბერჟეც კი აღიარებდა, რომ რუსის ჯარს ხელახლა მოუხდა „ნებაყოფლობით“ შეერთებული საქართველოს დაპყრობა[3].

თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი აღიარებს, რომ რუსეთის საიმპერატორო კარმა თავისი უარყოფითი წვლილი შეიტანა მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოში განვითარებულ პოლტიკურ დაპი-

---

[1] АКАК, т. 1, стр . 563

[2] АКАК, т. 1, стр 571

[3] Берже А., Присоединение Грузии к России 1799-1801гг. Русская старина, 1880, т. 28, стр. 1-30; ორჯონიკიძე ე., რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 11

რისპირებაში. მან მოახდინა ამიერკავკასიის და მათ შორის საქართველოს საუკუნოვანი პოლიტიკურ კულტურის იგნორირება და განახორციელა დესტაბილიზაციის გამომწვევი არაერთი ნაბიჯი[1].

საქართველოს მთავარსარდლად პავლე ციციანოვის დანიშვნის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა. ციციანოვის მმართველობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც საქართველო უკიდურესად რთული მდგომარეობაში იყო. ქვეყანაში ახალი პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებამ, კნორინგის მმართველობის სუსტმა ნიჭმა, კოვალენსკის დაუსრულებელმა ინტრიგებმა და ფეოდალურ ძალებს შორის დაპირისპირებამ ქვეყანა უმძიმეს პირობებში ჩააგდო. ამ ფაქტს თავის დროზე საიმპერატორო კარის ოფიციალური ისტორიკოსებიც კი არ მალავდნენ[2].

კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დამტკიცებისთანავე ციციანოვი შეუდგა რუსეთის საიმპერატორო კარისგან მიღებული ვრცელი სამოქმედო გეგმის შესრულებას. აღნიშნული გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენლების რუსეთში გადასახლება; წინააღმდეგობა გაეწია ბაბა-ხანისათვის, რომელიც იულონ ბატონიშვილს ქართლ-კახეთის მეფედ აღიარებდა; თვალ-ყური ედევნებინა ეჩმიაძინის პატრიარქის თანამდებობის დაკავებასთან არსებული დაპირისპირებისათვის და სომხები სრულიად გადმოებირებინა რუსეთის მხარეზე. ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლით, შესაბამისი დროის დადგომისთანავე, ციციანოვს უნდა

---

[1] Лапин В., Цицианов, М. 2011, стр.142

[2] Белявский Н., Утверждение русского владычества на кавказе. Т.1, Тифлис, 1901. გვ. 45; (შემდეგ ასე: Белявский Н., Утверждение русского владычества на кавказе). ფირცხალაიშვილი ალ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 16

მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების დასაპყრობად[1].

დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური მიზნების განსამტკიცებლად და იმერეთის სამეფო კარზე ნდობის ასამაღლებლად, რუსეთის საიმპერატორო კარი სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა. 1803 წლის 13 აგვისტოს, იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა სოლომონ მეორე ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა, ხოლო იმერეთის მიტროპოლიტს, ძვირფასი თვალ-მარგალიტებით შემკული პანაგია გადაეცა[2].

ყოველივე ეს მიმდინარეობდა იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის დიდი დაპირისპირების ფონზე, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა ლეჩხუმის დაკავებასთან დაკავშირებით. 1803 წლის 2 იანვარს სოლომონ მეორე იმერეთის სასულიერო პირის, სიმონ მაჭავარიანის ხელით კოვალენსკის უგზავნიდა წერილს, სადაც გრიგოლ დადიანს ანტისახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაში სდებდა ბრალს, რომელიც აფსუების, ჯიქების, ალანებისა და ახალციხის ფაშას დაქირავებული ძალების გამოყენებით იმერეთის სამეფოს დაუსრულებლად ესხმოდა თავს[3].

საიმპერატორო კარი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საშინაო საქმეებში ჩასარევად რუსეთის მთავრობამ მუხურის ციხეში გამოკეტილი კონსტანტინეს (დავით გიორგის ძის შვილი) გამოყენება სცადა.

ანა დედოფალმა ჯერ ქართლიდან აღძრა საქმე, ხოლო შემდეგ წავიდა პეტერბურგს და პირადად თხოვა იმპერა-

---

[1] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том I, Тифлис, 1868, стр. 341-342 (შემდეგ ასე: АКАК, Т. 2)

[2] ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ. 1964, გვ. 73 (შემდეგ ასე: ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში)

[3] АКАК, Т. 2, стр. 340-341

ტორს დატყვევებული ვაჟის განთავისუფლებას. იმპერატორი ალექსანდრე პირველი მიმართავდა ციციანოვს, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოეყენებინა კონსტანტინეს გასათავისუფლებად[1].

1802 წელის დასაწყისში იმერეთში გაგზავნილ იქნა იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელე სოკოლოვი, რათა პირადად გადაეცა სოლომონ მეორისათვის მოთხოვნა კონსტანტინეს განთავისუფლების შესახებ[2].

დასავლეთ საქართველოში ჩასულ სოკოლოვს დადიანმა წერილი გადასცა, რომელშიც იმერეთის სამეფოსაგან განცალკევებისა და მთავრის ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, მზად იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესულიყო. სამეგრელოს მთავარი დასძენდა, იმ შემთხვევაში თუ იგი რუსეთისგან დახმარებას ვერ მიიღებდა, უკიდურეს შემთხვევაში, დახმარებისთვის ოსმალეთის სულთნის კარისაც კი მიმართავდა. დადიანი ფოთთან ერთად სთავაზობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას. მისი აზრით, ფოთი რუსეთისათვის ფრიად სასარგებლო იქნებოდა აღმ. შავიზვისპირეთში იმპერიის პოზიციების განსამტკიცებლად[3]. სოკოლოვის შუამდგომლობის მიუხედავად, უფლისწული კონსტანტინე პატიმრობიდან არ გაათავისუფლეს[4].

სოლომონ მეორე ხელს უშლიდა დადიანსა და ციციანოვს პირდაპირი კომუნიკაციის დამყარებაში. რუსეთის კარსა და სამეგრელოს შორის დამყარებული ნებისმიერი კონტაქტი

---

[1] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, თბ., 1979. გვ. 85 (შემდეგ ასე: გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე)

[2] АКАК, Т. 2,стр. 341

[3] АКАК, Т. 2,стр. 342

[4] Н. Белявский, утверждение русского владычества на кавказе, გვ. 106

სოლომონ მეორის მიერ აღიქმებოდა როგორც მის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება.

1803 წლის ივლისში ციციანოვმა წერილი გაუგზავნა სამეგრელოს მთავარს დავით მამაცაშვილის მეშვეობით. მამაცაშვილი სამეგრელოში ახალციხის გზით გაემგზავრა. გრიგოლ დადიანმაც თავისი წარმომადგენლები ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძე გაგზავნა. თბილისში ჩასვლამდე სამეგრელოს წარმომადგენლები იმერეთის საზღვარზე მძევლებად იქნა აყვანილი. მათ ჩამოართვეს წერილები და რამდენიმე-დღიანი ტყვეობის შემდეგ გათავისუფლეს. კვინიხიძეებმა მაინც ჩააღწიეს თბილისში და ზეპირად გადასცეს ინფორმაცია სამეგრელოს მთავრის პოზიციის შესახებ. ციციანოვმა კი მათ გადასცა დადიანისათვის გადასაცემი წერილის ასლი, რის შემდეგ სამეგრელოსკენ გამოემართნენ.

სამეგრელოში დაბრუნებული ქაიხოსრო და როსტომ კვინიხიძე, იმერეთში კვლავ შეიპყრეს. ერთ-ერთი მათგანი მოკლულ იქნა, ხოლო მეორემ კი გაქცევით უშველა თავს. სოლომონის ამგვარმა საქციელმა ციციანოვსა და იმერეთის მეფეს შორის დამოკიდებულება უკიდურესად გაამწვავა [1].

ციციანოვი პირდაპირ ითხოვდა სოლომონისგან გადაეცა რუსეთის მხარისთვის იმერეთს შეხიზნული ერეკლეს შვილები იულონი და ფარნაოზი, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ სამაჩაბლოსა და შიდა ქართლში განვითარებულ ანტირუსულ მოძრაობას[2].

იმერეთის მეფე ხვდებოდა, რომ რუსეთთან დაპირისპირებით ვერანაირ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა. საბოლოოდ, 1803 წლის 12 ივნისს, 10 წლიანი პატიმრობის

[1] АКАК, Т. 2,стр. 351

[2] Н. Белявский, утверждение русского владычества на кавказе. Т.1, გვ. 110

შემდეგ კონსტანტინე ბატონიშვილი ციხიდან გათავისუფლებულ იქნა[1].

იმერეთის მეფის რუსეთთან დაახლოების ნაბიჯები, მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, რადგან სოლომონს არ სურდა დამოკიდებულება უკიდურეს დაძაბულობაში გადასულიყო. ფაქტობრივად კი ის კვლავ იულონის მომხრე პროირანულად განწყობილ ძალებთან ერთად მოქმედებდა.

ფათ-ალი ხანი 1803 წლის დეკემბერში სპეციალურ წერილს უგზავნიდა სოლომონს. წერილში, ირანის შაჰი კიდევ ერთხელ გამოთქვამდა თავის პრეტენზიას საქართველოზე. ხანი იუწყებოდა, რომ ირანის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას მეთაურობით აგზავნიდა 50 ათასიან ჯარს, რომლებსაც თან გააყოლებდა სპარსეთში გახიზნულ ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებს. ირანის შაჰი ასევე იმედოვნებდა, რომ 1804 წლის დასაწყისში ირანის გამარჯვების ალამი თბილისსა და ყიზლარში აღემართებოდა და „ირანული ხმლით საბოლოოდ გაძევებდნენ რუსებს კავკასიიდან“. შაჰი სთავაზობდა იმერეთის მეფეს, მათთან ერთად გამოსულიყო რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად[2].

1804 წლის იანვარში საქართველოდან რუსეთში დიპლომატიური მოლაპარაკებისთვის გაგზავნილ იქნა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე. ფაქტია, რომ იმერეთის მეფე თავს არიდებდა პირდაპირ დაპირისპირებას და ხშირად დიპლომატიურ მანევრებსაც მიმართავდა. ლიონიძემ 1803 წლის 5 აგვისტოს იმპერატორ ალექსანდრე პირველს იმერეთის მეფის წერილი გადასცა, სადაც ის რუსეთის

---

[1] კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე) თბ., 1954, გვ. 66; (შემდეგ ასე: კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია) აქტი, ტ. 2, გვ. 352

[2] АКАК, Т. 2,стр.363

მფარველობის მიღებას ითხოვდა[1]. ლიონიძე პატივით იქნა მიღებული. ცოტა მოგვიანებით ის სწერდა: „მიღებული ვიქ-მენ ალექსანდრე პირველის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის კარზეო“[2].

საიმპერატორო კარზე ჩასული ლიონიძე საიდუმლო მრჩევლის ტატიშჩევის მიერ წარმოთქმულ ბრალდებაზე პასუხობა, რომ დაპირისპირება დადიანსა და მეფეს შორის იმით იყო გამოწვეული, რომ ოდიშის მთავარი ხელყოფდა იმ ტერიტორიას, რომელიც უძველესი პერიოდიდან იმერეთის შემადგენლობაში იყო. ასევე ფარულად აწარმოებდა მოლაპა-რაკებას იმპერიის კართან ქვეშევრდომობაში შესვლასთან და-კავშირებით[3].

სოლომონ ლიონიძესთან აუდიენციის შემდეგ, ტატიშჩე-ვმა დიპლომატს სპეციალური ნოტა გადასცა. ნოტაში რუსე-თის ხელისუფლება ადანაშაულებდა სოლომონს მეორეს სტუმართმოყვარეობის იმ წესის დარღვევაში, რომელიც აღ-მოსავლეთის ქვეყნებში ხელშეუხებლად ითვლებოდა. ასევე ადანაშაულებდა სამეგრელოზე თავდასხმასა და 400 ადამი-ანის დატყვევებაში. ამ მოქმედებისთვის იმერეთის მეფე იმსა-ხურებდა დასჯას რუსეთის მხრიდან. მაგრამ რუსეთის ხელი-სუფლება სოლომონს თითქოს აძლევდა „შანსს“ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ის უახლოეს პერიოდში უნდა გამგზავრებულიყო თბილისში და ციციანოვისთვის წარ-მოედგინა აქტი იმერეთის რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ[4].

---

[1] Дубровин Н., Закавказье от 1803-1806, СПБ., 1886, стр. 193-194 (შემდეგ ასე: Дубровин Н., Закавказье от 1803-1806)

[2] რუხაძე ტრ., სოლომონ მსაჯული, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 3, თბ., 1946, გვ. 180-181 (შემდეგ ასე: რუხაძე ტრ., სოლომონ მსაჯუ-ლი)

[3] АКАК, Т. 2,стр. 364-365

[4] АКАК, Т. 2, стр. 366

ტატიშჩევთან აუდიენციის შემდეგ, სოლომონ ლიონიძემ რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთის მეფის სათხოვარი პუნქტები წარუდგინა. დოკუმენტი დიდ ყურადღებას იმსახურებს და ამიტომ მას დაწვრილებით განვიხილავთ.

იმერეთის მეფის სათხოვარ პუნქტებში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის მეფის ქვეშევდრომობაში ყოფნით ის ბევრ სარგებელს მიიღებდა. უპირველეს სარგებლად ის მიიჩნევდა აფხაზეთის დაბრუნებას იმერეთის მეფის იურისდიქციაში, რომელიც გვიან ფეოდალურ ეპოქაში განვითარებული ჟამთა სიავის გამო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. იმერეთის მეფე ხაზს უსვამდა, რომ ის აფხაზეთის მთავრები ოდითგან იმერეთის სამეფოს ქვეშევრდომნი იყვნენ. ზოგჯერ კი ოდიშის მხარდაჭერით ისინი ცალკე იყვნენ. საუკუნეების მანძილზე ქვეყანაში შექმნილი ქაოსისა და ოსმალთა ბატონობის შედეგად, აფხაზეთის მოსახლეობა გამუსულმანდა. სოლომონ მეფე მეტი ინტერესის აღძვრის მიზნით, ხაზს უსვამდა აფხაზეთის იშვიათ გეოსტრატეგიულ მდებარეობას, რომელიც გარდა იმისა, რომ განლაგებული არის შავ ზღვის სანაპიროზე, ესაზღვრებოდა დიდ ყაბარდოს ხოლო ზღვით ყირიმსა და ანაპას. სოლომონ მეორე არწმუნებდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ აღნიშნული ტერიტორიის დაკავებით, რუსეთი კავკასიაში მნიშვნელოვნად გააფართოებდა თავის საზღვრებს[1].

სოლომონ მეორის სათხოვარ პუნქტებში ასახული იყო ასევე, იმერეთის ფრიად მოსახერხებელი მდგომარეობას რუსეთის კავკასიაში განსამტკიცებლად. სათხოვარ პუნქტებში ასევე საუბარი იყო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა და შავი ზღვით დასავლეთ საქართველოს ყირიმთან და კონსტანტინოპოლთან დაკავშირების საკითხი[2].

---

[1] АКАК, Т. 2,стр. 366

[2] АКАК, Т. 2,стр. 366

იმერეთის მეფე სამხედრო ძალითაც სთავაზობდა რუსეთს დახმარებას. ის მზად იყო საჭიროების შემთხვევაში 1000 ქვეითი მეომრით დახმარებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სათხოვარი პუნქტის ბოლო ნაწილი ეხებოდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სამეფო ტახტის გადაცემის საკითხს. იმერეთის მეფეს, რომელსაც არ ჰყავდა ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, მისი სურვილი იყო ხელისუფლება მისი შტამომავლობითი ხაზიდან გადაეცემოდა მემკვიდრეს, რომელსაც თავად მიიჩნევდა მიზანშეწონილად და დაახლოებული იქნებოდა იმერეთის სამეფო კართან. საიმპერატორო კარი საბოლოოდ უნდა დაემტკიცებინა ტახტის მემკვიდრე[1].

იმერეთის სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, მეფე ,,სათხოვართა პუნქტის" თითქმის ყველა აბზაცში უპირობოდ აღიარებდა რუსეთის ხელისუფლების უზენაესობას. გარდა ამისა, მთავარი პირობა, რის საფუძველზეც სოლომონ მეფე ითხოვდა რუსეთის მფარველობას, იყო დასავლეთ საქართველოს სამთავროების იმერეთის მეფის იურისდიქციის ქვეშ აღიარება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლად განაგრძობდნენ არსებობას[2].

საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი დასავლეთ საქართველოს სამთავროების იმერეთის სამეფოს უფლებამოსილების ქვეშ მოქცევა, იმერეთის სამეფოსა და სულთნის ხელისუფლების დაპირისპირების საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო. ასეთ პირობებში, ,,სათხოვართა პუნქტებში" თურქეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის გან-

---

[1] АКАК, Т. 2,стр. 367

[2] პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1973, გვ. 191 (შემდეგ ასე: პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის)

ხორციელების შემთხვევაში, რუსეთის არც ერთ შემხვედრ ნაბიჯზე არ იყო საუბარი.

სოლომონ ლიონიძის მისია რუსეთში წარუმატებლად დასრულდა. 1804 წლის 17 მარტს იგი პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნებულ ელჩს ციციანოვი აცნობებდა, რომ იმპერატორთან იმერეთის ელჩის წარუმატებელი მოლაპარაკება აიძულებდა მას იმერეთი იარაღის ძალით დაეპყრო. იმერეთის მეფეს ლიონიძის მეშვეობით უთვლიდა, რომ იმერეთის მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი, გარდა იმისა, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე თანხმობა განეცხადებინა[1].

1804 წლის 16 და 19 აპრილს ელაზნაურში ციციანოვისა და სოლომონ მეორის შეხვედრა შედგა. მეფე და მთავარსარდალი ლეჩხუმის საკითხში საბოლოოდ მაინც ვერ შეთანხმდნენ, რუსეთი ლეჩხუმს კვლავ სამეგრელოს იურისდიქციაში აღიარებდა[2].

თავად ელაზნაურის შეთანხმება განსაკუთრებულ პოლიტიკურ ვითარებაში დაიდო. აღნიშნულ პერიოდში, რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, კავკასიის მასშტაბურ დაპყრობას შეუდგა[3]. რუსეთისთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა და მისი გაძლიერება სავსებით მიუღებელი იყო. რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა აზრით, მხოლოდ ამიერკავკასიის ქვეყნების უშუალო დაპყრობით შეძ-

---

1 ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 101

2 АКАК, Т. 2,стр. 374

3 პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, გვ. 189

ლებდა თავისი მიზნების საუკეთესოდ განხორციელებას შუა აღმოსავლეთში[1].

1804 წელს 25 აპრილს საბოლოოდ სოფ. ელაზნაურში გაფორმდა ტრაქტატი იმერეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლაზე[2].

აღნიშნული დოკუმენტი დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იმსახურებს. საკითხს საგანგებოდ შეეხო ცნობილი მეცნიერები: ნ. დუბროვინი[3], ზ. ავალიშვილი[4], ალ. ფირცხალაიშვილი[5], ა. კიკვიძე[6], მ. დუმბაძე[7], შ. ბურჯანაძე[8], გ. პაიჭაძე[9], ი. დოლიძე[10] და სხვები. ხელშეკრულების დედანი ინახება რუსეთის ძველი აქტების არქივში, რომელიც სრული სახით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ვ. მაჭარაძემ. დოკუმენტი გამოქ-

---

[1] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 2, თბ.,1965, გვ. 291 (შემდეგ ასე: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს მე-19 ს-ის პირველ ნახევარში,)

[2] ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, გვ. 102

[3] Дубровин Н., Закавказье от 1803-1806 года, СПБ., 1866

[4] Авалов З., Присоединение России к Грузии, СПБ., 1906

[5] ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955

[6] კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე), თბ., 1954

[7] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957

[8] ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს, „მაცნე“, თბ., 1967, №3

[9] პაიჭაძე, იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1973, გვ. 202-213

[10] ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 2, თბ., 1965

ვეყნდა მხოლოდ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, გ. ჟუ-ჟუნაშვილის მიერ[1].

მოლაპარაკების დროს სოლომონ მეორემ სცადა ციცია-ნოვის მიერ შედგენილი მუხლები შეემსუბუქებინა. მეფის სუ-რვილი იყო ტექსტში ჩაწერილიყო ისეთი გარემოება, რომ რუსთა ჯარის სარდლობაზე უკმაყოფილების შემთხვევაში, მეფეს ჰქონოდა იმპერატორთან ჩივილის უფლება. ასევე, გუ-რიის სამთავრო რუსეთის იმერეთის სამეფოს დაქვემდებარება-ში ეცნო. წარდგენილი თხოვნიდან ერთადერთი, რაზეც თანა-ხმა იყო ციცანოვი, ეს იყო გურიის აღიარება იმერეთის სა-მეფოზე დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულად[2]. ეს ნაბიჯიც შემდგომი სამხედრო-პოლიტიკური სვლებისთვის იყო გათვ-ლილი.

სათხოვარი პუნქტები სულ 17 მუხლისგან შედგებოდა და შემდეგი შინაარსის იყო:

იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნად ცხადდებოდა. სოლომონს მეფობა საშვილიშვილოდ უმტკიც-დებოდა, ხოლო პირდაპირი შთამომავლის არყოლის შემთხვე-ვაში, მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი გამოცხადდე-ბოდა.

იმერეთის მეფე განახორციელებდა მართლმსაჯულებას მანამ, სანამ საიმპერატორო კარი ახალ კანონს („უამაღლეს სჯულს“) გამოსცემდა.

იმერეთი შეზღუდული იქნებოდა „ვითარცა ყოვლისა რუსეთის მონობისა შინა მყოფი“ და „რუსეთის მხედრობის“ მიერ, საუკუნოდ უნდა დაცულიყო გარეშე მტრებისგან.

---

1 მაჭარაძე ვ., რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება, კრ: „მესხეთი“, VI-VII, თბილისი-ახალციხე, 2005, გვ. 395-415

[2] АКАК, Т. 2,стр. 374-377; მაჭარაძე ვ., რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება, გვ. 397

იმერეთის მეფეს უნდა მიეღო გარკვეული სარგებელი ქვეყანაში არსებული ბუნებრივი მარაგიდან, წიაღისეული სიმდიდრეებისგან და ასევე იმერეთის იმ ქალაქებისგან, რომლებიც რუსეთის მიერ იქნებოდა აღდგენილნი.

სათხოვართა პუნქტები რუსეთს იმერეთის მიმართ ანიჭებდა თითქმის შეუზღუდველ მბრძანებლობას და აძლევდა სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევის უფლებას.

ხელშეკრულების მე-12 მუხლი უკრძალავდა მეფეს რაიმე პრეტენზია ჰქონოდა დადიანის სამფლობელოზე და ავალებდა დაეცალა ოდიშისა და ლეჩხუმის ციხეები.

დადიანთან შედარებით ერთ-ერთი უპირატესობა რაც მეფეს ენიჭებოდა, ის იყო, რომ მეფე მხოლოდ საქართველოს მთავარსარდალს უნდა დამორჩილებოდა.

მე-13 მუხლი ეხებოდა გზის სათანადოდ მოწყობას ქუთაისიდან ვახანამდე და ასევე, ოდიშისა და ფოთისაკენ.

მე-14-15 მუხლები ეხებოდა კონსტანტინე დავითის ძისათვის სამკვიდრო მამულების ხელუხლებლობას და მის საქართველოში ცხოვრების საკითხს. დოკუმენტის მიხედვით, „...მეფის ძე კონსტანტინე დავითის ძე იმყოფებოდეს საქართველოსა ანუ რუსეთსა შინა“, ვიდრე გარდაიცვლებოდა სოლომონ მეორე. სამშობლოში ყოფნისას მას სათანადო აღზრდა და განათლება უნდა მიეღო.

მე-16 მუხლი ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს საზღვაო ნავსადგურებიდან ბაჟის აღების საკითხს. იმერეთის მეფის მსგავსად დადიანსაც ვაჭრობის განვითარების მიზნით არ უნდა აეღოთ ბაჟი რუსეთიდან შემოსულ საქონელზე. მაგრამ, აღნიშნულ დანაკლისს შევსება მოხდებოდა „უმოწყალესისა ჩემისა ხელმწიფისა და მბრძანებლისათა საბაჟოთა რუსეთის შემოსავალთაგან“.

ხელშეკრულების მე-17 მუხლი იმერეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობას ეხებოდა და სცნობდა მეფის სუვერენულ უფლებებს თავის ქვეშევრდომებზე, განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყ-

ნის ამ ორი მხარის მკვიდრთა გადასვლა-გადმოსვლის ოფიციალურ წესს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი მიმოსვლა იკრძალებოდა; გადასვლისათვის მეფის ან მთავარსარდლის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. იმერეთის მეფესთან ერთად რუსეთის ერთგულებაზე დააფიცეს სამეფოს წარჩინებული პირები და დიდი გავლენის მქონე ფეოდალები[1].

საყურადღებოა ერთი გარემოება, სოლომონ მეფეს არ სურდა მსგავს აქტზე ხელისმოწერა, მას განზრახული ჰქონდა სათხოვარი მუხლები საგანგებოდ დამზადებული ახალი ბეჭდებით დაემოწმებინა ხელმოწერის გარეშე. მაგრამ ციციანოვმა მეფეს დოკუმენტზე ხელრთვა მოსთხოვა[2].

1804 წლის 25 აპრილს, ციციანოვი პატაკით ატყობინებდა საიმპერატორო კარს, რომ „მისი იმპერატორობის უდიდებულესობის“ ბრძანება „იმერეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების შესახებ და სამეგრელოს სანაპიროდან თავრიდთან დამაკავშირებელი გზის მოწყობის შესახებ“, სისრულეში იყო მოყვანილი. ციციანოვის სიტყვით, სოლომონ მეორისა და მოწინავე თავადების ერთგულების ფიცი იყო დასტური იმისა, რომ იმერეთის სამეფო რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად გადაქცეულიყო[3].

სათხოვარი მუხლები ორ ენაზე - ქართულად და რუსულად დაიწერა. ელაზნაურის შეთანხმებით, იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფ ქვეყნად ცხად-

---

[1] მაჭარაძე ვ., რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზნაურის შეთანხმება, გვ. 410; პაიჭაძე გ., იმერეთის 1804 ხელშეკრულება, გვ. 202-213; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 170-172;

[2] Пирцхалайшвили А., Имеретия и Гурия в период 1804-1840гг. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ტ. 1, გვ. 39-40 (შემდეგ ასე: Пирцхалайшвили А., Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг.)

[3] АКАК, т. 2, стр. 374

დებოდა და სოლომონს მეფობა საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა. თუ მას მემკვიდრე არ ეყოლებოდა, ტახტის მემკვიდრედ კონსტანტინე დავითის ძე იქნებოდა აყვანილი.

პ. ციციანოვმა იმერეთის მეფეს მისცა საიდუმლო წერილი, რომლითაც ჰპირდებოდა, რომ ლეჩხუმის ციხეებში იმერეთის მეფის ჯარები იქნებოდნენ მანამ, ვიდრე რუსეთის იმპერატორი არ განიხილავდა ლეჩხუმის კუთვნილების კანონიერებასთან დაკავშირებით, სოლომონ მეფის მიერ წარდგენილ საბუთებს[1].

მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული დაბრკოლებებისა, რუსეთის მთავრობამ დიდი ნაბიჯები გადადგა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სრული დამორჩილებისთვის[2]. სოლომონისთვის ადვილი მისახვედრი უნდა ყოფილიყო სამეფოსა და მისი მომავალი პოლიტიკური ხვედრი. მან ვერ მიაღწია ვერც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებას და ვერც საშინაო დამოუკიდებლობის დაიცვას.

ელაზნაურის ხელშეკრულების დადების პერიოდში, როგორც ჩანს კვლავ დაძაბული რჩებოდა დამოკიდებულება იმერეთის მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის. 1804 წლის ივნისში ლიტვინოვმა მოახერხა სოფ. საჭილაოში სოლომონ მეორისა და დადიანის ერთად დაფიცება რუსეთის ერთგულებაზე[3].

განზრახული იყო ორივე მხარეს პეტერბურგში გაეგზავნა წარჩინებული გვარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც მადლობა უნდა გამოეცხადებინათ იმპერატორის მიერ გაწეული „წყალობისთვის“. სოლომონი აჭიანურებდა ამ პროცესს, რადგან ციციანოვის დანაპირებს

---

[1] АКАК, т. 2, стр. 377

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, 172-173

[3] АКАК, т. 2, стр. 383-384; ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტროიიდან, გვ. 34-35

ელოდებოდა ლეჩხუმთან დაკავშირებით. იმერეთის მეფის აზრით, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად გრიგოლ დადიანის თავიდან მოშორება იყო. ამ შემთხვევაში ციციანოვს მიეცემოდა სრული შესაძლებლობა იმისა, რომ ლეჩხუმი იმერეთის განუყოფელ ნაწილად ეღიარებინა. ამ ვითარებაში, 1804 წლის 25 ოქტომბერს გრიგოლ დადიანი მოწამლეს. მკვლელობის ინიციატორი სოლომონი იყო. ეჭვი მიიტანეს კათოლიკე პატრ ნიკოლზე, რომელიც ამ დროს სამეგრელოში მკურნალად იყო ჩასული. რუსეთის ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული ბრალდებით, კათოლიკე პატრი დაიჭირეს და გაასამართლეს[1].

იმერეთის მეფის მისწრაფებას სრულიად სხვა შედეგი მოჰყვა. რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა არა თუ დაებრუნებინა ლეჩხუმი იმერეთის მეფისთვის, არამედ ის იმერეთიდანაც გაეძევებინა. სამეგრელოში კი გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ, დადიანად გრიგოლის ვაჟი ლევანი იქნა დამტკიცებული. არასრულწლოვნების გამო, ლევანს მეურვედ მისი დედა ნინო გიორგის ასული დაუნიშნეს. ზემოაღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს ფაქტობრივად ლიტვინოვი მართავდა.

ლიტვინოვი, იყენებდა რა იმპერიის ხელისუფლების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, მისი დამოკიდებულება იმერეთის მეფისადმი უკიდურესად უარყოფითი იყო. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური განმტკიცების მიზნით, ლიტვინოვი ეყრდნობოდა მის განკარგულებაში მყოფ რაზმს და შემდგომ ყირიმიდან მოსულ სამხედრო ნაწილებს[2].

სოლომონ მეორე, რასაკვირველია, რუსეთის ჯარის რიცხვის მომრავლების ვერ ურიგდებოდა. 1804 წლის 18 ნოემ-

---

[1] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том 3, Тифлис, 1869, стр. 115 (შემდეგ ასე: АКАК, т. 3)

[2] ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტროიიდან, გვ. 36-37

ბერს მეფემ ლიტვინოვთან გაგზავნა ზურაბ წერეთელი და სოლომონ ლიონიძე, რათა ახალი სამხედრო ბატალიონი ქუთაისში არ განეთავსებინათ. მეფის თხოვნით, ვიდრე იმერეთის დეპუტაცია ჯერ კიდევ რუსეთში იმყოფებოდა, სასურველი იყო მხოლოდ ერთი ბატალიონით შემოფარგლულიყვნენ. საპასუხო წერილში ციციანოვი აღნიშნავდა, რომ იმერეთის მეფეს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა ეჭვის თვალით ყოფილიყო განწყობილი მათდამი დამოკიდებულებაში. რამეთუ რუსეთს „მხოლოდ სიკეთე“ სურდა ამ ქვეყნისთვის[1].

ლიტვინოვი ყველაფერს აკეთებდა იმერეთის მეფის შესავიწროებლად. მეფის გვერდის ავლით, იგი ურთიერთობას ამყარებდა ქუთაისელ ვაჭრებთან და აიმედებდა მათ აღებ-მიცემობის გაფართოებაში, არწმუნებდა მათ, რომ იმპერიის ხელისუფლების მხარდაჭერით, მათ გაუადვილდებოდათ თანხების მიღება რუსეთის სხვადასხვა ბანკებში. ლიტვინოვი დღენიადაგ ცდილობდა დაემცირებინა მეფის ავტორიტეტი ადგილობრივი მოსახლეობის თვალში[2]. როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რუსი მოხელე აიძულებდა იმერეთის დიდებულებსა და ვაჭრებს, რომ სოლომონი ეღიარებინათ აწ უკვე ყოფილ მეფედ, ხოლო თავად კი იმერეთის ახალ მეფედ [Он старый де-царь, а новый царь - я][3]. სოლომონი ციციანოვს არაერთხელ ჩივლობდა რუსი მოხელის აღვირახსნილი მოქმედების შესახებ, მაგრამ უშედეგოდ.

ლიტვინოვის ანტიქართული მოქმედება და თავად რუსეთის იმპერიის სწრაფვა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაქსაქსულობისაკენ, კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა 1805 წლის შემოდგომაზე ლიტვინოვის გურიაში გამგზავ-

---

[1] АКАК, т. 2, გვ. 416-417

[2] ვაჭრიძე გ., იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840), ქუთაისი, 1999; გვ. 72-73 (შემდეგ ასე: ვაჭრიძე გ., იმერეთის დროებითი მმართველობა)

[3] АКАК, т. 2, გვ. 442

რებისას, სამთავროს ტახტის მემკვიდრეებსა და იმერეთის მეფესთან დამოკიდებულების გარკვევის შესახებ. გურიაში ჩასული ლიტვინოვი ციციანოვს წერდა, რომ რუსეთის მხრიდან დიდი შეცდომა იყო დაშვებული გურიის ოფიციალურად იმერეთზე გადაცემის შესახებ. მისი შეხედულებით, სამთავროს რეალურ მემკვიდრეს სიმონ გურიელის ვაჟი, მამია წარმოადგენდა და ვახტანგს ტახტის დაკავების არანაირი ლეგიტიმური უფლება არ ჰქონდა. ქაიხოსრო გურიელიც, თავისი მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მამიას სამთავროს ტახტზე დამტკიცებას უჭერდა მხარს. ციციანოვი კი თავის მხრივ უმტკიცებდა სოლომონ მეორეს, რომ გურია ტრაქტატით ჰქონდა დამტკიცებული იმერეთის მეფეს და მისი შეშფოთება „სრულიად უსაფუძვლო“ იყო[1].

რუსეთის იმპერატორთან ყოველდღიურად მიდიოდა ცრუ დასმენები და გადაუმოწმებელი ინფორმაციებს სოლომონის თურქეთთან კავშირის არსებობის შესახებ.

სოლომონ მეორის გადასვლა პროთურქულ პოზიციაზე გამოწვეული იყო თავად რუსეთის იმპერიული პოლიტიკით, რასაც იგი ახორციელებდა საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ ქვეყანაში ფეხის შემოდგმის პირველივე დღიდან. მართალია იმერეთის სამეფო საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა პოლიტიკურ ზეწოლას ოსმალეთის ხელისუფლების მხრიდან და იბრძოდა კიდეც ოსმალური ბატონობისათვის თავის დასაღწევად, მაგრამ, რაც შეეხება თავად იმერეთის მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობას, ის XVI-XIX საუკუნეების მანძილზე ფაქტობრივად ხელშეუხებელი რჩებოდა. რაც შეეხება რუსეთის იმპერიას, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდის საერთაშორისო არენაზე ის გამოდიოდა, როგორც ერთმორწმუნე და „ქრისტიანების მხსნელი“ სახელმწიფო და ასევე საუკუნეების განმავ-

[1] АКАК, т. 2, стр. 443

ლობაში წარმოადგენდა მთავარ დასაყრდენს ქართული სამეფო-სამთავროებისათვის ირან-ოსმალური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოში ფეხის დადგმისთანავე დაიწყო ქართული ფეოდალური პოლიტიკური ინსტიტუტების მიზანმიმართული ნგრევა, რათა ქართული სამეფოები იმპერიის უმნიშვნელო პროვინციებად გადაექცია. ასეთ ვითარებაში, სოლომონ მეორეს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი გარდა იმისა, რომ კვლავ ოსმალეთის სულთნის კართან დაახლოებითა და შესაფერისი საერთაშორისო ვითარების გამოყენებით გაეგრძელებინა ბრძოლა სამეფო ხელისუფლების დასაბრუნებლად.

ამ პოლიტიკური მიზნების მიუხედავად, სოლომონ მეორე რუსეთს დღენიადაგ უმტკიცებდა მის ერთგულებას და ახსენებდა იმპერატორის პირობას ლეჩხუმის გადაცემასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს და სხვა მისი თხოვნა ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩებოდა. სოლომონ ლიონიძე და იმერეთის დიდებულები მეფეს ურჩევდნენ ზამთრის ვარციხეში გატარებას, რათა საჭიროების შემთხვევაში, შეძლებოდა ახალციხეში გაქცევა. სოლომონ ლიონიძე იმასაც კი ახსენებდა, რომ ადვილი შესაძლებელი იყო იმერეთს ქართლ-კახეთის, პოლონეთისა და ყირიმის ბედი გაეზიარებინა[1]. რთულ პოლიტიკურ ვითარებას თან დაერთო მძიმე სოციალური ფონი. იმერეთში გავრცელებული შავი ჭირის შედეგად, სოფლები ცარიელდებოდა. ასევე ტოვებდნენ ქვეყანას სომეხი და ებრაელი ვაჭრებიც.

1805 წლის 30 ივლისს რუსეთის იმპერატორმა მიიღო სამეგრელოს სამთავროს დელეგატები, რომლებმაც კიდევ უფრო გააღვივეს სიძულვილი იმერეთის სამეფოსადმი. დეპუ-

[1] АКАК, т. 2, стр. 447

ტატებს ნაწილი იმერეთის მეფეს რუსეთისადმი ღალატში სდებდნენ ბრალს[1].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1805 წლის 2 თებერვალს სპეციალური წერილით ავალებდა იტალინსკის, რომ ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინა იმისათვის, რომ დაედგინა ნამდვილად იყო თუ არა მსგავსი შინაარსის წერილი სოლომონ მეორის მიერ გაგზავნილი ოსმალეთის კარისადმი[2]. იმავე იტალინსკის 1805 წლის მაისს დათარიღებული ერთ-ერთი წერილით, ევალებოდა განსაკუთრებული ყურადღება გამოევლინა თურქეთში ჩასული ქართველების მიმართ და ნებისმიერი სახის ინფორმაციის არსებობის შესახებ გენერალ ციციანოვისათვის ეცნობებინა[3].

როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლში გამოჩენილი თითოეული ქართველის გამოჩენა რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებისთვის ახალი სამხედრო-პოლიტიკური ინტრიგის მომასწავებელი იყო და დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ კონსტანტინოპოლსა თბილისს შორის არსებულ ნებისმიერ მიმოწერას, რათა ქართველ მეფეებს რამე კავშირი არ დაემყარებინათ სულთნის კარისთვის.

ბრძოლა სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებისთვის

1806 წლის თებერვალში ბაქოს ციხის გადაცემისას, ციციანოვი თავად ელიზბარ ერისთავთან ერთად, მუხანათურად იქნა მოკლული. ციციანოვის მოკვეთილი თავი ირანის შაჰისათვის იქნა გაგზავნილი. ციციანოვის სხეული 1811 წელს საქართველოში გადმოასვენეს და სიონში დაკრძალეს.

---

[1] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, გვ. 179

[2] Архив внешней политики России, ф. Канцелария, д. 2247. л. 33-34 (შემდეგ ასე: АВПР)

[3] АВПР, ф. Канцелария, д. 2247. л. 120-121

ზემოაღნიშნული მოვლენების შემდეგ, მთავარმართებლად გუდოვიჩი იქნა დანიშნული. გუდოვიჩის იმერეთში ჩამოსვლამდე, დასავლეთ საქართველოში გენერალ-მაიორი რიკჰოფი იმყოფებოდა, რომელმაც ბელევსკის რაზმის მეშვეობით, დაიკავა ქუთაისი და მარანთან გამაგრდა. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლების შიში გამართლდა იმასთან დაკავშირებით, რომ ციციანოვის გარდაცვალებისთანავე, იმერეთის მეფის კავშირი ახალციხის საფაშოსთან უფრო ინტენსიური გახდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რუსი ისტორიკოსი დუბროვინი ბრალს სდებდა სოლომონს რუსეთთან კავშირის გაწყვეტასა და ანტირუსული დამოკიდებულების ღიად დაფიქსირებაში[1].

ხობიდან ქუთაისში მომავალ ბელევსკის პოლკთან მოხდა ქართველებისა და რუსების პირველი სამხედრო შეტაკება. ამ მოვლენების შემდეგ რუსეთის პოლკი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათ საკვები და საომარი აღჭურვილობა არ მიეწოდებოდათ. ხოლო ფოთის ფაშამ ტვირთის გასატარებლად 500 ჰოლანდიური ჩერვონეცი მოითხოვა, რაც იმ პერიოდისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებული ანტირუსული ამბოხის გამო, რუსეთის ხელისუფლება იმერეთის მეფის წინააღმდეგ აშკარა სამხედრო დაპირისპირებაზე თავს იკავებდა. ასევე თურქეთის მხრიდანაც არანაირი დახმარება ჩანდა. რადგან თავად ოსმალეთის იმპერია, 1806 წლისთვის ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიის გამო, მძიმე სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო[2].

---

[1] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 5, СПБ., 1887, стр. 7 (შემდეგ ასე: Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе)

[2] Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 5, стр. 9

გარდა ამისა, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა შიდა სოციალ-პოლიტიკურ დაძაბულობას, რის შედეგად, ძველი სამხედრო ძალების უნარიანობა არ იყო საკმარისი ცენტრალიზებული ხელისუფლების ავტორიტეტის შესანარჩუნებლად. განაპირა რეგიონების პოლიტიკური ლიდერების გავლენა ქვეყანაში საკმაოდ დიდი იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბალკანეთსა და არაბულ ქვეყნებში დღითიდღე იზრდებოდა[1].

სელიმ მესამემ არმიის რეორგანიზაციის მიზნით, იანიჩრებისა და პროვინციული არმიის პარალელურად, შექმნა თანამედროვე ტიპის არმია „ნიზამი ჯედიდის [Nizam-ı Cedit]“ სახელწოდებით. რომლის სახელმწიფო შეკვეთა ქვეყნის ფინანსებისა და ადმინისტრაციის რესტრუქტურიზაცია იყო. ასევე სულთნის ბრძანების დროულ და უპრობლემო აღსრულებას. აღნიშნულ საჯარისო ფორმირებას უნდა მოეხდინა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებებისა და პოლიტიკური გამოსვლების ჩახშობა[2].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, იმერეთის სამეფოს საკითხი იმ პერიოდის ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკაში, პრაქტიკულად არც კი განიხილებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად.

ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე სოლომონ მეორე, ხედავდა რა არსებულ რეალობას, კვლავ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა დაიწყო. 1806 წლის 28 ივნისს ის წერდა გენერალ გუდოვიჩს ლეჩხუმთან მიმართებაში ციციანოვის შეუსრულებელი პირობის შესახებ და რუსი გენერლისგან დახმარებას ითხოვდა. უმტკიცებდა რუს გენერალს, რომ ციციანოვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მის შესახებ

---

[1] Новичев А., История Турции, ч.2, Л. 1968, стр. 52 (შემდეგ ასე: Новичев А., История Турции)

[2] The Cambridge History of Turkey, Volume 3, (The later Otoman Empire 1603-1839), Edited by Suraiya N. Faroqhi, 2006, p. 61 (შემდეგ ასე: The Cambridge History of Turkey)

ოსმალეთის სულთნის კარზე ელჩების გაგაზავნისა და დადიანის წარმომადგენლის მკვლელობის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამებოდა[1].

1806 წლის 25 ივლისს რიკჰოფსა და სოლომონ მეორეს შორის გელათში მოლაპარაკება უნდა შემდგარიყო. მაგრამ რუსი გენერლის ავადმყოფობის გამო, მოლაპარაკება არ შედგა[2].

ცოტა მოგვიანებით, 1806 წლის სექტემბერში, იმერეთის მეფე 11 მუხლისაგან შემდგარ დოკუმენტს უგზავნიდა რუსეთის ხელისუფლებას, რომელშიც კიდევ ერთხელ აღნიშნავდა ციციანოვის მიერ შეუსრულებელ პირობებსა და უმადურ დამოკიდებულებას იმერეთის მეფისადმი[3]. თუმცა პოზიტიური გამოხმაურება იმერეთის მეფის არც ამ წერილებს მოჰყოლია.

გურიის სამთავროსთან მიმართებაში სოლომონის მიერ საკითხის არაერთხელ აღძვრამ, გარკვეული შედეგი გამოიღო. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, გურია ოფიციალურად იმერეთის სამეფოს ხელისუფლების ქვეშ ეღიარებინა, რაც იმერეთის დიპლომატიის უდავოდ დიდი გამარჯვება იყო. მაგრამ რუსეთი ამჯერადაც ურთიერთობის ორმაგ სტანდარტს იყენებდა. მართალია, გუდოვიჩის მიერ იმერეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში გურია იხსენიება, როგორც იმერეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი, თუმცა იმავდროულად, რუსეთის წაქეზებით, ვახტანგ გურიელი უარს აცხადებდა იმერეთის ხელისუფლების უზენაესობის აღიარებაზე. არსებული დამოკიდებულების გამო, ორ ქართულ პოლიტიკური სუბიექტებს შორის დაპირისპირება დღითიდღე იზრდებოდა. გუდოვიჩი თითქოს კი მოუწოდებდა, რომ დაპირისპირებით ქვეყანა კიდევ უფრო გავერანდებოდა და,

[1] АКАК, т. 3, стр. 115; 121
[2] АКАК, т. 3, стр. 117
[3] АКАК, т. 3, стр. 122-123

მაგრამ რეალურად, კონფლიქტის გაღვივებას უწყობდა ხელს[1].

იმერეთში განვითარებული მღელვარების ჩასაცხრობად ნიკო დადიანი რუსეთს ჰპირდებოდა, რიონით 50 ჯარისკაცისა და ერთი ქვემეხის მარნამდე გადატანას, სადაც მათ ელოდებოდა 200-მდე სამეგრელოდან გამოგზავნილი ლაშქარი[2].

სამწუხაროა ის გარემოება, რომ რუსეთის შემოსვლამდეც და მის შემდეგაც, ქართველი მეფე-მთავრები თავიანთი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, ერთმანეთს არ აკლებდნენ თავდასხმასა და აოხრებას, რაც იმთავითვე რუსეთის პოზიციებს აძლიერებდა.

1807 წლის შემოდგომაზე როგორც იმერეთის ხელისუფლება, ისე რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელები ინფორმირებულები იყვნენ რუსეთ-საფრანგეთ-თურქეთის მოლაპარაკებების შესახებ.

სოლომონ მეფე წერდა რუსეთის ხელისუფლებას, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსეთისა და საფრანგეთისა და ინგლისის ელჩები ოსმალეთის სულთანთან იმყოფებოდნენ და მოილაპარაკეს, იმერეთი და ყირიმის ნახევარკუნძული კვლავ სულთნის განკარგულების ქვეშ გადასულიყო. თითქოს ყირიმში ოსმალეთს უკვე დანიშნული ჰყავდა თავისი ხანი, ხოლო შუშაში, განჯაში, თბილისსა და ყულევში მდგარი რუსების ჯარი დერბენდში უნდა შეკრებილიყვნენ და რუსეთში დაბრუნდებოდნენ[3].

საყურადღებოა გუდოვიჩის 1807 წლის 3 სექტემბრის წერილის შინაარსი, რომელშიც რუსი გენერალი ერთგვარ შეგონებას აძლევდა სოლომონ მეორეს იმ პერიოდში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე. მისი სიტყვებით, ოსმალეთი დროის მცირე პერიოდში შეუერთდებოდა

---

[1] АКАК, т. 3, стр. 129
[2] АКАК, т. 3, стр. 132
[3] АКАК, т. 3, стр. 142

რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას. გენერლის სიტყვებიდან ჩანს, რომ იმერეთის საკითხის განხილვა დიდი ქვეყნების დიპლომატიური მოლაპარაკებისას და სამეფოს ოსმალეთის გავლენის ქვეშ დატოვება პრაქტიკულად გამორიცხული იყო[1].

თავის მხრივ სოლომონ მეორე კვლავინდებურად ითხოვდა, რუსეთის ჯარები გაეყვანათ ქუთაისიდან. ფაქტია, რომ რუსის ჯარის ქუთაისიდან გაყვანით, მას მეტი მოქმედების საშუალება მიეცემოდა რუსეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად[2].

იმ პერიოდის საერთაშორისო ვითარების ისტორიის გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ არც იმერეთის მეფე და არც გუდოვიჩი, არ იყვნენ ბოლომდე გარკვეულნი გლობალური პოლიტიკის საკითხებში. 1807 წლის 9 ივლისის საფრანგეთსა და რუსეთს შორის დადებული ტილზიტის ზავით, იმ შემთხვევაში თუ თურქეთი სამი თვის განმავლობაში არ ჩაერთვებოდა მოლაპარაკების პროცესში, ნაპოლეონი იღებდა ვალდებულებას, რომ რუსეთთან ერთად დაიწყებდა თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას ე.წ ,,ევროპული თურქეთის (რუმელიისა და კონსტანტინოპოლის) გასათავისუფლებლად. იმპერატორი ალექსანდრე პირველი და რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი რუმიანცევი იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ საფრანგეთის გადმობირებას ოსმალეთის იმპერიის დაყოფის საკითხში. თუმცა რუმიანცევის მოლაპარაკება, ფრანგ დიპლომატთან კოლენკურთან ოსმალეთის დანაწილებასთან დაკავშირებით უშედეგოდ დასრულდა [3].

---

[1] АКАК, т. 3, стр. 139;141

[2] АКАК, т. 3, стр. 143

[3] Пичет В., Международная политика России после Тильзита, в книге:Отечественная война и Русское общество» 1812-1912, т. 3, стр. 9-10; ელ. რესურსი:

ნაპოლეონის პოლიტიკური სვლა ასევე ითვალისწინებდა თურქეთისა და რუსეთის ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას და მესამე კოალიციაში შემავალ სახელმწიფოებთან ერთად საფრანგეთის ირგვლივ გაერთიანებას. ამ დავალებით 1806 წელს დიპლომატი სებასტიანი ოსმალეთის კარზე იქნა მივლინებული[1].

საფრანგეთის ახალმა სამხედრო-პოლიტიკურმა წარმატებებმა, მნიშვნელოვნად აამაღლა ამ ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე. საფრანგეთის ზეწოლის შედეგად, ოსმალეთმა დაარღვია რუსეთ-საფრანგეთის 1805 წლის 23 სექტემბრის საიდუმლო ხელშეკრულება და რუსეთის სამხედრო გემებს უარი ეთქვათ თურქეთის სრუტეებით სარგებლობაზე. რეის-ეფენდი 1806 წლის 20 აპრილის ნოტით აცნობებდა დიპლომატ იტალინსკის, რუსეთის ხელისუფლებისათვის ეცნობებინა სულთნის პოლიტიკური გადაწყვეტილება[2].

1807 წლის ნოემბერში მაიორი მოიზა ატყობინებდა გენერალ რიკჰოფს, რომ 1000-მდე ლეკი ახალციხეში იყო დაბინავებული. რომლებსაც იმერეთის მეფე თხოვდა, დახმარებოდნენ მას ყულევსა და ოდიშზე თავდასხმაში. ლეკები მძევლად ითხოვდნენ 3 თავადს წერეთლების საგვარეულოდან, ასევე წულუკიძესა და აგიაშვილს. აცხადებდნენ, რომ მათი მძევლად ჩაბარების შემთხვევაში, იმერეთში დასახმარებლად გამოემართებოდნენ[3].

1807 წლის დეკემბერში ახალციხეც არეულობამ მოიცვა. ფაშასა და მის შვილს შორის დაპირისპირებამ აიძულა შვილი თავი ჭანეთს შეეფარებინა. ჭანეთის მმართველმა სუ-

---

http://www.museum.ru/1812/library/sitin/book2_01.html (შემდეგ ასე: Пичет В., Международная политика России после Тильзита)

[1] Новичев А, История Турции, т. 3, стр. 78

[2] Горянов С., Босфор и Дарданелли, СПБ, 1907, стр. 7-8 (შემდეგ ასე: Горянов С., Босфор и Дарданелли)

[3] АКАК, т. 3, стр. 143

ლი-ბეკისგან შეაგროვა 6000-მდე ჯარი ახალციხის დასარ-ბევად. ახალციხის ფაშამ, მისი შვილის დასასჯელად 10000-იანი ჯარი გაგზავნა ჭანეთისკენ და გადაწვა იქაურობა. სა-ომარ მოქმედებას ახალციხის ფაშას მხრიდან შეეწირა 200 ადამიანი, ხოლო ფაშას შვილის მომხრეებიდან 100 მებრძო-ლი დაიღუპა[1].

1808 წლის იანვრიდან კონფრონტაცია იმერეთის მეფე-სა და რუსეთს შორის ღია სამხედრო დაპირისპირებაში გა-დაიზარდა. 1808 წლის 8 იანვარს, ახალციხის ფაშას ჯარის ნაწილები თავლივაკეში განთავსდნენ. მათ გადაკეტეს ახალ-ციხესა და იმერეთს შორის სავალი გზები. ახალციხისკენ მიმავალი გზა ასევე იმერეთის მეფის მხრიდანაც ჩაკეტილ იქნა. გადაადგილება აეკრძალათ ასევე იმერეთის ვაჭრებსაც. თავადებსა და დიდებულებს ებრძანათ ყოფილიყვნენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში. შექმნილ ვითარებაში თავდაცვის მიზნით ქუთაისის მოსახლეობა მიუვალ ადგილებში გაიხიზნა. თავიანთი პოზიციები გაამაგრეს ასევე რუსმა სამხედროებმა, რომლებმაც მზადყოფნაში მოიყვანეს ეგერთა ერთი ბატალი-ონი ორი ქვემეხითურთ, რათა საჭიროების შემთხვევაში დაძ-რულიყვნენ სურამიდან ქუთაისისკენ[2]. ფოთის ციხეში განლა-გებული თურქთა რაზმი დუზჩუ -ოღლის მეთაურობით, დღე-დღეზე აპირებდა რედუტ-კალეზე თავდასხმას[3].

1808 წლის თებერვალში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა შეიმუშავა სპეციალური რესკრიპტი, რომლის მი-ხედვით გენერალ გუდოვიჩს ევალებოდა შემდეგი: ა) იმერე-თის მეფე სოლომონი კონსტანტინესთან ერთად გაეცილები-ნათ რუსეთში. დაეფარათ მისი გზის ხარჯი ვორონეჟამდე, სადაც მას დაენიშნებოდა ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც სხვა ქართველი სამეფო შთამომავლობის იყო განკუთვნილი.

---

[1] АКАК, т. 3, стр. 145
[2] АКАК, т. 3, стр. 146-147
[3] АКАК, т. 3, стр. 155

2. სოლომონის რუსეთში გადასახლების შემდეგ იმერეთში უნდა დამყარებულიყო დროებითი მმართველობა, რომელსაც სათავეში თავად გუდოვიჩი და რუსეთის კართან დაახლოებული იმერეთის წარჩინებული თავადები ჩაუდგებოდნენ. 3. იმერეთის მთავარები, დიდებულები, სასულიერო პირები და რიგითი ხალხი კვლავინდებურად ძველ უფლებებში უნდა დარჩენილიყვნენ, რათა რუსეთის ქვეშევრდომობაში ყოფნით „უფრო ბედნიერად და დაცულად" ეგრძნოთ თავი[1].

საქართველოს მთავარსარდალმა გენერალმა გუდოვიჩმა 1808 წლის მარტში მიიღო იმპერატორის ახალი ბრძანება იმერეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებისა და იქ „დროებითი მმართველობის დამყარების შესახებ". ამ ამოცანის განხორციელება დაემთხვა რუსეთ-ოსმალეთთან საომარი ოპერაციების განახლებას, კერძოდ კი ფოთისათვის ბრძოლას[2].

ფოთის ციხის აღების დასახმარებლად სპეციალურად გაგზავნილ ჯარს, პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით, ფოთი აღებული დახვდათ, რის შემდეგ ეს პოლკი შეუდგა მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას - იმერეთის სამეფოს საბოლოოდ დაპყრობას და სოლომონ მეორის დატყვევებას.

დასავლეთ საქართველოში ჯარების საერთო სარდალს დ. ორბელიანს დავალებული ჰქონდა, რომ იმერეთის მეფე რუსეთის მომხრე თავად-აზნაურების მეშვეობით დაეპატიმრებინა. სოლომონ მეორეც ხედავდა შექმნილ ვითარებას და, თავის მხრივ, ყოველ ღონეს ხმარობდა, საკუთარი თავისა და სამეფო ხელისუფლების გადასარჩენად.

გენერალი ტორმასოვი ახლო ურთიერთობას ამყარებდა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელთან. სამწუხაროდ, რეაქცი-

---

[1] Российский военно-историческсский архив, ф. ВУА, д. 6176 на 22 листах, лл. -1-2об; (შემდეგ ასე: РГВИА) АКАК, т. 3, стр. 154

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 186

ული და გავლენიანი თავადი, რუსეთს მეფის დამორჩილების საშუალებებსაც კი კარნახობდა. მანვე მისცა რჩევა ტორმასოვს, რომ სოლომონზე ზეგავლენის მოსახდენად მიემართა იმერეთის ფეოდალებისთვის.

რუსეთის ახალი როტის შემოსვლამ, უფრო მეტ საგონებელსა და შიშში ჩააგდო იმერეთის მეფე. სოლომონი გურიასთან მოსაზღვრე მთებში, სოფელ მუხაკრუაში, გაიხიზნა. გურიელის დასჯის მიზნით, 1808 წლის 18 აპრილს სოლომონ მეორემ სიმონ წერეთელი 600-მდე ჯარით გაგზავნა გურიაში დავით გურიელის დასასჯელად. გურიელმა წინააღმდეგობა გაუწია იმერეთის ჯარს, როს შედეგად წერეთელი დამარცხებული დაბრუნდა უკან. საბრძოლო შეტაკებისას იმერლების მხრიდან 9 მეომარი დაიღუპა, 20-მდე კი დაიჭრა[1].

1808 წლის 31 მაისს გუდოვიჩი წერდა სოლომონს, რომ იმერეთიდან ჯარის გაყვანა არც იდგა განხილვის საკითხად, რამდენადაც ქუთაისთან ჯარის განლაგებით ისინი იცავდნენ ქალაქს ახალციხის მხრიდან თავდასხმისაგან.

საპასუხო წერილში სოლომონი წერდა, რომ ქუთაისს ახალციხის მხრიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა. თურქების თავდასხმის საფრთხე მხოლოდ ქართლის მხრიდან იყო მოსალოდნელი[2].

სოლომონ მეორე დახმარების მისაღებად ოსებთან ურთიერთობასაც არ ერიდებოდა. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, 1808 წლის აგვისტოს დასაწყისში, იმერეთის მეფემ და ზურაბ წერეთელმა ჯავის ხეობაში მცხოვრებ ოსებს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ითხოვდა დახმარებოდნენ რუსების წინააღმდეგ გამოსვლაში. როგორც ჩანს ჯავის ოსები დადებითად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და ვინმე პიბო

[1] АКТЫ, т. 3, стр.159
[2] АКАК, т. 3, стр. 161-162

ცხოვრებაშვილის მეშვეობით აცნობებდნენ თავიანთ დადებითი გამოხმაურების შესახებ[1].

1808 წლის აგვისტოში ზურაბ წერეთელი და იმერეთის მეფე ვარციხესთან შეხვდნენ თურქეთის წარმომადგენელს ხალილ-აღას. ელჩი აცნობებდა იმერეთის წარმომადგენლებს, რომ მათი სურვილის შემთხვევაში, ოსმალეთის ხელისუფლება მზად იყო გამოეგზავნა სპეციალური სიმბოლოები: ხანჯალი, ქურქი და ფირმანი იმერეთის მეფის ხელისუფლების აღიარებისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

წარმოდგენილი ფაქტებით ნათლად ჩანს, რომ რუსეთის ერთგული ზურაბ წერეთელიც კი იმერეთის სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების მხარზე იყო. სოლომონ მეორისა და ზურაბ წერეთლის შეხვედრა თურქეთის ელჩთან უყურადღებოდ არ დარჩენილა რუსეთის წარმომადგენლებისათვის და მეფისგან სათანადო ახსნა-განმარტება მოითხოვეს. პასუხად სოლომონი არწმუნებდა, მართალია სულთნის კარისგან მას ჰქონდა შემოთავაზება მფარველობის ქვეშ ყოფნაზე, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობა მისთვის უმთავრესი იყო. იმ ფაქტსაც უსვამდა ხაზს, რომ რუსეთმა უკიდურესად დაამცირა სამეფოს მდგომარეობა და მათი მხრიდან არანაირი სიკეთის მოლოდინში არ იყო[2].

1808 წლის 11 ოქტომბერს იმერეთის მეფე კვლავ გაემართა გურიის ასაღებად. მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. რუსეთმა დავით და ვახტანგ გურიელს გაუწიეს დახმარება. სოლომონ მეორის კი მოსთხოვეს, თავისი ჯარით უკან დაბრუნებულიყო. ბრძოლისას დანაკარგი იმერეთის მეომრების მხრიდან იყო. სოლომონ მეორე აღშფოთებას ვერ მალავდა და რუსეთს ადანაშაულებდა გურიის სეპარატისტი მთავრების

[1] АКАК, т. 3, стр. 163
[2] АКАК, т. 3, стр. 164

მფარველობაში: „...ვინ წამართვა მეფობრივი თანამდებობა? თუ ყოვლადმოწყალე ჰელმწიფე მართმევს ჩემს ქვეყანას...“ [1]

რიკჰოფის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად გამოგზავნილი იქნა გენერალ-მაიორი თავადი ორბელიანი. გუდოვიჩის 1809 წლის 10 თებერვლის სპეციალური დოკუმენტით გენერალ ორბელიანს ევალებოდა ეხელმძღვანელა დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარისათვის [2].

1809 წლის 6 მაისს ტორმასოვი ბრძანებით საბოლოოდ გადაწყდა სოლომონ მეორის ქუთაისში შემოტყუებისა და შეპყრობის საკითხი[3]. სამეფოს არსებობის ამ კრიტიკულ პერიოდში, იმერეთის ფეოდალების უმრავლესობა მეფის მხარეზე აღმოჩნდა. უკმაყოფილება იზრდებოდა არა მხოლოდ ფეოდალთა წრის წარმომადგენლებში, არამედ ფართო მასებშიც. ყოველივე ამის გამო, ტორმასოვი საყვედურობდა ორბელიანს, რომ მან ვერ შეძლო იმერეთში რუსეთის მომხრეთა პარტიის შექმნა[4].

რუსეთის მიერ პატივაყრილი იმერეთის მეფე ეძებდა არსებული ვითარებიდან გამოსავლის ახალ გზებს და მაჰმადიანურ ქვეყნებთან ამყარებდა ურთიერთობას. ეს ფაქტი კარგად ჩანს ერევნის ხან ხუსეინისადმი 1809 წლის თებერვალში მიწერილი წერილიდან. სოლომონი იუწყებოდა, რომ მას შეეძლო 30 ათასამდე ჯარის გამოყვანა და უკანასკნელი წვეთი სისხლის დაღვარა ქვეყნისათვის. სოლომონი უფრო მასშტაბური გეგმით გამოდიოდა. სთავაზობდა ასევე, რომ მი-

---

[1] АКАК, т. 3, стр. 169

[2] АКАК, т. 3, стр. 171

[3] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, том IV, Тифлис, 1870, стр. 195-196 (შემდეგ ასე: АКАК, т. 4) დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 188

[4] АКАК, т. 4, стр. 199-200; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 189

სი ბიძის ალექსანდრე ბატონიშვილის [ალექსანდრე მირზა] ხელით გაეგზავნათ წერილი ჩილდირის ვალთან სელიმ-ფაშასთან, რათა თავისი სამხედრო ძალითა და ლეკებითურთ გაეწიათ მათთვის დახმარება. იმ შემთხვევაში, თუ სპარსელები განახორციელებდნენ წინააღმდეგობის გაწევას თბილისზე, ყოველგვარი პრობლემა იქნებოდა მოხსნილი. სოლომონის ერთადერთი თხოვნა მდგომარეობდა, რომ რუსებისაგან თავის დაღწევის შემთხვევაში არ დავიწყებოდათ იმერეთის მეფის ღვაწლი და დაეფასებინათ ის სათანადოდ[1].

ფოთის ციხის აღების შემდეგ გენერალი ორბელიანი იმერეთიდან გაიწვიეს. რომლის შემდეგ, იმერეთის მეფის შეპყრობის საქმეს გენერალი სიმონოვიჩი თაოსნობდა. სიმონოვიჩს თან გამოაყოლეს დაქირავებული აბრაგული რაზმი ასლან-ბეის (ყაზი-ყუმუხის ძმიშვილის) მეთაურობით. მიუხედავად ამ განწყობისა, სემიონოვიჩი დარწმუნდა, რომ ფეოდალური საზოგადოება მეფეს მტკიცედ უჭერდა მხარს. ცარიზმის ერთგული ზურაბ წერეთელიც კი არ იყო სამეფო ხელისუფლების გაუქმების მომხრე[2].

იმერეთის სამეფოს ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის, რუსეთის მთავრობამ ფეოდალური შუღლის ჩამოგდება სცადა[3]. მართალია, დადიანმა და გურიელმა არაფერი დაიშურეს იმერეთის მეფის წინააღმდეგ გამოსასვლელად, მაგრამ სოლომონი ქუთაისში მაინც ვერ შეიტყუეს. სოლომონ ლიონიძე, რომელიც იმერეთის მეფისა და მოგილევსკის შეხვედრებს ესწრებოდა, ამხილა კიდეც რუსეთის დამპყრობლური გეგმები, რის გამო მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა.

---

[1] АКАК, т. 4, стр. 174

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 190

[3] АКАК, т. 4, стр. 217-218; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 191

ამ პერიოდში გურიელი და დადიანი თავიანთი ჯარებით იმერეთს მოადგნენ. 1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისის ეკლესიებში გამოქვეყნდა გენერალი ტორმასოვის მოწოდება სოლომონ მეორის ხელისუფლების გაუქმების შესახებ. რუსეთის ძალები ქართლიდან, ქუთაისიდან, სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან სათანადო ადგილას განთავსდნენ, რათა ვარციხეში განთავსებული სოლომონის 4000-იანი ჯარის ყურადღება გაეფანტათ. იმერეთის ჯარები განლაგებული იყო გაუვალ ტყეებსა და ჭაობში, რიონის გაუვალ ჭალებში, ყვირილასა და ხანის ხეობაში. აღნიშნული მდგომარეობის გამო, იმერეთის მოსახლეობა იძულებული იყო წინააღმდეგობის გასაწევად სიმაგრეებში განთავსებულიყო, მაგრამ ძირითადი ნაწილი, ხედავდა რა წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, რუსეთის ერთგულების ფიცს დებდა[1].

იმავე დღეს, ქუთაისში, რუსებმა იმპერატორის სახელით პროკლამაცია გაავრცელეს, რომელშიც გამოცხადებული იყო ინფორმაცია იმერეთის სამეფოს საბოლოოდ გაუქმებისა მისი რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ. რუსეთის ჯარის ოფიცრებმა: მაიორებმა უშაკოვმა, შელკაჩევმა და კაპიტანმა ტიტოვმა განსაკუთრებული ჯარის ნაწილებით, დაიკავეს სტრატეგიული ადგილები - მაღლაკის, ჩხარისა და ჯიხაიშის ციხე-სიმაგრეები. ბელიავსკის ჯარმა კი ოკრიბა და რაჭა, ხოლო გედრიმოვიჩმა – საჯავახო[2].

სემიონოვიჩის სწრაფი გადასვლა რიონის მეორე მხარეზე, მოულოდნელი იყო იმერეთის მეფისთვის. სოლომონმა ვარციხე დატოვა და ბაღდათში გადავიდა. ბოლოს კი ხანოს ხეობაში გამაგრდა. ამ გზით იგი ცდილობდა ხეობის დატოვებას და ახალციხეში გადასვლას, რაც ვერ განახორციელა.

---

[1] РГВИА, ф. ВУА. №6183, л. 58 об

[2] РГВИА, ф. ВУА. №6183, л. 58 об, აქტი, ტ. 4, გვ. 247

იმერეთის მეფე იძულებული გახდა კვლავ მოლაპარაკება გაემართა სემიონოვიჩთან. შეხვედრისას სოლომონი აცხადებდა, რომ იგი არ იქნებოდა საშიში რუსეთის ხელისუფლებისათვის და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მზად იყო გამგზავრებულიყო თბილისში, რათა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობისაგან პატიება მიეღო [1].

ხანოს ხეობიდან სემიონოვიჩი 500 მეომრითა და კაზაკით ქართლში გადავიდა, რათა იმერეთის მეფე სოფელ დირიდან ოსეთში არ გადასულიყო. გორში 100-მდე სოლომონის მომხრე იმერეთის დიდებულმა კვლავ რუსეთის მფარველობაზე დადო ფიცი, რის შემდეგ თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. თავად სოლომონი თბილისში გააგზავნეს, სადაც მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იქნა აყვანილი. იმერეთის მეფე რუსებისგან ითხოვდა 1000 მანეთს ყოველთვიურად, ვიდრე ხელმწიფისგან არ მიიღებდა ოფიციალურ შეწყალებას. გარდა ამისა იმერეთის მეფე ითხოვდა იმერეთის ტახტზე დაბრუნებას. იმ შემთხვევაში, თუ ეს წინადადება მიუღებელი იქნებოდა იმპერატორისთვის, სიკვდილამდე მაინც მიეცათ ცხოვრების უფლება იმ მიწაზე, სადაც მისი წინაპრები განისვენებდნენ[2]. რუსეთის წარმომადგენლები ამ აზრს საერთოდ არ იზიარებდნენ, რადგან მათი აზრით, სოლომონ მეორე მათთვის ყოველთვის იქნებოდა დესტაბილიზაციის წყარო. ისინი შუამდგომლობდნენ იმპერატორთან, რომ იმერეთის მეფე რუსეთის რომელიმე გუბერნიაში გადაესახლებინათ და მიეცათ მისთვის კარგი ანაზღაურება და სათანადო საცხოვრებელი პირობები[3].

იმერეთის მეფე ხანის ხეობაში დადგა. იქ მან გენერალი სიმონოვიჩი და მოგილევსკი მიიღო. მათ შეძლეს მეფის მოტყუება და დაითანხმეს საქართველოს მთავარსარდალთან შეხ-

---

[1] АКАК, т. 4, стр. 248
[2] АКАК, т. 4, стр. 249
[3] АКАК, т. 4, стр. 249

ვედრაზე. რუსმა გენერლებმა საჯაროდ დაიფიცეს, მეფეს არ შეიპყრობდნენ, მას მეფური პატივისცემით მიიღებდნენ და მთავარსარდალთან შეხვედრის შემდეგ უკან გამოისტუმრებდნენ. იმერეთის მეფე მაინც იკავებდა თადარიგს და შეხვედრის წინა დღეს თავისი უახლოესი მოხელეები ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი ახალციხეში საიდუმლოდ გააგზავნა. რათა შარიფ ფაშისგანს საჭიროების შემთხვევაში ჯარი მიეღო.

რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება 8 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. სოლომონ მეორე ცდილობდა დრო გაზაფხულამდე გაეყვანა, რადგან გაზაფხულის დაბურული ბუნების ფონზე საბრძოლო მოქმედების დაწყება უფრო მოსახერხებელი იქნებოდა[1]. იმერეთის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, რუსის ჯარის შეუერთდა ასევე ლევან დადიანისა და მამია გურიელის 3000-იანი ჯარი[2].

რუსეთის მთავარსარდალმა არ გაუწია ანგარიში საჯაროდ დადებულ ფიცს და 1810 წლის 1 აპრილს მეფე დაატყვევა[3]. სოლომონი თბილისში იქნა გადმოყვანილი და მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ დაბინავებულ იქნა თავად ნონია სუმბათაშვილის სახლში[4].

1810 წლის 11 მაისს, როგორც გენერალი ახვერდოვი ატყობინებდა ტორმასოვს, სოლომონის გაპარვის შესახებ, როგორც ჩანს, სადილის შემდეგ დასაძინებლად წასული მეფე, ღამით გაიპარა იმ კარიდან, სადაც ყარაული არ იდგა[5]. მათ, ვისაც ევალებოდა სოლომონის ზედამხედველობა, პირი-

---

[1] АКАК, т. 4, стр. 445, დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 191-192

[2] АКАК, т. 4, стр. 248

[3] АКАК, т. 4, стр. 239

[4] РГВИА, ф. ВУА. №6183, л. 58

[5] АКАК, т. 4, стр. 264

ქით, სოლომონის მხარეზე აღმოჩნდნენ და იმერლებს გასაქ-ცევად ცხენები შეაშველეს.

გაქცეული სოლომონი მის თანმხლებ პირებთან ერთად (ქაიხოსრო, როსტომ და სიმონ წერეთელებთან, გრიგორ და დავით ერისთავებთან და თავად გაბაშვილთან – სულ 23 მხლებელთან ერთად) ტაბახმელასთან მდგარმა მეციხოვნეებმა შეამჩნიეს. სოლომონის ერთ-ერთი მხლებელი დაჭრილი იქნა. ხელისუფლების ბრძანებით, ყველა მხრით გადაკეტილ იქნა ახალციხისკენ მიმავალი გზები. სოლომონის ახალციხეში თა-ვშესაფრის მიუღებლობის შემთხვევაში, ფრთხილობდნენ იმე-რეთის მეფეს სპარსეთში არ გახიზნულიყო[1].

სოლომონ მეორის გაქცევა დიდი თავსატეხი გახდა რუსეთისათვის. 1810 წლის 22 აგვისტოს იმპერატორი ალე-ქსანდრე პირველის ბრძანებით, ყარაულის უფროსს პოლიც-მეისტერ ბარათაშვილს ჩამოერთვა თავადობა და რიგით ჯა-რისკაცებად იქნა გაყვანილი. თავადობა ჩამოერთვა ასევე სა-ხელმწიფო ექსპედიციის მრჩეველს ნონია სუმბათაშვილს, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში პატიმრობაშიც იმყოფებოდა[2]. სასჯელის უმაღლესი ზომით, სიკვდილით და-საჯეს ციხის ასეულის მეთაურები: ფალავანდიშვილი, პენტე-ლოვი, ავთანდილოვი და ათეულის მეთაური ერივანსკი[3].

სოლომონის გაქცევის შემდეგ, ტორმასოვი მიმართავდა ქუთაისის მიტროპოლიტსა და გელათისა და ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსებს, რომ გაქცეული მეფის იმერეთში დაბ-რუნების შემთხვევაში ისინი პასუხისმგებელნი იქნებოდნენ[4].

1810 წლის 17 მაისს სოლომონ მეორე სწერდა გაენა-თის მიტროპოლიტს ექვთიმეს, რომ მან მხოლოდ მაშინ მიი-ღო გაქცევის გადაწყვეტილება, როდესაც თანხმობის გარეშე

---

[1] АКАК, т. 4, стр. 266

[2] РГВИА, ф. ВУА, д. 6176, л. 13. АКАК, т. 4, стр. 342-343

[3] РГВИА, ф. ВУА. №6183, л. 137

[4] АКАК, т. 4, стр. 267; 270

გადაწყვიტეს მისი რუსეთში გადასახლება. იმერეთის მეფე სთხოვდა მიტროპოლიტს, რომ დახმარებოდა მეფეს იმერეთის ტახტის დაბრუნებაში. სოლომონის წერილში ჩანდა უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლებისადმი: „... მაგრამ ვიცი და თქვენც ხედავთ, რომ როგორც სხვა თქვენი მეზობელნი იმათს ხელში უნუგეშოდ კვნესიან, და დღე და დღე ოჯახის პატივიდამ მდაბლდებიან, სახლისა და ცოლ-შვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ, თუ იმერეთის დამორჩილებაზე გულდასმულნი შეიქნენ, მერე უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს მოადგება, და რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ; დღეს რომ პატივსცემენ, ხვალ ყოვლის ქვეყნისაგან იმერეთში უმეტესად დაკრძალულს ცოლ-შვილის პატიოსნებას, უპატიოდ გახდიან...“. იმერეთის მეფე მოუწოდებდა იმერეთის საზოგადოებას, მხარი დაეჭირათ სამეფო ხელისუფლების აღსადგენად: „ნუ დაიდებთ საუკუნოდ საძრახისს საქმეს და ნუ დაიღუპებით ქართლსავით, რომელნიც სულიერად დიდ პარასკევს ხორცს სჭამენ და ხორციელად გატანჯულნი სიკვდილს ნატრულობენ“[1].

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, 1810 წლის 23 მაისს სოლომონ მეფე სწერდა სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს. წერილში მეფე გამოხატავდა ნდობასა და პატივისცემას სახლთუხუცესისა და მისი ოჯახისადმი. თან სთხოვდა დახმარებას დაპირისპირებისა და სისხლისღვრის გარეშე იმერეთში დასაბრუნებლად.

წერეთელი დადებითად გამოეხმაურა სოლომონის თხოვნას და 1810 წლის 28 მაისს შუამდგომლობდა გენერალ ტორმასოვის წინაშე[2]. იგივე შინაარსის იყო სახლთუხუცესის

[1] АКАК, т. 4, стр. 268-269

[2] РГВИА, ф. ВУА, д. 6176. л. 10

წერილი დიმიტრი ორბელიანისადმი[1]. იმერეთის სახლთუხუცესის წერილებს არც ტორმასოვის და არც ორბელიანის მხრიდან შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, დიმიტრი ორბელიანი გენერალ ტორმასოვს სთავაზობდა იმერეთიდან ტახტის გაუქმებას[2].

ფაქტია, რომ სოლომონ მეორე სამეფო ხელისუფლების დაბრუნებაზე იყო ორიენტირებული და ქვეყანაში დარჩენითა და დროის გაყვანით ცდილობდა ძალების მოკრებას. მან კარგად იცოდა რუსეთის მე-19 საუკუნის დასაწყისის რთული საგარეო პოლიტიკა და ცდილობდა ქვეყნის სასარგებლოდ ეს პოლიტიკური ვითარება გამოეყენებინა. ამ მიზნის მისაღწევად ის არ თაკილობდა ალიანსში შესულიყო მის მოწინააღმდეგე ძალებთანაც კი.

1810 წლის 20 ივნისს სოლომონ მეორე ახალციხიდან, 600-მდე ლეკის თანხლებით, ბაღდადის მხარეს ჩავიდა, სადაც მეფის მომხრე იმერლებიც შეუერთდნენ. ბაღდათიდან იგი ტყაჩირში გადავიდა და აგიაშვილის სასახლეში გაჩერდა. ხალხის მობილიზაცია იმერეთის მეფის ჩასვლამდე იყო დაწყებული და ციხე-სიმაგრეებში გამაგრებულ 2000-მდე მებრძოლს მოეყარა თავი[3].

20 ივნისს სოფელ საქარის ტყეში ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით 200-მდე აჯანყებული იმერელი შეიკრიბა. იმპერიის ხელისუფლებამ აჯანყების ჩასახშობად მაიორი კალატოზოვი გაგზავნა ორი ასეულითა და ქვემეხით. აჯანყებულებმა დაამარცხეს რუსების რაზმი. თავად კალატოზოვი კი მოკლულ იქნა. სიმონოვიჩი არაფერს ერიდებოდა აჯანყებულთა დასასჯელად, მაგრამ აჯანყება დღითიდღე ძლიერდებოდა.

---

[1] AKAK, т. 4, стр. 227

[2] AKAK, т. 4, стр. 277-278

[3] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 172-173

რუსის ჯარს არ აღმოაჩნდა საკმარისი სამხედრო ძალა და დახმარების ოდიშიდან მიღება გახდა საჭირო.

8 ივლისს ორბელიანის შენაერთებმა ელაზნაურს მიაღწიეს. ავჯანყებულთა დიდმა ნაწილმა თავი მარელისში მოიყარა. ორბელიანმა ვერ განახორციელა იერიში იმერლების წინააღმდეგ. ავჯანყებულებმა ზიანი მიაყენებს ტიხოცის შენაერთებს. დამპალასთან ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა შეიარაღებული ბრძოლა იმერლებსა და რუსის ჯარებს შორის[1].

1810 წლის ივლისში სოლომონ მეორის დასახმარებლად 12500-მდე კაცმა მოიყარა თავი. იმერეთის მეფის მხარეზე დადგა რაჭის ერისთავების ნაწილი. ხოლო საწერეთლოდან სოლომონის დასახმარებლად თითქმის არავინ გამოსულა, რადგან დავით მიტროპოლიტი და ზურაბ წერეთელი შვილებითურთ რუსეთის მიერ იყვნენ მოსყიდულნი[2].

ორბელიანის შემუშავებული გეგმით, 12 ივლისს ორბელიანის ჯარის ნაწილები შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. მაგრამ ავჯანყებულების მიერ გადაღობილმა გზებმა გენერალი აიძულეს უკან დაბრუნებულიყო. 1810 წლის 6-დან 12 ივლისამდე ბრძოლებში რუსების შენაერთებმა დაღუპული და დაჭრილის სახით 117 მებრძოლი დაკარგეს. დიდი ზიანი განიცადა არტილერიამ და საცხენოსნო პოლკმა. ზარალი დიდი იყო ასევე იმერლების მხრიდანაც. ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ცარიზმის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მაინც უძლური იყვნენ[3].

18 ივლისს თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, ავჯანყებულთა ჯარმა მოლითს მიაღწია. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, რუსებმა მდინარე მოლითი გადალახეს და ზედუბანში დაბანაკდნენ. ტორმასოვი უკმაყოფილო იყო ორბე-

---

[1] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ.178-180
[2] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 179
[3] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 183

ლიანის მოქმედებით, რის გამო იგი გადაყენებულ იქნა მთავარსარდლობიდან. ორბელიანის ადგილი გენერალ-ლეიტენენტ როზენმა დაიკავა.

1810 წლის 22 ივლისს გამართა ბრძოლა ჩხერის ციხე-სიმაგრესთან. ქართველებმა სამწუხაროდ ვერ შეძლეს სამხედრო პოზიციის შენარჩუნება. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულები უკუიქცნენ. რუსებმა ჩხერი დაიკავეს და განაგრძეს წინსვლა. უშედეგოდ დასრულდა ასევე იმერეთის აჯანყებულთა შეტაკება ცხრაწყაროს ეკლესიასთან. 27 ივლისს რუსებმა გადალახა მდინარე ყვირილა და სიმონეთში შევიდნენ. რუსის ჯარის ნაწილები გაუვალი და ჩახერგილი გზებით ქუთაისისკენ დაიძრნენ. მეფის მომხრე 7000-იანი ჯარი ქაიხოსრო წერეთლისა და იმერეთის თავადების ხელმძღვანელობით, ქუთაისისკენ მიმავალ გზაზე არსებულ სიმაღლეზე გამაგრდნენ. იმერლები მდ. ჭიშურასთან ცდილობდნენ პოზიციის შენარჩუნებას. ქაიხოსრო წერეთლის ლაშქარი ოთხი საათის განმავლობაში იცავდა თავის პოზიციებს. ხელჩართულ ომში იმერლებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 200-მდე ადამიანი დაკარგა. ამავე ბრძოლაში გარდაიცვალა სულეიმან ბეი[1].

1810 წლის 29 ივლისს როზენი ქუთაისში შევიდა. რუსის ჯარი 5 ასეულითა და 50 კაზაკით, გელათის მონასტრისკენ დაიძრა. მოწინააღმდეგის წინსვლამ სოლომონი აიძულა მაღლაკიდან წასულიყო. ტყაჩირის სიმაგრის დასაცავად იმერლები თავგანწირვით იბრძოდნენ.

მაიორმა პრიბილევსკიმ გელათის ირგვლივ მიმდებარე სოფლები დაიმორჩილა და 4 აგვისტოს სოფ. რიონს მიადგა. რიონთან ბრძოლაში თავად სოლომონიც მონაწილეობდა. მებრძოლები ერთმანეთს ხიშტებით ებრძოდნენ. რუსების მძიმე

[1] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 185-188

მდგომარეობაში ჩავარდნილი ჯარის დასახმარებლად როზენმა ორი ასეული გაგზავნა კაპიტან კულიკოვის მეთაურობით[1].

ბრძოლა გაგრძელდა ნაგორევის მიმართულებით. ძალთა არათანაბრობის გამო ავჯანყებულებმა ამჯერადაც ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება. მეფე იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ადგილი და ჯერ სოფ. ცუცხვათში, შემდეგ კი სოფ. გოქსში გაქცეულიყო. გოგსში ყოფნისას სოლომონს აცნობებდნენ, რომ ბაბა ხანს თბილისისკენ ჰქონდა გეზი აღებული და ქსნის, ქართლისა და არაგვის ხეობის მცხოვრებნი რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ გამოსულნი[2].

სოფელ გოქსიდან სოლომონ მეორემ მიტროპოლიტი დავითი სიმონოვიჩთან გაგზავნა და რუსეთის ხელისუფლებას პატიებას თხოვდა. ამ შემთხვევაშიც სოლომონი დროს გაყვანას ცდილობდა. სოლომონის თხოვნას ამ შემთხვევაშიც არ გაეწია ანგარიში.

1810 წლის 10 აგვისტოს მოლაპარაკება გამართეს ოკრიბას თემის მაცხოვრებლებთან დამშვიდების თაობაზე. თავად აგიაშვილის სახლ-კარი კი ცეცხლს მისცეს. ოთხი დღეღამის განმავლობაში ტყედ გახიზნული მოსახლეობა თავის ოჯახებს დაუბრუნდა და ხელმეორედ მიიღეს რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი.

რუსები მძიმე ტექნიკისა და დიდი რაოდენობის სამხედრო ძალის პირობებში აგრძელებდნენ წარმატებულ სვლას გაგის ხეობისა და მუხურასკენ[3].

სოლომონ მეორემ უკან დაბრუნებულზე რამდენიმე თავდასხმა მოაწყო რუსების პოზიციებზე. ამასობაში საქარაში 3000-მდე იმერელმა მოიყარა თავი, სადაც ბრძოლა 26 აგ-

---

[1] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 189-190

[2] АКАК, т. 4, стр. 313

[3] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 190-191

ვისტოს გაიმართა. შეტაკება, სამწუხაროდ, ქართველებისათვის მარცხით დასრულდა, რომელსაც შეეწირა თავადი გიორგი წულუკიძე, 12 იმერელი აზნაური და 200-მდე გლეხი[1].

აღნიშნული მოვლენების შედეგად, სვირის, საზანოს, არგვეთისა და საქარის მოსახლეობამ რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღეს. ზედიზედ განცდილი მარცხის გამო, იმერეთის ჯარმა დემორალიზაცია განიცადა და ავჯანყებულებმა უკანდახევა იწყეს. თურქებმაც ბრძოლის ველი დატოვეს. ახალციხის რაზმმა ამ ბრძოლაში 400-მდე მეომარი დაკარგა[2]. რუსეთის მხრიდან შეეწირა სულ 116 ოფიცერი, ხოლო დაიჭრა 295 სამხედრო პირი[3].

სოლომონ მეორე დასავლეთ საქართველოს დატოვებამდე ხანის ხეობაში იყო გამაგრებული. მასთან ერთად ხეობას თავს აფარებდა 1500 მაჰმადიანი ქართველი, ახალციხელ ოსმალთა 1500 კაცისგან შემდგარი რაზმი და 500 იმერელი მეომარი.

1810 წლის 23 სექტემბერს გენერალ სიმონოვიჩმა თავისი ჯარი სამ ნაწილად დაჰყო. პირველ და მეორე საჯარისო შენაერთს ხეობისთვის მარცხენა და მარჯვენა მხრიდან უნდა შემოევლო, მესამე კი პირდაპირ შეტევაზე უნდა გადასულიყო.

იმერეთის მეფისთვის ნათელი იყო მოახლოებული უბედურება და ბრძოლის ველი დატოვა. თავის გადასარჩენად ის ახალციხეში გადავიდა. გაუვალი გზების გამო, რუსებმა ვერ შეძლეს მეფის შეპყრობა. სოლომონს ახალციხეში თან გაჰყვა 17 თავადი, 8 აზნაური თავიანთი ოჯახის წევრებითურთ, მღვდელი ნიკოლოზ დევდარიანი და 150 გლეხი. მათ მეფესთან ერთად განვლეს ცხოვრების მძიმე წლები და ბო-

---

[1] АКАК, т. 4, стр. 329

[2] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 194-195

[3] АКАК, т. 4, стр. 331

ლომდე თავიანთი ხელმწიფის ერთგული დარჩნენ. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, თანმხლებთა უმრავლესობა იმერეთში დაბრუნდა, მცირე ნაწილმა კი ტრაპიზონში გააგრძელა ცხოვრება. დარჩენილებმა გვარები ბერძნულ ყაიდაზე - „ევერპულოდ“ გადაიკეთეს და ამ გვარით იყვნენ ცნობილნი მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე[1].

ზემოაღნიშნული მოვლენების გაცნობის შედეგად სავსებით არასწორად მიგვაჩნია ისტორიკოს აბელ კიკვიძის შეფასება, იმერეთის მეფის ბრძოლის რეაქციული ხასიათისა და ამ ბრძოლაში გლეხთა სტიქიური აჯანყების გამოყენების შესახებ. აბსურდია ასევე მეცნიერის მოსაზრება, რომ ამ ბრძოლას არაფერი საერთო ჰქონდა სოლომონის პოლიტიკურ ორიენტაციასთან[2].

რუსეთის ხელისუფლებისათვის სოლომონის გაქცევა მიუღებელი იყო. სოლომონის შესაპყრობად ან მოსაკლავად 2000 ჩერვონეცი იქნა დაწესებული. აჯანყების მეთაურთა უმეტესი ნაწილი შეპყრობილი და ციმბირში გადასახლებული იქნა. რაც შეეხება იმერეთის დედოფალს, მარიამ კაციას ასულ დადიანს, იგი სოლომონ მეორის დასთან მარიამ არჩილის ძესთან და მის ვაჟთან ერთად, იმავე წელს ვორონეჟში გადაასახლეს[3].

ახალციხეში გადასულმა სოლომონ მეორემ კვლავ აღძრა შუამდგომლობა თურქეთის სულთნის წინაშე დამხმარე ძალების მისაღებად, მაგრამ ტორმასოვმა დაასწრო და ჯარები შეუსია თვით საფაშოს. ამის შემდეგ, სოლომონმა ერევანს მიაშურა, საიდანაც ის ირანის შაჰს სთხოვდა დახმარებას, მაგრამ ირანიდანაც არანაირი დახმარება ჩანდა. სოლომონი კვლავ ახალციხეში დაბრუნდა. ახალციხესთან დაბანაკებულ

---

[1] გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 195-196

[2] კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია, გვ. 71

[3] АКАК, т. 4, стр. გვ. 338

ჯარებში შავი ჭირის გაჩენის გამო ტორმასოვმა ჯარი უკან გამოაბრუნა, ხოლო სოლომონს დესპანები გაუგზავნა და წინადადება მისცა, რომ დაეტოვებინა ახალციხის საფაშო. სოლომონმა ტორმასოვის წინადადება არ მიიღო[1].

1811 წლის 25 აგვისტოს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა სპეციალური დოკუმენტი გამოსცა იმ პირთა ჩინ-მედლებითა და ფულადი თანხით დასაჯილდოებლად, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს იმერეთის მეფის წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნაში. პირთა სია 116 ადამიანს მოიცავს[2]. მათი სახლების სრულად წარმოდგენა აქ შეუძლებელია, მათი გაცნობა შესაძლებელია ნაშრომის ბოლოს ჩვენს მიერ წარმოდგენილ დანართში. ეს არიან ის მოღალატე ქართველები, რომლებმაც ზურაბ წერეთლის მეთაურობით უარი თქვეს მრავალსაუკუნოვანი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ არსებობაზე და რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის მხარეზე აღმოჩნდნენ.

მარიამ არჩილის ასული ვაჟითურთ, თავისი სურვილით, 1824 წელს საქართველოში დაბრუნდა და სოფელ ფხოველში დასახლდნენ. მარიამის შვილმა ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილმა სამხედრო განათლება მიიღო და ნიჟეგოროდსკის პოლკში მსახურობდა. მარიამ არჩილის ძე თავისი ძმის ტრადიციებს აგრძელებდა და ვერ ურიგდებოდა რუსების ბატონობას საქართველოში. ის ასევე წინააღმდეგი იყო თავისი შვილის რუსეთის სამხედრო სამსახურში ყოფნისა და ეწინააღმდეგებოდა ივანეს. რაკი ვერაფერს გახდა, მარიამმა დატოვა ოჯახი და საქვეყნოდ ხატზე შეაჩვენა ერთადერთი ვაჟი და თავად კი ანჩისხატში გადავიდა საცხოვრებლად. ცოტა მოგვიანებით, ანჩისხატის მოძღვრის შუამავლობით, დედაშვილი შეარიგეს ერთმანეთს, მაგრამ მარიამის გული მაინც

[1] კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია, გვ. 71
[2] РГВИА, ф. ВУА, д. 6176, на 22 листах, лл. 16-22 (об)

არ გამრთელებულა და სიცოცხლის ბოლომდე ანჩისხატში ცხოვრობდა, სადაც 1854 წელს გარდაიცვალა.

თავად ივანემ კარგი სამხედრო კარიერა გაიკეთა. ის დაჯილდოებული იყო კავალერიის გენერლის სამხედრო ჩინით. საბოლოოდ ივანემ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და საცხოვრებლად სოფელ ქოდალოში გადავიდა. როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლო წლებში ის ამართლებდა დედამისის საქციელს და ამბობდა: „დედაჩემი მართალი იყო: ჩემის გულის წადილი ბოლოს მაინც ვერ ავასრულეო“. ივანე ანდრონიკაშვილი 1873 წელს გარდაიცვალა და დაკრძალეს ქოდალოს საგვარეულო ეკლესიაში[1].

იმერეთის დედოფალი მარიამი კი ვორონეჟიდან გარკვეული ხნის მანძილზე ვორონეჟში იყო. მას ჩამორთმეული ქონების ნაცვლად წლიურ ჰონორარად 20000 მანეთი დაუნიშნეს. 1817 წელს დედოფალი მარიამი მოსკოვში გადადის, ხოლო 1818 წელს პეტერბურგში გადაასახლეს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ცხოვრობდა. დედოფლის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ მწირი ცნობები შემორჩა დღემდე. იშვიათი გამონაკლისია კონსტანტინე ბოროზდინის თხზულება „იმერეთის დედოფალი მარიამი“, რომელიც 1903 წლის გაზეთ „ივერიის“ №189-190-ში იქნა გამოქვეყნებული. აღნიშნული თხზულება რუსულიდან ქართულად თარგმნილ იქნა ცნობილი ქართველი მეცნიერის სარგის კაკაბაძის მიერ, რომელიც ხშირად ს. დავითიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა ნაშრომებს. მართალია, ბოროზდინის თხზულება ტენდენციური ხასიათისაა, მაგრამ მასში ვხდებით მარიამ დედოფლის პირადი ცხოვრებას მრავალ საინტერესო დეტალს. ბოროზდინი წერს: „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, პირველ ათეულ წლებში, ლიტეინი პროსპექტისაკენ მიმავალ ქუჩაზე, განმარტოებულ ხის სახლში, როგორიც მაშინ ასე ბლომად იყო პე-

[1] პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990, გვ. 315-316 (შემდეგ ასე: პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში)

ტერბურგს, ცხოვრობდა მოხუცი ქალი - იმერეთის დედოფალი მარიამი. თავის ცხოვრებას ის მშვიდად, სადად ატარებდა, სხვაგან ძვირად დადიოდა, ტანთ იცვამდა ეროვნულ ტანისამოსს და უკვე მოხუცის სახეზე, კარგად ჩანდა უწინდელი მისი გასაოცარი სილამაზის კვალი. დედოფლის შტატს შეადგენდა რამდენიმე მასთან დაახლოებული ქალ-ვაჟი, მოხუცი და ახალგაზრდა. ესენი დედოფალს მოჰყოლოდნენ შორეული სამშობლოდან და განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ[1].

თხზულებიდან ჩანს, მარიამ დედოფალი ყოველ კვირას, სასახლის კარეტით სალოცავად დადიოდა მახლობელ ეკლესიასა და ნეველის ლავრაში, ხოლო საუფლო დღესასწაულებსა და უქმე დღეებში ესწრებოდა სამეფო გამოსვლას და მეჯლისებს. მისი სადღესასწაულო ტანისამოსი ყოველთვის ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ასეთივე ოქრომკედით ნაკერი ქათიბი, რომლის ქვეშ მოჩანდა წმ. ეკატერინეს ორდენის ლენტი და ვარსკვლავი, ხოლო თავი მორთული ჰქონდა ძვირფასი ქვებით შემკული თავსაკრავისა და გრძელი ლეჩაქისაგან. იმერეთის დედოფალი დიდი პატივით სარგებლობდა საიმპერატორო კარზე. როგორც ბოროზდინი წერდა, რომ ხანში შესულ დედოფალს ძლიერ ეალერსებოდნენ სამეფო კარზე. მისდამი მოწყალებას იჩენდა ასევე იმპერატორიც. ხელმწიფე ხანდახან ერთ საათზე მეტს ხანს რჩებოდა მასთან სასაუბროდ და დედოფალი არასოდეს ივიწყებდა, თუ როგორ მოწყალედ და დაწვრილებით გამოიკითხავდა იმპერატორი მის ამბავს[2].

კონსტანტინე ბოროზდინის თხზულებაში წარმოდგენილია ერთი ფრიად საინტერესო მომენტი დედოფლის ცხოვრებიდან.

---

[1] ივერია, 1903, №189
[2] ივერია, 1903, №189

როგორც ცნობილია, იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, სოლომონ მეორის მომხრე აჯანყების მონაწილეთა ნაწილი ციმბირში გადაასახლეს, გადასახლებულთა შორის ერთ-ერთი იყო მეფის განსაკუთრებულად ერთგული გლეხი სალარიძე.

იმპერატორის ერთ-ერთი შეხვედრის დროს, დედოფალმა გადაწყვიტა განეცხადებინა ხელმწიფისათვის თავისი გულითადი თხოვნა: „ეხლა, რადგან ჩემი უბედური ქმარი მკვდარია, კეთილ ინებეთ ხელმწიფევ და უმოწყალესად მიაქციეთ ყურადღება იმ უბედურ გლეხს, რომელიც უკვე ათ წელიწადზე მეტია, რაც იტანჯება შორეულ ციმბირში, მართალია, ის იყო ჩემის ქმრის დამხმარე მოღალატეობაში, მაგრამ, ისეთი დამხმარე იყო, რომელიც დაუფიქრებლად თავის თავს სწირავდა მსხვერპლად თვის ბატონს განუსაზღვრელი ერთგულების გამო. მე ვიტანჯები იმისი უბედურის ბედით, ის ჩემთვის ძვირფასია და გადავწყვიტე, გთხოვოთ, ხელმწიფევ, მაპატიეთ და დააბრუნეთ აქ, ჩემთან, რათა შემეძლოს მისთვის ზრუნვა“.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, დედოფალი დაემხო იმპერატორის ფეხის წინაშე, რამაც მასზე ძლიერ იმოქმედა. თავად იმპერატორსაც კი თვალებზე ცრემლები მოადგა, ააყენა დედოფალი და დახმარებას დაჰპირდა.

ამის შემდეგ, ხელმწიფე მალე გაეშურა პეტერბურგიდან თავისი იმპერიის შიდა გუბერნიისაკენ, ხოლო უბედური დედოფლის ცხოვრება, მისთვის ძვირფასი სარალიძის მოლოდინში, წინანდებურად წყნარად, ერთფეროვნებით მიდიოდა. თითქოს ამაოდ უცდიდა დედოფალი თავის ერთგულ გლეხს, მას შემდეგ, რაც მთავრობამ აუწყა, რომ სარალიძის კვალი ციმბირში დაკარგულიყო. ერთ წელზე მეტი ხნის ლოდინის შემდეგ, დედოფალმა უკვე იწყო შესანდობელ ლოცვაში ქმართან ერთად მისი მოხსენიება. ერთ მშვენიერ დღეს მარიამს მოახსენეს, რომ ვიღაც უბრალოდ ჩაცმულ მოხუცს

სურდა დედოფლის ნახვა. რამეთუ კარგად იცნობდნენ დედოფლის გულკეთილობასა და ქველობას, ხშირად დადიოდნენ მასთან მნახველები შემწეობის სათხოვნელად. მარიამმაც იფიქრა, რომე ეს გლეხი ერთი ამისთაგანი იქნებოდა და ბრძანა, მისი შემოიყვანა. მოხუცი როგორც კი შემოვიდა, ერთის თვალის გადაკვრაც საკმაო იყო დედოფლისათვის, რომ ეცნო სარალიძე. ხმაამოუღებლივ მოეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს ტიროდნენ. შეუძლებელია იმის აღწერა, თუ რამდენად სასიხარულო წუთები იყო ეს ორთავესათვის[1].

ამ სიტყვებით ნათლად იკვეთება ის მაღალზნეობრივი თვისებები და იმერეთის დედოფლის ქალური კდემამოსილება, რითაც ის გამოირჩეოდა იმ პერიოდის რუსეთის არისტოკრატიისგან, რისთვისაც დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა და იმსახურებს დღესაც.

საბოლოოდ მარიამ დედოფალი ვერ მოესწრო ვერც სამშობლოს ხილვას და ვერც საკუთარი მეუღლის გადმოსვენებას. იმერეთის დედოფალი 1841 წლის 18 მარტს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ალექსანდრე ნეველის ლავრაში[2].

ოთხთვიანი ბრძოლების შემდეგ სოლომონ მეორემ თავი ისევ ახალციხეს შეაფარა. დიდი პატივით, ღირსეულად შეხვდნენ მეფეს. სოლომონმა ისევ ხონთქარს მიმართა დახმარებისთვის, შემდეგ - ირანის შაჰს, მაგრამ ამაოდ. ხელმოცარულმა რამდენჯერმე გაუგზავნა თხოვნის წერილი საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ I-ს. არც ამ წერილებს მოჰყოლია შედეგი[3]. ყოველი მხრიდან შეჭირვებული მეფე არზრუმში გადა-

---

[1] ივერია, 1903, №190

[2] პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, გვ.312; გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, გვ. 197

[3] იმერეთის მეფე სოლომონ II-ის წერილი საფრანგეთის მეფე ნაპოლეონ პირველისადმი (ახალციხე, 1810 წლის 20 ოქტომბერი). გამოა-

ვიდა, სადაც სულთანმა მუდმივი ბინა მისცა საცხოვრებლად. მაგრამ ტორმასოვის მიერ მოსყიდულმა არზრუმის ფაშამ მეფის შევიწროება დაიწყო, რის გამო იმერეთის მეფე იძულებული იყო ტრაპიზონს გადასულიყო. იქაურმა ფაშამ, წარმოშობით ქართველმა ოსმან-ოღლიმ, დიდი პატივით მიღო იგი. ლტოლვილი მეფის ნუგეში და მესაიდუმლე ამ დროს მისი მოძღვარი იესე ყანჩაველი (წმიდა ილარიონ ქართველი) იყო[1].

ტრაპიზონში სიცოცხლის ბოლო წლებში იმერეთის მეფის საქმიანობის შესახებ შედარებით მცირე ცნობებია. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, იგი თურქეთში საპატიო ტყვის მდგომარეობაში ჩავარდა. აღმოსავლეთ ანატოლიის ფაშებისა და სერასქერებისაგან იმედგაცრუებულს, დახმარების მოლოდინით თავმობეზრებულ სოლომონს, ავადმყოფობის მიუხედავად, თავად განუზრახავს სტამბულში ჩასვლა, მაგრამ სულთნის კარზე გამგზავრება ვერ მოახერხა[2]. იგი ტრაპიზონში გარდაიცვალა 1815 წლის 15 თებერვალს. ქართველებმა იგი დამარხეს ბერძნების წმინდა გრიგოლის ეკლესიაში. იმერეთის მეფესთან მყოფი თანამებრძოლების ძირითადი ნაწილი კი სამშობლოში დაბრუნდა. რუსეთის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოსაზრებით მათ მამულები დაუბრუნა და ხელი აიღო რეპრესიებზე.

ქვეყნა პროფ. ი. ტაბაღუამ] / სოლომონ II // საისტორიო ვერტიკალები. - , 2002. - 3. - გვ.136

[1] კენკიშვილი კ., სამშობლოდან ლტოლვილმა სოლომონ II-მ უცხო მიწაზე დალია სული, ინტერნეტ რესურსი: http://www.georoyal.ge/?m=1000&id=2652; დაშვება, 10.03.2015

[2] აბულაძე ც., ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან / ცისანა აბულაძე // მრავალთავი / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. - , 1971. - 1. - გვ. 403

დროებითი მმართველობის დამყარება იმერეთში

1810 წლის 29 აპრილს დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებში: ქუთაისში, ჯიხაიშში, ხონში, ოკრიბაში, რაჭაში, კაცხში, ჩხერში, ბაღდათში, ჭვიშში, საჭილაოში, არგვეთში, მუხურში, ციკოლში, საწერეთლოში, სვირში, ზეგანში, ბაღდათში, საჩინოში, ხანში, სვერში, ასევე დასავლეთ საქართველოს ოსებით დასახლებულ სოფლებში: კუდაროში, გუმიამთაში, ნადარბაზევში, ქვემო ბოჟში, დიდ ბოჟაში, კობიმთაში, ჯაჩპარში, წონში, ზამთრეთში, ჯავისთასა და ჩიორაში შეკრებილმა მოსახლეობამ ფიცი აღავლინეს რუსეთის იმპერატორის სიმბოლოებისადმი. ფიცში აღნიშნული იყო, რომ ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთს დაღვრიდნენ იმპერატორის დიდებულებისა და სიწმინდის დასაცავად[1].

ფიცის დადების შემდეგ, რუსეთი შეუდგა თვისი საჯარისო ნაწილების განმტკიცებას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში[2].

1810 წლის 12 აპრილს, დროებითი მმართველობის დამყარებამდე, იმერეთის სახულთუხუცესს ზურაბ წერეთელს დაავალეს შეექმნა სპეციალური გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა იმერეთის ყველა სამეფო სოფელი. ასევე, რა სახისა და ოდენობის შემოსავლის მიღება იყო შესაძლებელი. ზურაბ წერეთელმა გადასცა სათანადო ინფორმაცია რუსეთის წარმომადგენლებს იმერეთის სამეფოს ჩინოვნიკების, შემოსავლების და მმართველობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ[3].

რაც შეეხება გურიისა და ოდიშის მთავრებს, ისინი რუსეთის მოხელეებისადმი არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებუ-

---

[1] АКАК, т. 4, стр. 254
[2] РГВИА, ф. ВУА, д.6176. на 22 листах л.11
[3] АКАК, т. 4, стр. 255

ლი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით და ხშირად აყოვ-ნებდნენ მათთვის მიცემული დავალებების შესრულებას[1].

იმერეთის დროებითი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად შემუშავებულ იქნა სპეციალური პროექტი, რომელიც ძირი-თადად ფეოდალური მმართველობის სისტემას ემყარებოდა. დროებითი მმართველობის სისტემაში გადავიდა იმერეთის სა-მეფოს მთელი რიგი წოდებრივ-თანამდებობრივი ინსტიტუტე-ბი. პროექტი მრავალმხრივად არის საინტერესო, რომელიც ასახავს იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოწყობის არაერთ მნიშვნელოვან საკითხს.

დროებითი მმართველობის სასამართლო ხელისუფლება ძირითადად ვახტანგ მე-6 სამართლის წიგნს ემყარებოდა. ძა-ლაში რჩებოდა სიკვდილით დასჯა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც წავიდოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ და თა-ნამემამულეებს მიჰყიდდნენ თურქებს. სასამართლო ხელისუფ-ლების პირველი პირები მდივან-ბეგები იყვნენ, ხოლო საქმის აღსრულება ბუქაულთუხუცესებსა და ბოქაულებს ევალებო-და[2].

რაც შეეხება იმერეთის სამეფოს შემოსავლებს, მისი ძირითადი ნაწილი ემყარებოდა საბაჟო გადასახადებს. ასევე, ხაზინა ივსებოდა სამღებროებიდან და დაფნიდან შემოსული თანხებით. შაურავები სათავადოებზეც იყო დაწესებული[3].

იმერეთი იყოფოდა თანაბარი უფლების მქონე 4 ადმი-ნისტრაციულ ერთეულად: ქუთაისის, რაჭის, ჩხერისა და ბაღდათის. დროებითი მმართველობის ბიუროკრატიული აპა-რატის სისტემა ასე გამოიყურებოდა: სახლთუხუცესი და სამდივნოს უფროსი, ერთი პროკურორი, ოთხი დივანბეგი, ოთხი დივანი, ერთი ბოქაულთუხუცესი, ერთი მეღვინეთუხუ-ცესი, ერთი ხაბაზთუხუცესი, ორი ხევისთავი, რუსი მდივანი,

---

[1] РГВИА, ф. 6176. л. 4
[2] АКАК, т. 4, стр. 255
[3] АКАК, т. 4, стр. 256

რუსი მოლარე, სამი თარჯიმანი, რომელთაგან ერთი უნდა ყოფილიყო ქართული და რუსული ენების მცოდნე, მეორე მხოლოდ ქართულის, მესამე კი თურქულისა, რომელსაც ასევე შეეძლებოდა ქართულ და არაბულზე წერა და მეტყველება. საშტატო ნუსხაში გათვალისწინებული იყო ასევე ორი რუსულის გადამწერი.

რაც შეეხებოდა ადმინისტრაციულ ოლქებს, თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობას გაუწევდა რუსი სამხედრო ჩინოვნიკი, რომელსაც ოლქის მართვაში დახმარებას გაუწევდნენ ადგილობრივი დიდებულთა წრიდან გამოსული ორი თანაშემწე, ერთი თარჯიმანი, ორი ქართული და რუსული ენის გადამწერი.

სახაზინო ციხე-სიმაგრეების, ტყეებისა და სოფლების სამართავად მოურავები ინიშნებოდნენ. 150 მარჩილი ღირებულების მეტი სასამართლო საქმეზე, განაჩენის გამოტანის უფლება ოლქის უფროსს არ ჰქონდა. აღნიშნულ საქმის განხილვა და მასზე განაჩენის გამოტანა იმერეთის დროებით მმართველობის რუსეთის სამხედრო ჩინოვნიკებს ევალებოდა.

სასამართლოს წესით უმკაცრესად ისჯებოდნენ ყაჩაღობაში, ქურდობაში, ადამიანების გატაცებაში, თურქებზე მიყიდვაში ეჭვმიტანილნი დამნაშავენი. დროებითი მმართველობა იმერეთის თავადებსა და დიდებულებს უბრუნებდა სოლომონ მეორის მმართველობის პერიოდში წართმეულ მამულებს. ახალი მმართველობის პირობებში შეიზღუდა თავადების განუსაზღვრელი უფლება გლეხებისადმი. ასევე აიკრძალა ოჯახის დაშლა, თავად-აზნაურების მიერ გლეხის ოჯახის წევრების სათითაოდ გაყიდვა როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ. უკიდურეს შემთხვევაში თავადს უფლება ჰქონდა გაეყიდა გლეხის ოჯახი ადგილობრივ მემამულეებზე[1].

[1] АКАК, т. 4, стр. 257

მე-19 საუკუნის დასაწყისში სამეგრელოსა და გურიაში ყაჩაღობის, ტყვეთა სყიდვისა და ძარცვის ფაქტები არნახულად მომრავლდა. ამ მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით რუსეთის წარმომადგენლობა მიიჩნევდა, ორივე სამთავროდან იმერეთის დროებით მმართველობაში ჰყოლოდა ორ-ორი დეპუტატი, ხოლო ქუთაისიდან გაიგზავნებოდა ერთი წარმომადგენელი, რომლებიც რეგიონში არსებულ ვითარებას კონტროლს გაუწვდნენ[1].

ცოტა მოგვიანებით, ადმინისტრაციული დაყოფისა პროექტმა გარკვეული ცვლილება განიცადა. ცვლილების შედეგად, იმერეთის სამეფო დაიყო 6 ადმინისტრაციულ ოლქად: ქუთაისის, ვანის, რაჭის, საჩხერის, ჩხერისა და ბაღდათის ოლქებად. თითოეულ მათგანს ხელმძღვანელობას უწევდა რუსი მოხელე, რომელსაც ჰყავდა ორი თანაშემწე ადგილობრივი დიდებულების წრიდან. მათ გააჩნდათ უფლება ადგილზე მიეღოთ გადაწყვეტილება 50 მანეთის სასისხლო ღირებულების სისხლის სამართლის საქმეზე. ოლქის მმართველისა და თანაშემწეების თანამდებობა ერთი წლით განისაზღვრებოდა. მმართველი ინიშნებოდა დასავლეთ საქართველოში რუსეთის მთავარსარდლის მიერ, ხოლო თანაშემწეებს კი ადგილობრივი საზოგადოება ირჩევდა[2].

იმერეთის სამხარეო ხელისუფლება 3 ექსპედიციად დაიყო: აღმასრულებელი, სახაზინო და სასამართლო (სამოქალაქო და სისხლის). სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანა უნდა განხორციელებულიყო მთავარსარდლის შეთანხმებით. თითოეულ ექსპედიციაში ჩართული იყო ერთი რუსის მრჩეველი, რომელიც იმავდროულად ექსპედიციას თავმჯდომარეობდა.

რაც შეეხება სამეგრელოს, გურიასა და აფხაზეთს, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ, სამოქალაქო მოწ-

[1] АКТЫ, т. 4, стр. 257
[2] АКТЫ, т. 4, стр. 257

ყობის კუთხით ისინი ინარჩუნებდნენ ავტონომიურ უფლებებს. მაგრამ რეგიონში ჩადენილი მძიმე სისხლისა და სამოქალაქო საქმეები, იმერეთის საოლქო მმართველობაში უნდა განხილულიყო [1].

დროებითი მმართველობის ჩამოყალიბება, სპეციალური წესის დაცვით სადღესასწაულო ვითარებაში უნდა განხორციელებულიყო. დღესასწაულში მონაწილეობას ღებულობდა იმერეთის ექვსივე რეგიონიდან ჩამოსული სასულიერო და საერო პირები. თანამდებობის პირთა დანიშვნის ღონისძიება 6 დღის განმავლობაში გრძელდებოდა[2].

სახაზინო ექსპედიციების მუშაობა ცუდ პირობებში მიმდინარეობდა. იმერეთი დაფინანსების კუთხით მძიმე მდგომარეობაში იყო. იმპერია არანაირ ასიგნაციას არ გამოყოფდა რეგიონის კეთილდღეობისათვის. ასევე არ იყო განსაზღვრული სახაზინო ექსპედიციის მიერ მოსაზიდი და გასაცემი თანხების ოდენობა, რაც იმთავითვე აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დასკვნა

იმერეთის სამეფოს უკანასკნელი წლების პოლიტიკური ისტორიის მასალების გაცნობამ მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეტანა შემდეგი დასკვნები:

1. 1801 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიის გაუქმებამ, იმერეთის სამეფო ხელისუფლება უარყოფითად განაწყო რუსეთის იმპერიის მიმართ.

2. საქართველოში რუსეთის იმპერიის პოზიციების გაძლიერების პირობებში იმერეთის სამეფოს ყველზე ოპტიმალურ გამოსავალს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ხელისუფლების გამყარება, მთავართა დამორჩი-

[1] АКТЫ, т. 4, стр. 258

[2] АКТЫ, т. 4, стр. 259-260

ლება და ზრუნვა ქართლ-კახეთის სამეფოს შთამომავლის, იულონის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად;
3. 1804 წლის ელაზნაურის ხელშეკრულება იყო რუსეთის პოლიტიკური გადაწყვეტილება იმერეთის სამეფო ხელისუფლების ლიკვიდაციისა და მისი იმპერიის უმნიშვნელო პროვინციად გარდაქმნისა.
4. ელაზნაურის ხელშეკრულებაში გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს იურისდიქციის ქვეშ ოფიციალურად აღიარება, იმერეთის დიპლომატიის დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა.
5. სოლომონ მეორის გადასვლა პროთურქულ პოზიციაზე გამოწვეული იყო თავად რუსეთის იმპერიული პოლიტიკით. მართალია იმერეთის სამეფო საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა პოლიტიკურ ზეწოლას ოსმალეთის მხრიდან და იბრძოდა მის წინააღმდეგ, მაგრამ XVI-XIX საუკუნეებში იმერეთის სამეფოს პოლიტკური ინსტიტუტის არსებობა ფაქტობრივად ხელშეუხებელი რჩებოდა. „ქრისტიანების მხსნელმა“ რუსეთის იმპერიამ კი, საქართველოში ფეხის დადგმისთანავე დაიწყო ქართული ფეოდალური პოლიტიკური ინსტიტუტების მიზანმიმართული განადგურება. ასეთ ვითარებაში, სოლომონ მეორის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა ოსმალეთის სულთნის კართან დაახლოება და შესაფერისი საერთაშორისო ვითარების გამოყენება სამეფო ხელისუფლების აღსადგენად.
6. იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსებთან ერთად დადიანისა და გურიელის მონაწილეობა წარმოადგენს ქართული ფეოდალური დაპირისპირების სამარცხვინო ფაქტს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.
7. ასევე სამარცხვინოა იმერეთის სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლის მეთაურობით იმ 116 იმერელი დიდებულის, საერო და სასულიერო პირის მოქმედება, რომლების მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისა და ქვეყნისადმი გაწე-

ული „ღვაწლისთვის“ უხვად დაჯილდოვდნენ რუსეთის საიმ-
პერატორო კარის მიერ.
8. მართალია, უშედეგოდ დასრულდა სოლომონ მეორის მრა-
ვალწლიანი ბრძოლა იმერეთის სამეფო ხელისუფლების შე-
ნარჩუნებისათვის, მაგრამ ის დღემდე რჩება ჩვენი ხალხის
ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის მნიშვნე-
ლოვან ნაწილად.

დოკუმენტი: რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1811 წლის 25 აგვისტოს რესკრიპტი იმერეთის დიდებულე-ბისა და სასულიერო პირთა დაჯილდოების შესახებ

1811 г. Августа 25. РЕСКРИПТ АЛЕКСАНДРА I-ГО ГЛАВНОУПРАВЛЯЮЩЕМУ ГРУЗИЕЙ А. П. ТОРМА-СОВУ.

Господин генералу от Кавалерии Тормасову.

// л. 16 Во уважение всех представлений ваших отличившихся усердием и деятельностью в бывшей против Имеретинского царя Соломона экспедиции, грузинских, имеретинских, мингрельских и гулиельских князьях, духовных и дорянах и об оказавших верность свою в действиях против мятежников имеретинских, тем царем предводимых, всемилостивейше жалую:

Имеретинского салтухуцеса полковника князя Зураба Церетели чином генерал-майора с жалованьем по оному и орденом святые Анны, первого класса, коего знаки при рескрипте у сего следуют.

Сына его Георгия Церетели чином майора, саблею ордена святые Анны третьего и кавалером того ж ордена второго класса, на что рескрипт купно со знаками оных при сем препровождаются.

Имеретинского сардала князя Григория Цулукидзе, чином полковничьим с жалованьем по // л. 16(об) четыреста рублей в год серебром, и орденом святые Анны второго класса, предоставляя усмотрению вашему объявить ему о том и из сего списка выключить, ежели в последствии он оказался не заслуживающий таковой милости.

Имеретиских князей

Сехния Цулукидзе полковничьим чином с жалованьем по четыреста рублей в год серебром на что следует при сем рескрипт а имеющуюся у вас табакерку с другим рескриптом, имеете ему доставить.

Отия Цулукидзе и Николая Лордкипанидзе обоих чинов подполковника и орденом святые Анны второго класса, коего знаки при рескриптах у сего следует.

Кация Нижарадзе так же чином подполковника, который имеете ему объявит своим порядком.

Диван бека Вахушти Чевчевадзе чином майорским и орденом святые Анны второго класса, на что следует у сего рескрипт Кайхосро Чхейдзе и Хосия Чхейдзе также майорскими // л. 17. чинами, которые имеете им объявить.

Ростома Чхейдзе майорским чином и орденом святого Владимира четертой степени, на что рескрипт у сего прилегается.

Симон Чхейдзе майорским чином. Ростома Абашидзе чином капитанским от армии, которые им имеете объявить.

Антония Барзимашвили, Георгия Барзимашвили и Давида Барзимашвили Рачинских Еристовых, у коих царем Соломоном в Раче отнято все их имение, и кои при покорении Рачинской провинции служили с пользою, первого чином подполковника, а двух последних

майорскими чинами, которые им объявить и возвращением им того имения по рассмотрению вами, поелику оно находится в руках у недоброжелательствующих России.

Ростома Барзимашвили, Дмитрия Ростомашвили и Давыда Бежанашвили Еристовых, всех трех чинами майорскими, которые имеете им объявить своим порядком.

Николаю Абашидзе объявить капитанской чин с жалованьем по двести рублей в год серебром.

Семену Абашидзе капитанской чин объявить своим порядком.

// л. 17 (об). Давыду Абашидзе выдать единовременно в награждение двести рублей серебром из суммы, имеющейся в распоряжением вашем.

Имеретинского духовенатва

Преосвященного митрополита Генателя орденом святые Анны первого класса и богатого украшенного панагиею, при особом рескрипте здесь вложенном и две тысячи рублей серебром единовременно, которые деньги имеете ему выдать из сумм распоряжении вашем имеющихся.

Преосвященного митрополита Нино Цминделия богатою панагиею при сем с особенным рескриптом следующею.

Преосвященному Кутайскому митрополиту Кутателю орден святые Анны первого класса при особом здесь приложенном рескрипте.

Гелатского монастыря игумена Давыда Иоселиани архимандритскую панагиею, которую имеете доставить митрополиту при особом письме вашем для возложения оной на сего игумена.

// л.18. Протопопа Вассариона Амашукелия и священника Георгия Церетелия золотыми крестами для

ношения на персях, которые имеете доставить митрополиту при письме вашем для возложения на них.

Кутайскому священнику Симону Квиникидзе 150 рублей серебром, которые имеете выдать единовременно из суммы в распоряжении вашем состоящей.

Чхерскому священнику Симону Квиникидзе золотой крест для ношения на персях, который доставить к митрополиту при письме вашем для возложения на него.

Митрополита Николоса Цминделия архидиакону Яссе Бакрадзе единовременно 150 рублей серебром, которые выдать ему из суммы в распоряжении вашем имеющейся.

Священникам: Яссе Хвададзе, Вассариону Амашукели и Вассариону Церетели золотые кресты для ношения на персях, которые им доставить при письме к митрополиту и единовременно каждому по 100 рублей серебром из суммы в вашем распоряжении состоящей.

Имеретинских дворян

Отия Месхе, Николая Месхе, Левана Гого Беридзе, Григора Карзаля, Симона Мачавариани, Кумси Бараташвили и Бежана Абдушелишвили моуравствами, то есть управлением казенных имений по рассмотрению вашему с отводом земли и с позволением по обычаю того края употреблять крестьян казенных для работы по хлебопашеству, о чем имеете учинить надлежащее распоряжение.

Отию Амашукели, Николая Мачавариане и Пате Кикнадзе чины порутчиков с жалованьем по 100 рублей в год серебром каждому, что имеете им объявить.

Мамуку Кикнадзе, Гогию Бежику Какнадзе, Скмену Кипиани и Ивану Бакрадзе // л. 19 чины подпорутчичьи с

жалованием по 80 рублей в год серебром каждому, что им объявить своим порядком.

Бежану Джапаридзе, Бучаа Джапаридзе и Яссию Швили, единовременно по 150 рублей серебром каждому, которые выдать им из суммы имеющейся в распоряжении вашем.

Симону Бакрадзе, Ростому Бакрадзе, Бежану Карзаеву и Симону Карзаеву единовременно по 100 рублей серебром, которые и выдать из той же суммы.

Левану Иоселиани, Георгию Карзаеву, Ревазу Ниджарадзе и Георгию Ниджарадзе чины прапорщиков, которые им объявить, выдав единовременно по 100 рублей серебром каждому из той же суммы.

Переводчику Ивану Мурванову чин прапорщика, который ему объявить.

Пирана Гунсадзе, Левана Иоселиани и Кайхосро Иоселиани, управлением по //л.19 (об) рассмотрению казенными деревнями без употребления крестьян в их пользу, о чем имеете распоряжение.

Бежана Чапаридзева, Бучая Чапаридзева и Сачино Оржоманикидзе, возвращением по рассмотрению отнятого у них царем имения, о чем равномерно имеете чинить распоряжение.

Нония Мурванова исправляющего должность переводчика при генерал-майоре Симоновиче, чином колежского регистратора, о чем объявлен указ Правительсвующему сенату.

Католикам

Иосифу Орлову золотую медаль на красной ленте, при сем препровождаемую и единовременно 100 рублей серебром, которые выдать ему из суммы вверенной в ваше распоряжение.

Нонию Исарло и Якову Шелтуплишвили золотые медали на красных лентах при сем препровождаемые, по одной для каждого.

Гелатскому жителю Микелу Чиракадзе единовременно 100 рублей серебром, которые и выдать ему из той же суммы.

Имеретинским дворянам

Л.20 Вахтангу Наджерадзе и Бежану Сулхану швили Кикнадзе, которым обе ноги и руки отрублены, по 100 рублей серебром в год пенсии по смерть.

Залики Чикоанадзе телесно жестокомученному и ограбленному и семейству повешенного Кутайсского хелосана Шакаро Хедасуплишвили, по 50 рублей серебром в год пенсии по смерть.

Гегутскому хелосану Николаю Бодокию единовременно 150 рублей серебром.

Мужикам: Хонскому Багтадзе и Гелатскому Георгадзе, которым обе ноги и руки отрублены, пенсии по смерть по 50 рублей серебром в год каждому.

По сему же случаю всемилостивейше жалую оказавшим особенное усердие в Имеретинской экспедиции.

Владетельным князьям.

Мингрельскому, генерал майору и ордена святые Анны первого класса кавалеру // л.20 (об) Левану Дадиани орден святого Владимира второй степени при рескрипте здесь вложенном.

Гулиельскому, полковнику Мамию Гуриелу орден святые Анны первого класса при рескрипте здесь вложенном.

Находившимся при них князьям

Полковнику и ордена святые Анны первого класса кавалеру Николаю Дадианову орден святого Владимира третей степени, при рескрипте у сего приложенном.

Абхазскому князю подполковнику Манучару Шервашидзе чин полковничий и орден святые Анны второго класса при рескрипте следующем при сем.

Лечгумскому моураву князю Бери Геловани и Кайхосро Гуриелу подполковничьи чины и ордена святые Анны второго класса при особых здесь приложенных рескриптах.

Вахтангу Ериставу майорский чин, который имеете ему объявить и саблю ордена святые Анны третьего класса при рескрипте.

Левану Геловани и Ростому Геловани майорские чины, а князю Григорию Ахвердиани капитанский чин.

Грузинским князьям

Л. 21 Подполковнику и ордена святого Георгия четертого класса кавалеру Луарсабу Орбельянову орден святые Анны второго класса при рескрипте и единовременно годовое по чину жалованье, которое выдать ему из сумм в распоряжении вашем имеющихся.

Майору Георгию Амилахварову подполковничий чин, который имеете ему объявить и орден святые Анны второго класса при рескрипте.

Елизбару Еристову чин подполковника, который ему объявить орден святые Анны второго класса при рескрипте и сделать распоряжение о возвращении ему рассмотрении вашему, имения данного в приданое жене его покойным

тестем царем Соломоном первым, которое как вы донесли, находится в руках у неблагонамеренных России.

Майору Абсилову Бебутову орден святые Анны второго класса при особом // л. 21(об) рескрипте, и единовременно годовое по чину жалованье, которое выдать ему из сумм в распоряжении вашем имеющихся.

Майору и ордена святые Анны третьего класса кавалеру Георгию Амиреджибову орден святые Анны второго класса при особом рескрипте.

Майору Гусен Беку Мачабелову чин подполковника с прежним жалованьем, который ему и объявить.

Капитану Давыду Тарханову чин майорский, который ему объявить своим порядком, при выдаче единовременно годового жалованья по чину капитана из сумм в распоряжении вашем имеющихся и орден святого Владимира четвертой степени при рескрипте.

Колежскому секретарю Бебуру Аргутискому чин капитанской с жалованьем по оному.

Луарсабу Еристову и прапорщику Давыду Палавандову, чины порутчичьи.

Л. 22. Соломону Амиреджибову порутчичий чин с жалованием, во уважению, что он содержить семью убитого в Имеретиской экспедиции брата его.

Ревазу Баратову чин прапорщика.

Переводчику генерал-майора Симановича коллежскому регистратору Меладзе Палавандову чин титулярного советника, о чем объявлен указ правительствующему сенату.

Пацию Палавандову и дворянам: Спиридону Паниящвили, Давиду Мамацову, Мамисувалу Кипияни, Максиму Деканосову, Алексею Деданашвили и Георгию Зубалову, следующие при сем серебряные сабли с надписью «За храбрость и усердие», которые имеете им доставить при письмах от себя.

Дворянину Якову Исакову чин коллежского регистратора, о чем объявлен указ правительствующему сенату, и единовременно 100 рублей серебром, которые выдать из сумм имеющихся в вашем распоряжении.

И наконец грузинскому священнику Иоанну Чевчевадзе, следующий при сем золотой крест для ношения на персях, который имеете доставить митрополиту при письме вашем для возложения онаго на него и единовременно 100 рублей серебром, из сумм в распоряжении вашем имеющихся.

Пребываю вам Благосклонный Александр.

Российский государственный военн-исторический архив (РГВИА), Ф. ВУА, д. 6176, на 22 листах, лл. 16-22 (об)

დამოწმებანი:

აბულაძე ც., ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან / // მრავალთავი / საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 1971. - 1. - გვ. 403

ბარათაშვილი მ., „დედოფალ ანაზედ“, „ლიტერატურული ძიებანი“, 2002 წლ. №30, ნაწ. 1;

ბერძენიშვილი ნ., საქართველო მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 2, თბ., 1965

ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს, მაცნე, თბ., 1967, №3

გონიკაშვილი მ., იმერეთი მე-18-19 საუკუნის მიჯნაზე, თბ., 1979

დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957.

ვაჭრიძე გ., იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840), ქუთაისი, 1999.

ივერია, 1903, №189

ივერია, 1903, №190

იმერეთის მეფე სოლომონ II-ის წერილი საფრანგეთის მეფე ნაპოლეონ პირველისადმი (ახალციხე, 1810 წლის 20 ოქტომბერი). გამოაქვეყნა პროფ. ი. ტაბაღუამ / სოლომონ II // საისტორიო ვერტიკალები. - , 2002. - 3. - გვ. 136

კენკიშვილი კ., სამშობლოდან ლტოლვილმა სოლომონ II-მ უცხო მიწაზე დალია სული, ინტერნეტ რესურსი: http://www.georoyal.ge/?m=1000&id=2652;

დაშვება, 10.03.2015

კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე) თბ., 1954

მაჭარაძე ვ., რუსეთ-იმერეთს შორის 1804 წლის ელაზ-ნაურის შეთანხმება, კრ: „მესხეთი“, VI-VII, თბილისი-ახალციხე, 2005,

ორჯონიკიძე ე., რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992.

პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1973.

პაპავა თ., დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში, თბ., 1990.

რუხაძე ტრ. სოლომონ მსაჯული, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 3, თბ., 1946.

ფირცხალაიშვილი ალ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 2, თბ., 1965.

ქორთუა ნ., საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ. 1964.

Авалов З., Присоединение России к Грузии, СПБ., 1906.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том I, Тифлис, 1866.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том II, Тифлис, 1868.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Том III, Тифлис, 1869.

Акты, собранные Кавказской археографической комиссией, том IV, Тифлис, 1870.

Архив внешней политики России, ф. Канцелария, д. 2247

Белявский Н, Утверждение русского владычества на кавказе. Т.1, Тифлис, 1901.

Берже А., Присоединение Грузии к России 1799-1801гг. Русская старина, 1880.

Горянов С., Босфор и Дарданелли, СПБ, 1907.

Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 5, СПБ., 1887.

Дубровин Н., Закавказье от 1803-1806, СПБ., 1886.

Лапин В., Цицианов, М. 2011, стр.142

Новичев А., История Турции, ч.2, Л. 1968.

Пирцхалайшвили А., Имеретия и Гурия в период 1804-1840 гг. წიგნში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. 1, 1942.

Пичет В., Международная политика России после Тильзита, в книге:Отечественная война и Русское общество» 1812-1912, т.3, стр. 9-10; ელ. რესურსი:

http://www.museum.ru/1812/library/sitin/book2_01.html

РГВИА, ф. ВУА, д. 6176, на 22 листах, лл. 16-22 (об)

РГВИА, ф. ВУА. №6183, л. 58 об

Российский военно-историческсский архив, ф. ВУА, д. 6176 на 22 листах, лл. -1-2об; (შემდეგ ასე: РГВИА) АКАК, т.3, стр. 154

The Cambridge History of Turkey, Volume 3, (The later Otoman Empire 1603-1839), Edited by Suraiya N. Faroqhi, 2006.

Zurab Sulaberidze
Batumi School of the University of Georgia;
Poti Museum of Colchian Culture

THE LAST PERIOD OF IMERETIAN KINGDOM

RESUME

This article addresses several issues in the history of the kingdom of Imereti.

After the abolition of the Kingdom of Kartli-kakheti, the Russian Empire turned its attention to the subjugation of western Georgia.

In the 19th century, western Georgia was divided into one Kingdom and four principalities. Conflicts were common between these political entities.

In 1789, Solomon II was approved to the throne of Imereti. In the first years of his rule, he worked to strengthen the kingdom's relations with Russia. However, in 1800-1801 the Russian abolished the autonomy of Kartli-Kakheti, and the Russian Empire actively interfered in the course of internal life of Georgia, fostering dissent within the feudal elite of Imereti.

During this time, the Russian Empire stifled opposition to its rule in Georgia. It undermined and destabilized Georgian political structures, which had existed for centuries. On April 25, 1804, under pressure from the general Tsitsianov, a treaty between Russia and the Imereti kingdom was signed in the village of El-Aznaur. The treaty consisted of 17 articles. It severely limited the autonomy and the political status of the

Kingdom of Imereti,effectively turning it into a province of the Russian Empire.

Beginning in 1806, king Solomon II began armed resistance against imperial authority, but these effortsended with defeat of the King of Imereti. Many princes and members of the nobility of the western Georgia aided the Russian army against the king.

In September, 1810 Solomon II was compelled to move to Akhaltsikhe. In exile, the king repeatedly requested help from Napoleon Bonaparte and the Iranian shah Fet - Ali, but neither provided any assistance.

Eventually, Solomon II moved from Akhaltsikhe to Erzurum.One year later, he was forced to leave Erzurum and go to Trabzon where he died in 1815.

In April, 1810 the provincial administration of Imereti was established.

მაია შაორშაძე
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენ (საყვარელიძე) და მისი მოღვაწეობა

არსენ (საყვარელიძე) ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოღვაწეობდა (1736 წ. 1737 წ. 1744-45 წწ. 1747 წ. 1748 წ. შემდეგ ჩანს 1761 წელს), ხოლო, სავარაუდოდ, დაახლოებით 1763 წლის ახლო პერიოდში ის ხდება სამთავნელი ეპისკოპოსი. როგორც ჩანს, დროდადრო იგი იცვლიდა ეპარქიებს, რადგან დოკუმენტების შედარებებმა აჩვენა, რომ ამავე პერიოდში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებს ჯერ კირილე ციციშვილი, მცირე დროით რომანოზ ერისთავი, ხოლო შემდეგ კვლავ არსენ საყვარელიძე. საქმე იმაშია, რომ დომენტი IV კათალიკოსის საქართველოში არყოფნის გამო (როგორც ცნობილია, 1725-39 წლებში იგი ქართლში არ იმყოფებოდა), 1737-1739 წლებში, კათალიკოსის მოვალეობას ასრულებს კირილე ციციშვილი, მის ნაცვლად კი, ამავე წლებში, ქართლის მთავარეპისკოპოსი ხდება რომანოზ ერისთავი, რომელიც მალევე რუსეთში მიემგზავრება. სწორედ ამის შემდეგ უნდა დაეკავებინა მისი ადგილი არსენს. ის დოკუმენტებში ხელმეორედ ჩანს 1744-45; 1747-48 და 1761 წლებში.

კირილე ციციშვილი ქართლის მთავარეპისკოპოსად იხსენიება 1736, 1740, 1741, 1753, 1755, 1764, 1768, 1771 და ა. შ. წლების საბუთებში.

მოწმეებშია დასახელებული კირილე მთავარეპისკოპოსი 1743 წლის 17 ივნისის სიგელში. „ყმის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს მამუკა აბაშიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისადმი“,

ახლავს მინაწერი და ხელრთვა: „არის ამისი მოწამე ბატონი მთავარეპისკოპოზი კირილე.“[1]

როგორც ცნობილია, 1744 წლის ივლისში შაჰმა თეიმურაზს ქართლის მეფობა მისცა, ხოლო ერეკლეს – კახეთისა. ამან ირანთან დაპირისპირებული გივი ამილახვრის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. მისი მომხრეები თეიმურაზის მხარეს გადავიდნენ. რადგან პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და მეფესა და ამილახვარს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მთავარეპისკოპოსი კირილე ციციშვილი კი ამილახვრის ბანაკში აღმოჩნდა, როგორც ჩანს, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას კვლავ არსენ საყვარელიძე დაუბრუნდა. კერძოდ, პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ მოგვითხრობს სურამის ციხეში გამაგრებული გივი ამილახვრისა და მეფე თეიმურაზის დაპირისპირების ამბავს, სადაც ერთ ადგილზე ნათქვამია შემდეგი: „მთავარეპისკოპოსი კირილე ციხეში ამილახორთან იყო, გამოვიდა ამ ამბავზე და აღარ გამოუშვა ამილახორმა. იყო ყოველთვის ომი ფიცხელი უმეტეს პირველისა.“[2] სწორედ ამ დროს უნდა დაეკავებინა ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრა არსენს.

როგორც ცნობილია, სურამის ციხის ალყა 5 თვეს გაგრძელდა. ბოლოს გივი ამილახვარი დანებდა. შაჰის ბრძანებით ის ირანში გაგზავნეს, სადაც გამაჰმადიანდა და ირანის გვარდიის უფროსი გახდა. 1749 წელს გივი საქართველოში დაბრუნდა, გარდაიცვალა 1754 წელს.

1744 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოველში, ძველი ქრისტიანული წესის სრული დაცვით, შედგა თეიმურაზ II-ის

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, 316.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, 93.

ქართლის მეფედ კურთხევის ცერემონია, რაც დიდ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიაში, რადგან ერთი საუკუნე იყო გასული მას შემდეგ, რა დროიდანაც ქართლ-კახეთს ქრისტიანი მეფე აღარ ჰყოლია.

ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენი აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესებში და ანტონ კათალიკოსთან ერთად აღასრულებს ქრისტიანულ საიდუმლოებებს. „...ამისა შემდგომად მოვიდა **მთავარ-ეპისკოპოსი არსენ** შემოსილი, მთავარ-დიაკონნი შემოსილნი წინა უვიდოდეს კმევითა საკმეველისათა, აგრევე ჯვარისა მტირთველსა ჯვარი პატიოსანი აღემართნეს და მგალობელთა დასნი მოუძღოდეს და გალობდენ გალობასა ჯვარისასა... ხოლო აღიღეს ერთი ეს სამეფო შესამოსელი და იარაღი, მოსცეს მთავარ-ეპისკოპოსს, იტვირთა ორთა მკლავთა და წამოვიდნენ ეგრეთ გალობითა, შეიტანეს ეკლესიასა შინა...“[1] მეფის ერთ მხარეს პატრიარქი იდგა და მეორე მხარეს არსენ მთავარეპისკოპოსი. „ცალკერძ პატრიარქი მოუდგა, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსი, სამღვდელო დასნი წინ შეუძღვნეს ხატითა.“[2] საინტერესოა აგრეთვე მეფის კურთხევის დროს ეპისკოპოსთა ჯდომის წესი ამ დროისათვის: „საყდრისა შუა გულობას ტახტი იდგა დიდი. ოთხი ხარისხი შეივლიდა, აიყვანეს, ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დაბძანდა და მეორეზე პატრიარქი, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსი და ცალკერძ ალავერდელი, სხვანი ეპისკოპოსნი ექვსი ამიერ და ექვსი იმიერ განეწყვნეს. ამისა შემდგომად მოიტანეს მარტივი ბისონი და ჩააცვეს, დაიწყეს წირვა.“[3] აღსავლის კართანაც მეფეს მთავარეპისკოპოსი და ალავერდელი მიეგებნენ, საკურთხეველში შეიყვანეს და შუბლზე, მხრე-

---

[1] იქვე, გვ. 103.

[2] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981, 105.

[3] იქვე, გვ. 105.

ბსა და გულზე ზეთი სცხეს. მას შემდეგ, რაც ყველა წესის დაცვით თეიმურაზს სამეფო გვირგვინი დაადგეს და სკიპტრა მარჯვენა ხელში დააჭერინეს, პატრიარქის ხელით წმინდა ზიარებაც მიაღებინეს. წირვის დასრულების შემდეგ, „გამობრძანდა მეფე ცხებული საკურთხევლით, ცალკერძ პატრიარქს ეპყრა მკლავი, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსს“ და დასვეს სამეფო ტახტზე.

ქართლის მთავარეპისკოპოსად არსენ საყვარელიძე, ჯერ კიდევ, 1736 წელს ჩანს. 1736 წლის თებერვლის დამდეგს „ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნს, მიცემულს ზაზა სოლაღაშვილის მიერ ქსნის ერისთავ შანშესადმი,“ ამტკიცებს ქართლის მთავარეპისკოპოსი არსენი: „ქ. მე, ქართლის მთავარეფისკოპოზი არსენ ამისი დამამტკიცებელი“. ახლავს ბეჭედი ლეგენდით: **მონა ღ(ვ)თისა მთავარეფისკოპოზი არსენ** (უზის ჯვარი).[1]

1737 წლის 11 თებერვალს არის გაცემული სიგელი „ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ და სხვა მაჩაბლების მიერ იოვანე ქსნის ერისთვის შვილისადმი.“

ქობულის შვილი მაჩაბელი ზაალ, ზაზა, ზურაბი და ოთარი, ნასყიდობის წიგნს აძლევენ იოანე ქსნის ერისთვისშვილს და მას თამარაშნელ სომეხ ყმას, პეტუაშვილ სტეფანას, ბეჟანას და იოსებას თავისი ცოლ-შვილით მიჰყიდიან. მოწმეები არიან: **ბატონი მთავარეფისკოპოზი არსენ,** ჯვარისმამა ბატონი გერასიმე, იარალიშვილი იოვანე, ამირეჯიბი გიორგი, ხერხეულიძე ჯამასპი, თუმანიშვილი გიორგი, როჭიკა-

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, 249-250.

სშილი ბეჟან, ნაზირი გიორგი, ბოქაულთუხუცესი თექთუბან და სხვები.[1]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის შემდგომ ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას, როგორც ჩანს, სხვა მღვდელ-მთავრები განაგებენ. ამავე კათედრაზე არსენი კვლავ ჩანს 1744-45 და 1747-1748 წლებში.

როგორც ცნობილია, ქართველი გლეხისთვის დიდი სოციალური უბედურების მომტანი იყო „ტყვეთა სყიდვა," რომელიც XVI-XVII საუკუნეებიდან გავრცელდა საქართველოში. დასავლეთში მან კატასტროფული ხასიათი მიიღო, რადგან ოსმალეთი, რომელიც ტყვე მონების უშუალო მომხმარებელი იყო და დასავლეთ საქართველოს ემეზობლებოდა, აქეზებდა და ხელს უწყობდა ამ პროცესს. აღმოსავლეთ საქართველოშიც (უფრო მეტად ქართლში) გავრცელებული იყო ტყვის სყიდვა, რომელსაც ხელს უწყობდა თბილისისა და ქართლის სხვა ციხეებში მდგარი ყიზილბაშური გარნიზონები. „ტყვის სყიდვა" ქართველი ერის განვითარებას, მის დამოუკიდებლობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა, რადგან ახალგაზრდობის ჯანსაღი ნაწილის დიდი უმრავლესობა უცხოეთში მიედინებოდა და საქართველოს სამუდამოდ ეკარგებოდა. არცერთ ომს, არცერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც „ტყვის სყიდვამ" მიაყენა. ეს იყო კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მახინჯი და ველური გამოხატულება და ფორმა შუა საუკუნეების საქართველოში.

აღნიშნულ საშიშროებას და საფრთხეს კარგად გრძნობდა ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილი და ენერგიულადაც იბრძოდა მის აღმოსაფხვრელად. XVI-XVII საუკუნეების მანძილზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართ-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, 264-265.

ველოში არაერთი საეკლესიო კრება თუ დადგენილება მიიღეს „ტყვეთა სყიდვის“ აღსაკვეთად და მასში შემჩნეული პირების მიმართ სიკვდილით დასჯაც კი შემოიღეს, მაგრამ ამან საბოლოო შედეგი მაინც ვერ მოიტანა. ეს მახინჯი ჩვეულება და დანაშაული XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა და სამეფო თუ საეკლესიო ხელისუფლებას მკაცრი ზომების გატარება უხდებოდა მის შესაჩერებლად. აღმოსავლეთ საქართველოში მაინც მეტი წარმატებით განხორციელდა „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ ბრძოლა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, სადაც ოსმალეთს მეტი დასაყრდენი და გავლენა ჰქონდა. გლეხთა მდგომარეობის გაუარესების გამო მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლაც, რომლის დარეგულირებაც საერო და სასულიერო მოღვაწეებს ერთობლივი ძალისხმევით უხდებოდათ. ამიტომ, დაემხო თუ არა ყიზილბაშობა საქართველოში, 1747 წლიდანვე ტყვეებით ვაჭრობას ახალი ძალით გამოუცხადეს ომი მეფე ერეკლემ და ანტონ კათალიკოსმა.

სწორედ ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე, არსენ ქართლის მთავარეპისკოპოსის ღვაწლი 1747 წელს „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიების საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა 1747 წლის 20 ივნისის „პირობის წიგნი, მიცემული ზაალ ავალიშვილისა და სხვების მიერ კათალიკოს ანტონისადმი.“

კერძოდ, ზაალ ავალიშვილი, მისი ძმა ქაიხოსრო, შვილი ავალი, მისი აზნაურიშვილები: ციმაკურიძე ზურაბ, განძიელი ერასტი, განძიელი ოთარი და სხვები, პირობის წიგნს აძლევენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ანტონს, რომ მათ ოჯახში და მამულში მრავალი უკეთურება და სიბოროტე იყო გავრცელებული: ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, მრუშება, ძარცვა და სხვა მრავალი. მას შემდეგ, რაც კათალიკოსი მათ მამულში მიბრძანებულა და როგორც მართებული იყო, ისე ესწავლებინა და დაემწყემსა, თავის მხრივაც, ისინი კათალიკოსს პირობას და აღთქმას უდებენ, რომ ამიერიდან არ

გაერეოდნენ ტყვის სყიდვაში, კაცის კვლაში და სხვა უკეთურ საქმეებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ სათანადოდ დასჯილიყვნენ. გარდა ამისა, თუ ვინმე „ტყვის მსყიდველს“ გაიგებდნენ მათ მამულში, მის დაჭერასა და კათალიკოსისათვის გადაცემის პირობასაც იძლეოდნენ და, თუ ვერ მოერეოდნენ, ამასაც შეატყობინებდნენ.

„არიან ამისი მოწამენი და დამხდურნი **მთავარეპისკოპოზი ბატონი არსენი,** (ხელრთვა ასომთავრულად: არსენი), არქიმანდრიტი იოანე და ერთობილნი მცხეთელნი“[1]

სწორედ ასეთივე შინაარსის, 1747 წლის სიგელია დაცული საქართველოს ეროვნულ არქივში, რომელიც დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში. ტყვეებზე მოვაჭრე ავაზაკთა დიდმა ნაწილმა ცოდვები მოინანია და მათი მეთაური, თავადი პეტრე ავალიშვილი, მისი აზნაურები და გლეხები ანტონ კათალიკოსის წინაშე ფიცს დებენ მსგავს საქმეში გაურევლობის შესახებ. სრულად მოგვყავს დოკუმენტის შინაარსი (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია):

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ავალიშვილმა პეტრემ, როსტო|მიშვილმა ზაალ, ჩვენმა აზნაურშვილმა აჯიაშვილმა ბაადურ,| ჩიკოტიძემ საამ, ჩვენმა სახლთხუცესმა ბეჟან, მსხილაძე სვიმონ,| სასონაშვილმა მამულამ, [მჭ]ედლიშვილმა ბერმა, ქუჩუკაშვილმა პეტ|რემ, ხოჯიაშვილმა დათუნამ, სულ ჭელიერთპირ ჩვენმა ყმამ,| აზნაურმა და გლეხმა, თქვენ, ჩვენს ჭელმწიფეს, საქარ|თველოს კ(ათალიკო)ზ-პატრია(რ)ქს, ბატონიშვილს ბატონს ანტონის, ასე| და ამა პირსა ზედან, ჩვენს ოჯახსა და ყმასა და მამულში მრა|ვალი ბოროტი საქმე და უკეთურება იყო: ტყვის სყიდვა, კაცის| კვლა, კაცთა ცრცვა, მრუშება და მრავალი სჯულის გარდამავა|ლი

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, 333.

ბოროტი მოქმედება, თქვენც თქვენის ერის გულისათვის თა-
ვი| დაგედვათ, მობძანდით ჩვენს ოჯახში, როგორც თქვენგნით
მარ|თებული იყო, ისიები გვიბძანეთ, გვასწავლეთ და დაგვმწ-
ყსევით.| ჩვენც ეს პირობა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით
ღ(ვ)თის წინაშე და| წმიდის ცათა მობაძავის, კათოლიკე ეკ-
ლესიის წინაშე, დღე(ი)ს ამას ი|ქით არც გავერიოთ ტყვის
სყიდვაში, არც კაცის კვლაში და რაც ჩვე|ნში უკეთურება და
ბოროტის ჩვეულება იყო და ღ(ვ)თის განსარისხე|ბელი საქმე,
ყვალაზე ჭელი ავიღოთ და მოვიკვეთოთ და თუ დღეს ამ|ას
იქით შეგვიტყოთ და ან თქვენს მცნებას გარდავიდეთ,
ღ(მერ)თ(მა)ნ უცოდო| გამყოფოსთ, რაც ერთს ავს კაცსა და
ავაზაკს გარდაჭვდოდეს, ისე ჩვენ| გარდაგვაჭდევინეთ, სუ-
ლით თქვენ დაგვსაჯეთ და ჭორციე<ე>ლად მეფეებს| ყათ-
ლავი აქნევინეთ. ჩვენი სისხლი ალალი იყოს, ვინ იცის
საჭელმწი|ფოთ ტყვე ითხოვონ, ისიც თქვენ მოგახსენოთ, შე-
გატყობინოთ, თუ ჩვენს საბ|ატონოში ტყვე გაიყიდოს ვინმე,
თუ შევიძლოთ, დავიჭიროთ ის ტყვეცა და| ტყვის გამსყიდვე-
ლიც იქ გაახლოთ და თუ ვერ მოვიჩვ[ე]ნეთ, თქვენ მოგ|ახსე-
ნოთ და თუ ეს პირობა არ გაგითაოთ, ჯერ ვიყვნეთ|
ღ(ვ)თის შემცოდე და მერმე საქართველოს ღ(ვ)თივ გვირგვი-
ნოსნის მეფე|თ მეფის თეიმურაზისა და კეთილმორწმუნის მე-
ფის ერეკლეს შემცოდე| და მოღალატე, ეს პირი ასე გაგითა-
ოთ.

არიან ამისი მოწამენი და| დამხდურნი: **მთავარეპისკო-
პოზი ბატონი არსენ** (აქვე ახლავს ასომთავრულით შესრუ-
ლებული ხელრთვა: **არსენ**), ურბნელ| ეპისკოპოზი ბატონი
გაბრიელ და არქიმანდრიტი იოანე| და ერთობილნი მცხეთელ-
ნი. დაიწერა თვესა ივნ|ისსა ით, ქრისტეს აქათ ჩღმზ, ქ(ო-
რონი)კ(ონ)სა ულე (1747 წ. 19 ივნისი).

ბოლოში ახლავს ოთხი ქართული ბეჭედი ლეგენდებით: ერთობილთ მცხეთელთა, ზაალისა და ბაადურის. ასევე ერთი ბეჭედი გაურკვეველი გამოსახულებით. უზის ჯვრებიც. [1]

ანალოგიური იყო ის წერილობითი აღთქმა, რომელიც 1759 წელს დასავლეთ საქართველოს ფეოდალებმა სოლომონ პირველს მიართვეს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ სწორედ 1748 წელს შედგა საეკლესიო კრება და მიღებულ იქნა კანონები ქვეყანაში არსებული არაერთი დარღვევისა და დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ამ დოკუმენტზე სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, რიგით მეოთხე ხელრთვა ეკუთვნის არსენს, „მთავარეპისკოპოსს სამთავროსა და გორის სამიტროპოლიტოსა," ხოლო მე-14 ხელრთვა მოიპოვება ბენედიქტე სამთავისის ეპისკოპოსისა. კრება ერეკლე მეფისა და ანტონ კათოლიკოსის თაოსნობით შედგა, რომლის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ...„უმეცრებითა წერილისათა განრყუნილ იყო და დაკნინებულ კანუნი და წესი ეკლესიისაჲ." კრებამ 27 მუხლი შეიმუშავა, რითაც ეკლესიასა და ერში წესრიგისა და სიწმინდის დაცვისათვის მკაცრი კანონები დააწესა.

დოკუმენტს ახლავს ხელრთვები: 1. მეფე ერეკლე, 2. კათოლიკოსი ანტონი, 3. ნიკოლოზ ალავერდელი, 4. „არსენი, უღირსმან მთავარეპისკოპოსმან სამთავროსა და გორის სამიტრაპოლიტოსამან განვსაზღურენ და წარვსწერენ. **არსენი**" და სხვ.[2]

1772 წლის 28 აგვისტოს მეფე ერეკლემ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ზემო ქართლის სადროშოს მოსახლეობას. იგი მოუწოდებდა ფეოდალებსა და გლეხებს, რომ დაუნდობლად გაენადგურებინათ ტყვეებზე მონადირენი.

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1462.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბილისი, 1970, 803-804.

ქართლის მთავარეპისკოპოს არსენის მიერ გაცემული საბუთები აღარ ჩანს 1748 წლის შემდგომ, ვიდრე 1761 წლისა. 1761 წლის 22 ენკენისთვით დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც დავით ერისთავის ნებართვით, ფიცხელაურები აძლევენ უმეკაშვილებს და რომლის დამწერია მხატვარი იოანე, მოწმეებში დასახელებულია მთავარეპისკოპოსი არსენ (აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ეს საბუთიც გამოქვეყნებული არ არის).

სიგელის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქსნის ერისთავი დავითისა და ყულარაღასი გიორგის ნებართვით, შოშია ფიცხელაურის შვილები ბეჟან, ფრიდონ და ამირან ნასყიდობის სიგელს აძლევენ შუა მეჯვრისხევის მამასახლისს უმეკაშვილ ბერს და მის შვილებს, რომ ბეჟანი ლეკებს როცა დაუტყვევებიათ, მისი ქვრივი დედა ბატონებთან მისულა და შვილის დასახსნელად მამულის გაყიდვა უთხოვია. მათაც ნება დაურთავთ და ფიცხელაურების მამული მასზე მსახლობელი ოჯახებითა და მამულებით შეუსყიდიათ. მოწმეებში დასახელებული არიან: **„უფალი მთავარეპისკოპოსი არსენ,“** ბოქაულთუხუცესი ზურაბ ფიცხელაური, მოურავი არჯევან ფიცხელაური, მეჯვრისხევის მოურავი ქაიხოსრო ლოლაძე, ერისთავის ნაზირი ხმალაძე საამ, სრესელი გიორგი და სხვები.

სიგელს ახლავს შემდეგდროინდელი დამტკიცებებიც. 1797 წელს დოკუმენტს ბეჭდით ამტკიცებს იულონ ბატონიშვილიც.[1]

რაც შეეხება არსენის სამთავნელობას, რადგან 1738-39 წლებში სამთავისის კათედრას განაგებს ზებედე, 1748-60 წლებში სამთავნელი ეპისკოპოსია ბენედიქტე, ხოლო 1762 წელს ჩანს ფილიპე სამთავნელი, სავარაუდოდ, სამთავისის კათედრა არსენს, შესაძლოა, სწორედ ამის შემდგომ დაეკავე-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2452.

ბინოს. ამის დამადასტურებლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ჩვენს მიერ ახლახანს გამოქვეყნებული აქამდე უცნობი დოკუმენტი, რომლის მინაწერშიც არსენ სამთავნელი მოიხსენიება. კერძოდ, 1738 წლის სიგელის მიხედვით, სამთავნელი ზებედე და ამილახვრები სამთავისის ტაძრის დეკანოზობას, ასევე სამთავისის მოურაობასა და ჯვარისმტვირთველობას უბოძებენ მღვდელს, უზნაძე პეტრეს, მის ძმას ხოსიას და ძმისშვილს იოანეს. მოვიყვანთ ამონარიდს ამ სიგელიდან:

...„დეკანოზობის წყალობის საფიცრის| წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ღ(მრ)თის მო|ყუარემან და კეთილ მორწმუნემან ამილახვარმან ბატონმან| ოთარმა და ამილახვარმან პატრონმან გივმან და შვილმან| ჩვენმან რევაზ... და სამთავნელმან ბა|ტონმან ზებედემ შენ, ჩვენს ერთგულსა და შინა ყმას| მღვდელ შვენიერს უზნაძე პეტრეს და ძმასა შენსა ხოსიას| და ძმისწულსა შენსა იოანეს[1], ასრე რომე, შენ ჩვენის| ძმის ერასტისაგან გაზდილი იყავ და ჩვენი ნამსახური და| <და> მას ჟამსა, ოდენ სამთავის ხატის ღმთაების დეკანოზი| და კანდელაკი ამოწყვეტილი იყო და იმათი ნათესავი აღარ|ცავინ ხუცესი იყო და არცავინ დიაკვნად იზდებოდა და ღ(მრ)თა|ების ეკლესია უდეკანოზოდ იყო და აწ ჩვენცა ვიგულსმოდგინეთ,| ვინებეთ და შეგწირეთ ჩვენს სასოსა და დიდსა შესავედრებელსა| სასწაულთმოქმედსა ეკლესიასა უცვალებელსა და გარე შემო|უწერელსა ხატსა მღთაებისა და დაგიმტკიცეთ მისი დეკანოზობა| და გრიგოლისა და გივის წილი ყმა და მამული“... „ამას გარდა,| მამამთავრობა, სამთავისის მოურაობა, ომფორის მოლარობა და| ჯვარის მტვირთლობა და როგორათაც სხვანი ღ{ვ}თაების დეკანოზი განთავისუფლებულნი ყოფილან, შენც იმ რიგით გაგვითა|რხნებიხარ ამ წესითა“...

[1] ეს ადგილი ჩამატებულია მუქი მელნით, სხვა ხელით და უფრო დიდი ასოებით

მინაწერები:

ქ. ჩვენ, სამთავნელ მიტრაპოლიტი ბენეკტიკტე ვამტ-კი[ც]|ებთ სიგელსა ამას მაისს ი გასულს, ქ(ორონი)კ(ონ)სა ულე (1747 წ.). ხელრთვა ჩართულათ: სამთავნელი ბენეტიკ-ტე·

ქ. ბატონს ამილახორებს დეკანოზის პეტრესათვის ამ გუჯრის წყალობა ექმნა[თ], ჩვენ, სამთ{ა}ვნელ მთავარებ|ის-კოპოზმ{ა}ნც წყალობა გიყავით. ვინცავინ სამთ{ა}ვნელმა ეს გუჯარი და წყალობა მოგიშალოს, ის|იმც შეიშლება თავისს სახისაგ{ა}ნ. ხელრთვა: **არსენ**.

ჯვარისმტვირთვ{ე}ლობა კანდელაკისა არის,| მამამთავ-რობა **საყვარელიძისა** (ხელრთვა ჩართულად: არსენ).[1]

ფონდ 1448, საქმე 3915 დედნის აშიაზე შემდეგდროინ-დელი მინაწერები ფონდ 1449, საქმე 144 პირთან შეჯერები-სა და აღდგენის მიხედვით განირჩევა.

არსენ სამთავნელის მინაწერთან თარიღი არ იკითხება. ის სავარაუდოდ, XVIII საუკუნის 60-იან წლებს უნდა განე-კუთვნებოდეს (ამ კათედრაზე ბენედიქტე სამთავნელისა და ფილიპე სამთავნელის მოღვაწეობის შემდგომ).

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთ სიგელში ჩამოთვლილნი არიან ქართლ-კახეთის იმდროინდელი მღვდე-ლმთავარნი, სადაც აღნიშნულია, რომ „ეპისკოპოსი სამთავნე-ლი, ჯერეთ განუწესებელია“. მიუხედავად ამისა, ქართლის მღვდელმთავრებიდან დასახელებულია „ბესარიონ მიტროპო-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №3915. ფონდი 1449, საქმე №144. შაორშაძე მ., XVIII საუკუნის უცნობი სამ-თავნელი ეპისკოპოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-წიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართ-ველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბილისი, 2011, 246-251.

ლიტი სამთავროᲲსა და გორისა.“[1] 1768 წელს მოიპოვება მის მიერ გაცემული საბუთიც და, ამდენად, ამ დროისათვის, ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას არსენ საყვარელიძე უკვე აღარ განაგებს. საქართველოში დაძაბული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ეპისკოპოსთათვის სამღვდელმთავრო კათედრების შეცვლა არცთუ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. რაც შეეხება არსენის გარდაცვალების თარიღს, წყაროების სიმწირის გამო, ჩვენთვის ეს უცნობია.

დამოწმებანი:

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV-XVIII სს.), ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940.

პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №1462.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №2452.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1448, საქმე №3915.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1449, საქმე №144.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), თბილისი 1970. 929.

შაორშაძე მ., XVIII საუკუნის უცნობი სამთავნელი ეპისკოპოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბილისი, 2011.

Maia Shaorshadze
National Center of Manuscripts

ARCHBISHOP ARSEN (SAKVARELIDZE) OF KARTLI AND HIS ACTIVITIES

RESUME

The article provides discussion of the historical documents dealing with the activities of Arsen Sakvarelidze, Archbishop of Kartli. He was at the position of archbishop of Kartli in30-40-ies of the 18th century (1736, 1737, 1744-45; 1747, 1748 and further – 1761) and supposedly in about 1763, he became bishop of Samtavisi, it seems that he changed his eparchies.

Particularly notable is Archbishop Arsen's contribution to prohibition of "purchasing of the captives", in 1747. The author brought to scientific turnover a document of 1747 maintained in the National Archive of Georgia, according to which, Avalishvili Petre, Rostomishvili Zaal, Ajiashvili Baadur, Sakhltukhutsesi Bezhan, Mskhiladze Svimon and others have given written oath to Catholicos Anton that in their estate there had occurred many crimes, like: purchase of captives, murder, prostitution, robbery and many others and they promised not to commit any such actions anymore and this document was signed by Arsen, Archbishop of Kartli, as a witness.

რუსუდან დაუშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალექს მდივანი – დიპლომატი

და-ძმა მდივნების ცხოვრება მარტო 1920-30-იანი წლების ევროპულ-ამერიკული პრესისათვის არ იყო საინტერესო, მათზე დღესაც ბევრი იწერება და მნახველიც მრავლად ჰყავს ინტერნეტში განლაგებულ სხვადასხვაენოვან საიტებს, რადგან მათ ცხოვრების სტილით ერთგვარად დროს გაუსწრეს და ლეგენდებში გადასახლდნენ. მათი სახელები შეგხვდებათ გახმაურებულ ისტორიებში, ჰოლივუდის ვარსკვლავთა და ცნობილ პიროვნებათა ბიოგრაფიებში, ელიტარულ ქრონიკებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ფილმებში. მდივნებს აქებდნენ, აღმატებული ეპითეტებით ამკობდნენ, ხშირად ამაგებდნენ და არასახარბიელო კონტექსტშიც იხსენიებდნენ. უამრავი ინფორმაციიდან ძნელია ტუილ-მართლის გამორჩევა. მით უმეტეს, რომ ვერც მათ სიცოცხლეში და ვერც შემდეგ ერთმნიშვნელოვან შეფასებებს ვერ შეხვდებით.

მდივნების წინაპარი სოლომონ მდივანი მეფე ერეკლე II-ის თანამებრძოლი იყო, მაგრამ დიდად ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში რუსების შემოსვლას. მისი პატრიოტიზმი და ერისადმი თავდადება მემკვიდრეობით გადაეცა შთამომავლობას. დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე მოგონებებში გენერალ ზაქარია მდივანს ახასიათებს, როგორც ძალზე მიმზიდველ და სასიამოვნო ადამიანს[1]. შაქროსა და მის ცოლს 1831 წლის პოლონეთის

[1] კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ. II, თბ. 2001. გვ. 216

აჯანყების შემდეგ კავკასიაში გადმოსახლებული პოლონელის შთამომავალ ნახევრად ქართველ ელისაბედ საბალევსკას 5 შვილი ჰყავდათ. დავითს, სერგოს, ნინოს, რუსუდანსა და ალექსის მშობლებმა კარგი განათლება მისცეს ჯერ პეტერბურგსა და ვარშავაში, სადაც ერთხანს შაქრო ვარშავის სამხედრო გუბერნატორი იყო, შემდეგ კი – თბილისსა და ევროპაში, ბუნებრივ ნიჭთან ერთად კი მშობლების სილამაზე, დახვეწილობა და მომხიბვლელობა დაჰყვათ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, გენერალი მდივანი თავისი ოჯახით, სხვა ლტოლვილებთან ერთად, კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც მთავრობის მიერ შექმნილ „ლტოლვილთა კომისიას“ ჩაუდგა სათავეში[1]. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გენერალი პარიზში დასახლდა, მრავალ საქმეს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ემიგრანტის გაჭირვებულ ყოფას თავი ვერ დააღწია. მალე მდივნების ოჯახი ამერიკაში კალიფორნიაში გადასახლდა. ლოს-ანჯელესში ძმებს ჰოლივუდის ვარსკვლავებს შორის მოუხდათ ტრიალი. ლამაზმა, ნიჭიერმა, განათლებულმა, არისტოკრატულმა, დახვეწილი გემოვნებითა და დიდი მომხიბვლელობით დაჯილდოებულმა ახალგაზრდებმა, რასაც მაშინდელი პრესა „ძმები მდივნების ჯადოს“ უწოდებდა, გაჭირვებას თავი მალე დააღწიეს და საზოგადოებაში თავის დამკვიდრება მოახერხეს. მათ აღმასვლას ხელი შეუწყო საფრანგეთში ჩვენი ლტოლვილი მთავრობის მიერ გაცემულმა საბუთმა, მდივნების თავადობის შესახებ (თუმცა ისინი აზნაურებად იყვნენ ჩამოქვეითებული)[2]. საფრანგეთში მაღალი ტიტული „თავადი“ – „Prince“ ინგლისურენოვან სამყაროში სულაც სამეფო სახლის ჩამომავლად იქცა და ისინიც წარმატებით იყენებდნენ წოდებას. ელიტარული ქრონიკის ყურადღება ტიტულის გარდა მდივნების გახმაურებულმა ქორწინე-

[1] იქვე, გვ. 237

[2] ბერეჟიანი შ., მოგონებები, კერძო არქივი

ბებმაც მიიქცია, რის გამო მათ „მექორწინე მდივნები“ უწოდეს.

ქორწინებების სერია 1925 წელს ნინო მდივანმა დაიწყო – ცოლად გაჰყვა სტენფორდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების პროფესორს ჩარლზ ჰუბერიხს. 1926 წელს დავითი დაქორწინდა კინოვარსკვლავ მეი მურეიზე, 1927 წელს დაქორწინდნენ სერგი და კინოვარსკვლავი პოლა ნეგრი. კალიფორნიაში დავითმა სერგისთან ერთად ფირმა „წყნარი ოკეანის სანაპიროს ნავთობის კომპანია“ (Pacific Shore Oil Co) დააარსეს, აქციები კინოინდუსტრიის წევრებზეც გაყიდეს და ნავთობის ბიზნესში ჩაერთნენ[1]. 1928 წელს რუსუდანი განთქმული ესპანელი მხატვრის ხოზე მარია სერტის მეუღლე გახდა, 1931 წელს უმცროსი ძმა ალექსი დაქორწინდა ბეწვეულის მაგნატის ჯეიმს ვან ალენის ქალიშვილ ლუიზაზე. ქორწინებების მეორე სერიაში 1931 წელს სერგი დაქორწინდა განთქმულ სოპრანო მერი მაკკორმიკზე, 1933 წელს ალექსი – უმდიდრეს ბარბარა ჰატენზე, 1936 წელს ნინო – მწერალ არტურ კონან-დოილის ვაჟ დენისზე, 1944 წელს დავითი – კომპანია „სინკლერ ოილის“ პრეზიდენტ ჰენრი სინკლერის ქალიშვილ ვირჯინიაზე, მესამე სერიაში 1936 წელს სერგი დაქორწინდა ყოფილ რძალ ლუიზა ვან ალენზე, დაქვრივებული ნინო – 1955 წელს კონან-დოილის წარმატებულ გამომცემელ ენტონი ჰარვუდზე[2]. მდივნების 5 შვილიდან 4 უშვილძიროდ გადაეგო, შთამომავლობა მხოლოდ დავითს დარჩა, თუმცა მის ერთ შვილს მემკვიდრე არ დარჩენია, მეორემ კი უარი თქვა მდივნების გვარის გაგრძელებაზე...

და-ძმა მდივნებზე სრულ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის უამრავი ინფორმაცია, ვერც დეილ კარნეგის გახმაურებული წიგნი „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და მოვახდინოთ გავ-

[1] forum.alexanderpalace.org/index.php?topic=5457.5;wap2

[2] en.wikipedia.org/wiki/**Mdivani**

ლენა ადამიანებზე“, ვერც რუსი მწერლის, ლევ ლუბიმოვის რომანი „ყარიბობა“ და ვერც ბარბარა ჰატენის ცხოვრებაზე გადაღებული ფილმები (განსაკუთრებით ჩარლზ ჯეროტის მინისერიალი „საწყალი პატარა მდიდარი ქალი“ (1987), თუ არ შევისწავლეთ მათი ცხოვრება და ხასიათის ის თვისებები, რისი წყალობითაც წლების განმავლობაში მათი სახელები არ ჩამოდიოდა ორივე ნახევარსფეროს პრესის ფურცლებიდან.

მაინც რა იყო ძმების ეგზომი, არცთუ სახარბიელო პოპულარობის მიზეზი? როგორც ლუბიმოვი წერს, პარიზში ქართული დიპლომატიური მისიისგან შეძენილი „კოზირი“ – თავადობის დამადასტურებელი საბუთი, ძმებისთვის დამახასიათებელი პირმოთნეობა, როგორც ამას კარნეგი წერს, ალფონსობა, როგორც ეს ფილმებსა და გადაცემებშია ნაჩვენები, ავანტურიზმი, როგორც ამას 1930-იანი წლების პრესა წერდა, თუ ყველაფერი ეს ერთად?! იყვნენ კი ქართველები მდივნები და თუ იყვნენ – როგორი ქართველები?

ხუთივე და-ძმის ბიოგრაფიაზე მოგვიწია მუშაობა, მაგრამ ყველაზე კარგად ალექსის ცხოვრების შესწავლა შევძელით, რადგან ის 1931-35 წლებში საქართველოს პარიზში ემიგრირებული მთავრობის სამსახურში იყო და მის შესახებ მრავლად შეგვხვდა ინფორმაცია ქართულ ემიგრანტულ არქივებსა და პრესაში[1]. როგორც ამბობდნენ, 1929-33 წლების

[1] დაუშვილი რ., „მშვენიერი პრინცის“ ფატალური აღსასრული – გაზ. „არგო“, 2000, 22-28 II, №17, გვ. 20; რა ვიცით „მშვენიერი პრინცი“ მდივანის შესახებ? – გაზ. „საპოვნელა“, 2001, VI, №6, გვ. 4-5; ალექს მდივანი – „მშვენიერი პრინცი“ – ჟურნ. „ომეგა“, 2003, №6, გვ. 88-91; უმდიდრესი ემიგრანტები – პრინცი მდივანი, კინოვარსკვლავების გარემოცვა და ტრაგიკული აღსასრული ლიანდაგზე – ჟურნ. „გზა“, 2008, 19-25 VI, №25, გვ. 86-88; ალექსი მდივანი – ქართველი პრინცი, რომელიც მატარებელმა გაიტანა – ჟურნ. „გუმბათი“, 2009, 2-8 II, №5, გვ. 26-27; ქართველი მილიონერები ამერიკაში – ამერიკის შესწავლისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ქსუ,

„დიდი დეპრესიის“ ჟამს, პარიზში და ამერიკაში უმუშევრად დარჩენილ ქართველ ლტოლვილთა უმეტესობას მდივნები არ-ჩენდნენ, თუმცა დოკუმენტურად ეს მხოლოდ ალექსის შემთ-ხვევაში დასტურდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მაშინ პარიზში 1000-ზე მეტი, ამერიკაში კი 200-მდე ქართ-ველი ცხოვრობდა და ნახევარზე მეტს იმ პერიოდში ძალიან გაუჭირდა, ეს დახმარება მცირედ არ მოგვეჩვენება...

საქართველოს ოკუპაციის ჟამს, როცა მდივნების ოჯახს სამშობლოს დატოვება მოუწია, ალექსი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ყმაწვილობიდანვე იგემა ემიგრანტული გაჭირ-ვება. ოჯახის ყოფილ სიმდიდრესა და კეთილდღეობაზე ახლა მას საუბრებიღა ესმოდა. 12 წლიდან ებრძოდა სიღარიბეს – მუშაობდა ქარხანაში, ყიდდა ძველ ნივთებს და ასრულებდა შემთხვევით სამუშაოებს, აღებულ ფულს კი დედას აძლევდა. თავისი ხანმოკლე ცხოვრების იმ უმძიმეს პერიოდში დედის სიკვდილმა მოზარდს დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა. საბედ-ნიეროდ, 17 წლის ალექსის ოჯახის მეგობარმა ამერიკელმა უპატრონა, ინგლისში წაიყვანა და კემბრიჯის კოლეჯში მი-აბარა, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო. იქ მალე გაითქვა სა-ხელი, როგორც შესანიშნავმა სპორტსმენმა, კოლეჯის პო-ლოს გუნდის კაპიტანმა, განათლებულმა და მომხიბვლელმა პიროვნებამ. იქვე დაუმეგობრდა ჰოლანდიური წარმოშობის, ბეწვეულის მაგნატ ალენ ვან ასტორის ცნობილ და მდიდარ ამერიკულ ოჯახს.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ალექსიმ მუშაობა დაიწ-ყო ნიუ-იორკის ნაციონალურ სიტი ბანკის პარიზის განყოფი-ლებაში და იმ დროიდან მატერიალურად უზრუნველყოფილი გახდა. მალე ბანკის საქმეების გამო გაემგზავრა ამერიკაში

2009, გვ. 235-243; FAMOUS GEORGIANS ალექს მდივანი – გაზ. Prime Time, 2012, №12, 26 III, გვ. 52-53; მდივანი ალექსი, ქართვე-ლები უცხოეთში, წ. I, თბ. 2012, გვ. 135-136, ალექსი მდივანი, ქართუ-ლი ემიგრაცია ამერიკაში, თბ., 2014, გვ. 132-134.

და მოინახულა ასტორების ოჯახი, პოლოს თამაშის დროს კი სიყვარულიც აუხსნა ასტორის მშვენიერ ქალიშვილ ლუიზას. მალე ისინი დაქორწინდნენ და პარიზში დასახლდნენ. მის ცხოვრებაშიც დაიწყო ახალი ხანა – 1931 წელს საქართველოს ლტოლვილი მთავრობის ლეგაციის მდივნად გახდომის შემდეგ იგი თავისი სამშობლოს სამსახურში ჩადგა. მალე გამომჟღავნდა მისი დიპლომატიური ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ევროპული განათლება და დიდი პატრიოტიზმი. შემთხვევითი არაა, რომ ფრანგული ჟურნალი „La Revue Diplomatique“ „პრინც მდივანზე“ რუბრიკაში „საფრანგეთის მეგობრები“ წერდა: „ამ სიმპათიური და ენერგიული ახალგაზრდის წინაშე გაიღო კარი ყველაზე ბრწყინვალე დიპლომატიურ კარიერაში“[1].

ამას ემატებოდა ისიც, რომ ალექსის პოლოს მოთამაშე ცხენოსანთა გუნდი ჰყავდა და ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ასპარეზობებში, რაც მის პოპულარობას კიდევ უფრო ზრდიდა. ხშირად ასპარეზობების დროსაც ახერხებდა დიპლომატიური საკითხების მოგვარებას არაფორმალურ გარემოში.

ალექსი ქველმოქმედიც აღმოჩნდა – ეხმარებოდა არა მარტო მოხუც, ავადმყოფ მამას და გაჭირვებულ ახლობლებს, არამედ ცდილობდა თავისი სიმდიდრისათვის საზოგადოებრივი დანიშნულება მიეცა – ეხმარებოდა საქართველოს საელჩოს პარიზში, ქართულ კოლონიას, სხვადასხვა ქართულ ორგანიზაციებს, საქართველოს ოკუპაციის საკითხთან დაკავშირებით ხშირად აწყობდა შეხვედრებს დეპუტატებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან, გზავნიდა დელეგატებს იმ კონგრესებზე, სადაც საქართველოს საკითხი იდგა, თვითონაც მიდიოდა, როცა ამის საჭიროება ჩნდებოდა.

---

[1] Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani - ”la revue diplomatique”, Paris, 1932, 31 II, p. 14-15

ალექსის ქორწინება ლუიზა ასტორთან დიდხანს არ გაგრძელებულა. უთანხმოების ნიადაგზე 1933 წლის დასაწყისში ცოლს გაეყარა და მთლიანად გადაერთო პოლიტიკასა და ცხენბურთზე.

თანამედროვეთა ცნობით, ალექსის უფროსი ძმები სჯობდნენ გარეგნობით, მაგრამ მის პიროვნებაში თავმოყრილი ინგლისური მანერები, კემბრიჯული აღზრდა, არისტოკრატული დახვეწილობა, ქართული თავადიშვილური დარდიმანდობა, თვალებში ჩაწოლილი სამშობლო დაკარგული ადამიანის ნოსტალგიური სევდა და ამერიკელებისაგან განსხვავებული მიმზიდველობა ყოველთვის აქცევდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. როგორც მისი ახლობლები წერდნენ, იგი დაჯილდოებული იყო დიდი მომხიბვლელობითა და გულისხმიერებით, რისი წყალობითაც ადვილად შეეძლო ადამიანთა ნდობის მოპოვება. გულთან მიჰქონდა სხვისი გაჭირვება, ყოველთვის პოულობდა სახსარს მათ დასახმარებლად და სიტყვებს – ნუგეშის საცემად. ბუნებრივი ნიჭის წყალობით მისთვის „ღია იყო ყველა კარი სპორტის, ხელოვნებისა და ლიტერატურის სამყაროში“[1]. როდესაც ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტმა ალექსის ჰკითხა: „რა არის საჭირო ქალის გულის მოსანადირებლადო“, პასუხად მიიღო: „საჭიროა ამ გულს მოუსმინოთ“[2]. ეს თვისებები და არა მარტო „პირმოთნეობა“, როგორც ამას წერს დეილ კარნეგი ჟურნალისტ ადელა როჯერსისა და პოლა ნეგრის სიტყვებზე დაყრდნობით[3], იყო მიზეზი იმისა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობისას, ბანგკოკში, ერთ-ერთ წვეულებაზე იგი ამერიკის უმდიდრეს ქალს და ყველასათვის სასურველ საპატარძლოს,

---

[1] Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani, p. 14

[2] კოხრეიძე ს., 21 წელიწადი პარიზში – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 16 XI, №46, გვ. 14-15

[3] კარნეგი დ., როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე, თბ., 1992, გვ. 29-31

„უნივერმაღების მეფის“ „ვულვორტის“ იმპერიის მემკვიდრეს, ბარბარა ჰატენს, მოეწონა, რომელიც მას გააცნეს როგორც „ქართველი პრინცი“, რამაც განსაკუთრებით დააინტერესა ბარბარა. მან თავისი არჩევანი მალე ოფიციალურად გამოაცხადა.

1933 წლის 22 ივნისს ალექსი მდივანმა და ბარბარა ჰატენმა 800 სტუმრის თანდასწრებით ჯვარი დაიწერეს თეთრი შროშანებითა და როდოდენდრონით მორთულ პარიზის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომელიც პატარძლის ბრძანებით, სასწრაფოდ შეაკეთეს, გადაღებეს და ჭაღების რაოდენობაც გაასამმაგეს. როგორც ლევ ლუბიმოვი წერდა, ეკლესიის მთელი ეზო მოფენილი იყო უძვირფასესი ხალიჩებით. ხალხმრავალი ქორწილი სახელგანთქმულ ოტელ „მორიცში“ გადაიხადეს[1]. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა საქორწინო მოგზაურობის წინ გადაღებული ახალგაზრდა წყვილის ფოტო. გაზეთი წერდა, რომ პატარძლის მამამ ამ ქორწილისათვის 1 მილიონი დოლარი გაიღო, პატარძალმა კი ქმარს 50.000 დოლარი გადასცა პოლოს გუნდის ცხენების აღკაზმულობისათვის[2].

„ამ დაქორწინებას წინ უძღვოდა დიდი ახმაურება ამერიკის და ევროპის პრესაში. საქმე ისაა, რომ ბარბალე ჰატენი ერთი უმდიდრესი ქალთაგანია მთელ ამერიკაში და ამავე დროს იშვიათი სილამაზის და მისი ხელის მთხოვნელნი იყვნენ ფრიად წარჩინებულნი პირნი. მაგრამ ყველაზე ბედნიერი აღმოჩნდა ქართველი ალექს მდივანი, რომელიც ახალგაზრდა ქალის გულმა აირჩია მეუღლედ. ქორწინებას დაესწრნენ ნათესავებისა და ქართველებისა გარდა, პარიზის წარჩინებული წრეების მრავალნი წარმომადგენელნი და საგანგებოდ ამერიკიდან და ინგლისიდან ჩამოსულნი ცნობილი პირები. ფრან-

[1] Любимов Л., На чужбине, Ташкент, 1979, сер.129-130

[2] Divorce to end Marriage, Princ nd Princesse Mdivani – “Nrw-York Times”, 1935, 17 III, p.3

გულ, ინგლისურ და ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა ფართო ცნობები როგორც ქორწილის, ისე საქართველოს შესახებაც. ვუსურვებთ ახლად ჯვარდაწერილებს სრულ ბედნიერებას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ისინი იქნებიან ერთგულნი და თვალსაჩინო წევრნი ჩვენი ეროვნული ოჯახისა და არ მოაკლებენ თავის ერს ყურადღებას და სამსახურს", – წერდა ქართული ემიგრანტული ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო"[1].

ამ ქორწინებამ დიდი უკმაყოფილება და გაბოროტება გამოიწვია დამარცხებულ ბარბარას ხელის მაძიებელთა შორის, ალექსს კი საშუალება მისცა კიდევ უფრო გაეფართოვებინა ქველმოქმედება: ეხმარებოდა ქართულ კოლონიას, ტუბერკულოზით დაავადებულ და უმუშევარ ქართველთა დამხმარე კომიტეტებს, მამამისის, ზაქარია მდივნის მიერ დაარსებულ ყოფილ ქართველ მხედართა ორგანიზაციას, ექვთიმე თაყაიშვილის შუამდგომლობით დააწესა 15 სტიპენდია საფრანგეთისა და ბელგიის სასწავლებლებში მოსწავლე ხელმოკლე ქართველი სტუდენტებისათვის[2]. გარდა ამისა, შანხაიში ჩავიდა და იაპონელთა მიერ ოკუპირებული ხარბინიდან ლტოლვილი ქართველებისათვის ექვსსართულიან სახლი იყიდა. ხარბინელ ქართველთა შვილებისათვისაც გაიღო ფული და დააწესა სტიპენდიები[3].

თავდაპირველად ახალადაქორწინებულნი ამერიკაში ცხოვრობდნენ, მაგრამ ალექსი ცოლთან ერთად პარიზში მალე დაბრუნდა, სადაც მზადდებოდა სფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. 1933 წელს საფრანგეთმა ცნო საბჭოთა კავშირი. ამის გამო პარიზში გაუქმდა საქართველოს

---

[1] ალექს მდივნის დაქორწინება – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო", პარიზი, 1933, №90, გვ. 14

[2] თაყაიშვილი ე., წერილი გრ. დიასამიძეს, შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ", ტ. თბ. 1992, გვ.95-96

[3] ალექს მდივანი – ჟურნ. „სამშობლო", 1935, №17-18, გვ. 58-59

მთავრობის ლეგაცია და მის ნაცვლად შეიქმნა „ლტოლვილთა ოფისი“ ლეგაციის ყოფილი პირველი მდივნის სოსიპატრე ასათიანის ხელმძღვანელობით, რომლის მოადგილედ ალექს მდივანი დაინიშნა.

1920-30-იანი წლების ისტორია მდიდარია საერთაშორისო ფორუმებით, რომლებზეც პირველი მსოფლიო ომისშემდგომ შექმნილ პრობლემებს იხილავდნენ. საქართველოს ლტოლვილი მთავრობა ცდილობდა ყველა იმ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა, სადაც საერთოევროპული საკითხები წყდებოდა და საქართველოზე საერთაშორისო აზრის შექმნა შეიძლებოდა. ეს იყი: სამშვიდობო, პაციფისტური, სამხედრო, ეკონომიკური და სხვა საერთაშორისო კონგრესები და კონფერენციები, რომელთა რეზოლუციები საქართველოს საერთაშორისო იურიდიულ სუბიექტად ტოვებდნენ, მაგრამ მას რუსეთიდან თავის დახსნაში ვერ შველოდნენ.

1934 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლიტვინოვმა განცხადება შეიტანა ერთა ლიგაში რუსეთის მისაღებად, რასაც განსაკუთრებული აღშფოთებით შვეიცარიისა და ინგლისის გაზეთები შეხვდნენ. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურება, რათა ეს საკითხი არ მიჩქმალულიყო. ასეთი იყო 1920-30-იან წლებში შექმნილი „ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოების“ წევრი – „ქართული ასოციაცია ერთა ლიგისათვის“, „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ ქართული სექცია, „მშვიდობის ინტერნაციონალური კომიტეტის“ სექცია – „მშვიდობის (ზავის) საერთაშორისო ბიურო საქართველოს საქართველოს დამხმარე თუ მეგობართა კომიტეტები – ინგლისსა და შვეიცარიაში შექმნილ „საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტები“, „ფრანგულ-აღმოსავლური კომიტეტის“ ფრანგული სექციას ე.წ. „კავკასიის, თურქმენეთის და უკრაინის ერების მეგობართა

კომიტეტი“; პარიზში, ლონდონში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში ჩამოყალიბებული „საქართველოს მეგობართა საზოგადოებები“, ნიუ-იორკში არსებულ „ამერიკულ საზოგადოებას კავკასიისათვის“, „საქართველოს უფლებების დაცვის ამერიკულ კომიტეტი“ და სხვები, რომელთა წყალობითაც საქართველო ახალ მხარდამჭერებსა და თანამგრძნობებს არა მარტო ევროპისა და ამერიკის სამთავრობო წრეებში, არამედ საზოგადოების ფართო ფენებშიც იჩენდა[1].

ვინაიდან საქართველო ვერ გახდა ერთა ლიგის წევრი, საჭირო იყო ისეთი სახელმწიფოს აღმოჩენა, რომლის დელეგატი მოინდომებდა ერთა ლიგისათვის საქართველოსათვის მიცემული დაპირებების შეხსენებას, მისი დამოუკიდებლობის საკითხის დაყენებას; ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ამუშავება, რომლებიც ამ წინადადებებს შეიტანდნენ და ზურგს იმ დელეგატებსაც გაუმაგრებდნენ, რომლებიც საქართველოს საკითხს გაახმაურებდნენ. ქართულმა ორგანიზაციებმა შექმნეს კომისია, დაიბეჭდა შესაბამისი ბროშურები, დაიგზავნა დელეგაციები, ამუშავდა პრესა.

ჩანს, ალექსი მდივანი სამშობლოს გულს უფრო უგდებდა ყურს, ვიდრე საყვარელი ქალისას. ის აქტიურად ჩაება საქართველოს საკითხისათვის ბრძოლაში. ზრუნავდა ქართული დელეგაციების მომზადებაზე, ვიზებზე. მათი ჩაცმის, მგზავრობისა და დაბინავების ხარჯებს კი ხშირად საკუთარი ჯიბიდან ფარავდა. ასეთ ვითარებაში ცოლისათვის ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ბარბარამაც საფრანგეთში მალე მოიწყინა, ქმარი მიატოვა და ამერიკაში დაბრუნდა. ამასთან, როგორც პირველმა ცოლმა, ვერც ბარბარამ გაუგო ქმარს. ფუფუნებაში გაზრდილი და მემკვიდრეობით ქონებამიღებული ქალისათვის ემიგრანტის ამგვარი ხელგაშლილი ქველმოქმედება ფუქსავატობას ნიშნავდა და ვერ იგებდა, რატომ ეხმა-

[1] დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

რებოდა ამდენ ღატაკს მისი ქმარი. ალექსის კი, როგორც ქართული ემიგრანტული ჟურნალი „სამშობლო“ აღნიშნავდა: „ჯერ სულ ახალგაზრდას უკვე განვლილი ჰქონდა ცხოვრების მძიმე სკოლა... განაცადი ჰქონდა მრავალი ემიგრანტული გაჭირვება და მძიმე შრომა და შემდეგ ამის თავის დაღწევა და ქონებრივი კეთილდღეობის მოპოება“[1].

ცოლ-ქმარს შორის არსებული ბზარი კიდევ უფრო გააღრმავა ბულვარულმა პრესამ, რომელიც ალექსს ავანტურისტსა და აფერისტს უწოდებდა. ამერიკაში დაბრუნებული ბარბარა მალე დაუახლოვდა გრაფ რევენტლოუს. 1935 წლის მაისში ფრანგულ პრესაში გაჩნდა ცნობა ამ ურთიერთობაზე. გაზეთები წერდნენ ალექსთან შესაძლო განქორწინებაზე. ივნისში განქორწინების პროცესიც მართლაც დაიწყო. სასამართლოზე გაჟღერდა ბარბარას პარადოქსულ სიტყვები, რომ იგი ეყრება „ყველაზე ღირსეულ მამაკაცს მსოფლიოში“ და საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას ალექსის წინააღმდეგ მიმართულ მთელ ამ ულირს კამპანიაზე.

განქორწინების შემდეგ, ალექსიმ ზაფხულის გასატარებლად ძმებს ჩააკითხა პალამოში – ესპანეთში, სადაც მის დას, რუსუდანს, ქმარმა სასახლე აუშენა. ზაფხულობით სერტებთან თავს იყრიდა მთელი პარიზული ბომონდი. როცა რუსუდანს სახელგანთქმული და-ძმებიც აკითხავდნენ, ეს ადგილი ევროპული პრესის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ახალგაზრდა დიასახლისი საზოგადოების სული და გული იყო და საერთო სიყვარულით სარგებლობდა. 1935 წლის ივლისში ალექსის ჩასვლა პალამოსში ფატალური აღმოჩნდა: ფიგეიროსის გზაზე ბარბარა ჰატენის ნაჩუქარი როლს-როისით ავარიაში მოყვა და დაიღუპა. მაშინდელი პრესა ავტოკატასტროფის მიზეზად გაყრის მძიმე პროცედურის გამო ალექსის სტრესულ მდგომარეობას ასახელებდა.

---

[1] ალექს მდივანი – ჟურნ. „სამშობლო“, 1935, №17-18, გვ. 58-59.

„2 აგვისტოს ღამით ტრაღიკულმა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა – 28 წლის ყმაწვილი – ჩვენი თანამემამულე ა.ზ. მდივანი“, – წერდა „დამოუკიდებელი საქართველო“ და დაწვრილებით აღწერდა მის მოღვაწეობას, ბოლოს კი ასკვნიდა: „მის საზოგადოებრივ მუშაობას ხომ ოთხი წლის ისტორიის მეტი არა აქვს! ვინ იცის კიდევ რამდენი საუკეთესო სურვილები და შემდეგში მუშაობის გეგმები თავის ქვეყნის სასარგებლოდ ჩაიტანა საფლავში?..“[1].

იმავე უცხოურმა გაზეთებმა, რომლებიც მასზე ქორწინებამდე და განქორწინებისას ათასგვარ სისაძაგლეს წერდნენ, გულისტკივილით აღნიშნეს „მშვენიერი პრინცის“ ტრაგიკული აღსასრული. ბარბარა ჰატენმაც გულწრფელად დაიტირა ალექსი და, როგორც მისი ბიოგრაფები შენიშნავდნენ, მომდევნო 6 ქორწინების მიუხედავად (მისი ქმრები იყვნენ: გრაფი კურტ ფონ რევენტლოუ, კინოვარსკვლავი კერი გრანტი, თავადი იგორ ტრუბეცკოი, პორფირიო რუბეროზა, ბარონი ვალტერ ფონ გრამი, თავადი პიერ რაიმონდ დე დოანი), სულ თავის „მშვენიერ პრინცს“ მისტიროდა.

სხვათა შორის, ალექსის ტრაგიკული დაღუპვა მდივნების ოჯახის ტრაგედიის დასაწყისად იქცა: ერთი წლის შემდეგ, ფლორიდაში, პოლოს თამაშისას, ცხენი წაექცა და გარდაიცვალა უფროსი ძმა სერგი, რომელიც იქვე დაკრძალეს. ალექსის დაღუპვით დეპრესიაში ჩავარდნილი რუსუდანისათვის ეს დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა: 1938 წლის ბოლოს გარდაიცვალა 32 წლის. განთქმული მხატვარი სალვადორ დალი, რომელიც იმ წელს ცოლთან ერთად ისვენებდა სერტების სასახლეში, წერდა, რომ პალამოს-ფიგეიროსის გზაზე მომხდარ ავტოავარიაში დაიღუპნენ თავადი ალექს მდივანი და ბარონი ტისენი: „რუსიმ ვერ გადაიტანა მწუხარება და

[1] ალექს მდივანი – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №116, გვ. 12-13

ჩაიფერფლა ოთხი წლის შემდეგ. რომ დავამტკიცო რამდენად მიყვარდა ის, საკმარისია უბრალოდ ვთქვა, რომ ის წყლის ორი წვეთივით ჰგავდა „ლა ჰაიეს“ მუზეუმში დაცულ ვერმეერის ნორჩი ქალიშვილის პორტრეტს“[1].

1935 წლის მარტში დიდი ქველმოქმედის, ამერიკაში საპარფიუმერიო ფირმის „Prince Matchabelli“-ს დამაარსებლის, გიორგი მაჩაბლის გარდაცვალების შემდეგ, აგვისტოში ალექსი მდივნის დაღუპვა დიდი დანაკლისი იყო ხელმოკლე ქართული ემიგრაციისათვის. შემთხვევითი არაა, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი ასეთი სიტყვებით დაიტირეს: „სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობებთან ერთად ალექსი მდივანს ჰქონდა მრავალი ისეთი თვისება, ნიჭი და შესაძლებლობა, რომ მას მრავალი სამსახურის გაწევა შეეძლო თავის ერისათვის რომ დასცლოდა“, – წერდა ჟურნალი „სამშობლო“[2] „დამოუკიდებელი საქართველო“ კი ამატებდა: „იგი მტკივნეულად განიცდიდა თავისი სამშობლოს უბედურებას და მისგან თავის ბედის განუყოფლობას ხშირად აღნიშნავდა ხოლმე. მართალია, თავისი დაჩაგრული ქვეყნის დასაცავად პოლიტიკური განცხადებებით არ გამოსულა, მაგრამ არასოდეს უარყვია თავისი ქართველობა, არ დაუკარგავს თავისი ოჯახის და გვარის ტრადიციები და არ უღალატია თავისი ადამიანური პრინციპებისათვის. გარშემო მყოფთა ჭეშმარიტ აღტაცებას იწვევდა მისი სულიერი სიდიადე, რომელსაც პრინცი მდივანი ყოველდღიურად ავლენდა... ჭეშმარიტად, ქართველობამ დაჰკარგა ერთი თვალსაჩინო მოამაგე და მოყვარული შვილი“[3].

ალექსი მდივნის ხანმოკლე დიპლომატიურმა სამსახურმა და ქველმოქმედებამ არა მარტო ქართულ ემიგრაციაში

---

[1] bookz.ru/authors/dali-sal_vador/tainaa-j_137.html -.

[2] ალექს მდივანი – ჟურნ. „სამშობლო“, 1935, №17-18, გვ. 58-59

[3] ალექს მდივანი – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №116, გვ. 12-13.

დატოვა წარუშლელი კვალი, არამედ ყველა იმ ადამიანში, ვისთანაც მას ერთხელ მაინც ჰქონია ურთიერთობა.

დამოწმებანი:

ალექს მდივანი – ჟურნ. „სამშობლო“, 1935, №17-18, გვ. 58-59

ალექს მდივანი – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №116, გვ. 12-13

ალექს მდივნის დაქორწინება – ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, 1933, №90, გვ. 14

ბერეჟიანი შ., მოგონებები, კერძო არქივი

კვინიტაძე გ., მოგონებები, ტ. II, თბ., 2001, გვ. 216, 237

დაუშვილი რ., „მშვენიერი პრინცის“ ფატალური აღსასრული – გაზ. „არგო“, 2000, 22-28 II, №17, გვ. 20; რა ვიცით „მშვენიერი პრინცი“ მდივანის შესახებ? – გაზ. „საპოვნელა“, 2001, VI, №6, გვ. 4-5; ალექს მდივანი – „მშვენიერი პრინცი“ – ჟურნ. „ომეგა“, 2003, №6, გვ. 88-91; უმდიდრესი ემიგრანტები – პრინცი მდივანი, კინოვარსკვლავების გარემოცვა და ტრაგიკული აღსასრული ლიანდაგზე – ჟურნ. „გზა“, 2008, 19-25 VI, №25, გვ. 86-88; ალექსი მდივანი – ქართველი პრინცი, რომელიც მატარებელმა გაიტანა – ჟურნ. „გუმბათი“, 2009, 2-8 II, №5, გვ. 26-27; გვ. 235-243; FAMOUS GEORGIANS ალექს მდივანი – გაზ. Prime Time, 2012, №12, 26 III, გვ. 52-53; მდივანი ალექსი, ქართველები უცხოეთში, წ. I, თბ. 2012, გვ. 135-136, ალექსი მდივანი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ., 2014, გვ. 132-134

დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.

თაყაიშვილი ე., წერილი გრ. დიასამიძეს, შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. I, თბ., 1992, გვ. 95-96

კარნეგი დ., როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ მოვახდინოთ გავლენა ადამიანებზე, თბ., 1992, გვ. 29-31
კოხრეიძე ს., 21 წელიწადი პარიზში – გაზ. „ლიტერა-ტურული საქართველო“, 1990, 16 XI, №46, გვ. 14-15
bookz.ru/authors/dali-sal_vador/tainaa-j_137.html -.
Divorce to end Marriage, Princ nd Princesse Mdivani – “Nrw-York Times”, 1935, 17 III, p. 3
en.wikipedia.org/wiki/Mdivani
forum.alexanderpalace.org/index.php?topic=5457.5;wap2
Les Amis de la France, Le Prince et la princesse Mdivani - ”la revue diplomatique”, 1932, 31 II, p. 14-15
Любимов Л., На чужбине, Ташкент, 1979, сер. 129-130

Rusudan Daushvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ALEX MDIVANI – DIPLOMAT

RESUME

The article is about Alex Mdivani, a youngest out five grandsons of General Zaqaria Mdivani. After the occupation of Georgia, general Mdivani at first settled in Paris and after that in the US. In California brothers mingled with Hollywood stars. Handsome, talented, educated and very charming youngsters, whatever back then was referred by the press as “the magic of Mdivani brothers,” managed soon to establish themselves in society. Their rise was promoted by the title of Prince. Prince in France became a descendant of the royal house and they used their title successfully. Public attention except title was also drawn by Mdivanies rumoured weddings, because of which they were called “Mdivanies whoever celebrated wedding.” Nowadays they still write a lot on various language internet sites. Their names can be found in high-

profile stories, in biographies of Hollywood stars and prominent people, in elite chronicles, literature and movies. Nino Mdivani married a professor of Stanford and Chicago universities Charles Huberikh, later on her became a wife of writer Arthur Conan Doyle's son Daniss. After becoming a widow she married a Conan Doyle's publisher Anthony Harwoods. David married a movie star Mae Murray, after that on a daughter of the president of a company "Sinkler Oil" - Virginia Sinkler. Sergi married a movie star Pola Negri, then to a famous soprano Mary McCormic, after all he married an ex-sister-in law Luisa Van Alen. Rusudan became a wife of a famous Spanish painter Xoze Maria Sert. Alex married a daughter of a fur magnate Luisa Van Allen, then to Barbara Hutton, an heiress of a "king of department stores" - "Woolworth" empire.

Alex became famous in Cambridge College as a remarkable sportsman, a captain of polo team, well-educated and handsome person. After graduating from college he started to work in Paris department of Nation City bank of New York. In 1931 he became a secretary of Georgia's refugee government's legacion. Soon after he exposed his diplomatic talent and ability to communicate with people, education and patriotism. Alex was also a philanthropist – was supporting old father, needy people around him, Georgian embassy in Paris, Georgian Colony, various Georgian organizations. Regarding Georgia's occupation he used to often meet with deputies, political activists. He used to send delegates to the conferences and congresses where Georgian problems were discussed whenever it was necessary he used to go himself. He was taking care of delegate's visas. Frequently he was covering clothing, traveling and hotel expenses by himself. He found 15 scholarships for Georgian indigent students in France and Belgium. In Shanghai he bought a six-storey house, for

Georgian refugees from Harbin that was occupied by Japanese and established scholarships for their children too.

Unfortunately, 28-year-old Alex died in a car accident in 1935 and therefore he couldn't manage to take care of more important "Georgian issues."

ალექს მდივანი

ალექსი და ლუიზა ასტორი

ალექსის და ბარბარას ქორწილი

ირმა კეცხოველი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო გლობალიზაციის არეალში

გლობალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან ფენომენს – მასში ერთი მხრივ, იგულისხმება, პიროვნების, ეროვნული კულტურის, კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობები, ცალკეული ადამიანების ურთიერთ დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ფაქტორები, მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში სხვადასხვა ქვეყნების ჩართვის, ინტეგრირების ტენდენციები, ხოლო მეორე მხრივ – ეს პროცესი მოიცავს ისეთ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაცია ხელს უწყობს საკაცობრიო კულტურის მრავალფეროვნების ნიველირებას: სპობს ადამიანთა არსობრივი განვითარების აუცილებელ პირობებს და მსოფლიოს ემუქრება უმუშევრობის ზრდა, სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაცია, ძალადობისა და აგრესიის ახალი ფორმების გაღვივება[1].

ეს მოვლენები ჩვენს დროში ძალზედ სწრაფად ვითარდება და უმეტესად მცირერიცხოვანი ერების პრობლემა ხდება, მაგრამ უახლოეს დროში ის დიდი ერების საზრუნავად მოგვევლინება ერებისა და ხალხების ბედი, მათი მცირერიცხოვნობისა, თუ სიდიდის მიუხედავად. ყველა ეს მოვლენები დამოკიდებულია ისტორიული განვითარების პროცესებზე, ვინაიდან ერისა და ეროვნული ხასიათის იდენტიფიკაცია ზოგადი პრობლემებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია, როგორც ერთიან უნივერსალურ ცივილიზაციად

[1] Мидоуз Д., Мидоуз Д., Рандерс Й., За пределами допустимого, Антология, М., 1999, 36.

ყალიბდება, მაგრამ აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი – თითოეულ ცივილიზაციას და მათში შემავალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე; მაშასადამე ისახება გლობალური, გამარტივებული სამყარო, რომელიც, ალბათ, ადვილი სამართავი იქნება; მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია ამ შემთხვევაში – რა იკარგება?

საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია, და ბუნებრივია, მისი განვითარება საერთო ტენდენციების კალაპოტში ხვდება. თუმცა, ნაციონალური, ანუ ეროვნული ელიტა რაღაც შუალედურ პოზიციას იკავებს; სხვადასხვა ცვლილებების ვექტორი აბსოლუტურად განსაზღვრულია. ასე რომ, იქმნება ორმაგი მორალი და ორმაგი ენა. ჰანს პეტერ მარტინმა და ჰერალდ შუმანმა გააერთიანეს მსოფლიო, მაგრამ იმავდროულად ანგრევენ (მათ შეიძლება XXI საუკუნის ანარქისტები ვუწოდოთ). ფაქტიურად ისინი პარალიზებას უკეთებენ ნაციონალურ სახელმწიფოებს, სამწუხაროდ, ერევიან მცირე ერების თვითმყოფად კულტურასა და ტრადიციებში, რომლებმაც ცივილიზაციათა განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს.

კაცობრიობის თანამედროვე განვითარების დინამიკაში გლობალიზაციას მიეკუთვნება თითქოს უმთავრესი როლი და ჩვენი ცხოვრების რეალობაც ხდება, მაგრამ, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ „გლობალიზმი“, როგორც ტერმინი, შეიცავს რაღაც ბანალურსაც; ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევარები ამტკიცებდნენ ერთიანი მსოფლიო სივრცის შექმნის აუცილებლობას საბაზრო-ეკონომიკური ცივილიზაციით. გლობალიზაცია პირველ რიგში ეკონომიკურს ნიშნავს – ეს არის დიალექტიკური პროცესი, რომელიც ქმნის ტრანსნაციონალურ და სოციალურ კავშირებს სივრცეში, როცა ღირებუ-

ლებას კარგავენ ლოკალური კულტურები და იქმნება მესამე სუბკულტურა, ან კულტურები[1].

კაცობრიობის გლობალიზაციის პროცესი შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანი გონითი არსება რომ არ ყოფილიყო, მას რომ არ ახასიათებდეს ის არსობრივი ერთიანობა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ უნარებსა, თუ ნიშნებში განსახიერდება. ამის დასადასტურებლად აუცილებელია გაირკვეს გლობალიზაციის არსი, პროცესის მამოძრავებელი ძალები და მექანიზმები, სუბიექტები, რომლებიც გლობალიზაციის პროცესს მართავენ, დადგინდეს ამ პროცესის ავკარგიანობა ადამიანისა და ერებისათვის, გამოაშკარავდეს ძალადობის ის ფორმები, რომლებიც თან ახლავს გლობალიზაციის პროცესს და მოიძებნოს მათი დაძლევის საშუალებები. სანამ ამ მხრივ გავაგრძელებთ კვლევას, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად შევეხოთ კაცობრიობის არსობრივი ერთიანობის მანიფესტაციის სხვადასხვა სახეს და ნათელვყოთ კაცობრიობის სტრუქტურა, ანუ ადამიანის თანამონაწილეობის ფორმები (ოჯახი, ეთნოსი, ერი, სამშობლო და ა.შ.) საკაცობრიო ერთიანობაში. კაცობრიობის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ ადამიანური ცხოვრების ფორმათა უდიდეს მრავალფეროვნებას, რომლის გამოხატულებანი ზოგჯერ თავისი შინაარსით და ფორმით, ღირებულებითი მახასიათებლებით ისე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ შეიძლება გაჩნდეს კანონიერი ეჭვი ერთიანი წარმომადგენლობისა და ერთიანი არსობრივი საფუძვლის შესახებ.

ადამიანის გონის ესთეტიკური ფუნქცია ჭეშმარიტად უნივერსალურია. არ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც არ მიისწრაფოდეს თავისი გარემომცველი სამყაროს და საკუთარი ყოფიერების კანონების მიხედვით გარდაქმნისაკენ. უფრო მეტიც, ყველა ხალხს, კულტურული განვითარების რა

[1] ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004, 15.

დონეზეც უნდა იყოს იგი, ახასიათებს ესთეტიკური შემოქმედების ძირითადი ფორმები (საკაცობრიო ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი ხალხი, ან ეთნოსი, რომელიც არ ქმნიდეს თავისებური ფორმისა და შინაარსის მუსიკას, პოეზიას, მხატვრობას, ცეკვას, არქიტექტურას, თეატრალურ სანახაობებს, თამაშებსა და ა.შ.).

გლობალიზაციის პროცესის ამსახველი ტერმინების მნიშვნელობა თანამედროვე მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. ამ პრობლემის სწორი გააზრებისათვის აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს გლობალურის, გლობალიზაციისა და გლობალიზმის ცნებები. პირველ მათგანში იგულისხმება ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში არცერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იმგვარი გამიჯვნა, რომელიც მას აბსოლუტური თვითიზოლაციის რეჟიმში გადაიყვანს, თვისებრივად ახალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო საშუალებების დამკვიდრებით; მსოფლიო ბაზრის შექმნითა და მისი დომინირებით ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესში იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც ყველაფერი, რაც ემართება ამა თუ იმ ნაწილში (ერში, კულტურაში) განსხვავებულ კაცობრიობას, არ დაიყვანება ლოკალურ ცდომილებაზე. ყველა გამოგონება, ყველა გამარჯვება, ყველა სტიქიური თუ სოციალური კატასტროფა, რაც კი მსოფლიოს ამა თუ იმ წერტილში ხდება, მთელ სამყაროზე ახდენს არსებით გავლენას და ამ განზომილებაში უნდა იქნას განხილული. გლობალიზაცია წარმოადგენს გლობალური მსოფლიოს ფორმირების პროცესს, ხოლო გლობალიზმი (მსგავსად ფსიქოლოგიზმის, ტექნიციზმის, სოციოლოგიზმისა და ა.შ.) არის გარკვეული იდეოლოგია[1].

გლობალიზაციის პროცესის ცალმხრივი გაგება, როდესაც მთელი მისი მრავალფეროვნება ან წინააღმდეგობრივი

[1] Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994.

ხასიათი არის უგულებელყოფილი, მთლიანად ეკონომიკური ფაქტორით შემოისაზღვრება. ამ შემთხვევაში უარყოფილია გლობალიზაციის საფუძველზე აღმოცენებული და მის მიერ ბალანსირებული ეკოლოგიური, კულტურული, ენობრივი, პოლიტიკური, სოციალური, მორალური ფაქტორები – სწორედ ის, რაც ეწინააღმდეგება ტოტალურ გლობალიზაციას, კაცობრიობის შიდასტრუქტურული (პიროვნული, ეროვნული, კულტურული) მრავალფეროვნების რღვევას, კაცობრიობის გადაქცევას ერთფეროვან მეურნეობრივ სუბიექტად. სწორედ ამ ბალანსის რღვევის წერტილებში წარმოებს გადაუჭრელ წინააღმდეგობათა აღმოცენება, რაც ძალადობის სხვადასხვა ფორმებს უკავშირდება[1].

გლობალიზაცია თავისი არსით ახალი სტრუქტურაა, იგი მსოფლიოში ნაციონალურისა და ლოკალურის დამკვიდრებას ლამობს: ერთი შეხედვით, გლობალიზაცია ყალიბდება ყველა კულტურის ინტერესების გათვალისწინებით, ამიტომაც ის საფრთხეს არ უქმნის კაცობრიობას და აშენებს კულტურას მისი წესებით, მეორე მხრივ, გლობალიზაციას არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს იმ ფაქტს, რომ სამი უმთავრესი განზომილება, რომელიც კაცობრიობის სტრუქტურაში ტრადიციულად გამოიყოფა, არის: ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურები. ამიტომ ხშირად გლობალიზაციის უმთავრეს არსად დღეს წარმოგვიდგება ეკონო-გლობალიზმი, რომელიც თავად არის სინერგეტიკული მსოფლიოს ახლებურად მოწყობის მოდელი. რაც შეეხება გლობალიზაციის რაობას, იგი ფილოსოფიურ-კულტუროლოგიურ (ინტეგრირებულ) კონცეფციას წარმოადგენს და ფაქტიურად გამოხატავს თანამედროვე საზოგადოებას – ე.ი. მთლიან და ურთიერთდაკავშირებულ

[1] Чешков М., Глобальное видение и новая наука, М., 1998, 17.

სამყაროს, რომელიც მუდმივად ეჯახება კულტურული პლურალიზმის აუცილებლობას[1].

გლობალიზაციის იდეის შინაარსი კაცობრიობის ერთიანობის პრინციპით ეტაპობრივ განხორციელებას უკავშირდება. მისი პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციების გამიჯვნისა და შეფასების ძირეულ პრინციპად მიჩნეულია ადამიანი, თავისი ადგილით ეროვნულ, ეთნიკურ და საკაცობრიო სტრუქტურებში. ამავე დროს პოზიტიურთან ერთად გლობალიზაცია ამსხვრევს ტრადიციულ სისტემებს და ეჭვის ქვეშ აყენებს ცალკეული ეთნოსებისა და ეროვნულობის საკითხს. იგი გარკვეულწილად უპირისპირდება თვითმყოფადობის პრინციპს და ხშირ შემთხვევაში ამკვიდრებს სრულიად ახალ, მიუღებელ ფორმებს; თითქოს მკვიდრდება ღია საზოგადოებაში და, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ იგი ჰარმონიაში მოდის დღევანდელობასთან, მეორე მხრივ კი, ეწინააღმდეგება მას იმ უპირატეს საფუძველში, რაც საუკუნეთა მანძილზე რომელიმე ეთნოსს, კულტურას ან ტრადიციებს თვითგანვითარების გზით აქვთ მოპოვებული.

თუ მოხერხდა გლობალიზაციის პროცესის სათანადო კალაპოტში ჩაყენება ადამიანის, ეროვნულ კულტურათა, ერთა და სახელმწიფოთა დიალოგის ურთიერთობაზე გადართვით, მაშინ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ნეგატიური ფაქტორები ასევე იქნებიან ნეიტრალიზებული; ბეკის აზრით[2], შედარებით ერთიანი სტრუქტურის უწყვეტ მთლიანობას წარმართავს ერი, როგორც სუბიექტი, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა არის ამ ერთიანობის მატარებელი. ტრადიცია არ უნდა გავიგოთ, როგორც მუდმივი დაბრუნება ერთი და იმავე მდგომარეობისაკენ, როგორც ერთი და იგივე ღირებულებების მარტივი კვლავწარმოქმნა. ეს იქნებოდა ერის ისტორიის, მი-

---

[1] ლუტიძე ბ., გლობალიზაცია, არსი, პრობლემები, თბ., 2003, 47, 19

[2] ბეკი უ., რა არის გლობალიზაცია? თბ., 1999, 91, 92

სი რეალური დროის უარყოფა, რადგან იმას, რაც მარადიულად მეორდება, არ აქვს არც წარსული, არც აწმყო, არც მომავალი. აქედან გამომდინარე, ტრადიცია უნდა გავიგოთ, როგორც აქტიური და დინამიკური მემკვიდრეობა, უწყვეტი ორგანული განვითარება; ტრადიცია და განახლება თანამედროვე ეროვნული პროცესების დახასიათების დროს წარმოადგენენ არაურთიერთდაპირისპირებულ, არამედ თანმხვედრ მომენტებს, რომლებიც თან ახლავს ძველისა და ახლის კონფლიქტს. გლობალიზმის დახასიათების დროს შეიძლება მოვიშველიოთ ინერციაც – საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლური ცივილიზაცია ყველასთვის მისაღებია და, ამდენად, მომავალში შესაძლებელია ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბება. დღეს, როდესაც ამ კულტურის ბევრმა ელემენტმა მართლაც მოიცვა დანარჩენი სამყარო, სიღრმისეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები და იდეები კვლავაც ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომლებიც დამახასიათებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. თავად ევროპაში გავრცელებული შეხედულებით, ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა: ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან და ა.შ.[1]

თუ რამდენად სწორია ასეთი შეხედულება სხვა ცივილიზაციებზე, კერძოდ, მართლმადიდებლურ კულტურაზე, ამის შესახებ გაფრთხილებას ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სტრატეგიული

[1] Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994, 76.

კვლევითი ცენტრის დირექტორი ს. ჰარნინგტონიც იძლეოდა: „დასავლეთს მოეთხოვება სხვა ცივილიზაციათა ფუნდამენტური რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების უფრო ღრმა გაგება; მან უნდა გაიგოს, როგორ ესახებათ ამ ცივილიზაციათა წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესები“.

თანამედროვე ევროპული კულტურა და დასავლური ცივილიზაცია განამტკიცებს ჩვენი იდენტურობის შეგნებას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური რეგიონალიზმის გაძლიერების პერსპექტივებსაც ბადებს, მაგრამ მსოფლიოს უახლესი დროის გამოცდილება მიგვანიშნებს – ეკონომიკური რეგიონალიზმი შესაძლოა ყოფილიყო წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცივილურ ერთიანობას ემყარება. გიდენსის მიხედვით, საკმაოდ რთული სურათი წარმოგვიდგება: თანამედროვე საბაზრო სისტემის ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ფუნქციონირებისათვის საკმარისია მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი – ყველაზე კვალიფიციური მუშახელი, მეცნიერები, სპეციალისტები. ეს კი კატეგორიულად აყენებს საკითხს, თუ რა ეშველება მოსახლეობის დანარჩენ, ამასთან უმეტეს ნაწილს – 80 პროცენტს. ფაქტობრივად ჩამოყალიბებული შეფარდება - „მსოფლიო – 20/80-ზე – ერთი მეხუთედის საზოგადოებას“ - ნიშნავს. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს უაღრესად დიდ სიძნელეებს უქმნის აგრეთვე სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილება. მაგალითად: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 1% – „ზედა ფენა“ ფლობს ეროვნული სიმდიდრის 21%-ს, მოსახლეობის 80% კი ამ სიმდიდრის მხოლოდ მესამედის მფლობელია. მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარებაა აშშ-ში, დასავლეთის სხვა ქვეყნებში[1].

რაც შეეხება ერისა და ეროვნული ხასიათის იდენტიფიკაციას – ზოგადი პრობლემაა. სამყაროს გლობალური

[1] Гидденс Э., Социология, М., 1999, 205.

ხედვა და ამ მიმართულებით ნებისმიერი პროპაგანდა, სხვა არაფერია, თუ არა ისეთივე დამოკიდებულება, როგორც ოდესღაც პტოლომეს გააჩნდა დედამიწის მიმართ. თავის მხრივ, იწვევს მტრულ რეაქციას და ხელს უწყობს ერებში საკუთარი კულტურის ძირძველ ფასეულობათა განმტკიცებას. ამიტომაც ხშირად ვმსჯელობთ აზიაში იაპონიის „დაბრუნების“, ინდოეთში ნერუს იდეების აღსასრულისა და მისი „ინდუიზაციისა“, თუ მახლობელი აღმოსავლეთის „რეისლამიზაციის“ შესახებ. შედეგი კი გახლავთ ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ვერ მოვიძიებთ ერს, რომელიც ყოველი ღონით არ ცდილობდეს, დახვეწოს თვითმყოფადობის შენარჩუნების ფორმები, წარმოაჩინოს ეროვნული ფასეულობები, იამაყოს თავისი ხალხის ღირსებით.

გლობალიზაციას, როგორც ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი: თითოეულ ცივილიზაციას და მათში შემავალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე. გლობალიზაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიოში თითქოს ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და მცირერიცხოვან ერთა თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საფრთხესთან ერთად, კაცობრიობისთვის რიგ პრობლემათა გადაჭრის გზაზე გარკვეული პროგრესიც მოაქვს, მაგრამ პროგრესმა იმის შეგნებაც ხომ უნდა მოიტანოს, თუ როგორ შეინარჩუნონ ერებმა ეთნიკური თავისთავადობა. ამ დროს გლობალიზაცია მსოფლიო ცივილიზაციათა სხვადასხვა მიმართულების და მიდგომების განხილვათა სპექტრია, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება კულტურათა ურთიერთობის საკითხს, რომელიც ძირეულად ცვლის, ანდა ცდილობს ზოგჯერ შეცვალოს გლობალიზაციით თავსმოხვეული პოლიტიკა; ამიტომაც ჩვენც შევეცდებით შევეხოთ კულტურის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მუდამ თან სდევს ჩვენს ყოფას

და ნებისმიერ შემთხვევაში გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად, როდესაც ვიხილავთ გლობალიზაციის ნებისმიერ სფეროს.

ადამიანის მისწრაფებაა შექმნას კულტურის წარმონაქმნი, მიზნად ისახავს მატერიაში განახორციელოს ესა თუ ის ფორმა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ღირებულებას ხედავს მასში. მაშასადამე, ღირებულება და ღირებულებითი შეფასება განუყოფელია კულტურისაგან. უფრო მეტიც, არაერთი მეცნიერის აზრით, კულტურა მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა განხორციელების ასპარეზად არის მიჩნეული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ის, რასაც შეიმეცნებს და ქმნის ადამიანი, ყველა ღირებულება, რომელთა განხორციელება წარმოებს კულტურის ქმნილებებში, გარკვეულ მატერიალურ სუბსტრატს მოითხოვს. სწორედ მატერიალური, გაფორმებული გარკვეული ღირებულებების მიხედვით წარმოადგენს კულტურის ქმნილებას, რომლის ასპექტი წარმავალი ხასიათისაა, დროში ნადგურდება და ქრება. სწორედ ასეთი ვითარება უბიძგებს ადამიანებს, უდიდესი ენერგია დახარჯონ კულტურული მონაპოვრის დაცვისა და შენარჩუნებისათვის. კულტურის შექმნა საოცარ ძალისხმევას მოითხოვს და გაცილებით უფრო ადვილია მისი მონაპოვრის დანგრევა.

აუცილებელია კიდევ ერთ თავისებურებას მივაქციოთ ყურადღება. მართალია, ყოველი ორიგინალური კულტურა, მასში რეალიზებული ღირებულებები გარკვეული ეპოქალური იდეალის გარშემო არიან გაერთიანებული, მაგრამ ამ ერთიანობის შიგნით ადამიანთა მრავალი განსხვავებული, ზოგ შემთხვევაში კი დაპირისპირებული ინტერესი, მიზანი და ღირებულება ფუნქციონირდება. რაც უფრო უნივერსალურია ღირებულებათა მრავალფეროვნების გამაერთიანებელი ეპოქალური იდეალი, მით უფრო ჰარმონიულია კულტურა, ნაკლები შინაგანი წინააღმდეგობები ახასიათებს და მისი დაღუპვის უფრო ნაკლები ალბათობა არსებობს. ვინაიდან კულტურა

არის კონკრეტული მრავალმხრიობის მატარებელი ფენომენი, მას აქვს მთლიანი სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა ელემენტისა და ნაწილებისაგან შედგება. დღეს ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი თვალსაზრისი, რომელშიც გახსნილი იქნებოდა კულტურა, როგორც სტრუქტურული მთლიანობა, ანდა მოდელი. კულტურის პრობლემა ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოებრიობის პრობლემასთან. ჩვენი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, ყოფას, ტრადიციებსა და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს. დღეს, როდესაც პრეტენზიას ვაცხადებთ ეროვნული კულტურის თვითმყოფადობასა და სტრუქტურაზე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქართულ ხასიათზეც.

ვინაიდან, ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კომპონენტია ენა და ფსიქიკური წყობა, ერთიც და მეორეც ეროვნული კულტურის გალერეაში განიხილება, როგორც ფუნქციონალური მაჩვენებელი და, აქედან გამომდინარე, ეს ერთობლიობაც ეროვნულ ხასიათს წარმოადგენს. მაგალითად, გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიაში ეროვნული ხასიათი სუბსტაციზირებული იყო ,,ხალხის გონის" სახით, როგორც ეროვნულ თავისებურებათა საფუძველი. ერი არ არის მხოლოდ წარმოშობითი ბუნებრივი ერთობა, არამედ იგი, ამავე დროს, კულტურული ერთობაცაა, რაც, ერთი მხრივ, გავლენას ახდენს ისტორიის ბედის ერთობით წარმოქმნილი და მემკვიდრეობით გადატანილი თვისებების მეშვეობით, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურის დოვლათის გადაცემის გზით.

ეროვნული ხასიათი წარმოადგენს ერის ფსიქიკურ წყობაში დაფიქსირებულ ისტორიას, ვინაიდან ფსიქიკური წყობის ერთობა, თავის მხრივ, გულისხმობს ეროვნული თვითცნობიერებისა და ეროვნული გრძნობის ერთობლიობასაც, აქედან გამომდინარე, კულტურის ფუნქციონალური ანალიზი შეიძ-

ლება ავიყვანოთ ეროვნული, ადამიანური, მათ შორის, პოლიტიკური ქცევის შეგნებულ ფაქტორამდე.

რაც შეეხება ეროვნულ შეზღუდულობას, საფუძვლად უდევს ეთნოცენტრიზმი – ყოველგვარი ცხოვრებისეული მოვლენის აღქმა შეფასება საკუთარი ეთნიკური ტრადიციების აყვანა საყოველთაო ეტალონის რანგში. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარები ცდილობენ, მკვეთრი განსხვავება მოახდინონ თავის თავსა და სხვებს შორის. მხოლოდ საკუთარი მიკროჯგუფი და ყველაფერი ის, რაც იქ კეთდება, არის ჭეშმარიტება, ვინც მას არ განეკუთვნება, უცხადებენ უნდობლობას.

ეთნოცენტრიზმის ხარისხი დამოკიდებულია მოცემული ეთნიკური ჯგუფის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ინტენსიურობაზე. არის შემთხვევები, როცა ეს სფერო შეზღუდულია, მაშინ ადგილობრივი ტრადიციები და ღირებულებები უნიფიცირდება. თუ ინტენსიური ურთიერთობა სხვა ჯგუფებთან არ ატარებს კონფლიქტურ ხასიათს, რაც ხშირად თავს იჩენს ცხოვრების რეალურ ვითარებაში, მაშინ შესაძლებელი ხდება ეთნიკური შეზღუდულობის გადალახვა, რაც ამ დროს უფრო იოლია, როგორც საკუთარი, ისე უცხო კულტურის გაგება. ხოლო ხშირი კონტაქტები მაშინაც კი, როცა აუცილებელი ხდება განსაზღვრული ეთნიკური იდენტიფიკაცია, ამსუბუქებენ ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობის დაძლევას და ხელს უწყობენ ხალხების კულტურების დაახლოებას; ეროვნულობას აქვს ზნეობრივი ღირებულება მხოლოდ მაშინ, თუ იგი გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული და ზომიერებას ექვემდებარება.

გლობალიზაციის პრობლემის შესწავლის დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მრავალფეროვნების ძიება, ვინაიდან გლობალიზაცია და პროფილის ჰორიზონტალური კავშირების აქტიური გენერირება ახდენს მსოფლიო გლობალიზებას ქვემოდან. პირველი ტიპის გლობალიზმის იდეოლოგია

წარმოადგენს მსოფლიოს დაყოფას ცენტრად და პერიფერიად, გადაწყვეტილებების მიღებად და მათ მორჩილ თანამიმდევრად. მეორე ტიპის იდეოლოგია წარმოადგენს ჰუმანისტურ დამოკიდებულებას, სოლიდარობას და კოოპერაციას.

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, ისიც რომ გლობალიზაცია არამარტო შეზღუდავს გლობალური მსოფლიოს შემოქმედებით პოტენციალს, არამედ გააღრმავებს სტიქიურ წინააღმდეგობას დისკრიმინირებულთა მხრიდან. სხვა საქმეა დემოკრატიული გლობალიზაცია ჰორიზონტალზე, ურიცხვი მრავალფეროვნების თვითმოქმედი ინიციატივების საფუძველზე. პირველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოველოდეთ დემოკრატიული პრაქტიკის და საგანმანათლებლო იდეოლოგიის საყოველთაო უკან დახევას და მათ ჩანაცვლებას არქაული სეგრეგაციული პრაქტიკით. მეორე შემთხვევაში, ჩვენ მოგვიხდება წარსულში დამუშავებული კლასიკური მოდელის დემოკრატიული პრაქტიკა წამოვწიოთ ნაციონალური დონიდან გლობალურ დონემდე, ამით გავათავისუფლოთ კაცობრიობის ინიციატივა და ენერგია დღემდე წარმოუდგენელი მასშტაბებით. აქ შეიძლება მოვიშველიოთ მოძღვრება „კოლექტიური ინტელექტის შესახებ“ ვინაიდან, კოლექტიური ინტელექტი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მცნებაა. ასეთ შემთხვევაში იმარჯვებს და ინტენსიურად ვითარდება ორი პროცესი: 1. კაცობრიობა გადაიქცევა ერთიან ბიო-სოციალურ ორგანიზმად და 2. პლანეტალური კოლექტიური ინტელექტი ყალიბდება. ეს პროცესი ჯაჭვური რეაქციით მიმდინარეობს და, როდესაც შეერწყმება ერთმანეთს ასეთ საზოგადოებას შესაძლებელია ვუწოდოთ ინფორმაციული, ხოლო კაცობრიობა მიიღებს საზოგადოების ახალ ფორმას უფრო სწორად, ევოლუციის ახალ სტადიას; ასეთ შემთხვევაში ღრმა გარდაქმნების პროცესები და თვითორგანიზებაზე გადასვლა გარდაუვალი იქნება. ეს პოზიცია საშუალებას იძლევა ახლებუ-

რად დავაყენოთ პლანეტაზე ადამიანის „გადარჩენის“ პრობ-ლემა.

ჩვენ თითქოს ვცდილობთ მსოფლიო თანამეგობრობაში ჩვენმა ქვეყანამ დაიმკვიდროს თავისი ადგილი მეცნიერულ-ტექნოლოგიური და არასაშუამავლო ფუნქციით და იმის გათ-ვალისწინებით, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ტექნოლოგიუ-რი უპირატესობების მიღწევა ცალკეულ სფეროებში, რათა მოვიპოვოთ მსოფლიო ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქციის სეგ-მენტი. სწორედ ამ დროს უმთავრესი პირობაა ჩამოყალიბდეს ქვეყანაში ახალი ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, გაღრმავდეს ეროვნული და ინტელექტუალური ძალები. კაპი-ტალის ასეთი ერთობლივი საშუალებები, რითაც საერთო კა-პიტალის სტრუქტურაში უნდა მოხდეს კარდინალური ძვრები – განათლების, მეცნიერების, ინფორმატიზაციის, ინტერნეტი-ზაციის, დაჩქარებული წესით განვითარებაში, ხოლო თავისი პოტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში. ამავე დროს უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ევროკავშირში გაერთიანებული, მისი თანასწორუფლებიანი და ღირსეული წევრი ქვეყანა, რომელსაც შეუქმნიან მდგრად და უსაფრთხო განვითარების პირობებს.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ ჩვენი დამოკიდებუ-ლება წააგავს უფრო სურვილებს, ვიდრე ასახვას საქართვე-ლოში შექმნილ მდგომარეობისა და გვიბიძგებს იმისკენ, რომ უფრო კრიტიკულნი ვიყოთ ზოგიერთი დეგრადაციული მოვ-ლენების მიმართ. ფრიად სამწუხაროა, რომ, დღეისათვის შედეგები თითქმის შეუქცევადი ხდება და ასეთი მდგომარეო-ბა რამდენიმე ათწლეულში საქართველოს უქადის საკმაო ჩა-მორჩენას საერთაშორისო არენაზე, ვინაიდან, ამ დროს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამოიწურება ის ფუნდამენტური, სამეცნიერო და ინტელექტუალური მონაპოვარი, რომელიც გააჩნდა და გააჩნია ჩვენს ქვეყანას. მეორე მნიშვნელოვანი

საკითხია და მეტად ყურადსაღებია ის, რომ ქვეყნიდან გაედინება სამეცნიერო, საინჟინრო, საკონსტრუქტორო კადრები; ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული ხდება უფრო გარედან შემოტანილი მეცნიერული იდეების, გრანტების, პროექტების, და ა.შ. აღნიშნული მოვლენების მორჩილ სუბიექტად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენი აზრით, საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში გამონახოს და დაიმკვიდროს თავისი ისტორიული ადგილი ინტელექტუალურ სივრცეში, როგორც ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებულმა, ვინაიდან ამ განვითარების პროცესს მთელი რიგი საინტერესო თავისებურებები ახასიათებს. ამჟამად საქართველოს განვითარების ტენდენცია დირექტიული ეკონომიკის გადმონაშთებისაგან განთავისუფლებისა და დემოკრატიული სისტემის დამკვიდრებისკენაა მიმართული, რაც ნიშნავს და მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, გლობალურ პროცესებში ჩართვას და ა.შ.

ძველი ყოფისა და ურთიერთობების გლობალურად შეცვლა და ახალი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისაკენ ლტოლვა ჩვენი დროის გამოკვეთილი ნიშანია. ეს საკმაოდ რთული პროცესია და ამიტომაც არის, რომ ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი საქართველოში გაჭიანურდა და უაღრესად მტკივნეულად მიმდინარეობს. რის შედეგადაც განვითარდა ღრმა ეკონომიკური კრიზისი და ამიტომ დღევანდელი მდგომარეობა სასწრაფოდ მოითხოვს კრიზისის დაძლევას, ძალების მოზიდვას, ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის სწორ კონცეფციების შემუშავებას, ჯანსაღი ძალების მოზიდვას. ამავე დროს, ჩვენი აზრით, და არა მარტო ჩვენი აზრით, მთლიანად უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი სფეროები, მოხდეს სისტემური ტრანსფორმაცია, საქართველოს გარემოსთვის შესაფერისად. ეს

უნდა მოხდეს ეროვნული ტრადიციებისა და ორიენტაციის გათვალისწინებით; საქართველომ დღესვე უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ეპოქისათვის შესატყვისი ზნეობრივი, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რისთვისაც გამუდმებით უნდა იზრუნოს სათანადო გარემოს შესაქმნელად ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოს მოწყობის კიბერნეტიკური და სინერგეტიკური მოდელები. ვინაიდან მომავალი მსოფლიოს კონსტრუქციული მოდელების გააზრებისას ხელახლა უნდა განვიხილოთ ვერტიკალური ორგანიზაციის და ჰორიზონტალური თვითორგანიზაციის ალტერნატიული მოდელები გლობალურ მსოფლიოსთან მიმართებაში.

პირველი – კიბერნეტიკური – მმართველი პოტენციალის კონცენტრირება მსოფლიო პირამიდის ზედა სართულებში. ამ ტენდენციას გამოხატავს ერთპოლუსიანი მსოფლიოს კონცეფცია. მეორე – სინერგეტიკური მოდელი – გულისხმობს ყველანაირი დონის გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებულ ქვეყანას იმის გათვალისწინებით, თუ რა მოაქვს თავსმოხვეულ გლობალიზაციას. ამიტომ ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი, ერთმნიშვნელოვანი ანტიგლობალისტური სახელმწიფოებრივი კურსი. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ მეცნიერთა და სპეციალისტთა რჩევებს და გამოკვლევებს, რომლებიც დაიცავენ არამარტო მსოფლიო გლობალური ინტერესების დაჩქარებული წესით დამკვიდრებას, არამედ გაითვალისწინებენ ყველა იმ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ნორმატივებს, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია ქართულ საზოგადოებას.

სამყაროს მრავალსახეობის ჰარმონიზაცია XXI საუკუნის ამოცანაა. კონტრაპუნქტის პრინციპი მომავალი პლანეტარული საზოგადოების მშვიდობიანი განვითარების სქემად წარმოვიდგინოთ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებე-

ლია. ამისათვის კონტრაპუნქტის ეს მთავარი პრინციპი გრაფიკულად უნდა გამოვხატოთ, შემდეგ კი ამ გამოსახულებაში ჩავსვათ დედამიწაზე არსებული ერები და მათი განვითარების ტენდენციები. ამით რას მივაღწევთ? — იმას, რომ შევძლოთ შევქმნათ სტრუქტურა, რომლის მთავარი მიზანი ის მექანიზმი იქნება, ავტომატურად რომ დაიცავს გვერდით მდგომ სუბიექტს. ეს მის ინტერესებში შევა. ამ გზაზე გასულებს ბევრი სიურპრიზი გველის, მაგრამ პრინციპი, ვფიქრობ, ნათელია და თანაც პერსპექტიული. „კონტრაპუნქტი" ნაბოძები მადლია, რომლის ახლებური გააზრებაც შესაძლებლობას მოგვცემს, დავიცვათ საკუთარი თავი და ერთმანეთი.

თანამედროვე ეპოქა კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის, ინვესტიციების, ურთიერთდაახლოების, სამეცნიერო-ტექნიკური და სახელოვნებო ინფორმაციით ურთიერთგამდიდრების ეპოქაა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მსოფლიოში არ რჩება ერი, რომელიც არ ცდილობს დახვეწოს თვითმყოფადობის შენარჩუნების ფორმები, დაიცვას ნაციონალური პრიორიტეტები, წარმოაჩინოს ეროვნული ღირებულებები და ეს ბუნებრივია; ვინაიდან ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ სიცოცხლის გადარჩენა დედამიწაზე მხოლოდ მრავალსახეობის შენარჩუნებითაა შესაძლებელი.

ბოლო ათწლეულში კავკასიაში, ღია და ლატენტურმა კონფლიქტებმა დაპირისპირებულ ომში ჩაითრიეს რეგიონში მცხოვრები ხალხები. ყველაფერმა ამან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მეცნიერული შესწავლის ობიექტიც გახდა. ეთნოკონფლიქტების ხასიათმა, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ნავთობს, რელიგიას და სხვა, რომლებიც ერთ შეხედვით თითქოს ეთნოლოგიური, თუ ისტორიული მეთოდებით შესწავლას განაპირობებს, არ იძლევა სრულყოფილ სურათს, პრობლემა უფრო მძაფრია და საგანგებო წვდომას მო-

ითხოვს გეოპოლიტიკური მიდგომებისა და პრინციპების შესწავლის გზით.

მთლიანობაში კავკასია – ეს არის სივრცე, რომელიც იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს. როგორი იქნება საერთაშორისო სისტემა – საერთოდ დისკუსიის საკითხია, მაგრამ შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ მომავალი განისაზღვრება, როგორც უნივერსალური სისტემა. საქართველო მთელი თავისი ისტორიული და საინტერესო ტრადიციული კულტურით კავკასიის ხალხთა ერთობას უკავშირდება; მაგრამ გლობალიზაციის პოლიტიკა, ალბათ უფრო განისაზღვრებოდეს ისეთი პოლიტიკით, სუპერსახელმწიფოებთან ურთიერთობაში, სადაც დასაცველი ხდება საკუთარი ღირებულებები, ხოლო სუპერსახელმწიფოები თავის მხრივ უფრო მეტი ყურადღებით უნდა ითვალისწინებდნენ და აფასებდნენ მცირე სახელმწიფოთა მრავალფეროვან ღირებულებებს.

თანამედროვე შეხედულებით გლობალიზაციის პრობლემა უფრო მეტად დასავლური ცივილიზაციების პოზიციით გამოიხატება. მაშინ, როდესაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალიზაციის შედეგი, ამავე დროს მაშინ, როცა ვიხილავთ სოციალური ურთიერთობების ერთობლიობაში – დღეისათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ ღია რჩება.

საქართველო XXI საუკუნის მიჯნაზე ცდილობს შეაფასოს და განიხილოს ზემოხსენებული პროცესები ადამიანური ფაქტორის ძირითადი ღირებულებების ფონზე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ). დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისა, სუპერსახელმწიფოები, ერთი მხრივ, ითვალისწინებენ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს ყველა ღონეს ხმარობენ, რათა საქართველო და, საერთოდ, მთელი კავკასია დაუმორჩილონ თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რეგიონში საქართველო ითვლება როგორც საკვანძო ევროაზიური კომუნიკაციური კორიდორი. ამავე დროს

ანალიტიკოსები თვლიან და ხშირად აღნიშნავენ – თუკი საქართველო დასავლეთ ევროპის შეხედულებათა საწინააღმ-დეგოდ განვითარდება, მაშინ კავკასიის რეგიონი და ცენტრა-ლური აზია დარჩება მსოფლიო გლობალური პროცესების მიღმა, რაც გავლენას მოახდენს გეოპოლიტიკურ ორიენტაცი-ებზე – ამ რთულ და საინტერესო რეგიონალურ სივრცეში.

ვინაიდან ქართული ცივილიზაცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ნუსხაში შედის, არ არის ინტეგრირებული რომელიმე ცივილიზაციასთან და თვითმყოფადი პარამეტრების მატარებელია, დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაცი-ათა გასაყარზე მდებარეობს, სწორედ აქ არის გასათვალის-წინებელი ის გეოპოლიტიკურიც, ეკოლოგიურიც, ეთნოკონ-ფესიური, ისტორიულ-კულტურული, სოციო-ეკონომიკური და სხვა საკითხები, რომლებსაც უნდა აღელვებდეს და ითვა-ლისწინებდნენ დასავლური ორიენტაციის მქონე ანალიტიკო-სები.

დამოწმებანი:

Мидоуз Д., Мидоуз Д., Рандерс Й., За пределами допустимого, Антология, М., 1999.

ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენ-ციები და ახალი მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004.

Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994.

Чешков М., Глобальное видение и новая наука, М., 1998

Гидденс Э., Социология, М., 1999.

ლუტიძე ბ., გლობალიზაცია, არსი, პრობლემები, თბ., 2003.

ბეკი უ., რა არის გლობალიზაცია? თბ., 1999.

Irma Ketskhoveli
Georgian Technical University

GEORGIA IN GLOBALIZATION AREAL

RESUME

Globalization in essence is a new phenomenon striving to establish on international and local levels.

The process of globalization could be understood and interpreted in many ways. In the process of development it is significant to take into consideration cultural diversity. Religious cultures also plays an important role in the globalization process. In the nearest future, globalization is dependent on historical development and in the result it emerges as one unified civilization. Georgia is a part of the world is developing within global progress.

Main problem for Georgia is to establish democratic institutions market economy, and to evrecomy, and to overcome social and economic crisis, create civic society based on historical and cultural heritage of Georgia. In the complex process of globalization wide range of issues requeri conceptual solution.

Globalization is a positive phenomena on the one hand, but on the other hand, it seeks to create unique intermingle of different cultures, values and traditions. The superpower counties' interest towards Caucasus is extremely important, particularly because of its Euro-Asian communication corridor. More thorough researches should be carried out about Caucasus concerning its natural resources, history, geography, spiritual ethno-genesis and culture.

It is also well-known that culture of Georgia is not integrated into other cultures and it is rather unique representing a mix of the two – Western and Eastern civilizations. The article deals with a problem of political orientation and strategy of Georgia towards its neighbor

countries. It studies the opportunities of the country that strives to find its place in the European family, pursues its way to independent and peaceful coexistence in the region.

ლელა სარალიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

რაიმონ პუანკარე და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

რაიმონ პუანკარე (1860-1934 წწ.) ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკური ფიგურა იყო. იგი 1860 წლის 20 აგვისტოს დაიბადა საფრანგეთის დეპარტ-მენტ - მეიზის მთავარ ქალაქ ბარ-ლე-დუკ-ში. პუანკარე, განათლებით იურისტი, 1913-1920 წლებში საფრანგეთის III რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა. საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მოწინააღმდეგე იყო პამსი, რომელმაც არჩევნების მესა-მე ტურში პუანკარე 14 ხმით დაამარცხა. მიუხედავად ამისა, მან უარი განაცხადა საკუთარი კანდიდატურის მოხსნაზე პამ-სის სასარგებლოდ და მხოლოდ მეოთხე ტურში, კულუარუ-ლი მოლაპარაკების შემდეგ, საფრანგეთის სენატის მიერ 429 ხმით, აირჩიეს საფრანგეთის მეათე პრეზიდენტად[1] (მისი წინამორბედი არმან ფალერი იყო, ხოლო პუანკარე ამ პოსტ-ზე 1920 წელს პოლ დეშანელმა შეცვალა – ლ. ს.).

რ. პუანკარეს პრეზიდენტობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იგი აქტი-ურად შეუდგა ომისთვის ქვეყნის პოლიტიკური მომზადების პროცესს. იგი ამ ომის მომხრედ ითვლებოდა, რის გამოც ზედმეტ სახელად „პუანკარე ომი“ (“Poincaré la guerre“) უწო-დეს. პირველ მსოფლიო ომში რუსეთის იმპერია, ბრიტანეთის

[1] Géorge Samné, Raymond Poincaré, politique et personnel de la III ème République, p., 7, Paris, 1933).

იმპერიასთან, იტალიასთან და აშშ-სთან ერთად საფრანგეთის მოკავშირე იყო[1]. 1894 წლიდან მოქმედებდა ფრანგულ-რუსული საიდუმლო სამხედრო კონვენცია, რომლითაც აღნიშნული ქვეყნები, ერთ-ერთ მათგანზე გერმანიისა და მისი მოკავშირეების თავდასხმის შემთხვევაში, ერთმანეთისთვის სრული სამხედრო დახმარების აღმოჩენას კისრულობდნენ. საფრანგეთის ხელისუფლებამ, ყველაფერი გააკეთა, რათა ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებული, მაგრამ ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოში უდიდესი და ხალხმრავალი რუსეთის იმპერია მოკავშირედ გაეხადა. პირველმა მსოფლიო ომმა ძირეულად შეცვალა საფრანგეთის ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა[2].

რ. პუანკარეს ეჭვის თვალით უყურებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც რუსეთში სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადებოდა. საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე რაიმონ პუანკარეს არჩევას ბოლშევიკების ლიდერმა - ვ. ლენინმა ასეთი შეფასება მისცა: „პუანკარეს პოლიტიკური კარიერა ტიპიური ბურჟუაზიული საქმოსნის კარიერაა, რომელიც პოლიტიკაში ყველა პარტიას ჰყიდის, ხოლო პოლიტიკის გარეთ, ყველა მდიდარს“[3].

რაიმონ პუანკარე, რუსეთ-საფრანგეთის ალიანსის ფარგლებში, რუსეთში ოფიციალური ვიზიტით 2-ჯერ, 1912 და 1914 წლებში, იმყოფებოდა. 1913 წლის მარტში პეტერბურგში საფრანგეთის ელჩად დაინიშნა თეოფილ დელკასე. ახალი ელჩის დანიშვნის რეალურ მიზეზებზე, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოვებას,

---

[1] Материалы по истории франко-русских отношений за 1910-1914 г.г., стр. 525, М. 1922.

[2] უახლესი ისტორია 1918-1945 (ნაკვეთი პირველი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, გვ. 78.

[3] Ленин В. И., Полное собр. соч., Т 22, стр. 294, изд. Политической Литературы, Москва, 1968.

რაიმონ პუანკარემ რუსეთის მეფეს - ნიკოლოზ II-ს ოფიციალური წერილით აცნობა. რამდენიმე თვეში დელკასე რუსეთში საფრანგეთის ელჩის პოსტზე მორის პალეოლოგმა შეცვალა[1].

პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებულ რაიმონ პუანკარეს ღვაწლს, ქართული ემიგრაციული პრესა ასე აფასებს: „...ყველაზე უფრო თვალსაჩინო მომენტად მის (იგულისხმება რ. პუანკარე – ლ. ს.) მოღვაწეობაში ითვლება დიდი ომი, როცა ის რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო. ის ღირსეულად გაუძღვა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ფრანგის ერს და ხელი შეუწყო მის გამარჯვებას. ამით მან იხსნა რესპუბლიკაც, რომლის უერთგულესი დამცველი დარჩა ბოლომდის. პუანკარე არ ეკუთვნოდა არც ერთ პარტიას, უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს და რესპუბლიკას და დაიმსახურა პატივისცემა თვით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა“[2].

რაიმონ პუანკარე 1909 წლის 18 მარტიდან 1934 წლის ოქტომბრამდე, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო. იგი აკადემიის 34-ე სავარძელს ფლობდა. ის იყო პარიზის საერთაშორისო და პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის პროფესორი, რომელიც 1899 წელს დაარსდა სორბონის უნივერსიტეტის ბაზაზე. იგი ამასთანავე, ცნობილი ფრანგი მათემატიკოსის, ფიზიკოსის და ფილოსოფოსის, 1908-1912 წლებში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ჰენრი პუანკარეს (1854-1912 წწ.) ბიძაშვილი იყო.

რაიმონ პუანკარეს მოღვაწეობის მთავარი სფერო მაინც პოლიტიკას უკავშირდება. პოლიტიკური კარიერის მანძილ-

---

[1] История Франции, Том 2, стр: 567, Академия наук СССР, изд., Наука, Москва, 1973.

[2] რაიმონ პუანკარე, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, №106, ოქტომბერი, პარიზი, 1934. გვ. 1.

ზე, გარდა პრეზიდენტობისა იგი 5-ჯერ იყო არჩეული საფ-რანგეთის მთავრობის მეთაურად. 1912 წლის 21 იანვრიდან 1913 წლის 21 იანვრამდე მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი; 1922 წლის 15 იანვარი - 1924 წლის 29 მარტი საფრანგეთის მთავრობის მეთაური და საგარეო საქმეთა მინისტრი; 1924 წლის 29 მარტი - 1924 წლის 9 ივნისი მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინის-ტრი; 1926 წლის 23 ივლისი - 1928 წლის 11 ნოემბერი საფრანგეთის მთავრობის მეთაური და ფინანსთა მინისტრი; 1928 წლის 11 ნოემბერი - 1929 წლის 29 ივლისი საფრან-გეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების წითელი არმი-ის მიერ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავ-რობა იძულებული გახდა ევროპაში გახიზნულიყო, საიდანაც აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსა-დგენად. თავის მხრივ რუსეთის მთავრობა ცდილობდა საერ-თაშორისო საზოგადოებისთვის საკუთარი პოლიტიკის სის-წორე დაემტკიცებინა და რუსული ხიშტებით საქართველოს დაპყრობა მსოფლიო საზოგადოების თვალში წარმოეჩინა, როგორც საქართველოში მომხდარი შინაური გადატრიალება. ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლება მიისწრაფვოდა, რათა დროულად მომხდარიყო მათი ფაქტიური ცნობა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავ-რობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაებათილებინა რუსე-თის ხელისუფალთა ცრუ განცხადებები საქართველოში არ-სებულ მდგომარეობაზე. საქართველოს ეროვნული მთავრობა პარიზში დაბინავდა. საფრანგეთის ხელისუფლებამ, პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ლე-გაცია 1933 წლამდე შეინარჩუნა. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა თავისი ნაცადი დიპლომატიური

ხრიკებით ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა ევროპის სახელმწიფოები. საფრანგეთის ხელისუფლებას, რომელიც მაშინ რუსეთის მკაცრი კრიტიკით გამოდიოდა, რუსეთის მიმართ ორჭოფული პოზიცია ეკავა. თავის მხრივ, რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა დაეყოლიებინა საფრანგეთის მთავრობა, რისთვისაც მას ჰპირდებოდა ვალების ცონბას, ძველი მეგობრობის განახლებას, კავკასიის და სპარსეთის ნავთის საბადოებში წილის მიღებას და ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვაზე დროებით გაჩუმებას. რუსეთის ხელისუფლება, წინააღმდეგობის შემთხვევაში, საფრანგეთს ემუქრებოდა კიდეც ვერსალის ზავის გადასინჯვით, ასევე გერმანიასთან ერთად მის წინააღმდეგ გაბედული ნაბიჯების გადადგმით.

1920-1921 წლებში კაპიტალისტური სახელმწიფოები ომის შემდგომმა პირველმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამ გარემოებამ ანტანტის ქვეყნები აიძულა მოეწვიათ ევროპის კონფერენცია ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებზე. კონფერენცია შედგა გენუაში (იტალია), 1922 წლის აპრილ-მაისში. კონფერენციაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი, საბჭოთა რუსეთიც მიიწვიეს. ამერიკის მთავრობამ თუმცა უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე, მაგრამ იქ თავისი მეთვალყურე გაგზავნა.

საფრანგეთის მთავრობა, ინგლისის მთავრობისგან განსხვავებით, კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაციის დაშვებას გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე. გენუის კონფერენციაზე, ემიგრაციაში მყოფი, საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლის გამგზავრების საკითხი საფრანგეთის პარლამენტში განიხილეს. 1922 წლის 1 აპრილს საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ რაიმონ პუანკარემ ვრცელი პოლიტიკური განცხადება გააკეთა. მან საფრანგეთის მომავალი საგარეო

პოლიტიკის სხვადასხვა მხარეები დაწვრილებით განიხილა; ასევე ისაუბრა რუსეთის საკითხზე, შეეხო ოსმალეთის პრობლემას. მან საფრანგეთის პარლამენტის წევრებს შეახსენა, თუ როგორ გადაწყდა საქართველოს და კავკასიის რესპუბლიკების საკითხი კანის კონფერენციაზე, ასევე, თუ როგორ უყურებდა საფრანგეთის მთავრობა გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლის გაგზავნის საკითხს.

გენუის კონფერენციაზე რუსეთის მხრიდან საქართველოს წარმომადგენლად ბუდუ მდივნის წარდგენა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საფრანგეთის მმართველ წრეებში. საფრანგეთის მმართველი პარტიის - რადიკალების მემარცხენე ფრთის ლიდერი, ედვარდ ერიო, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით, აღნიშნავდა, რომ 1920-1921 წლებში, საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა, რომ ის არაფრით ჩამოუვარდებოდა გერმანიის მილიტარიზმს[1].

გენუის კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ პარიზიდან არაოფიციალური დელეგაცია გაგზავნა. მასში შედიოდნენ: ა. ჩხენკელი, ი. წერეთელი, ს. მდივანი, გ. ვეშაპელი და ზ. ავალიშვილი[2]. რუსეთის საბჭოთა მთავრობა მზად იყო კონფერენციაზე საბჭოთა საქართველოს სახელით ესაუბრა, რასაც ხელი შეუშალა რაიმონ პუანკარემ. რუსეთის ხელისუფლების ზრახვებს გამოეხმაურა ქართული ემიგრაციული პრესა. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ წერდა: „დიდის რიხით მიდის კონფერენციაზე მოსკოვის კომისარიატი. მან თავის დელეგაციაში შეიყვანა ყველა „საბჭოთა რესპუბლიკის“ წარმომადგენელი და იმედი აქვს კაპიტალისტურ დასავლეთს – საბჭოთა აღმოსავლეთი

---

[1] ერიო ე., „აღმოსავლეთ ბელგია და საქართველო“, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №18, პარიზი, 1922.

[2] მანველიშვილი ა., „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან-ფრანცისკო, 1984, გვ. 352-353,

დაუპირისპიროს. მისი წინა რაზმები – რადეკის და რაკოვ-სკის მეთაურობით, უკვე გამოჩნდნენ ევროპის ჰორიზონტზე და დიპლომატიური ფანდებით ცდილობენ ევროპის სახელმ-წიფოთა გადაკიდებას. ინგლისი – მათ იციან უკვე მომხრეა რუსეთის ცნობის, რადგან ამას თხოულობს ინტერესი ინგ-ლისის კაპიტალის და ამასვე მოითხოვს 8 მილიონიანი შე-კავშირებული მუშათა კლასი. საფრანგეთი ორჭოფობს და აი მოსკოვის ტრუბადურები ამ უკანასკნელს უმღერიან...“[1]

გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის წამო-წევას გამოხმაურება მოჰყვა საფრანგეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან. საფრანგეთის რადიკალური პარტიის გაზე-თი “Ere Nouvelle” („ახალი ერა“) წერდა: „საბჭოთა მთავრო-ბა თავს დაესხა საქართველოს, დაიპყრო იგი, გააუქმა საყო-ველთაო არჩევნები და შემოიღო საბჭოთა რეჟიმი. მოსკოვმა საქართველოში შექმნა ეგრეთწოდებული მთავრობა და მით ფეხქვეშ გათელა ქართველი ხალხის უფლება. ამიტომ გეუნ-ის კონფერენცია ვალდებული იქნება შეასრულოს კანის რეზოლუციის მეექვსე მუხლი და მოსთხოვოს ბოლშევიკებს საქართველოდან ჯარის გაყვანა, თუ ასე არ მოიქცა იგი, მაშინ მოხდება დაკანონება ისეთი მდგომარეობის, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება ამ მუხლს. თავისთავად ცხადია, აგრეთვე ისიც, რომ გენუის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლად ვერ იქნება დაშვებული ხელოვნურად შექმ-ნილი „საქართველოს მთავრობის“ დელეგატი, რომელიც მო-სკოვს სურს მოიყვანოს. საფრანგეთი, როგორც ტრადიციუ-ლად დამცველი დემოკრატიული პრინციპებისა, არ მისცემს არავის დემოკრატიის ჩახშობის ნებას“[2].

---

[1] გენუის კონფერენციის წინ, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №17, 1922, გვ. 6.

[2] საფრანგეთის რადიკალები საქართველოს დამოუკიდებლობას იცა-ვენ, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, პარიზი, 1922, №17, გვ. 12.

საფრანგეთის მთავრობა გენუის კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევდა, რომ მასში მონაწილეობა მიეღო ერთა ლიგის ორგანიზაციას. საფრანგეთის პრეზიდენტმა რაიმონ პუანკარემ ინგლისის მთავრობას გადასცა სპეციალური ნოტა, რომლის თანახმად, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოწვეული გენუის კონფერენცია. საფრანგეთის ნოტას, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა კონფერენციაზე ერთა ლიგის წარმომადგენლების დაშვებას, ინგლისის პრესა უკმაყოფილებით შეხვდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საფრანგეთის ოფიციალური სააგენტო „ჰავასი" განმარტავდა: „საფრანგეთს ამით სურს მხოლოდ უზრუნველყოს გენუის კონფერენციის გამარჯვება. ეს კი შეუძლებელია, თუ მასში ხალხთა ლიგამაც არ მიიღო მონაწილეობა. რუსეთს უნდა ილაპარაკოს კონფერენციაზე არა მარტო თავისი სახელით, არამედ მის მიერ დაპყრობილი საქართველოს სახელითაც. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საკითხის შესახებაც იქნას გამომუშავებული საერთო აზრი ერთა ლიგასთან შეთანხმებით"[1]

რაიმონ პუანკარეს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით მკვეთრი პოზიცია ეკავა. გენუის კონფერენციის წინ, მან ცალსახად განაცხადა: „შეუძლებელია საქართველოს სახელით, რომლის დამოუკიდებლობა „დე იურე" ცნობილია წამყვანი სახელმწიფოების მიერ და რუსეთმა იგი ძალის გამოყენებით დაიპყრო, გენუის კონფერენციაზე ისაუბროს ამ ძალის წარმომადგენელმა"[2]. მან ოფიციალური ინსტრუქცია მისცა გენუის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს - ლუი ბარტუს, დაეცვა საქართ-

---

[1] გენუის კონფერენციის წინ, გაზ. „თავისუფალი საქართველო", 1922, №17, გვ. 12.

[2] Géorges MaMoulia, Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales, Le cas de la Géorgie, 1921-1945, éd. L'Harmattan, Paris, 2009.

ველოს ეროვნული მთავრობის ინტერესები და არ დაეშვა, რომ გენუის კონფერენციაზე, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ქართველი ხალხის სახელით ელაპარაკა[1]. 11 აპრილს, გენუის კონფერენციის მეორე დღეს, რ. პუანკარემ ოფიციალურად მიიღო ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი აკაკი ჩხენკელი, რომელმაც მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობის მეთაურს, 1 აპრილს გაკეთებული განცხადების გამო, რაზეც პუანკარემ მიუგო, რომ ის მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებდა. პუანკარემ ურჩია აკაკი ჩხენკელს, თვითონვე წასულიყო გენუაში, რათა საფრანგეთის დელეგაციისთვის სათანადო კონსულტაცია გაეწია კავკასიის საკითხებში.

ა. ჩხენკელმა პუანკარესთან საუბარში აღნიშნა, რომ ის შიშობდა, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს საკითხში საბოლოო შეთანხმება ვერ იქნებოდა მიღწეული, ინგლისელები იძულებული გახდებოდნენ რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი ელიარებინათ. პუანკარემ მას დაუდასტურა, რომ ეს შიში რეალური იყო, რადგან ინგლისის ხელისუფლება დაინტერესებული იყო, ბოლშევიკების საშუალებით, კავკასიის ნავთობი შეესყიდა, სადაც საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ზონა იყო, ბაქო-ბათუმის დამაკავშირებელი ხაზის თვალსაზრისით[2]. ბაქოდან ინგლისელების მიერ ნავთობის შესყიდვა ბოლშევიკებთან საბოლოოდ შეთანხმებული იყო, რაც ნათელს ხდიდა, თუ რატომ უარყო ლოიდ ჯორჯმა, ინგლისის ხელისუფლების მიერ აღიარებული, საქართველოს დამოუკი-

---

[1] სარალიძე ლ., საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მოღვაწეობის ისტორიიდან (1921-1922 წ.წ.)", კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, (1-5), გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 89-208.

[2] აკაკი ჩხენკელის მიმოხილვა „საქართველოს უახლესი წარსული" (1921-1933 წ.წ.), (ფრანგულ ენაზე), საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 915, ფურც. 3.

დებლობა. პუანკარე იმედს არ კარგავდა, რომ ქართველი ხალხი შეძლებდა საკუთარი ინტერესების დაცვას. 1922 წლის 13 აპრილს, აკაკი ჩხენკელმა რ. პუანკარეს გაუგზავნა მემორანდუმი, დახმარების შესახებ, რომლის წარდგენაც მას თავად პუანკარემ შესთავაზა. თავის მხრივ, მან ეს დოკუმენტი გენუაში მყოფ საფრანგეთის დელეგაციას გადასცა. მემორანდუმში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ლოიდ ჯორჯის პოლიტიკა, რომელიც მზად იყო ბოლშევიკების ხელისუფლება ელიარებინა და საქმიანი ურთიერთობა დაემყარებინა მათთან.

რ. პუანკარემ კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ევროპისთვის კავკასიის სტრატეგიულ მდებარეობას, მისი ნავთობის რეზერვებს. მან სასაუბროდ მიიწვია ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები, რათა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დაესახათ. 1922 წლის 10 მაისს, პარიზში, რაიმონ პუანკარემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი მიიღო. შეხვედრა ძალიან გულწრფელი იყო. გეგეჭკორმა აცნობა საფრანგეთის მთავრობის მეთაურს, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ბოლშევიზმის უღელქვეშ იმყოფებოდა, მზად იყო ოკუპანტების წინააღმდეგ გამოსულიყო. საქართველოში მოქმედმა სამხედრო ცენტრმა საიდუმლო ორგანიზაციები დააარსა ქვეყნის ყველა რეგიონში და ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობა მუდმივ კავშირში იყო ბოლშევიკების უღელქვეშ მყოფ ქართველ ხალხთან. გეგეჭკორმა პუანკარეს საქართველოში მოქმედი საიდუმლო ორგანიზაციების რუქაც გადასცა. გეგეჭკორი ითხოვდა გარანტიას თურქების მხრიდან, რათა ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოსვლისას, მათ ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინათ. გეგეჭკორის კითხვაზე: საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში რა დახმარების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა ქართველ ხალხს, პუანკარემ უპასუხა: „ჩვენ თქვენ

დაგეხმარებით იარაღით, საბრძოლო მასალით და ფინანსებით, მაგრამ მე თქვენდამი გულწრფელი უნდა ვიყო: ეცადეთ არ იკვებებოდეთ ყალბი იმედებით, ჩვენ არ გვსურს რუსების წინააღმდეგ ომში წასვლა, მაგრამ თუ ის ომს გამოგვიცხადებს, ჩვენ, პოლონეთს ან რუმინეთს, რა თქმა უნდა ვიომებთ"[1].

საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაცია იმედს იტოვებდა, რომ ევროპის მმართველი წრეები შეეცდებოდნენ, გენუის კონფერენციაზე, საქართველოს საკითხი დაესვათ. თვით ევროპის სახელმწიფოები განსაკუთრებული და ერთიმეორის საწინააღმდეგო მიზნებით მიემგზავრებოდნენ გენუაში. ინგლისს საკუთარი ინტერესები ჰქონოდა რუსეთში. ინგლისის მმართველი წრეები მიისწრაფვოდნენ გავლენა მოეხდინათ რუსეთის ნავთზე, რომელიც მსოფლიოში ბატონობის უძლიერეს იარაღად მიაჩნდათ. თავის მხრივ, საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია პირველ რიგში გერმანია და ბოლშევიკური რუსეთი, რათა თავიდან აეცილებინა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. საბჭოთა რუსეთი გენუის კონფერენციაზე, მიემგზავრებოდა საკუთარი ხელისუფლების იურიდიული ცნობის მისაღწევად, ასევე, წამყვანი სახელმწიფოებისგან სესხის მისაღებად, რომელიც საბჭოთა ძალაუფლების შენარჩუნების და გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება იყო. თავის მხრივ გერმანია სწორედ გენუაში აპირებდა ევროპის ოჯახში დაბრუნების დამოუკიდებელი პოლიტიკისთვის გზის გაკაფვას, ასევე, ვერსალის მძიმე ტვირთის შემსუბუქებას. შედარებით პატარა სახელმწიფოები ამა თუ იმ დიდ სახელმწიფოს ეკედლებოდნენ. პოლონეთი უფრო საფრანგეთისკენ იხრებოდა. იტალია კი ინგლისის მხარეზე იყო. ასეთ პირობებში გაიხსნა გენუის კონფერენცია. 10 აპრილს, კონფერენციის გახსნის პირველი-

[1] ევგენი გეგეჭკორის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1831, ანაწერი №2, საქმე 68, ფურც. 10.

ვე სხდომაზე, რომელსაც იტალიის მინისტრი ლ. ფაქტა თავმჯდომარეობდა, თავი იჩინა სასტიკმა წინააღმდეგობამ. ინგლისის წარმომადგენლის ლოიდ ჯორჯის ლამაზი და პოეტური სიტყვის შემდეგ, მშვიდობიანობის, საერთო თანხმობის და კეთილდღეობის შესახებ, საფრანგეთის დელეგაციის სახელით, ლ. ბარტუმ განაცხადა, რომ ის მზად იყო ეთანამშრომლა და ხელი შეეწყო კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობისთვის ერთი აუცილებელი პირობის დაცვით: მან გადაჭრით მოითხოვა არ გადაეხვიათ კანის კონფერენციის დადგენილებისგან და იქ მიღებული გადაწყვეტილებები სადავოდ არ გაეხადათ. ეს შეეხებოდა ვალების ცნობას, ხელშეკრულებათა ხელუხლებლად დატოვებას და მეზობელი სახელმწიფოების მიმართ აგრესიულ მოქმედებაზე უარის თქმას.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ვ. ჩიჩერინმა თავის გამოსვლაში პირველ დღესვე ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა, როდესაც დემაგოგიის მიზნით, გენუის კონფერენციაზე პირდაპირ განიარაღების საკითხი წამოაყენა. მან განაცხადა: „აზრად გვაქვს, კონფერენციაზე შევიტანოთ წინადადება, შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ და ხელი შევუწყოთ ყოველივე ზომას, რომელიც მილიტარიზმის სიმძიმეს შეამსუბუქებს“[1]. აღნიშნული განცხადებით მას სურდა ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოეხდინა, ამავე დროს საფრანგეთის დელეგაციის, რომელიც რ. პუანკარეს მითითებებს ასრულებდა და აშკარად ამხელდა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს, უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება. სინამდვილეში ბოლშევიკების წარმომადგენელმა გ. ჩიჩერინმა, თავადაც კარგად იცოდა, რომ განიარაღების შემთხვევაში მოსკოვის კომისრები წითელი არმიის გარეშე საკუთარი ხალხის რისხვასაც ვერ გადაურჩებოდნენ. გ. ჩიჩერინის განცხადებაზე საფრანგე-

[1] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №20, პარიზი, 1922, გვ. 6.

თის დელეგაციის მეთაურმა - ლ. ბარტუმ სასტიკი პროტესტი განაცხადა. მისი აზრით, დღის წესრიგში არ იდგა განიარაღების საკითხი და არც შეიძლებოდა მასზე საუბარი. კამათში ჩაერთო ლოიდ ჯორჯი, რომელიც თავიდანვე ინიციატორი იყო გენუის კონფერენციის მოწვევისა. მან ნახევრად დამცინავი, ნახევრად მფარველობითი კილოთი მიმართა ჩიჩერინს და მას ზომიერების დაცვისკენ მოუწოდა. ლ. ჯორჯმა შემდეგი ხატოვანი სიტყვებით დამოძღვრა რუსეთის დელეგაციის მეთაური: „კონფერენცია იმ გემს გავს, რომელსაც მძიმე ღელვაში უხდება მოგზაურობა. თქვენ ერთი მგზავრთაგანი ხართ და ნუ წამოაყენებთ ისეთ საკითხებს, რომელიც მის „ავარიას“ გამოიწვევს, თორემ თქვენს პერსონასაც დაღუპვის საშიშროება მოელის... შესაძლებლობა მოგვეცით გაგიცნოთ, ჯერ როგორი მგზავრი ბრძანდებით“[1].

მიუხედავად საფრანგეთის დელეგაციის მეთაურის, ლ. ბარტუს წინააღმდეგობისა, ამომწურავი პასუხი გაეცა გ. ჩიჩერინის გამოსვლასთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ ლ. ფაქტამ კამათი ამოწურულად ჩათვალა და რუსეთის წარმომადგენელსაც, რადგან მან გადაუხვია კონფერენციის დღის წესრიგს, სიტყვა აღარ მისცა. ბოლშევიკური რუსეთის დელეგატები შესაბამის კომისიებში აღნიშნული საკითხის წამოწევას შემდეგშიც არაერთხელ შეეცადნენ, თუმცა მათ ყველგან სიტყვა გააწყვეტინეს და გააჩუმეს.

ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა ბოლშევიკური რუსეთის ბატონობას. გენუის კონფერენციის მუშაობის პერიოდში, პირველმა აჯანყებამ სვანეთში იფეთქა. მთელი სვანეთი იარაღით ხელში გამოვიდა რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ქართველმა მებრძოლებმა თავდაპირველად დაამარცხეს რუსები, რის გამოც ბოლშევიკებმა საქართველოში დამატებითი ძალები გაგზავნეს მძიმე არტილერიის ჩათვლით; რადგან სვა-

[1] საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №20, პარიზი, 1922, გვ. 7.

ნები სხვანაირად არ ნებდებოდნენ, რუსებმა პირობა დადეს, რომ ჯარს გაიყვანდნენ სვანეთიდან. თავიდან მათ ეს პირობა შეასრულეს, ხოლო შემდეგ უფრო დიდი ჯარი შეიყვანეს და აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. ბოლშევიკებმა, რომლებიც გენუის კონფერენციის გახსნამდე ცდილობდნენ აჯანყების ლიკვიდაციას, ეს ვერ მოახერხეს. რუსეთის ვერაგი პოლიტიკა გააკრიტიკა თავის მემორანდუმში საქართველოს კათალიკოსმა ამბროსიმ, რომელიც მან გენუის კონფერენციას გაუგზავნა[1].

გენუის კონფერენციაზე გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია რუსეთის საქმეებისთვის, რომელსაც იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი შანცერი თავმჯდომარეობდა. იტალიის გარდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ბელგიის, შვეიცარიის, შვეციის, პოლონეთის და რუმინეთის დელეგატები. სწორედ, ამ კომისიაში შვეციის პრემიერმა ბრანტინგმა წაიკითხა საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ჟორდანიას, დეპეშა, რომლითაც იგი მიმართავდა გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს, რათა ევროპის მმართველებს შეეჩერებინათ სისხლისღვრა სვანეთში და რეპრესიები დანარჩენ საქართველოში. შვეციის დელეგატმა, ნ. ჟორდანიას დეპეშაში, გამოთქმული აზრი დაიცვა, რასაც მხარი დაუჭირა შვეიცარიის დელეგატმა ჯ. მოტამ. თავის მხრივ საფრანგეთის დელეგატმა ლ. ბარტუმ კომისიის თავმჯდომარეს შანცერს წინადადებით მიმართა, რათა რუსეთის დელეგაციის წინაშე სვანეთის აჯანყების საკითხი დაესვა. შანცერმა სპეციალური წერილი მისწერა ჩიჩერინს, სადაც რუსებს მოსთხოვა შეეჩერებინათ სისხლისღვრა და რეპრესიები საქართველოში. თავდაპირველად ჩიჩერინი პასუხის გაცემაზე ყოყმანობდა, მაგ-

[1] Alexandre Manvelishvili, Histoir de la Géorgie, préface de Joseph Karst professeur à l' univérsité de Strasbourg, Nouvelles éditions de la Toison d'or, p. 449, Paris, 1951.

რამ, როდესაც დაინახა, თუ როგორი გამოძახილი ჰპოვა საქართველოს საკითხმა, როგორც ევროპის მმართველ წრეებში, ასევე, პრესაშიც; რუსეთის დელეგაციის მეთაური იძულებული გახდა წერილობით გაეცა პასუხი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის - შანცერის მოთხოვნაზე. ჩიჩერინმა რუსეთის პოლიტიკის ჩვეულ ტრადიციას არ უღალატა და პირწმინდად უარყო სვანეთის ავჯანყების ფაქტი. პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, მან თავის საპასუხო წერილში ნ. ჟორდანია მოიხსენია, როგორც კერძო პირი, რომელიც არ იყო მიწვეული გენუის კონფერენციაზე და გაკვირვება გამოთქვა მის პრეტენზიებზე, რადგან საქართველოს ჰყავდა ნამდვილი წარმომადგენელი ბუდუ მდივანის სახით. ჩიჩერინმა კონტრშეკითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, მათ ქვეყნებში არსებული უსამართლობის შესახებ. წერილში ჩამოთვლილი იყო ჩაგრული ერები ევროპაში, აზიაში და თვით აფრიკაშიც. ამ უსამართლობისთვის მან სათანადო ქვეყნის მთავრობების მიმართ საყვედურიც კი გამოთქვა[1].

რუსეთის მზაკვრულმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა ქ. ლოზანის (შვეიცარია) საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 1922 წლის ნოემბერში გაიხსნა. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა რაიმონ პუანკარემ წინადადებით მიმართა ინგლისისა და იტალიის მმართველებს, რათა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული მთავრობა მიეწვიათ, თუმცა მან ვერ მიიღო მოკავშირეთა თანხმობა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი არ იყო საქართველოს ეროვნული მთავრობის მიწვევის წინააღმდეგი, მაგრამ მოითხოვდა, ასევე, ფაქტიურ, ე. ი. მოსკოვის მთავრობის წარმომადგენლის დაშვებასაც. ლორდ კერზონი ასე ასაბუთებდა თავის წინადადებას: „ინგლისმა იცნო საქართველოს

[1] ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №22, პარიზი, 1922, გვ. 2-3.

დამოუკიდებლობა, მაგრამ მას არ უცვნია იურიდიულად არც ერთი მთავრობა, არც ეროვნული და არც ბოლშევიკური. მე არ შემიძლია ამიტომ დაგეთანხმოთ ისეთი მთავრობის მოწვევაზე, რომელიც არ განაგებს თავის ტერიტორიებს"[1]. საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა რაიმონ პუანკარემ ინგლისის წარმომადგენელს დაუსაბუთა, რომ ინგლისის ხელისუფლებამ, სხვა მოკავშირეებთან ერთად იცნო, როგორც საქართველო, ისე მისი ეროვნული მთავრობა. ამის შემდეგ, კერზონი იძულებული გახდა ეღიარებინა თავისი შეცდომა, თუმცა ლოზანის კონფერენციაზე საქართველოს მოწვევის საკითხში ის მაინც ურყევი დარჩა. რადგან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, გადაწყდა კონფერენციაზე არ მოეწვიათ არც საქართველოს ეროვნული და არც რუსეთის მიერ წარმოდგენილი, საბჭოთა საქართველოს, მთავრობა. ლოზანის კონფერენციამ სრუტეების კონვენციის XII მუხლში საქართველოს დაუტოვა ადგილი. აღნიშნულ მუხლში საუბარი იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომელსაც ევალებოდა თვალ-ყურის დევნება სრუტეების საკითხში ახალი წესების შესრულებაზე[2]. იმავე მუხლის III აბზაცში, რომელსაც მეტსახელად „ქართველების აბზაცს" უწოდებდნენ, აღნიშნული იყო, რომ შავი ზღვის მოსაზღვრე სახელმწიფოებს – საქართველოს და უკრაინას, რომელთაც ოფიციალურად მონაწილეობა არ მიუღიათ ლოზანის კონფერენციაში, უფლება ჰქონდათ საკუთარი წარმომადგენელი გაეგზავნათ სრუტეების საკითხის შემსწავლელ საერთაშორისო კომისიაში.

რაიმონ პუანკარე 1934 წლის 15 ოქტომბერს, პარიზში გარდაიცვალა. ქართული ემიგრაციული პრესა ასე გამოეხმა-

---

[1] ა. ჩხენკელის მიმოხილვა „საქართველოს უახლესი წარსული (1921-1933 წ.წ.), (ფრანგულ ენაზე), საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 915, ფურც. 3.

[2] ა. ჩხენკელი (ანჩინი), სრუტეების კონვენცია

ურა ამ ფაქტს: „...ქართველმა ერმა დაკარგა პუანკარეს სახით თავისი საუკეთესო მეგობარი, რაც მან საქმით დაამტკიცა არა ერთხელ, ჯერ კიდევ გენუის კონფერენციის დროს, მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი პუანკარე აძლევს წერილობით ინსტრუქციას საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარეს ლუი ბარტუს, რომ მთელის ძალღონით შებრძოლებოდა მოსკოვის პრეტენზიას – მის მიერ დაკავებული საქართველოს წარმომადგენლად გამოსულიყო. მოსკოვის იგივე პრეტენზია მან ჩაფუშა ლოზანის კონფერენციაზე, სადაც მას სურდა საქართველოს ეროვნული მთავრობის დელეგაცია დაეშვათ, მაგრამ ვერ მოხერხდა სამწუხაროდ. ყველას ახსოვს, როგორი ენერგიით მიუგებდა მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი პუანკარე შემკითხველებს პალატაში. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მოძალადე საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიჭიროს კანონიერი, მის მიერ განდევნილი, ეროვნული მთავრობის ადგილი. ჩვენი სამინისტროს კარები ღია არის საქართველოს ელჩისთვისო... უაღრესად განათლებული პუანკარე კარგად იცნობდა ქართველი ერის როლს ძველს რუსეთში: მე კიდევ დამოუკიდებლობამდე ვიცნობდი თქვენს ერს, ღიმილით უთხრა ერთხელ მან ჩვენს ელჩს“[1]. პუანკარეს სამგლოვიარო ცერემონიალს დაესწრნენ პარიზში ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და საქართველოს ყოფილი ელჩი ევროპის ქვეყნებში აკაკი ჩხენკელი. გარდაცვლილის პატივსაცემად მათ მიიტანეს გვირგვინი წარწერით: „რ. პუანკარეს მადლიერი ქართველი ერის სახელით“.

შექმნილი საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარების გამო, საფრანგეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, ბოლშევიკურ რუსეთთან შერიგების გზას დასდგომოდა. 1924 წლის

[1] რაიმონ პუანკარე, გაზ. „თავისუფალი საქართველო“, №106, გვ. 1, 1934.

მაისში, საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ედვარდ ერიო გახდა. მისი პირველი ნაბიჯი 1924 წლის 28 ოქტომბერს ბოლშევიკური რუსეთის მთავრობის ცნობა იყო. 1932 წლის 29 ნოემბერს, ხელი მოეწერა რუსეთ-საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტს, რასაც 1933 წლის ივლისში პარიზში საქართველოს ლეგაციის გაუქმება მოჰყვა. 1934 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა კავშირი მიღებულ იქნა ერთა ლიგაში.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად საქართველო მრავალი ათეული წლის მანძილზე რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლად რჩებოდა. ქართული ემიგრაცია კვლავ აქტიურად აგრძელებდა ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა და ევროინტეგრაციის კურსი დღევანდელი საქართველოს უმთავრეს გზად რჩება, რადგან საქართველოს ტერიტორიების 20% დღემდე უკანონოდ არის ოკუპირებული რუსეთის ჯარების მიერ.

დამოწმებანი:

აკაკი ჩხენკელის მიმოხილვა „საქართველოს უახლესი წარსული“ (1921-1933 წ.წ.), (ფრანგულ ენაზე), საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1864, ანაწერი №2, საქმე 915, ფურც. 3.

მანველიშვილი ა., „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, სან-ფრანცისკო, 1984, გვ. 352-353.

Alexandre Manvelishvili, Histoir de la Géorgie, préface de Joseph Karst professeur à l’ univérsité de Strasbourg, Nouvelles éditions de la Toison d’or, p. 449, Paris, 1951.

Géorge Samné, Raymond Poincaré, politique et personnel de la III ème République, p., 7, Paris, 1933.

Géorges MaMoulia, Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales, Le cas de la Géorgie, 1921-1945, éd. L'Harmattan, Paris, 2009.

ერიო ე., „აღმოსავლეთ ბელგია და საქართველო", გაზ. „თავისუფალი საქართველო", №18, პარიზი, 1922.

ევგენი გეგეჭკორის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი №1831, ანაწერი №2, საქმე 68, ფურც. 10.

ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი მოსკოვის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს, გაზ. „თავისუფალი საქართველო", №22, პარიზი, 1922, გვ. 2-3.

Ленин В. И., Полное собр. соч., Т. 22, стр. 294, изд. Политической Литературы, Москва, 1968.

История Франции, Том 2, стр: 567, Академия наук СССР, изд., Наука, Москва, 1973.

სარალიძე ლ., საქართველოს ემიგრაციული მთავრობის მოღვაწეობის ისტორიიდან (1921-1922 წ.წ.)", კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, (1-5), გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009, გვ. 89-208.

Материалы по истории франко-русских отношений за 1910-1914 г.г., стр. 525, М. 1922.

რაიმონ პუანკარე, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო", №106, ოქტომბერი, პარიზი, 1934, გვ. 1.

საფრანგეთის რადიკალები საქართველოს დამოუკიდებლობას იცავენ, გაზ. „თავისუფალი საქართველო", №17, პარიზი, 1922, გვ. 12.

საქართველოს საკითხი საფრანგეთის პარლამენტში, გაზ. „თავისუფალი საქართველო", №20 პარიზი, 1922.

უახლესი ისტორია 1918-1945 (ნაკვეთი პირველი), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988, გვ. 78.

Chastenet Jacques, Raymond Poincaré, Published by Julliard, Paris, 1948.

Lela Saralidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

RAYMOND POINCARÉ AND GEORGIAN POLITICAL EMIGRATION

RESUME

Raymond Poincaré (20 August 1860 – 15 October 1934) was a French statesman who served five times as Prime Minister, and as President from 1913 to 1920. He was a conservative leader, primarily committed to political and social stability. He was noted for his strongly anti-German attitudes, and twice visited Russia to maintain strategic ties. He went to Russia, for the second time (but for the first time as president) to reinforce the Franco-Russian Alliance. On 18 March 1909 until October 1934, Raymond Poincaré was a member of the French Academy of Sciences. He was holding the chair of the 34th of The Academy. Although Poincaré was an ally with the Tsarist Russia, but he often criticized by the Russian Social-Democrats, who are preparing for the revolution in Russia.

After the occupation by Russia's Bolshevik Government troops of the Democratic Republic of Georgia, on 18 March 1921, the National Government was forced to go into exile in Europe to fought for the restoration of lost independence. R. Poincaré was a supporter of the restoration of independence of the Democratic Republic of Georgia, which is a legally recognized by European powers, on 27 January 1921. He gave special mention of Genoa Conference (April 1922-May) to head of the delegation of France Louis Bartus to protect the interests of Georgia. It is expressly required not to make the conference in the name of Georgia the Bolshevik Government representative. He advised the Ambassador of the Democratic Republic of Georgia A. Tkhenkeli to go to Genoa for given the

advice of the French delegation about Caucasus issues. Lloyd George had opposed the French delegation at the conference, which will deal with Russia and rejected the legal notice of the Democratic Republic of Georgia by the British Government.

Such support had the unofficial delegation of the National Government of Georgia from Poincaré in the Lausanne conference, where the National Government delegation of Georgia demanded the withdrawal of Russian troops from Georgia, also demanded the restoration of the Georgia country's independence. French authorities contributed the existence to Georgian Legation in Paris until 1933. Georgian Legation was the symbol of independent in the French territory. Later France changed its policy in favor of the Russian Bolshevik Government. In October, 1924 the Government of France officially declared The Soviet Republic of Russia. 29, 1932 after the non-aggression pact was signed between Soviet Russia and France. In September, 18, 1934 Soviet Union became a member of the League of Nations and thus leading European countries ignored the crime committed by Russia. In July 1933, the French Government abolished the Georgian Legation in Paris. Such policies, Georgia for many years was under the domination of Bolshevik power in Russia. Georgia was forced to change the course of European integration.

ეთერ ქავთარაძე
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტი და ქართველი სტუდენტობა (XX საუკუნის ათიანი წლები)

მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ქართველებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ერთადერთი საშუალება უცხოეთში გამგზავრება იყო. ევროპისა და კავკასიის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში იყო გაფანტული ქართველი სტუდენტობა. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში კი ისინი ყველაზე დიდი რაოდენობით იყვნენ. საგულისხმოა, რომ იქ არა მარტო სტუდენტები, მასწავლებელთა კორპუსშიც სოლიდურად იყვნენ წარმოდგენილნი ქართველი სწავლულები. ამან განაპირობა, რომ სწორედ პეტერბურგის უნივერსიტეტში გაჩნდა ქართული საქმეების კეთების დიდი სურვილი და ყველაზე მძლავრი ქართველოლოგიური სკოლაც იქ შეიქმნა, იქვე ჩაისახა ქართული უმაღლესი სასწავლებლის შექმნის იდეა, რომლის საყრდენ ძალად პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე უნდა ჩავთვალოთ. იგი 1907 წლის დეკემბერში დააარსა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მეცნიერული საქმიანობით. ეროვნული იდეებით შექმნილმა ამ წრემ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართველოლოგიური საქმიანობის ახალი ეტაპის ფორმირებისა და მეცნიერული კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში. როგორც სერგო ჯორბენაძე ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ ვრცელ მონოგრაფიული ნაშრომში წერს: „იგი (ივანე ჯავახიშვილი) ახერ-

ხებდა სატახტო ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტში ქართულად წაეკითხა ლექცია და შეექმნა მომავალ მეცნიერთა ახალგაზრდული ბირთვი, რომელიც მეცნიერების ძველ და ახალ ცნებებს თამამად აამეტყველებდა ქართულ ენაზე. [1]

თავიანთ დიდ მასწავლებლებთან ერთად იქ მოსწავლე ქართველი სტუდენტობა ერთგულად აგრძელებდა პეტერბურგში ჯერ ქართველ ბატონიშვილთა, შემდეგ მარი ბროსეს დაწყებულ საქმიანობას. გიორგი ჩიტაია ამ პერიოდს ასე იგონებს: „ბედის ტრიალმა XIX საუკუნეშიც კულტურული ცენტრის არსებობა კვლავ უცხოეთში მოითხოვა. ეს იყო პეტერბურგის სამეცნიერო კერა. როდესაც მოვიგონებთ იმ პატარა, ნახევრადბნელ ოთახებს ვოლხოვის ქუჩაზე, ფილოლოგიურ ჩიხში, სადაც დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობდნენ და მბჟუტავ სანათურთან ჩვენს წარსულს ჩხრეკდნენ აღმოსავლური ფაკულტეტის ქართველი სტუდენტები, ჩნდება ანალოგია ჩვენი სამონასტრო ცენტრების ბერ-მოღვაწეებთან, რომლებიც სენაკების კანდელის მკრთალ შუქზე თავგანწირულად შრომობდნენ. პეტერბურგელთა მცირე კრებული ერთგვარი ძმადნაფიცთა წრე იყო, რომლებიც სამეცნიერო გრდემლზე ერის მომავალ ბედნიერებას კვერავდა“.[2]

ამ პერიოდის კვლევისთვის უტყუარ წყაროს არქივები წარმოადგენს. სამწუხაროდ, წრის აქტიურ წევრთაგან ყველას არქივი არ შემოგვრჩა. ამ ფონზე დავით ყიფშიძის არქივი ნათლად გვიჩვენებს მის ადგილსა და წვლილს სამეცნიერო წრის მუშაობაში, აგრეთვე ამ წრის საქმიანობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხსა და თარიღს ახლებურად წარმოაჩენს. რაც მთავარია, გვაწვდის სამეცნიერო ლიტერატურისთვის უცნობ ახალ ინფორმაციებს. წრესთან მას ცალ-

---

[1] ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 1.

[2] ჩიტაია გ., დავით ყიფშიძის და სილიბისტრო ლომიას ხსოვნას, „მიმომხილველი“, I, 1926, გვ. 358.

სახა ურთიერთობა არ ჰქონია, მის მიერ წამოწყებულ ყოველ სამეცნიერო პროგრამაში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. სხვადასხვა დროს კითხულობდა მოხსენებებს სხდომებზე. 1915-1916 სასწავლო წელს კი ამ წრის თავმჯდომარე იყო. არქივში შემონახულია წრის სხდომებზე წაკითხული მისი რამდენიმე მოხსენების ნაწყვეტი. გარდა ამისა, არქივში დაცულია მის მიერ ჩაწერილი 1911 წელს გამართული სამეცნიერო წრის ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგი. 1911-1912 სასწავლო წელს იგი ამ წრის მდივანი ყოფილა.

ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ორი დიდი პროექტი წამოიწყო. ერთი იყო ქართული ნაბეჭდი პროდუქციის ბიბლიოგრაფიის შედგენა. მეორე – ე.წ. ანკეტა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთსა და საზღვარგარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტთა ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლას. ანკეტა ამ წრის ძირითადი მიზნისთვის – ქართული სამეცნიერო კადრების კონსოლიდაციისათვის – პირველი ნაბიჯი იყო. ამ წრეში ჩაისახა ეროვნული სამეცნიერო ცენტრის შექმნის იდეა. პეტერბურგში დაწყებულ ამ დიდ ეროვნულ საქმეს აქტიურად გამოეხმაურა ქართული პრესა. გაზეთი „იმერეთი“ 1913 წელს წერდა: „სტუდენტის ყოფა-ცხოვრების გამორკვევა, მის სულში ჩახედვა, მათი ნამდვილი სახის დანახვა საინტერესოა როგორც თვით სტუდენტობისათვის, აგრეთვე, საზოგადოებისთვისაც. საანკეტო ფურცელი, რომელიც დაურიგდა ყველგან მოსწავლე ქართველ სტუდენტს, 15 კითხვისაგან შედგება. პეტერბურგის სამეცნიერო წრე დიდი მადლობის ღირსია, რომ პირველად იკისრა ეს საქმე და ხარჯი და შრომა არ დაზოგა. ვნახოთ რას გამოარკვევს ანკეტა“.[1]

ეს გამოხმაურება გვიჩვენებს, როგორ აფასებდა ქართველი საზოგადოება შორეულ რუსეთში მოღვაწე თანამემამუ-

[1] გაზეთი „იმერეთი“, 1913, №87.

ლეთა საქმიანობას და რა სანუკვარ იმედებს ამყარებდა მათზე. საანკეტო საქმეს ორგანიზაციას მთლიანად სამეცნიერო წრე უწევდა. წრის მუშაობის ბევრი ნიუანსი კარგად ცნაურდება მის წევრთა მიმოწერაში. დავით ყიფშიძესთან აკაკი შანიძის მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „დამიღრღნა ქართველურმა გულგრილობამ გული. ჩვენს მოწოდებაზე პასუხი ყველა ადგილიდან არ მიგვიღია. მივიღეთ მხოლოდ კიევიდან, ოდესიდან, ეკატერინოსლავიდან, ბრიუსელიდან, ლიეჟიდან და ნანსიდან".[1] საპასუხო წერილში დავით ყიფშიძე დიდ გულისტკივილს გამოთქვამს: „შეუგნებლობის და გულგრილობის კლდეს უმწეოდ ეხეთქება და იმსხვრევა ეს კეთილი განზრახვა და მისწრაფება ჩვენი წრისა. დღეს ძნელად თუ ნახავ ვინმეს, ქართველობით თავი არ მოქონდეს, მაგრამ ეს ხომ არ კმარა. საჭიროა საქმიანობა. ჩვენი ანკეტა უცხო ხილი იყო ქართველი სტუდენტობისათვის 1908 წლამდე, ამიტომ პირველი ცდა მისი მოხდენისა სასტიკათ დამარცხდა".[2]

ეს წერილი საყურადღებო ცნობას გვაწვდის პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის საქმიანობის შესახებ. ამ წერილის თანახმად, საანკეტო ფურცლის შემუშავების გეგმა ჩამოუყალიბებიათ და მისი მიზანი და მნიშვნელობა განუსაზღვრავთ 1908 და არა 1909 წელს, როგორც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. სტუდენტებს კარგად ესმოდათ ივანე ჯავახიშვილის ამ წამოწყების მნიშვნელობა. ანკეტის საშუალებით უნდა გაეგოთ, მზად იყო თუ არა მომავალი ქართული უნივერსიტეტის აუდიტორია.

გარდა ამ ორი პროექტისა, სამეცნიერო წრემ შეიმუშავა გეგმა საქართველოს სოფლების „ეკონომიკურ და სხვაგვარ მდგომარეობის გამოსარკვევად" საზაფხულო მუშაობის დროს. ამ მიზნით სტუდენტებს დაურიგდათ 25 კითხვისაგან შემდგარი კითხვარი. საველე მუშაობის შედეგები – კითხვა-

[1] გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი №18289.
[2] გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი №3202.

რის მიხედვით შეკრებილი ცნობები – სტუდენტებს უნდა მიეტანათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და გაეგზავნათ პეტერბურგის უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის სახელზე. ეს საზაფხულო საველე სამუშაო სოფლების კომპლექსურ შესწავლას გულისხმობდა. ჩანს, ამ წამოწყებაშიც აქტიურად ჩაება სტუდენტობა. ისინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ამ სამუშაოს და მაქსიმალურად იყენებდნენ ზაფხულის არდადეგებს მშობლიური სოფლის ასაწერად. როგორც სერგო ჯორბენაძე ამბობს: „ეს ცნობები საყოველთაო და ამომწურავი საქართველოს სინამდვილისა ვერ იქნებოდა“.[1] ვერ იქნებოდა თუნდაც იმის გამო, რომ სტუდენტებს სათანადო სოციოლოგიური მომზადება არ ჰქონდათ და, რაც მთავარია, სამუშაო სრულდებოდა სპონტანურად, მხოლოდ ზაფხულის არდადეგებზე. მიუხედავად ამისა, ეს წამოწყება არაა მხოლოდ სამეცნიერო წრის აქტივში ჩასათვლელი მოვლენა. სტუდენტების მიერ შესრულებული, სხვადასხვა საარქივო ფონდში დავანებული რამდენიმე სოფლის აღწერა დღეს საისტორიო წყაროს მნიშვნელობას იძენს.

ენერგიულად მუშაობდა წრე ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა 1897 წ. წამოიწყო. მოგვიანებით მან მთელი ქართული სამეცნიერო წრე ჩააბა ამ საქმიანობაში, რადგან თვლიდა, რომ საფუძველი და პირველი ნაბიჯი იყო ქართული მეცნიერების განვითარების გზაზე. დავით ყიფშიძის არქივში დაცულია მისი ხელით შედგენილი ასეთი სია: „1916 წლის ჟურნალ-გაზეთების ბიბლიოგრაფიაზე მუშაობდნენ: გიორგი ჩიტაია – „კვალი“, დავით ყიფშიძე – „სახალხო ფურცელი“ და სომხური პრესა, ევსევი მიქელაძე – „სამშობლო“, სილიბისტრო ლომია – „საქართვე-

[1] ჯორბენაძე ს., დასახ. წიგნი, გვ. 150.

ლო“, ლადო ფუთურიძე – ქუთაისის რუსული გაზეთები, სიმონ ყაუხჩიშვილი – „ნაკადული“.[1]

ბიბლიოგრაფია იმთავითვე უდიდეს სამსახურს უწევდა სამეცნიერო საქმიანობით დაკავებულ საზოგადოებას, რაზეც ნათლად მეტყველებს მოსკოვიდან პეტერბურგში გრიგოლ ვეშაპიძის დავით ყიფშიძესთან გაგზავნილი წერილი: „ერთი რამ უნდა გთხოვო – თქვენ მანდ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ ბიბლიოგრაფიას ადგენდით. მგონი კიდეც შეასრულეთ. თუ კაცი ხარ, მომწერე, შესრულებულია თუ არა თქვენი მუშაობა, ხომ არ დაბეჭდილა უკვე სადმე. მე საკანდიდატო სამუშაოს ვწერ. თუ თქვენი ბიბლიოგრაფიული შრომა უკვე დამთავრებულია, მინდა თქვენი ცნობებით ვისარგებლო“.[2] ეს წერილი 1915 წლითაა დათარიღებული. ამ დროს სამეცნიერო წრეს დავით ყიფშიძე თავმჯდომარეობდა. სწორედ ამიტომ მიმართავდნენ მას. იმავე წლის 26 აპრილს იგი იღებს ვალერიან ჭიჭინაძის წერილს მოსკოვიდან: „ჩვენთვის ძალიან საჭიროა ვიცოდეთ საქმის მდგომარეობა. გამოიცა თუ არა ბიბლიოგრაფია, თუ გამოვა, დაახლოებით რა დროისათვის. შეეხო თუ არა ხსენებული შრომა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას?“[3]

წერილს ხელს აწერენ მოსკოვის პეტროვის აკადემიის კავკასიის შემსწავლელი აგრონომიული წრის ქართული სექციის თავმჯდომარე კაკაბაძე და მდივანი ვალერიან ჭიჭინაძე.

ეს წერილები გვამცნობს, თუ როგორ ეხმიანებოდა მოსკოვის ქართველი სტუდენტობა ქართული სამეცნიერო წრის საქმიანობას, მის ყოველ წამოწყებას.

ამ ბიბლიოგრაფიის მხოლოდ I ტომი გამოიცა 1916 წელს იოსებ ყიფშიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით. სამეცნიერო წრის სახსრებს ძირითადად საწევრო გადასახადები

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ფიფშიძის არქ. №58.

[2] გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი №3249.

[3] გ. ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი №3326.

შეადგენდა. რასაკვირველია, მხოლოდ ეს წყარო არ ეყოფოდა იმ მნიშვნელოვანი ღონისძიებების აღსრულებას, რაც წრემ დაისახა მიზნად. ამიტომ იგი საქველმოქმედო საშუალებით ცდილობდა ეკონომიკური საფუძვლის გაძლიერებას. ამ მიზნით ტარდებოდა საჯარო ლექციები და იმართებოდა საღამოკონცერტები.

ქართველი სტუდენტობა აქტიურად იყო ჩაბმული იმ ფართო მასშტაბის მეცნიერულ სამუშაოში, ქართულმა სამეცნიერო წრემ რომ დაიწყო. იქ მოსწავლე და მოღვაწე ქართველობამ კარგად იცოდა, რომ მათი რუდუნებით წამოწყებული ყოველი საქმე ეროვნული მეცნიერების აყვავების საწინდარი იქნებოდა. ეს წრე მომავალი ქართული უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ერთგვარი ჩანასახი იყო.

Eter Kavtaradze
National Center of Manuscripts

ST. PETERSBURG IMPERIAL UNIVERSITY AND THE GEORGIAN STUDENTS (THE 10S OF THE 20 CENTURY)

RESUME

In 1907 Ivane Javakhishvili founded the scientific circle for Georgian students in Saint-Petersburg. The circle played an extremely significant role for the formation of the new stage of Kartvelian studies and for the bringing up and formation of new scientist in this field as well.

დოდო ჭუმბურიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ოფიციალური დელეგაცია გერმანიაში (აკაკი ჩხენკელის წერილების მიხედვით)

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას იმდროინდელ რუსეთის საზოგადოებაში ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. მის შემდეგაც ხშირად გაისმოდა ასეთი ფრაზა თვით ქართულ საზოგადოებაშიც კი: საქართველოს დამოუკიდებლობა იყო შემთხვევითი აქტი, ის გააზრებული არ ჰქონია მაშინდელ მმართველ პარტიას, მათ არც სურდათ ასეთი რამ და ა. შ. ამ კრიტიკას მაშინვე სცემდა პასუხს საქართველოს მოწინავე საზოგადოება. ზ. ავალიშვილი წიგნში – „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“ განიხილავდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ეტაპებს, ასკვნიდა, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციას საქართველო განვლილი ისტორიის მანძილზე არ მოწყვეტილა და 1918 წელს მან ბუნებრივად აღადგინა დამოუკიდებლობა, რაც ნაყოფი იყო 1801 წლიდან ქართველი ხალხის თავდადებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა. „წარსულთან ასეთი კავშირისა და წარსულის ასე გათვალისწინების შემდეგ, – წერდა ავტორი, – უნაყოფო და ამაო იქნებოდა, საქართველოსა და კავკასიის სხვა ერების დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობაში ვხედავდეთ გარეშე გარემოებათა, ინტრიგებისა

და პატივმოყვარეობის შემთხვევით ნაყოფს. იგი უეჭველად, ფესვებით ღრმად ნიადაგში ჩასული ძველი ხის ახალი ყლორტია“.[1]

ამასთანავე ავალიშვილი დამოუკიდებლობის დაკარგვის მრავალ მიზეზთა შორის ასახელებდა მმართველი პარტიის სოციალ-დემოკრატიულ დიქტატურას, პარტიული ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე წინ დაყენებას. ამ ფაქტს და მისგან მომდინარე საშიშროებას თვით საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც ხედავდნენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეფასება არაობიექტურია, რადგან მმართველ პარტიაშიც იყვნენ დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის მტკიცე დამცველები, ისინი არამარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც იღვწოდნენ საქართველოს ევროპული სახელმწიფოების თანამეგობრობაში გასაწევრიანებლად, რაც თავისთავად ნიშნავს ამ პოზიციის სიმყარეს. მეორეც, მათაც კი, ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობამდე მართლაცდა პრორუსულად აზროვნებდნენ, ან მერყეობდნენ ამ ორ პოზიციას შორის, საბოლოოდ დაგმეს რუსული სახელმწიფოს აგრესიული ინტერესები საქართველოს დამოუკიდებლობისადმი და სიკვდილამდე ამ თვალსაზრისზე დარჩნენ.

რუსულ აგრესიასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საშუალებებზე, მის სამრეწველო-ეკონომიკურ, კულტურულ და სულიერ ასპექტებზე, პოლიტიკურ მეთოდებზე ძალიან ბევრს ფიქრობდნენ და წერდნენ დამოუკიდებელი საქართველოს – პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პატრიოტი მოღვაწენი, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი აკაკი ჩხენკელს ეჭირა.

---

[1] ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, გამომც. „მხედარი“, თბილისი, 2011, 7.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აკაკი ჩხენკელი დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად ევროპაში. მისი ამოცანა იყო ევროპის სახელმწიფოებში დამოუკიდებელი საქართველოს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი ვექტორების შესახებ ცნობების გავრცელება, ხელის შეწყობა ევროპულ სახელმწიფოთა მიერ მისი აღიარებისათვის, ევროპულ ოჯახში ინტეგრირებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების საერთაშორისო ბერკეტებით მოგვარებისათვის და სხვ. ბათუმის კონფერენციიდან ის სხვა ქართველ დიპლომატებთან ერთად (ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონ კედია) ბერლინში გაემგზავრა. გარდა იმ დიდი დიპლომატიური მუშაობისა, რასაც მისი ხელმძღვანელობით იქ აჩაღებდა ქართული დელეგაცია, ჩხენკელი მუდმივად ადევნებდა თვალს იმ თანაპარტიელთა საქმიანობას საქართველოში, რომელთა პრორუსულ პოზიციას დიდი ხანია აკრიტიკებდა და რომელთა „მერყევი ნაბიჯების“ მუდამ ეშინოდა: არ შეეცვალათ საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი და გათავისუფლებულიყვნენ მარქსისტული იდეოლოგიისაგან.

გერმანიიდან გამოგზავნილი მისი წერილებიდან ჩანს, აკაკი ჩხენკელის ერთგულება საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, მისი შეურიგებლობა იმ თანაპარტიელებთან, რომლებიც კვლავ რუსეთისკენ იხედებოდნენ, ამიტომ გაუბედავი და არაეფექტური იყო მათი ეროვნული პოლიტიკა, ჩხენკელისთვის მთავარი ფასეულობა იყო ქვეყნის დამოუკიდებლობა და ევროპული ორიენტაცია. ის ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს და ყველასა და ყველაფერში ეძებდა საქართველოსთვის გამოსაყენებელ მომენტს. ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს უნდა ესარგებლა ევროპულ სახელმწიფოთა მხარდაჭერითა და დახმარებით, უნდა გამოეყენებინა ყველა ბერკეტი, დაეხმარებინა სოციალისტური ორგა-

ნიზაციები დასახული მიზნების განხორციელებისათვის. ამ ყოველივეს ჭირდებოდა მტკიცე პოლიტიკური ნება, დამოუკიდებლობისა და დასავლეთისკენ გადადგმული შეუდრეკელი ნაბიჯები, რაც ბევრ ქართველ პოლიტიკოსს აკლდა. ის ენდობოდა ნოე რამიშვილს, საქართველოს ხელისუფლებაში ყველაზე თამამ და ძლიერ პოლიტიკოსად მიაჩნდა, ამიტომ უზიარებდა მას თავის ეჭვებსა და აზრებს. ყველა, ვიზეც მიუთითებდა, როგორც არაპრინციპულ და პრორუსულ პოლიტიკოსზე, მის წერილებში დასახელებული არაა, მაგრამ ვხვდებით, რომ ასეთი პიროვნებები ამ დროს სახელმწიფოს სათავეში უნდა ყოფილიყვნენ და ისინი აბრკოლებდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინსვლას. როგორც წერილებიდან ირკვევა, ავტორი სხვებთან ერთად გულისხმობდა ირაკლი წერეთელს. ჩხენკელის მთავარი აქცენტები კარგად იკითხება ქვემოთ წარმოდგენილ საკმაოდ ვრცელ ბარათში, რომელიც ბერლინიდან საიდუმლოდ გადმოუგზავნა ნოე რამიშვილს, როგორც მის თანამოაზრეს და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს.

29. IX.18, ბერლინი

პირადათ საიდუმლოთ. ძვირფასო ნოე

შენი წერილი მივიღე. მე აქ მინდა შევეხო მხოლოდ ერთ დიდ საკითხს, რომელსაც კავშირი აქვს ყველა სხვა საკითხებთან. ეს არის **საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი პოზიცია მის მიმართ.** უნდა გამოვტყდე, არათუ ჩვენი პარტია საერთოთ, არამედ ხელმძღვანელნიც რაღაც რყევაში არიან, მათ თითქო არ სჯერათ გულის სიღრმეში დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, ზოგს შეიძლება არცა სურს ეს. ასეთი ფსიხოლოგიური მიდრეკილება მთავარი მიზეზია ჩვენი უძლურებისა. ჩვენს შორის ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ ნათლათ, თუ რა მოუვიდა რუსეთს, თორემ მასთან ხელახლა გაერთიანება თუგინდ რომ შესაძლებელი იყოს ეს, სასტიკ პროტესტს უნდა იწვევდეს მათ არსებაში. მთლიანი რუსეთი

შესაძლებელია, როგორც რეაქციონური, ეს იცის ყველამ, მაგრამ არავინ უწევს ანგარიშს იმას, რომ რუსეთი უკვე გადასროლილია რამდენიმე ათეული წლით უკან, ამიტომ ის მხოლოდღა კოლონიადაა ქცეული, სულ ერთია, ვინც უნდა იყოს ბოლოს გამარჯვებული. ისპობა მისი მრეწველობა, ფინანსები, თვით ინტელექტი. სახელმწიფოს მექანიზმის მოსპობას თქვენ ახლა კარგად გრძნობთ, რა შედეგი მოსდევს, ხალხი გადაეჩვია თანდათან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და უბრუნდება პირველყოფილ მდგომარეობას. რუსეთის გლეხობა, საუბედუროთ მუშათა კლასიც, წარმოადგენს სრულიად დარღვეულ-დაუკავშირებელ ბრბოთა ნაწილებს, რომლის ისევ თავმოყრას და დაქვემდებარებას საჯარო ნორმების წინაშე შესძლებს ერთადერთი — **ფიზიკური შიში,** სხვა არაფერი... **საქართველოს შეუძლია და მისთვის უფრო ხელსაყრელია პირდაპირი კავშირი იქონიოს დასავლეთ ევროპასთან, ამ გზით ის უფრო ადვილად შესძლებს ყველა თავისი ძალების განვითარებას. საერთაშორისო კონიუნქტურა უეჭველათ ხელს უწყობს მის განვითარებას და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.** ორივე კოალიცია, სულ ერთია ვინც მოიგებს, უფრო მოსალოდნელია ვერცერთმა ვერ მოიგოს ომი, — უეჭველათ დაინტერესებულია იმაში, რომ საქართველო და აქედან ამიერკავკასია მთიელებთან — შეიძლება დამოუკიდებელი და ნეიტრალური დარჩეს, ვინაიდან ეს დიდი შარაგზაა ევროპასა და აზიას შორის. ამავე დროს, ოსმალეთი რომ დასუსტებული გამოვა ამ ომიდან, ეს თავისთავად ცხადია, ასე რომ, ის მიზეზი, რომელმაც ასოცი წლის წინათ რუსეთს შეგვაერთა, გაქრება. მეორეს მხრით, თუგინდ ეს ომი უკანასკნელი არ იქნეს, მეორე ომი ჩქარა მომავალში ყოვლად შეუძლებელია. ამ პირობებში ჩვენი დამოუკიდებლობა შეიძლება კიდეც განმტკიცდეს სამუდამოთ. ამბობენ, პატარა სახელმწიფოს არსებობა ძნელიაო, ეს მართალია, მაგრამ შესაძლებელი კი არის. **ასე წარმოიდგინე, ჩვენ იმდენად არ გველის გარე-**

დან შიში, რამდენათ შიგნით. ჩვენ თვითონ ძაბუნი ვართ, არ გვიღვივის ეროვნული თავისუფლების ცეცხლი გულში, არ გვასულდგმულებს მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი, რომელიც ერთადერთი საფუძველია ჩვენი ინდივიდუალურობის ყოველმხრივ დაწინაურებისა. ჩვენ ვართ ზარმაცნიც იმავე დროს, სისტემატურათ თავჩაქინდრული მუშაობა, რომელსაც მოითხოვს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩვენ არ გვეხერხება. გარწმუნებ, ჩემო უძვირფასესო ამხანაგო, ჩემში არ ლაპარაკობს პირადული მომენტის ერთი ნატამალიც, მე მზად ვარ ყველაფერი დავთმო, არ მინდა არავითარი თანამდებობა, მამუშავეთ როგორც შავი მუშა, ოღონდ იდეა დამოუკიდებლობისა აღდგეს ჩვენში. ჩვენი მუშაობა უიდეოა, რუსეთის დარღვევასთან დავკარგეთ უნარი ენერგიული მუშაობისა ჩვენს ხალხში. რუსოფილური მიდრეკილება ჩვენი ერისა ემყარება ინერციას, ჩვენს პარტიას მაინც მართებს განთავისუფლდეს ამ ინერციისაგან, ჩაერიოს ხალხში თავისებურათ-ახლებურათ, ჩაუნერგოს მას ეროვნული გრძნობა, პასუხისმგებლობის შეგნება, ისა რომ, ის ახლა თვითონაა თავის ბედ-იღბალის გამომჭედი... აბა გადაშალე ჩვენი პრესა — მარტო გული გიკვდება, სხვა არაფერი. ჩვენი პარტია ისეთი ძლიერია, რომ მას ბევრი შეუძლია, მაგრამ მეათედსაც არ აკეთებს, არ აკეთებს იმიტომ, რომ თვით დამოუკიდებლობის იდეა დოქტრინალურათ აქვს შეთვისებული, გარეშე ძალისაგან თავზე მოხვეული, ის არ შეადგენს მისი არსების ნაწილს.

კრესთან დამოკიდებულების გაცივება, იმედია, გარდამავალი ხასიათისაა. ლოსოვი მისწერს მას მეგობრულ დარიგებას, ის არაა ურიგო კაცი. შენი შიში გერმანიის განზრახვების შესახებ ობიექტურათ უსაფუძვლოა. რა თქმა უნდა, თქვენ უნდა იცოდეთ, რამდენი ჯარი მოჰყავთ, სად, რისთვის, ერთი კია, ვინაიდან ომი კიდევ მძვინვარებს, კრესი არ იქნება ხშირათ იმ მდგომარეობაში, რომ ყველაფერი გაცნობონ. რომ

გერმანიისაგან ჩვენ დაპყრობა არ მოგველის, ეს ცხადია არა მარტო იმიტომ, რომ მის იმპერიალისტებს ეს არ უნდათ, არამედ იმიტომ, რომ ეს არ ძალუძს მას და არც ხელსაყრელია მისთვის. ახლა აქ დიდი მიდრეკილებაა დემოკრატიზაციისადმი, თუ სისტემა მმართველობისა არ შეიცვალა, თუ რეიხსტაგს მეტი გავლენა არ მიეცა, გერმანიას განსაცდელი მოელის. რეიხსტაგის ყველა დეპუტატებს კარგად ესმით ჩვენი კითხვა, ისინი მხარს უჭერენ და მომავალშიც დაუჭერენ ჩვენს და საზოგადოთ კავკასიის დამოუკიდებლობას.

თავი და თავი, ვიმეორებ, ისევ ჩვენ ვართ, როგორ ვაფასებთ ჩვენ თვითონ ჩვენს დამოუკიდებლობას. აი, ამაში ეჭვი შეაქვთ გერმანელებს. ისინი ადევნებენ დიდის სიბეჯითით ჩვენს მიდრეკილებათ თვალყურს.ეს ბუნებრივია, რომ გერმანიის სამხედრო პირებს არ მოსწონთ ჩვენი რადიკალიზმი... მაგრამ ომის დაბოლოვება მოასწავებს ჯარების ჩვენი ქვეყნიდან გაყვანას. დღეს კი ძლიერ საჭიროა გერმანიის ჯარების ყოფნა ჩვენში, სანამ საკუთარ ძალებს არ შევქმნით. გერმანელებს იჭვი შეაქვთ ჩვენს აგრარულ კანონმდებლობაშიც. მე ვფიქრობ, თქვენ დაუბრუნდით ჩვენს ძველ პროგრამას, რომ კულტურული მამული პატრონს დარჩება, თუგინდ არ აღემატებოდეს ნორმას. ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. არას გზით არ გაიყვანოთ მადნეულების წარმოების ნაციონალიზაცია, ეს ჩვენს მდგომარეობაში განვითარების დახშვაა. რაც შეეხება მადნების საკუთრებას და საზოგადოთ სამთო კანონმდებლობას, ჩვენ უნდა ავიღოთ გერმანიის კანონდება, რომლის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ მიწისქვეშ არსებულს სახელმწიფოს აკუთვნებს. სიჩქარე ამ მხრივ, სრულიად მეტია.

შენ გაწევს, ნოე, დიდი პასუხისმგებლობა, იმავე დროს შენი მხრით... განმტკიცება პარტიაში და იქედან ერში დამოუკიდებლობის ღრმა რწმენისა, სხვა დანარჩენი... დიდის ჭაპანწყვეტით თავისთავათ მოვა.

დიდი მოკითხვა

შენი აკ.ჩხენკელი[1]

ევროპის ქვეყნებთან მეტი კონტაქტი, იქ პოლიტიკოსების გაგზავნა და საქართველოს პრობლემებზე ინფორმირება იყო მისი მთავარი მოთხოვნა, ევროპასთან კავშირი ითხოვდა ევროპულ ფასეულობათა ერთგულებას, ამიტომ ამახვილებდა ყურადღებას აგრარული და სამთამადნო კანონების სოციალისტურ და ევროპელთათვის მიუღებელ ხასიათზე, ურჩევდა ხელისუფლებას მის დახვეწა-შეცვლას. ევროპაში ომის შემდეგ სოციალისტური პარტიების გავლენა გაიზარდა, ზოგადად მემარცხენე იდეები გააქტიურდნენ, ჩხენკელს უნდოდა ამის გამოყენება და ითხოვდა ცნობილი და ევროპაში პოპულარული ჩხეიძისა და წერეთლის გაგზავნას.

10. X.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე

გიორგი ეხლავე უნდა წამოვიდეს და მოგწერ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით კანდიდატებზე ჩვენი პარტიიდან, რომელნიც უნდა გამოიგზავნონ აქეთ, თანახმათ ჩემი წერილისა მთავრობის სახელზე. შენ, კაკი და კარლო ხართ ჩემი კანდიდატები, კითხვა მხოლოთ იმაშია, რომელს უფრო შეელევით ამ საშიშ მომენტში. მე ვფიქრობ, კარლოს ყველაზე ადვილათ შეელევით, ვინაიდან ის მხოლოდ თავმჯდომარეა საბჭოსი და სხვაში მაინცდამაინც არ უნდა იყოს გართული. სამაგიეროთ მას აქვს დიდი სახელი ევროპაში, თან პარლამენტის თავმჯდომარეა. ენის არცოდნა არაა საფიქრებელი, თარჯიმნით მშვენივრათ შეიძლება მუშაობა, თავი და თავი წარმომადგენლობაა. შენსა და კაკის შესახებ აბა რა უნდა ვთქვა! ორივე კარგი ხართ, ვისაც შეგელიონ, ის წამოვიდეს. წერეთელი და ჩხეიძე ევროპაში პატარა ბალღებმაც კი იციან. მე ვფიქრობ, ერთი კარლო უნდა იქნეს, მეორე კი შენ ან კაკი.

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 1-3.

თუ გაიხსენებ, რა დიდი მნიშვნელობა აქვთ სოციალ. პარტიებს, განსაკუთრებით ახლა, დამიჯერებთ, რომ მე მართალი ვარ. შეიძლება და სასარგებლოც იქნება კოლია ქარცივაძეც გამოაგზავნოთ, ენა იცის, განათლება აქვს და კარგი დამხმარე იქნება მუშაობაში. სხვა პარტიებზე არას ვამბობ. ყველა აიძულეთ, მართლაც შესაფერი გამოგზავნონ. იცოდე, ახლანდელ ჩვენ მუშაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მაქსიმუმ 5, მეტი არაა საჭირო,

ნიკოს (ნიკოლაძე – დ. ჭ.)სახელით მოგწერეთ. სალამი. აკ. ჩხენკელი[1]

16. X.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე,

მე უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მომავალი საერთაშორისო მოლაპარაკების დროს დიდ როლს ითამაშებენ სოციალისტური, საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციები. ამისათვის საჭიროა აუცილებლათ, რომ ჩვენი ცნობილი ამხანაგები ჩამოვიდნენ აქ სამუშაოთ. მე უკვე მოგწერე მაჩაბლის ხელით (სხვათა შორის მაჩაბელი ისევ უკან უნდა დაბრუნდეს, ის ძალიან ყოჩაღია) რომ თქვენ სამიდან (ნოე, კაკი, კარლო) ორი უნდა წამოვიდეს. კარლო არ არის თქვენთვის ისე აუცილებელი ჩემი წარმოდგენით. აქ კი, საზოგადოთ ევროპაში, მისი სახელი ძალიან გამოგვადგება. თქვენ ორიდან არ ვიცი, რომელი უფრო საჭირო ხართ მანდ. მე ვფიქრობ შენ, **ამ შემთხვევაში კაკი უნდა წამოვიდეს. მხოლოდ ერთი პრეზუმცია: თუ ის თავის რწმენით სავსებით შეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას!**

მე დამავიწყდა წინა წერილში შენთვის მეპასუხნა ერთ კითხაზე: ფოთის ხელშეკრულებით ჩვენ სრულიად არ ვიყავით მოვალე ჩვენი გემები გერმანიისათვის გადაგვეცა ფაქტიურათ. ეს იყო ფიქტიური ქაღალდი, რომ ამით ოსმალეთი არ

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 4.

დაპატრონებოდა ჩვენს გემებს. გაუწყებთ, რომ ამ ხელშეკრულებას, ახლა მაინც, არავითარი ძალა არა აქვს, ვინაიდან აქ ის არ დაგვიდასტურებია. უნდა შექმნათ განსაკუთრებული განყოფილება სამინისტროში, რომელმაც უნდა იკისროს სანავოსნო კადრის შეგროვება და ახლად შექმნა და გემები მას გადაეცით, კრესი (ფონ კრეს კრესენშტაინი, გერმანიის სამხედრო მისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი) თუ არ დაგეთანხმათ, ტელეგრამით მაცნობეთ. საზოგადოთ ფოთი სრულიად უყურადღებოთაა თურმე, საქონელი არავის არ გაატანოთ, თუ სამაგიერო საქონლის შემოტანას წერილობით არ შეგპირდებიან. კარგი განწყობილება გერმანელებთან ამით არ ჩაიშლება.

სალამი. შენი აკ. ჩხენკელი[1]

25. XI.18, ბერლინი

ძვირფასო ნოე,

გერმანიის დიდი რევოლუცია განაგრძობს თავის მსვლელობას მწყობრათ და შეუშფოთებლათ. არის ნიშნები უთანხმოებისა ზედაპირზე, მაგრამ იმედია, აქაური ორგანიზატორული გენია სძლევს სტიქიას. გერმანიამ ქეყანა განაცვიფრა თავის ტეხნიკით და მეცნიერებით, შესაძლოა მან კიდევ უფრო გაანცვიფროს ის თავის პოლიტიკურ და სოციალურ ნაბიჯებით. სოციალიზმი დღის წესრიგშია. ამას ამბობენ ყოველი მიმდინარეობანი სოციალ-დემოკრატიისა, კამათია მხოლოდ მეთოდზე, როგორ უნდა განახორციელონ ის. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: თუ გერმანიამ საბოლოოთ შეინარჩუნა თავის თავისუფლებანი, ის გახდება ცენტრი საკაცობრიო განმათავისუფლებელი მოძრაობისა...

რა გავლენა იქონია ჩვენებზე აქაურმა ამბებმა, პირველ ყოვლისა, გერმანიის დამარცხებამ, მე არ ვიცი, თუმცა კოწი-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 5.

ას (იგულისხმება კონსტანტინე საბახტარაშვილი, სოციალ-დემოკრატი, დიპლომატი) ნაამბობმა ძალზე დამამშვიდა ამ მხრივ. ჩვენი მდგომარეობა, მე ვფიქრობ, არ არის ცუდი. **ჩვენ გადავარჩინეთ ქვეყანა აოხრებას, ანარქიას, ამ ბრძოლაში გაკაჟებულნი ჩვენი ამხანაგები ალღოს აუღებენ, იმედია, ახალ მდგომარეობას და ბოლომდე მტკიცეთ გაყვებიან ერთხელ არჩეულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის გზას.** იმ დროს, როცა ყოველი ქვეყნის დემოკრატია ძლიერდება და სახელმწიფოების მთავარ ფაქტორად ხდება, ჩვენ არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას ვერ შევინარჩუნებთ. ახლა დღიურ წესრიგში, როგორც კაუცკი ამბობს, არა მრავალერიანი სახელმწიფოებია, არამედ ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირი.

დიდი პასუხისმგებლობა აწევს ჩვენს პარტიას კისერზე, რყევა და ხასიათის სისუსტე მომაკვდინებელი იქნებოდა ახლა მისთვის. რუსეთისაკენ პირის გაკეთება ეროვნულათ სახიფათო იქნებოდა, ხოლო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ უკანსვლას მოასწავებდა ჩვენთვის. სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, საკუთარ ძალაზე დაყრდნობა და ამრიგათ ქვეყნის მოვლა ანვითარებს უმწვერვალესათ ერის შემოქმედებით ნიჭს ყოველ დარგში, ის აღწევს ამ გზით უფრო ჩქარა და ადვილათ თავის მიზნებს.

ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ ძალათ შეგვაერთებენ რუსეთს, შეუძლებელია, დაუშვებელია. არასგზით არ უნდა შეიცვალოს პარტიამ თავისი პოზიცია, თუგინდ პირველ შეხვედრაზე ანტანტის წარმომადგენლები ცივად შეხვდნენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ეს ტაქტიკა, საზოგადოთ, მიღებულია დიპლომატიაში, ამან არ უნდა შეგვაშინოს. მედგრათ, უკომპრომისოთ უნდა დავიცვათ მათ წინაშე ჩვენი დამოუკიდებლობა. ყოველი თავის მართლება, ბოდიში, სრულიად მეტია, როგორც ეს გამოსჭვივის კაკის მემუარიდან. იქ ყველაფერია,

მხოლოდ ერთი არაა – ესაა მტკიცე და შეურყეველი მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. მე ვწერ მას დაწვრილებით...

ეს სტრიქონები მეტია, იტყვი შენ, მეც გეთანხმები, მხოლოდ რაღაც უჩინარი ძალა ჩამძახებს სულ ერთსა და იმავეს: გეშინოდეს, შენიანებმა არ გადაუხვიონ გზას!

სალამი. აკ. ჩხენკელი[1]

პრინციპულად იცავს ამავე იდეას ჩხენკელი ბერლინიდან გაგზავნილ სხვა წერილებშიც. საქართველოს წარმომადგენელს უკრაინაში – ბიქტორ თევზაიას უმკაცრეს წერილს წერდა და საყვედურობდა რუსეთის მონარქისტული პარტიები კონფერენციაზე დასწრებას, რუსული ორიენტაციის ერთგულებას, არწმუნებდა, რომ ეს საქართველოს ინტერესების ღალატი იყო. ამ წერილით მართლაც კარგად ჩანს ჩხენკელის მთელი პოლიტიკური კრედო, მისი სწორი აქცენტები საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში, შეურიგებლობა პრორუსული ორიენტაციის აზროვნებასთან, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ეწინააღმდეგებოდა.

„თქვენმა გუშინდელმა დეპეშამ ცოტათი გამაკვირვა. საზოგადოდ გეთანხმებით, ეს არაა, ჩემი აზრით, საკმარისი სახელმწიფო მოღვაწეობაში. მე ამას არ მივაქცევდი ყურადღებას, კოწიასგან რომ არ გამეგო **თქვენი რყევის შესახებ ჩვენი ერის ძირითად საკითხში. თქვენ თურმე იმ აზრის ხართ, რომ საქართველო ამა თუ იმ სახით ისევ უნდა შეუერთდეს რუსეთს! მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს უფლება თქვენი რწმენის საქმეში ჩავერიო, მხოლოდ მაინტერესებს ერთი მხარე, – ეს არის ის, რომ ჩვენი მთავრობა დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას და ფიქრობს, მტკიცედ დაიცვას ის ყველგან, მაშასადამე კიევშიც. რა მიზანი აქვს კიევის კონფერენციას? თქვენ არ იწერებით ამას, მაგრამ ცხადია, რა:**

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 83, ფ. 6.

რუსეთის გაერთიანება. სხვა მიზნით დონის და ყუბანის დელეგატები ვერ მოვლენ მანდ. ჩვენი მათთან თათბირი ამ ნიადაგზე უადგილოა, მე ვიტყოდი, მავნეც, ვინაიდან ეს იქონიებს ძალიან ცუდ გავლენას ჩვენს მუშაობაზე ევროპაში. აქედან დიდი ხანია დაგზავნილია ხალხი, გადაცემულია ნოტები, მემუარები, ყველას ყური გამოვუჭედეთ, მთავრობის დავალებით, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, და ამ დროს ჩვენი წარმომადგენელი კიევში რუსეთის გამაერთიანებელ კონფერენციას ესწრება! ეს მიუღებელია ჩვენთვის. მეორე მიზანი კონფერენციისა, ალბათ ბოლშევიკებთან ბრძოლა იქნება. ეს სულ შეუწყნარებელი იქნებოდა ჩვენთვის. ახსნა სრულიად მეტია. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს ჩვენს ქვეყანაში, რაც შეეხება რუსეთს, ის უცხოეთია ჩვენთვის, იქ ჩვენ ხელი არა გვაქვს.

მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტს, პატარა შეცდომა დიდ ზიანს მოგვიტანს, ვინაიდან ჯერ არ ვართ ცნობილი. ახლანდელ მომენტში, როცა დემოკრატია იმარჯვებს ყველგან, ჩვენ უფრო არ გვმართებს ისევ რუსეთის გერობა ვარჩიოთ, ჩვენ გვეხსნება საშუალება შევიდეთ განათლებულ მსოფლიოს ერთა კავშირში. მრავალერიანი სახელმწიფონი ინგრევიან, ეროვნული სახელმწიფონი ფუძნდებიან და ჩვენ ამწუთში არასგზით არ გვმართებს დამოუკიდებლობის გზას გადავუხვიოთ. მე გთხოვთ თავი შეიკავოთ კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებისაგან, სანამ მთავრობის განკარგულება არ მოგივათ, და თუ არ მოგივიდათ, — შეიძლება მიმოსვლა შეწყდეს, — მაშინაც ნუ მიიღებთ მონაწილეობას. მხურვალე სალამი თქვენ და მათეს.

აკ. ჩხენკელი

მსგავსი განცდები იკითხება შვეიცარიიდან პარიზში საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მის ზოგიერთ წერილშიც. ,,ძალიან მეშინია, რომ თქვენი პირველი საჯარო

გამოსვლები ვერ მოახდენდა კარგ შთაბეჭდილებას მანდაურ ფაქტორებზე, – წერდა ჩხენკელი ერთ-ერთ წერილში. – თვითონ კაკი მწერდა, ჩვენი საქმე დიპლომატიურათ და დახურულ კაბინეტში წყდებაო. სწორედ ამიტომ უნდა აგეცდინათ თავიდან საჯარო მუსაიფი სოციალისტებთან „ინტერვენციაზე", ჩვენი „საბჭოების" ძლიერებაზე და სხ.სოციალისტებმაც დაამახინჯეს თქვენი ნათქვამი, „გისარგებლეს", როგორც კარლო იწერებოდა. **თქვენ დაგავიწყდათ, რომ სახელმწიფომ გამოგგზავნათ და არა პარტიამ.** ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ არ უნდა გენახათ სოციალისტები, პირიქით, მხოლოდ სხვა სახით. მათი პრესის ალაპარაკება ჩვენს შესახებ თავის თავათ საჭირო იყო, უნდა ეცადოთ ხშირათ აწერინოთ ბოლშევიზმის შეუხებლათ.."

ბერლინის დელეგაციის მოღვაწეობას აკაკი ჩხენკელი წარმატებულს უწოდებდა მისი შემადგენლობის გამო, რადგან დელეგაციაში მოღვაწეობდნენ არასოციალისტებიც, ასახელებს ავალიშვილსა და ნიკოლაძეს. წუხს, რომ მათ ბურჟუაზიად თვლიან მთავრობაში, სინამდვილეში კი პროფესიონალები და პატრიოტები არიან.

„მე დავრწმუნდი, რომ ხშირათ ძალიან სასარგებლოა, როცა ჩვენს გარდა მოქმედებენ ჩვენი „ბურჟუაზიის" წარმომადგენლებიც, ამ მხრივ ბევრი გააკეთეს ზურაბმა და ნიკომ ბერლინში. საზოგადოთ, მე ვამჩნევ, თქვენ არცკი აჩენთ გარეთ ზურაბს, მაშინ, როდესაც ის ძალიან თავდაჭერილი, მტკიცე და მცოდნე მომლაპარაკებელია, არცერთ რუსეთიდან ჩამოსულ დელეგაციას არ ყავს მაგისთანა მრჩეველი, თქვენ კი არ სარგებლობთ, ასეთია ჩემი შთაბეჭდილება".[1]

დასკვნა: 1. ამ წერილებიდან ჩანს, თუ რაოდენ ერთგული და დამცველი იყო აკაკი ჩხენკელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისა; 2. აკაკი ჩხენ-

[1] სცსსა, ფ. 1831, აღწერა 2, საქმე 51, ფ. 9.

კელი ცდილობდა ამ იდეის განმტკიცებასა და მის გარშემო არა მარტო მისი პარტიის ლიდერების, არამედ მთელი ერის გაერთიანებას; 3. აკაკი ჩხენკელი მაღლა იდგა პარტიულ ინტერესებზე, მას არ მოსწონდა მართვის დიქტატორული სტილი, მიაჩნდა, რომ ყველა ნიჭიერ ადამიანს უნდა მისცემოდა ასპარეზი სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკურ არენაზე, ზოგჯერ თანაპარტიელებზე მაღლა აყენებდა სხვა პარტიების წარმომადგენლებს, იცავდა მათ ინტერესებს. 4. თანაპარტიელებს ის უწუნებდა დიპლომატიას, ბოლშევიზმისადმი გაურკვეველ ლოიალობას, უპრინციპობას. 5. ჩხენკელმა კარგად იცოდა ევროპის სახელმწიფოებში შექმნილი ვითარება და ცდილობდა ქართული ინტერესებისათვის გამოეყენებინა ზოგიერთი მომენტი. 6. მისი ნაწერებიდან ზოგადად და, კონკრეტულად, ბერლინიდან გამოგზავნილი მისი წერილებიდან იკვეთება, რომ ჩვენს წინაშეა არა სოციალ-დემოკრატი, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, არამედ ქართველი პატრიოტი, ილია ჭავჭავაძის იდეების მიმდევარი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიპლომატი და პატრიოტი მოღვაწე.

Dodo Chumburidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

THE FIRST OFFICIAL DELEGATION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN GERMANY, ACCORDING TO THE AKAKI CHKHENKELI LETTERS

RESUME

The letters, which sent Akaki Chkhenkeli to his Coalition comrades from Berlin, shows how faithful he defended the idea of independence. Chkhenkeli sought to strengthen this idea and unite around the idea not only the leaders of his party, but the entire nation. Chkhenkeli stood above the interests of the party, he did not

like the dictatorial management style, he thought that all the talented people should be allowed to place the bodies of the political arena, Sometimes he standed higher the interests to the members of other parties and protected them. He disliked to members of his party diplomacy, uncertain loyalties to Bolsheviks, lack of principle. Chkhenkeli knew the situation in the European countries, and tried to use some of their Georgian interests.

His writings in general and in particular, his letters wich he hed sent from Berlin, seems, that before us is not a Social-Democrat, a government official, but the Patriots, a follower of the ideas of Ilia Chavchavadze, a talented politician, diplomat and patriotic figure.

His writings in general and in particular, his letters to the Berlin is submitted, it seems, that is before us is not a Social-Democrat, a government official, but the Patriots, a follower of the ideas of Ilia Chavchavadze, a talented politician, diplomat and patriotic figure.

ოთარ ჯანელიძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
მაია ვარსიმაშვილი-რაფაელი
უნივერსიტეტი პარიზი 10

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ფრანგული პერიოდული პრესა

უსახელმწიფო, მცირერიცხოვანი ერის ბრძოლა თავისუფლებისათვის, მით უფრო, თუ იგი მოწყვეტილია მსოფლიო პოლიტიკურ ორბიტას, საერთაშორისო საზოგადოებისათვის არსებითად შეუმჩნეველი რჩება. ამის მკაფიო მაგალითია მე-19 საუკუნის პირველი მესამედის კოლონიური საქართველო. არც 1804, არც 1812 და არც 1819-1820 წლების აჯანყებათა შესახებ ევროპაში არაფერი გაუგიათ, მაშინ, როდესაც იმავე ხანებში (1822 წ.) ბერძენი ხალხის ბრძოლამ ოსმალური უღლის გადასაგდებად დასავლეთის პროგრესული საზოგადოების დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა.

1918 წლის 26 მაისს, 117-წლოვანი წყვეტილის შემდეგ, საქართველო კვლავ აღიბეჭდა მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, როგორც სუვერენული სახელმწიფო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მსოფლიოს 20-ზე მეტმა სახელმწიფომ იურიდიულად აღიარა, რომელთა ერთმა ნაწილმა თბილისში თავიანთი საელჩოებიც გახსნა. დასავლეთის არაერთ ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობები საქართველოს მთავრობამაც აამოქმედა. საქართველოს ცნობადობა გარე სამყაროში მნიშვნელოვნად გაიზარდა. განახლებული ქართული სახელმწიფო ნელ-ნელა ისევ მკვიდრდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შე-

დეგად საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს ბოლო მოეღო - დემოკრატიული რესპუბლიკა დამხობილ იქნა.

საბჭოთა რუსეთმა საქართველო ხელახლა დაიპყრო. დევნილი მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო.

ეროვნული თავისუფლების დაკარგვა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოშლა და მისგან გამომდინარე სოციალურ-პოლიტიკური შედეგები ქართველი ერის ცხოვრებაზე ტრაგიკულად აისახა. იმავდროულად, ,,საქართველოს უბედურების ხანა შეიქმნა ჩვენს ისტორიაში ისეთი ეპოქა, რომელმაც გიგანტური, პირდაპირ განუზომელი პოპულარობა შეუქმნა ქართველ ხალხსა და საქართველოს მთელს მსოფლიოში. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იშვიათად იცის ისტორიამ **ასეთ მოკლე ხანაში** ასეთი პატარა ერის საქმის ამ ზომით გაპოპულიარების მაგალითი''.[1]

მართლაც, ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ საქართველოში წარმოებული ბრძოლა ფართო გამოძახილს ჰპოვებდა უცხოეთში, განსაკუთრებით კი საბჭოეთთან დაპირისპირებულ სახელმწიფოებში: საფრანგეთში, პოლონეთში, იტალიაში და სხვ. 1921-1924 წლებში საქართველოს საკითხი ევროპის დიდი პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა, რომელიც განიხილებოდა მასშტაბურ საერთაშორისო ფორუმებზე და სათანადოდ აისახებოდა თანადროულ ბეჭდურ მედიაში. დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი კეთილგანწყობით იყო გამსჭვალული თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოსადმი და მას მტკიცე სოლიდარობას უცხადებდა.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს საკითხის აქტუალიზებაში სერიოზული წვლილი შეიტანა ფრანგულმა პერიოდულმა პრესამ, რომელიც დღემდე ქართული ისტორი-

[1] ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, 254.

ოგრაფიის ყურადღების მიღმაა დარჩენილი. არ მოიპოვება არც ერთი კვლევა და არანაირი პუბლიკაცია, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში ფრანგული ჟურნალ-გაზეთების მხარდაჭერას რაიმე ასპექტით წარმოაჩენდეს. ქვემოთ, ჩვენს მიერ მოძიებული კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე, შევეცდებით, რამდენადმე მაინც შევავსოთ ქართული ისტორიული მეცნიერების ხსენებული ხარვეზი.

თავდაპირველად აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს მიმართ უცხოეთის დაინტერესებას განსახილველ პერიოდში ზრდიდა საბჭოური რეჟიმის სისასტიკე და ქართველი ერის შეურიგებლობა თავსმოხვეული საოკუპაციო მმართველობისადმი. ფრანგი ოფიცრის, რემონ დიუგეს სიტყვით, რომელმაც წიგნი მიუძღვნა ამ თემებს, ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ საქართველოში „მოისპო ყოველნაირი თავისუფლება. ... ლიანგურმა დაჭერებმა, განუკითხავმა დახვრეტებმა, სასტიკმა წამებებმა ... ხალხი ფეხზე დააყენა“.[1] გრიგოლ ლორთქიფანიძე ახალ რეჟიმს „აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას“ ადარებდა და, უნდა ითქვას, რომ სინამდვილეს დიდად არც აზვიადებდა. ობიექტურობა მოითხოვს აქვე დავძინოთ, რომ მხოლოდ აღნიშნული გარემოება არ ყოფილა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან საქართველოსადმი გამოხატული ამგვარი ყურადღების ერთადერთი საფუძველი.

მართალია, როგორც ერთი თანამედროვე წერდა: „საქართველო ევროპას ხელში ბერკეტად უჭირავს და, როცა რუსეთი რაიმეზე კრინტს დასძრავს, ის შიგ ცხვირ-პირში მიახლის ხოლმე საქართველოს“,[2] მაგრამ დასავლეთის ქვეყნებს საბჭოეთთან საქართველოსაგან დამოუკიდებლადაც ჰქონდათ თავიანთი ანგარიშები.

---

[1] დიუგე რ., მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ, 1994, 91; 110.

[2] მჭედლიშვილი ი., დღიური. 1924-1941, თბ., 2014, 10.

ცნობილია, რომ „ბოლშევიზმი და მისი გავლენით წამოწყებული მემარცხენეთა რევოლუციები დიდ საფრთხეს უქმნიდა ომისშემდგომ წყობას ევროპაში“.[1]ამასთან, რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგ, როგორც საბჭოეთში, ისე დასავლეთში არსებობდა სუბვერციის საფრთხე. თითოეულ მხარეს ეშინოდა, რომ არ გამხდარიყო მეორის თავდასხმის ობიექტი. რუსეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა ხელი აიღეს საბჭოეთის წინააღმდეგ ღია შეიარაღებულ ინტერვენციაზე და უპირატესობა ბოლშევიზმის იზოლაციას მიანიჭეს ე. წ. სანიტარული კორდონების სახით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო საფრანგეთის მთავრობები არისტიდ ბრიანისა (1921 წ. იანვარი - 1922 წ. იანვარი) და რაიმონ პუანკარეს (1922 წ. იანვარი - 1924 წ. ივნისი) მეთაურობით. პოლიტიკური ლიდერების კურსს თანაგრძნობა ჰქონდა მოსახლეობის ფართო წრეებში, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. მოკლედ ერთი ამგვარი ფაქტორის შესახებ:

პირველმა მსოფლიო ომმა მატერიალური თვალსაზრისით საფრანგეთი დიდად დააზარალა. რომ არაფერი ითქვას 1 მილიონ 300 ათასს დაღუპულ და 600 ათას ინვალიდად დარჩენილ ადამიანზე, ქვეყნის მესამედი, სადაც საფრანგეთის ძირითადი სამრეწველო პოტენციალი იყო თავმოყრილი, საბრძოლო ოპერაციებისას დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საფრანგეთი უზარმაზარ ფულად დანაზოგებს ფლობდა. რადგანაც ქვეყნის ინდუსტრიასა და სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი წვრილ მეწარმეობას ეკავა, რომელიც არ საჭიროებდა მსხვილ ინვესტიციებს, კაპიტალი ხანგრძლივი ვადით ბანკებსა და შემნახველ სალაროებში იდებოდა. ცნობილია, რომ საბანკო კაპიტალის კონცენტრაციით საფრანგეთს

[1] სნაიდერი ტ., სისხლიანი მიწები. ევროპა სტალინსა და ჰიტლერს შორის, თბ., 2014, 43.

პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. ფრანგულმა ბანკებმა სააქციო საზოგადოებებისა და შემნახველი სალაროების მეშვეობით თავი მოუყარეს დიდძალ ფინანსებს, რომელიც მასშტაბურად გაჰქონდათ საზღვარგარეთ. საფრანგეთი სხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთისათვის, უმსხვილეს კრედიტორად გადაიქცა. საფრანგეთიდან ფული უმთავრესად კრედიტების სახით გადიოდა, როგორც საერთაშორისო სესხი და ქვეყანაში მაღალი იყო რანტიეთა რიცხვი, რომელიც მთელი მოსახლეობის 15 %-ს მოითვლიდა[1] (გამოანგარიშებულია, რომ კაპიტალის გიგანტურმა ოცდაათწლიანმა ტრანსფერმა საფრანგეთიდან რუსეთისაკენ 1914 წლისათვის 13 მილიარდი ოქროს ფრანკი შეადგინა).

ბოლშევიკების უარმა, ელიარებინათ მეფის მთავრობის ვალი, ძლიერი დარტყმა მიაყენა მილონ-ნახევარზე მეტ ფრანგ აქციონერს. საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო საზოგადოების ეს გავლენიანი და მრავალრიცხოვანი ფენა ანტიბოლშევიკური პოლიტიკის დაინტერესებულ მხარდამჭერად გადაიქცა.[2]

1920-იანი წლების დასაწყისში ევროპის ბევრ ქვეყანაში ინფლაცია მძვინვარებდა. ფრანგული ფრანკი 5-ჯერ გაუფასურდა. ფულის გაუფასურება, ბუნებრივია, პრობლემებს უქმნიდა საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც, მაგრამ ოფიციალური პარიზი აგრძელებდა ანტისაბჭოთა ძალების, მათ შორის, საფრანგეთს შეხიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილი მთავრობის მხარდაჭერას.

---

[1]Краткий курс лекций по дисциплине «История экономики» http://studme.org/14620114/politekonomiya/osobennosti_monopolizatsii_ekonomiki_anglii_frantsii.

[2] Мамулия Г., Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945), Тбилиси-Париж, 2012, 10.

განსხვავებით რუსული ემიგრაციისაგან, რომელიც ნახევარ მილიონამდე აღწევდა და გაფანტული იყო მსოფლიოს 26 ქვეყანაში,[1] ქართული ემიგრაცია შედარებით მცირერიცხოვანი იყო. 1921-1924 წლებში საზღვარგარეთ იძულებით გახიზნულ 3000-მდე ქართველიდან აბსოლუტური უმრავლესობა და, მათ შორის, პოლიტიკური ემიგრაცია მთლიანად საფრანგეთს იყო შეკედლებული. პარიზსა და ლევილში საქმიანობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობაც, რომლის ლეგიტიმურობას ყველაზე დიდხანს (1933 წლამდე) სწორედ საფრანგეთი ცნობდა.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე ფაქტო აღიარა, 1920 წელს თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა პარიზული გაზეთის „Le Temps (Paris)"-ის კორესპონდენტი, წარმოშობით შვეიცარიელი ჟურნალისტი პოლ ჟანტიზონი (1885-1955). ჟანტიზონს, რომელიც ასევე თანამშრომლობდა ლოზანაში გამომავალ „Gazette de la Lausanne"-ში, საყურადღებო წიგნები და სტატიები აქვს დაწერილი იტალიაზე, საბერძნეთზე, თურქეთზე, ბულგარეთსა და რუმინეთზე. საქართველოს მთავრობამ ამ ცნობილ ჟურნალისტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლობისტობა მიანდო საფრანგეთში.[2] შეძლება ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას ჟანტიზონმა თავი წარმატებით გაართვა. 1921 წელს მისი ავტორობით პარიზში ფრანგულ ენაზე წიგნიც გამოიცა სახელწოდებით „საქართველოს აღორძინება" („La résurrection Géorgienne").

საქართველოში შექმნილი ვითარება და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საფრანგეთში საქმიანობა იმთავითვე

---

[1] Кутаренкова Т.С., Русская периодическая печать во Франции в 1920-х гг.: типология и проблемы развития. Вестник Российского государственного гуманитарного университета, 2012, №13 (93). Серия Филологические науки. Журналистика. Литературная критика, 118

[2] სცსსა, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ.129, ფურც. 97-98; 117-129..

მოექცა ფრანგული პერიოდული პრესის ყურადღების სფერო-ში, მაგრამ გაცილებით ბევრი ამ თემებზე 1924 წლის აგ-ვისტოს ცნობილი აჯანყების დღეებში დაიწერა.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლების საფრანგეთის პერიო-დული პრესა იდეური მრავლფეროვნებით ხასიათდება. მათგან ჩვენთვის საინტერესო პრობლემას ფართოდ აშუქებდნენ კო-მუნისტური, სოციალისტური და მემარჯვენე მიმართულების გამოცემები. ფრანგი კომუნისტების მთავარი გაზეთი „ლუმა-ნიტე“ („კაცობრიობა“ „L'Humanité“) იყო, გაზეთი „ლე კო-ტიდიენი“ („ყოველდღიური“, „Le Quotidien“) და ჟურნალი „ლე პოპულერი“ („სახალხო“, „Le Populaire“) სოციალის-ტებს ეკუთვნოდათ, ხოლო მემარჯვენე პოზიციებს ისეთი ჟურნალ-გაზეთები გამოხატავდნენ, როგორებიც იყვნენ: „ლე ფიგარო“ („Le Figaro”), „ლე პეტი პარიზიენ“ („პატარა პა-რიზელი”, „Le Petit Parisien”), „ლეკო დე პარი“ („პარი-ზული ექო”, „L'Écho de Paris”), „ლე მატენ“ („დილა“, „Le Matin”), „ლე პეტი ჟურნალ“ („პატარა ჟურნალი (გაზე-თი)“, „Le Petit Jurnal”) და სხვ.

მთელ საფრანგეთში ერთობ პოპულარული გაზეთის „ფიგაროს“ მფლობელი და დირექტორი 1922 წლიდან გახდა მსხვილი კორსიკელი მეწარმე, პარფიუმერი ფრანსუა კოტი (1874-1934). [1]გაზეთმა კოტის ხელში ულტრამემარჯვენე მი-მართულება შეიძინა და ფართო კამპანია გააჩაღა კომუნიზმის წინააღმდეგ.[2]

---

[1] ფრანსუა კოტის ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ სპირიდონ კედიასთან, რომე-ლმაც 1932 წელს თავისი გაზეთი პარიზში „საქართველოს გუშაგი” სწორედ ფ. კოტის ხელშეწყობით დააფუძნა. იხ. ჯანელიძე ო., სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2003, 176.

[2] Трыков В. П., Французская журналистика между двумя мировыми войнами http://modfrancelit.ru/frantsuzskaya-zhurnalistika-mezhdu-dvumya-mirovyimi-voynami-statya-v-p-tryikova/#.

სხვა საერთოეროვნული ყოველდღიური გაზეთებიდან ზომიერ მემარჯვენე ორიენტაციას ადგნენ „ლე ჟურნალ დე დება“ („დებატების ჟურნალი (გაზეთი)”, „Le Journal des débats“) და „ლე ტამ“ („დრო“, „Le Temps (Paris)“. ეს პერიოდული ორგანოები მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას ფლობდნენ და გავლენიან გამოცემებს წარმოადგენდნენ. ორივე მათგანი გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის, კომუნისტური და საერთოდ მემარცხენე იდეების მძაფრი კრიტიკით.[1] ამასთან, გაზეთ „Le Temps“-ში პრიორიტეტი საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ცხოვრების საკითხებს ჰქონდა მინიჭებული.

გაზვიადებული ჩანს რუსი ავტორის ვ. ანიკეევის მოსაზრება, რომ საზღვარგარეთული ინფორმაციის მოძალება ფრანგულ პრესაში ცხადყოფდა არა იმდენად გაზეთების დაინტერესებას საერთაშორისო ცხოვრების სერიოზულ პრობლემებით, რამდენადაც მისწრაფებას - გადაეტანათ საფრანგეთის საზოგადოების ყურადღება „ეგზოტიკური შეფერილობის რაღაც უცხოურზე“[2] და ამით ჩამოეშორებინათ იგი ქვეყნის შიგნით არსებული გამოწვევებისაგან.

საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ფრანგული ჟურნალ-გაზეთები სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს ეყრდნობოდნენ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ქართული ემიგრანტული წრეები და მათი პრესის ბიუროები, დიპლომატიური სამსახურები, ტელეგრაფისა და პრესის სააგენტოები.

ბევრი პერიოდული გამოცემა საფრანგეთის ყველაზე მთავარი საინფორმაციო სააგენტო ჰავასის („Agence Havas“) მასალებით სარგებლობდა. ჯერ კიდევ 1835 წელს შარლ

---

[1] Панарин И.Н., СМИ, пропаганда и информационные войны. М., 2012,64.

[2] Аникеев В.Е., История французской прессы (1830–1945) (учебное пособие) М., 1999. http://evartist.narod.ru/text19/036.htm

ლუი ჰავასის მიერ დაარსებულ ამ საინფორმაციო კომპანიას მსოფლიოს მრავალ კუთხეში გააჩნდა საკუთარი ბიუროები, რომელთა მეშვეობით ოპერატიულად კრებდა და ავრცელებდა ახალ ამბებს. მართალია, მას საქართველოში სპეციალური კორესპონდენტები იმხანად არ ჰყოლია, მაგრამ ინფორმაციებს მის შესახებ სხვა ქვეყნებში, უპირატესად თურქეთში, მოიპოვებდა.

ზოგიერთი ფრანგული გაზეთი რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს - POCTA-ს ცნობებს ეყრდნობოდა, ზოგი ამ ბოლშევიკურ „პროპაგანდისტულ ინსტიტუტს“ არ ენდობოდა, უპირატესობას რეიტერს (Reuters) ანიჭებდა ანდა მასალას სხვა მსხვილი გამოცემიდან („Daily Telegrap”, „Daily Herald”) გადმობეჭდავდა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია, ძირითადად ერთი წყაროდან მიღებული, ხშირად მეორდებოდა სხვადასხვა გაზეთში.

ცნობილია, რომ ქართული ემიგრაცია ევროპაში უმთავრესად სტამბოლის გავლით ხვდებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ამ ქალაქში თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის გარდა (კონსტანტინე გვარჯალაძე), საგანგებოდ შექმნილი „პოლიტიკური კომისიაც“ გააჩნდა (ხელმძღვანელები მიწათმოქმედებისა და იუსტიციის მინისტრები ნოე ხომერიკი და რაჟდენ არსენიძე. 1922 წლის შემოდგომაზე ნ. ხომერიკი აჯანყების მზადებასთან დაკავშირებით საქართველოში დაბრუნდა). სტამბოლის პოლიტიკურ კომისიაში შედიოდნენ სიმონ მდივანი, იოსებ გოგოლაშვილი, ვასო წულაძე და სხვ. კომისიასთან დაარსდა საინფორმაციო სამსახური დავით შარაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც უნდა დაპირისპირებოდა ბოლშევიკურ პროპაგანდას და საზღვარგარეთულ პრესაში რეგულარულად მოეთავსებინა მასალები ოკუპირებულ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საქართველოდან ინფორმაციას ძირითადად სანდო პირებისაგან გამოგზავნილი დაშიფრული წერილებით, ასევე თბილისში მდებარე რუსეთის წითელი არმიის შტაბიდან („ოკა“) მოპოვებული აგენტურული ცნობების სახით იღებდნენ.

სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა საქართველოს მთავრობის მიერ პარიზში ჩამოყალიბებულ ცენტრალურ საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისიასთან (თავმჯდომარე ნოე რამიშვილი, წევრები: ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე საბახტარიშვილი, ვლადიმერ ვოიტინსკი, იოსებ სალაყაია და სხვ.), რომლის მიზანს ევროპაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროპაგანდა წარმოადგენდა. ინფორმაცია კვირაში სამჯერ ექსპრესის – პარიზი-სტამბოლი-პარიზის – მეშვეობით იცვლებოდა.[1]

უცხოურ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობა მინდობილი ჰქონდა პარიზში არსებულ „საქართველოს საზღვარგარეთული პრესის ბიუროსა“ და ჟენევაში მოქმედ „ქართული პრესის ბიუროს“ (ხელმძღვანელი საქართველოს წარმომადგენელი ერთა ლიგაში ხარიტონ შავიშვილი).[2]

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებიდანაც ჩანს, რომ „ლეგაციაში შესდგა საინფორმაციო ბიურო, რომლის მოვალეობას შეადგენდა, მიეწვდინა ცნობები პარიზის პრესისათვის საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ”.[3]

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ფრანგულ პრესაში დასაყრდენად რომელიმე პერიოდული ორგანო არ ჰქონია. ემიგრანტ პოლიტიკურ მოღვაწეთა (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი) მიმართვები და კომუნიკეები სხვადასხვა, ძირითადად სოციალისტურ და მემარჯვენე მიმართულების გამოცემებში იბეჭდებოდა. ფრანგ სოციალისტებ-

---

[1] დაუშვილი რ., სტამბოლის პოლიტიკური კომისია, ჟურნ. „ომეგა”, 1999, XI, №1, 56-60.

[2] შარაძე რ., ხარიტონ შავიშვილი, თბ., 2004, 25-31.

[3] მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, ბათუმი, 1990, 223.

თან (ლეონ ბლუმი, გაზეთ „Le Populaire“ რედაქტორი პოლ ფორი და სხვ.) ქართველ სოციალ-დემოკრატებს ახლო ნაცნობობა და იდეური ნათესაობა აკავშირებდათ. ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენლები ურთიერთობდნენ ასევე სოციალისტებისა და რადიკალების ერთობლივი გაზეთის „Le Quotidien“-ის რედაქციასთან (რედაქტორი ფერდინანდ ბუისონი (Ferdinand Buisson), სარედაქციო კოლეგიის წევრები პიერ რენოდელი, ალფონს ოლარი[1] და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი სოციალისტებისა და რადიკალების მემარცხენე ბლოკი მემარჯვენე ძალებს უპირისპირდებოდა საშინაო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებში უთანხმოების გამო, საქართველოსთან მიმართებაში ისინი არსებითად სოლიდარულნი იყვნენ. ეს მკაფიოდ ჩანს მემარჯვენე პროფილის პერიოდიკიდან, რომლის ფურცლებზეც არცთუ იშვიათად შუქდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები და, განსაკუთრებით კი, ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლის პერიპეტიები.

ფრანგული პრესის პუბლიკაციები საქართველოს ეროვნული აჯანყების შესახებ ძირითადად 1924 წლის სექტემბრის თვით შემოიფარგლება. მასალა სხვადასხვა კატეგორიისაა და უმთავრესად „ახალი ამბებისა” და „პოლიტიკის” რუბრიკებშია მოქცეული. მეტი წილი ქრონიკას უჭირავს, გვხვდება ანალიტიკური მიმოხილვები და პოლემიკური სტატიებიც. პუბლიკაციები უმეტესად ხელმოუწერელია. ზოგჯერ ავტორი მხოლოდ ინიციალებითაა მითითებული, იშვიათად კი სრულად აწერს ხელს, როგორც ამას პოლ ჟანტიზონი, მარსელ კაშენი ან ანრი ბიდუ აკეთებდნენ. განხილულ პრესაში აჯანყების ამსახველი ფოტო მასალა არ იძებნება.

---

[1] ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, რადიკალ-სოციალისტი ალფონს ოლარი იყო „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ლიგის“ ვიცე-პრეზიდენტი და ერთა ლიგის ფრანგული ასოციაციის პრეზიდენტი.

პირველი ინფორმაცია აგვისტოს აჯანყების შესახებ პრესის მეშვეობით 1924 წლის 30 აგვისტოს გავრცელდა. ამ დღეს გამოქვეყნდა „მთავრობის ცნობა“ „საქართველოს სს რესპუბლიკის კომისართა საბჭოსაგან“, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ რატომღაც არა პირველ, არამედ მეხუთე გვერდზე დაბეჭდა.[1] 31 აგვისტოს იგივე ცნობა ცენტრალურმა რუსულმა გაზეთმა - საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურის - სსრკ ცაკ-ის ოფიციალურმა ორგანომ - „იზვესტიამაც“ გამოაქვეყნა.[2]მთავრობის ცნობაში ხაზგასმული იყო, რომ აჯანყება კონტრრევოლუციის მიზნით მოაწყო მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც შედგებოდა მხოლოდ მეფისდროინდელი ოფიცრების, თავადებისა და მსხვილ ვაჭრებისაგან.

ინფორმაცია საქართველოში შეიარაღებული აჯანყების შესახებ 1924 წლის 31 აგვისტოს რუსეთის სატელეგრაფო სააგენტომ (РОСТА) უცხოეთშიც გაავრცელა.

საბჭოთა სახელმწიფოში მარგინალებად გამოცხადებულ საზოგადოების ამ კატეგორიებზე მითითებით ბოლშევიკურ ხელისუფლებას ეროვნული აჯანყების დისკრედიტაცია სურდა. კრემლი დაწყებულ აჯანყებას კონტრევოლუციურ მოძრაობად ანუ ქვეყნის საშინაო პრობლემად იმ მოსაზრებითაც წარმოაჩენდა, რომ უნდოდა ამით ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს საკითხში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი მოესპო.

გაზეთმა „ლუმანიტემ“ РОСТА-ს აღნიშნული ცნობა უცვლელად გაიმეორა და არსებითად მისი პათოსი გაიზიარა. როდესაც იგივე ინფორმაცია ევროპის სხვა ქვეყნებშიც გამოქვეყნდა, ზემოთ ხსენებულმა ჟურნალისტმა პოლ ჟანტიზონმა ლოზანაში გამომავალ ფრანგულენოვან გაზეთში „Gazette de la Lausanne“ დაბეჭდა სტატია, რომელშიც ამ საკითხს სა-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ., 30 აგვისტო.

[2] გაზ. „Известия“, 1924 წ., 31 აგვისტო.

განგებო ყურადღება დაუთმო. „თავადის წოდებამ არ უნდა შეგვაცდინოს - ვკითხულობთ ტექსტში, იგი ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს ქართველთა გამათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მცირერიცხოვანი ქვეყნის დიდგვაროვანმა წოდებამ, 1918 წელს, უყოყმანოდ დაუჭირა მხარი რესპუბლიკას და უკანასკნელი პრივილეგიებიც კი უარყო სახელმწიფოს სასარგებლოდ. ქართველი თავადი დიდად განსხვავდება ევროპელი არისტოკრატისაგან. მას საერთო არაფერი აქვს არც გერმანელ „იუნკერთან", არც ინგლისელ „ლორდთან", არც ესპანელ „გრანდთან". იგი მოკლებულია კასტის ყოველგვარ სულისკვეთებას და ტიტული, რომელსაც იგი ატარებს, მედიდურობისა და თვითკმაყოფილების სინონიმად არ ჟღერს".[1]

იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ სხვა პუბლიკაციაში პოლ ჟანტიზონი მკაცრად აკრიტიკებდა რამსეი მაკდონალდს. ჟურნალისტის სიტყვით, ოპოზიციაში ყოფნისას მაკდონალდი თავისი ქვეყნის მთავრობისაგან ენერგიულად მოითხოვდა საქართველოს მხარდაჭერას, მას შემდეგ კი, რაც თვითონ გახდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი,[2] იგი ძველებურ აქტიურობას აღარ იჩენდა. „ძნელად ვიპოვით ევროპულ პოლიტიკურ ლიდერს, რომელსაც ისე გადაეხვიოს თავისი ნათქვამისათვის, როგორც ამას რამსეი მაკდონალდი სჩადის საქართველოსთან მიმართებით. რაც ლეიბორისტები ხელისუფლების სათავეში მოექცნენ, იგი ისე იქცევა, თითქოს კავკასიის პატარა რესპუბლიკა არც კი არსებულიყოს", – დასძენდა სტატიის ავტორი.

ფრანგული კომუნისტური პრესა, რომელიც არსებითად მოსკოვის მიერ იმართებოდა,[3] ოპერატიულად და ყოველგვარი

---

[1] „Gazette de la Lausanne", 1924 წ., 12 სექტემბერი.

[2] ლეიბორისტული პარტიის ლიდერი რამსეი მაკდონალდი დიდი ბრიტანეთის მთავრობას სათავეში ედგა 1924 წლის იანვარ-ნოემბერში.

[3] Cf. Courban Alexandre, L'Humanité, de Jean Jaurès à Marcel Cachin (1904-1939), Editions de l'Atelier, Paris, 2014.

კომენტარის გარეშე ბეჭდავდა საბჭოთა ლიდერების სიტყვებსა თუ შეფასებებს აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებით. საილუსტრაციოდ გამოდგება უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, იმჟამად ინგლისში საბჭოთა ელჩის, ქრისტიან რაკოვსკის დეპეშა, რომელიც „ლუმანტემ“ გამოაქვეყნა სათაურით: „საქართველოში სრული სიმშვიდეა“. მასში ხაზგასმულია: „ქართველი მენშევიკები არ წყვეტენ შეთხზულ ამბავთა ბეჭდვას, რამაც წალეკა პრესა. ეს მოთხრობები, რაც მათი ფანტაზიის ნაყოფია, შეთითხნილია კონსტანტინოპოლში, ბუქარესტში, ვარშავაში. ყველა მათგანს ანტისაბჭოთა განწყობა კვებავს და გაჯერებულია ფუჭი ოცნებით, რომ მენშევიკები საქართველოში დაკარგულ ხელისუფლებას საფრანგეთის მთავრობის დახმარებით დაიბრუნებენ“. რაკოვსკი ცდილობდა დაერწმუნებინა მკითხველი, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი არ დგას“, რომ იგი ახლახან აღიარა რუსეთმა[1] და ეს დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. პირიქით, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ იგი საზეიმოდ დაადასტურა“ და სხვ.[2]

ამის საპირისპიროდ, იმავე დღეებში სხვა ფრანგულმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ „საქართველოს მთებში აჯანყებულები გააფთრებით ებრძვიან მათზე ბევრად მრავალრიცხოვან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. მოსკოვმა ესესაა კავკასიაში გაგზავნა სახელგანთქმული გენერალი ბუდიონი. იგი უხელმძღვანელებს ქართველ პატრიოტთა წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს“, – ვკითხულობთ იქვე.[3]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმავე „ლე მატენში“ აჯანყებული საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურად

---

[1] იგულისხმებოდა რსფსრ-სა და საქართველოს სსრ შორის 1921 წ. 21 მაისს გაფორმებული „მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება”.

[2] „L'Humanité“, 1924 წ., 17 სექტემბერი.

[3] „Le Matin“, 1924 წ., 18 სექტემბერი.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი ლევ ტროცკიცაა დასახელებული. მასალაში სათაურით „ნადირობა იწყება“, დაბეჭდილია ტროცკის ფოტოსურათი სანადირო თოფით ხელში, ტექსტი კი ასეთია: „ეს ფრინველებზე მონადირე ტროცკი გახლავთ. მან ეს-ესაა, ჩაიბარა მეთაურობა ქართველთა წინააღმდეგ. ვაითუ „წითელი კაცი" გნოლებზე ნადირობას არ დასჯერდეს“.[1]

გაზეთ „Le Quotidien“-ის 1924 წლის 12 სექტემბრის ინფორმაციით, რუსეთსა და საქართველოს შორის საკომუნიკაციო საშუალებები მოიშალა. თითქოს „რუსეთიდან წითელი არმიის დასახმარებლად მომავალი 48-ე დივიზია ჩრდილოკავკასიელმა ავჯანყებულებმა შეაჩერეს. მათ დაანგრიეს გროზნო-ხასავიურტის რკინიგზა. ამ რეგიონში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს“.[2]

აგვისტოს ავჯანყების ზოგადკავკასიურ ხასიათზე მიუთითებდა გაზეთი „L'Avenir“-იც, როდესაც წერდა: „ეს არის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მასთან ერთად აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის მთელი მოსახლეობის მასობრივი გამოსვლა. ...მიმდინარე მოძრაობა ორი საპირისპირო ლოგიკის შეჯახებაა: საბჭოთა ხელისუფლებისა და კავკასიელი ხალხისა. საბჭოეთს ხელახლა სურს კავკასიელი ხალხის დამორჩილება, ეს უკანასკნელი კი დაკარგული თავისუფლების ხელახლა მოპოვებისათვის იბრძვის“.[3]

„L'Information“-ის სიტყვით: „იარაღი საქართველოს ფარგლებს გარეთაც, ჩრდილო კავკასიელებმა - ჩერქეზებმა, ოსებმა, თერგის კაზაკებმა, დაღესტნელებმაც აისხეს. ... კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს ავჯანყებას ვერ დავარქმევთ. ეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალი ომია დამოუკიდებლობისათვის.“

---

[1] „Le Matin“, 1924 წ., 18 სექტემბერი.

[1] „L'Avenir“,1924 წ., 21 სექტემბერი.

[3] „L'Information“,1924 წ., 17 სექტემბერი.

ჟურნალმა „Le Populaire“ გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთლის მიმართვები საფრანგეთის სოციალისტური პარტიის (იგივე მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექცია) და მისი ლიდერის პოლ ფორისადმი. მიმართვებს, რომლებიც დაბეჭდილია სათაურით „აჯანყებული საქართველო. ბოლშევიკური არმიის სისასტიკე“, მცირე წინასიტყვაც უძღვის. რადგან ეს მასალა ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულიად უცნობია, პუბლიკაცია მოგვაქვს მთლიანად:

„ჩვენმა მკითხველმა ყოველდღიური გაზეთებიდან უკვე იცის, რომ ქართველი ხალხი აჯანყდა მოსკოვის ხელისუფლების ჯარების მიერ თავსმოხვეული ტერორისა და ჩაგვრის რეჟიმის წინააღმდეგ. კავკასიაში სისხლი იღვრება. საქართველო ვაჟკაცურად იბრძვის დამოუკიდებლობისათვის.[1]

ამის შესახებ სოციალისტური პარტიის მდივანმა შემდეგი წერილი და ტელეგრამა მიიღო. მარტო მათი გაცნობაც კმარა, ვითარების მთელი სიმძიმე რომ წარმოვიდგინოთ.

ძვირფასო მეგობარო,

საბჭოთა ხელისუფლების ერთი ოფიციალური ტელეგრამის მიხედვით, ეს ესაა დახვრიტეს 43 ქართველი, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, იმ ბრალდებით, რომ ისინი ვითომცდა აჯაყების მეთაურები ყოფილიყვნენ.

სინამდვილეში ეს უბედურები 28 აგვისტომდე, აჯანყების დაწყების დღემდე, დიდი ხნით ადრე დააპატიმრეს და მძევლად ჰყავდათ ციხეში. მხედველობაში მყავს სოციალისტები: ხომერიკი, ჩეკა-ს ტყვე 1923 წლის ოქტომბრიდან, სალუქვაძე, 1922 წელს დაჭერილი, ფაღავა, 1924 წლის იანვარში, ჯუღელი, 6 აგვისტოს, ჩხიკვიშვილი, 1924 წლის ივნისში, ასათიანი, წელიწადზე მეტი ხნის წინ დაპატიმრებულები. ყველა ისინი საყოველთაო კენჭისყრით არჩეული

[1] „Le Quotidien“, 1924 წ., 12 სექტემბერი.

დეპუტატები იყვნენ და მთელი თავიანთი ცხოვრება მუშათა მოძრაობის სამსახურში გაატარეს.

იგივე ბედი ელის საქართველოსა თუ რუსეთის ციხეებში ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაპატიმრებულ მრავალ ქართველს.

მოსკოვის მთავრობა განუსჯელად ანადგურებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ვიმედოვნებთ, რომ სოციალისტური სამყარო ხმას აიმაღლებს ამ ბარბაროსული ქმედების წინააღმდეგ.

მიიღეთ ჩემი სოციალისტური სალამი.

პატივისცემით,

წერეთელი, ინტერნაციონალის აღმასრულებელი

კომიტეტის წევრი.

ერთიანი სოციალისტური პარტია,

ფეიედოს ქუჩა 12, პარიზი

როგორც იქნა, მოსკოვის მთავრობამ ცივილიზებული სამყაროს წინაშე ნიღაბი ჩამოიგლიჯა. მან დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად ავჯანყებული საქართველოს წინააღმდეგ დამპყრობლური ომი წამოიწყო. ბოლშევიკური რაზმები ბათუმში გადმოსხდნენ და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ სისხლიანი რეპრესიები წამოიწყეს. ისინი ჟლეტენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, ცეცხლს უკიდებენ სახლებს, ანადგურებენ სოფლებს. შუა საუკუნებში ველური ურდოების მიერ საქართველოს დალაშქვრა მოსკოვის ბარბაროსობასთან შედარებით ნაკლებ საზარელი გვეჩვენება. გემუდარებით, აიმაღლეთ ხმა ქართველი ერის დასაცავად, რომელიც მოსკოველი დამპყრობლის წინააღმდეგ იბრძვის და მოითხოვეთ კონფლიქტის გადაჭრა არბიტრაჟის გზით.

ნოე ჟორდანია,

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე.[1]

გავეცნოთ პოლ ფორის პასუხსაც:

ამხანაგო ჟორდანია,

ფრანგი სოციალისტები გულის სიღრმემდე შეძრა საქართველოს ამბებმა და თქვენმა მიმართვამ. ისინი კიდევ ერთხელ გმობენ რუსეთის მოქმედებას საქართვლოს წინააღმდეგ, რაც ერის თვითგამორკვევის უფლების დარღვევაა.

ფრანგ სოციალისტებს სურთ, ქართველი ამხანაგების წინაშე გამოხატონ თანაგრძნობა და მათ ჰპირდებიან, რომ ყოველ ღონეს იხმარნ, რათა დაეხმარონ კონფლიქტის არბიტრაჟის გზით მოგვარებაში.

პოლ ფორი, პარტიის გენერალური მდივანი.[2]

აღსანიშნავია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მიმართვის საფუძველზე, საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ გარკვეული ზემოქმედება სცადა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებაზე და მას ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა:

რუსეთის მთავრობა, მოსკოვი.

საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის, საბჭოეთის მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და მსოფლიოში მშვიდობის დამყარების პრინციპებიდან გამომდინარე, სოციალისტური პარტია (მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექცია) რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვს შეწყვიტოს ყოველგვარი საომარი ოპერაცია საქართველოში და დათანხმდეს, რომ მიმდინარე სისხლისმღვრელი კონფლიქტი გადაეცეს არბიტრაჟს.

პოლ ფორი, სოციალისტური პარტიის გენერალური
მდივანი.[1]

---

[1] ,,Le Populaire“, 1924 წ., 18 სექტემბერი.

[2] ,,L'Avenir“, 1924 წ., 21 სექტემბერი (,,L'Avenir“ ბელგიაში გამომავალი ფრანგულენოვანი გაზეთი იყო).

გაზეთ „ლე ტამ“-ის ცნობით, რომელიც სააგენტო რეიტერის ინფორმაციას ეყრდნობა, ნოე ჟორდანიას მიუმართავს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რამსეი მაკდონალდისთვისაც და უთხოვია, ეშუამდგომლა მოსკოვის წინაშე, რათა შეწყვეტილიყო სისხლისღვრა, ხოლო კონფლიქტი არბიტრაჟის გზით მოეგვარებინათ[2] (საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების მეთაურებისადმი ნოე ჟორდანიას მიმართვის შინაარსი გაზეთებმა „Le Matin“-მა და „L'Intransigeant“-მა გამოაქვეყნეს).[3]

საბჭოთა რეჟიმთან დაპირისპირებული საქართველოს გამოსარჩლების თხოვნით საქართველოს ემიგრირებული მთავრობის თავმჯდომარე ერთა ლიგასაც დაუკავშირდა. ფრანგულ პრესას არც ეს ფაქტი დაუტოვებია ყურადღების გარეშე. ერთ-ერთი გაზეთი, განიხილავდა რა ამ საკითხს, წერდა: „ერთა ლიგა მეტად უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან არ შეუძლია, თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყნებს სამხედრო დახმარება აღუთქვას. თუმცა მას შეუძლია მათდამი მორალური თანადგომა გამოხატოს და ევროპული ქვეყნები, რომელთაც მოსკოვზე დიპლომატიური ზემოქმედება შეუძლიათ, წააქეზოს კავკასიელი ხალხის უფლებათა დასაცავად“.[4]

საგულისხმოა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს უფლების მხურვალე დამცველად მოგვევლინა საფრანგეთის დელეგაციის წევრი პოლ-ბონკური (იგი ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეის მიერ 1924 წლის სექტემბერში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციის მიღების ერთ-ერ-

---

[1] „L'Avenir“,1924 წ., 21 სექტემბერი.

[2] „Le Temps“, 1924 წ., 10 სექტემბერი.

[3] „Le Matin“, 1924 წ., 17 სექტემბერი; „L'Intransigeant“, 1924 წ., 17 სექტემბერი.

[4] „L'Information“, 1924 წ., 17 სექტემბერი.

თი ინიციატორი იყო).[1] მას მიაჩნდა, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოში სისხლი იღვრება, მიზანშეწონილი არ არის აკადემიური დისკუსია არბიტრაჟზე და უშედეგო იქნება აგრეთვე მოწოდება საბჭოთა რუსეთისადმი, „შეისმინოს ხალხისა, რომელიც თავისუფლებისთვის იბრძვის.“ პოლ-ბონკურის სიტყვით: „ეს იმას ნიშნავს, ბოლშევიზმს მოვთხოვოთ ისე მოიქცეს, თითქოს დასავლეთის დემოკრატია ყოფილიყოს“.[2]

გაზეთ „ლე ფიგაროში“ დაიბეჭდა პუბლიცისტ ანრი ბიდუს მოზრდილი სტატია „საქართველოს საკითხი“, რომელიც გარკვეულ ანალიტიკურ წიაღსვლებსაც შეიცავს. ავტორი ცდილობს, მკითხველი გაარკვიოს 1922 წელს შექმნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სტრუქტურულ აღნაგობასა და სამართლებრივ ლაბირინთში. განმარტავს, თუ რის საფუძველზე აცხადებდა კრემლი საქართველოს საკითხს საშინაო პოლიტიკის საკითხად. ა. ბიდუს სიტყვით, „ტფილისი მოსკოვთან რკინის სალტითაა შეკრული“, საქართველოს რესპუბლიკა შედის ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში, რომელიც, თავის მხრივ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნაწილია.

სტატიის მიხედვით, რუსები საქართველოში დაწყებულ აჯანყებას არ თვლიან „ეროვნულ აჯანყებად უცხოელთა წინააღმდეგ“ და საბუთად ის მოჰყავთ, რომ ამ რესპუბლიკაში 7 000 საბჭოთა მოხელიდან 6 000 ქართველია, ასევე მთლიანად ქართველებისაგან შედგება გასულ იანვარში არჩეული მთავრობა.

პუბლიცისტი თანაუგრძნობს საქართველოს, როდესაც წერს: „შეუძლებელია, სიმპათიით არ განვიმსჭვალოთ ამ

---

[1] Louis Le Fur, საქართველოს საერთაშორისო უფლება (თარგმანი ფრანგულიდან), პარიზი, 1933, 27.

[2] „Le Temps“,1924 წ., 14 სექტემბერი.

ერის მიმართ, რომელიც, ცხადია, ძალმომრეობას განიცდის 1921 წლიდან“. მაგრამ იგი საფრანგეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებსაც ითვალისწინებს და დასძენს, რომ არ უნდა დაივიწყონ მრავალრიცხოვან წარუმატებელ ჩარევათა გამოცდილება. „საკითხი არც ისე ნათელია“, აუცილებელია მისი სამართლებრივი მხარის გარკვევა სანამ მოქმედებაზე გადავალთ, რათა საფრანგეთი ჩიხში არ მოვამწყვდიოთ.

საქართველოში მიმდინარე ავჯანყების შესახებ ფრანგული გაზეთები ზოგჯერ გაზვიადებულ ინფორმაციასაც ბეჭდავდნენ. მაგალითად, „Le Temps“-ს თანახმად, რომელიც „ქართველთა პარიზული წრეების ცნობას“ ეყრდნობა, „საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია, თბილისისა და ბათუმის გარდა, ავჯანყებულთა ხელშია. ბრძოლები ...აზერბიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზები ავჯანყებულებმა გადაკეტეს და მოძრაობა თბილისი-ალექსანდროპოლის ხაზზე შეწყვეტილია“. ამავე გაზეთის სხვა ქრონიკული მასალა „ინგლისური წყაროების“ დამოწმებით იუწყებოდა, რომ „თბილისი და ქუთაისი ავჯანყებულთა ხელში გადავიდა. საბჭოთა მთავრობა ზღვიდან აპირებს ბათუმზე შეტევას. მღელვარება ვოლგისა და ურალის მხარეებშიც გავრცელდა”.[1]

„Le Journal des Débats“-ი კონსტანტინოპოლიდან მიღებული დეპეშის საფუძველზე წერდა, რომ „მღელვარებამ ვანის ოლქიც მოიცვა. ახლახან იქ გაიგზავნა ყარსის გარნიზონის ორი ბრიგადა“.[2]

„L'Information“-მა გაავრცელა „Chicago Tribune“-ს ტრაპიზონელი კორეპონდენტის დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ბათუმი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გასწვრივ, თორმეტიოდე პუნქტში, სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხ-

[1] „Le Temps(Pariz)“,1924 წ., 12 სექტემბერი.

[2] „Le Journal des Débats“, 1924 წ., 21 სექტემბერი.

და. ...ტიფლისსა და ბათუმს შორის მდებარე სურამის გვირაბი აჯანყებულებმა დაანგრიეს. უეჭველია, დედაქალაქსაც მალე ჩაიგდებენ ხელში. ...უკანასკნელი ცნობების თანახმად, თბილისის ქუჩებში ქართველებმა ბარიკადები ამართეს და მოწინააღმდეგეს ისე ებრძვიან".[1]

ეს გარემოება ჰქონდათ მხედველობაში ქართულ საბჭოთა გაზეთებს, რომლებიც დროდადრო ბეჭდავდნენ ნაწყვეტებს უცხოური პერიოდული პრესიდან აჯანყების შესახებ და თან ირონიულ კომენტარებს ურთავდნენ. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ინფორმაციას ფრანგული გამოცემიდან ასეთი წანამძღვარი აქვს: „საქართველოს მენშევიკების „აჯანყება" გრძელდება ... საფრანგეთში".[2]

ბოლშევიკების მხარეზე გადასული ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) კონსტანტინე სულაქველიძეც წერდა, რომ ევროპის პრესას ყალბ, მოგონილ ცნობებს სტამბოლი აწვდიდა.[3]

დაახლოებით იგივეა აღნიშნული გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მოგონებებშიც. გენერლის სიტყვით, „ლეგაცყასთან არსებული საინფორმაციო ბიურო აწვდიდა უცხოეთისა და რუსულ პრესას კონსტანტინოპოლში მენშევიკების წარმომადგენლის მიერ შეთხზულ ცნობებს. ამ ცნობების მიხედვით აჯანყება საქართველოში საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა. მეამბოხეთა ხელში იყო ყველა მნიშვნელოვანი ქალაქები, რკინის გზა და სხვა".[4]

კონსტანტინოპოლში საქართველოს ემიგრირებული მთავრობის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე გვარჯალაძე გადაჭრით უარყოფდა ამ აზრს. წერდა: „ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. პირიქით, თითქმის

---

[1] „L'Information",1924 წ., 17 სექტემბერი.

[2] გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 7 ოქტომბერი.

[3] გაზ. „კომუნისტი", 1924 წ., 14 მარტი.

[4] ლორთქიფანიძე გრ., ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995, 224.

ყველა ჩვენს მიერ სტამბოლიდან პარიზში მიწოდებული ცნობები გამართლდა. ხოლო, რასაც უცხო კორესპონდენტები აწვდიდნენ ევროპას აჯანყების შესახებ უმთავრესად თურქული პრესის წყაროდან - ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვეხება".[1]

მოგვიანებით გამოქვეყნებულ კ. გვარჯალაძის წიგნში ვკითხულობთ: „ევროპაში ბოლშევიკების მიერ გავრცელებულ ყალბ და გამოგონილ ინფორმაციას ჩვენ ჩვენი ნამდვილი ცნობები დავუპირისპირეთ. აჯანყების დროს სტამბოლიდან თითქმის ყოველ დღე იგზავნებოდა საქართველოს ამბები პარიზში თუ ევროპის სხვა კუთხეებში".[2] მართლაც, უცხოური გაზეთების პუბლიკაციები საქართველოს შესახებ არც თუ იშვიათად იწყებოდა სიტყვებით: „სტამბოლიდან მიღებული ინფორმაციით", ან კიდევ - „საქართველოს ლეგაციიდან მიღებული ცნობებით".

საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ფრანგულ პერიოდიკაში ბინარულად შეფასდა. კომუნისტურმა პრესამ გაიზიარა საბჭოთა ოფიციალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად, შეიარაღებული გამოსვლა ავანტურა იყო; რომ იგი კონტრრევოლუციის მიზნით მოაწყო მცირერიცხოვანმა ბანდამ, მეფისდროინდელი ოფიცრების, თავადებისა და მსხვილ ვაჭრების შემადგენლობით. აჯანყება არ გასცდენია „რამდენიმე დასახლებულ პუნქტს" და მალევე იქნა აღკვეთილი.

ფრანგული სოციალისტური და მემარჯვენე გამოცემების მიხედვით, აჯანყება იყო ქართველი ხალხის მასშტაბური ბრძოლა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ, რომელიც

---

[1] გვარჯალაძე კ., კოწია სულაქველიძე, ჟურნ. „ბრძოლა", 1926, №10-11, 28-29.

[2] გვარჯალაძე კ., საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936, 42.

მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგულმა პერიოდულმა პრესამ, თავისი პუბლიკაციებით, მნიშვნელოვნად განაპირობა ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი და სოლიდარული საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. საფრანგეთის პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილიც ქართველი ხალხის სწრაფვას ეროვნული თავისუფლებისაკენ გულისხმიერებით შეხვდა და მორალური მხარდაჭერაც გამოხატა. მაგრამ ეს იყო თანადგომა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ დონეზე. რაც შეეხება ჩარევას სახელმწიფოებრივ დონეზე, ამისაგან საფრანგეთის ხელისუფლებამ, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რომელთა შორის უკანასკნელი არ იყო საბჭოთა კავშირთან მოსალოდნელი კონფრონტაცია, თავშეკავება ამჯობინა.

ქართველი ერის გმირულმა შემართებამ და თავგანწირვამ 1924 წლის ზაფხულში სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ გაღებულ დიდ მსხვერპლს უკვალოდ არ ჩაუვლია. საგულისხმოა, რომ აგვისტოს აჯანყების როგორც ეროვნული, ისე ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა სრულად გააცნობიერა ფრანგულმა პრესამ, ყველაზე თვალსაჩინოდ კი იგი „Gazette de la Lausanne“-მ გამოთქვა. გაზეთის სიტყვით: „კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკამ, რომელიც დაჩაგრული ერის კლასიკური ნიმუშია, ეროვნული თავისუფლების ამაღლებული იდეალისადმი თავდადების მაგალითიც გვიჩვენა. ... აჯანყება შესაძლოა ...ჩაახშონ, მაგრამ საქართველომ ამით მსოფლიოს წინაშე კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი შეუზღუდავი უფლება თავისუფლებისა“.[1]

[1] „Gazette de la Lausanne“,1924 წ., 12 სექტემბერი.

Otar Janelidze
Ilia State University, Institute of Politology
Maya Varsimashvili-Rapaeli
University Paris 10

UPRISING OF AUGUST, 1924 AND THE FRENCH PERIODICAL PRESS

RESUME

In 1921-1924 French periodical press whose many bodies were kindly disposed to Georgian nation's fighting for freedom and declared its strong solidarity to it, made a serious contribution in the matter of actualization of Georgian issue on the international arena. However, the issue still has not been studied in Georgian historiography.

In the article we attempt on the bases of the analysis of the specific material to rectify that omission. There are discussed the editions of the publications given in French communist ("L'Humanité"), socialist ("Le Quotidien"; "Le Populaire") and the rightist ("Le Figaro"; "Le Petit Parisien"; "L'Écho de Paris"; "Le Matin", "Le Petit Jurnal"; "Le Temps (Paris) on the subject of the uprising in August of 1924 in Georgia.

Publications of French newspapers and magazines' on the abovementioned issue are mainly put in different categories of "the policy" and "the news". Most of the place is taken by the chronicles, one can also come across analytical observations and disputable articles. In the investigated publications there are not found any photo materials related to the uprising .

Uprising in August of 1924 in Georgia was binary assessed in the French periodicals. The official view was shared by the Soviet Communist press, according to which the armed action was an adventure; Socialist and and the right-wing magazines and newspapers perceived the uprising as a

struggle of the people against the Bolshevik occupation, which was aimed at the restoration of independence of Georgian's statehood.

დალი კანდელაკი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ცნობები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ

რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების კვლევა მე-19 საუკუნის რუსულ სამხედრო მემუარულ ლიტერატურაში აქტუალურია დღესდღეობით ამ ქვეყნებს შორის განვითარებული მოვლენების ფონზე. საკითხის შესწავლა ხელს შეუწყობს ამ ურთიერთობების სპეციფიკის სიღრმისეულ გაგებას.

საქართველოში მე-19 საუკუნის რუსული სამხედრო მემუარული ლიტერატურა ნაკლებადაა შესწავლილი. ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ისტორიული პირებისა თუ მოვლენების შეფასებისას. კავკასიაში მოსამსახურე სამხედრო პირების ჩანაწერები და დღიურები მკვლევრისათვის შეუფასებელი მასალაა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მათი მოგონებები კავკასიაში მიმდინარე ომების, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დამყარების პროცესში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური პროცესებისა და რეფორმების შესახებ. სამხედრო მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი მიზანია ეპოქის სულისკვეთების გამოხატვა და სწორედ ამ თვალსაზრისით იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს.

მე-19 საუკუნის რუსულ სამხედრო მემუარულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კავკასიის თემას. ეს ნაწარმოებები არც ჟანრობრივად და არც თემატურად არაა ერთგვაროვანი - მოთხრობები, ჩანაწერები, დღიურები, ესეები, ეთნოგრაფიული და ისტორიული ნარკვევები საინტე-

რესო წყაროთმცოდნეობითი მასალაა რეგიონის კვლევისათვის და მათი შესწავლა აქტუალურ საკვლევ პრობლემას წარმოადგენს.

მრავალფეროვანია თავისი მნიშვნელობითა და ინფორმატიულობით რუსული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის - დეკაბრისტების - ცნობები კავკასიის, კერძოდ, საქართველოს შესახებ. მემუარები, ჩვეულებრივ, იწერებოდა მათში აღწერილი მოვლენების გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ადრე დაწერილი დღიურების, პირადი არქივებისა და თანამებრძოლთა მონათხრობის საფუძველზე. ამასთანავე, ბევრი სამხედრო პირი აქტიურად იყენებდა სამხედრო დოკუმენტაციას. იღებდნენ დამატებით ინფორმაციას სხვა წყაროებიდანაც და იქმნებოდა წარსული მოვლენების სრულფასოვანი აღწერილობა. ისტორიული მოვლენების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი სუბიექტური მიდგომა და ფაქტობრივი მასალის დამახინჯების შემთხვევები.

საქართველოში 1828 წლიდან მთავრობის ოფიციალური ორგანოს რუსული გაზეთის „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ პარალელურად გამოდიოდა ქართული ყოველკვირეული გაზეთი „ტიფლისის უწყებანი“. გაზეთში იბეჭდებოდა მთავრობის დადგენილებები, ახალი ამბები, განცხადებები, პუბლიცისტური წერილები და სხვა მასალები. ამ გაზეთში დაიბეჭდა ასევე რუსი დეკაბრისტების ვ. ს. სუხორუკოვის, ე. ე. ლაჩინოვის, ი. გ. ბურცოვის, ა. ა. ბესტუჟევისა და სხვათა ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ სამხედრო მემუარების დიდი ნაწილი კავკასიური ომების დასრულების შემდეგ გამოიცა. 1876 წელს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, კავკასიის არმიის მთავარსარდლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით გამოიცა „კავკაზსკი სბორნიკის“ პირველი ტომი. შესავალში აღნიშნული იყო, რომ „ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული იმ მდიდარი სამხედრო-ისტორიული მასალის სისტემატური დამუშავება, რომელიც ეხებოდა კავკასიაში რუსული მმართვე-

ლობის დამყარებას.“[1] კრებულის გამოცემას თავისი შორსმიმავალი გეგმებიც ჰქონდა, რათა რუსული არმიის ძველი დიდება არ გამქრალიყო და მომავალი თაობებისათვის უკვდავი ყოფილიყო კავკასიური ომების მონაწილეების სახელები და გმირობა.[2] ამ კრებულის პირველსა და მეორე ტომში დაიბეჭდა დეკაბრისტ ევდოკიმ ემელიანეს ძე ლაჩინოვის (1799-1875) ისტორიული ნარკვევი "აღსარება".[3]

ე. ლაჩინოვი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. პირველად 1816-1817 წლებში ალ. ერმოლოვის ელჩობას ახლდა ირანში, ხოლო მეორედ 1827 წლის დასაწყისში, დეკაბრისტების ავჯანყების შემდეგ, მიესავჯა სასჯელი და ჯარისკაცად ჩამოქვეითებული გამოიგზავნა კავკასიაში, მოქმედ არმიაში. ის მსახურობდა რიგითად მე-20 ქვეით დივიზიაში. როგორც ჩანს, ბრძოლის პარალელურად, თავისუფალ დროს, ის ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. ,,მისი ნაწარმოებები, რომლებიც გამსჭვალული იყო მოწინავე იდეებითა და პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით, იბეჭდებოდა ხელმოწერის გარეშე რუსეთის სხვადასხვა გამომცემლობების მიერ, მათ შორის დედაქალაქის გამომცემლობებშიც. ე. ლაჩინოვის უეჭველ ლიტერატურულ მიღწევებზე ისიც მეტყველებს, რომ მათგან რამდენიმეს ავტორად თანამედროვეები ა. ს. გრიბოედოვს მიიჩნევდნენ. სპარსეთის კამპანიაში მონაწილეობისათვის ე. ლაჩინოვს უნტერ-ოფიცრობა მიანიჭეს, ხოლო თურქე-

---

[1] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/под ред. гвардейской артилерии полковника Чернявскаго. Тифлисъ. Типография окружнаго штаба Кавказского военного округа. 1876. Т. 1. С. VIII.

[2] იქვე.

[3] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/под ред. гвардейской артилерии полковника Чернявскаго. Тифлисъ. Типография окружнаго штаба Кавказского военного округа. 1876. Т. 1. С. 123-196; 1877. Т. 2. С. 75-115.

თის ომისათვის კი - პრაპორშიკობა[1]. ოფიცრის ჩინი აძლევ-და მას უფლებას გადამდგარიყო სამხედრო სამსახურიდან, რაც მან გააკეთა კიდეც. 1833 წელს ის დაბრუნდა საცხოვ-რებლად მამისეულ მამულში ნატალინოში.“[2]

დეკაბრისტ ევდოკიმ ლაჩინოვის ჩანაწერები მნიშვნე-ლოვან ცნობებს შეიცავენ 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებისა და ჩრდილო კავკასიელი ხალხის წინააღმდეგ რუსეთის მიერ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციების შესახებ. ის იყო ამ პროცესების უშუალო თვითმხილველი და მონაწილე. თავის დღიურებში ის გამოხატავს დიდ ინტერესს როგორც ომში მონაწილე ადამიანების ბედისადმი, ასევე მშვიდობიანი ადგილობრივი მოსახლეობისადმი; ასევე დაწვრილებით აღწერს რუსი ოფი-ცრების ყოველდღიურ ცხოვრებასა მათ ადაპტაციას ომის ექსტრემალურ პირობებში.

ე. ლაჩინოვი მიიჩნევდა, რომ კავკასიის საკითხი მე-ტად მნიშვნელოვანია და ის უნდა გადაიჭრას ადგილობრივი ცხოვრების სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე.[3]

ნარკვევის „აღსარება“[4] პირველ ნაწილში ე. ლაჩინოვი აღნიშნავს, რომ ბრძოლაში მონაწილეობის პარალელურად მას ერევნის ოლქის დაწვრილებითი სტატისტიკური აღწერა ევალებოდა. ნაშრომიდან აშკარად იკვეთება რუსი დეკაბრის-ტის აუტანელი ყოფა კავკასიაში, რომელიც ვერ ეგუება იმ გარემოს, რომელშიც უწევს ყოფნა და მოგონებებით ცხოვ-რობს. შესაბამისად, ის ზრუნავდა თავის კარიერაზე, რათა დროულად დაეღწია თავი მისთვის გაუსაძლისი პირობებისა-

---

[1] ოფიცრის ყველაზე დაბალი ჩინი მეფის რუსეთის არმიაში.

[2] Газета Касторенского района Курской области, «Вести», 14.09.2012.

[3] Шадури В., Декабристская литература и грузинская общественность. Тб.:Заря Востока, 1958. С.280.

[4] ზოგიერთი ავტორი უწოდებს „ჩემი აღსარება“.

თვის. 1828 წელს თურქეთთან დაწყებული ომი მას არსებული მდგომარეობიდან გათავისუფლების იმედს აძლევდა და ცდილობდა ხელმძღვანელობის ყურადღება მიექცია.

ნაწარმოებში ე. ლაჩინოვი აღნიშნავს, რომ არ იყო ყველა მოვლენის თვითმხილველი; ის მხოლოდ იმიტომ გადმოსცემს ამ ამბებს, რომ თურქეთის ომის თაობაზე ჩანაწერების ერთიანობა არ დაირღვეს; ის მიუთითებს, რომ ამიტომაა ეს აღწერილობები საკმაოდ მოკლე და ამ ცნობების საფუძველს კი ოფიციალური ინფორმაციები წარმოადგენს.[1]

მეფის რუსეთის წინააღმდეგ იარაღის აღმმართველი რუსი რევოლუციონერისათვის გასაგები იყო სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიელი ხალხის მიზნები, თუმცა რუსეთის არმიას მხოლოდ განმათავისუფლებელ ძალად წარმოგვიდგენს, რომლის დახმარების გარეშე ადგილობრივი მოსახლეობა ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევდა. ე. ლაჩინოვი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი მოქმედებების დროს, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, ადგილობრივი მოსახლეობის რუსული არმიისადმი კეთილგანწყობას. ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ რუსების წასვლის შემდეგ ხალხი არ აპირებდა თურქებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე დარჩენას; ხალხი მხოლოდ რუსებს ენდობოდა, მათ პატივს სცემდნენ და ძმებს უწოდებდნენ. ნაშრომის პირველ ნაწილში მოთავსებულ 20 ოქტომბრით და 2 დეკემბრით დათარიღებულ წერილებში ის რამდენჯერმე იმეორებს, რომ რუსები დაპყრობილ ადგილებში მყარად გრძნობდნენ თავს და კავკასიის რომ რუსები საშიშები არიან მხოლოდ ბრძოლისას და მოწინააღმდეგეს, რომელიც იარაღს დატო-

[1] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/под ред. гвардейской артилерии полковника Чернявскаго. Тифлисъ. Типография окружнаго штаба Кавказского военного округа. 1876. Т. 1. С. 144-145.

ვებს, მტრად არ მიიჩნევენ, გაიგეს რა ეს, სრულად და თამამად მიენდნენ.[1]

ე. ლაჩინოვი აღტაცებით საუბრობს კავკასიის კორპუსის მიერ წარმოებულ ბრძოლებზე, მათ თავდადებაზე. აღნიშნავს, რომ ქვეყნად ყველაზე საუკეთესო ჯარებს შეუძლიათ მათგან ისწავლონ სამხედრო ხელოვნება. ყარსისა და ახალციხისათვის წარმოებული ბრძოლების შემდეგ ასე აქებს ამ კორპუსს: „ახლანდელი კამპანია კავკასიის კორპუსისათვის უფრო ბრწყინვალეა, ვიდრე სპარსეთისა; ყარსის აღებამ, ბრძოლამ ახალციხის კედლებთან და მისმა შტურმმა სამართლიანად უნდა დაიკავოს ადგილი რუსული იარაღის სასახელო მიღწევებს შორის.“[2]

ავტორი ჩამოთვლის ახალქალაქის, ხერთვისის, ახალციხის, აწყურისა და არდაგანისათვის მებრძოლ სამხედრო დანაყოფებს და მათ მეთაურებს, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ბრძოლების ისტორიას, აღწერს სამხედრო ნადავლს, ორივე მხრიდან დაჭრილებისა და მოკლულების რაოდენობას.

1828-1829 წლებში რუსეთის არმიის რიგებში მამაცურად იბრძოდა მრავალრიცხოვანი ქართველი მოხალისე და ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ე. ლაჩინოვი არაერთ საქებარ სიტყვას უძღვნის. განსაკუთრებით ხაზს უსვამს ახალციხელების თავდადებულ ბრძოლას: ‘‘ახალციხელები ცნობილი არიან თავისი სიმამაცით და არანაირად არ ჩამორჩებიან კავკასიელი მთიელების ყველაზე სასტიკ ხალხებს – თვით შეიარაღებული ქალებიც კი მონაწილეობენ ბრძოლაში.’’[3] ის მოგვითხრობს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით წარმოებულ ბრძოლებზე, კერძოდ, ბაიაზეთისა და

---

[1] იქვე, გვ. 160; გვ. 180.

[2] იქვე, გვ. 147.

[3] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/1876. Т. 2. С. 146.

თოფრაკ-კალეს აღების შესახებ. აღნიშნავს, რომ თურქები რაოდენობრივად ყოველთვის აღემატებოდნენ რუსულ ჯარს, მაგრამ თავადს მაინც ვერ აჩერებდნენ.[1]

„კავკაზსკი სბორნიკის“ პირველ ტომში მოთავსებულ ნარკვევში ე. ლაჩინოვი ეხება ქართული ჯარისათვის რუსეთიდან პროვიანტის მოწოდების საკითხსაც, რაც თურმე ხაზინისათვის უდიდეს დანახარჯს წარმოადგენდა. მისი აზრით, ეს საკითხი მოგვარებადია იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თურქეთთან წარმოებული ომისას ახალ ტერიტორიებს, კერძოდ, ყარსისა და ახალციხის საფაშოს მიიერთებს. ის დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ტერიტორიულად გაფართოების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში შესაძლებელი იქნება ისეთი მარაგის დაგროვება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება პროდუქტით როგორც ჯარის ნაწილები, ასევე 1826 წელს სპარსელების მიერ განადგურებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა. ავტორი აღნიშნავს, რომ არეულობებისა და თესლის უქონლობის გამო, მაცხოვრებლები არ თესავენ მინდვრებს. ისინი მეტად მწირად იკვებებიან, მხოლოდ მჟავე რძე, ყველი, დამარილებული ბალახეულობა და ამის მსგავსები, ხშირად მათ პურის ერთი ნაჭერიც კი არ აქვთ.[2]

დეკაბრისტი მწერალი ყარსის მეზობელ ქვეყნებთან ვაჭრობის საკითხსაც ეხება და აღნიშნავს, რომ ეს პროცესები მეტად გაცხოველებული იყო: ყარსი ეწეოდა ვაჭრობას საქართველოსთან, სპარსეთთან და თურქეთთან. ავტორის ნათქვამის მიხედვით, საკმაოდ მრავალფეროვანი პროდუქცია მიეწოდებოდა ყარსს საქართველოდან, როგორიცაა: ყავა, მაუდი, აბრეშუმი, რუსული ტილო, ბამბა, რომი, ღვინო, ორაგული, ნავთი, ხალიჩები, თექა, ტყავი, დოლაბები და ცხენები ყაზახის დისტანციიდან. ახალციხიდან - ცვილი, თაფლი, ტილო,

[1] იქვე, გვ. 175.
[2] იქვე, გვ. 132.

ხილი, სამშენებლო ხე-ტყე, ხოლო თვით ყარსიდან კი მეზობელ ქვეყნებში გადიოდა პური, მარილი და ნაწილობრივ – ხე.

ე. ლაჩინოვის ჩანაწერების მეორე ნაწილი, ანუ წერილები გენერალური შტაბის კანცელარიის მმართველ ფროლოვისადმი, ეძღვნება 1832 წელს კავკასიის მთიელების მიმართ გენერალ-ადიუტანტ ბარონ გრიგოლ როზენის და კავკასიის მხარის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ალექსეი ველიამინოვის მიერ წარმოებული სამხედრო ექსპედიციების აღწერას. ნარკვევში აღწერილია 1832 წლის 2 ივლისიდან 3 სექტემბრის ჩათვლით კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების ამბები.

ავტორი აღშფოთებას ვერ მალავს კავკასიელების წინააღმდეგ წარმოებული სასტიკი და უსარგებლო ექსპედიციების გამო; საჭიროდ მიიჩნევს სისტემის შეცვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ნაბიჯები ვერ უზრუნველყოფენ მთიელების სრულ დამორჩილებას.[1] სანამ ექსპედიციებს არ ექნება საფუძვლიანად გათვლილი საბოლოო მიზანი, იქამდე ჯარები, და მასთან ერთად ამ მხარის საქმეებიც, ისეთივე წარმატებით წავა წინ, როგორც აქამდე მიდიოდა.[2] ე. ლაჩინოვს უჭირს დასკვნის გაკეთება ამ ქმედებებიდან როგორც კავკასიისათვის, ასევე რუსეთისათვის სარგებლისა თუ ზიანის შესახებ.

ე. ლაჩინოვი ნაშრომის სხვადასხვა გვერდებზე ზოგჯერ ერთი და იმავე საკითხის თაობაზე განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა. მაგ.: 90-ე გვერდზე საუბრობს ჩეჩნების წინააღმდეგ ქართველი ცხენოსანი პოლკის მებრძოლების განსაკუთრებულ ხასიათზე. აღნიშნავს, რომ ისინი კავკასიელ ხალხს შორის გამოირჩევიან მამაცობით, არ ეშინიათ მოწინა-

---

[1] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/1876. Т. 2. С. 81.

[2] იქვე, გვ. 88.

აღმდეგესთან ბრძოლისა, მაგრამ არასოდეს არ დასცინიან მოკლულ მტერს; ამას თავისი კანონებით ხსნიან, რომ არ შეიძლება მოკლულის დაცინვა, მისთვის თავის მოჭრა ან ცხედრის დამახინჯება.[1] რუსი გენერალი ალექსეი ველიამინოვი კი ქართველების ასეთი საქციელის გამო აღშფოთებას ვერ მალავს და ბრძანებას გასცემს: „ისინი სისულელეს ამბობენ, არ დაუჯეროთ მათ და მომიტანეთ თავები.“[2] თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, 6 აგვისტოს სოფ. ალა-მურზაიურტისათვის წარმოებული ბრძოლის შემდეგაც, ვერ მიიღო ძღვნად ქართველებისგან მტრის მოჭრილი თავები. განსხვავებული, სრულიად საპირისპირო მოსაზრებაა ნარკვევის 108-ე გვერდზე, როცა ქართველების მიერ ჩეჩნებისათვის დაუნდობლად თავის მოჭრის ფაქტებზე საუბრობს. ავტორისათვის მისაბაძია თუშების ხასიათი, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ თავიანთი სამხედრო მიღწევებისათვის.

ე. ლაჩინოვი კმაყოფილებით აკვირდებოდა რუსული ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობას ადგილობრივი მოხელეებისა და დიდებულების მიმართ. ძღვენი, დღესასწაულები – ეს იყო რუსების მხრიდან კეთილგანწყობილი და შორსგანჭვრეტილი ქმედება, რომლის მიზანს კავკასიელების ნდობის მოპოვება წარმოადგენდა. ავტორი გამოხატავს რწმენას, რომ ეს იყო შორსმიმავალი გეგმა, რომელიც რუსებისა და სხვა სარწმუნოების ხალხის დაახლოებას ითვალისწინებდა.

ავტორის სიტყვებიდან ნათელი ხდება, თუ რატომ დაარქვა თავის ნაწარმოებს „აღსარება“ - „თუმცა, ღვთის გულისათვის, ნუ მოითხოვთ ჩემგან ყველა ჩვენი ქმედების გააზრებულ განმარტებებს. მე ეს არ ძალმიძს; რაც შემიძლია, ვცდილობ გავარკვიო. თანაც, ნუ მოითხოვთ ჩემგან წესების საფუძვლიან დადგენას, რომელსაც ეფუძნება ჩვენი

[1] იქვე, გვ. 90.
[2] იქვე, გვ. 91.

ქმედებები მშვიდობიანებთან და დაუმორჩილებლებთან... ჩემს ჩანაწერებში ნუ ეძებთ პიროვნებების კრიტიკას, არამედ - სიკეთის გულითადი სურვილი ჩვენი დედა რუსეთისათვის".[1] ნარკვევიდან იკვეთება, რომ სპარსულ და თურქულ აგრესიასთან ბრძოლის აუცილებლობა საკუთარი დღიურების შექმნას შთააგონებდა.

განსაკუთრებულ ფერებში ხატავს ავტორი საქართველოს იმ ადგილების ბუნებას, სადაც მოუწია გავლა. ადარებს რა სომხეთს, აცხადებს, რომ თვით ბუნებამაც კი გაავლო ხაზი საქართველოსა და ერევნის ოლქს შორის, რომელსაც სიბრალულის დაღი ესვა.

საინტერესოა ე. ლაჩინოვის თვალით დანახული თბილისი და რუსული ხელისუფლების დამსახურება ქალაქის წინსვლის საქმიანობის კუთხით: „მდინარე მტკვრის ნაპირის გასწვრივ შესანიშნავი გზაა. ორივე ნაპირს ბაღები აკრავს, მდინარის უკან ჰოსპიტლებია, იქეთ და აქეთ უწყვეტი მოძრაობაა და ნელ-ნელა ჩნდება ტიფლისი, თავისი მრავალი შესანიშნავი ნაგებობით... ვერ შევნიშნე, რომ ქალაქში ისევ ყოფილიყო აშენებული კარგი სახლები, რომლებიც მას დაამშვენებდა, - მიუხედავად იმისა, რომ ტიფლისმა სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინის ჩამოსვლის შემდეგ სრულიად განსხვავებული იერსახე მიიღო. მრავალი მოედანი და ქუჩა გასწორდა, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, სახლებისა და დუქნების ფასადები დამშვენდა, შეღებილი ღობეები მაინც მალავენ ჯერ კიდევ დაუმთავრებელს – წესრიგი, მოწყობა, სისუფთავე გვიჩვენებს პოლიციის საქმიანობას. ერთი სიტყვით, ქალაქის საუკეთესო ნაწილები შესაძლებელ სრულყოფილებას აღწევენ და თუ გენერალი სიპიაგინი აქ დიდხანს დარჩება, არ არის გასაკვირი, რომ ტიფლისი მოსკოვზე ლამაზი გახდება."[2]

---

[1] Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/1876. Т. 2. С. 99-100.

[2] იქვე, გვ. 127-128.

ე. ლაჩინოვის ჩანაწერებს გარკვეული ისტორიული მოვლენების მეტ-ნაკლები სიზუსტე ახასიათებს. გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომი გამოქვეყნებულია ავტორის სიკვდილის შემდეგ, ზოგიერთ მოვლენებს აფასებს რუსეთის ოფიციალურ ინფორმაციებზე დაყრდნობით. მიუხედავად ამისა, მათი გათვალისწინება რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების მკვლევრებს საკმაოდ დიდ დახმარებას უწევს მრავალი საკითხის გარკვევაში.

დამოწმებანი:

Отрывок из «Исповеди» - г. Лачинова//Кавказский сборник/под ред. гвардейской артилерии полковника Чернявскаго. Тифлисъ. Типография окружнаго штаба Кавказского военного округа. 1876. Т. 1. С. 123-196; 1877. Т. 2. С. 75-115.

Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800-1830 гг. Отв. ред.: М. Габричидзе. Тб.: Типография «Заря Востока». 1946.

Шадури В., Декабристская литература и грузинская общественность. под ред.: Г. Бебутова. Тб.: Заря Востока. 1958.

Dali Kandelaki
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE DECEMBRIST EVDOKIM LACHINOV'S INFORMATION CONCERNING RELATIONS BETWEEN OF RUSSIA AND THE COUNTRIES OF THE CAUCASUS REGION

RESUME

The Caucasus topic is a significant issue in the literature of Russia military memoirs of 19th century. The information related to the Russia-Persian war in 1826-1828, Russia-Turkey war in 1828-1829 and Russia's military expedition against North Caucasus people in the essay "Confessions". He was real observer and participant of those events. E. Lachinov expresses a great interest in those participated in the wars as well as local civilians. There are cases of Georgian's fighting in the wars, the depiction of Tbilisi and information related to Georgians trade with neighbor countries, ets.

ივორ კეკელია
მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ - I (მორიც ვაგნერი)

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველი და კავკასიელი ხალხის მრავალმხრივი შესწავლისადმი, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ცნობილ გერმანელ მოგზაურს, გეოგრაფსა და ბუნებისმეტყველს, მიუნხენის აკადემიის წევრს - **მორიც ვაგნერს** (1813-1887 წწ.). მისი თხზულება XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს. ნაშრომი 1850 წელს გამოქვეყნდა ლაიფციგში, ხოლო გერმანული ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა 2002 წელს განახორციელა გია გელაშვილმა. ნაშრომის სახელწოდებაა „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“. წიგნის VIII-IX-X თავებში ვაგნერი აღწერს იმერეთსა და სამეგრელოს, ამ მხარეთა სამეურნეო და სულიერ ცხოვრებას, ეკონომიკურ მდგომარეობას, საცხოვრებლებს, ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას, რუსულ საბაჟო კანონებს, რედუტ-კალეს, ფოთის ციხეს, ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას, ხობისა და მარტვილის მონასტრებს[1].

ავტორი მისი თხზულების მიზანს შემდეგი სახით გადმოგვცემს: „ჩემი მიზანია გარკვეული წვლილი შევიტანო ამ

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

ქვეყნების ცოდნაში, ვიწრო ჩარჩოებში დავხატო კოლხეთის თანამედროვეობა, ბუნება და ხალხი და არა ისტორიული სურათი წარმოვადგინო, რომელიც არსებული მდიდარი მასალებით ძალზე ადვილად შეიძლება გადაღებულ იქნას...“[1].

ვაგნერმა 1843-46 წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, სომხეთში, ქურთისტანსა და სპარსეთში[2]. მის ნაშრომში მოცემულია მსჯელობა მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ. კერძოდ, ტფილისზე საუბრისას მოგზაური შენიშნავს, რომ აქ მეგრელები და სვანებიც ცხოვრობენ. ორივე ხალხი ქართული წარმოშობისაა, მაგრამ სახის გამომეტყველებითა და ხასიათით საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: „მეგრელები ლამაზი ხალხია, კეთილშობილური სახის წყობით; მათი სახის ფერი ისეთი მკრთალია, კანი ისეთი თეთრი, როგორც შუა და ჩრდილოეთ ევროპის ულამაზეს ხალხებში; მათ აქვთ წყნარი და მშვიდობისმოყვარე ხასიათი“[3]. სხვაგან აღნიშნავს, რომ მეგრელები და ლაზები „ქართველების ნათესავები არიან ენით და მოდგმით (გვარით), მაგრამ ისე განსხვავდებიან მათგან, როგორც იტალიელები და ესპანელები, გერმანელები და სკანდინავიელები“[4].

იმერეთიდან გამომგზავრებული ვაგნერი 7 სექტემბერს სწვევია მარანს; იქ ბრტყელი ნავი დაუქირავებია და მდ. ფაზისზე (რიონი) დაშვებულა. მოგზაური შენიშნავს, რომ თუკი ქუთაისთან რიონი ჯერ კიდევ სწრაფია და უზარმაზარ ლოდებს მხიარულად ახეთქებს კლდოვან ნაპირებს, მარანს ქვემოთ მისი ბორგვა მშვიდი სიდიადით იცვლება და მდორედ მიედინება. მცირე დაქანების გამო წყლის დინება ძლივს შე-

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 153.

[2] გელაშვილი გ., შესავალი წიგნისა: მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 5.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 36.

[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 43.

იმჩნევა. მდინარის ოდნავ მომაღლო ნაპირები უსიერი ტყეებით და ლიანებითაა დაფარული. ნაპირზე ნიადაგი იმდენად სველია, რომ გადმოსვლა არც ისე იოლია, რადგან ფეხი ლამის მსგავს მცენარეულ საფარში ეფლობა ადამიანს... კალაპოტის მცირე დაქანებისა და იმის გამო, რომ თავთხელი არ გვხვდება, და ლოდები წყალში არსადაა, ფაზისი ორთქლის გემებისათვისაა გამოსაყენებელი ფოთიდან იმერეთის საზღვრამდე. ვაგნერის მონათხრობიდან ირკვევა, რომ მარანს ქვემოთ მცენარეული მიწით გაჟღენთილ წყალს ზედაპირსა და ფსკერზეც უგემური ჭაობის გემო აქვს და თითქმის არ დაილევა. იგი იმოწმებს ფლავიუს არიანეს ცნობას, რომ ფაზისის შესართავთან ჯერ კიდევ იყო არგოსდროინდელი ქვის ღუზა. ავტორი იცნობს ესქილეს თხზულებასაც, სადაც ფაზისი აზიისა და ევროპის სასაზღვრო მდინარედ მოიხსენიება...

რიონის სანაპირო ლანდშაფტს მოგზაური შატობრიანის მიერ აღწერილ მისისიპისა და ოჰაიოს უდაბურ ადგილებს ამსგავსებს. სამეგრელო ერთადერთია, სადაც ამერიკული ლანდშაფტი ამოიცნობა... იგი მცენარეული სიძლიერითა და ქალწულებრივი მშვენიერებით არაფრით ჩამოუვარდება მისისიპისა და ამაზონის გაუვალ ტყეებს[1]. სხვა ადგილას შენიშნავს, რომ „გურია, სამეგრელო და იმერეთის დასავლეთი ნაწილი ძველი კოლხეთის ულამაზესი ნაწილებია, ბევრად ლამაზი ტრაპეზუტის ლანდშაფტზე, რომელიც მე მოგვიანებით ვიხილე. ფაზისის მიდამოები ფოთსა და მარანს შორის შეიძლებოდა უბრწყინვალესად ჩაგვეთვალა ძველ სამყაროში“[2].

ვაგნერი ქუთაისის შემოგარენის განსაკუთრებულ ღირსშესანიშნაობად მიიჩნევს ევნუხების რუსული კოლონიის არსებობას მარანში. მისი ცნობით, ისინი არიან რუსეთის მთავ-

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 124-126.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 123.

რობის მიერ რელიგიური ფანატიზმისთვის ჩვეული სიმკაცრით დასჯილი და დასჯის მიზნით კავკასიაში გადმოსახლებული საჭურისები. აქ, მარანთან და ნარზანთან (Narazan – 20 ვერსზე ვლადიკავკაზიდან), მათ შეუქმნიათ სამხედრო კოლონიები. „რუსეთში არის სექტა - სტარევერცი, ე. ი. ძველმორწმუნენი, - წერს ვაგნერი, - რომლის მიმდევრები ბიბლიის ერთი ადგილის მცდარად გაგების გამო გარკვეულ ასაკში ისაჭურისებენ თავს. მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ბევრ ქალაქში, თვით რიგაშიც კი ცხოვრობენ ეს იშვიათი ფანატიკოსები, რომლებიც სხეულის სამარცხვინო დამახინჯების საშუალებით იმედოვნებენ ზეცაში დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი... მე საკმაო რაოდენობით ვიხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავადებულნი ენდემური ავადმყოფობებით, წვანან ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. მკრთალი მიწისფერი, სიგამხდრე და საზიზღარი ქალური გამომეტყველება უწვერო ქოსა სახეებისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ჯარისკაცებისგან ერთი შეხედვით გამოგარჩევინებს“[1].

სამეგრელოსა და გურიას შორის საზღვრად ძირითადად **რიონი** მიიჩნეოდა, მაგრამ ვაგნერის სამოგზაურო ჩანაწერებიდან ირკვევა და სხვა წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ რიონის მარცხენა ნაპირის ტერიტორიაც სამეგრელოს პროვინციას ეკუთვნოდა. ვაგნერის თქმით, მენავეებმა გზა გაიკვლიეს ულრანში და საღამოჟამს **რიონის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე მეგრულ ქოხს მიაგნეს**. მოგზაური გულისტკივილით დასძენს: „ალბათ მოვა დრო, როცა ფაზისზე გაქრებიან მკვიდრები, ხოლო სლავი მოახალშენეები დაამუშავებენ ამ უდაბურ ადგილებს და მეგრულ რასას და ენას მხოლოდ ისტორია მოიგონებს“[2].

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 115-116.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 126-127.

XIX საუკუნის დამდეგისათვის სამეგრელოსა და გურიას შორის ცილობის საგანს წარმოადგენდა პალიასტომის ტბა და მდინარეებს - ფიჩორსა და რიონს - შორის მდებარე ტერიტორია. საზღვარი გადიოდა მალთაყვის შესართავიდან მდ. ფიჩორას გასწვრივ, შემდეგ კი საზღვრის ხაზი უხვევდა ცხენისწყლის რიონთან, შესართავისკენ. პალიასტომი გურიის სამთავროს ეკუთვნოდა, მაგრამ სამეგრელოს სამთავროსთან ბრძოლაში ტბაც დაკარგა და რიონსა და ფიჩორს შორის მდებარე ტერიტორიაც[1]. საარქივო საბუთებით და XIX საუკუნის I ნახევარში შედგენილი რუკების მიხედვით სამეგრელო-გურიის საზღვარი ფიჩორაზე გადის[2].

სამოგზაურო ჩანაწერებში ნახსენებია შავ ზღვასთან ხობისწყლის შესართავი. მდინარე კვეთს რედუტ-კალეს და ქალაქთან ერთვის პონტოს. იგი საკმაოდ ღრმაა, მაგრამ სამ ფუტზე მეტი წყალშიდის მქონე გემებს მდინარეში შესვლა არ შეუძლიათ, რასაც ხელს უშლის ზღვის შესართავთან დაზვინული ქვიშა. ამ მიზეზით ბარგის შეძლებისდაგვარად სწრაფად გადმოტვირთვისთანავე გემები ყოველთვის ჩქარობენ ღია ზღვაში გაბრუნებას. ვაგნერი გვაუწყებს, რომ რიონის შესართავთან მდებარე ფოთის ნავსადგური და სამეგრელოს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე ანაკლიაც არ არის უხიფათო ნავსადგური... კოლხურ სანაპიროს შედარებით უხიფათოდ ადგება ძალიან დაბალი წყალშიდის მქონე პატარა თურქული ცალიალქნიანი გემები, რომლებიც სამსუნიდან, სინოპიდან და ტრაპეზუნტიდან მოდიან რედუტ-კალეში და მონებითაც ვაჭრობენ. ეს გემები ახერხებენ მდინარეთა თავთხელ შესართავებში ადვილად შესვლას. მათ მეპატრონე-

---

[1] ცინცაძე ზ., გურიის ადმინისტრაციული ტერიტორია, თბ., 1980, გვ. 57.

[2] მსჯელობისათვის იხ. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბ., 1957, გვ. 51-52.

ებს შეუძლიათ ვაკე ადგილებში არცთუ დიდი გაჭირვებით ნაპირზე ცალიალქნიანი გემების ამოთრევა[1]. შავ ზღვასთან ხობისწყლის შესართავს ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად **ბულაზს** უწოდებს, რაც თურქულად „ზღვის ყურეს“ ნიშნავს.

ზღვისპირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იგი მოხსენიებულია ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და „სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო“ პუნქტი[2]. XVIII ს-ის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი პუნქტს მოიხსენიებს **ანაკრიას** ფორმით[3]. უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ანაკლია თავის რუკაზე დატანილი აქვს კასტელს[4];

ერთ-ერთ ნახატზე კი შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში“ (სურ. №473). პირველი წყარო, სადაც ანაკლიაა დასახელებული, არის ლუი გრანჟიეს 1615 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი ამ პუნქტს ჰერაკლიად მოიხსენიებს. პატრ ძამპის მიერ რომის პაპისადმი 1675 წელს გაგზავნილ წერილში დასახელებულია „ანაკრია“ და „არკამა“[5]. ანაკლიაზე ცნობები

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 134-135.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 134.

[3] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 779.

[4] დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 187; სურ. №524.

[5] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 204-205.

დაცულია ფრანგი მოგზაურის – ჟან შარდენის ნაშრომში[1]. ლამბერტი კოლხიდის (ოდიშის) მონასტერთა ჩამონათვალში ასახელებს ანაკრიას (Anarghia) და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (Heraclea) იყო. მისივე მითითებით აქ უწინ საეპისკოპოსოც ყოფილა, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება[2]. გიულდენშტედტის თქმით, ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავთან[3]. ანაკლიას ახსენებს შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან XIX ს. 30-იან წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში. გერმანელი მეცნიერ-მოგზაური ედუარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. აიხვალდი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალე-დან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხ-რეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია“.

ფაზისსა და მდ. ხობს შორის ვაგნერი მიუთითებს ძველ წყალდამაკავშირებელს ცივაკანალის (Tsivakanal) სა-ხელწოდებით. ამ არხს ფრანგ თანამგზავრებთან ერთად იგი ორჩხომელით სწვევია. არხისპირა მწვანე საოცრების მნახ-ველ ფრანგებს გულითადი აღტაცება გამოუხატავთ[4]. აქ საუ-ბარია არხზე, რითაც რიონი და ცივა//ცია ერთმანეთს უკავ-შირდებოდა. მისი გაყვანის იდეა ეკუთვნოდა რუს მოხელე ლიტვინოვს. არხის გაჭრა 1804 წელს დაწყებულა, ხოლო

---

[1] ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ვ. ბარნო-ვისა. ა. გაწერელიას წინასიტყვაობით, ტფ., 1935, გვ. 255.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011, გვ. 138.

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 325, შენიშვნა.

[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 130.

არხით სავაჭრო მიმოსვლა - 1812 წელს[1]. იონა მეუნარგია იმოწმებს მორენასის მიერ კავკასიის მთავარმართებელ პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილს, რითაც ირკვევა, რომ 1824-1825 წლებში აღნიშნული არხის მშენებლობა განუახლებია, გაუფართოვებია და დაუმთავრებია ოდიშის მთავარ ლევან V დადიანს[2]. მისივე ცნობით, რიონ-ცივის არხი გაუფართოვებიათ კავკასიის მეფისნაცვლის - ვორონცოვის დროსაც. არხის განახლებაში ყულევსა და რიონს შორის სამდინარო გზის წესრიგში მოსაყვანად დიდი შრომა გაუწევია სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს (1840-1853 წწ.), რისთვისაც მისთვის ვორონცოვს მადლობა გადაუხდია[3]. არხის გაყვანამ ხელი შეუწყო რედუტ-კალეში ინტენსიურ სავაჭრო საქმიანობას. 1812 წლიდან ფოთიდან აქ გადმოსახლებას იწყებენ ბერძენი ვაჭრები, რაზეც ყურადღებას ამახვილებს სპასკი-ავტონომი[4].

სამეგრელოზე საუბარს ვაგნერი სამოგზაურო ჩანაწერების IX თავშიც აგრძელებს და ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის რედუტ-კალეზე, სადაც იგი ცივა-არხის გავლით ჩასულა. ავტორი მას „მეგრულ სანაპირ ქალაქად“ მოიხსენიებს და შენების წესით გერმანულ იარმარკას ადარებს, „შემდგარს ორი უსასრულოდ გრძელი, ხის ბარაკის ტიპის სახ-

---

[1] პაჭკორია მ., რედუტ-კალე. თბ., 1968, გვ. 14, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

[2] მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, გვ. 107, 108.

[3] მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939, გვ. 109; მ. პაჭკორია, რედუტ-კალე, 1968, გვ. 14.

[4] პაჭკორია მ., რედუტ-კალე. 1968, გვ. 14-15; სიხარულიძე ი., კეკელია ი., ყულევი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია (სამუშაო პროგრამა და მასალები), ქუთ., 2014, გვ. 87.

ლების რიგისგან, რომლებიც მიწიდან ერთი ფუტის სიმაღ-ლის ხის ბოძებზეა შემდგარი"[1]. მოგზაურის შეფასებით ნოვო-როსიის ქალაქებიდან რედუტ-კალე მსგავსებას პოულობს დონის კაზაკთა დედაქალაქ ნოვოჩერკასკთან[2].

გეოგრაფიული სახელწოდების - **რედუტ-კალეს** საის-ტორიო ლიტერატურაში დამკვიდრება უკავშირდება XIX ს-ის დასაწყისიდან ხობისწყლის შესართავთან არსებულ ნავსად-გურში რუსეთის ჯარის ნაწილების ჩაყენებას. ეს ნავსად-გური მანამდე ყულევის სახელით იყო ცნობილი და მისი ის-ტორია 1804 წლიდან, ანუ იმ დროიდან, რაც ყულევი და მისი მიდამოები რუსეთის ქვეითმა პოლკმა დაიკავა, სულ სხვა გზით წარიმართა[3].

ყულევი სოფელი და თემის ცენტრია ხობის მუნიციპა-ლიტეტში, შავი ზღვის ნაპირზე, ხობისწყლის შესართავთან. ქალაქ ხობს 18 კმ-ით არის დაშორებული. პ. ცხადაიას დაკ-ვირვებით, „სოფლის მთელი მოსახლეობა განთავსებულია ერთ ქუჩაზე, რომელიც მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს სოფ. ყორათიდან ისტორიული ციხესიმაგრის ნანგ-რევებამდე"[4]. სახელწოდების იშვიათი ვარიანტია **კულე**. ნ. ასათიანის ვარაუდით, სოფლის სახელწოდება თურქული **ყუ-ლიდან** („მონა") უნდა წარმოდგებოდეს. არგუმენტი: „ხობის შესართავიდან ხომ ოსმალებს ქართველი ტყვე-მონები გაყავ-დათ". კერძო საუბარში გამოთქმულ ამ აზრს იზიარებს მ. პა-ჭკორია და დასძენს: „ასეთ მოსაზრებას იქნებ ეხმაურება „ყულისკარი", რომელიც ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთი სო-ფლის სახელწოდება იყო"[5].

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 133.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 133.

[3] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 3.

[4] ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბ., 2007, გვ. 220.

[5] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 8; სქოლიო.

მონის აღმნიშვნელი სიტყვა „ყული“ არც თურქული წარმოშობის სიტყვაა და მას არც „ყულევთან“ აქვს რაიმე საერთო. ყულევის ფუძე არაბული „კულეს“ სახენაცვალი ფორმაა (ყულე), ხოლო **-ევ** გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსია. ოსმალობის ჟამს იქ „კულედ“ იწოდებოდა თავად ჯაიანის კოშკი. ამ კოშკს XIX ს-ის დამდეგს რუსული სიმაგრეც (რედუტ-კალე) მიემატა. ამ სოფლის ერთ-ერთი გვიანდელი სახელი იყო **რედუტ-კალე**: „რედუტი“ ფრანგული სიტყვაა და „მცირე ციხეს“ ნიშნავს, ხოლო „კალე“ არაბულად „ციხეა“. რედუტად იწოდა რუსთა მიერ 1804 წელს აგებული ციხე (Землянной редут)[1]. კ. სპასკი-ავტონომოვი სახელწოდება „რედუტ-კალეს“ ხობის შესართავთან კაზაკების დამკვიდრებას (1804 წ.) უკავშირებს და წერს, რომ ხობისწყლის ზღვასთან შესართავთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე მათ ააგეს რედუტი, ხოლო იქ, სადაც ხობი და ცივი უერთდება ერთმანეთს, შეიმჩნევა გარედან აგურით მოპირკეთებული ქვის ორი კედელი. ამ ძველი კედლების ნანგრევებზე ნათლად შეიმჩნევა ნაყარი მიწით შემაღლებული ადგილი, რაზეც თავადმა ჯაიანმა ხის კოშკი ყულევი ააშენა. იქ მდგარი დაცვა მეთვალყურეობას უწევდა შავი ზღვის სანაპიროს. ტყით დაფარული კოშკი ზღვიდან შეუმჩნეველი იყო. სპასკი დასძენს, რომ სწორედ კაზაკების მიერ აგებულმა რედუტმა და ჯაიანის ძველმა კოშკმა კულემ, ანუ კალემ მისცა სახელი დღევანდელ რედუტ-კალეს[2].

---

[1] სიხარულიძე ი., კეკელია ი., ყულევი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. 2014, გვ. 86.

[2] Спасский-Автономов, 1847, 55, VIII, გვ. 25; პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 6-7; მისივე, ყულევის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 34

რედუტ-კალეს ისტორიის მკვლევარი მამანტი პაჭკორია იმოწმებს ფოთის ნავსადგურის პროექტების შედგენასა და მშენებლობაზე მომუშავე ინჟინერ შავროვის ცნობას, რომლის თანახმად, ხობის სანაპიროზე დაბინავებულმა ბელევის სამხედრო ნაწილებმა მალე იქ გააშენეს „Земляной редут. редуту этому прибавили слово Кале, что значит „крепость“[1]. რედუტ-კალეს ციხის მშენებლობა რამდენიმე წელიწადს მიმდინარეობდა, რასაც მოწმობს 1808 წლის 24 იანვრის ცნობა, კერძოდ, მთავარმართებლის მიერ სამხედრო მინისტრ პროზოროვსკისადმი გაგზავნილი მოხსენება, რაშიც აღნიშნულია: „რედუტ-კალეში მე ისეთი სამხედრო სიმაგრის აგება ვუბრძანე, რომ ჯარის მცირე რიცხვითაც შეიძლებოდეს მტრის ყველა შემოტევის მოგერიება. ციხე-სიმაგრის მშენებლობა მალე დამთავრდება“-ო[2]. მდინარის მარცხენა მხარეს შემორჩენილ აღნიშნულ ნაციხარს ადგილობრივი მოსახლეობა ჯიხას „ციხის“ სახელით მოიხსენიებს.

ვაგნერის ინფორმაციით, რედუტ-კალეს, როგორც სავაჭრო პუნქტის, ზრდა-განვითარებას ხელს უშლიდა კოლხეთის შავიზღვისპირა ზოლში ვრცელი ჭაობების არსებობა. განსაკუთრებით სწრაფად და ხშირად მზარდი მცენარეულით მოფენილი სამეგრელო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი მხარეა. იმის გამო, რომ ამ ბარაკების ქალაქის საფუძველი სველი და ჭაობიანია, მიწაზე ერთი ფუტის სისქის კენჭებია მოყრილი, რათა ყოველ წვიმიან დღეს კაცი ტალახიან ქუჩაში არ ჩაეფლოს. იმის გამო, რომ კოლხეთის სანაპიროს არც ერთი კარგი ნავსადგური არ გააჩნია, ზღვაოსნობა და ვაჭრობა გაძნელებულია. კავკასიაში ყველაზე ცუდი და საშიში რედუტ-კალეს ღუზის ჩასაშვები ადგილია, რადგან აქ არც ყურეა და არც რეიდი. ღია ნაპირისკენ მქროლა-

[1] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 7.
[2] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 31.

ვი დასავლეთისა და სამხრეთის ქარების გამო ზომიერი ღელვის დროსაც კი ღუზაჩაუშვებელ გემებს ძლიერი ტალღები ეხეთქებიან. გაავდრების დროს ყველა დიდი გემი აუშვებს ღუზას და ცდილობს ღია ზღვაში გასვლას[1].

რედუტ-კალეს არაჯანსაღ ჰაერზე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ედუარდ აიხვალდი, რომლის ცნობით, აქ გაბატონებული უმთავრესი ავადმყოფობის - ციებ-ცხელების შედეგად ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ დღეში ხუთი-ექვსი კაცი კვდება, რედუტში კი უფრო მეტი. საგუშაგოზე დავარდნილ ჯარისკაცებს გუშაგები ზუმბით უვლიან გარს, ან ლაზარეთში მიჰყავთ, სადაც კვდებიან[2].

ვაგნერი საუბრობს მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლეზე აღმართულ, ხის ბოძებზე შემდგარ ხისავე სახლებზე და მშენებლობის ასეთ კონსტრუქციას ნიადაგის ნესტიანობით ხსნის[3]. საცხოვრებელი ნაგებობის მსგავს ტიპზე მოგვითხრობს აგრეთვე აგრარული ურთიერთობების ცნობილი გერმანელი მკვლევარი და ფოლკლორისტი აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი[4].

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მაღალ ბოძებზე შემდგარ ასეთ ნაგებობას (ჯარგვალს, ფაცხას ან პიტაფიცარას) **ათაბოგი** ეწოდება. იგი შენდებოდა ყანის, ეზოს, ბაღის სადარაჯოდ ან საცხოვრებლად ზღვისპირა ჭაობიან ადგილებში. სამეგრელოში ათაბოგს ეძახიან აგრეთვე ხარაჩოსაც[5]. ათაბოგის აღწერა მოცემული აქვს მხარეთმცოდნე გივი

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. 2002, გვ. 134.

[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 168.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 133, 134.

[4] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმანი გ. გელაშვილისა, თბ., 2011, გვ. 40.

[5] ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, 2010, გვ. 9.

ელიავას, რომელსაც აღნიშნული ნაგებობის ნიმუში დაუმოწმებია გალისა და ხობის რაიონების ზღვისპირა სოფლებში[1].

რედუტ-კალე დასავლური გაგებით არასდროს ყოფილა ქალაქი. ვაჭრობისათვის მანამდე თითქმის უცნობი სანაპირო პუნქტის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტად (ემპორიუმად) გადაქცევას ვაგნერი სამეგრელოში რუსული მმართველობის დაწყების პერიოდს უკავშირებს. მისი მნიშვნელობა დიდი იყო 1831 წლამდე. რედუტ-კალეს დაწინაურებას ხელი შეუწყო ტრანსკავკასიის პროვინციებისათვის 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე 10 წლით ვაჭრობის სრული თავისუფლების მიღებამ[2]. შელავათების დაწესებამ მოიტანა ის, რომ თორმეტიოდე ღარიბი ხის ქოხით ცნობილ რედუტ-კალეში დასახლება დაიწყეს მშენებლებმა, ვაჭრებმა, მიკიტნებმა და სპეკულანტებმა. ჭაობიან მიწაზე სოკოებივით მომრავლდა მაღაზია-საწყობები. ემპორიუმისკენ მცირე აზიის ნავსადგურებიდან გამოემართნენ თურქი და ბერძენი მენავეები. ოდესელ ექსპედიტორებს დაქირავებული პატარა ნავებით შემოჰქონდათ სავაჭრო საქონელი. შემოტანილი საქონლის ღირებულებამ ათწლიანი ვაჭრობის პირობებში 2 მილიონი ვერცხლის მანეთი შეადგინა. კოლხური პროვინციები პროგრესულ ვაჭრობაში ჩაებნენ. სამეგრელოდან ოდესისკენ გაჰქონდათ ადგილობრივი ნაწარმი - სიმინდი, ფეტვი, გამხმარი ხილი, თამბაქო, ტყავეული, ცვილი, ღვინო, ყველაზე მეტად კი - საუცხოო მეგრული საშენი ხე-ტყე, რაც ამოუწურავ სიმდიდრეს წარმოადგენდა რედუტ-კალესთვის. ამ შემოსავლიანი სატრანზიტო ვაჭრობიდან მიღებულ მოგებას ოდესასა და რედუტ-კალესთან ერთად ინაწილებდა ტფილისი და ერევანი,

---

[1] ელიავა გ., ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), ქუთ., 1989, გვ. 9-10; ტაბულა №3, გვ. 48.

[2] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 135.

აგრეთვე ტრანსკავკასიის ყველა, ზღვას მოწყვეტილი შიდა ნაწილი[1].

შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის პერიოდის (1821-1831 წწ.) ყულევის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსი მ. პაჭკორია. 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე დაწესებული შეღავათიანი სატრანზიტო დათმობებით რუსეთი ამიერკავკასიაში გარკვეულ მიზნებს ისახავდა. საიმპერიო ტარიფით განსაზღვრული ბაჟი (25-50%) ამ კანონის საფუძველზე ითვალისწინებდა 5%-იანი ბაჟის გადახდას, როგორც შემოტანილ, ისე გატანილ და ტრანზიტულ საქონელზე. ასეთი შეღავათის დაწესებით რუსეთის იმპერია ცდილობდა, ევროპული საქონლისთვის გზა გაეხსნა ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ირანისაკენ. შეღავათების დაწესება ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტრაპეზუნდ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც[2].

შეღავათიანი ვაჭრობის გაუქმების შემდგომდროინდელი ყულევის სოციალურ-ეკონომიკური სახე კარგად არის ასახული ნოვოროსიისკის მხარის გენერალ-გუბერნატორის (მოგვიანებით მეფისნაცვლის) მ. ს. ვორონცოვის წერილში იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი. ვორონცოვი 1836 წელს სწვევია ყულევს. იგი წერდა: „ეს საზღვაო პუნქტი ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის არსებობის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა კომერციული სამყაროსათვის. აქაური ვაჭრობის საერთო წესისადმი დაქვემდებარებამ, ტრანზიტის შეწყვეტამ და ნავსადგურისა და ციხე-სიმაგრის ფოთში გადატანამ, თითქმის მოსპო წინანდელი სარეწები და აყვავებული სახე ბა-

---

[1] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 136-137.

[2] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 17-18; მისივე, ყულევის წარსულიდან. წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 36-37.

ზრისა, თუმცა რედუტ-კალეში ჩვენ კიდევ ვიპოვეთ რამდენიმე ქართული დუქანი“[1].

1840 წელს რედუტ-კალეს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. ღია ზღვაზე, ბუნებრივად მოუფარებელ და ჭაობებით დაფარულ ადგილას მდებარე ყულევი წარმოადგენდა შავ ზღვაზე ამიერკავკასიის მთავარ ნავსადგურს და საქართველო-ამიერკავკასიაში ვაჭრობისა და საქონელწარმოების განვითარების შედეგად წარმოქმნილ ქალაქს, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ[2].

რედუტ-კალეს დასახლების სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო ცნობებია დაცული ი. დუკრუასის წერილში. 1849 წელს აქ მნახველს შეეძლო ენახა ხის შენობებისაგან შემდგარი დიდი ბაზარი, ხოლო ბაზრის ბოლოს, ხობისწყლის შესართავთან, კარანტინი და საბაჟო. საგაჭრო ნაგებობანი და საცხოვრებელი სახლები უმთავრესად მდინარის მარცხენა მხარეს იყო განლაგებული[3]. ხობისწყლის შესართავთან, გაუქმებული რედუტის ადგილას აგებული საკარანტინო შენობა ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა. პირველში მოთავსებული ყოფილა კანცელარია. აქვე იყვნენ დაბინავებულნი მოსამსახურეები; მეორე განყოფილებაში ათავსებდნენ იმ საქონელს, რასაც საკარანტინო წმენდა უნდა გაევლო, მესამე მგზავრთათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეოთხე შავი ჭირის დაწესებულებას წარმოადგენდა. ზღვისპირას მოწყობილი ყოფილა სანაპირო გზის მაკონტროლებელი საგუშაგო. ქალაქს მატროსთა სახლიც ჰქონია[4].

---

[1] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 22.

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), 1957, გვ. 376.

[3] ,,Кавказский календарь“, 1849, გვ. 54-57; მ. პაჭკორია, რედუტ-კალე, 1968, გვ. 25.

[4] პაჭკორია მ., რედუტ-კალე, 1968, გვ. 33-34.

ყირიმის ომის მიწურულს (1855 წლის დამდეგიდან) ყულევი ომერ-ფაშას მთავარ ბანაკად იქცა. ასე გაგრძელდა 1856 წლის გაზაფხულამდე, როცა ოსმალები გაიქცნენ ყულევიდან. გაქცევის წინ მტერმა გადაწვა ქალაქი. ამით დასრულდა კიდეც მისი ქალაქობის 16-წლიანი ისტორია. ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. მალე ფოთში ნავსადგური გაიხსნა და ყულევის ქალაქობის საჭიროებაც წარიხოცა[1].

მოგზაური კვლავ უბრუნდება ხობისა და ფაზისის შესართავების ციებიანი ადგილების ემოციურ აღწერას და შენიშნავს, რომ „დიდი რუსული იმპერიის არცერთი ადგილი არაა ისე დამღუპველ-მომაკვდინებელი ჩრდილოელი მოსახლეობისათვის, როგორც სანაპიროს ეს ადგილი“[2]. ციების გამო ივლის-აგვისტო-სექტემბერში აქ რუსული გარნიზონების მეოთხედი იხოცებოდა. მრავალწლიანი სამსახურის პერიოდში სიკვდილს გადარჩენილ რუს ჯარისკაცებს მოგზაური მოსიარულე მიცვალებულებს ამსგავსებს, რომლებსაც კიდურებში ძალა გამოლევიათ და მოკანკალე ფეხებით ძლივს მიათრევენ მუშკეტებს ზღვის ნაპირზე, „რომელიც უნდა დაიცვან კონტრაბანდისტებისგან და მონებით მოვაჭრეთაგან“[3].

ვაგნერის თქმით, მცირე სამოქალაქო მოსახლეობა ჭაობის ანაორთქლისადმი ნაკლებ მიდრეკილია. ამასთანავე, ცხოვრობენ უფრო მოხერხებულად, მიირთმევენ უკეთეს საკვებს, რაც განაპირობებს იმას, რომ, გარნიზონისგან განსხვავებით, ისინი ნაკლებ ავადდებიან. მოგზაური რედუტ-კალეს სამხრეთით და მისგან თორმეტი ვერსის დაშორებით, ულამაზეს ტყეში, ზღვის ნაპირთან, მიუთითებს დიდ სასაფლაოს, რომლის გარშემოც ხარობდა ყველა სახის ხეხილი, ასევე კოპიტი, ცაცხვი, წიფელი, ნეკერჩხალი, დაფნა, ტვია, გარეული

[1] სიხარულიძე ი., კეკელია ი., ყულევი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), 2014, გვ. 87.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 139.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 139.

ვარდი და ვაზი, ხვართქლა, სურო, წითელი ხენდრო და ასეულობით სხვა მხვიარა მცენარე[1]. რედუტ-კალედან ფოთისკენ მიმავალ გზაზე, რედუტიდან 4 ვერსის დაშორებით რუსების სასაფლაოს არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე ედუარდ აიხვალდი[2].

მაშინ, როდესაც ვაგნერის თანმხლებნი წვიმიანი და ცივი ამინდის გამო სახლის ბერძენი პატრონის მშრალ და თბილ ბარაკებში ამჯობინებდნენ ყოფნას, თვით ავტორი ერთი ახალგაზრდა, მეგრელი ყმაწვილის მეგზურობით ექსკურსიებს აწყობდა რედუტ-კალეს შემოგარენში. ზღვის სანაპირო ზოლში მისი ყუარადღება მიუქცევია კვერცხის სიდიდის კრისტალური ქვის სხვადასხვა სახეობას - გრანიტს, სიენიტს, გაბროს, კვარცს, მარმარილოს, მკვრივ კირს, პორფირს, რაც კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან ჩამოჰქონდა მდინარეებს[3].

ვაგნერს მოუნახულებია აგრეთვე ხობის მონასტერი, ფაზისის შესართავი და დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში. სამეგრელოში არსადაა ისეთი სამოსახლო, - დასძენს ვაგნერი, - რომელსაც ევროპული გაგებით შეიძლება სოფელი ეწოდოს, ვინაიდან ჭალებისა და მდელოების შუაგულში გაფანტულად მდგარი სახლები „გაჩეხილ უღრანში მზით განათებული ნათელი კუნძულებივით იმზირებიან ხეთა ზღვაში“[4]. ხობს სოფლის სტატუსით მოიხსენიებს, სადაც სახლები სიგრძეში იყვნენ გაფანტულნი. „სოფლისგან მცირე მოშორებით მდინარის ნაპირზე, მშვენიერი ტყიანი გორაკის წვერზე დგას ამავე სახელის მონასტერი“[5]. ვაგნერი შენიშნავს, რომ ხობის მონასტერში ცხოვრობს წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 139.
[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 2005, გვ. 205.
[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 140.
[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 141.
[5] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 141.

ქართველი ბერი, რომელთაც არქიმანდრიტი მეთაურობს. უწინ ეს იყო სამეგრელოს ექვს საეპისკოპოსოთაგან ერთი, რომლებიც შემდგომ სააბატოებად შეიცვალა". სხვა წერილობითი წყაროებიდანაც ირკვევა, რომ ხობის მონასტერი საეპისკოპოსოს ცენტრი ყოფილა[1]. მოგზაური მოკლედ ეხება ხობის მონასტრის არქიტექტურასაც და წერს, რომ ტრანსკავკასიის თითქმის ყველა მონასტრის მსგავსად მასაც გარს მაღალი გალავანი ავლია. მონასტრის შიდა მოჩუქურთმება და მშენებლობის სახე ნაკლებ მნიშვნელოვანია. სვეტების მარმარილოს კაპიტელები სხვადასხვა სტილისაა და უხეშადაა დამუშავებული. ხობის მონასტერი სამეგრელოს მბრძანებლისთვის წმინდა დენისია (Saint Denis). ვამეყ დადიანის შემდეგ ამ გვარის ყველა მმართველის ნეშტი ხობში იმარხება[2].

ჩანაწერებში საუბარია ფაზისისის შესართავისა და პალიასტომის ტბის ფლორაზეც. „დაკიდულ და მოქანავე ფლორას პალიასტომზე ემატება აგრეთვე მოცურავეც. უამრავი ლამაზად გაფოთლილი ვარდი იყო ამოშვერილი წყლის ზედაპირზე" - წერს ვაგნერი[3]. მასში ფოთისა და მისი შემოგარენის აღწერასაც ვხვდებით. მეცნიერ-მოგზაური შენიშნავს, რომ თურქების მიერ აგებული ფოთის ციხე ფაზისის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ხოლო მისგან მცირე მოშორებით შემორჩენილია რომაული სასახლის ნანგრევები. განთქმული ემპორიუმი ფაზისი მდებარეობს რიონის, პალიასტომის ტბისა და ტბიდან მდინარის კალაპოტისკენ გაყვანილი ვიწრო არხის მიერ შექმნილ დელტაში... ძველი კართაგენის მსგავსად, სანაპიროს მდებარეობა ფოთშიც შეიცვალა - ყავისფერი რიონის მიერ მოტანილი ნარიყი მიწითა და შლამით ზღვის

---

[1] კალანდია გ., ხობის საეპისკოპოსოს ისტორია, წგნ.: ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, პროექტისა და გამოცემის ავტორი დ. კვარაცხელია, თბ., 2006, გვ. 32-36.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 142.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 145.

უკუგდების შედეგად გაიზარდა ნაპირი. კოლხური ემპორიუ-მისაგან არავითარი ნანგრევი არ შემორჩენილა. რომაული ტაძრის პირდაპირ, გრძელ კუნძულზე, მოგზაურ შარდენს ციბელას ტაძრის ნანგრევები უნახავს... ორნახევარი საუკუ-ნეა, რაც ზედ ზღვის ნაპირზე დგას ფოთის ციხე. უკანდახე-ვის შემდეგ ციხის გალავანს ზღვა აღარ ასველებს. ამიტომ იძულებული გახდნენ, პატარა სიმაგრე (Fort) აეგოთ ფაზი-სის შესართავთან. ვაგნერი იმოწმებს დიუბუას გამოკვლევას ფოთის შესახებ და დასძენს, რომ რამდენიმე საუკუნის შემ-დეგ ფოთის თურქული ციხეც, რომაულის მსგავსად, დაიმარ-ხება შლამსა და ჭაობში და ბევრი მცდარად ჩათვლის, რომ ციხე ჩაიძირა ძველი ემპორიუმის მსგავსად. ამ უკანასკნელის ნანგრევები ზოგიერთ მკვლევარს პალიასტომის ტბის მლაშე ფსკერზე ეგულებოდა[1].

ვაგნერი ყურადღებას ამახვილებს ფოთის არაჯანსაღ ჰაერზე, აქ რუსების მუდმივი გარნიზონისა და პატარა სამ-ხედრო კოლონიის არსებობაზე. რუსული მთავრობის სურვი-ლი იყო აქ მნიშვნელოვანი სიმაგრისა და დიდი სამხედრო-სავაჭრო ნავსადგურის დაარსება, მაგრამ აქაური ნიადაგის ანაქროლი, მომაკვდინებელი ჰავა წინ ეღობება გეგმების გან-ხორციელებას ფოთში, როგორც ციების ბუდეში. ამასთანავე, ფაზისის ემპორიუმის ხელახალი აღდგენა და ფაზისის კალა-პოტში ხომალდებისათვის მოხერხებული და სრულყოფილად დაცული სადგომის მოწყობა უზარმაზარ სამუშაოებს და აუ-რაცხელ ხარჯს მოითხოვდა და, ბუნებრივია, რუსული მთავ-რობის პროექტები განუხორციელებელი დარჩა[2].

ფაზისის, როგორც დაწინაურებული ქალაქის შესახებ, ცნობები დაცულია ჰესიოდეს, ეპიმენიდეს, პინდარეს, ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოფანეს, ჰი-

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 149.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 149-150.

პოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ჰერაკლიდე პონტოელის, აპოლონ როდოსელის, თეოკრიტეს, დიოდორ სიცილიელისა და სხვათა თხზულებებში[1]. 1578 წელს (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1579 წელს) ფოთის ოსმალთა მიერ დაპყრობასა და იქ ციხის აგებაზე დაბეჯითებით მიუთითებენ არქანჯელო ლამბერტი, ჟან შარდენი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვები. ლამბერტის ცნობით, ქუთაისის მახლობლად ქართველთა ლაშქართან ბრძოლაში დამარცხებული თურქები ფოთში გამაგრებულან და 1578 წელს იქ ციხე აუგიათ. „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული... თურქებმა ზემოხსენებულ კუნძულზე ააშენეს ციხე. ბევრი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან ოცდახუთი ზარბაზანი“, - წერს არქანჯელო ლამბერტი[2].

ფოთის ციხე-სიმაგრეების შესახებ არსებული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების გაანალიზებით მკვლევარი მ. პაჭკორია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აქ ციხე თურქებს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა აეგოთ. „წინააღმდეგ შემთხვევაში XVI საუკუნეში აგებული ციხე ამ დროისათვის (ე. ი. XVIII საუკუნისათვის) „ზედ ზღვის პირზე“ არ იქნებოდა რიონის მოქმედებისაგან ხმელეთის თანდათანობით წინ წაწევის გამო“[3]. კითხვებზე - „რად დასჭირდათ თურქებს ფოთში ახალი სიმაგრის აგება, როცა ასეთი მათ აგებული ჰქონდათ XVI საუკუნის დასასრულს? იქნებ ეს ციხე ჟამთა გავლენით ან საომარი ოპერაციების დროს დაზი-

---

[1] ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფოთის ლოკალიზაციისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1942, გვ. 20; მ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან. თბ., 1967, გვ. 10.

[2] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 2011, გვ. 196.

[3] პაჭკორია მ., ყულევის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, 1974, გვ. 19.

ანდა და გამოუსადეგარი გახდა?“, – მკვლევრის პასუხი ასეთია: XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან თურქები იწყებენ ზღვიდან დაშორებული ძველი სიმაგრის თანდათანობით აღდგენას. ამასთანავე, სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტის უფრო საფუძვლიანი გამაგრების მიზნით, მდინარის შესართავთან, ზღვის მახლობლად, მათ დაუწყიათ პატარა სიმაგრის საჩქაროდ აგება[1].

ხობის მონასტერში მცირე შესვენების შემდეგ ვაგნერს მოუნახულებია დადიანის რეზიდენცია ზუგდიდში, „რომელიც მდებარეობს ოდიშის ლამაზ მხარეში“[2]. მოგზაური გვაუწყებს, რომ ზუგდიდი „ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი ჩეხნიას (Tschechnia?) ნაპირას მდებარე, რომელიც ჯუნისთან შეერთების შემდეგ ენგურში ჩაედინება. ზუგდიდი ძველთაგანვე იყო სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია“[3]. „ჩეხნია“ **ჩხოუშიას** დამახინჯებული ფორმაა, ხოლო „ჯუნი“ იგივე მდ. **ჯუმია**.

ვაგნერი იძლევა მარტვილის მონასტრის მდებარეობასაც. იგი იმოწმებს დიუბუა დე მონპერეს, რომელსაც დეტალურად აქვს აღწერილი ამ მონასტრის შენების სტილი და ღირსშესანიშნაობანი. დიუბუას მარტვილში ჩასვლისას ეპისკოპოსი ყოფილა დავით ჭყონდიდელი, თავადური გვარიდან. იგი მოგვიანებით გადაუყენებიათ სამეგრელოს მთავარ დადიანის რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებისა და მისი ძმის – გენერალ დადიანის მოწამვლის ბრალდებით[4]. მეცნიერი ემოციურ ფერებში აღწერს მონასტრის სიმაღლიდან გადაშლილ მშვენიერ პანორამას: „მთელი მცენარეული სამყაროს სიუხვე ჩვენს ფერხთით იდო. ცა ისევ მოიწმინდა და ატმოსფერო,

---

[1] პაჭკორია მ., ყულევის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, 1974, გვ. 19-20.

[2] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 140-141.

[3] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 142-143.

[4] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 143.

როგორც ჩვეულებრივ სამხრეთული თავსხმის შემდეგ, უფრო სუფთა და გამჭვირვალე გახდა, ვიდრე ცხელი ზაფხულის თვეებში. მთელი სამეგრელო და იმერეთი ჩვენს წინ სურათივით იშლებოდა, რომელსაც ოქროსფრად მოელვარე ქედების ჯაჭვის ჩარჩო ეკვროდა. თვალსაწიერის არეში მოქცეული იყო მთელი დინება მშვენიერი კოლხური მდინარეების - ფაზისის, ხობის, ენგურის და ცხენისწყლის, რომელთა სათავესაც ქმნიან ფასის მთის მყინვარები; ეს კი იალბუზისა და ყაზბეგის შემდეგ კავკასიონის ყველაზე მაღალი მწვერვალია... სამხრეთით და აღმოსავლეთით თვალი იკარგება სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის სწორ და დაბლობ მხარეებში, რომლებსაც ზოგჯერ გორაკები კვეთენ. აჭარისა და ახალციხის ქედების თეთრი მწვერვალები ნათლად ჩანდა სამხრეთით, მაშინ, როცა დასავლეთით ცისფერი ნისლი ენგურისა და ფაზისის შესართავების თავზე მიუთითებდა შავი ზღვის ზედაპირის არსებობაზე. რაც უფრო ლამაზია კოლხური ლანდშაფტის წვრილმანები, რომლებიც მონასტრის მთის გადმოსახედიდან ახლო ბატონობს, მით უფრო გრანდიოზულია სურათი მთების ავანსცენისა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფონზე“[1].

სამეგრელოს ბუნების მშვენიერებით მოხიბლული მოგზაური ყურადღებას მიაპყრობს ამ კუთხის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას და მისი მართვის სისტემას. იგი გმობს სამეგრელოს მფლობელებისა და ბატონების ტირანიას, უხსოვარი დროიდან უდრეკი სიჯიუტით გაბატონებულ ფეოდალურ წყობას, რაც მორალურად ანადგურებს ხალხს. ფეოდალურ ჩაგვრას მიჩვეული მეგრელებისაგან იშვიათად ისმის დრტვინვა. სიმინდით სავსე გოდრებს და ღომის მინდვრებს ეუფლებიან არა ისინი, ვინც ხნავს და თესავს, არამედ - თა-

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 143-144.

ვად-აზნაურები, დადიანი, საბაჟოს რუსი მცველი, მესაზღვრე ჯარისკაცი და კაზაკი[1].

ვაგნერი სამეგრელოში გამოყოფს ოთხ სოციალურ ფენას: **დადიანს**, ანუ ხელმწიფეს, რომელმაც 1804 წლიდან რუსეთის იმპერატორის სუვერენობა აღიარა; მხარის **თავადებს**, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვან ქონებას და ზოგჯერ აუჯანყდებიან ხოლმე თავის მბრძანებელს, **აზნაურს** და **ყმა-გლეხს**. ეს უკანასკნელი თავისი მოსავლის გარკვეულ ნაწილს აძლევს აზნაურს, თავადსა და მთავარს; ამასთანავე, ვაჟს ან ქალიშვილს უშვებს ამალაში მოსამსახურედ. გლეხმა იცის, რომ ეს გადასახადი ტრადიციულად გარკვევით დადგენილია და რომ მას უფლება აქვს, თავის ბატონს დადგენილზე მეტი არ მისცეს. ის არც მეტს აკეთებს, არც - ნაკლებს. ყოველი გლეხი თავის ტრადიციულ დავალებას უყოყმანოდ ასრულებს. თუკი თავადი ან აზნაური თავს ნებას მისცემს და მას იმაზე მეტის გაკეთებას მოსთხოვს, რასაც ოდითგანვე იყო დაჩვეული, გლეხი თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობს და გაქცევაზე იწყებს ფიქრს. ის თურქულ მხარეში გარბის და მაჰმადიანდება.

ჩაგვრის ყველაზე საზიზღარ ფორმად მორიც ვაგნერი სამეგრელოს მთავართა ნადირობას მიიჩნევს. თავგადადებულ მონადირედ ქცეული დავით დადიანი თავის სამფლობელოში ყველა მიმართულებით დახეტიალობს და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სახლისა და სასახლის მფლობელია, ნადირობისას მისი მამის - ლევანისა და პაპის - ვამეყის მსგავსად, მაინც აზნაურებთან და გლეხებთან ჩერდება. იგი თავისი მონადირეთა ჯგუფით, მოხეტიალე კალიების გუნდივით შეესევა აზნაურის ან გლეხის სახლ-კარს და მანამ არ ტოვებს იქაურობას, ვიდრე საბრალო სახლის პატრონის უკანასკნელი ქა-

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 154-155.

თამი და ბოლო მჭადი არ შეიჭმება[1]. დადიანის ცხოვრების ხასიათზე თითქმის ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ედუარდ აიხვალდიც, რომელიც, როგორც ჩანს, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ეყრდნობოდა ვაგნერის მონაცემებს[2]. ბატონისა და მისი მხლებლების პერიოდული სტუმრობა და მათი გამასპინძლება აჩანაგებდა გლეხთა ოჯახებს. სამეგრელოში ერთი ასეთი სტუმრობის შესახებ მოთხრობილია იოანე ბაგრატიონის „კალმასობაშიც“[3].

სამეგრელოს სამთავროში ყმა-გლეხთა ყოველწლიურ ვალდებულებას წარმოადგენდა სხვადასხვა სახისა და გარკვეული რაოდენობის პროდუქტის მირთმევა, აგრეთვე მებატონის სასარგებლოდ საველე მუშაობა (ნადობა), ბატონის ცხენისა და მეჯინიბის შენახვა (ცხენის ჩაბმა), ბატონის ტვირთის გადაზიდვა ზურგით ან ურმით (ტვირთობა), ქვის თლა, დურგლობა, კალატოზობა, ბატონთან ყოფნა (ქეშიკობა), საშინაო სამსახური: მეჯინიბეობა, ხაბაზობა, მეთევზეობა, ღომის ცეხვა, მეწისქვილეობა, მზარეულობა, ძიძაობა, მეციხოვნეობა და ა. შ. დაწესებული იყო სხვა ბეგარა-ვალდებულებებიც. კერძოდ, „საური“ (საერობო გადასახადი), „საუდიერო“, „ოჩამური“ ან „ოჭკომური“ (სადილი), „საყველიერო“, „სახურო“ (მშენებლობასთან დაკავშირებით), „ძღვენი“, „სამასპინძლო“, „საპურე“ ანუ „სამახებო“, „საქორწილო“, „საკურძუალო“ (ბაზიერ-მეძებართა შესანახად), „საუნადო“ (მებატონის ყანაში სავალდებულო სამუშაო),, „ოდიდპიჩური“ (სადიდმარხვო), „სააღდგომო“, „საქვრივო“, „საჩექმე“,

---

[1] მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 2002, გვ. 155-156.

[2] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 193.

[3] კაკაბაძე ს., კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, ტფ., 1929, გვ. 51-52

„საციხო“ (ციხეების შესანახად), „სამოურაო“ და სხვა მრავალი[1].

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე გავრცელებულ ფორმას გლეხების აყრა-გაქცევა, დამატებით გადასახადებზე უარის თქმა და თავდახსნისათვის ბრძოლა რომ წარმოადგენდა, დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებითაც. ყმები ლიხთ-იმერეთიდან გარბოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართლ-კახეთთან შედარებით აქ ექსპლუატაცია უფრო მძიმე იყო[2].

დამოწმებანი:

ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.

ბერაძე თ., ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.), სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში), თბ., 1967.

ბერაძე თ., ცქიტიშვილი გ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. IV, თბ., 1971.

ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.

ბერძნიშვილი მ., ქალაქ ფოთის ლოკალიზაციისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1942.

---

[1] მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ, 2006, გვ. 242-243.

[2] დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბ., 1957, გვ. 109-110.

ბოროზდინი კ., რაფ. ერისთავი, მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), თარგმანი თ. სახოკიასი, ტფ., 1927.

გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა, ტ. I, თბ., 1962.

დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბ., 1957.

ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.

ელიავა გ., ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), ქუთ., 1989.

მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902.

კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ., 1921.

კაკაბაძე ს., კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, „საისტორიო კრებული“, IV, ტფ., 1929.

დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976.

კეკელია ი., აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2011.

ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011 წ.

მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 2006.

მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.

პაჭკორია მ., ფოთის წარსულიდან, თბ., 1967.

პაჭკორია მ., რედუტ-კალე, თბ., 1968.

პაჭკორია მ., ყულევის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1974.

რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

სიხარულიძე ი., კეკელია ი., ყულევი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სერგი დანელიას დაბადებიდან 125 წლისთავისადმი მიძღვნილი VII რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია (სამუშაო პროგრამა და მასალები), ქუთ., 2014.

ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

შარდენი ჟან, მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი ვ. ბარნოვისა. ა. გაწერელიას წინასიტყვაობით, ტფ., 1935.

ცინცაძე ზ., გურიის ადმინისტრაციული ტერიტორია, თბ., 1980.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007.

კალანდია გ., ხობის საეპისკოპოსოს ისტორია. წგნ.: ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, პროექტისა და გამოცემის ავტორი დ. კვარაცხელია, თბ., 2006.

აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმანი გ. გელაშვილისა, თბ., 2011.
Спасский-Автономов К., Редут-Кале. “Отечественные записки”, 55, VIII, 1847.

Igor Kekelia
Martvili Research Center for History and Culture

GERMAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO – I (MORIC VAGNERI)

RESUME

The famous German traveller, geographer and naturalist Moric Vagner has a prominent place among foreign investigeitor – travelers and observers, who were in terested instuding Georgian and Caucasian people in many respects.He travelled at the seaside of Georgia in 1843-1846 years. There is a discussion about the Megrelian ethnographic group in his work. There are notifications about historical-Geography, ethnography, populated areas – Anaklia, Poti, Redutkale-Khulevi, Khobi, Martvili in his trevelling notes.

ნესტან სულავა
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სულიერი ზეაღსვლის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველება დავით წინასწარმეტყველის, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობაში („ფსალმუნნი“, „დიდი კანონი“, „გალობანი სინანულისანი“)

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ ჰიმნოგრაფიული ტრადიციის კვალობაზე შექმნილი თხზულებაა და იგი სახისმეტყველებითი ასპექტებით, იდეურ-შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებსა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მსოფლმხედველობრივ და ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას უახლოვდება. დავით აღმაშენებლის თხზულების საფუძველი, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებისა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ შექმნისა, სინანულის მოტივია, რაც პიროვნების სულიერი ზეაღსვლით სრულდება. სწორედ ესაა მათი გამაერთიანებელი.

დავით აღმაშენებლის საგალობელში ასახულია სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია და კაცობრიობის მიერ გავლილი გზა, ადამიანის შექმნიდან მოყოლებული, პირველქმნილი ადამიანის ცოდვით დაცემა და შემდგომ ადამიანთა სწრაფვა პირველსახის დასაბრუნებლად, რისთვისაც აუცილებელია სინანულის განცდა, აღსარების სურვილი და მოთხოვნილება, რომ პირველქმნილი ადამიანის ცოდვა მისი ცოდვაა. საგალობელში ინდივიდუალური განცდა და სინანული ზოგადსაკაცობრიო დონეზეა აყვანილი, რაც თვით ავტორის ში-

ნაგანი სამყაროს სიმდიდრის, ზნეობრივი პასუხისმგებლობის, სულიერი განწმენდისა და ამაღლების, განღმრთობის საწინდარია. ლაურა გრიგოლაშვილის სიტყვით, „გალობანი სინანულისანი არის ჰიმნი ადამიანზე, რომელიც სამყაროს საფეხურების დაღმავალი და აღმავალი გზით შინაგან განწმენდასა და სრულქმნას აღწევს“[1]. საგალობლით მეფე-პოეტი საკუთარი თავის უმკაცრესი მსაჯულია. იგი საკუთარ თავს პირველი ადამიანის, ადამის შთამომავლად და მემკვიდრედ მიიჩნევს: „ხატსა თვისსა მამსგავსე“ – და თავს ცოდვილად თვლის, რასაც ხსნის, როგორც დაცილებას ღვთაებისაგან, პირველსახისაგან, უმაღლესი „მესაგან“. თხზულებაში ჩამოთვლილ კაცთა მოდგმის მიერ ჩადენილ ცოდვებს საკუთარ ცოდვებს ადარებს და საკუთარ თავს სახავს უცოდვილესად: „მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“. ჩადენილ შეცოდებათა შეგნების გასაოცარი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი, რომელიც დავით აღმაშენებლის საგალობლიდან გამოსჭვივის, ბიბლიურ ჰიპოდიგმურ სახისმეტყველებას, განსაკუთრებით დავითის ფსალმუნთა ლირიკულ ფენომენს, ემყარება, რომლის პარადიგმულ წარმოსახვას ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ყველაზე მეტად წმ. ანდრია კრიტელის საგალობელი ამოწმებს.

საგალობლებში ძირითადია ადამიანის სულიერი ზეაღსვლის, ღმერთთან ზიარებისა და განღმრთობის თემა, პიროვნების ინდივიდუალურ განცდებზე ყურადღების გამახვილება, რაც ჰიმნოგრაფიის ჟანრულმა სპეციფიკამ განაპირობა. ცნობილი ფაქტია, რომ ქრისტიანული გალობის საფუძველი ძველი აღთქმის წიგნებშივეა მოცემული, კერძოდ, დავითის ფსალმუნთა შექმნას ჰიმნოგრაფიული კანონის სამი გალობა უს-

[1] გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005, 177.

წრებს წინ[1]. მაგრამ დავითის ფსალმუნები ცოდვილი ადამიანის ლირიკული აღსარებაა და ლირიკული პოეზიის განვითარებას ფსალმუნთა წიგნით დაედო საფუძველი. დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებით დაიწყო პიროვნების შინაგანი სამყაროს, ადამიანის თვითშემეცნების გზისა და პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის წარმოჩენა. ესაა ადამიანის პიროვნულ, ინდივიდუალურ განცდათა ასახვის საუკეთესო ნიმუში, რომელსაც მიჰყვებიან წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი თავიანთ საგალობლებში.

ფსალმუნები, წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები ასახავენ ადამიანის პიროვნულ მიმართებას, დამოკიდებულებას ღმერთისადმი, მათი საგანია ადამიანის პიროვნულ გრძნობათა და ინდივიდუალურ განცდათა ასახვა, რაც ამ თხზულებებს ძველი აღთქმის საგალობლებისა და ჰიმნოგრაფიული პოეზიისაგან საკმაოდ განსხვავებულია. აქვე ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ

---

[1] პირველ გალობას – „უგალობდითსა“ – საფუძვლად უდევს „გამოსლვათა“ წიგნის ის ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა ღმერთმა მოსეს წინამძღოლობით ებრაელები ეგვიპტელთა დევნისგან, გააპო მეწამული ზღვა და „დაანთქა“ ზღვასა მას მეწამულსა“ მდევრები (გამოსლვ. 15, 1-19). მეორე გალობა – „მოიხილესა“ – მამხილებელი ხასიათისაა და მისი მთავარი თემაა მოსეს წინასწარმეტყველება ლევიტელთა მიმართ, რომელთაც უკეთურობას ამჩნევდა და მიცემული მცნებების დარღვევის გამო აფრთხილებდა (II შჯ. 32,1-43). მესამე გალობის – „განძლიერდასა“ – მთავარი თემა უფლის ძლიერების აღიარებაა, მას საფუძვლად II მეფეთა წიგნი უდევს, რომელშიც წინასწარმეტყველი ანნა სამადლობელს აღავლენს ღვთის მიმართ, რომელმაც მას მისცა ვაჟი – სამოელი, შემდგომში წინასწარმეტყველი (II მეფ. 2, 1-10). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ყოველ ჰიმნოგრაფიულ კანონში, – იგი ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონისაგან შედგება, – მეორე გალობა სახელწოდებით „მოიხილესა“ დაცულია, ხოლო დავით აღმაშენებლის საგალობელში იგი უკვე აღარაა. მეორე გალობის რედუქციის პრობლემის შესახებ იხ. ლ. კვირიკაშვილი, ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982.

ჰიმნოგრაფიული თხზულება რამდენიმე ტიპისაა: 1. ღვთის დიდებისა და ქების თემა; 2. საღვთო და საღვთისმშობლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი საგალობლები; 3. წმინდანებისადმი მიძღვნილი საგალობლები; 4. თემატური და იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ცალკე დგანან საგალობლები, რომლებიც ჰიმნოგრაფის სულიერი განწყობის, განცდის, შინაგანი მდგომარეობის, სინანულის, აღსარების, საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნის, ღვთისადმი ვედრებისა და შენდობის თხოვნის, ფიქრის, განსჯის ასახვას ეძღვნება. დავით აღმაშენებლის საგალობელი, მსგავსად ფსალმუნებისა და წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონისა“, ამ უკანასკნელი სახის თხზულებათა რიგს განეკუთვნება. დავითის საგალობლის ჰიპოდიგმური საფუძველი განსაკუთრებით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებია, რომელთაგან საგანგებოდ 50-ე ფსალმუნი უნდა გამოვყო. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მე-14 და 23-ე ფსალმუნთა რაობის დადგენა დავით აღმაშენებლის საგალობლის სახისმეტყველებითი გააზრებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლის სამეფო ხელისუფლების, გენეალოგიის მიმართებები, რის შესახებაც ე. მამისთვალიშვილმა აღნიშნა: „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, ამ დიდებულ ქართველ მეფეს ცხოვრებისეულ მრწამსად სიყრმიდანვე გადაუქცევია ბიბლიური დავითის შეგონება“... „დავითი გამორჩეული იყო არა მხოლოდ გვიანდელი ინტელექტუალებისათვის, არამედ ძველი აღთქმის ავტორებისთვისაც“[1]. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დავით წინასწარმეტყველს არაერთი ცოდვა ჩაუდენია, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მან შეძლო მონანიება, რითაც იგი მეფის წინასახედ, არქეტიპად მოიაზრება. ქართველი მემატიანის სიტყვით, დავით წინასწარმეტყველი მისაბაძი და სანიმუშო მეფეა, ყო-

[1] მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998, 22; 26.

ველი მისი მოქმედება და გამონათქვამი უფლის სიყვარულს, ერთგულებას მოწმობს, რაც ქართველი ბაგრატიონებისათვის ჰიპოდიგმად ჩამოყალიბდა.

თუ გავიხსენებთ 50-ე ფსალმუნის შექმნის ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ ეს მონანული ადამიანის მიერ, კერძოდ, მეფის იდეალად მიჩნეული პიროვნების მიერ, წარმოთქმული უძლიერესი საგალობელია, რომელიც ნათანისაგან ურია ქეტელის ცოლის, ბერსაბეს, მოსაპოვებლად ჩადენილი უზნეო საქციელის გამო დავით მეფის მხილების შემდეგ დაიწერა; ამ მხილებამ დავით წინასწარმეტყველში ნათანის მიმართ რისხვის ნაცვლად უდიდესი სინანული გამოიწვია. წინაპირობა ის იყო, რომ დავითმა, ფაქტობრივად, ღვთისგან ბოძებული ათი მცნებიდან სამი დაარღვია: 1) მე-6 - „არა კაც კლა“; 2) მე-7 - „არა იმრუშო“; 3) მე-10 - „არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა“. დავითმა ერთადერთი გამოსავალი სინანულში ნახა, რადგან მიხვდა, რომ ერთადერთი სინანულის განცდა-გამოვლენა იქნებოდა, რომელსაც ღმერთი მოხედავდა. მან დაასკვნა, რომ თუ ის ღმერთს უყვარდა, მაშინ უფალი მის სინანულს შეიწყნარებდა. სწორედ ესაა დავით წინასწარმეტყველის სიდიადე. ისეთი სინანული, როგორიც დავითმა გამოავლინა, არც მანამდე და არც მას შემდეგ კაცობრიობას არ სმენია. ფაქტობრივად, დავითის 50-ე ფსალმუნი ადამიანის ღვთისადმი მიმართების ქვაკუთხედის, ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლის განსაზღვრაა, რის გამოც იგი ღვთის სიყვარულის, რწმენისა და სასოების ლოცვაა; ამ სამი სათნოების ერთიანობით ყოველი იმ დაბრკოლების გადალახვაა შესაძლებელი, რომელიც შეიძლება უფლისაკენ სავალ გზაზე შეახვედროს ადამის მოდგმის მტერმა. 50-ე ფსალმუნი იმის მარადიული და ცოცხალი მოწმობაა, რომ ღვთის სიყვარული ადამიანისადმი და ღვთისადმი ადამიანის სიყვარული უსაზღვროა. ღმერთს თავისი შემოქმედების ნაყოფი, სამყაროს გვირგვინი — ადამიანი, უყ-

ვარს. უფალმა სწორედ ამ სიყვარულის გამო სინანულის გრძნობით აღსავსე დავითს ცოდვა შეუნდო, თუმცა, ცოდვის შენდობის შემდეგაც დავითის სახლს შეჭირვებები არ მოჰკლებია[1]. ფსალმუნის განმმარტებლები ერთხმად აღნიშნავენ, თუ როგორ ამჟღავნებს ავტორი 50-ე ფსალმუნში უდიდეს ადამიანურ თვისებებს, ღრმა სულიერობას, შინაგანი ბუნების სიდიადესა და ზნეობრივ სახეს. ღვთის უსაზღვრო რწმენასა და ერთგულებას თან სდევდა სიყვარული უფლისა, რადგან იმედი და რწმენა სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. დავით წინასწარმეტყველმა ყრმობიდანვე გაიგო, რას ნიშნავს მარტოობა და სხვათაგან გარიყულობა, რადგან ცხვარში იმყოფებოდა და იქ მწყემსური ყოფით ცხოვრობდა. მისთვის მარტოობა სულიერი წინსვლისა და ზეაღსვლის აუცილებელ პირობად იქცა. დავითმა ეს იმიტომ შეძლო, რომ მარტოობისას ის თავს მარტო არასოდეს გრძნობდა, ღვთისაგან მიტოვებული არასოდეს ყოფილა. იგი გამუდმებით ესაუბრებოდა უფალს და მისი გარეგნული მარტოობა სწორედ უფალთან დიალოგში ქრებოდა. დავითის თავისუფლებისმოყვარე სული 50-ე ფსალმუნში ნათლად წარმოჩნდა. მარტოობის შეგრძნება, ცოდვათა შეგნება და მათგან განწმენდა სინანულის საფუძველზე წარმართავს საზოგადოდ ფსალმუნთა წიგნს და განსაკუთრებით კი 50-ე ფსალმუნს: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღჴოცე უშჯულოებაჲ ჩემი. უფროჲს განმბანე მე უშ-

[1] ბიბლიური წიგნებიდან ცნობილი, თუ რისთვის ამხილა ნათანმა დავით წინასწარმეტყველი. ესაა დავითის ერთ-ერთი ცოდვა, რომელიც მან ურია ქეტელის ცოლთან, ბერსაბესთან ჩაიდინა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც დავითი თავისი მეფობისა და მმართველობის მწვერვალზე იყო. ამ დროს დავითი 45 წლისა იყო. მრავალ ომგადახდილმა მეფემ იხილა ურია ქეტელის ცოლი კეთილქმნული ბერსაბე, რომელიც ძლიერ მოეწონა. მის მოსაპოვებლად თავის ქვეშევრდომებს უბრძანა მისი მოკვლა, რის აღსრულების შემდეგ ურია ბრძოლაში მოკვდა, ხოლო დავითმა ბერსაბეზე იქორწინა.

ჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშჯულოებაჲ ჩემი მე უწყი, და ცოდვაჲ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ“ (ფს. 50, 1-4); „სული წმიდა დაჰბადე ჩემთანა და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა ნუ მიმიღებ ჩემგან... მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხჰყოს“ (ფს. 50, 10-11).

ისრაელში მონარქიის არსებობისას ღვთის წინაშე მსახურების სამი ძირითადი კომპონენტი არსებობდა: სამეფო, საწინასწარმეტყველო და საღვთისმსახურო. დავით წინასწარმეტყველი თავისი დროის სამივე საღვთისმსახურო საფეხურს გადის. იგი სამივე კომპონენტს ფლობს, რაც მისი მომავალი მეფობის, წინასწარმეტყველად მოვლინების, ღვთისმსახურების ერთგულების გარანტად გვევლინება. მაგრამ მისი ფსალმუნები მოწმობს, რომ ბიბლიურ მეფეს ცოდვები საკმაოდ ჰქონდა. ბერსაბესთან ცოდვით დაცემამ დავითში უდიდესი სინანულის განცდა აღძრა, სინანული კი ის უებარი საშუალებაა, რომელსაც ამპარტავნება ვერასოდეს დაძლევს. დავითის სულიერი სიძლიერის გამოხატულებაა ის, რომ მან დაცემის შემდგომ წამოდგომა შეძლო, რაც ყველას არ შეუძლია და რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საკვირველი არის არა ის, რომ კაცმა შესცოდა, არამედ – ის, რომ დიდი ცოდვის შემდგომ წამოდგომა შეძლო და უფალს დაუბრუნდა. მან ღვთისაგან მიტოვებულობის განცდასა და სასოწარკვეთის ცოდვას სძლია. მეფე-პოეტმა გადაწყვიტა და საკუთარ თავში მოიძია ძალა, რომ ღმერთს არ განშორებოდა, რისთვისაც ერთადერთი საშუალება არსებობდა: ეს იყო სინანული და ცოდვის აღიარება, რითაც შეძლო მან დაცემის შემდგომ წამოდგომა. ცოდვის შემდეგ წამოდგომა მხოლოდ მას შეუძლია, რომელიც სინანულს განიცდის, ხსნას უფალში ეძებს

და ძალმოსილებას მისგან ელის. ესაა დავით წინასწარმეტ-ყველის სულიერი ზეაღსვლა, სულიერი სრულყოფა, რომლი-თაც მან ღმერთთან მიახლოება და მასთან დამკვიდრება შეძლო.

წმ. დავით მეფსალმუნე უზომოდ თავმდაბალი ადამიანი იყო, რომელსაც ჰქონდა რწმენა, სასოება და სიყვარული ღვთისა. მეფის პიროვნული სიძლიერე და სულიერი სიღრმე ამ სამ სათნოებაში გამოვლინდა, რაც ღვთისაგან დავითის ყველა ცოდვის შენდობის საფუძველი გახდა. დავითის მიერ თავის ცოდვათა და ქმედებათა აღიარება მისმა შინაგანმა ხმამ, სინდისმა, მისმა თავისუფალმა არჩევანმა განაპირობა, რამაც საბოლოოდ ღვთისაგან შენდობა მოუტანა და სული-ერი სისრულისაკენ მიმავალი გზა დაუსახა.

დავით წინასწარმეტყველს ფსალმუნები ერთი ამოსუნთ-ქვით არ შეუქმნია, ისინი სხვადასხვა დროს იქმნებოდა, სი-ცოცხლის ბოლომდე ქმნიდა, რაც აღსარებისა და სინანული-სათვის ავტორის მუდმივ სულიერ მზაობას გამოხატავს. ამ თვალთახედვით დავით აღმაშენებელი თავისი სულიერი წინა-მორბედისაგან კიდეც განსხვავდება და კიდეც მიჰყვება მათ, რადგან „გალობანი სინანულისანი“ დავითმა სიცოცხლის მიმ-წუხრს, 1124 წლის ნოემბერში დაწერა და აღსარება, რო-გორც სულიერი და ინტელექტუალური გამოვლინება, წარ-მოთქვა ღვთისა და ადამიანის წინაშე. მათ შორის დგას წმ. ანდრია კრიტელი, რომლის „დიდი კანონი“ პირველცოდვის შეგნების, არსებობიდან მოყოლებული კაცობრიობის მიერ ჩა-დენილი ცოდვების გულწრფელი სინანულის, ადამიანის სუ-ლიერი განვითარებისა და ზეაღსვლის საუკეთესო ნიმუშია. სულიერი ზეაღსვლის ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტუ-რაში თავსდება მთელი საგალობელი. დავიმოწმებ ერთ ტრო-პარს: „მოწყალე მექმენ, მაცხოვარ, ქმნილსა შენსა და ვი-თარცა მწყემსმან მპოვე წარწყმედული, მეწიე შეცდომილსა, გამომიხსენ მხეცთაგან და შემრაცხე ცხოვართა-თანა სამწყ-

სოჟსა შენისა თანა. რაჟამს დასჯდე სჯად, ვითარცა მოწ-ყალე, და გამოსჩნდეს მაღალი დიდებაჟ შენი, ვითარ შიში იყოს, სახმილი რა ოხრვიდეს და ყოველნი სძრწოდეს ზარი-საგან საყდრისა შენისა“[1]. ეს თხზულებები მსოფლმხედველო-ბრივად, სახისმეტყველებითად ერთმანეთთან ახლოს დგანან, თუმცა, ლირიკულობისა და სულიერ-ინტელექტუალური ბუ-ნების სიახლოვის მიუხედავად, „გალობანის“ უშუალო წყარო მხოლოდ ფსალმუნები და წმ. ანდრია კრიტელის საგალობე-ლი არაა, ისინი ჟანრობრივად, თემატურად, ფორმით ერთმა-ნეთისაგან განსხვავდებიან. დავით აღმაშენებლის საგალობ-ლის წყარო მთელი ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრება და პატრისტიკული წიგნებია, მისი საგალობლის მხატვრული სიძლიერის საფუძველი ჰიმნოგრაფიული სახისმეტყველებაა.

ლ. გრიგოლაშვილის დაკვირვებით, „ანდრია კრიტელი-სა და დავით აღმაშენებლის საგალობლებს ანათესავებთ ერ-თი თემა და ეთიკური იდეების ერთი წრე. ორივე საგალობე-ლი შექმნილია 50-ე ფსალმუნის მოტივზე. ორივე ნაწარმო-ებში ლირიკული გმირი წარმოთქვამს აღსარებას უზენაესის წინაშე, ინანიებს ჩადენილ ცოდვებს და იმედოვნებს ღმრთის მოწყალეობასა და სახიერებაზე. ორივე საგალობელს საფუძ-ლად უდევს ახალი აღთქმისეული მოძღვრება ადამიანზე, რო-მელიც, ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, ითვლებოდა მოძღვრებად ღვთაებასა და სამყაროზე. ამ მოძღვრებით ადა-მიანის შემეცნება სამყაროს წვდომას ნიშნავს, სამყაროს შე-მეცნებით კი ადამიანის ღვთაებრივი არსი იხსნება“[2].

დავით წინასწარმეტყველი ღვთის „ცხოვართა“ მწყემსი გახდა. უფლისათვის მისი მეფობა სათნო იყო და ყველა მე-ფეს, რომელიც ღვთის ერის სამართავად ჰყავდა მოვლენილი უფალს, ევალებოდა დავითს მიმსგავსებოდა. დავით აღმაშენე-

[1] ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002, 103.

[2] გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანუ-ლისანი“, თბ., 2005, 146.

ბელი თავის დიდ სულიერ წინაპარს მიემსგავსა; 16 წლისამ მაშინ ჩაიბარა საქართველოს სამეფო ტახტი, როდესაც საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შველა ესაჭიროებოდა. სამეფო კარმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი მეორე აიძულა, თავისი ვაჟის სასარგებლოდ ტახტიდან გადამდგარიყო, რათა ქვეყანას სწორი გზით სვლა ესწავლა. შეიძლება ითქვას, რომ დავით წინასწარმეტყველისა და დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი, საეკლესიო და საწინასწარმეტყველო გზა ჰიპოდიგმურ-პარადიგმულია. ცხადია, უფლის რჩეული დავით წინასწარმეტყველი დავით აღმაშენებლისათვის ჰიპოდიგმური სახეა, რაც სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით ბაგრატიონთა დინასტიისათვის იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ კონცეფციად ჩამოყალიბდა. „გალობანში“ დავით აღმაშენებელმა, დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის მსგავსად, სინანულის საშუალებით საკუთარი სულის განვითარების ინდივიდუალური გზა, ინდივიდად ჩამოყალიბების გზა აჩვენა, ხოლო სინანული, როგორც ახალი აღთქმის საეკლესიო საიდუმლო, მაცხოვრის მიერაა დადგენილი ისევე, როგორც ახალი აღთქმის სხვა დანარჩენი საიდუმლოებები (ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა). დავით აღმაშენებლის საგალობელში წმინდანი მთელი თავისი სისრულითა და სახისმეტყველებით არაა წარმოსახული, როგორც ეს სხვა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება. პირიქით, საზოგადოდ, ჰიმნოგრაფიაში წმინდანის სულიერი განვითარების საფეხურები დინამიურად არ წარმოისახება, სულიერი განვითარების პროცესი არ აისახება, რადგან საგალობელი სტატიკურია; ამის საფუძველი ისაა, რომ საგალობელი წმინდანს ზესთასოფელში გადასვლის, სასუფეველში დამკვიდრების შემდეგ აჩვენებს, მას უკვე ზეციური მოქალაქობა დამკვიდრებული აქვს. ჰიმნოგრაფია წმინდანის ამქვეყნიურ ცხოვრებაში მომხდარს წარმოადგენს, როგორც შედეგს.

საგალობელი მრევლს უჩვენებს წმინდანის მიერ იდეალურობის წვდომის გზის შედეგს. მასში არ გადმოიცემა სიკვდილის შიშის დაძლევის რთული მომენტი, უკვე შედეგი ჩანს – სიკვდილის შიში დაძლეულია, წმინდანი ზეციური მოქალაქეა და თავად წმინდანია მეოხი ყოველი მორწმუნისა. სიკვდილის შიშის დაძლევა პიროვნებისაგან დიდ შინაგან ძალას მოითხოვს. საგალობელში წმინდანს ორჭოფობა, სისუსტე, რაიმე უარყოფითი თვისება არ ახასიათებს, იგი სულიერად გამარჯვებული და ღმერთისაგან ზეციური მოქალაქობითაა დაჯილდოებული, **ღმერთთან ზიარებულია, განღმრთობილია**. აქვე აღვნიშნავ, ღვთაებრივის, ამაღლებულის განცდა მშვენიერია, ე. ი. ესთეტიზმს ნაზიარებია, ხოლო ზიარება სულის ხსნის უმთავრესი და უძირითადესი საშუალებაა. ბაძვა და მსგავსება უთუოდ უკავშირდება მშვენიერს, რომელიც ესთეტიკურ შინაარსს ატარებს, ხოლო სულიერი ზეაღსვლა, განღმრთობა ადამიანის განვითარების უმაღლესი საფეხურია.

დავით აღმაშენებელი ღვთისაკენ შესართველად, სულიერი ზეაღსვლისაკენ თავისი საგალობლით სხვა გზით მიემართება, ესაა დიალოგი ღმერთთან; დავითი, როგორც ჰიმნოგრაფი, დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის მსგავსად, ღმერთთან დიალოგს ირჩევს, რაც საგალობელს იშვიათი ლირიზმით აღავსებს. თხზულებას გასდევს თავმდაბლობის, ვითარცა ერთ-ერთი სათნოების, სულის ხსნისა და ნათლის ხილვის მოტივები. დავით აღმაშენებელმა პირველ გალობაში ღმერთისადმი მიმართვისას, საკუთარი თავი ქედდადრეკილი წარმოაჩინა: „რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი, მუხლი ყოველი მოდრკების...“[1]. მერვე გალობაში მაცხოვარს მუხლმოდრეკილი მეფე სულის ხსნას ევედრება, მეცხრეში კი მეფე-პოეტი კვლავ ქედდადრეკილი უნდა წარდგეს ღვთის სამსჯავროზე, სადაც მსაჯული ჭეშმა-

[1] გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005, 214.

რიტად განსჯის, რის შემდეგაც მართალნი ინეტარებენ და ცოდვილნი ცეცხლში აღმოჩნდებიან. მეფის თავმდაბლობა, სიწრფელე, სიდიადე, სულის სიმაღლე და ზნეობრივი სრულყოფილება საგალობელში ერთი სიტყვის – ,,ქედდადრეკილის" – ასე მოხდენილად გამოყენებით გამჟღავნდა, რამაც სახისმეტყველებითი ფუნქცია შეიძინა. ამ ერთმა სიტყვამ მთელი ნაწარმოები შეკრა და მისი ძირითადი აზრიც აჩვენა. აგრეთვე საგალობელი, რომელიც ნათლისა და შინაგანი ხილვის სიმბოლოებითაა დატვირთული, მთავრდება მსასოებელი ვედრებით, საიდანაც ცხადად გამოსჭვივის მონანიე პიროვნების იმედიანი მზერა ნათლის სამყაროსაკენ, მზის საუფლოსაკენ, რომლისკენაც მიისწრაფვოდა ჰიმნოგრაფი მთელი თხზულების მანძილზე. უდიდესი ღვთისმეტყველი წმინდა მამები თავიანთ თხზულებებში განმარტავდნენ სინანულის არსს და იგი უმაღლესი ნათლის ხილვის უმთავრეს საშუალებად მიაჩნდათ. სინანულის გრძნობის გაჩენა ადამიანში პიროვნების სულიერი, თვისებრივი გარდასახვის, ზნეობრივი ამაღლების, სიმდაბლის, სათნოების ფაქიზი გამოვლენის შედეგია, რის შემდეგაც იგი პირველსახის დაბრუნებას, ,,ღვთაებრივი" ,,მეს" წვდომას აღწევს და სასუფეველს იმკვიდრებს. დავით აღმაშენებლის საგალობლის ორიენტირი მაცხოვარი და ღვთისმშობელია, რომელთა მეოხებით რთული სულიერი ცხოვრებითა და ტკივილიანი გზით მიდის ჰიმნოგრაფი სულის განწმენდისაკენ.

დავით აღმაშენებლის თხზულებაში ჩამოთვლილი ცოდვები – ,,კაენის მკვლელებრი ცნობა, სეითის ძეთა ლირწება, გმირთა სიღოდით მავალობა, .. მეგვიპტური გულმძიმობაი,.. კოწოლი თმათა" და სხვ. – ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს და ყველა ადამიანს ახასიათებს. მნიშვნელობა იმას ენიჭება, ვინ როგორ განიცდის თავის ცოდვას, ვინ როგორ აფასებს საკუთარ თვისებებს, ვინ რა მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, რაც მის ზნეობრივ სახეს განსაზღვრავს. მე-

ფე-პოეტმა თავისი საგალობლით ადამიანის ზნეობრივი იდეალი შექმნა, ერთი მხრივ, ადამიანის დადებითი, მისაბაძი და, მეორე მხრივ, მისი უარყოფითი თვისებების წარმოჩენით თავისი ეპოქის (არა მხოლოდ თავისი ეპოქის!) იდეალი დასახა, როგორი უნდა იყოს იგი და როგორი არ უნდა იყოს. სწორედ ესაა დავით აღმაშენებლის საგალობლის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც. ავტორის პოეტური აზროვნება, ინდივიდუალური ხელწერა იმით მჟღავნდება, რა ინტონაცია შეიტანა და რა დატვირთვა მიანიჭა თითოეულმა სიმბოლომ თუ მხატვრულმა სახემ საგალობელს. ამიტომაც მივიჩნევ დავით აღმაშენებლის საგალობელს დავით წინასწარმეტყველისა და წმ. ანდრია კრიტელის სულიერ მემკვიდრედ სულიერი ზეაღსვლის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველების კვალობაზე.

ჰიმნოგრაფიაში ადამიანი ზნეობრივ სრულყოფას, სულიერ ამაღლებასა და სისავსეს აღწევს ღმერთისაკენ სწრაფვით, რაც მას სასუფევლისაკენ მავალ გზას უმსუბუქებს. იგი ბაძავს ღმერთს, რომელიც, როგორც შემომქმედი, თავის შექმნილ საგნებს თავისკენ იზიდავს. ჰიმნოგრაფია, ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულად აღიქვამს და წარმოაჩენს წმინდანს, საზოგადოდ, ადამიანს, იგი სიახლოვეს უფრო ჰომილიებთან ამჟღავნებს, რადგან ჰომილიაც და საგალობელიც წმინდანის, ადამიანის ხატ-სახეს მისი აღსრულების შემდეგ ასახავს; ჰიმნოგრაფიაც და ჰომილეტიკაც დროსივრცულად ჰაგიოგრაფიისაგან განსხვავებული ჟანრებია. ამ უკანასკნელში მოთხრობილია ადამიანის, წმინდანის ცხოვრება მისი დაბადების წინასწარგანზრახულებიდან მოყოლებული წმინდანად ქცევამდე. ჰიმნოგრაფია და ჰომილეტიკა კი უკვე წმინდანად ქცეულ ადამიანს წარმოაჩენს. ამიტომ ჰიმნოგრაფიის ლირიკული გმირი, ადამიანი, რომელიც უმეტესად წმინდანის სახითაა წარმოდგენილი, უკვე ზეციური მოქალაქეა, იგი ზეციური მოქალაქობის მაძიებელი არ არის, ეს

პროცესი გავლილია, ე. ი. საგალობელში პროცესის შედეგია ასახული. წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონსა“ და დავით აღმაშენებლის „გალობანში“ ადამიანის ზოგადი ხატ-სახე ამ კვალსაც მიჰყვება და სიახლესაც გვთავაზობს, რადგან ამ საგალობლებში, დავით წინასწარმეტყველის კვალობაზე, ადამიანი ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი, მისთვის ჩვეული სახისმეტყველებითაც წარმოიდგინება და კატაფატიკურ-აპოფატიკური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურით გაიაზრება. წმ. ანდრია კრიტელმა და დავით აღმაშენებელმა სწორედ კატაფატიკურ-აპოფატიკური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურული სისტემით წარმოადგინეს ადამიანის სულიერი ზეაღსვლა, სწრაფვა ღმერთთან შეერთებისაკენ, რადგან ორივე საგალობელში ადამიანი ურთულეს საფეხურებს გადის სულიერი სისრულის მიღწევამდე; ამ გზაზე მან უნდა დაძლიოს კაცობრიობის არსებობის მანძილზე მის მიერ ჩადენილი ყველა ის ცოდვა, რომელთა გამო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, როგორც ჰიმნოგრაფები, საკუთარ თავს უცოდვილესად მიიჩნევენ და ღვთის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას კისრულობენ. დავით წინასწარმეტყველი საკუთარ ცოდვებზე მსჯელობს, აღიარებს მათ და ინანიებს, ხოლო წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი საკუთარ ცოდვათა აღიარებასთან და მონანიებასთან ერთად კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველებად წარმოგვიდგებიან. დავით წინასწარმეტყველი, წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი მსოფლმხედველობრივად თანაბარი სულიერებით მიემართებიან ზესთასოფლისაკენ, რაც ღმერთთან დიალოგით გადმოიცემა, მაგრამ ადამიანის, როგორც ინდივიდის, მისწრაფებით სულიერი ზეაღსვლისაკენ, სრულყოფისაკენ, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებისაკენ განსხვავებული გზით მიდიან. ესაა მათი მემკვიდრეობის განმასხვავებელი ორიენტირები.

საგალობელში ამაღლებული და მშვენიერი ერთდროულად წარმოიდგინება. ძე ღმერთის განკაცებამ საფუძველი დაუდო ადამიანში ღვთაებრივი და კაცობრივი საწყისების საიდუმლო შეზავებას, ღვთაებრივისა, რომელიც ამაღლებულის კატეგორიას განეკუთვნება, და კაცობრივისა, რომელიც ესთეტიურობას გამოხატავს. ამგვარი შეზავება მხოლოდ ქრისტიანული ცნობიერების მქონე ადამიანს ეძლევა ღვთისაგან, ამასთან, დიოფიზიტური ცნობიერების მქონეს, ვინაიდან მაცხოვარი დიოფიზიტურმა ცნობიერებამ აღიქვა ღმერთად და კაცად. ღმერთმა შექმნა ამაღლებულად და ესთეტიურად აღსაქმელი სამყარო თავისი მრავალფეროვნებით. ეს შეგრძნება ცოდვითდაცემის შედეგად დაიკარგა და ღმერთი ადამიანისათვის მიუწვდომელი, შეუცნობელი დარჩა, ე. ი. ღმერთი და ყოველივე ღვთაებრივი ამაღლებულად დარჩა. დაცემულმა ადამიანმა პირველქმნილი მშვენიერი სამყარო დაკარგა, მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაწირა იგი და კაცობრიობას სულიერობის გადასარჩენად ძე ღმერთი მოუვლინა, რითაც საღვთო საიდუმლოების წვდომის, დაფარული სიბრძნის განცხადების საშუალება მისცა. წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი თავიანთ საგალობლებში ამ მსოფლმხედველობის კვალობაზე წარმოაჩენენ პირველქმნილი ადამიანის, პირველცოდვის შედეგად დაცემული ადამიანის, ადამიანის სულიერი განახლებისათვის მაცხოვრის აუცილებელი მოვლინების ზებუნებრივ სურათს, რითაც ისინი ბიბლიურ-ევანგელურ მოძღვრებებს ეხმიანებიან.

წმ. ანდრია კრიტელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები ადამიანს წარმოგვიდგენენ როგორც ზესთასოფელში, ზეციურ დასში დამკვიდრებულს, ზეციურ მოქალაქეს, ზეცათა ქალაქის მკვიდრს, რომელმაც ადამიანის სულიერი ზეაღსვლისათვის აუცილებელი ყველა საფეხური განვლო. ეს საფეხურები ჩამოთვლილია ორივე საგალობელში, რომელთა

წინასაფეხურად, ბიბლიურ ჰიპოდიგმად დავით წინასწარმეტ-ყველის ფსალმუნებს მივიჩნევთ.

ადამიანის სრულყოფილების მოპოვებას საფუძვლად დაედო მისი სწრაფვა ღვთის შემეცნებისაკენ, ღვთისმოშიშებით წარმართვა ცხოვრებისა, სვლა ზეციური მოქალაქობის მოპოვებისაკენ; როგორც ჰიმნოგრაფები, წმ. ანდრია კრიტელი და დავით აღმაშენებელი, ადამიანს საზოგადოებისაგან გამოყოფენ და მასზე, როგორც კერძო, ინდივიდუალურ პიროვნებაზე, ამახვილებენ ყურადღებას, მას ამკობენ სულიერი სილამაზით, მშვენიერებით და, რაც მთავარია, ამაღლებულობით, რომელთა საფუძველი სულიერობაა.

საზოგადოდ, საგალობელი ერთდროულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ღვთის დიდებას, მეორე მხრივ, ადამიანის ღვთისადმი მიმსგავსებულ, მიმბაძველ სახეს, რაც მიუთითებს, რომ არსებობს მისაბაძი და მიმბაძველი. საგალობელში ადამიანის სულიერი ხატი სულიერი განვითარების საფეხურების გათვალისწინებით წარმოისახება, რაც მისი სულიერი სისრულით, სულიერი სრულყოფით, სულიერი ზეაღსვლით მიიღწევა.

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ მდიდარი ჰიმნოგრაფიული ტრადიციების მემკვიდრეა. თხზულების აზრობრივ სიღრმეს, ზნეობრივ სიმაღლეს განსაზღვრავს დახვეწილი ლიტერატურული სიფაქიზე, ამაღლებული სტილი, ხატების, სახეთა და სიმბოლოთა მწყობრი სისტემა, სრულყოფილი კომპოზიცია და ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურა, ადამიანის სულიერი ზეაღსვლისაკენ სწრაფვა, რაც განაპირობებს ამაღლებულის შეგრძნებისა და ესთეტიკური განცდის მყარ საფუძველს.

დავით წინასწარმეტყველის სახე ჩვენამდე მოღწეულია ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით – სიძლიერითა და სისუსტით, სიყვარულითა სიძულვილით, შიშითა და გამბედაობით, შურისმაძიებლობითა და შემწყნარებლობით.

ქართველი მემატიანე და უცხოელი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს მეფის იდეალად, მისაბაძად წარმოგვიდგენენ და მასში უარყოფითს ვერ ხედავენ. თავად დავით აღმაშენებელი კი, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საკუთარ თავს ცოდვით დამძიმებულ, კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველად სახავს, რაც მას, როგორც ადამიანს, როგორც მეფეს, როგორც ჰიმნოგრაფს სულიერი სრულყოფილებით, სისავსით შემკულ პიროვნებად წარმოგვადგენინებს.

დასკვნის სახით დავით აღმაშენებლის ღვაწლის შესაფასებლად, სულიერი ზეაღსვლის სიმბოლურ-სახისმეტყველებითად გასააზრებლად, რომელიც „დაუსრულებელ საუკუნეთა“, „ზეშთა საუკუნეთა“ მკვიდრად იქცა, მინდა ილია ჭავჭავაძის დაუვიწყარი სიტყვა დავიმოწმო: „ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს... კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“[1].

დამოწმებანი:

ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002.

გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005.

კვირიკაშვილი ლ., ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიცია, თბ., 1982.

[1] ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984, 608.

მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.

ფსალმუნნი, გამოსაცემად მოამზადა მზექალა შანიძემ, თბ., 1961.

ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.

Nestan Sulava

Samtskhe-Javakheti State University

THE SYMBOL OF SPIRITUAL ASENTION IN THE LITERARY HERITAGE OF DAVIT PREDICTOR, SAINT ANDREW KRITELI AND DAVIT THE BUILDER („PSALMS“, „GREAT LAW“, „CHANTS OF REGRET“)

RESUME

The „Chants of Regret“ by Davit the Builder is the work based on the tradition of the hymnography and with its symbols, ideas and meaning, also with the structure it is very close to the „Psalms“ of David the Predictor and to the „Great Law“ of the saint Andrew Kriteli. The plot of the work of Davit the Builder, as for the „Psalms“ of David the Predictor and „Great Law“ of the saint Andrew Kriteli is the regret which is finished by the spiritual asention of the person. It is the main object of all of those works.

The main character of the hymnography, person, which is ofthen saint one, mostly is the citizen of the heaven. He or she is not the one who seen the heaven, he or she has already finish the process of the seeking the heaven. So in the hymns, chants there are the result of creating process not the process itself. In the „Great Law“ of the saint Andrew Kriteli and in the „Chant of Regret“ by davit the Builder the same role has the character and there are some other innovation, because in above mentioned chants the characters are given like as predictor and

as it is in the hymnography person can be as the symbol face of asention Saint Andrew Kriteli and Davit the Builder gave us the sample of asention of the person by the way of paradigms, there aspiration to join the Lord. In both chants character must pass the hard and difficult stages of achieving fulness of spiritual life. In that way the person must overcome the all sins made by him/her, for this the Davit the Builder and the Andrew Kriteli fill themselves as the most sigfull ones and the fell they are responsible for their sins in front of the God. Davit predictor discuss his sins, admit them and repenting them. But the Saint Andrew Kriteli and Davit the Builder beside they admit and repenting their sins at the same time the feel that thery are responsible for all sins made by mankind. Davit Predictor, Saint Andrew Kriteli and Savit the Builder are the same by their spiritual wisdom to achieve the heaven life. We see this with the dialogue with the God. But they differ with their individual aspiration to achieve the heaven life. They choose the different way to get the heaven life. This is the main distinctive orientation of their heritage.

გიორგი გოცირიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკულტო საწირველი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საქართველოში – ზედაშე (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

საწირველის, წმინდა საკვების, ზვარაკად განკუთვნილი საკლავის და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების და სიმბოლიკის შესწავლას ქართულ ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი. ეს არის სინკრეტიზებული კვლევის ის სფერო, რომელშიც უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან და ქრისტიანულ ნარატივებთან მიმართებაში ყოფითი კულტურის მრავალი ასპექტია გააზრებული[1].

ცნობიერების (მსოფლმხედველობის) ამ ურთულეს სისტემაში, ადამიანისა და გარე სამყაროს ურთიერთობის შედეგად რომ ჩამოყალიბდა, ყოველთვის რჩებოდა ადგილი შემოქმედის – განგების, უზენაესის, უფლის ძალის ირეალური წარმოდგენისა, მისი კულტმსახურებისა და თაყვანისცემისა,

[1] ბარდაველიძე ვ., ქართულ-სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939; აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997; სურგულაძე ირ., ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა, თბ., 1986; გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007; გოცირიძე გ., ზედაშის კულტურა საქართველოში: კრებული ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა, დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 2004; გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში, ეთნოლოგიური კრებული, II, თბ., 2011.

რომელიც შემდეგ ყოფით პრაქტიკაში რიტუალების სახით თითქმის დღემდე იქნა შემონახული. გავიხსენოთ ხატ-სალოცავებისადმი მირთმეული შესაწირავები, წმინდა საკვების კურთხევა, მისი უფლისადმი მიძღვნის ტრადიცია, საკლავის დაკვლა და სხვ. მაგალითები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ოფიციალურ რელიგიაში (რომელი მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი) საკმაოდ დიდი დოზით (ხშირად ტრანსფორმირებული სახით) აირეკლება უფრო ძველი ხალხური რწმენა-წარმოდგენების კვალი. თუმცა ამ რელიგიური, საკრალური ელემენტების ძიებას ყოველთვის როდი მივყავართ სრული ჭეშმარიტების დადგენამდე, რადგან ბევრი რამ აუხსნელი და მიუწვდომელი გვრჩება, მაგრამ, ჰიპოთეტურ დონეზეც კი, ასეთი კვლევა მაინც აუცილებელია.

რელიგიის ისტორიკოსთა მიერ გარკვეულია, რომ სიმბოლოთა ფართო სპექტრში სხვადასხვა სახის საგნებთან ერთად, ღვთაებისადმი მიძღვნილი წმინდა საკვებიც შედის. წერილობით წყაროებში ის „საწირველის“ სახით არის ცნობილი[1]. რაჭაში ამ საწირველს „სალოცველს“, სამეგრელოში „ოხვამერს“, ზოგჯერ „ზედაშესაც“, აფხაზეთში „ამაჭარს“, სვანეთში, ქართლსა და კახეთში „ზედაშეს“ უწოდებენ. სულხან-საბა ორბელიანი ზედაშეს ასე განმარტავს: „ზედაშე „ანუ შესაწირავი ღვინო“[2], მაგრამ ყოფაში ამ ტერმინის ქვეშ არა მხოლოდ ღვინო, არამედ სხვა სახის საწირველიც მოიაზრება; ესაა თაფლი, ერბო, ხორბალი, არაყი, ლუდი, ბამბის

[1] ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბ., 1966, 101-149.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, 278.

ნართი და სხვა[1]. ტერმინ ზედაშესთან დაკავშირებით საინტერესოა ირაკლი სურგულაძის მოსაზრება: „ზედაშე შესაწირავია „ზედასადმი, ღვთაებრივი ძალისადმი“[2]. აკაკი შანიძის მიხედვით, ფონეტიკურად ეს სიტყვა იმგვარივე წარმოებისაა, როგორიცაა „წინაშე“, „გარეშე“ და სხვა (ვუთითებთ ირ. სურგულაძის ნაშრომის მიხედვით). ნიშანდობლივია ისიც, რომ ზედაშის, ანუ ზენაარისადმი შეწირვის რიტუალს მლოცველები ხელაპყრობილნი აღასრულებდნენ, ე.ი. ზეციერს შესთხოვენ, ევედრებიან, მიმართავენ. სვანეთში მიღებული წესის თანახმად, სახატო დღესასწაულის დროს ეკლესიაში ან შინ, აღმოსავლეთის კედელში დატანებულ სალოცავ სარკმელთან მამაკაცები ქუდმოხდილი და ხელაპყრობილი დგებიან, ხელში პატარა ტაბლა უჭირავთ რიტუალური პურებით, ლემზირებით ან სეფისკვერებით. ამ პურებზე ან თვით ტაბლაზე სანთელს ანთებდნენ. იქვე იდგა დოქი შესაწირი წმინდა სასმელით, ანუ „ზედაშით“ სავსე. გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საწირველის სამივე სახეობა, პური, ღვინო და სანთელი, სვანური ლოცვის აუცილებელი ატრიბუტია[3].

ქართლსა და კახეთში საზედაშე ღვინოს საგანგებოდ განკუთვნილ ქვევრში ასხამენ, ერბოს – ქილებში, თაფლს – გეჯაში. მათ მოკრძალებით ეპყრობიან და წმინდა, ხელშეუხებელ საგნად მიაჩნიათ. საზედაშე ქვევრი მარანში ან ვენახში აქვთ ჩადგმული. პურის მარცვალს, ერბოს და სხვა პრო-

---

[1] გოცირიძე გ., ზედაშის კულტურა საქართველოში: კრებული ეროვნული და სარწმუნეობრივი იდენტობა, დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 2004, 24.

[2] სურგულაძე ირ., ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა, თბ., 1986, 171-175.

[3] გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში. ეთნოლოგიური კრებული, II, თბ., 2011.

დუქტებს კი ბეღელში ან კარაპანში ინახავენ[1]. ზედაშის მოვლა-პატრონობა ოჯახის უფროსის მოვალეობაა (ღვინოს მამაკაცი უვლის, ხორბალს და ერბოს – ქალი, დიასახლისი). მისი ვადაზე ადრე გახსნა, ხელის ხლება, დაზიანება, გატეხვა ან სხვა ადგილზე გადატანა დაუშვებლად მიიჩნეოდა. მათი რწმენით, ეს უბედურებისა და ავის მომასწავებელი იყო[2]. ხალხში არაერთი გადმოცემაა შემონახული ზედაშის „განრისხებისა", მისგან დამიზეზების (დაავადმყოფების) თაობაზე, იმაზე, თუ როგორ სჯიდა ზედაშე ამ წესის დამრღვევთ, რაც ზოგჯერ რამდენიმე თაობაზე გადადიოდა[3].

ზედაშის მოხმარება ანუ რეალიზაცია, შესაბამისად იმ სახატო დღეობებზე ხდებოდა, რომლის სახელობაზეც იყო განკუთვნილი. მაგალითად ღვთისმშობლობის, გიორგობის, მთავარანგელოზობის და სხვა. აყენებდნენ მას ასევე ვაჟიშვილის სახელობაზე, ოჯახის სიმრთელისა და ბარაქიანობისათვის, ავადმყოფის გამოჯანმრთელებისათვის და სხვა დანიშნულებით[4]. ზედაშესთან დაკავშირებულ საღვთისმეტყველო მიმართვებში ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმართული და ქრისტიანული ღვთაებების სახელები, ადგილი ჰქონდა ე.წ. რელიგიურ სინკრეტიზმს, რომელიც ყოფაში პრაქტიკულად თითქმის დღემდეა შემორჩენილი. ამ მხრივ უფრო აღმოსავლეთ საქართველო გამოირჩევა, სადაც ხატობა, დღესასწაულები და, შესაბამისად, საზედაშე კულტმსახურების რიტუალები მეტი რელიეფურობით ხასიათდება[5]. აღსანიშნავია

---

[1] გოცირიძე გ., ზედაშის კულტურა საქართველოში: კრებული ეროვნული და სარწმუნეობრივი იდენტობა, დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 2004, 24.

[2] გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007, 363.

[3] გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007, 363.

[4] თოფურია თ., ღვინის ზედაშეები: მსე, XII-XIII, თბ., 1963, 91.

[5] თოფურია თ., ღვინის ზედაშეები: მსე, XII-XIII, თბ., 1963.

ერთი გარემოებაც, გავრცელებული წესის თანახმად, საზე-დაშე საკვები აუცილებლად გლეხის მიერ მოწეული პირველ-წილი პროდუქტი უნდა ყოფილიყო. ეს ეხებოდა როგორც ღვინოს (მას საგანგებოდ ცალკე ქვევრში აყენებდნენ), ასევე პურს (ხორბალს), ერბოს („ნათავარს“ ანუ „თავეულს“), თაფლს და ა.შ.[1]. ქართლში (უფრო მთისწინეთის ზოლში), ახლაც იციან ხატობისთვის მარანში ან სარდაფში ქვევრების გვერდით საზედაშე ერბოს ქილების ცალკე ადგილზე შენახ-ვა. დღესასწაულზე კი ამ „თავეულიდან“, რომელიც ზოგ ოჯახს შვიდი ან უფრო მეტიც შეიძლებოდა ჰქონოდა, შესა-წირ ქადებს აცხობდნენ, სალოცავში წაიღებდნენ და იქ და-არიგებდნენ. ღვთაებას ეწირებოდა ამ დღისათვის გამომცხ-ვარი შოთებიც და ზვარაკად „დაყენებული“ საკლავიც[2]. ეს ჩვეულება ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგადაა ცნობი-ლი, მოვიტანთ აფხაზეთში დამოწმებულ ერთ მაგალითს, რო-მელიც ნ. ჯანაშიას აქვს აღწერილი. მისი თქმით, „ძველად ყოველ აფხაზ მკვიდრსა მარანში ჩაფლული ჰქონდა ღვთიშო-ბლის ანუ „დიდრიფშის“//„იფსინახას“ სახელობაზე ქვევრი – „აჰაშპა“, რომელსაც აღდგომა დღეს ხსნიდა. საზედაშე ქვევ-რთან ერთად ფურიც ჰყავდა სამსხვერპლოდ შერჩეული. მის სისხლსა და ხორცს საკულტო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. როგორც ნ. აბაკელია შენიშნავს, ეს ფაქტი აშკარად მეტყვე-ლებს აფხაზებში ადრექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების გავრცელებაზე[3].

ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ საზედაშე კულტმსახურების ტრადიციის შემონახულობის მიხედვით ქართლი და კახეთი ყველაზე გამორჩეული მასშტაბური რე-

---

[1] გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007, 364.

[2] გოცირიძე გ., საველე დღიურები, ქართლი, თბ., 1998, 27.

[3] აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, 121.

გიონია. აქ, ტრადიციის თანახმად, ზედაშეებს დგამდნენ რო-გორც ხატის (სალოცავის) ასევე კერძო მფლობელობაში მყოფი ვენახებიდან მოწეული ღვინით[1]. არჩევდნენ წითელს, თუმცა, ეთნოგრაფ ო. გაბუნიას მიხედვით, თეთრიც არ იყო გამორიცხული, მაგრამ საუკეთესო ჯიშის ყურძნისაგან მიღებული[2]. ლ. ფრუიძის მიხედვით, რაჭაში საზედაშე ღვი-ნოს//სალოცველს გამოარჩევდნენ. ის საერთო მოსავლის სა-უკეთესო ნაწილი იყო, უსათუოდ წითელი ფერისა, რომელ-საც საგანგებოდ განკუთვნილ პატარა ქვევრში (ქოცოში) ჩა-ასხამდნენ, ოღონდ წინასწარ მღვდელს აკურთხებინებდნენ, „სანთელ-განატეხით განათლავდნენ“. ამის შემდეგ ეს სასმე-ლი წმინდა სასმელად ითვლებოდა და ღვთაების სისხლთან იყო გაიგივებული[3].

სამეგრელოში საზედაშე ქვევრს („საოხვამეს“) საკარმი-დამო ნაკვეთში, მარნის (ანუ „ოხვამერის“) ტერიტორიაზე მიწაში ფლავდნენ (ჩადგამდნენ), მასში წითელი ფერის ღვი-ნოს ჩაასხამდნენ და წლიდან წლამდე, ვიდრე დღესასწაულ-ზე არ დაიცლებოდა, უვლიდნენ და პატრონობდნენ, ეს სიწ-მინდე ხელშეუხებელი იყო და მისი დაცვა და მსახურება ოჯახის უფროსს ევალებოდა. საერთოდ, მთელ საქართველო-ში ზედაშის გადაადგილება, ქვევრის დამტვრევა-დაზიანება უბედურებად ითვლებოდა. მეტიც, ზედაშესთან აუგ სიტყვას არ იტყოდნენ. ფილოლოგ ნესტან სულავას ზეპირი გადმოცე-მით, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ, მარტვილში ყო-ფილა ისეთი შემთხვევა, როცა ოჯახს, რომელიც არსებული ადგილიდან სხვაგან მიდიოდა და ზედაშის მსახურებაც არ შეეძლო, ცარიელი ქვევრი გვერდით მცხოვრებ ახლობლისა-თვის უჩუქებია, ისე რომ, მან ეს სიწმინდე თან არ წაიღო,

---

[1] აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, 121.

[2] გაბუნია ო., ღვინის ზედაშე, ხელნაწერი, 2005, 78.

[3] ფრუიძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში, თბ., 1973, 121.

მაგრამ უპატრონოდ არ დატოვა. ასეთ კონტექსტში სრულიად დამაფიქრებლად გვეჩვენება ეთნოლოგ დავით ჭითანავას მასალა, საზედაშე ქვევრის დამტვრევის და მისი მდინარეში გადაყრის თაობაზე, რომელიც მან თავის ნაშრომში გამოაქვეყნა[1].

კუთვნილების მიხედვით ზედაშეთა კატეგორიები შემდეგნაირად კლასიფიცირდება: საოჯახო, საგვარეულო, სახატო (სამონასტრო, სატაძრო), სასოფლო (სათემო). ძველად საგვარეულო და სახატე ზედაშეებს შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა, რასაც ეთნოგრაფმა თ. თოფურიამ საგანგებოდ მიაქცია ყურადღება. იგი არ გამორიცხავდა იმ გარემოებას, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში, ზედაშის დაყენება სამონასტრო გამოსაღების, ანუ ბეგარის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, რაც ისტორიული საბუთებიდანაც კარგად ჩანს[2]. ამ ფაქტს რ. გუჯეჯიანიც შეეხო, იგი ზედაშეს სვანეთში დამოწმებული ბარბარობის დღესასწაულის („ლიქურეშ“//„ლიხედიშ“, „მეზრობა“) მაგალითზე განიხილავს და წერს, რომ საზედაშე ღვინის კოლექტიური შეწირვის სვანური ჩვეულება კიდევ ერთი დადასტურებაა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ხალხურ სარწმუნოებაში დამოწმებულ საზედაშე ღვინოს, საერთო სახელთან ერთად, შორეული მსგავსება უჩანს ფეოდალურ საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და აღაპებისათვის დახარჯული ღვინის ზედაშესთან. რ. გუჯეჯიანი კიდევ უფრო კონკრეტულია საბოლოო დასკვნაში: „ზედაშესთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და მენტალური მახასიათებლები, სავარაუდოდ კანონიკური სიმართლისა და ლიტურგიკული პრაქტიკის გახალხურებული, სახეცვლილი

[1] ჭითანავა დ., საოჯახო ოხვამერი სალოცავი ქვევრის დამტვრევის რიტუალის ინტერპრეტაციისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. X, თბ., 2012, 71.

[2] თოფურია თ., ღვინის ზედაშეები: მსე, XII-XIII, თბ., 1963, 98.

ფორმებია, გამომდინარე ობიექტური ისტორიული გარემოებებიდან"[1].

გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორის ეს ვარაუდი ნამდვილად საფუძველს მოკლებულია, რადგან ზედაშის, როგორც კულტურის ელემენტის გაჩენა, ბევრად უფრო ძველ, არქაულ პლასტებშია საძიებელი და ტრანსფორმაცია მხოლოდ ოფიციალურ რელიგიასთან მიმართებაში შეინიშნება. ზედაშის ბეგარა მხოლოდ გვიანდელი პერიოდის მოვლენაა. რაც შეეხება ზედაშის რიტუალში ლიტურგიკული ელემენტების არსებობას, ის სრულიად ბუნებრივია, რადგან ადრექრისტიანული რწმენის თანახმად, წმინდა საკვები პური და ღვინო ქრისტეს სისხლთან და ხორცთან იქნა გაიგივებული. ამიტომ პურ-ღვინოს რიტუალური მიღება ევქარისტიის სიმბოლოდ აღიქმება[2]. მართალია, ზედაშის ლიტურგიკული ბუნება სვანურ ჩვეულებებშიც ჩანს, იგივე რ. გუჯეჯიანის მიერ მოხმობილ ვ. ბარდაველიძის მიერ აღწერილ „თანღაი თარანგელოზის" სადღეობო რიტუალში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლიტურგიკული პრაქტიკის გახალხურება მოხდა, როგორც ამას გუჯეჯიანი ფიქრობს[3]. ჩვენ ვთვლით, რომ ზედაშის კულტი, როგორც საწირველისა, წარმართული ხანიდან მომდინარე ჩვეულებაა, რომელმაც გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, ყოფაში მაინც შემოინახა თავი, თუნდაც სახეცვლილი ფორმით. საქართველოს მაგალითზე ის ერთგვარი რელიგიური სპეციფიკის მატარებელი ჩვეულებაა, რადგან საკრალურობა ჩვენში, ტრადიციული მენტალობის მდგრადობის გამო, ძალიან ბევრ ჩვეულებაში თითქმის დღემდეა შემონახუ-

---

[1] გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში. ეთნოლოგიური კრებული, II, თბ., 2011.

[2] აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997, 91.

[3] გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში, ეთნოლოგიური კრებული, II, თბ., 2011.

ლი. ვფიქრობთ, გლობალიზაცია, ალბათ, მალე ამ ფენომენ-საც წაშლის, მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ახლაც, ველზე მუშაობის დროს დავრწმუნდით, რომ ეს უძველესი წესი მოქმედია. ზედაშე ოჯახის მფარველ დიდ სიწმინდედ ითვლება და მას, დედაბოძისა და მარნის მსგავ-სად, ცოცხალ რელიქვიად მიიჩნევენ. ქვემო ქართლში (სოფ. ნორიო) ერთ-ერთმა მთხრობელმა გვიამბო, თუ როგორ იყო იგი წლების მანძილზე მძიმე სენით შეპყრობილი და როგორ გამოეცხადა მას სიზმარში მოენე, რომელმაც ზედაშის მსა-ხურება შთააგონა//შეახსენა. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენმა მთხრობელმა მივიწყებული, მამა-პაპური ზედაშის განახლება და მოვლა-პატრონობა. ახლა ის თავს მხნედ და ბედნიერად თვლის და ყოველგვარ სიკეთეს ზედაშის მადლს მიაწერს. გვიჩვენა კიდეც ეს საზედაშე ქვევრები, ვენახში საგანგებოდ მოწყობილ მარანში რომ ჰქონდა ჩაფლული. იმავე ქართლში არა ერთხელ ვიხილეთ ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე (ეზოში) დაგდებული ცარიელი საზედაშე ქვევრები, რომლე-ბიც იმის მოწმეა, რომ მათ პატრონებს, მას შემდეგ, რაც ზედაშის მსახურება აღარ შეეძლოთ, ქვევრები სალოცავში ამოუტანიათ. ეს ქვევრები სხვადასხვა ზომისაა (არის ქოცოე-ბიც და უფრო დიდი მოცულობის ქვევრებიც). მათ სატაძრო სიწმინდეებად თვლიან და ხელშეუხებლად ტოვებენ. ამრიგად, ზედაშე ხალხურ ტრადიციაში საწირველია, წმინდა საკვებია, ის საგანია, რომელსაც თავად მეურნე აწარმოებდა და მისი ადრესაციის აქცენტიც საკრალურია, ღვთაებისადმი მიმართუ-ლი, ოჯახისათვის სიმრთელის, ბარაქიანობის, ნაყოფიერების, ჯანმრთელობის მონიჭების მიზნით შესრულებული ქმედებაა. ვ. ბარდაველიძის თქმით: „ზედაშე ერთის მხრივ ხატის წევ-რის მიერ უფლისადმი მიძღვნილი საბოძვარია, ხოლო მეო-რეს მხრივ, თვით ხატის მიერ მრევლისადმი გაღებული წყა-

ლობაა“[1]. წმინდა საკვების წმინდანისადმი შეწირვა დღესაც სწორედ იმ სიმბოლურ აზრს ატარებს, რომლის მიხედვითაც უფალს, შემოქმედს, მიეძღვნება ის, რასაც თავად ქმნის ადამიანი და რაც ამავე დროს უფლის ნებით არის მოწეული. როგორც წესი, ეს პირველი რიგის პროდუქტია, პირველნაზადი არაყი, პური, ღვინო, ერბო და სხვ. ძირითადი საკვებია, რომელსაც მიცვალებულის კულტში და დაკურთხების რიტუალშიც ხშირად ვხვდებით.

საბოლოო დასკვნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ზედაშე ქართულ კულტურაში უძველესი პერიოდიდან მომდინარე და დღემდე შემორჩენილი იმ საკრალურ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა რიგს განეკუთვნება, რომელიც სიმბოლური ფორმით აისახა ქრისტიანობაში. ლიტურგიკული ფონი ჩაენაცვლა წარმართულ სიმბოლიკას.

2. ზედაშე სივრცობრივ განზომილებაში, ქვესკნელისა და ზესკნელის, მიწიერისა და ზეციერის ურთიერთკავშირის სემანტიკური გამოხატულებაა. „ზედეთს“ ეძღვნება ის წმინდა საკვები და საგნები, რომლებიც ასევე „ზედეთის“ მფარველობითა და მზრუნველობით არის მოპოვებული.

3. ზედაშე იხსნება და მოიხმარება რელიგიურ-სახატო დღესასწაულებში, კოლექტიური რიტუალური პურობისას. მათი საშუალებით ხდება საზოგადოების გარკვეული ნაწილის, სოციუმის ორგანიზაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ნათესაური კავშირისა და ხატის წინაშე ერთობის გრძნობის გაძლიერების. ამ შემთხვევაში კოლექტიური ტრაპეზი საკრალური და ღრმა სოციალური შინაარსით დატვირთული აქტი ხდება.

4. მენტალური თვალსაზრისით, ზედაშე ქართველთა რწმენაში ეროვნული თვითშეგნების და სარწმუნოებრივი

[1] ბარდაველიძე ვ., ქართულ-სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939, 91.

იდენტობის მახასიათებელი ნიშანია, მას წინააზიურ კულტურაში ანალოგი არ მოეძებნება. ქართული ეთნიკური სპეციფიკა ნათლად ვლინდება მევენახეობა-მეღვინეობის და მემინდვრეობის სიმბიოზური წარმოების ხასიათშიც, რადგან საქართველო განვითარებული ინტენსიური მიწათმოქმედების ქვეყანაა, პურისა და ღვინის ქვეყანაა. სწორედ ეს საკრალური დატვირთვა აისახება ძირითადი საკვების (საწირველების) რიტუალურ სიმბოლიკაში, ანუ ზედაშის ტრადიციაში.

რაც შეეხება ზვარაკის ანუ საკლავის შეწირვის ჩვეულებებს, ამაზე ცალკე გვექნება საუბარი.

დამოწმებანი:

აბაკელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.

ბარდაველიძე ვ., ქართულ-სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939.

გაბუნია ო., ღვინის ზედაშე, ხელნაწერი, 2005.

გოცირიძე გ., კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, თბ., 2007.

გოცირიძე გ., ზედაშის კულტურა საქართველოში: კრებული ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა, დისციპლინათაშორისი რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 2004.

გოცირიძე გ., საველე დღიურები, ქართლი, თბ., 1998.

გუჯეჯიანი რ., ზედაშე სვანეთში, ეთნოლოგიური კრებული, II, თბ., 2011.

თოფურია თ., ღვინის ზედაშეები: მსე, XII-XIII, თბ., 1963.

ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორიები, I, თბ., 1966.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

სურგულაძე ირ., ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმ-ბოლიკა, თბ., 1986.

ფრუიძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში, თბ., 1973.

ჭითანავა დ., საოჯახო ოხვამერი სალოცავი ქვევრის დამ-ტვრევის რიტუალის ინტერპრეტაციისათვის. ისტორიულ-ეთ-ნოგრაფიული ძიებანი, ტ. X, თბ., 2012.

Giorgi Gotsiridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CULT OFFERINGS AND THE RELATED CUSTOMS IN GEORGIA (ACCORDING TO ETHNOGRAPHIC MATERIALS)

RESUME

The article concerns the ritual function of cult offerings in Georgia. The tradition of offering sacred food - “Zedashe” to a deity is still preserved in religious cult practices in Georgia, which, according to the popular beliefs, could protect and guarantee fertility and abundance to the family. Usually “Zedashe” could be red wine, wheat, butter and other products consumed at any religious festival to the deity. It could be offered for the wellbeing of a family, clan or a community.

Specialist literature gives different assumptions on the origin of “Zedashe”. Some researchers consider that it takes its roots from pre-Christian period, while the others regard it as the product of the feudal times. I argue that the phenomenon originated in the early Christian era, on the basis of synchretized religious beliefs, which is well observed in Georgian ethnography and folklore.